ია ხარაზი



საქართველოს დავით აღმაშენებლის
სახელობის უნივერსიტეტი

სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი

(მესამე გადამუშავებული და
დამატებული გამოცემა)

თბილისი 2014

უაკ (UDC) 347 (042.4)
ხ - 253

რედაქტორი: პროფ. ლილი გელუკაშვილი

ISBN 978-9941-0-6897-3

© ია ხარაზი. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი
(მესამე გადამუშავებული და დამატებული გამოცემა)
2014

1997 წლის სამოქალაქო კოდექსის მიღებით ქვეყანამ უარყო „კარჩაკეტილობის იდეები და ღია საზოგადოების მსოფლმხედველობა გააბატონა. სამოქალაქო კოდექსს ჭეშმარიტად ეწოდა ქვეყნის „მეორე კონსტიტუცია. მან უდავოდ მოიცვა ყველა ის მიღწევები, რაც კანონმდებლობის თანამედროვე დონეზე იყო. ზუსტად კოდიფიკაციაზე „ერცელდება ის თვალსაზრისი, რომ კანონი კანონმდებელზე უფრო ბრძენია"[1].

სამოქალაქო კოდექსს თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო „სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში **„სამართლის ბიბლიასაც"** კი უწოდებენ. ჭეშმარიტი და სწორი შეფასებაა. სწორედ სამოქალაქო კოდექსის საშუალებით წესრიგდება ნორმალური საზოგადოებრივი ურთიერთობები, განისაზღვრება სამართლებრივი მოქმედების ფარგლები, რომლის შიგნით პირს არჩევანის საშუალება ყოველთვის რჩება.

გერმანულ სამოქალაქო კოდექსზე, თანამედროვე სამართლებრივ ბაზაზე ორიენტირებულმა „პატივმოყვარე" სამოქალაქო კანონმდებლობამ აშკარად წარმოაჩინა სასაქონლო ურთიერთობებში ინდივიდთა და კოლექტიური წარმონაქმნების თავისუფალი მონაწილეობის შესაძლებლობა.

საკუთრება და უფლება – ის ძირითადი ფასეულობანია, რომლებიც გამოიკვეთა სამოქალაქო კოდექსში. დარგობრივი კოდიფიკაციის პრინციპზე აგებულმა სამოქალაქო კოდექსმა, რომლებიც მოიცავენ ზოგად დებულებებს, სანივთო, ვალდებულებით, საოჯახო და მემკვიდრეობით სამართლებრივ ნორმებს, საშუალება მოგვცეს საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი ახალი ურთიერთობების გათვა-

1. სამართლის რეფორმა საქართველოში. „საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები". ს. ჯორბენაძე, გვ.142.

ლისწინებისა და ამ გზით ხელი შეეწყო სამართლებრივ პროცესებს, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრავენ სამოქალაქო-სამართლებრივი მოქმედების ფაქტებს, რომლის შიგნით მის მონაწილე პირებს ყოველთვის რჩება არჩევანის თავისუფლება.

სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან 17 წელიწადი გაეიდა. „ამ ხნის მანძილზე არა მარტო იურისტებმა, არამედ ხალხმაც შეიყვარა სამოქალაქო კოდექსი, რომელიც მათთვის მთავარი გზამკვლევი გახდა უფლებისათვის ბრძოლაში. ამ ხნის მანძილზე ჩამოყალიბდა საინტერესო სასამართლო პრაქტიკაც. ხალხიც მზად შეხვდა თავისი სამართლებრივი შეგნებით ახალ სამოქალაქო კოდექსს, რამეთუ „მარტო ხალხის კულტურა კი არ ქმნის სამართალს, არამედ თავად სამართალი ქმნის ხალხის კულტურას. ვისაც ძლიერი კულტურა აქვს, იმ ხალხს გაცილებით უადვილდება ახალ სამართლებრივ ოჯახში ჰარმონიზება. ასეთად უნდა მიეიჩნიოთ ჩვენი ხალხი"[2].

ახალი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების შემდეგ შეიქმნა უნიკალური ნაშრომები, დამხმარე სახელმძღვანელოები სამოქალაქო სამართალში. მაგრამ მოგეხსენებათ სამართალი მუდმივ ცვლილებებს განიცდის, ნოვაციურ პროცესებშია (თუმცა ეს ნაკლებად ეხება სამოქალაქო კოდექსს). სამოქალაქო კანონმდებლობის ბევრი ნორმა ცვლილებს განიცდის, ბევრიც ახლებურად ყალიბდება, ბევრმაც თავისი მოქმედების ძალა დაკარგა, ყალიბდება ახლებური სასამართლო პრაქტიკაც. წლების განმავლობაში წაკითხულმა ლექციებმა სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში გადამაწყვეტინა აღნიშნულ სახელმძღვანელოში ახლებურად წარმომეჩინა სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილის ნორმები გერმანულ სამოქალაქო კოდექსთან მიმართებით. ცალკეულ თავებს დამატებული აქვს ტესტები

2. ბ. ზოიძე, „საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში", თბილისი, 2007, გვ. 129.

და პრაქტიკული კითხვები, ასევე სასამართლო პრაქტიკა, კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა (სუბსუმციის მეთოდი).

სახელმძღვანელო მოიცავს პრაქტიკაში გავრცელებულ სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ, აქტუალურ საკითხებს, რომელიც იმედია კარგი ხელშეწყობა იქნება სტუდენტებისათვის თეორიული ცოდნის უკეთ ათვისებისა და სამოქალაქო-სამართლებრივი პრაქტიკული ამოცანების გადაჭრის პროცესში, ასევე სტუდენტს აღჭურავს უნარით თეორიისა და პრაქტიკის ერთიან ჭრილში გაანალიზებისა, სახელმძღვანელო დაეხმარება სტუდენტს კვალიფიციური იურისტისათვის აუცილებელი საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში.

რა თქმა უნდა სამყაროში არაფერს არ შეიძლება ჰქონდე სრულყოფის პრეტენზია და აღნიშნული ნაშრომიც არ იქნება გამონაკლისი, ამიტომ ავტორი სიამოვნებით გაითვალისწინებს ყველა საინტერესო მოსაზრებას, რომელიც სახელმძღვანელოს შემდგომ გადამუშავებულ გამოცემებს სასიკეთოდ წაადგება.

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული სახელმძღვანელო გარკვეულ დახმარების გაწევა იქნება არა მარტო იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, არამედ სამოქალაქო სამართლითა და პრაქტიკით დაინტერესებული ნებისმიერი პირებისათვის.

ია ხარაზი, პროფესორი

ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

წ ი ნ ა თ ქ მ ა

თავი I. სამოქალაქო სამართლის ისტორიული ფესვები, ცნება და მისი ადგილი სამართლის სისტემაში ——— 9
§ 1. სამოქალაქო სამართლის ისტორიული ფესვები ———9
§ 2. სამოქალაქო სამართლის ცნება და მოქმედების არეალი–17
§ 2. 1. კერძო და საჯარო სამართლის ცნება, მათი მიმართება და გამიჯვნა ——— 17
§ 3. სამოქალაქო სამართლის, როგორც კერძო სამართლის დარგის სისტემა ——— 23
§ 4. სამოქალაქო სამართლის მეთოდები ———31
§ 5. სამოქალაქო სამართლის ფუნქციები ——— 36
§ 6. სამოქალაქო სამართლის პრინციპები ——— 38
§ 7. სამოქალაქო სამართლის წყაროები ——— 47
§ 7.1. სამოქალაქო სამართლის ნორმის მოქმედება დროსა და სივრცეში, პირთა წრის მიხედვით, კანონისა და სამართლის ანალოგია, სამოქალაქო სამართლის უკუქცევითი ძალა --------- 69
§ 8. სამოსამართლო სამართალი და სამოქალაქო სამართალი სამოქალაქო ნორმის ინტერპრეტაცია ——— 75
§ 8.1. სამოსამართლო სამართალი და სამოქალაქო სამართალი ——— 75
§ 8. 2. სამოქალაქო ნორმის ინტერპრეტაცია ——— 81
§ 9. სამოქალაქო სამართლის ობიექტი, სუბიექტი. მიზანი. სამოქალაქო უფლებათა თავისუფლება პოლიტიკური უფლებებისაგან ——— 91

თავი II. სამოქალაქო სამართალურთიერთობა ——— 112

თავი III. ფიზიკური პირები ——— 119
§ 1. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა ——— 119
§ 2. ფიზიკური პირის ქმედუნარიანობის შესახებ ——— 128
§ 3. სახელის უფლება ——— 136
§ 4. სახელთან დაკავშირებული პირადი არაქონებრივი უფლებები ——— 153
§ 5. ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილი ——— 178
§ 6. ფიზიკური პირის უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება. გარდაცვლილად გამოცხადებულის დაბრუნების შედეგები ——— 192

თავი IV. იურიდიული პირები
§ 1. ცნება. სახეები ——— 205
§ 2. არასამეწარმეო იურიდიული პირები სახელწოდება. რეგისტრაცია. ცვლილებების რეგისტრაცია ——— 236

თავი V. გარიგებები
§ 1. ზოგადი ნორმები გარიგებების შესახებ ——— 262
§ 2. ქმედუნარიანობა, როგორც გარიგების ნამდვილობის პირობა ——— 319
§ 3. გარიგების ფორმა ——— 332
§ 4. საცილო გარიგებანი ——— 356
§ 4. 1. შეცდომით დადებული გარიგებანი ——— 356
§ 4. 2. მოტყუებით დადებული გარიგებანი ——— 387
§ 4. 3. იძულებით დადებული გარიგებანი ——— 402
§ 5. პირობითი გარიგებანი ——— 416
§ 6. თანხმობა გარიგებებში ——— 433
§ 7. წარმომადგენლობა გარიგებებში ——— 447

თავი VI. უფლების განხორციელება ——— 485

თავი VII. ვადები და ხანდაზმულობა

§ 1. ვადების გამოთვლა ——— 503

§ 2. ხანდაზმულობა ——— 521

დ ა ნ ა რ თ ი:

სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა (სუბსუმციის მეთოდი) ——— 564

გამოყენებული ლიტერატურა ——— 570

თავი 1. სამოქალაქო სამართლის ისტორიული ფესვები, ცნება და მოქმედების არეალი, და მისი ადგილი სამართლის სისტემაში

§1. სამოქალაქო სამართლის ისტორიული ფესვები

საქართველოს სახელმწიფო ოდითგანვე არ ყოფილა წაკეტილი თავის ეიწრო ნაციონალურ ჩარჩოებში. ოდითგან საქართველო კერძო-მესაკუთრული ფსიქოლოგიის ქვეყნად ყალიბდებოდა. უძველესი დროიდან დღემდე, ჩვენამდე მოღწეული წყაროები აშკარად მეტყველებენ იმ ფაქტზე, რომ ძველ ქართულ სამართალს აშკარად ეტყობოდა ძველი რომაული და ძველბერძნული სამართლის გავლენა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენამდე მოღწეული წყაროები ნათლად მეტყველებენ რეცეპციის უდავოდ ფართოდ გავრცელებაზე, რამეთუ საქართველო არასდროს ყოფილა თავის ნაციონალური სამართლებრივ ჩარჩოებში ეიწროდ ჩაკეტილი. მუდმივი სწრაფვა აღმოსავლეთ-დასავლეთის კულტურების (და მათ შორის სამართლებრიების) ტრადიციების ქართულ სინამდვილეში გადმოტანა ყოველთვის იყო ქართველი ხალხის მუდმივი სწრაფვის მიზანი.

ნაპოლეონი ამბობდა, „ქვეყნის ეკონომიკას მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობა განსაზღვრავსო" და ჩვენ დავამატებდით, რომ არა მარტო ეკონომიკას და გეოპოლიტიკას, ქართულ სამართალზე ღრმა კვალი დატოვა ძველი სამართლებრივი კულტურის, განსაკუთრებით ძველი რომის სამართალმა, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა სამართალგანვითარების (განსაკუთრებით სამოქალაქო) ისტორიაში. **„იუს ცივილე"**, რომელიც რომში გამოიყენებოდა ამა თუ იმ ხალხის მიერ შექმნილ სამართლის აღსანიშნავად, მკვიდრად შემოვიდა თანამედროვე სამართალში და კერძო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის აღსანიშნავად გამოიყენება. თავად იუსტიანემ თავის

კრებულს **„რომის სამართლის ტაძარი"** უწოდა, შუა საუკუნეების იურისტებმა მას „ცივილური სამართლის კორპუსი (**Corpus iuris civilis** – ანუ სამოქალაქო კანონმდებლობის კრებული) უწოდეს[3].

იუსტინიანეს სამართლის კრებული, რომელიც 528-534 წლებში მოქმედებდა და რომელიც საუკუნეების მანძილზე რომაელი იურისტების მიერ გამოთქმული აზრების, მიღებული გადაწყვეტილებების, ცალკეული კანონების სისტემატიზებულ კრებულს წარმოადგენდა, ოთხი ნაწილისაგან შედგებოდა, სხვადასხვა დრომ შეიქმნა და ძალაშიც სხვადასხვა წლებში შევიდა. ინსტიტუციები არის პირველი წიგნი და წარმოადგენს სახელმძღვანელოს, რომელიც კლასიკური ეპოქის იურისტის გაიუსის იმავე სახელწოდების ნაშრომის საფუძველზე შეიქმნა. კანონად **533 წელს** გამოცხადდა. დიგესტები, ანუ პანდექტები მეორე წიგნია და წარმოადგენს ამონაწერების კრებულს სხვადასხვა ეპოქაში, უპირატესად კლასიკურ ხანაში **(I-III საუკუნეები)** მოღვაწე დაახლოებით 40 იურისტის ნაშრომებიდან. კრებულის მესამე წიგნი საკუთრივ **„kodeqs iustinianus"** იწოდება და იმპერატორ ადრიანიდან იუსტინიანემდე გამოცემული კანონების კრებულს წარმოადგენს (პირველი გამოცემა დღემდე არ შემორჩენილა). „ნოველები" მეოთხე ნაწილია, რომელიც შედგება ინსტიტუციებისა და კოდექსის გამოცემის შემდეგ აღმოჩენილი 168 ახალი კანონისაგან.

იუსტინიანემ თავისი კრებულის კომენტირება აკრძალა, მაგრამ მუდმივი ცხოვრებისეული ცვლილებები, უამთა სვლა, რომელიც სამართალგანვითარებაზეც ღრმა კვალს ტოვებდა, დროის შესაბამის კომენტირებას მოითხოვდა და ბუნებრივია იუსტინიანეს გარდაცვალების შემდეგ ჩნდებიან „პიონერები", რომლებმაც პირველი კომენტარები და მონოგრაფიები შექმნეს და რომელსაც შემდეგ საუკუნეებში კომენტარების მთელი წყება მოჰყვა.

---

3. ლ. ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000, გვ. 6.

სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის მკვლევართა არც თუ ისე იშვიათად დასმულ კითხვას თუ რას წარმოადგენდა ევროპული სამართალი XII საუკუნემდე, ცალსახა პასუხს მივიღებდით: „რომის იმპერიამ ბრწყინვალე ცივილიზაცია იგემა და რომის გენმა შექმნა მსოფლიოში უპრეცედენტო სისტემა“[4]. „რომის სამართალმა თავისი განვითარების გზაზე ყველა წინააღმდეგობა დაძლია და ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა თანამედროვე მსოფლიოში –აი, რა არის ჩემთვის მთავარი“[5].

საიდან მოდის ტერმინი „სამოქალაქო“? შევნიშნავთ, რომ სამოქალაქო სამართლის ტერმინს „მოქალაქესთან“არავითარი კავშირი არ ჰქონდა, პირიქით იგი გულგრილი იყო და დღემდე ასე რჩება ყოველგვარი მოქალაქეობისადმი და პირის კუთვნილებისადმი ამა თუ იმ პოლიტიკური მიმდინარეობისა.

შუა საუკუნეებში „სამოქალაქო სამართალი“ ეწოდებოდა საერთოდ რომაულ სამართალს და მას უპირისპირებდნენ ე. წ. კანონიკურ სამართალს (საკლესიო ნორმებს). ამ დროს ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობამ რომის სამართლიდან გადმოიღო კერძო სამართლის ნორმების დიდი რაოდენობა (ნორმები, რომლებიც არეგულირებენ კერძო პირთა ურთიერთობებს). ამასთან დაკავშირებით, შეიცვალა თვით ტერმინის „სამოქალაქო სამართალი“ შინაარსიც. იგი უკვე გადაიქცა „კერძო სამართლად“ და დაუპირისპირდა ტერმინს – საჯარო სამართალი“[6].

„თანამედროვე **საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლი** კარგად ეხმიანება ჯერ კიდევ ძველი რომის სამართლის ზემოთ აღნიშნულ პრინციპს პირველი ნაწილით: **„სამოქალაქო უფლებათა განხორციე-**

4. რ.დავიდი, „თანამედროვეობის საერთაშორისო სამართლებრივი სისტემები“, თბილისი, 1993, გვ. 41.
5 .რ. დავიდი, დასახ. ნაშრ. გვ. 47-48
6. ა. კობახიძე, სამოქალაქო სამართალი, თბილისი, 2001, გვ. 3.

ლება არ არის დამოკიდებული პოლიტიკურ უფლებებზე, რომლებიც განისაზღვრება კონსტიტუციით ან საჯარო სამართლის სხვა კანონებით". სამოქალაქო კანონმდებლობის მთავარი განმსაზღვრელი მიზანი მისი სუბიექტების (ფიზიკური, იურიდიული პირები) „კერძო ცხოვრების" დალაგება და მოწესრიგებაა.

ერთგვარი დაშორი'შორება გამოიწვია ცნებებმა „სამოქალაქო" და „კერძო" სამართალი, რომელიც თავდაპირველად იდენტურ ცნებებად გვევლინებოდა, რამეთუ კერძო სამართლის ცალკეული დარგების წარმოშობამ (საკორპორაციო, სავაჭრო, ინტელექტუალური, შრომის, ფასიანი ქაღალდების და ა.შ.) გამოიწვია სამოქალაქო სამართლის და კერძო სამართლის სხვა დარგების რეგულირების სფეროს განსხვავებული დეფინირება.

საკანონმდებლო ენაში **„სამოქალაქო სამართალი" მე-18 საუკუნის შუა ნახევრიდან** შემოდის, თუმცა ეს სახელწოდება სამართალმცოდნეობის ენაში საუკუნეების მანძილზე არსებობდა. სიტყვა **„სამოქალაქო"** კანონის სათაურად ავსტრიელ კანონშემოქმედთა დამსახურებაა და იგი დაკავშირებულია **1797 წელს** დასავლეთ გალიციაში, იუსტიციის პრეზიდენტის ფონ მარტინის მიერ მომზადებულ სასინჯ პროექტთან სათაურით „დასავლეთ გალიციის სამოქალაქო კანონთა წიგნი"[7].

მსოფლიოს ყველა ქვეყანა, რომელთაც პირთა კერძო ურთიერთობათა მომწესრიგებელი ერთიანი კოდიფიცირებული აქტები გააჩნდათ, ამ აქტებს **„სამოქალაქო კოდექსს"** უწოდებდნენ.

პირველი კოდიფიცირებული სამოქალაქო კანონმდებლობა ფრანგების სახელს, კერძოდ ნაპოლეონ ბონაპარტს უკავშირდება, რომლის უშუალო ხელმძღვანელობითა და ინიციატივით მომზადდა და **1804 წელს** გამოიცა საფრან-

7. ლ. ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000, გვ. 6.

გ;ეთის სამოქალაქო კოდექსი, რომელსაც თავად დიდი იმპ;ერატორი განსაკუთრებულ მისიას აკისრებდა. თავისუფალი საზოგადოებისათვის შექმნილი კოდექსი რევოლუციის შემდეგ ეყრდნობოდა ყველა მოქალაქის თავისუფლებისა და თანასწორობის იდეებს (განსაკუთრებით საკუთრების უფლებას და სახელშეკრულებო სამართალს).

საჭირო იყო თუ არა გერმანიისათვის ერთიანი სამოქალაქო კოდექსი?—აი, დისკუსიის თემა, რომელსაც ორი გერმანელი გიგანტი იურისტი **ტიბო და სავინი** მართავდნენ. ეს დისკუსია შემდეგ მოინათლა როგორც **„გიგანტების ბრძოლა გიგანტური თემის გამო გერმანული სამართლის ისტორიაში“.** გიგანტთა დისკუსიაში გამარჯვებული სავინი გამოვიდა, რომელიც იმხანად ერთიანი სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციის წინააღმდეგი იყო, განსხვავებით ტიბოსაგან, რომელიც ამტკიცებდა, რომ „ყველა გერმანელს საერთო, გერმანული კანონთა წიგნი ჰქონოდათ“. გაიმარჯვა სავინის მტკიცებამ იმის შესახებ, რომ შეუძლებელი იყო სამართალი ერთ პატარა კოდიფიცირებულ წიგნში მოექციათ. იგი აშკარა წინააღმდეგი იყო ყოველგვარი კოდიფიკაციისა და ხოტბას ასხამდა რომის სამართალს, რომელიც „ნათელი ცნებებითა და სიმარტივით, როგორც **„სამართლის მათემატიკა“** მისთვის სამოქალაქო სამართლის სრულყოფის იდეალი იყო. ერთიანი სამოქალაქო კოდექსი გერმანიაში მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც ბისმარკმა მე-19 საუკუნის 70-იან წლებში საფუძველი ჩაუყარა გერმანელი ერის პოლიტიკურ ერთიანობას. მატერიალური კერძო სამართლის კოდიფიკაცია 1896 წელს დასრულდა და გერმანიაში ძალაში შევიდა 1900 წლის 1 იანვრიდან, თუმცა უფრო ადრე, 1861 წელს გერმანიაში მიღებულ იქნა სავაჭრო კოდექსი.

„საქართველო მუდამ აღმოსავლურ-დასავლური კულტურული გავლენას განიცდიდა თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო. იგი ამ კულტურების განუყოფელ ნა-

წილს წარმოადგენდა[8]. „ჩვენში დაწინაურებული ჩანს რეცეპციის ხელოვნება. ეს იმაში გამოიხატება, რომ ადგილი არა აქვს უცხო სამართლის სარკისებრ რეცეპციას. მათი თარგმანი შემოქმედებითი საქმიანობაა და არ შეიძლება იგი გაიგივებულ იქნეს ნაწარმოების თარგმნის თანამედროვე გაგებასთან, ასე იყო არა მარტო სამართლის წიგნების თარგმნისას, არამედ წმინდა ლიტერატურული ნაწარმოებების გადმოქართულების შემთხვევაშიც. ძველი ქართული საეკლესიო მწერლობა ამისი შესანიშნავი მაგალითია"[9].

საქართველოში რომ სამართალშემოქმედება სერიოზული სამე ყოფილა, ამაზე მეტყველებს სწავლულ კაცთა კომისიის მუშაობა, ვახტანგ მეექვსის სამართალშემოქმედებითი მოღვაწეობა, რომელიც დაგვირგვინდა ბრწყინვალე „საკოდიფიკაციო კრებული"-ით, რომელშიც მან „თავი მოუყარა უცხო და ქართული სამართლის ძეგლებს და ამით პირველმა განაცხადა, რომ ქართული სამართალი ესაა ეროვნულისა და სამართლის საერთო სულის სინთეზირებული პროდუქტი"[10].

საქართველოს ისტორიული, მძიმე პოლიტიკური სიტუაციის გამო კოდიფიკაციების „ორომტრიალში" მონაწილეობა არ მიუღია, ფაქტიურად სამოცდაათწლიანი რუსული რეჟიმის ბატონობის პერიოდში საქართველოში მოქმედებდა სამოქალაქო კოდექსი, მაგრამ სამწუხაროდ იგი რუსული სამოქალაქო კანონმდებლობის კოპირებას წარმოადგენდა.

მხოლოდ 90-იანი წლების ბოლოს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში არსობრივმა ცვლილებებმა სასიკეთო შედეგი მოუტანა ქვეყანას. ეპოქის შესაფერი, ქვეყნისათვის მისაღები, თავისუფალ საზოგადოებაზე დაფუძ-

8 ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, 2005, გვ. 5-6

9 .ბ. ზოიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 7-8.

10. ბ. ზოიძე, დასახ ნაშრ; გვ. 25.

ნებული, „პატივმოყვარე“ სამოქალაქო კოდექსის მიღებით **1997 წლის 26 ივნისს**, რომელიც დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს პირველი დამოუკიდებელი, პირთა თანასწორობაზე დამყარებული სამოქალაქო კანონმდებლობა იყო, მოაწესრიგა პირთა თანასწორობაზე დაფუძნებული კერძო ხასიათის ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობები. თანამედროვე, საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებულმა სამოქალაქო კანონმდებლობამ აშკარად წარმოაჩინა არა მარტო გლობალურ სამოქალაქო ცივილურ ცხოვრებაში ჩართვის აუცილებლობა, არამედ გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციის აუცილებლობაც[11]. მან ახალი ფურცელი გადაუშალა საქართველოს მოქალაქეებს თავისუფალი განვითარებისა, ნდობაზე და კეთილსინდისიერებაზე დაფუძნებული ურთიერთობებისა, კანონის წინაშე ყველას თანასწორობისა. მან ადამიანები განაწყო არა მარტო საკუთარი, არამედ სხვისი უფლებებისადმი პატივისცემის გრძნობით. მან ყველა ადამიანს ჩააგონა ის მნიშვნელოვანი ჭეშმარიტება, რომ **სიცოცხლის არსი უფლებისათვის ბრძოლაშია. რუდოლფ ფონ იერინგის ხატოვანი გამოთქმით: „უფლებისათვის ბრძოლა პოეზიაა ხასიათისა“.** სიტყვები რომ **უფლება ვალდებულებასაც ნიშნავს, იგი მბოჭავიცაა,** გვიქადაგებს, რომ ჩვენს მიერ განხორციელებული სამოქალაქო-სამართლებრივი ქმედებანი ზნეობრივი უნდა იყოს, თითქოსდა განმტკიცებულია 1789 წლის დეკლარაციის პრინციპი, რომ **„რაც შენ არ გსურს რომ გაგიკეთონ, იმას ნუ გაუკეთებ სხვას“,** რომ **„კანონი თავისუფლების დაცვაც არის და მისი შეზღუდვაც“.**

„სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს კერძო ავტონომიის პრინციპს. **„კერძო ავტონომია ეწოდება** კონკრეტულ

11 იხ. რ. კნიპერი, კოდიფიკაციის მეთოდები და კონცეფციები გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოებში (საქართველოს მდგომარეობის გათვალისწინებით), გვ. 176-191; წიგნიდან „სამართლის რეფორმა საქართველოში (Rechtsreform in Georgien), თბილისი, 1994 გვ. 179

პირთათვის სამართლით მინიჭებულ და უზრუნველყოფილ შესაძლებლობას, ერთმანეთს შორის ურთიერთობა განსაზღვრული ფარგლების შიგნით მოაწესრიგონ გარიგებების, განსაკუთრებით ხელშეკრულებების მეშვეობით“[12]. კერძო ავტონომია, სამოქალაქო კოდექსის მონაწილე პირთათვის სამართლით მინიჭებული უფლებები, ასევე თვითპასუხისმგებლობასაც გულისხმობს, იგი საზოგადოების ყოველმხრივი წინსვლის გარანტიცაა. სამოქალაქო კოდექსმა სამოქალაქო ბრუნვის საშუალო ადამიანი წამოსწია წინა პლანზე, რომელიც უნარიანია მისი შესაძლებლობების ადეკვატური პასუხისმგებლობა იკისროს. მან სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტურ პრინციპად არა ყველა ბრუნვის კეთილსინდისიერება, არამედ კეთილსინდისიერი ბრუნვა წამოსწია წინა პლანზე, „კეთილსინდისიერება,“ არა როგორც გარეგანი მოვალეობა, არამედ შინაგანი მოთხოვნილება სუბიექტისა“.... კეთილსინდისიერება სუბიექტის თვისებას წარმოადგენს და მისი „მე“-ს იმანენტური ნაწილია“[13]. ამ დებულებას განამტკიცებს კიდეც სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებისაგან თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების კეთილსინდისიერად განხორციელებას მოითხოვენ.

12. წიგნიდან რ. შენგელია, სამართლის პრობლემები, საიუბილეო კრებული, ე. ჩაჩანიძე, „სახელმწიფო და კერძო-სამართლებრივი ურთიერთობები“, გვ. 248

13.ბ. ზოიძე. სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა“, უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში, ესეები, თსუ, 2013, ესე-დან „სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლება და სახელმწიფოებრივი მართლშეგნება“.

§ 2. სამოქალაქო სამართლის ცნება და მოქმედების არეალი

§2.1. კერძო და საჯარო სამართლის ცნება, მათი მიმართება და გამიჯვნა

ზოგადად სამართალი ორ ნაწილად იყოფა – **კერძო და საჯარო სამართალი. კერძო სამართალი** სამართლის ის ნაწილია, რომელიც კერძო პირთა შორის წარმოშობილ ურთიერთობებს რომ აწესრიგებს და ნების ავტონომიითა და სახელშეკრულებო თვითშებოჭვით ხასიათდება, ხოლო **საჯარო სამართალი** სახელმწიფოსათვის დაწერილი სამართალია, რომლის საფუძველზეც სახელმწიფო და მისი ინსტიტუტები დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებენ. პირველის მაგალითად მოვიყვანთ ნასყიდობის, ქირაუნობის, იჯარის, ნარდობის, სესხის, ლიზინგის, ფრენშაიზინგის, ფაქტორინგის და ა. შ. ხელშეკრულებებს, რომლებიც მის მონაწილე სუბიექტებს სრული ავტონომიით აღჭურავენ დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ მისი შინარსი (მხარეთა უფლებები და მოვალეობები), ხოლო მეორე შემთხვევის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სახელმწიფოს მიერ ლიცენზიების გაცემა გარკვეული სამეწარმეო საქმიანობის დაწყებაზე (მაგალითად თავისუფალი ინდუსტრიული ზონების საქმიანობის დაწყებაზე, ან კიდევ სამშენებლო ნებართვები და სხვ.). კერძო სამართალში ჰორიზონტალური ურთიერთობაა მისი მონაწილე პირებისა და ისინი თანასწორი უფლება-ვალდებულებებით არიან აღჭურვილნი, ხოლო საჯარო სამართალი ვერტიკალური დაქვემდებარების სამართალია, სადაც სახელმწიფოს ნებისმიერი ინსტიტუტის ადმინისტრაციული აქტის შესრულება სავალდებულოა იმ პირთათვის, რომელთაც ეს ეხებაც.

„ზემოთ აღნიშნული განსხვავება კერძო და საჯარო საჯარო სამართალს შორის, მართალია, უმნიშვნელოვანესია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კერძო სამართალში არ

არსებობს **სუბორდინაციული ურთიერთობა,** მაგალითად საკორპორაციო სამართალში ურთიერთობა კორპორაციის პარტნიორებსა და მართვის ორგანოებს შორის ანდა საოჯახო სამართალში ურთიერთობა შვილებსა და მშობლებს შორის და ა.შ. **საჯარო სამართალშიც გვხვდება თანასწორუფლებიანობის საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობები. მაგალითად, საერთაშორისო ხელშეკრულებები და მოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის ანდა ხელშეკრულებები ცალკეულ სამინისტროებსა თუ რეგიონებს შორის"[14].**

მართალია, სამართლის დაყოფა კერძო და საჯარო სამართლად კონტინენტური ევროპის სამართლის მნიშვნელოვან მონაპოერად ითვლება (ამგვარ დაყოფას არ იცნობს საერთო სამართლის, ე.ი. ინგლისურ-ამერიკული სამართლის სისტემა...), ის პოზიტიურ-სამართლებრივ ინსტიტუტს (პოზიტიური სამართლებრივი ნიშნავს სამართლით, კანონით დადგენილ ქცევის წესებს) არ წარმოადგენს და უფრო მეცნიერულ კატეგორიად მიიჩნევა[15].

სამოქალაქო სამართალი პირთა თანაწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს აწესრიგებს. სამოქალაქო სამართალი კერძო სამართლის ნაწილია, რომელსაც კერძო სამართლად აღიარებენ სპეციალური სამართლის მიმართ. კერძო სამართლის სპეციალურ დარგებს კი მიეკუთვნება: ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, სამეწარმეო სამართალი, შრომის სამართალი, საბანკო სამართალი, ფასიანი ქაღალდების სამართალი და სხვ; ხოლო საჯარო სამართლის სისტემას, რომელიც სახელმწიფო ორგანოთა მიერ საჯარო ხელისუფლების აღსრულების პროცესში წარმოშობილ ურთიერთობათა მარეგულირებელი სამართლის ნორმათა ერთობლიობაა - განეკუთვნება სამართლის

14. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, გვ. 2-3

15 . ლ. ჭანტურია, დასახ. ნაშრ; გვ. 3

იშვეთი დარგები, როგორიცაა: კონსტიტუციური სამართალი, საგადასახადო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, საპროცესო სამართალი და სხვ.

კერძო და საჯარო სამართლის გამიჯვნა. კერძო და საჯარო სამართალი ერთმანეთისაგან იზოლირებული როდი არიან. ისინი ერთმანეთთან გარკვეულად არიან დამოკიდებული და ხშირად ერთმანეთს განაპირობებენ. „კერძო და საჯარო სამართლის გამიჯვნის საკითხი არ არის მხოლოდ თეორიული მნიშვნელობის, მას მრავალი განსხვავებული სამართლებრივი შედეგი უკავშირდება, განსაკუთრებით საპროცესო სამართალში საქმეთა განსჯადობის გადაწყვეტისას. გამიჯვნის პრაქტიკული მნიშვნელობა, უწინარეს ყოვლისა, ორ საკითხში ვლინდება: ა) რომელი სამართლის ნორმა უნდა იქნეს გამოყენებული კონკრეტულ შემთხვევაში; ბ) რომელმა სასამართლომ (სამოქალაქომ თუ ადმინისტრაციულმა) უნდა განიხილოს აღნიშნული დავა“[16].

კერძო და საჯარო სამართლის ურთიერთგამიჯვნის პრობლემამ განსხვავებული თეორიები წარმოშვა, რომელთაგან ყველაზე გავრცელებულია **ინტერესების, სუბორდინაციისა და სუბიექტების თეორია.**

ინტერესების თეორიის მიხედვით გამიჯვნისათვის

---

16 .ლ. ჭანტურია, დასახ. ნაშრ; გვ. 7-8
აქვე შევნიშნავდით, რომ დღევანდელი რთული საბაზრო ურთიერთობების პირობებში სასამართლოთა კომპეტენციის საკითხი რთულდება. მაგრამ ეს დღეს მოწესრიგებულია, კერძოდ 2005 წლის 25 ივნისის ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში შეტანილი ცვლილებებით მიდგომამ განსხვავებული სახე მიიღო, კერძოდ, თუ სახელმწიფო საჯარო ფუნქციებით გამოდის სახელმწიფო ურთიერთობებში, ცხადია სადავო საკითხებს ადმინისტრაციული სასამართლო განიხილავს, ე.ი. განსჯადობის პრობლემის გადაწყვეტისას სადავო სამართლებრივი ურთიერთობებია გადამწყვეტი და არა მხოლოდ ურთიერთობის მონაწილე სუბიექტი (ვთქვათ სახელმწიფო. სახელმწიფო შეიძლება კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილედაც კი გამოვიდეს).

გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თუ ვისი ინტერესები სარგებლობს უპირატესობით სამართლებრივი რეგულირებისას, მაგრამ ამ თეორიის დახასიათებისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ გასათვალისწინებელ ფაქტორზე, რომ კერძო და საჯარო პირებსაც შეუძლიათ ერთმანეთის ინტერესებს ემსახურებოდნენ. ამის თვალსაჩინო მაგალითად შეგვიძლია მოვიტანოთ საჯარო რეესტრის სამსახური, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიული პირია, მაგრამ შექმნილია როგორც კერძო (კერძო პირები უფლებამოსილნი არიან მოძრავი ნივთების შემთხვევაში, ხოლო უძრავი ნივთების შემთხვევაში კი ვალდებულნი არიან მათი მაღალი სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, თავიანთი საკუთრებითი თუ მფლობელობითი უფლებები დაარეგისტრირონ საჯარო რეესტრში), ისე საჯარო პირთა უფლებების დასარეგისტრირებლად (მაგალითად მუნიციპალური საკუთრების მიწების სავალდებულო დარეგისტრირება საჯარო რეესტრში).

ინტერესების თეორიისაგან განსხვავებით, **სუბორდინაციის თეორიის** თანახმად, საჯარო სამართლისათვის დამახასიათებელია ურთიერთდაქვემდებარება ურთიერთობებში,მაშინ როცა კერძო სამართალი თანასწორუფლებიანთა შორის აწესრიგებს ურთიერთობებს. თუმცა აღნიშვნის ღირსია, რომ კერძო სამართალშიც არსებობს ურთიერთდაქვემდებარებული ურთიერთობები (მაგალითად, სამეწარმეო იურიდიული პირის პარტნიორები ვალდებულნი არიან დაექვემდებარონ საზოგადოების წესდებას, რომელიც მათ მიერ ერთხმად არის მიღებული) და პირიქით, – საჯარო თანასწორუფლებანობაზე დამყარებული ურთიერთობები. სამოქალაქო სამართლის ცალკეულ წიგნებშიც გვხვდება ამის საუკეთესო მაგალითები,მაგალითად,არასრულწლოვანების გარკვეული უფლებრივი შეზღუდვები კანონიერი წარმომადგენლების მიერ,მანამ, სანამ არასრულწლოვანები სრული ქმედუნარიანები არ გახდებიან, ან კიდევ სამოქალაქო კოდექსის 170-ემუხლის 1-ლი ნაწილის დებულება იმის შესახებ, რომ მესაკუთრეს შეუძლია ცალმხრივად არ

დაუშვას სხვა პირთა მიერ მისი ქონებით სარგებლობა და სხვა. **სუბორდინაციის თეორია ინტერესების თეორიისაგან** განსხვავებით, გამოიყენება სასამართლო პრაქტიკასა და სამეცნიერო ლიტერატურაში და მას ბევრი მომხრე ჰყავს. სუბორდინაციული თეორიის მნიშვნელოვან ნაკლად მეცნიერებაში თვლიან იმას, რომ იგი საერთოდ იგნორირებას უკეთებს საჯარო-სახელშეკრულებო სამართალს. „თანამედროვე ადმინისტრაციულ სამართალში, განსაკუთრებით კი, მმართველობის ორგანოების პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება ხელშეკრულებები მოქალაქეებთან. ამ დროს შეუძლებელია ცალსახად იმის მტკიცება, ეს ურთიერთობები საჯარო სამართალს მიეკუთვნება თუ – კერძოს. სუბორდინაციის თეორიას მთელი ურთიერთობები სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ურთიერთობამდე დაჰყავს. ამის შედეგად იგი ყურადღების მიღმა ტოვებს მთელ **საორგანიზაციო სამართალს** – ნორმათა ერთობლიობას, რომელიც აწესრიგებს მმართველობის ორგანოების ჩამოყალიბებისა და საქმიანობის პროცესს. უეჭველია, რომ ისინი საჯარო სამართალს განეკუთვნებიან, მაგრამ სუბიექტებს შორის ურთიერთობის ხასიათი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გარკვეული“[17].

სუბიექტების თეორიის მიხედვით სამართლის დაყოფას კერძო და საჯარო სამართლად, საფუძვლად დაედო ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტთა სტატუსი, კონკრეტულად, ის, თუ რა უფლებამოსილება აქვს ურთიერთობათა მონაწილეს. იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთობაში ერთი მხარე გამოდის სახელმწიფოს, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლად, ეს არის საჯარო სამართალი, და პირიქით, - თუ საჯარო ურთიერთობებში გამოდის როგორც კერძო პირი, მაშინ სახეზეა კერძო სამართალი. ავიღოთ

17 .ლ. ჭანტურია, დასახ. ნაშრ; გვ. 11; ორგანიზაციის თეორიის შესახებ იხ. ლ. ბრეგაძის ნაშრომი წიგნიდან: „თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი, 2010, გვ. 9-65; აეტ. ლაშა ბრეგაძე, ორგანიზაციის თეორიის საფუძვლები: სოციოლოგიური მოძღვრება კორპორაციული სისტემების შესახებ.

მაგალითი: მუნიციპალური ორგანო ყიდულობს მიწის ნაკვეთს, ან კიდევ სესხს იღებს, ან კიდევ სახელმწიფო კერძო პირისაგან ყიდულობს საწარმოს და სხვ; აღნიშნული ურთიერთობები კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს მიეკუთვნება და კერძო სამართლად ითვლება, ვინაიდან ჩვენი მაგალითების კონკრეტულ შემთხვევებში არ არის საჯარო ხელისუფლების სუბიექტი.

სუბიექტების თეორიისაგან განვითარდა **სპეციალური სამართლის თეორია,** რომლის მიხედვითაც **საჯარო სამართალი** არის სახელმწიფო ხელისუფლების სპეციალური სამართალი, ხოლო **კერძო სამართალი** – ზოგადი სამართალი ყველასათვის. „სახელმწიფო იყენებს კერძო სამართალს, როგორც ზოგად სამართალს, თუ აუცილებელი არ არის საჯარო სამართლის, როგორც სპეციალური სამართლის გამოყენება; სხვა სიტყვებით: თუ საჯარო სამართალი არ კრძალავს, სახელმწიფოს შეუძლია იყოს მეწარმე და თავისი საქმიანობის უზრუნველსაყოფად გამოიყენოს ზოგადი კერძო სამართალი, ე.ი. იმ შემთხვევებშიც, როცა სახელმწიფო საჯარო ამოცანებს ასრულებს, შეუძლია მას კერძო სამართლებრივი ურთიერთობებისა და ინსტიტუტების გამოყენება, თუ საჯარო სამართალი პირდაპირ არ კრძალავს ამგვარ მოქმედებას. ამ კონცეფციას განამტკიცებს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, „სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან ასევე წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, თუკი ეს ურთიერთობები, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით“[18].

საჯარო სამართალი სახელმწიფოს სპეციალური სამართალია, კერძო სამართალი კი – ზოგადი სამართალი.

---

18. ლ. ჭანტურია, დასახ. ნაშრ; გვ. 13.
ზემოთ აღნიშნული თეორიების შესახებ ასევე იხილეთ, საიტები: http://lawtsu.blogspot.com/212/11/blog-post.html; http://mimomxilveli.wordpress.com/2012/09/10/კონსპექტი-კერძო-და-საჯარ/

§3. სამოქალაქო სამართლის, როგორც კერძო სამართლის დარგის სისტემა

„სისტემა“ ბერძნული წარმოშობის სიტყვაა (ძვ. ბერძნ. **σύστημα** — „შესატყვისობა“) და გარკვეულ წესრიგს ნიშნავს, რომელიც დაფუძნებულია რისამე ნაწილების გეგმაზომიერ განლაგებასა და ურთიერთკავშირზე. იგი ამავე დროს პრინციპების ერთობლიობას ნიშნავს, რომელიც რაიმე მოძღვრების საფუძველს წარმოადგენს“[19]. „სამართლის სისტემა კი ნიშნავს სამართლებრივი ნორმების დალაგებას, გადმოცემას ცალკეული ინსტიტუტების მიხედვით, აგრეთვე თვით ამ ინსტიტუტების დაჯგუფებას ერთმანეთთან დაკავშირებული ნორმების მიხედვით“[20]. სამოქალაქო სამართლის სისტემა გარკვეული მეცნიერული დასაბუთებითაა სისტემატიზებული, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სამართლის ნორმებით დარეგულირებულ ურთიერთობებს, რომლებიც არეგულირებენ სამოქალაქო სამართლის სუბიექტების (სუბიექტებში ფიზიკურ პირებთა ერთად განსასაზღვრია ის ზოგადი, რაც იურიდიულ პირებსაც ეხება) ქცევებს, მათ უფლებებსა და მოვალეობებს, მათ მიმართებას ნივთებთან და ქონებასთან, პირთა ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობებს, საოჯახო-საქორწინო საკითხებს და მემკვიდრეობის მიღებასთან დაკავშირებული სამოქალაქო სამართლებრივ ნორმებს და სხვა, და, ბუნებრივია მეცნიერული მიდგომა მოითხოვს მათ დალაგებას გარკვეული სისტემატიზებული, კლასიფიცირებული ნიშნებით, სადაც ბუნებრივია გათვალისწინებული იქნება „სისტემატიზებული ნორმებით რეგულირებული ურთიერთობების ხასიათი და ბუნება“[21].

19 . http://ka.wikipedia.org/wiki/

20 . გ. თუმანიშვილი, შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, თბილისი, 2012, გვ. 16 http://ochobooks.ge/index.php?run=product/product&id=13388

21 იქვე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სისტემა პანდექტური სამართლის სისტემის შესატყვისია, რომელიც ზოგადი და კერძო ნაწილებისაგან შედგება[22].

„ვინაიდან კოდექსი ერთიანი ნორმატიული სხეულია, ნაწილ-ნაწილ შესაძლებელი უნდა იყოს მისი შედარებით დამოუკიდებელი ინსტიტუტების კოდიფიკაცია"[23]. „ზოგადი ნაწილის ღირსებად ითვლება ის, რომ „ეს ნაწილი თავიდანვე განსაზღვრავს სამართლის მოცემული დარგის მოწესრიგების საგანს და შეიცავს ამოსავალ დებულებებს, რომლებიც გარკვეულწილად კიდეც სცილდება ამ დარგის ფარგლებს, ვინაიდან ზოგადსამართლებრივი მნიშვნელობა აქვთ მათ"[24].

სამოქალაქო კოდექსი ექვსი წიგნისაგან შედგება: სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი (პირველი წიგნი), სანივთო (ქონებრივი სამართალი) (მეორე წიგნი), ვალდებულებითი სამართალი (მესამე წიგნი), ინტელექტუალური საკუთრების სამართალი (წიგნი მეოთხე), საოჯახო სამართალი (წიგნი მეხუთე), მემკვიდრეობითი სამართალი (წიგნი მეექვსე)[25].

---

22 რაც რუსეთის ცივილისტების მიერ სერიოზული განსჯისა და კრიტიკის საგანი გახდა, რამეთუ რუსეთის სამოქალაქო კოდექსი ამ პრინციპზე არ არის აგებული და მას ყოვლისმომცველი კანონის პრეტენზია გააჩნდა და სამართლის თითქმის ყველა დარგის ზოგადი დებულებები მასში იყო თავმოყრილი. საქართველო პირიქით სხვა გზით წავიდა, როცა მოახდინა კოდექსის ზოგადი და კერძო ნაწილების ნაწილების კოდიფიკაცია.

23 ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, 2005, გვ.102.

24 ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, გვ. 117.

25 გერმანიის სამოქალო კოდექსი (BGB) კი ხუთი წიგნისაგან შედგება: ზოგადი ნაწილი (წიგნი I), ვალდებულებითი სამართალი (წიგნი II), სანივთო სამართალი (წიგნი III), საოჯახო სამართალი (წიგნი IV), მემკვიდრეობითი სამართალი (წიგნი V). ინტელექტუალი სამართალი, რომელიც ქართულ სამოქალაქო კოდექსში მეოთხე წიგნად შევიდა, მაგრამ ერთობ „დაჩიხული", სახით, რაც გარკვეულწილად გამოიწვია კანონის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" მიღებამ. გამოდის, რომ მეოთხე წიგნი მხოლოდ სიმბოლური დატვირთვით დარჩა სამოქალაქო კოდექსში, რომელთაც არ ეთანხმება ნაწილი ქართველი ცივილისტებისა.

პირველ წიგნში სამოქალაქო კოდექსისა განიეთებულია სამართლის ამ დარგის ამოსავალი დებულებები და გარკვეულწილად სცილდება კიდეც ამ ფარგლებს და ზოგადსავალდებულო დატვირთვას იძენს არა მარტო სამოქალაქო სამართლის კერძო ნაწილისათვის, არამედ მთელი კერძო სამართლისათვის და სხვა. ხშირად საჯარო სამართლის დარგებისათვის, მაგალითად, რამდენადაც ჩვენ სამოქალაქო სამართალში ნიეთი, როგორც ბრუნვაუნარიანი ქონება გვაინტერესებს როგორც გარიგების საგანი, მას საჯარო სამართალში, მაგალითად, საგადასახადო სამართალში, სახელმწიფო უყურებს როგორც დაბეგვრის ობიექტს {დღგ-ით, აქციზით, ქონების, იმპორტის გადასახადით დაბეგვრის ობიექტს} და როგორც დაბეგვრიდან ამოღებული თანხებით ბიუჯეტის შევსების წყაროს, ანუ მთავრობის მიერ ფისკალური პოლიტიკის განხორციელების ეფექტურ საშუალებას)[26].

ამავე წიგნში საუბარია პირებზე (ფიზიკური და იურიდიული პირები) და მათ სამართალსუბიექტურობაზე, რომელთა ბრუნვაში არსებობას არეგულირებს სამოქალაქო კოდექსი, აქვეა საუბარი სამოქალაქო ბრუნვის მთავარ წყაროზე, გარიგებებზე, რომელთა მეშვეობითაც პირები ერთმანეთთან ურთიერთობენ (დებენ გარიგებებს) და აწესრიგებენ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებს. **პანდექტური სამართლის სისტემა** სწორედ ნათლად გამოკვეთავს იმ ფაქტს, რომ ბრუნვის მიზანი მარტოოდენ საკუთრების შეძენა როდია და არც გარიგებაა მხოლოდ და მხოლოდ საკუთრების შეძენის ერთადერთი წყარო. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთობ დავიწროვდებოდა მისი მნიშვნელობა და დანიშნულება. **პანდექტური სამართლის** ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამსახურება იყო იუსტინიანეს

26 . დაწერ. იხ. ია ხარაზი საქართველოს საგადასახადო სამართალი, ნაწილი პირველი, თბილისი 2013, ნაწილი მეორე, თბილისი, 2014.

დიგესტების ახლებური სისტემატიზაცია, რომელმაც კურძო სამართალს შეუქმნა ზოგადი ნაწილი (იგი მოიცავდა სამოქალაქო სამართლის ძირითად მოძღვრებებს) და ცალკეული ინსტიტუტები, როგორიცაა სანიუთო სამართალი, ვალდებულებითი სამართალი, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი. სამოქალაქო სამართლის ის სისტემა, რომელიც პანდექტურმა სამართალმა შეიმუშავა, საფუძვლად დაედო გერმანიის სამოქალაქო კოდექსს. მხოლოდ სანიეთო და ვალდებულებითი სამართლის ადგილები იყო ურთიერთჩანაცვლებული. პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში მოქმედ სამოქალაქო კოდექსებსაც საფუძვლად ედო სამოქალაქო სამართლის პანდექტური სისტემა.

პირველ წიგნში ასევე საუბარია უფლების განხორციელებასა და ვადებზე. სამოქალაქო ბრუნვის მონაწილენი ვალდებულნი არიან თავიანთი უფლებები განახორციელონ მართლზომიერად, სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილიც ხომ ამისკენ მიუთითებს ბრუნვის მონაწილეებს. სამოქალაქო სამართალი არ იცნობს უფლების იძულების წესით განხორციელებას, მაგრამ თუ „მოძალადე" სხვა პიროვნების საუფლებო სფეროში უხეშად შეიჭრება, მაშინ დაზარალებულს შეუძლია მიმართოს თვითდახმარებას, **„უფლებისათვის ბრძოლა ხომ პოეზიაა ხასიათისა" ასე გვმოძღვრავს დიდი რუდოლფ ფონ იერინგი** და ავითარებს აზრს იმის შესახებ, რომ „უფლებაშელახულს შეუძლია თავადვე იშიშველოს ხმალი და განგმიროს ყველა, ვინც კი მის ქონებრივ ღირსებას შებღალავს"[27], მაგრამ აქვე გვაფრთხილებს კანონი, თვითდახმარების ფარგლებს არ უნდა ავსცდეთ, თორემ ჩვენ გვემუქრებიან სამოქალაქო კოდექსის იმპერატიული ნორმები ზიანის ანაზღაურების შესახებ.

ხანდაზმულობის ვადები ატყობინებს ბრუნვის მონაწილეს, თუ რა ვადებშია შესაძლებელი მისი სამო-

27. რუდოლფ ფონ იერინგი, ბრძოლა უფლებისათვის, თბილისი, 2008

ქალაქო უფლების რეალიზება, რადგან „დრო არა მარტო წარმოშობს უფლებას, არამედ სპობს კიდეც მას“ (იერინგი).

მრავალი თავისებურებებით ხასიათდება **სანივთო (ქონებრივი) სამართალი** (მეორე წიგნი სამოქალაქო კოდექსისა[28]), რომელიც სამოქალაქო კოდექსის განუყოფელი ძირითადი ნაწილია, რომლის სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტია ნივთი მატერიალური გაგებით. „ქონება არის სიკეთე, რომელზეც მიმართულია სუბიექტის მოქმედების თავისუფლება. ეს ცნება მოიცავს ყველა სიკეთეს, რომლის მიმართაც მოქმედებს კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებები. მის სინონიმად კი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცნება: კერძო სამართლის („კერძოსამართლებრივი ურთიერთობის“) ობიექტი“[29]. სანივთო უფლება **აბსოლუტური უფლებაა,** რომლის უფლების მატარებლის წინაშე ვალდებულია ყველა პირი, განსხვავებით ვალდებულებით სამართალში—**ფარდობითი (რელატიური)** ურთიერთობებისა, როცა კონკრეტული სუბიექტების

28. განსხვავებით BGB-საგან, რომელშიც სანივთო სამართალი, როგორც ზემოთაც აღნიშნეთ მესამე წიგნადაა წარმოდგენილი, მეორე წიგნს კი ვალდებულებითი სამართალი ქმნის, რაც იმაზე მიუთითებს რომ გერმანულ დოგმატიკაში საკუთრების მოძრაობის ფორმას განსაკუთრებული ადგილი უკავია, რაშიც ასევე ნაწილობრივ ვლინდება საკუთრების პოზიტიური შინაარსიც. ქართული სამოქალაქო კანონმდებლობა ამ გზით არ წასულა, დოქტრინის აზრით არ შეიძლება ვალდებულებითი უფლება წინ უსწრებდეს სანივთო უფლებას, რამეთუ სანივთო უფლების შეგნება გაცილებით განვითარებულია ადამიანში. მიგვაჩნია, რომ საკუთრების შეძენის პირველადი წყარო ხელშეკრულება არ უნდა იყოს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ლოგიკურია, – პირების ცნებას ხომ ქონება უნდა მოსდევდეს. დამატ. იხ. ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, 2005, გვ. 118

29. დაწერ. კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტის ცნების შესახებ იხ. „საქართველოს რესპუბლიკის მომავალი სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები“, ს. ჯორბენაძე, თბილისი, 1994, გვ. 149.

უფლება-მოვალეობებსაა საუბარი. სანიეთო უფლებები **„numerus klausas“**პრინციპითაა ცნობილი, ე. ი. სანიეთო უფლებათა წრე მკვეთრად შემოსაზღვრულია და კანონითაა აღიარებული: **საკუთრება, აღნაგობა, სერვიტუტი, უზუფრუქტი, გირავნობა და იპოთეკა.** გამოდის, რომ სანიეთო უფლების შინაარსი ძირითადად კანონის ნორმატიული ნებით განისაზღვრება. **სავინდიკაციო და ნეგატორული სარჩელებით** იცავენ სანიეთო სამართალში პირები თავიანთი საკუთრების უფლების დაცვას (განსხვავებით ვალდებულებით სამართალში–დელიქტური სარჩელებისა).

სამოქალაქო კოდექსი კერძო საკუთრებას სამოქალაქო საზოგადოების საფუძველთა საფუძლად მიიჩნევს და გამოკვეთს კიდეც **170-ე მუხლში,** რომ **„მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას“.**

საკუთრება ხელშეუხებელია. ამ იდეას ამტკიცებს სწორედ **170-ე მუხლით** სამოქალაქო კანონმდებლობა, მაგრამ თავისუფლება არ შეიძლება იყოს უსამანო. იქ, სადაც ჩვენი უფლებების საზღვარი მთავრდება, სხვისი უფლებების ზეიმი იწყება და ჩვენი მოვალეობების შესრულებას გვთხოვს კანონი, წინააღმდეგ შემთხვევაში თითქოსდა გვემუქრება სამოქალაქო კოდექსის **394-399, 408-415, 416-420** და **სხვა მუხლები,** რომლებიც ზიანის **„პირის გატეხვისათვის“, „ვალდებულების შეუსრულებლობისათვის“**ანაზღაურებას გვთხოვენ.

ვალდებულებითი სამართალი სამოქალაქო კოდექსის მესამე, ყველაზე დიდი წიგნია, რომელიც თავად შედგე-

ბა ზოგადი და კერძო ნაწილებისაგან. **ზოგადი ნაწილი** გვამცნობს ვალდებულებითი სამართლის ზოგად დებულებებს, რომლებიც საერთოა ვალდებულებითი სამართლის მთელი კერძო ნაწილისათვის. კერძოდ, ვალდებულების არსს, ხელშეკრულების ცნებას და მისი დადების წესს, ხელშეკრულებიდან გასვლასა და ხელშეკრულების შეწყვეტას, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისას, პირთა აქტიურ და პასიურ სიმრავლეს ვალდებულებაში და სხვა.

ტიპიური და ატიპიური ხელშეკრულებები, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი, საბანკო მომსახურება და ფასიანი ქაღალდების ბრუნვიდან წარმოშობილი ვალდებულებანი დელიქტური ვალდებულებანი – აი, სამოქალაქო კოდექსის მესამე წიგნის კერძო ნაწილის რეგულირების სფერო.

თავიდანვე, სამოქალაქო კოდექსზე მუშაობისას განსაზღვრული იყო ინტელექტუალური საკუთრების ინსტიტუტის განლაგება სამოქალაქო კოდექსის მეოთხე წიგნში, რაც გერმანელი სპეციალისტების მოწონებასაც იწვევდა, მაგრამ საბოლოოდ **1999 წლის კანონით „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“,** - ინტელექტუალური სამართალი კერძო სამართლის გამოყოფილ დარგად ჩამოყალიბდა სამოქალაქო კოდექსისაგან. სამოქალაქო კოდექსში კი დარჩა ინტელექტუალური საკუთრების სამართლის მხოლოდ **მ. 1017-საავტორო სამართლის ცნება და კარი მეორე - სამრეწველო საკუთრება (სსკ მ.1100-1105).** აღვნიშნავთ, რომ ორივე მათგანის სამართლებრივი რეგულირება ხდება აგრეთვე ცალკე კანონებით, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, კანონით „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, კანონით „პატენტის შესახებ“ და სხვა სპეციალური კანონები არეგულირებენ და ავსებენ ამ სფეროს.

ქორწინება, განქორწინება, ქორწინების ბათილობა, ოჯახის წევრთა ქონებრივი ურთიერთუფლება-მოვალეობანი ერთმანეთის მიმართ და სხვა აქტუალური დროის შესაბამისი საოჯახო-სამართლებრივი პრობლემები, – აი, საკითხები, რომელსაც სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნი საოჯახო სამართალი აწესრიგებს. პრინციპი, რომ მხოლოდ სიყვარული, **„მე შენ მიყვარხარ“** არ არის გარანტია მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობების განსაზღვრისათვის და რომ ცივილური გზით სასურველია მეუღლეებმა ერთმანეთს შორის ქონებრივი უფლებები და ვალდებულებები მოაწესრიგონ. სამოქალაქო კანონმდებლობით შემოთავაზებული საქორწინო კონტრაქტი[30] ამის საუკეთესო საშუალებაა და რომლის შეტანაც მეხუთე წიგნში სამოქალაქო სამართლის დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს.

სამკვიდრო ქონების კანონისმიერი და ანდერძისმიერი ფორმები შეგვიძლია სამოქალაქო კოდექსი **მეექვსე წიგნში** მოვიძიოთ. აქვე საუბარია სავალდებულო წილზე, რომელსაც კანონისმიერი მემკვიდრე იღებს, თუ მას ანდერძის შემთხვევაში სამკვიდრო წილი არ შეხვდება; აქვე გავეცნობით საანდერძო დანაკისრს (ლეგატს), მემკვიდრის მემკვიდრის დანიშვნას, ანდერძის აღსრულებას, სამკვიდროს მიღებას და მასზე უარის თქმას, სამკვიდროს დაცვას და სამკვიდრო მოწმობის მიღებას და მემკვიდრეობითი სამართლის სხვა აქტუალურ საკითხებს, რომლებიც ფაქტიურად აგვირგვინებენ სამოქალაქო კოდექსს.

30. საქორწინო კონტრაქტის შესახებ დაწერ. იხ. გ. თუმანიშვილი, „საქორწინო კონტრაქტი“, თბილისი, 2010.

§4. სამოქალაქო სამართლის მეთოდები

ტერმინ **„მეთოდების“** შემოტანა მეცნიერულ მსოფლმხედველობაში ძველ ბერძნებს უკავშირდება და იგი ბუნების მოვლენებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების შემეცნებისა და კვლევის ხერხს გულისხმობს. ბეკონი[31] მეთოდს ადარებდა ფარანს, რომელიც მეცნიერს გზას უნათებს. მეთოდი თავისთავად არის ადამიანის შემოქმედებითი, ინტელექტუალური აზროვნების პროდუქტი, რომელიც უწყვეტადაა დაკავშირებული შესწავლის საგანთან.

საზოგადოებრივი ურთიერთობის უფლებების რეგულაციის დარგობრივი მეთოდი ოთხ მთავარ თვისებაში გამოისახება: 1) რეგულირებული ურთიერთობის მონაწილეების სამართლებრივი მდგომარეობის ხასიათი; 2) მათ შორის სამართლებრივი კავშირის განსაკუთრებული სამართლებრივი კავშირის წარმოშობა; 3) კონფლიქტების წარმოშობის ნებადართულობის სპეციფიკა; 4) უფლებადამრღვევებზე იძულების მოქმედების განსაკუთრებული ზომები.

სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების მეთოდი გულისხმობს ხერხების, ერთობლიობას, წესებსა და საშუალებებს, რომლის მეშვეობითაც სამართლის შესაბამისი დარგი ახდენს მოქმედებას საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, რომლებიც მის საგანს შეადგენენ.

სამოქალაქო უფლების მეთოდისათვის, თუ გავითვალისწინებთ მათი ურთიერთობის რეგულაციის განსაკუთრებულობებს, დამახასიათებელია **ნებადართულობა და უფლებამოსილება,** ე.ი. სამოქალაქო სამართალურთიერთობის სუბიექტებს მიეცეთ შესაძლებლობები – დამოუკიდებლად, სხვადასხვა სამართლებრივი საშუალებების გამოყენებისა საკუთარი სურვილებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

---

31. ბეკონი (1561-1626) ფილოსოფოსი და ინგლისური მატერიალიზმის მამამთავარი იყო.

სამოქალაქო სამართლის რეგულაციის მეთოდისათვის აღნიშნული ნიშან -თვისებები შემდეგნაირად გამოიყურება: **ეკონომიკური დამოუკიდებლობა და ამავე დროს მონაწილეების დამოუკიდებლობა,** რომელიც გარკვეულწილად სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობებით რეგულირდება, ეს ურთიერთობები მყარდება იურიდიული თანასწორობის გზების აღიარებით, რომელიც შეადგენს მთავარ, მაგრამ არა ერთადერთ სამოქალაქო სამართლის მეთოდის დახასიათებას. საუბარია მხოლოდ იურიდიულ და არა ეკონომიკურ (ფაქტიურ) თანასწორობაზე, რომელიც პრაქტიკულად ყოველთვის როდი გვხვდება[32].

თვით იურიდიული თანასწორობა ნიშნავს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის ერთი მონაწილის უფლებას აიძულოს ამ კონკრეტული ურთიერთობის სხვა მონაწილეები შეასრულონ გარკვეული ვალდებულებები ნაკისრი უფლებამოსილი პირის წინაშე (მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 623 -ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი).

უმრავლეს შემთხვევებში სამართლებრივი ურთიერთობის წარმო'შობის საფუძვლად შეთანხმება (ხელშეკრულება მიიჩნევა), ცალმხრივი მოქმედებები კი ხშირ შემთხვევაში იწვევს ხელშეკრულების შეწყვეტას და არა უფლების მოპოვებას (მაგალითად ვალდებულების შეუსრულებლობისას

32. დამატ. იხ. Россиискый гражданский кодекс, Учебник (на русском языке), том I, Москва, 2011; РОССИЙСКОЕ ГРАЖДАНСКОЕ ПРАВО', УЧЕБНИК В 2 томах, Ответственный редактор заслуженный деятель науки РФ, доктор юридических наук, профессор Е.А. СУХАНОВ, Том I Общая часть. Вещное право Наследственное право., Личные неимущественные права, Интеллектуальные права, 2+е издание, стереотипное, москва, 2011, стр, 70-73

კრედიტორი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება მოვალესთან და ა.შ.).

სამოქალაქო სამართალი საზოგადოებრივ ურთიერთობებს არეგულირებს დისპოზიციის საფუძველზე, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეების თანასწორობით და ურთიერთშეფასებით, საკუთრების ხელშეუხებლობით, შეთანხმების თავისუფლებით და ნებისმიერი პირის დაუშვებლობით სხვის პირად საქმეებში ჩარევისაგან.

დისპოზიცია – ნიშნავს იმას, რომ უფლებათა ნორმები არეგულირებს სამოქალაქო ურთიერთობას იმ შემთხვევაში, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული მხარეთა შეთანხმებით (ხელშეკრულებით), და რომლებიც მონაწილეობენ ამ კონკრეტულ სამართალურთიერთობაში. სხვა სიტყვებით, მხარეებს სამოქალაქო სამართალურთიერთობებში შესაძლებლობა ეძლევათ თვითონ განსაზღვრონ თავიანთი ურთიერთობების შინაარსი, რომლებიც დისპოზიციურ მითითებებში გამოიხატება და რომელიც შეიცავს შესაძლებლობას რეგულირებული ურთიერთობის მონაწილეებმა თვითონ აირჩიონ უფრო მათთვის მიზანშეწონილი ქცევის წესი (ვარიანტი). უფრო მეტიც, ისინი თავისუფალნი არიან თავისი შეხედულებით გამოიყენონ ან არ გამოიყენონ მათი ინტერესების დაცვის საშუალებები, ე. ი. სამოქალაქო სამართლით მინიჭებული უფლებები და მოვალეობები. ამით განისაზღვრება უმეტესად სამოქალაქო სამართალურთიერთობის საინიციატივო ხასიათი[33].

33. შევნიშნავთ, რომ ქართულ სამოქალაქო სამართალში დისპოზიციური ნორმების დეფინიციას, ან ტერმინს „დისპოზიციურ ნორმები" ვერ ვხვდებით განსხვავებით გერმანული სამოქალაქო კოდექსისაგან (მაგალითად, §40 „დისპოზიციური ნორმები", სადაც გაწერილია, რომ: „§26 მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების, §27 1-ლი და მე-3 ნაწილების, §28, 31{ა} 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადება, ასევე §32, 33 და 38 ნორმები არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, რომლებშიც წესდება სხვაგვარად ადგენს" და სხვ.

ქონებრივი (სამოქალაქო) ბრუნვის საჭირო შედეგების მიღება მონაწილეების მიერ დაიკმაყოფილონ ესა თუ ის მოთხოვნილება, დამოკიდებულია ინიციატივაზე და მხარეთა შესაძლებლობაზე, სწორი მიმართულება (ორგანიზაცია) მისცეს თავის ურთიერთობას და არ გამორიცხავს და ვარაუდობს ნაცნობ ქონებრივ რისკზე. სწორედ რომ სამოქალაქო სამართლის სფეროს ეკუთვნის ძველი იურიდიული სიბრძნე: **„სამართალი მხარს უჭერს ვინც ფხიზლობს და არა მძინარეს“.**

ეკონომიკური დამოუკიდებლობა და მონაწილეების თანასწორობა ასევე გულისხმობს იმასაც, რომ სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს (სუბიექტებს) შეუძლიათ მათ შორის არსებული დავები გადაჭრან მხოლოდ მათგან დამოუკიდებელი ორგანოების მეშვეობით (ქონებრივი, პირადი ან სხვა კერძო ურთიერთობები). აქედან – სამოქალაქო უფლებების დაცვის და მხარეთა შორის კონფლიქტების წარმოშობის (სამოქალაქო დავებისას) განხილვის სასამართლო წესრიგი, განხორციელებული საერთო იურისდიქციის სახელმწიფო სასამართლოებით ან საარბიტრაჟო სასამართლოებით, ასევე ალტერნატიული სასამართლო მედიაციით დადგენილია კანონით. თუნდაც კანონი ითვალისწინებდეს რომელიმე სამოქალაქო დავის განხილვას ადმინისტრაციული წესით, ამ სახით მიღებული გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში (მაგალითად, ადმინისტრაციული საგანცხადებო წარმოება, საგადასახადო დავები და სხვა).

ურთიერთობების დიდი ნაწილი, რომელიც სამოქალაქო სამართლით რეგულირდება და შეადგენენ ქონებრიე ურთიერთობებს, ასევე სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის ზომები, ასევე ქონებრიეი ხასიათისაა. იგი მოიცავს დაზარალებულის ქონებრივი დანაკარგის ანაზღაურების

მოთხოვნის უფლებას ზიანის მიმყენებლისაგან, ასევე „საჯარიმო პირგასამტეხლოს“ მოთხოვნის უფლებას, თუ ეს ხელშეკრულებითაა განსაზღვრული, ან კიდევ დანაკარგის ქონებრივი სახით ანაზღაურებას თუკი ეს შესაძლებელია, განსაკუთრებით გვაროვნული ნივთის შემთხვევაში (სამოქალაქო კოდექსის 382-ე მუხლის შემთხვევაში „თუ შესრულების საგანია ნივთი, რომლის შეცვლაც შეიძლება (გვაროვნული ნივთი), მოვალემ ვალდებულება ყოველთვის უნდა შეასრულოს“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პასუხისმგებლობას სამოქალაქო სამართალში აქვს საკომპენსაციო ხასიათი, რომელიც შეესაბამება **ეკვივალენტობის პრინციპს (ანაზღაურებადობას),** მოქმედი ღირებულების ფარგლებში, ქონებრივ-ფულად ურთიერთობებში. მორალური ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო სამართლის მიხედვით ასევე ხორციელდება ფულადი(ქონებრივი) ფორმით (მ.18, მ.413 და სხვ.).

სამოქალაქო სამართალურთიერთობის მხარეები უზრუნველყოფილი არიან თავისუფლად გამოთქვან თავისი მოსაზრებები საკუთარი უფლებების და მოვალეობების განსაზღვრისას. შემზღუდველი (იმპერატიული, აუცილებელი) ნორმებით მოწესრიგებული ურთიერთობები უმნიშვნელოა სამოქალაქო სამართალურთობებში და ისიც კოდექსითაა დადგენილი, მათ შორის გეხვდება ასევე ამკრძალავი ნორმები საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად და სხვა.

§5. სამოქალაქო სამართლის ფუნქციები

„იურიდიულ ლიტერატურაში ფუნქციის კვლევის ძირითად ამოსავალ მეთოდოლოგიურ პრინციპად მიჩნეულია დებულება, რომლის მიხედვითაც ზოგადად **„სამართლის ფუნქციის“ ცნება უწ. ყოვლისა ასახავს სამართლის მოქმედებას და განხორციელებას.** სამართლის მოქმედება-განხორციელება, როგორც ცნობილია მდგომარეობს საზოგადოებრივ ურთიერთობებზე მის ზემოქმედებაში. ზოგადად სამართლის ფუნქციის ცნება ჩამოყალიბდა „როგორც სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლის ზემოქმედების ძირითადი მიმართულებები, რომლებიც სამართლის შინაგანი სპეციფიკური სიღრმითაა განსახილველი“[34]. პროფ. ო. გამყრელიძეს მიაჩნია, რომ „ყოველი მეცნიერება, თუ ის მეცნიერების დამოუკიდებელი დარგია, უნდა სწავლობდეს სხვა მეცნიერებისაგან დამოუკიდებელ სპეციფიკურ სფეროს, სპეციფიკურ კანონზომიერებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მარტო ერთი მეცნიერება იარსებებდა და მეცნიერების სხვა დარგების შექმნა საჭირო აღარ იქნებოდა“[35]. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მეცნიერების ერთი დარგი არ იყენებდეს და არ ეყრდნობოდეს მეორე მეცნიერების განსაზღვრას, დეფინიციებსა და დებულებებს, რაც ფუნქციების განხორციელების სფეროში ვლინდება.

სამოქალაქო სამართალი, როგორც ერთიანი სამართლებრივი სისტემის შემადგენელი ნაწილი (ელემენტი) ფლობს მისთვის დამახასიათებელ, ამ სამართლებრივ სისტემაში განსაკუთრებულ ფუნქციებს (ამოცანებს). სამო-

34. დაწერ.იხ. ჯ. ხეცურიანი,სამოქალაქო სამართლის ფუნქციები“, თბილისი, 1995.

35. იხ. ირ. სურგულაძე, ხელისუფლება და სამართალი, ო. გამყრელიძის წინასიტყვაობით. თბილისი, 2002, გვ. 16.

ქალაქო სამართლის ძირითადი ფუნქციებია **რეგულაციური** და **დამცავი**.

სამოქალაქო სამართლებრივი რეგულაციის თავისებურებებს წარმოადგენს მასში რეგულაციური ამოცანების სიჭარბე (შედარებითი, მაგალითად, შესრულებული სისხლის სამართლის ფუნქციებთან მსგავსებით).

სამოქალაქო სამართლის როლი განსაკუთრებით შეიცავს ნორმალური ეკონომიკური ურთიერთობების რეგულაციას, დაგროვილს საზოგადოებაში. სხვაგვარად, მას აქვს საქმე არა იმდენად უფლებადარღვევასთან, რამდენადაც ჩვეულებრივი ქონებრივი (და არაქონებრივი) ურთიერთობების ორგანიზაციასთან. ამიტომ იგი შეიცავს აუცილებელი აკრძალვების მინიმალურ რაოდენობას და შესაძლო ნებადართულობის მაქსიმუმს. სამოქალაქო სამართლის ინსტრუმენტაციის დახმარებით ქონებრივი ურთიერთობის მონაწილეები თვითნებურად უწევენ ორგანიზაციას თავიანთ მოღვაწეობას აუცილებელი მიზნების მისაღწევად.

მაშასადამე, სამოქალაქო სამართლის რეგულაციური ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ წარუდგინონ მონაწილეებს ურთიერთობისა სარეგლამენტო ურთიერთობების თვითორგანიზაციის შესაძლებლობები. ეს განასხვავებს მას იმ რეგულაციურ ამოცანებთან, რომელიც დგას საჯარო სამართლის წინაშე, სადაც შესაბამისი ურთიერთობები ატარებს მკაცრად განსაზღვრულ ხასიათს და თითქმის არ ტოვებს ადგილს ურთიერთობების მონაწილეებისათვის ურთიერთობის თავისუფლად გადახედვისა.

სამოქალაქო სამართლის დამცავ ფუნქციას გააჩნია გამოკვეთილი მიზანი დაიცვას სამოქალაქო ბრუნვის კეთილსინდისიერი მონაწილეების ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესი. ამიტომ ზოგადი გაგებით იგი ხელს უწყობს უფლებადარღვეულ ბრუნვის მონაწილეებს აღიდგინონ თავიანთი პირვანდელი უფლებები მიყენებული ზიანის კომპენსაციით. დამცავი ფუნქციის მნიშვნელოვანი ას-

პექტი გამოიხატება აგრეთვე **გამაფრთხილებელ -აღმზრდელობით (პრევენციულ) ამოცანაში,** რომელიც შეიცავს სტიმულირებისა და ორგანიზაციის სარეგულაციო ურთიერთმონაწილეების ისეთ ქცევას, რომელიც გამორიცხავდა არასაფუძვლიან შეზღუდვას, ან სხვისი ინტერესების დარღვევას.

§ 6. სამოქალაქო სამართლის პრინციპები

ზოგადი გაგებით „პრინციპი" (ლათ. **principium -საფუძველი)** – სახელმძღვანელო იდეას ნიშნავს, რომელსაც ემყარება ადამიანი თავის მოქმედებაში. პრინციპები სხვადასხვა სახის არსებობს: მეცნიერული, ზნეობრივი, რელიგიური, იურიდიული, პილიტიკური და სხვა.... პრინციპები ადამიანთა ქცევის და მოღვაწეობის საყრდენ დებულებებს წარმოადგენენ, ადამიანთა ცხოვრების წესსაც სწორედ ეს პრინციპები განსაზღვრავენ. ის, რაც ადამიანთა ცხოვრების წესს უდევს საფუძვლად – ღირებულებას წარმოადგენს. ამიტომ პრინციპებს განსაზღვრავს არა მხოლოდ მათი ობიექტურობა და აუცილებლობა, არამედ მათი მნიშვნელობა ადამიანისათვის[36].

„სამოქალაქო სამართლის წინაშე სხვადასხვა სფეროში არსებული ამოცანები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და თავისებურად განაპირობებენ ერთმანეთს. ამიტომ მთლიანად სამოქალაქო სამართალს აქვს საერთო დებულებები, დამახასიათებელი პრინციპები, ძირითადი საწყისების ერთობლიობა, რასაც ემყარება სამართლის ეს დარგი თავისი მიზნის მიღწევაში"[37].

ძირეული სამართლის პრინციპებში მოიაზრება ის ძირითადი საწყისები, სამართლის დარგებისათვის ხშირ

36. http://ka.wikipedia.org/wiki/

37. გ. თუმანიშვილი, დასახ. ნაშრ; გვ. 14.

შემთხვევაში საერთო მდგომარეობა, რომლითაც გამოიკვეთება მისი საერთო-სავალდებულო ხასიათი. ასეთი საერთო საწყისები დამახასიათებელია სამართლისათვის, როგორც მთლიანად (სამართლებრის სისტემაში), ასევე ცალკეული სამართლებრივი დარგებისათვის, ქვედარგებისათვის, ინსტიტუტებისა და ქვეინსტიტუტებისთვისაც კი[38].

სამოქალაქო სამართლის პრინციპების ცნებაში მოვიაზრებთ იმ ამოსავალ დებულებებს, რომლებიც სამართლის ამ დარგისათვის არის დამახასიათებელი. სამოქალაქო კოდექსი უშუალოდ მიგვითითებს ზოგიერთი პრინციპის შესახებ, სოგიც კიდევ გამომდინარეობს კოდექსის ძირითადი დებულებებიდან.

საერთოდ, პრინციპები დამახასიათებელია სამართლის ყველა დარგისათვის და ცხადია სამოქალაქო სამართლისთვისაც. სამოქალაქო სამართლისათვის დამახასიათებელი პრინციპებიდან გამოვყოფდით:

1. კანონიერების პრინციპი, რომელიც კონსტიტუციური ხასიათის პრინციპია და დამახასიათებელია ნებისმიერ პირთა მოქმედებებისათვის. აღნიშნული პრინციპი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მხოლოდ დეკლარაცია, ან კიდევ პროპაგანდა, რადგან იგი კონსტიტუციური პრინციპია, მისი დაცვა და ასევე შესრულება ყველასათვის სავალდებულოა, ესენი იქნებიან საჯარო თუ კერძო (სამოქალაქო სამართლის) სუბიექტები – სახელმწიფო, როგორც საჯარო იურიდიული პირი, თუ სამართლის ნებისმიერი დარგის, მათ შორის სამოქალაქო სამართლის სუბიექტები ფიზიკური და იურიდიული პირები. საქართველოს ყველა პირი და მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილებული უცხო ქვეყნის პირები ვალდებულნი არიან შეასრულონ კონსტიტუციის მე-6 მუხლში განცხადებული

38. РОССИЙСКОЕ ГРАЖДАНСКОЕ ПРАВО, УЧЕБНИК В 2 томах, Ответственный редактор заслуженный деятель науки РФ, доктор юридических наук, профессор Е.А. СУХАНОВ. Том I Общая часть. Вещное право Наследственное право., Личные неимущественные права, Интеллектуальные права. 2-е издание, стереотипное, москва© 2011, стр. 74

პრინციპი, რომ კონსტიტუცია უზენაესი კანონია, კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნისადმი დაქვემდებარება ყველას მოვალეობაა **(კონსტიტუციის 44-ემუხლი).**

„სამართლიანობის და დარგობრიობის პრინციპების მნიშვნელობა ორგვარია. ე რ თ ი ს მ ხ რ ი ვ, ისინი გამოსახავენ შინაარსის არსს, სოციალური მიმართულების და მთავარი დარგობრივი განსაკუთრებულობის სამართლებრიე რეგულაციას. ეს უფრო გასაგებს ხდის მის აზრს, სწორად ვიაზროვნოთ და მივიღოთ კონკრეტული სამართლებრივი ნორმები. **მ ე ო რ ე მ ხ რ ი ვ,** სამართლის პრინციპები გათვალისწინებული უნდა იყოს ხარვეზების გამოვლენისას კანონმდებლობაში და ანალოგიურად სამართლებრივი ნორმების გამოყენების დროს. სამოქალაქო სამართლისათვის ასეთი მდგომარეობა ძალზედ მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი სხვა დარგებთან შედარებით უფრო „ეჯახება“ ასეთ სიტუაციებს. საქმე არა მარტო იმაშია, რომ იგი ჩვეულებრივ შეიცავს საერთო წესებს, რომლებშიც შეუძლებელია გაითვალისწინო განსაკუთრებულად სხვადასხვა სახის რთული ქონებრივი და არაქონებრივი ურთიერთობის ყველა დეტალი“[39].

სამოქალაქო – სამართლებრივი რეგულაციის ნებადართული ხასიათი, გათვლილი მონაწილეების ინიციატივაზე, წინასწარ ვარაუდობს ასეთი სამართალურთიერთობების შესაძლებლობას, რომლებიც საერთოდ არ არიან გათვალისწინებული არც ერთი სამართლებრივი ნორმით, მაგრამ მიესადაგებიან საერთო საწყისებს და სამოქალაქო კანონმდებლობის აზრს. ასეთი ურთიერთობების გაფორმება, მათი მართლზომიერების შეფასების ჩათვლით და კონფლიქტის მონაწილეების შესაძლო ზავი, არ შეიძლება განხორციელდეს სამოქალაქო სამართლის საერთო

39. РОССИЙСКОЕ ГРАЖДАНСКОЕ ПРАВО', УЧЕБНИК В 2 томах, Ответственный редактор заслуженный деятель науки РФ, доктор юридических наук, профессор Е.А. СУХАНОВ, Том I Общая часть. Вещное право Наследственное право., Личные неимущественные права, Интеллектуальные права, 2+е издание, стереотипное, москваб 2011, стр. 74-75

პრინციპების „საყრდენის“ გარეშე[40].

პირად საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი - სამოქალაქო სამართლისათვის დამახასიათებელია,ისე როგორც კერძო სამართლის ნებისმიერი დარგისათვის. იგი უპ. ყოველისა მიმართულია იქეთკენ, რომ სახელმწიფო ორგანოების პირდაპირი და უშუალო ჩარევა პირად საქმეებში, მათ შორის ქონებრივ ურთიერთობების მონაწილეების სამეურნეო საქმიანობაში (მაგ; ბიზნესსფეროში) ზოგადად ნივთმფლობელების და კერძოდ, მესაკუთრეების საქმიანობაში, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს პირდაპირაა გათვალისწინებული კანონით („აუცილებელი სახოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების ფორმით“, **საქართველოს კონსტიტუცია. მ. 21, ნ.3).**

პირად არაქონებრივ სფეროში ზემოთ აღნიშნული პრინციპი კონკრეტირდება ასევე დებულებებში კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობაზე, პირადი, პირად და ოჯახური ცხოვრების საიდუმლოებაზე **(„სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას“, კონსტ. მ. 36, ნ.2).**

კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი – ახასიათებს სამოქალაქო სამართალურთიერთობის მონაწილეთა სამართლებრივ მდგომარეობას (სტატუსს). სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეენი თანაბარი იურიდიული უფლებებით სარგებლობენ და მათ მოქმედებებზე საერთო წესით ვრცელდება ერთი და იგივე სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები. აღნიშნული ურთოერთობა გარკვეულწილად მოვალებაშიც გამოიხატება უზრუნველყოს ნივთგამცვლელ სუბიექტებს შორის თანაფარდობა (სამოქალქო კოდექსი აწესრიგებს პიროა თანას-

40. იქვე.

წორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს, სამოქ. კოდ. მ.1).

მესაკუთრეთა ხელშეუხებლობის პრინციპი - ნიშნავს როგორც კერძო, ასევე საჯარო სამართლის ნორმებით უზრუნველყოფილ უფლებას, მესაკუთრეები აღჭურვონ უფლებამოსილებით კანონით მინიჭებული შესაძლებლობის ფარგლებში გამოიყენონ საკუთარი ქონება საკუთარი ინტერესების შესაბამისად, არ ეშინოდეთ კერძო საკუთრებაში არსებული ქონების თვითნებური ჩამორთმევისა, ან კერძო საკუთრებაში უხეში ჩარევისა ან ამ საკუთრების მოხმარების შეზღუდვისა **(„სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით" კონსტ. მ. 30, 62.).** ნათელია აღნიშნული პრინციპის ფუნდამენტალური მნიშვნელობა ქონებრივი ბრუნვის ორგანიზაციაში, რომელი ურთიერთობის მონაწილეებადაც გამოდიან მეწარმეები – მეურნე სუბიექტები, როგორც დამოუკიდებელი ნივთმფლობელები. კერძო პირებისათვის, მეწარმეებისათვის ქონების ჩამორთმევა დაუშვებელია სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე! **(კონსტიტუციის 21-ე მუხლით თანახმად, „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებულია და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება (ნ.1).** აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების შინაარსი (ნ.2). აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით

დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პირობით[41]. ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისაგან“ (ნ.3). დაუსაბუთებლად ჩამორთმეული ქონება მის კანონიერ მფლობელებს უნდა დაუბრუნდეს და მეწარმე აღდგეს პირვანდელ მდგომარეობაში (რესტიტუცია), თუ დგება ზიანის, მისი გონიერული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი – არის ფუძემდებლური პრინციპი ქონებრივი (სამოქალაქო) ბრუნვის განვითარებისათვის. ხელშეკრულების დამდები სუბიექტები თავისუფალნი არიან კონტრაჰენტების თავისუფლად არჩევაში და ხელშეკრულების პირობების განსაზღვრაში. საერთო წესით გამორიცხულია ხელშეკრულების დადება და ასევე გაუქმება იძულებით, მათ შორის სახელმწიფო ორგანოების მხრიდანაც (ამ პრინციპის არსს გამოხატავს **სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლი:** „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას...“). ამასთანავე ამ პრინციპის მოქმედება განიცდის გარკვეულ შეზღუდვებს. კანონი (ამ შემთხვევაში საქართველოს საგადასახადო კოდექსი) ითვალისწინებს მაგალითად, კომერციული ორგანიზაციის უარისთქმის შეუძლებლობას ხელშეკრულების პირობების მიღებისას მომხმარებელთან დადგენილს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე; ასევე ითვალისწინებს სახელმწიფო რეგულაციას ფასებზე, ტარიფებსა [42] და ა. შ. შემსვედრ პირობებზე ხელშეკრულებისა.

---

41 .იხ. საქართველო კანონი „აუცილებელი სა'სოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“.

42 იხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსი.

დისპოზიციურობის პრინციპი – სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს (სარეგულაციო ურთიერთობის მონაწილეებს) შესაძლებლობით აღჭურავენ განახორციელონ სამოქალაქო სამართლებრივი ნორმებით მათთვის მინიჭებული უფლებები, ანუ საკუთარი შეხედულებით და პირადი ინტერესებიდან გამომდინარე თავად აირჩიონ შესაბამისი ქცევის წესები. ისინი ხშირ შემთხვევებში თვითნებურად წყვეტენ ჩაებან თუ არ ჩაებან ამა თუ იმ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში, მოითხოვონ თუ არ მოითხოვონ კონტრაჰენტისაგან ვალდებულების შესრულება, მიმართონ სასამართლოს თავისი უფლებების დასაცავად ა.შ.

სამოქალაქო უფლებების შეუფერხებელი განხორციელების პრინციპი – გულისხმობს ყველა დაუსაბუთებელი დაბრკოლების თავიდან აცილებას სამოქალაქო ბრუნვის განვითარებაში. იგი რეალიზდება კანონით მეწარმეთა შესახებ ან სხვა კერძო კანონებით, კანონით ნებადართული (დაშვებული), საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილებას ბარგითა და ხელბარგით, ასევე ვალუტის გადაადგილებას[43], რაც დამახასიათებელია ქონებრივი ბრუნვის თავისუფლებისათვის.

ამასთანავე კანონით დგინდება საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელი შეზღუდვები,

---

43 .საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან დეკლარაციის შევსების გარეშე მხოლოდ **30 000 ლარის ან აღნიშნული თანხის შესაბამისი კურსით უცხოური ვალუტის** გატანა-შემოტანა. ჩვენ საგადასახადო კანონმდებლობის დებულებები იმიტომ მოგვყავს სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების ანალიზისას, რომ თუ სამოქალაქო სამართალში ჩვენ გვაინტერესებს ნივთი, როგორც ბრუნვაუნარიანი ობიექტი, საგადასახადო სამართალს ეს ბრუნვაუნარიანი ობიექტი აინტერესებს როგორც დაბეგვრის ობიექტი სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის განსახორციელებლად, როგორც ბიუჯეტის შევსების წყარო. მაგალითად, კერძო პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საწარმოს) დაბეგვრა, როგორც ქონების გადასახადით და სხვ. ავტ. შენიშვნა.

მაგალითად, მეწარმეობის ცალკეული სახეობების ლიცენზირება[44], ბაზრის მონოპოლიზაციის ან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აკრძალვა და ა.შ. აღნიშნული პრინციპის მოქმედება მნიშვნელოვანია, რომ გამოირიცხოს ხელოვნური, ბიუროკრატიული დაბრკოლებები უფლებების დაცვის განსახორციელებლად.

სამართლის ბოროტად გამოყენების აკრძალვის პრინციპი – შეიძლება ჩაითვალოს როგორც „გენერალური კლაუზულა[45]“ საერთო-სამოქალაქო სამართლებრივი საწყისებიდან. აღნიშნული პრინციპით გამორიცხულია სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებმა უსაზღვრო (უსამანო) თავისუფლება გამოიყენონ (რაც ხშირ შემთხვევებში მათ გააჩნიათ), რაც გამოიწვევს ზიანის მიყენებას ბრუნვის მეორე მხარისათვის (ვალდებული პირისათვის) და არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენებს მას. **(მაგალითად, სკ მ. 319, ნ. 2.** „თუ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს უკავია დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე, მაშინ საქმიანობის ამ სფეროში მას ეკისრება ხელშეკრულების დადების ვალდებულება და მას არ შეუძლია კონტრაჰენტს უსაფუძვლოდ შესთავაზოს ხელშეკრულების არათანაბარი პირობები... იგივე პრინციპს ითვალისწინებს ამ მუხლის მე-3 ნაწილიც და სხვ. შეიძლება ასეთი მაგალითის მოყვანაც: მიწის ან სხვა ბუნებრივი რესურსების მესაკუთრე, თავის უფლებებს ამ საკუთრებაზე თავისუფლად განახორციელებს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მოქმედება არ აზიანებს გარემოს და არ არღვევს სხვა პირთა კანონით აღიარე-

44 იხ. საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“. მაგალითად, ამ კანონის მიხედვით მეწარმეს, რომელიც იწყებს სამეწარმეო საქმიანობას (ვთქვათ თავისუფალ ინდუსტრიული ზონაში სამეწარმეო საქმიანობას) მას სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოებისაგან, უპ. ყოელისა შემოსაელების სამსახურისაგან შესაბამისი ნებართვის, ლიცენზიის მოპოვება სჭირდება და ა.შ.

45. კლაუზულა – (ლათ. – **clausula**) 1. (სამართ). საგანგებო პირობა, რომელიც შეტანილია ხელშეკრულებაში, ანდერძში და მისთ.

ბულ უფლებებს და კანონიერ ინტერესებს. აღნიშნული შეზღუდვები და აკრძალვები გეხვდება სანივთო, ვალდებულებით სამართალში და სამოქალაქო სამართლის სხვა ქვედარგებში).

კერძო საკუთრების ხელშეუხებლობისა და შეუზღუდავად გამოყენების პრინციპი, - რომელიც კონსტიტუციურ პრინციპს წარმოადგენს, გარკვეული სახით ასახვას ჰპოვებს სამოქალაქო სამართალშიც, რომლის გამოძახილიცაა **სსკ-ის 170-ე მუხლი,** რომლის თანახმად, „მესაკუთრეს შეუძლია კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძო სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით, არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი.....; როგორც მუხლიდან იკვეთება პირმა კერძო საკუთრება ისე უნდა გამოიყენოს, რომ სხვა პირებს არ მიადგეს ზიანი, ანუ როგორც ხატოვნად იტყვიან ხოლმე ცივილისტები „სამოქალაქო კოდექსის მზე ერთნაირად ანათებს კრედიტორსაც და მოვალესაც".

კეთილსინდისიერების, სამართლიანობის, უფლება-მოვალეობათა შეთანაწყობის პრინციპის ძალით, „სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები", ან კიდევ, **სსკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილი,** რომლის თანახმადაც, „თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებების და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას" და სხვა).

„პირადი ინიციატივის პრინციპი – სამოქალაქო სამართლისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი პრინციპია. სამოქალაქო სამართლებრივი ნორმები ყოველმხრივ უჭერენ მხარს და ხელს უწყობენ პირად ინიციატივას, რაც გულისხმობს იმას, რომ პირადი ინიციატივის გარეშე პრაქ-

ტიკულად შეუძლებელია ნებისმიერი სამოქალაქო უფლების განხორციელება“[46] (მაგ. სკ-ის მ. 329,ოფერტის გაკეთება აქცეპტანტისათვის ხელშეკრულების დასადებად წინადადების შეთავაზებაზე და სხვ.).

ყოველმხრივი დაცვის და მოქალაქეთა სასამართლო დაცვის პრინციპი მთლიანობაში ახასიათებს სამოქალაქო სამართლის რეგულაციის სამართალდამცავ ფუნქციას (ამოცანას). მათთან შესაბამისობაში სამოქალაქო სამართალურთიერთობების მონაწილეებს მიეცათ ფართო შესაძლებლობები დაიცვან თავიანთი უფლებები და ინტერესები როგორც სასამართლო წესით, მიღებულია თითდაცვაც (სკ. მ. 118-120), ასევე გამოიყენონ სხვა ზომებიც, რომლებიც ახდენენ არაკეთილსინდისიერ ქონებრივ ზემოქმედებას კონტრაჰენტებზე. სამოქალაქო სამართალი შეიცავს სამართალდამცავი საშუალებების მრავალ ინსტრუმენტს, რომლებიც უფლებით აღჭურავენ მის სუბიექტებს დაიცვან მათი კანონიერი უფლებები და ინტერესები.

§7. სამოქალაქო სამართლის წყაროები

დეფინიცია **„სამართლის წყარო“** ძველი რომიდან იღებს სათავეს. იგი პირველად დიდმა მოაზროვნემ ტიტუს ლივიუსმა 12 ტაბულის შესავსებად გამოიყენა. **„წყარო ყოველი საჯარო და კერძო სამართლისა“(fons omnis publike privatikue Joris.)**- აღნიშნავდა იგი. სწორედ რომაელების დამსახურებაა სამართლის წყაროდ „სახელმწიფოს ძალის აღიარება, რასაც არ იზიარებდა საბჭოური მეცნიერება“. ტრადიციული იურისპრედენცია კი სამართლად

46. გ. თუმანიშვილი, შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, თბილისი, 2012.

მიიჩნევს ყველა ძალას და საშუალებას, საიდანაც სახრდოობს ესა თუ ის მოვლენა“[47].

პირობითად სამართლის წყაროებს ორ ნაწილად ჰყოფენ: **მატერიალური გაგებით და სამართლის წყარო ფორმალური გაგებით.** სამართლის წყაროში **ფორმალური გაგებით კანონად მიიჩნევა** მხოლოდ პარლამენტის ან რეფერენდუმის გზით მიღებული ნორმატიული აქტები. სამართალი კანონის მიღებისათვის განსაკუთრებულ წესსა და პროცედურებს ითვალისწინებს, რომელიც უზრუნველყოფს მისი მიღებისას საჯაროობას, კონსენსუსს პოლიტიკურ ძალთა შორის, სტაბილურობას.

მატერიალური გაგებით კი კანონად ჩაითვლება ყველა ნორმატიული აქტი, მათ შორის კანონიც, რომლებიც სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერაა მიღებული.

„არსებობს ასევე კანონები, რომელიც სამართლებრივ ნორმებს არ აფუძნებს და წარმოადგენს კანონებს (მხოლოდ) **ფორმალური გაგებით** (მაგ; საქართველოს კანონი „ბიუჯეტის შესახებ“, რომელშიც სახელმწიფოს შემოსავლები და გასავლებია ასახული. აღნიშნული კანონი არ წარმოშობს უფლებებსა და ვალდებულებებს მოქალაქეთათვის. ამგვარად, საქართველოს კანონს „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის ფორმა აქვს, თუმცა, სამართლებრივ ნორმებს არ წარმოშობს“[48]. ფორმალური გაგებით სამართლის წყარო თავისთავში მოიცავს საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტს.

კერძო სამართლის მკვლევართა მოსაზრებით, „თანამედროვე რომანულ – გერმანული სამართლებრივი სისტემა არამარტო მატერიალური და პროცესუალური ნორმებით,

47 გ. ლობჟანიძე, რომის სახელმწიფო და სამართალი, თბილისი, 2009, გვ. 12.

48 გ. მარიამიძე, სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი, I ნაწილი, I გამოცემა, თბილისი, 2011, გვ. 17

არამედ სამართლისა და სამართლებრივი ნორმების კონცეფციებით, ახლოს დგას ავგუსტუსისა და იუსტინიანეს დროს აღიარებულ სამართლებრივ პრინციპებთან. ამის გამოცაა, რომ რომანულ-გერმანული სამართალი გასცდა რომის ყოფილი იმპერიის ფარგლებს და მან ფეხი მოიკიდა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, რომლებმაც თავიანთ კერძო სამართლის ნორმებს საკოდიფიკაციო აქტებს ფაბულად სწორედ რომის სამართალი დაუდეს."

სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლში („სამოქალაქო კანონმდებლობა") განსაზღვრულია სამოქალაქო ურთიერთობების მიმართ მოქმედი სამართლის ნორმების იერარქია და ასევე მასში მოცემულია კერძო სამართლის წყაროების მიმოხილვაც. **აღნიშნული მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად,„სამოქალაქო კოდექსი, კერძო სამართლის სხვა კანონები და მათი განმარტებები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას".**

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 1. მუხლის თანახმად,„საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას". იგივეს ვკითხულობთ **საქართველოს „ნორმატიული აქტების შესახებ" მე-10 მუხლში (1).** კონსტიტუცია ფუძემდებლურ პრინციპებს ადგენს სამართლებრივი წესრიგისა, სადაც გარკვეული ჩარჩოები იქმნება კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისთვისაც.

საქართველოს კონსტიტუცია ადგენს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების პრიმატს. კერძოდ, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ".

საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ (მ. 2.1) განმარტავს, რომ „სამართლებრივი აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული), შესასრულებლად სავალდებულო აქტი“. სამართლებრივი აქტის სახეებია: ნორმატიული აქტი და ინდივიდუალური აქტი.

ნორმატიული აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს.

ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ერთჯერადია და უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიულ აქტს. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი მიიღება (გამოიცემა) მხოლოდ ნორმატიული აქტის საფუძველზე და მის მიერ დადგენილ ფარგლებში.

კოდექსი განსაზღვრული (ერთგვაროვანი) საზოგადოებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმათა სისტემატიზებული ნორმატიული აქტია. იგი ისეთივე იურიდიული ძალის მქონეა, როგორც სხვა კანონი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სისტემა პანდექტური სამართლის სისტემას შეესაბამება, რამეთუ მას გააჩნია ზოგადი ნაწილი, რომელიც საერთოა მთელი კერძო ნაწილისათვის. ზოგადი ნაწილის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი იძლევა იმ ფუნდამენტს, რომელზეც აგებულია მოცემული კანონის ან სამართლის დარგის მთელი სამართლებრივი სტრუქტურა. ზოგადი ნაწილის უპირატესობა იმაშიც მჟღავნდება, რომ რაც ერთხელ უკვე

განმტკიცებულია ზოგად ნაწილში, მას კერძო ნაწილში გამეორება აღარ სჭირდება. მაგალითად, გარიგებათა ზოგადი ნორმები ემსახურება შეცდომით, მოტყუებით, იძულებით გარიგებებს და მათი ამ თავების დამუშავებისას განმეორება აღარ გეჭირდება, რომ ეს გარიგებებს ეხება.

კანონის **„ნორმატიული აქტების შესახებ"** თანახმად **(მ.3)**, „საქართველოს ნორმატიული აქტი მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, თუ თვით ამ ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, და სავალდებულოა შესასრულებლად".

საქართველოს ნორმატიული აქტები იყოფა საქართველოს **საკანონმდებლო** და საქართველოს **კანონქვემდებარე** აქტებად, რომლებიც ქმნიან საქართველოს კანონმდებლობას.

ნორმატიულ აქტებს განეკუთვნება აგრეთვე საქართველოს **კონსტიტუციური შეთანხმება**[49] და **საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება.**

საქართველოს საკანონმდებლო აქტების სახეებია: ა) საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი; ბ) საქართველოს ორგანული კანონი; გ) საქართველოს კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი. კონსტიტუციისა და კონსტიტუციური შეთანხმების, საერთა-

---

49. კონსტიტუციურ შეთანხმებას ზოგჯერ კონკორდატსაც უწოდებენ. იგი საქართველოს კონსტიტუციური სამართლის საკმაოდ ორიგინალური წყაროა, რომელიც შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ ხელშეკრულებას წარმოადგენს, დადებულია საქართველოს სახელმწიფოსა და (ხელს აწერს საქართველოს პრეზიდენტი, ამტკიცებს პარლამენტი) და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის 2002 წელს. იგი განსაზღვრავს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლებრივ მდგომარეობას, ურთიერთობას სახელმწიფოსთან, საზოგადოებრივ ურთიერთობათა სხვა სუბიექტებთან (იხ. ა. დემეტრაშვილი, ი.კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2008, გვ. 17-18.

შორისო შეთანხმებების განმარტების შემდეგ აეხსნათ არსი კანონისა.

პოზიტიური სამართალი,როგორც სამართლის წყარო. „პოზიტიური სამართალი, ანუ კანონმდებლობა არის კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი ზოგადსავალდებულო ქცევის წესების (ნორმატიული აქტების) ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჯგუფს მასში მონაწილე პირების უფლება-მოვალეობათა აღიარება-გამიჯვნის გზით და რომელთა დაცვა მათი დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულების გამოყენებით“[50].

კანონმდებლობის ძირითადი სტრუქტურული ერთეული კანონია.

კანონი. კანონი ჯერ კიდევ რომიდან მოყოლებული დღემდე სამართლის უმნიშვნელოვანესი წყაროა. უნდა აღნიშნოთ, რომ პირველი კანონები სათავეს ჩვ. წ. აღ-მდე მე-6 საუკუნიდან იღებს. კანონადაა მიჩნეული სერვიუს ტულიუსის მიერ გატარებული რეფორმები, რისთვისაც მან 50-მდე კანონი გამოსცა. ძველ რომში ორმა უმნიშვნელოვანესმა საკანონმდებლო აქტმა „12 ტაბულის (დაფის) კანონმა“ და **„სამოქალაქო კანონმდებლობის კრებულმა“**(„**korpus iulis civilis**“) მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქვეყნის სამართლებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ დინამიკაზე.

კანონს ძველ საბერძნეთში **„ხუროს ხის იარაღს“** უწოდებდნენ, რომელიც გამოიყენებოდა სისწორის გასაგებად, ე.ი. კანონი სათნოებისა და ბოროტების საზომად ითვლებოდა. „ქართულ სამართალში კანონს მრავალგვარი მნიშვნელობა ჰქონდა იგი აღნიშნავდა სამართლის წიგნის მუხლს, კანონთა კრებულს, სასამართლო წიგნს ან სასამართლო ძეგლს. კანონი გარკვეული ხნის მანძილზე სასჯელის მნიშვნელობითაც გამოიყენებოდა.

„განასხვავებენ ლოგიკურ კანონებს, ბუნების კანო-

50.ბ. საეანელი, სამართლის თეორია, თბილისი, 1993, გვ.29.

ნებსა და იურიდიულ კანონებს. ისტორიულად პირველად ჩამოყალიბდა იურიდიული კანონის ცნება[51].

კანონი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ განსაკუთრებული წესით მიღებული ნორმატიული აქტია, რომელსაც უმაღლესი იურიდიული ძალა გააჩნია ყველა სხვა ნორმატიული აქტის წინაშე, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ნორმატიული აქტები, რომლებიც სახელმწიფო სხვა ორგანოების მიერაა გამოცემული, უნდა შეესაბამებოდეს კანონს.

სამოქალაქო კოდექსი, გადაჭარბებულად თუ არ ვიტყვით, განსაკუთრებული იურიდიული ძალის მქონე საკანონმდებლო აქტია და ხმამაღალი ნათქვამი არ გამოვა თუ ვიტყვით, რომ მას ჯეშმარიტად უწოდეს **„საქართველოს მეორე კონსტიტუცია“**. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ისეთივე იურიდიული მნიშვნელობის კანონია, როგორც სხვა კანონი. მან ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა კერძო სამართლის სისტემაში.

„სსკ-ის მე-2 მუხლი (ნ. 2) განსაზღვრავს, რომ „ერთი და იმავე დონის ნორმათა კოლიზიის დროს გამოიყენება სპეციალური და უფრო ახალი კანონი. ამასთან სპეციალური კანონის უპირატესი გამოყენების მოწესრიგება სიახლეა. ამ სიახლის წარმოსაჩენად კანონმდებელმა აღნიშნული კიდევ ერთხელ, ამჯერად უშუალოდ სსკ-ის ზოგად და სპეციალურ ნორმებთან მიმართებით მოაწესრიგა. **სსკ-ის მე-2 2 მუხლის** თანახმად, კი „ამ კოდექსით გათვალისწინებულ ზოგად ნორმებსა და სპეციალურ ნორმებს შორის კოლიზიისას გამოიყენება სპეციალური ნორმები“[52].

„საქართველოში კანონმდებელმა გაიზიარა დასავლეთ-ევროპული სახელმწიფოების გამოცდილება და **სსკ-ის მე-2 II 1 მუხლით** მოაწესრიგა სპეციალური კანონის

51. გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბილისი, 2004, გვ. 139.
52. დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, გვ. 53.

ნორმათა უპირატესი გამოყენება უფრო ზოგად ნორმებთან მიმართებით. ამით სსკ გამონაკლისია პოსტსაბჭოურ სივრცეში“[53].

კანონის თანაფარდი იურიდიული ძალა აქვთ პრეზიდენტის დეკრეტს, რომელსაც პრეზიდენტი გამოსცემს: ა) საგანგებო მდგომარეობის დროს, რომელიც მოქმედებს საგანგებო მდგომარეობის დამთავრებამდე და 2) საგადასახადო და საბიუჯეტი საკითხებზე პარლამენტის დათხოვნიდან ახლადარჩეული პარლამენტის პირველ შეკრებამდე. განსაკუთრებულ შემთხვევებში, რომელიც ძალას კარგავს, თუ ახლად არჩეული პარლამენტი პირველი შეკრებიდან ერთი თვის განმავლობაში არ დაამტკიცებს მას, – პარლამენტის რეგლამენტს.

სამართლებრივ ნორმებს კანონი როდი ადგენს მხოლოდ. სამართლებრივი ნორმების დადგენა კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ასევე შეიძლება საქართველოს მთავრობის, მინისტრებისა და ან სხვა თანამდებობის პირთა მიერ მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტებით და მათ მიღებაში პარლამენტი არ მონაწილეობს. „ამგვარი სამართლებრივი აქტების (კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების) მიღების (გამოცემის) წინაპირობაა ის, რომ მათი გამოცემის უფლებამოსილება კანონმდებლობით უნდა იყოს მინიჭებული და ასევე განსაზღვრული უნდა იყოს უფლებამოსილების შინაარსი, მიზანი და ფარგლები[54]. კანონქვემდებარე აქტებს მიეკუთვნება პრეზიდენტის ბრძანებულება, პარლამენტის დადგენილება, მთავრობის დადგენილება, საქაროველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება და სხვა. კანონქვემდებარე აქტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციასა და

53 დ. კერესელიძე, დასახ. ნაშრ; გვ. 54.

54. გ. მარიამიძე, სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი, I ნაწილი, I გამოცემა, თბილისი, 2011, გვ. 17

კანონს. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს პარლამენტის დადგენილებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა (თანამდებობის პირთა) ნორმატიული აქტების მიმართ.

როგორც პანდექტიკის სამართლის სისტემისთვისაა დამახასიათებელი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსაც აქვს **ზოგადი ნაწილი,** რომელიც მთელი კერძო სამართლისათვის საერთოა. ზოგად ნაწილში მოცემულია სამოქალაქო სამართლის ზოგადი დებულებები, რომლებიც იმ ნორმების ერთობლიობაა, რომლებიც განსაზღვრავენ „ამა თუ იმ სამართლებრივი მატერიის ზოგად დებულებებს", ანუ რასაც მოცემული სისტემა ეყრდნობა. სამოქალაქო კოდექსის შესავალი დებულებანი **(მ.1-10)** ეხება სამოქალაქო კოდექსის მოქმედების სფეროს, სამოქალაქო კანონის ძალაში შესვლას, სამოქალაქო საქმეების განხილვისას მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმის დაუშვებლობას, ანალოგიის პრინციპს სამოქალაქო სამართალში, სამოქალაქო კანონთა უკუქცევით ძალას, კერძო სამართლის სუბიექტებსა და ობიექტებს, გვიხსნის სამოქალაქო კანონის მიზანს, მიგვითითებს სამოქალაქო უფლებათა დამოუკიდებლობაზე პოლიტიკური უფლებებისაგან, ასევე სამოქალაქო სამართლის იმპერატიულ ნორმებზე, რომლებიც არც თუ ისე მრავლად გვხვდებიან აქ, განსხვავებით საჯარო სამართლის დარგებისაგან.

სამოქალაქო კოდექსის სასახელოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ცალკეული წიგნებიც იცნობენ ზოგად დებულებებს, რომლებიც კარგ ნიადაგს ქმნიან ამ კონკრეტული წიგნებით მოწესრიგებული ურთიერთობების უკეთ დასარეგულირებლად. ამის თვალსაჩინო მაგალითია ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი **(მ.316-476),** რომელშიც განიცდებულია თემები: ვალდებულების, ხელშე-

კრულების შესახებ ზოგადი დებულებები, ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი ნორმები, ვალდებულების შესრულება და ვალდებულების დარღვევა, მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი, რომლებიც საუკეთესო გზასამკვლევია ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილის, კერძოდ სახელშეკრულებო სამართლის უკეთ გაცნობიერების მიზნით. ავღნიშნავთ, რომ ხშირ შემთხვევაში ზოგადი დებულებანი ეხმიანება კერძო სამართლის სხვა დარგებსაც და გარკვეულ დახმარებას გვიწევენ მათ უკეთ აღსაქმნელად.

ზოგადი ნაწილის მესამე სახე კონკრეტული ინსტიტუტებისთვისაა დამახასიათებელი. მაგალითად, ზოგადი დებულებანი ვალდებულების შესრულების ნაწილში, რომელიც შეიძლება ეხებოდეს ცალკეულ ხელშეკრულებებსაც, მაგალითად, ქირავნობის ან იჯარის ხელშეკრულებებსაც. ზოგად ნაწილს თეორიულთან ერთად განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია.

გამონაკლისები ზოგადი ნორმებიდან. სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნორმები, როგორც თვით სახელწოდებიდან ჩანს, ზოგადია კერძო ნაწილისათვის, მაგრამ ხშირად წარმოიშობიან ისეთი ურთიერთობებიც, რომლებიც სპეციფიკურ, განსხვავებულ, ინდივიდუალურ მიდგომას და დარეგულირებას თხოულობენ. სამოქალაქო სამართალში მოქმედებენ აგრეთვე **სპეციალური (საგამონაკლისო)** ნორმები. სპეციალური ნორმები ზოგადად და კონკრეტულად სამოქალაქო სამართალში არეგულირებენ ერთგვაროვანი ურთიერთობების მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ სახეს. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ **სსკ 128-ე მუხლის მე-3 ნაწილი: „ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს“.** როგორც ნორმიდან აშკარად ჩანს, ეს ათი წელი ყველა მოთხოვნისათვის საერთოა, ზოგადია. მაგრამ იგივე კოდექსის **129-ე მუხლში** მოცემული ვადები: 1. სახელშე-

კრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა **სამი წელი,** უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა **ექვსი წელი,** ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობიან პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, - **სამი წელი,**-ეს ნორმები **სპეციალურია,** რადგანაც გათვალისწინებულია კანონით კონკრეტული, ინდივიდუალური სამართლებრივი ურთიერთობების დასარეგულირებლად. თუ წარმოიშვა კოლიზია საერთო (ზოგად) და სპეციალურ ნორმებს შორის, რომელი ნორმა უნდა გამოიყენოს სამართალშემფარდებელმა? ბუნებრივია აღნიშნული კოლიზიისას გამოსაყენებელია სპეციალური ნორმა. ამის შესახებ პასუხს გვცემს თვით **სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი.** კერძოდ, **ერთი და იმავე დონის სამართლის ნორმათა კოლიზიისას გამოიყენება სპეციალური და უფრო ახალი კანონი. ამ კოდექსით გათვალისწინებულ ზოგად ნორმებსა და სპეციალურ ნორმებს შორის კოლიზიისას გამოიყენება სპეციალური ნორმები.**

სამოქალაქო სამართლის ნორმათა სახეები. გერმანელი იურისტი ფონ ტური ბრძანებდა: **„კანონის ნორმები მოქმედებენ მხოლოდ სახელმწიფოს ნების წყალობით“.** მაგრამ კერძო სამართალი და განსაკუთრებით სამოქალაქო სამართალი გამონაკლისებს ითვალისწინებს ამ ხატოვანი გამოთქმიდან, რადგანაც იგი მის მონაწილეებს თავისუფლად მოქმედების ფართო ასპარეზს უქმნის. თვით **სამოქალაქო კოდექსის 1-ლი მუხლიც ამის საუკეთესო დასტურია, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ „ეს კოდექსი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს“,** განსხვავებით საჯარო სამართლებრივი დარგების მარეგულირებელი ნორმებისაგან, სადაც ვერტიკალური დაქვემდებარების სუბიექტებია და სახელმწიფო ნების გამოვლინებას ექვემდებარებიან პირები მკაცრად რეგლამენტირებული სამართლებრივი ნორმებით. სამოქალაქო კანონმდებლობა

კი, მის მონაწილეებს, რომლებიც ჰორიზონტალურ, ჰარმონიულ ურთიერთობაში იმყოფებიან ერთმანეთთან და უმეტეს შემთხვევაში ნდობაზე და კეთილსინდისიერებაზე აგებენ თავიანთ ურთიერთობებს, - სამოქალაქო კოდექსი ნების გამოსავლენად მეტ თავისუფლებას ანიჭებს. სამოქალაქო კოდექსის **მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი** უფლებამოსილებით აღჭურავს მის მონაწილეებს „განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება“. **კერძო ავტონომია** შესაძლებლობებს ანიჭებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს სამართლით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში თვითონ, დამოუკიდებლად გადაწყვიტონ მათი ურთიერთობა, გარიგების, განსაკუთრებით კი -ხელშეკრულების მეშვეობით და ამის დამადასტურებელია **სსკ 319-ე მუხლის პირველი ნაწილი,** რომელიც **კერძო ავტონომიისა** და **სახელშეკრულებო თავისუფლების** საუკეთესო მაგალითია. „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას...“ ვალდებულებითი სამართლით, კერძოდ, მისი კერძო ნაწილით გათვალისწინებული ხელშეკრულებების პირობებს ხომ მისი დამდები მხარეები თავისუფლად განსაზღვრავენ, თუმცა კერძო ავტონომია სულაც არ გულისხმობს ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე მხარის თვითნებობას, იგი ასევე თვითპასუხისმგებლობასაც გულისხმობს, რომელიც სწორედ ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის კატალიზატორია. პირს შეუძლია დადოს ან არ დადოს ხელშეკრულება, ან კიდევ თვითონ განსაზღვროს **ოფერტის (წინადადების მიცემის)** პირობები, მაგრამ შემდეგ კი „სიტყვას“, ნაკისრ ვალდებულებას–ზეპირსა თუ წერილობითს, შესრულება უნდა. ხელშეკრულება გვაცალდებუ-

ლებს, ანუ როგორც რომაელები იტყოდნენ კვინტენსენციით – **pacta sunt servanda**.

გარიგების დადება სამოქალაქო სამართალში უმეტეს შემთხვევაში ფორმათავისუფალია, მაგრამ სამოქალაქო კანონმდებლობაში გვხვდება მუხლები, რომლებიც იმპერატიულად მოითხოვენ წერილობით ფორმასაც და მის საჯარო რეესტრში დარეგისტრირებასაც. მაგალითად, **სსკ 183-ე მუხლი,** რომლის თანახმად, „უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში". საჯარო რეესტრში განცხადების რეგისტრაციას ითხოვს კანონი სავალდებულოდ უძრავ ნივთზე საკუთრების ან სხვა უფლების (მაგალითად, აღნაგობის უფლების) მოსაპოვებლად. განცხადება უნდა ჩაბარდეს რეესტრის სამსახურს. მხოლოდ ამის შემდეგ იძენს უფლების მოპოვების განცხადება სავალდებულო ძალას",– ასეთია კანონმდებლის ნება. კერძო ავტონომიის ასეთი შეზღუდვა, რომელსაც თვით ყველაზე დემოკრატიული, თავისუფალი სამოქალაქო კოდექსი აღიარებს, გამოწვეულია მის მონაწილე პირთა და ასევე სახელმწიფოს უსაფრთხოებითაც (მაგ; **სსკ 319-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბოლო წონადადება,** „თუ საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვისათვის ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მოწესრიგდეს ცალკე კანონით".

კონტაჰირების იძულება. ხელშეკრულების დადების სავალდებულოობა, დადებული ხელშეკრულების პირობების შესრულება, – სამოქალაქო კოდექსის მკაცრი მოთხოვნაა. ამის საილუსტრაციოდ ისევ მივმართავთ **სსკ 319-ე მუხლს,** ამ შემთხვევაში მის **მე-2 და მე-3 ნაწილებს. ნ. 2.** „თუ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს უკავია დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე, მაშინ საქმიანობის ამ

სფეროში მას ეკისრება ხელშეკრულების დადების ვალდებულება. მას არ შეუძლია კონტრაჰენტს უსაფუძვლოდ შესთავაზოს ხელშეკრულების არათანაბარი პირობები". **ნ. 3.** „იმ პირებს, რომლებიც არასამეწარმეო მიზნებისათვის ან საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იძენენ ან სარგებლობენ ქონებითა და მომსახურებით, დაუსაბუთებლად არ შეიძლება ეთქვათ უარი ხელშეკრულების დადებაზე, თუკი ხელშეკრულების მეორე მხარე მოქმედებს თავისი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში".

ზოგადად კერძო სამართლის და კონკრეტულად სამოქალაქო სამართლის ძირითადი პრინციპი – **კერძო ავტონომია და სახელშეკრულებო თვითშებოჭვა – დისპოზიციური ნორმებით (ius dispozitium) მიიღწევა. დისპოზიციური ნორმები**[55] სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს აღჭურავენ შესაძლებლობით თვითვე, დამოუკიდებლად განსაზღვრონ თავიანთი ურთიერთობების შინაარსი, თავიანთი ქცევის წესები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში. თავიდანვე დისპოზიციური ნორმები მხარეთა შეთანხმების საფუძველზე წარმოიშობოდა. **როდის მოქმედებენ დისპოზიციური ნორმები და რა თავისებურებები ახასიათებთ მათ?** ისინი ჩვეულებრივ იქ მოქმედებენ, სადაც მხარეები გამოტოვებენ ხოლმე ხელშეკრულებებში რაიმე საკითხს, არასრულად მოაწესრიგებენ მას. მაგ: თუ მხარეებმა ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას ხელშეკრულებაში ფასი პირდაპირ არ გაითვალისწინეს, ისინი შეიძლება შეთანხმდნენ მისი განსაზღვრის საშუალებებზე **(სსკ მ.477, ნ.3.),** ხოლო დავის შემთხვევაში – სამარ-

55. როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ განსხვავებით გერმანული სამოქალაქო სამართლისაგან (§40 „დისპოზიციური ნორმები"), ქართულ სამოქალაქო კოდექსში ასეთი ფორმულირება არ გვხვდება, თუმცა ფაქტია, რომ მას ფართო გამოყენება გააჩნია ეროვნულ სამოქალაქო კანონმდებლობაში ბრუნვის მონაწილეთა უფლება-მოვალეობების თავისუფლად განსაზღვრის ფაქტის დასაფიქსირებლად.

თალშემფარდებელი ხელშეკრულების საგნის ღირებულებას განსაზღვრავს ბაზარზე დადგენილი ფასებიო. ბუნებრივია, ეს ასეც უნდა იყოს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების განსაზღვრისას პირთა შორის, რადგან თავისუფალი და ღია საზოგადოების სამოქალაქო სამართალი ფართო უფლებებს ანიჭებს ინდივიდებს და ორგანიზებულ წარმონაქმნებს სახელშეკრულებო თავისუფლებისა. გამოდის, რომ დისპოზიციური ნორმები მოქმედებენ მაშინ, როცა მხარეებმა ხელშეკრულებაში გამოტოვეს რაიმე საკითხი ან არასრულად მოაწესრიგეს იგი. მაგალითად დაქორწინებისას მათ შორის საქორწინო კონტრაქტი არ დადებულა და ქონებრივი დავა მოწესრიგდება მეუღლეებს შორის ჩვეულებრივ, სამოქალაქო კოდექსით დადგენილი მეუღლეთა თანასაკუთრების წესით და სხვა. დისპოზიციური ნორმებისას მხარეებს არ ევალებათ დეტალურად განსაზღვრონ ყველა საკითხი ხელშეკრულებაში. მაგალითად, იჯარისას, იჯარის საგანზე და ფასზე, ხოლო დანარჩენ საკითხებს მოაგვარებს კანონი (მაგალითად, ნაკლის შესახებ დავას, ხელშეკრულების საგნის უკან დაბრუნებას და სხვა). საბაზრო ურთიერთობების პირობებში, სადაც ფულისა და საქონლის გაცვლა სულ უფრო ფართოდ იკიდებს ფეხს სამეწარმეო ურთიერთობებში, გადაუჭარბებლად ვიტყვით, რომ: ყველაფერი ხელშეკრულებით იწყება. კომერციული ბრუნვის მონაწილეთა ბიზნესგეგმების რეალიზაცია შეუძლებელია ხელშეკრულებების დადების გარეშე, რამეთუ, მეურნე-სუბიექტებს შორის დადებული ხელშეკრულება განსაზღვრავს ხელშემკვრელ სუბიექტთა უფლებავალდებულებებს, პასუხისმგებლობას, პროდუქციის ფასებს, ხარისხს, მიწოდების ვადებს, ანგარიშსწორების პირობებს და სხვ. „ხელშეკრულება არ არის მარტო ის დოკუმენტი, რომელიც საჭიროა სალაროში ფულის შემოსავალში ასაღებად. **ხელშეკრულება პირველ რიგში მხარეებს შორის ნებაყოფლობითი შეთანხმებაა, იურიდიული აქტია, რომელ-**

შიც გამოხატულია ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის თანხმობა"[56].

სხვაგვარად წყდება საკითხი **იმპერატიული ნორმების (Ius codens) შემთხვევაში. იმპერატიული ნორმები მკაცრად დადგენილი, კანონით ფორმულირებული წესებია, რომლებიც მასში დადგენილი პრინციპებით უნდა შესრულდეს.** იგი გარანტირებულს ხდის პირთა უფლებებს კონკრეტული სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებების დადებისას (ამის საუკეთესო მაგალითია **სსკ მ.183, მ.184, მ.323** და სხვა მუხლები). იმპერატიული ნორმების მაგალითად ასევე მოვიყვანთ **სსკ 319-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებს,** რომლებიც ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე პირთ უკრძალავს ხელშეკრულების მეორე მხარეს შესთავაზოს ხელშეკრულების არათანაბარი პირობები, ან კიდევ დაუსაბუთებლად არ უთხრან უარი ხელშეკრულების დადებაზე იმ პირებს, რომლებიც არასამეწარმეო მიზნებისათვის ან საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იძენენ ან სარგებლობენ ნივთებით და თუ ისინი განსხვაებით კონტრაჰენტისაგან, მოქმედებენ თავისი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში.

იმპერატიული ნორმების დახასიათებისას არ შეიძლება არ გამოიყოს ე. წ. **ფარდობითი იმპერატიული ნორმები", რომლებიც მხოლოდ ერთი მხარისთვისაა იმპერატიული.** მაგალითად, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ის მუხლები **(მ.346-348 და სხვა),** როცა შემთავაზებელი ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ სთავაზობს მეორე მხარეს ხელშეკრულების საზიანო პირობებს **(მ. 346),** ან კიდევ ცალმხრივად აშკარად მცირე ვადებს **(მ.347);** დებულება, რომელიც შემთავაზებელს უფლებას აძლევს შეცვალოს შეპირებული სამუშაო ან გადაუხვიოს მას, თუ ამის შესახებ შეთანხმება მიუღებელია მეორე მხარისათვის **(მ. 347. დ.),** ან კიდევ, დებულება,

56. ნ. იაშვილი, ე. მაღალაშვილი, ზ, ნაჭყებია, სახელშეკრულებო ურთიერთობების პრაქტიკა, თბილისი, 2006, გვ. 3.

რომელიც ცალმხრივად ითვალისწინებს ფასის მომატებას გაუმართლებლად მოკლე ვადებში (**მ. 348. ა.**). ასეთ და მსგავს, კანონის საწინააღმდეგო შეთავაზებებს იურიდიული ძალა არ აქვთ, ბათილია.

განუსაზღვრელი ნორმები. სამოქალაქო სამართალი თავის ნორმებში ითვალისწინებს ასევე **ე.წ. „განუსაზღვრელ ნორმებს“**, ნორმებს, რომელთა მეშვეობითაც ნორმები მიესადაგება სხვასხვაგვარ ცხოვრებისეულ გარემოებებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გარემოებების შესაბამისად იცვლება. მათ თუ შეიძლება ითქვას, დირექტივის ხასიათი აქვთ. მაგ; **„კეთილსინდისიერად“, „გულისხმიერად“, „სათანადო ვადები“, „მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას“, „ნამდვილი კომერსანტის გულისხმიერებით“** და სხვა. **მაგალითები: სამოქალაქო კოდექსის მ. 316-ე მუხლის მეორე ნაწილით:** „თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას, ან კიდევ, **სსკ მ. 361, ნ. 2.** „ვალდებულება უნდა შესრულდეს “ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას“, ასევე, სსკ **მ. 546, ნ.2.** „საცხოვრებელი სადგომის გამქირავებელს შეუძლია აღნიშნული უფლების განხორციელება შეცვალოს შესაბამისი კომპენსაციით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დამქირავებელი, პატივსადები საფუძვლიდან გამომდინარე, არ ეთანხმება გამქირავებელს“ და სხვა.

„თავისთავად განუსაზღვრელი ნორმების არსებობა არ შეიძლება ჩაეთვალოთ არც ბოროტების, არც სიკეთის წყაროდ. უფრო მეტად გადამწყვეტი ამ შემთხვევაში ისაა, თუ რა ღირებულებებს ემყარება მთლიანად საზოგადოება. ბოროტების განხორციელება შეიძლება ზოგადი განუსაზღვრელი დებულებების გარეშეც. მაგრამ რეალურ ცხოვრებასთან ახლოს მდგომი სამართლისა და მართლმსა-

ჯულების განხორციელება მათ გარეშე შეუძლებელია“[57].

ჩვეულებანი. კონტინენტური ევროპის უმთავრეს წყაროს კანონი წარმოადგენს. კანონის ძირითად წყაროდ შემოღებამ უკან გადასწია ჩვეულებების მნიშვნელობა. ჩვეულებებს, როგორც სამართლის წყაროთა სისტემას, დამხმარე რგოლის როლი შეიძლება მიეკუთვნოთ. „ჩვეულება სამართლის წყაროს როლს ასრულებს იმ გამონაკლის შემთხვევაში, როცა აუცილებელია მისი სანქციონირება სახელმწიფოს მიერ. მისთვის „პირველი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ ქცევის ერთგვაროვანი, მუდმივად განმეორებადი და დამკვიდრებული პრაქტიკა საზოგადოებრივ ურთიერთობათა მონაწილეების მიერ აღიარებულია სამართლად. მხედველობაში გვაქვს ზოგადი ხასიათის ქცევის წესები, რომელთა შესრულებაც ჩვეულებად იქცა“[58]. „ჩვეულებითი სამართლის ნორმებს საზოგადოება გამოიმუშავებს და არა მისი ნაწილი, ორგანო ან ცალკეული პირი. საზოგადოების წევრები ერთმანეთს შორის ურთიერთობებს დამკვიდრებულ, ერთგვაროვან პრაქტიკას უნებურად, სპონტანურად აღიარებენ როგორც ყველასათვის სავალდებულო ქცევის წეს“[59]. რიგ შემთხვევაში, სამოქალაქო სამართლის წყაროთა სისტემაში შემავალ ნორმატიულ სამართლებრივ აქტებში მოცემულია ჩვეულებების გამოყენების შესახებ დებულებები, თუ მხარეთა ურთიერთობები არაა რეგულირებული საკანონმდებლო დონეზე. **სკ მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად**, „ჩვეულებანი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ან საჯარო წესრიგს“. საჯარო წესრიგი ეკონომიკური, პოლიტიკური, მორალური პრინციპებია, რომლებიც აუცილებელია

57. ლ. ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000, გვ. 97; ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, იხ. გვ. 55-57

58. ბ. სავანელი, დასახ. ნაშრ; გვ. 33.

59. იქვე

საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად. **სსკ 339-ე მუხლის თანახმად,** „ხელშეკრულების მხარეთა უფლებებისა და მოვალეობის განსაზღვრისას შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები". აქ, სსკ 339-ე მუხლის შემთხვევაში საუბარია საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ 1931 წელს ეკონომიკურ ურთიერთობებში მიღებულ სავაჭრო ტერმინების განმარტებულ დაზუსტებაზე, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების თანამედროვე პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, რომელიც ცნობილია **„ინკოტერმს – 2000"-ის** სახელწოდებით. არც თუ იშვიათად ხდება, რომ მხარეები ხელს აწერენ კონტრაქტზე ისე, რომ არ იცნობენ კონტრაგენტი მხარის ქვეყნის კანონმდებლობასა და სავაჭრო ჩვეულებებს, რაც ხშირად ხდება დასანანი გაუგებრობის, უთანხმოებებისა და სამართლებრივი დავების მიზეზები, ყველა გამომდინარე შედეგებით. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ინკოტერმსის ტერმინები დაკავშირებულია მხოლოდ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებასთან და მხარეთა შეთანხმებასთან და უკვე, კონკრეტული საერთაშორისოდ აღიარებული ტერმინების გამოყენებასთან. მაგალითად, როდესაც მხარეები თანხმდებიან **CFR** ან **CIF** პირობაზე, ეს ნიშნავს, რომ: გამყიდველს არ აქვს უფლება, მიწოდება განახორციელოს ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალებით, გარდა საზღვაო ტრანსპორტისა, რადგან, ამ პირობების თანახმად, გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს **კონოსამენტი** ან სხვა საზღვაო სატრანსპორტო დოკუმენტი, რაც უბრალოდ, შეუსრულებელი იქნება ნებისმიერი სხვა სატრანსპორტო საშუალებებით გადაზიდვისას"[60]. ჩვეულებითი სამართლის ნორმების მოდიფიკაცია თანამედროვე პირობებში დაკავშირებულია ასევე საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლებრივი ნორმების ჩამოყალიბების პროცესთან და იგი მოიცავს როგორც

60. დაწერ. იხ. ნ. იაშვილი, ე. მაღალაშვილი, ზ. ნაჭყებია, სახელშეკრულებო ურთიერთობათა პრაქტიკა, გვ. 156-170.

საერთაშორისო საჯარო, ასევე საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ნორმებს. ჩვენ ვერ დავეთანხმებით იმ მეცნიერთა მოსაზრებებს, რომლებიც თვლიან, რომ საქართველოს სამოქალაქო სამართალი ის ერთადერთი დარგია, იურისპრუდენციისა, რომელშიც ჩვეულებები სამართლის წყაროდ გამოიყენება. ეს თვალსაზრისი ჩამოყალიბდა იმ პერიოდში, როცა ჯერ კიდევ ფეხს იდგამდა სამართლის ახალი დარგი-საბაჟო სამართალი[61]. დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვეულებები ასევე შეიძლება მიეკუთვნოს „საბაჟო სამართლის წყაროთა სისტემასაც, როგორც დამხმარე რგოლი. რიგ შემთხვევაში საბაჟო სამართლის წყაროთა სისტემაში შემავალ ნორმატიულ სამართლებრივ აქტებში მოცემულია ჩვეულებების გამოყენების შესახებ დებულებები, თუ მხარეთა ურთიერთობა არაა დარეგულირებული საკანონმდებლო დონეზე. ასე, მხარეთა საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ხელშეკრულების კვლევისას ითვალისწინებს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩამოყალიბებული ჩვეულებების ყველა გარემოებებს. საბაჟო-სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილეებს უფლება აქვთ დაადასტურონ ჩვეულებების არსებობა ან მისი არსებობა სადავო გახადონ, თანაც კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებების მთელი არსენალის გამოყენებით, ვინაიდან ჩვეულებები, როგორც წესი დოკუმენტურად არ ფიქსირდება".[62]

საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია, რომლის შეუსაბამისობაში უნდა მოდიოდეს ქვეყანაში მიღებული ყველა ნორმატიული აქტი. მას პრიმატი ეკუთვნის საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მიმართაც. ეს ბუნებრივად შეეხება სამოქა-

61. დღეს უკვე საგადასახადო სამართალი (2011 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული საგადასახადო კოდექსით ძალადაკარგულად გამოცხადდა 2007 წლის საბაჟო კოდექსი).
62. ია ხარაზი, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2010, გვ. 55.

ლაქო კოდექსსაც და კერძო სამართლის სხვა კანონებს.

საქართველოს ორგანული კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ", მ. 7 მე-4 პუნქტის თანახმად, „თუ საქმის განმხილველი სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს კონსტიტუციას არ შეესაბამება ნორმატიული აქტი, რომლის შემოწმებაც არ განეკუთვნება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად".

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, პანდექტური სისტემა ითვალისწინებს ზოგადი და სპეციალური ნორმების გამოყენებას სამოქალაქო კოდექსით დარეგულირებული ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, მხოლოდ „ერთი და იმავე დონის სამართლის ნორმათა კოლიზიის დროს გამოიყენება სპეციალური და უფრო ახალი კანონი, ხოლო სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ ზოგად ნორმებსა და სპეციალურ ნორმებს შორის კოლიზიისას გამოიყენება სპეციალური კანონი. მაგალითად, **სსკ 311-312-ე მუხლები,** რომლებიც საჯარო რეესტრს არეგულირებენ ზოგადად, ხოლო **საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ"**სპეციალურად არეგულირებს საჯარო რეესტრის წარმოების, ორგანიზაციულ-სამართლებრივ საფუძვლებს, საჯარო რეესტრის მწარმოებელი ორგანოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში სააგენტო) უფლება-მოვალეობებს, მის მიერ გაწეული მომსახურების ვადებს, საფასურის განაკვეთებს, ასევე საფასურის გადახდის, გადახდისაგან გათავისუფლების და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესსა და პირობებს" **(საქართველოს კანონის „საჯარო რეესტრის შესახებ" მე-2 მუხლი).**

პრეცენდენტული სამართლის, როგორც სამართლის წყაროს შესახებ. პრეცენდენტული სამართალი უპირატე-

სად სასამართლო პრეცედენტის სახით გვხვდება, რომელიც არის ქვეყნის უმაღლესი სასამართლო ინსტანციების მიერ კონკრეტულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში ფიქსირებული ზოგადსავალდებულო ნორმები, რომლებიც აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარკვეულ ჯგუფს მათში მონაწილე პირების უფლება-მოვალეობათა აღიარება-გამიჯვნით და რომელთა დაცვა მათი დარღვევის შემთხვევაში უსრუნველყოფილია შესაბამისი სასამართლო განაჩენის თუ გადაწყვეტილების შეცვლის ან გაუქმების გზით. სასამართლო პრეცენდენტი სამართლის ძირითად წყაროდ აღიარებულია **ინგლისში, სადაც მოქმედებს სამი უმაღლესი სასამართლო ინსტანცია: ლორდთა პალატა, სააპელაციო სასამართლო და მაღალი სასამართლო.** მიღებული წესის თანახმად: ლორდთა პალატის მიერ ადრე მიღებულ გადაწყვეტილებებს საკალდებულო პრეცენდენტის ძალა აქვს თვით ლორდთა პალატისათვის და ყველა სხვა სასამართლოსათვის; სააპელაციო სასამართლოს მიერ ადრე მიღებულ გადაწყვეტილებებს სავალდებულო პრეცენდენტის ძალა აქვთ თვით სააპელაციო და ყველა სხვა სასამართლოსათვის, გარდა ლორდთა პალატისა; მაღალი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს სავალდებულო პრეცენდენტის ძალა აქვს თვით მაღალი და ყველა სხვა სასამართლოსათვის, გარდა ლორდთა პალატისა და სხვა სააპელაციო სასამართლოსი. ყველა ზემოაღნიშნული უმაღლესი სასამართლო ინსტანციის გადაწყვეტილებებს სავალდებულო პრეცენდენტის ძალა აქვს ნებისმიერი დონის მმართველობის ორგანოსათვის. ყველა ზემოაღნიშნული უმაღლესი სასამართლო ინსტანციის გადაწყვეტილებებში სავალდებულო პრეცენდენტის ძალა აქვთ ამ გადაწყვეტილებებში ფორმირებულ ქცევის წესებს და სამართლებრივ დებულებებს (**ratio decidendi**), რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან პრეცენდენტულ სამართალს[63].

63. ბ. სავანელი, დასახ. ნაშრ. გვ. 38.

§ 7.1. სამოქალაქო ნორმის მოქმედება დროსა და სივრცეში, პირთა წრის მიხედვით. კანონისა და სამართლის ანალოგია, სამოქალაქო კანონთა უკუქცევითი ძალა

როგორც ყველა ნორმატიულ აქტს, ასევე რა თქმა უნდა სამოქალაქო კოდექსსაც, აქვს თავისი მოქმედების და არსებობის განსაზღვრული დრო, ტერიტორიული შეზღუდვა, ვრცელდება გარკვეულ სუბიექტთა (პირთა) გარკვეულ წრეზე. ზოგადი წესით, ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი გამოიყენება მისი მოქმედების პერიოდში არსებული ურთიერთობის მოსაწესრიგებლად.

ნორმატიული აქტი **დროის საზღვრების დასადგენად** ითვალისწინებს **სამ არსებით გარემოებას: კანონიერ ძალაში შესვლის (ამოქმედების), მოქმედების შეწყვეტის მომენტს და კანონის მომდევნო ნორმატიული აქტით დადგენილი იურიდიული ნორმების გამოყენებას იმ ურთიერთობების მიმართ, რომლებიც არსებობდნენ მის კანონიერ ძალაში შესვლამდე („კანონის უკუძალა").**

კანონი და კანონქვემდებარე აქტები ძალაში შედიან მხოლოდ დადგენილი წესით ოფიციალური ორგანოში საყოველთაო გაცნობისთვის მათი გამოქვეყნების შემდეგ. გამოცემა, რომელშიც ოფიციალურად იბეჭდება ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი არის **„საკანონმდებლო მაცნე".** კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის პროექტს ამზადებს შესაბამისად საკანონმდებლო ინიციატივის ან ნორმატიული აქტის პროექტის წარდგენის მქონე სუბიექტი ან თვით ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) უფლებამოსილების მქონე ორგანო (თანამდებობის პირი). საჯაროდ გამოქვეყნებული კანონი ყველასათვის ხელმისაწვდომია. ამიტომ, „კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ანდა ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან გან-

თავისუფლების საფუძველი" **(სსკ მ. 3. ნ.2)** კანონის ცოდნის პრეზუმფცია ყველა პირზე და ყველაფერზე ვრცელდება.

„კანონი ძალას კარგავს: ა) თუ ამის შესახებ პირდაპირ უთითებს ახალი კანონი (სამოქალაქო კოდექსის გარდამავალ და დასკვნით დებულებებში, **1505-ე მუხლში** პირდაპირ მითითებულია, რომ „1997 წლის 25 ნოემბრიდან ძალადაკარგულად ჩაითვლება 1. „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის" დამტკიცების შესახებ" საქართველოს სსრ 1964 წლის 26 დეკემბრის კანონი და სხვა), ან ბ) ძველი ეწინააღმდეგება ახალს, გ) ან ახალი კანონი მოიცავს ძველით მოწესრიგებულ ურთიერთობას, დ) ანდა, თუ აღარ არსებობს ის ურთიერთობა, რომელსაც აწესრიგებდა კანონი. „ზოგადი ხასიათის კანონი არ აუქმებს სპეციალურ კანონს, თუ ამგვარი გაუქმება არ წარმოადგენს კანონმდებლის პირდაპირ მიზანს. იმ კანონის გაუქმება, რომლითთაც გაუქმდა ძველი კანონი, არ ნიშნავს ძველი კანონის ამოქმედებას" **(სსკ. მ. 2. ნ.4, ნ.5).**

საკითხი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების დროში მოქმედების შესახებ უნდა განვიხილოთ კიდევ **ორი ასპექტის გათვალისწინებით: 1.** კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს არა აქვთ **უკუქცევითი ძალა** (ეს დებულება ჯერ კიდევ ძველი რომიდან მოდის). სამოქალაქო კანონები და კანონქვემდებარე აქტები მხოლოდ იმ ურთიერთობებს აწესრიგებენ, რომლებიც მისი მიღების, გამოცემისა და ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნების შემდეგ წარმოიშვებიან; **2.** არ შეიძლება კანონს მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას. ეს, კანონით დადგენილი წესი არის სამართლებრივი სტაბილურობის აუცილებელი ფაქტორი, როდესაც ფიზიკური და იურიდიული პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ იმაში, რომ სამართლებრივი მდგომარეობა არ გაუარესდება კანონით.

სივრცეში სამოქალაქო კოდექსის მოქმედების არსი მდგომარეობს მისი მოქმედების ტერიტორიულ შეზღუდ-

ვაში, როდესაც ნორმატიული აქტი გამოიყენება ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდება სახელმწიფოს სუვერენიტეტი: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, თუ თვით ამ ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, და სავალდებულოა შესასრულებლად **(კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ", მ.3. 1.).**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოქმედება ვრცელდება როგორც საქართველოს მოქალაქეებზე, ასევე უცხოელ პირებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზეც. სამოქალაქო კანონი თანაბრად მოქმედებს ყველას მიმართ სქესის, მრწამსის, ეროვნებისა და საქმიანობის მიუხედავად.

კანონი მოქმედებს უვადოდ, თუ კანონმდებლობით სხვა რამ დადგენილი არ არის. სამოქალაქო კანონმდებლობის რეგულირების მასშტაბები განუწყვეტლივ იზრდება, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ზოგჯერ არ არსებობს იმ ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმა, რომელიც იურიდიულ გადაწყვეტილებას მოითხოვს. როდესაც სამართლებრივი თვალსაზრისით განსახილველი და გადასაწყვეტი საკითხი არ არის გათვალისწინებული და დარეგულირებული არც ერთ ნორმაში, ამბობენ, რომ **ადგილი აქვს ხარვეზს კანონმდებლობაში.**

სამოქალაქო კოდექსის **მე-4 მუხლის თანახმად (ნ. 1, ნ. 2)**, სამოქალაქო საქმის განმხილველ სასამართლოს უფლება არა აქვს უარი თქვას სამოქალაქო საქმეების განხილვაზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ სამართლის ნორმა არ არსებობს ან იგი ბუნდოვანია; ასევე სასამართლოს არა აქვს უფლება უარი თქვას კანონის გამოყენებაზე იმ მოტივით, რომ მას კანონის ნორმა უსამართლოდ ან არაზნეობრივად მიაჩნია. რა უნდა გააკეთოს ამ შემთხვევაში სამართლის ნორმის შემფარდებელმა? რა გზას უნდა დაადგეს, რომ მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილება? ამ კითხვაზე პა-

სუხს გაგვცემს **სსკ მ. 5 ანალოგიის შესახებ.**

ანალოგია სამოქალაქო სამართალში. თუ სამოქალაქო სამართლის ნორმის შემფარდებელი, სამართლის განმარტების ხერხების გამოყენების მიუხედავად ვერ პოულობს კონკრეტული ურთიერთობების მომწესრიგებელ ნორმებს, მან უნდა გამოიყენოს ყველაზე უფრო მსგავსი შემთხვევის მარეგულირებელი ნორმა. **ანალოგიის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებაა საკანონმდებლო ხარვეზის შევსება.**

სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა **(კანონის ანალოგია),** ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კანონის ანალოგის გამოყენება შეუძლებელია ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე, აგრეთვე სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნების შესაბამისად **(სამართლის ანალოგია).**“

„სამართლის შემფარდებელი კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზს ავსებს არა თვითნებურად, არამედ განსაზღვრული მეთოდური მოთხოვნების დაცვით. სამართლის შემფარდებელმა, პირველ რიგში, უნდა დაადგინოს საკანონმდებლო ხარვეზის არსებობის ფაქტი. **ხარვეზი** სახეზეა მაშინ, როდესაც არ გვაქვს ნორმა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია კონკრეტული შემთხვევის გადაწყვეტა. სამართლის ანალოგია არ დაიშვება, თუ არსებობს ნორმის უშუალო, პირდაპირი შეფარდების შესაძლებლობა[64]. „ანალოგია დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საკითხი ვერ წყდება სამართლის ნორმის განმარტების გზით. სამართლის შეფარდების პროცესში უპირატესობა უნდა მიენიჭოს ნორმის განმარტებას. სამართლის შემფარდებელმა ანალოგიას უნდა მიმართოს მხოლოდ მაშინ,

64. გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბილისი, 2004, გვ. 170.

როდესაც ნორმის განმარტების საფუძველზე ვერ ხერხდება საკითხის იურიდიული გადაწყვეტა“[65].

ანალოგია განსაკუთრებულ არგუმენტირებას მოითხოვს. ანალოგიური ნორმების გამოყენებისას სამართალშემფარდებელი თვითნებურად ვერ იმოქმედებს. ანალოგიური ნორმის გამოყენებისას სამართლის ნორმის შემფარდებელი კანონით რეგულირებულ ურთიერთობას და ურთიერთობას, რომელიც არაა კანონით რეგულირებული, ერომანეთს ადარებს და განსაზღვრავს სავარაუდოდ კანონმდებელი როგორ შეაფარდებდა იურიდიულად მოწესრიგებულ ურთიერთობას. „ამ შემთხვევაში შედარების მასშტაბის როლს ასრულებს **სამართლის „შინაგანი სისტემა“, სამართლებრივი ნორმების სისტემა და არა სამართლის შემფარდებლის ინდივიდუალური შეფასებების სისტემა“**[66].

ანალოგიის გამოყენებისას როდი ხდება ახალი ნორმის დადგენა, ანუ სამართლის ნორმის შემფარდებელი ახალ ნორმას კი არ ადგენს, არამედ ცდილობს კანონში მოიპოვოს კანონმდებლის „რამდენადმე „დაფარული“, ბუნდოვნად ფორმულირებული შეფასება“.

რაც შეეხება სპეციალურ ურთიერთობების მომწესრიგებელ ნორმებს (საგამონაკლისო ნორმებს), ისინი არ შეიძლება გამოყენებულ იქნენ ანალოგიით **(სსკ მ. 5, ნ.3)**.

სპეციალური კანონი სპეციალურ ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონია, რომელიც ყველაზე სრულყოფილად ასახავს ამ ურთიერთობათა ბუნებას. სამოქალაქო კოდექსში იზრდება სპეციალური მოწესრიგების ფუნქცია. დაზღვევის, გადაზიდვა-გადაყვანის ინსტიტუტებს ვერ ნახავთ მთელი რიგი ქვეყნების, მათ შორის – გერმანიის სამოქალაქო კოდექსში მაშინ, როცა ამ ურთიერთობებს ჩვენში სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს. ამის მიუხედავად, სადაზღვევო ურთიერთობებისათვის მაინც რჩება სპეციალური მოწესრიგების სფერო, რაც ცალკე კანონების

65 დასახ. ნაშრ; გვ. 171
66 . იქვე.

განისაზღვრება. „სპეციალური კანონის შეფასება მაინც სამოქალაქო სამართლის შიგნით ხდება და იმდენადაა დასაშვები განსხვავებული მოწესრიგება, რამდენადაც ამას ითმენს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული პრინციპები. არავის არა აქვს უფლება სპეციალური კანონის მიხედვით საფრთხე შეუქმნას ამა თუ იმ დარგის არსებობას. საქართველოს **საკონსტიტუციო სასამართლომ, როცა იხილებოდა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" კანონის კონსტიტუციურობის საკითხი, თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „სპეციალური სამართლებრივი მოწესრიგება არ უნდა მოასწავებდეს სამართლის შესაბამისი დარგის სფეროდან გასვლას და ძირითადი პრინციპების იგნორირებას"**[67].

სპეციალური კანონები საგამონაკლისო ნორმების სახელწოდებით მოიხსენიება. ასევე, გამონაკლისები კი ხშირად მაშინაა მოსათმენი, როცა ამით ძირითად პრინციპს საფრთხე არ ექმნება და მისი შინაარსი არ ზიანდება.

ზოგადი და სპეციალური ნორმების კოლიზიის მაგალითები საკმარისია სამოქალაქო კოდექსში. ასე, მაგალითად, პირის ქმედუნარიანობა, ზოგადი ნორმის მიხედვით იწყება **18 წლის ასაკიდან,** მაგრამ კოდექსის **65-ე მუხლის** მიხედვით სამეწარმეო ურთიერთობებში დასაშვებია **16 წლის პირის** ქმედუნარიანად ემანსიპაცია. აქ სწორედ სპეციალურ ურთიერთობებთან გვაქვს საქმე.

სპეციალური ნორმები ინდივიდუალური ნიშნით ხასიათდება და ბუნებრივია ანალოგიით არ გამოიყენება, განსხვავებით ზოგადი ნორმებისაგან, რომლებიც გვაროვნული ნიშნით ხასიათდებიან და მათი ანალოგიით გამოყენება დაშვებულია.

---

67. იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება №1/103, 117, 137, 148, 152). წყარო: ბ. ხოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, 2005, გვ. 192.

§ 8. სამოსამართლო სამართალი და სამოქალაქო სამართალი. სამოქალაქო ნორმის ინტერპრეტაცია

§ 8.1. სამოსამართლო სამართალი და სამოქალაქო სამართალი

თანამედროვე ეტაპზე სასამართლო პრაქტიკაში ე. წ. სამოსამართლო სამართლის ინსტიტუტია დანერგილი. მისი გავლენა და დანიშნულება ძალზედ მნიშვნელოვანია. სამოსამართლო სამართალს სასამართლოები კოორდინირებული ურთიერთობებით შეიმუშაებენ. მას შეგვიძლია პრაქტიკული სამართალი ვუწოდოთ, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ცხოვრებაში ტარდება არა ის სამართალი, რაც ცალკეულ კანონებშია ჩაწერილი, არამედ სასამართლოების მიერ დადგენილი წესები ამ კანონების ცხოვრებაში გამოყენებისათვის.

რეფორმირების გზაზე მდგარი სახელმწიფოებისათვის სამოსამართლო სამართლის ფუნქცია განსაკუთრებით აქტუალური და მნიშვნელოვანია, რამეთუ ნოვაციები თავისთავად მოითხოვენ სამართლებრივ ბაზას, ხოლო კანონმდებლობაში ხშირი ცვლილებები არ გამორიცხავენ მათ შორის წინააღმდეგობის საფრთხესაც და აქ კი აქტიურად ერევა სამოსამართლო სამართალი.

თანამედროვე სამოსამართლო სამართალი სამართლიანობის პრინციპებზეა დაფუძნებული, მისი ამოცანაა კანონში „თავისუფლად დატოვებული ადგილების“ შევსება იმ მხარის სასარგებლოდ, რომელსაც სასამართლო უსამართლოდ დაჩაგრულად მიიჩნევს, ე.ი. კანონში არსებული ზოგადი განმარტებები შეიძლება დაკონკრეტდეს ამავე კანონის სამართლიანობის აღდგენის გამოყენებისათვის.

„სამოსამართლო სამართალი ამავდროულად თეორიული, დოქტრინალური განმარტების დონიდან საკანონ-

მდებლო საყალდებულო დონემდე განვითარდა. უმაღლესი სასამართლო არ მიიღებს საჩივარს, თუ ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება სასამართლო პრაქტიკას (სამოსამართლო სამართალს). ამ შემთხვევაში საჩივარი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული კონკრეტული საქმის განხილვისას შესაძლებელია ისეთი სამართლებრივი დასკვნების გაკეთება, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს სამართლის (სამოსამართლო სამართლის) განვითარებას. როგორც ვხედავთ სამოსამართლო სამართალი წარმოადგენს გვირგვინს იურისპუდენციისა და მის საზრისს"[68].

როგორც სამოსამართლო პრაქტიკა და სამართლებრივი დოქტრინა ადასტურებს, შეუძლებელია უხარეზო კანონის მიღება. ყველასთვის მისაღები, სრულყოფილი, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი კანონის ნორმების მიღება შეუძლებელია. ამიტომაცაა, რომ ხშირად აქვს ადგილი საკანონმდებლო ორგანოში კანონში ცვლილებების შეტანას ან გარკვეული მუხლების ძალადაკარგულად გამოცხადებას და სხვ. ამ მხრივ შედარებით სტაბილურად გამოიყურება სამოქალაქო კოდექსი, მისი დებულებები საუკუნეებით განმტკიცებულია კერძო სამართლებრივი პრინციპებით, მაგრამ ისიც განიცდის ცვლილებებს. ასევე ჭეშმარიტებაა, რომ შეუძლებელია ვთქვათ, რომ დღეს მიღებულმა კანონებმა ზუსტად გათვალოს სამომავლო ურთიერთობებიც, რომელთა დარეგულირებაც, მისი სასამართლოს მიერ გადაწყვეტაც აუცილებელი ხდება. იმ ფაქტის მოშველიება, რომ **„არ არის კანონის შესაბამისი ნორმა და არც მისი გადაწყვეტის ნორმები არსებობს,"** – ვერაფერი პასუხი იქნებოდა პირებისათვის, რომლებიც სამართლებრივად მოითხოვენ კონკრეტული სადავო საკითხების სასამართლოს მიერ შეფასების მიცემას. „საქართველოს სამო-

68. დაწერ. იხ. რ. რიჟამაზე, სამოსამართლო სამართალი, საიტი: http://rezorija-rezorija.blogspot.com

ქალაქო კოდექსი ისევე, როგორც ფრანგული სამოქალაქო კოდექსი, მოსამართლეს ამის უფლებას არ აძლევს. ამგვარი რამ რომ თავიდან ავიცილოთ, მოსამართლეს უნდა მივანიჭოთ უფლება კანონი გამოიყენოს ყველა შემთხვევისათვის, როგორც ფრანგული კოდექსი პირდაპირ ავალდებულებს მოსამართლეს **(სსკ მუხლი მე-4)** და შეიქმნას შესაბამისი ქართული ნორმაც.

თუ კანონის ინტერპრეტაცია სცილდება **გრამატიკული ინტერპრეტაციის ფარგლებს** და გადადის **ლოგიკური ინტერპრეტაციის სფეროში,** მაშინ პრაქტიკულად ხშირად საქმე გვაქვს ახალი ნორმის შექმნასთან. რეალურად ეს არის **სამართალშემოქმედება. კონკრეტული შემთხვევების გადაწყვეტის დროს კანონის საფუძველზე მისი ცალკეული ნორმების კომენტირების შედეგად მოსამართლის მიერ ქცევის ახალი წესების ჩამოყალიბებას სამოსამართლო სამართალშემოქმედება** ეწოდება. **ხოლო ამ გზით მიღებულ სამართლის ნორმათა ერთობლიობას – სამოსამართლო სამართალი“**[69]. მოსამართლე სამართლის ანალოგიის გამოყენებისას ურთიერთობებს აწესრიგებს სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე, ასევე სამართლიანობის, კეთილსინდისიერების, ზნეობის მოთხოვნების შესაბამისად. იგი მოქმედდებს შინაგანი რწმენის საფუძველზეც. შეიძლება მაგალითისათვის მოვიყვანოთ ამონარიდები საოჯახო სამართლის ნორმებიდან **(მ. 1128),** რომლებიც გადაწყვეტილების მიღებას ეხება შვილების საცხოვრებელი ადგილისა და მათი რჩენის შესახებ. ამ მუხლში აღნიშნულია, რომ **(ნ.1)** „როცა მეუღლეები არ არიან შეთანხმებული განქორწინების შესახებ შვილების საცხოვრებელი ადგილსა და მათ სარჩენად გადასახდელ სახსრებზე, სასამართლო მოვალეა განქორწინებასთან ერთად განსაზღვროს ისიც, თუ რომელიც შვილი რომელ მშობელთან დარჩება და

69. ლ. ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000, გვ. 107; ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, გვ. 65-66.

რომელ მშობელს რა ოდენობით უნდა გადაახდეს სარჩო (ალიმენტი)". **თუ ვისთან უნდა დარჩნენ არასრულწლოვანი შვილები მშობელთა განქორწინებისას, ამას ადგენს სასამართლო, ზუსტად, სამართლის ანალოგიის საფუძველზე.** მას კონკრეტულად, მკაფიოდ გაწერილი ნორმები არ აქვს მოცემული სამოქალაქო კოდექსში. აქ, მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს კეთილსინდისიერება, ხნეობის მოთხოვნების საფუძველზე უნდა გადაწყვიტოს თუ რომელ მშობელთან უკეთესი იქნებოდა შვილის დატოვება. აქ გასათვალისწინებელია არა მარტო მატერიალური ფაქტორები (ვთქვათ ერთი მეუღლე მდიდარია, მაგრამ ეწევა ამორალურ ცხოვრებას და მასთან შვილების დატოვება უარყოფითად იმოქმედებს საზოგადოების წევრის აღზრდაზე), არამედ მშობლის ზნეობრივი სახე, საყოფაცხოვრებო პირობები და სხვა აუცილებელი ფაქტორები, რომლებიც არასრულწლოვანის საუკეთესო აღზრდის პირობათა კომპლექსს შეადგენს. რაც შეეხება ალიმენტს, მშობელთა გადასახდელი ალიმენტის ოდენობაზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში, სასამართლომ იგი უნდა განსაზღვროს გონივრული, სამართლიანი შედარების საფუძველზე შვილების ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიღება როგორც მშობლის, ისე შვილის რეალური მატერიალური მდგომარეობა.

სასამართლო პრაქტიკამ აგრეთვე გაითვალისწინა შემთხვევები, როცა პირები გრძელვადიან ხელშეკრულებებს დებენ, განსაზღვრავენ მის პირობებს, განსაკუთრებით ფასზე შეთანხმდებიან და საბაზრო ეკონომიკის არასტაბილურობის პრინციპიდან გამომდინარე, იცვლება მხარეებისაგან დამოუკიდებლად ეს პირობები, მაგალითად გაიზარდა ნარდობისას ხარჯთაღრიცხვა. რა გააკეთოს ამ შემთხვევაში ბრუნვის კეთილსინდისიერმა მონაწილემ, სამუშაოს შემსრულებელმა, მას ხომ არ შეეძლო გაეთვალა ზუსტად ხარჯები? სწორედ ეს გაითვალისწინა დასაყლე-

თის სასამართლო პრაქტიკამ და განავითარა სამოქალაქო კანონმდებლობაში ნორმა, სადაც საუბარია ხელშეკრულების პირობების მისადაგებაზე შეცვლილი პირობებისადმი, თუ არ მოხდება ასეთი მისადაგება, მათ ხელშეკრულების მოშლა შეუძლიათ. მსგავსი ინსტიტუტი შევიდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსშიც **(მ, 398), კერძოდ,** თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვნილი იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა". შეუსრულებლის შესრულება ხომ არავის მოეთხოვება. ასევე სასამართლო პრაქტიკამ განავითარა მოსაზრება (ნორმათა მთელი ჯგუფი) რომლითაც ხელშეკრულების დადებაზე ხელშეშლისათვის ბრალეულ მხარეს დააკისრა პასუხისმგებლობა და განავითარა კიდეც ეს აზრი **სსსკ მ. 317-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით,** კერძოდ, „...ვალდებულება შეიძლება ხელშეკრულების მომზადების საფუძველზეც წარმოიშვას" (ე. წ. **culpa in contrahendo),** ან კიდევ, „მოლაპარაკების მონაწილეს შეუძლია მეორე მონაწილეს მოსთხოვოს იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც მან გასწია ხელშეკრულების დასადებად, მაგრამ ეს ხელშეკრულება მეორე მონაწილის ბრალეული მოქმედების შედეგად არ დადებულა".

სამოსამართლო სამართალი, როგორც სამართლის დამოუკიდებელი წყარო არაერთ ქვეყანაში წარმატებულად ასრულებს თავის დანიშნულებას. პრაქტიკული თვალსაზრისით, იგი წარმოადგენს ამა თუ იმ პოზიტიურად რეგლამენტირებული სამართლის ნორმაში არსებული აშკარა ხარვეზის ან უზუსტობის შევსების იდეალურ შესაძლე-

ბლობას – განსახილველ საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად. ცნობილია, რომ ჩვენს სინამდვილეში სამოსამართლო სამართლის სავალდებულოობაზე დღემდე მიმდინარეობს დავა სხვადასხვა აკადემიურ წრეში. ზოგიერთი გამოჩენილი სამართლის თეორეტიკოსი სამოსამართლო სამართალს სამართლის წყაროდ არც კი აღიარებს; ზოგიერთი კი სამოსამართლო სამართლის წყაროდ შესაძლო აღიარებას ქართული სამართლის მნიშვნელოვან განვითარებას უკავშირებს. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს საქმიანობა ეფუძნება სამოსამართლო სამართალს.

ავღნიშნავთ, რომ „ინგლისურ-ამერიკულ ქვეყნებში სამართლის წყაროს წარმოადგენს სამოსამართლო სამართალი, ე. ი. პრეცედენტული სამართალი. სამართლის გადაწყვეტილება მხოლოდ მაშინ ითვლება პრეცენდენტად, როდესაც კონკრეტული შემთხვევის გამო მიღებული გადაწყვეტილება საფუძვლად უდევს მომავალში ანალოგიური შემთხვევის გადაწყვეტას. ამ პრეცედენტებს აქვთ მბოჭავი ძალა – ზემდგომ პრეიუდიციებს უპირატესობა ენიჭებათ ქვემდგომი პრეიუდიციების მიმართ **(iudicium superius derogad iudicio inferiori)**. ისინი დაცულნი უნდა იყვნენ იმისდამიუხედავად, ეს გადაწყვეტილებები სწორად მიაჩნია თუ არა ქვემდგომ სასამართლოს. ამ გადაწყვეტილებებში მოცემული წესები მანამდეა მბოჭავი, ვიდრე ისინი არ გაუქმდება. გაუქმება კი შეიძლება ზემდგომი სასამართლოს ახალი გადაწყვეტილებით ან კანონით. სასამართლოს შეუძლია გათავისუფლდეს ადრე მიღებული გადაწყვეტილებისაგან, როდესაც ადგენს ახალ სამოსამართლო სამართალს. პრეიუდიციისაგან გათავისუფლების ერთ-ერთ ხერხს წარმოადგენს ე. წ. **distinguishing**, როდესაც გადახვევა დასაბუთებულია ერთეული შემთხვევის განსაკუთრებულობით“[70].

70. http://ka.wikipedia.org

§ 8. 2. სამოქალაქო ნორმის ინტერპრეტაცია

აქ არ შეიძლება არ შევჩერდეთ სამოქალაქო სამართლის ნორმის ინტერპრეტაციაზე. კერძოდ, **სამართლის ნორმათა ახსნა-განმარტების ხერხებში იმ საშუალებების, პროცედურებისა და ტექნოლოგიების ერთობლიობა მოიაზრება, რომელთა დახმარებითაც დგინდება ნორმის შინაარსი და დანიშნულება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „სამართლის ნორმის ახსნა-განმარტება ნიშნავს იმის დადგენას, თუ რა აზრი ჩადო მასში სამართლის ნორმის დამდგენმა სუბიექტმა. ნებისმიერი სამართლის ნორმა მსჯელობაა, ნებისმიერი მსჯელობა კი მოითხოვს მასში ნაგულისხმევი აზრის გაშიფვრას, განმარტებას, ინტერპრეტაციას. ამ მსჯელობას რამდენიმე ასპექტი აქვს. ამიტომ საჭიროა თითოეულის გამოვლენა, რომ საბოლოოდ გავიგოთ და დავადგინოთ ის აზრი, რაც ჩადებულია სამართლის ნორმაში“[71].**

სამოქალაქო სამართლის ნორმათა ახსნა-განმარტებაში კი მოიაზრება იმ საშუალებების, პროცედურების, ხერხების, საშუალებების, ასევე პროცედურების და ტექნოლოგიების გამოყენება, რომლის საშუალებითაც სამოქალაქო ნორმის შინაარსი და დანიშნულება მოიაზრება.

ჩვენ დაწვრილებით არ შევჩერდებით სამართლის ნორმის ინტერპრეტაციის ხერხებსა და საშუალებებზე, რამეთუ სამართლის თეორიაში სტუდენტები მას უფრო ღრმად გაეცნობიან. აღვნიშნავთ, რომ სამართლის ნორმის ყველაზე გავრცელებული შესაძლებლობაა, როცა მოსამართლე მასზე კანონმდებლობით მინიჭებული უფლებით განაკითარებს სამართალს, ე.ი. ავსებს კანონს, მაგრამ „მართლმსაჯულება არ უნდა გასცდეს იმ საზღვრებს, რომლებიც კანონის მიზნიდან და მიზანშეწონილობიდან გამომდინარე არ არის დადგენილი, მაგრამ არსებობს თვით კანონმდებ-

71. ბ. სავანელი, დასახ. ნაშრ; გვ. 166.

ლის მიერ ღიად დატოვებული სივრცე ნორმის შინაარსის დაკონკრეტებისა და მისი ლეგიტიმური ცვლილებებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი თავის თავზე აიღებდა იმ ფუნქციას, რომელიც... კანონმდებელს ეკუთვნის"[72]. მაგალითად, **საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის** თანახმად, „გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შეთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ არის გასული ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვეტილების განმარტების საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი მოსმენის გარეშე. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მხარეებს ეგზავნებათ შეტყობინება, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს გადაწყვეტილების განმარტების საკითხის განხილვას". „კანონთა ინტერპრეტაციისას ერთერთი აქტუალური საკითხია, განმარტების დროს კანონმდებლის ნება უნდა დადგინდეს თუ კანონს აქვს „თავისი საკუთარი ცხოერება" და ის უნდა იქნეს საზომად მიჩნეული[73]". კანონის აზრის შეცნობა ყოველთვის ადვილი საქმე როდია, რამეთუ ხშირ შემთხვევებში პირები თავიანთი აზრის გადმოსაცემად ისეთ სიტყვებს, გამოთქმებს იყენებენ, რომ გაუგებარი ხდება მეორე მხარისათვის (აქცეპტანტისათვის). მაგალითად, ბალახის საფარით დაფარული მოედნის „გადასელა"

72. რაინჰოლდ ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მეათე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2006, გვ. 63.
73. ლ. ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2000, გვ. 109.

აკრძალულია-წარწერა. იმ შემთხვევაში, თუ ამ ტერმინს ვიწრო მნიშვნელობით განვმარტავთ, მაშინ გამოდის რა? მხოლოდ ფეხით მოსიარულეებს ეუკრძალავთ ბალახით დაფარულ მინდორზე გადასვლას? გამოდის, რომ მასზე სატრანსპორტო საშუალებით გადასვლა დაშვებულია. ეს კი საერთოდ დააზიანებს მინდორს ბალახის საფარით. ამიტომ ზემოთ აღნიშნულ გამოთქმას ფართო განმარტება უნდა მივცეთ და ვიგულისხმოთ არა ფეხით გადასვლა მინდორზე, არამდე ყველანაირი ტრანსპორტით გადასვლაც, რადგან ეს საფარის გაფუჭებას გამოიწვევს. „აღნიშნული მაგალითიდან ჩანს, რომ კანონის განმარტებისას, არა მხოლოდ კანონმდებლის **სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობიდან** უნდა ამოვიდეთ, არამედ ასევე გასათვალისწინებელია **სალაპარაკო ენის ნიუანსები** და თავად **კანონის მიზანი** (თუ რა მიზანს ემსახურება იგი). ყურადღება უნდა გამახვილდეს ასევე აღნიშნული ნორმის **ისტორიულ-სისტემურ დამოკიდებულებაზე რეალობასთან“**[74].

სამოქალაქო სამართლის ნორმათა შინაარსის გარკვევა **გრამატიკული (მას ფილოლოგიურსაც უწოდებენ) განმარტებით იწყება.** სასამართლოს მიერ გრამატიკული განმარტებისას ნორმის შინაარსის ახსნა სიტყვითი მნიშვნელობისა და გრამატიკული წესების მიხედვით ხდება. ამ ხერხის მეშვეობით დგინდება ნორმის შინაარსის მთელი მოცულობა და აღმოიფხვრება მასში არსებული გაუგებრობანი. ამ ხერხის საშუალებით სიტყვათა მნიშვნელობა ირკვევა არა ერთმანეთისაგან იზოლირებულად, არამედ ტექსტთან კავშირში. იგი არკვევს მთლიანად წინადადებების მნიშვნელობას. გრამატიკული განმარტება ასევე ითვალისწინებს სიტყვათა შორის ლოგიკურ კავშირს, მთლიანად წინადადებების ლოგიკურ სტრუქტურას.

განმარტების სისტემატიკური ხერხის არსებობა განპირობებულია სამართლის სისტემურობით და სხვა

74. გ. მარიამიძე, დასახ. ნაშრ; გვ. 31.

ნორმებთან შედარების გზით კონკრეტული ნორმის აზრის გაგებაში წვდომით. ეს ისეთი ხერხია განმარტებისა, როდესაც სამართლის ნორმის შინაარსის გარკვევა წარმოებს მისი ადგილის მიხედვით მთელ სისტემაში და შეპირისპირებით იმ ნორმებთან, რომლებიც მსგავს ურთიერთობებს არეგულირებენ. კერძო სამართლის დარგების ცალკეული ნორმების ერთმანეთთან შეპირისპირების, შედარების შედეგად თითოეულ მათგანის ზუსტი შინაარსი უფრო ნათელი ხდება. მაგალითად, **სსკ 24-ე მუხლი** იურიდიული პირების განმარტების შესახებ ეხება როგორც კომერციულ, ისე არაკომერციულ (არასამეწარმეო) პირებს.

სამოქალაქო ნორმების ისტორიულ-პოლიტიკური განმარტება გვეხმარება ნორმის შინაარსის გარკვევაში იმ ისტორიული ვითარების, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შესწავლის შედეგად, რომელშიც ნორმა იქნა შემოღებული. ისტორიულ-პოლიტიკური განმარტება საშუალებას იძლევა გამოვლენილ იქნეს ისეთი ნორმები, რომლებიც ფორმალურად არ არიან გაუქმებული ან ვადაგასული, მაგრამ ფაქტიურად ძალა დაკარგული აქვთ და მათი გამოყენება და შეფარდება კონკრეტული კაზუსის მიმართ შეუძლებელია, რამეთუ არსებითადაა შეცვლილი ისტორიულ-პოლიტიკური ვითარება. აქ, ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა ენიჭება ასევე კანონის წარმოშობის ისტორიას. საუბარია ასევე იმ კანონპროექტებზე, ოქმებზე და სხვა, რომელიც წინ უსწრებდა კანონის მიღებას და, ასევე გასათვალისწინებელია ის ცვლილებები და დამატებები, რომლებიც დროთა განმავლობაში შევიდა კანონში. მაგალითისთვის: კანონის „ნორმატიული აქტის შესახებ 17(1) მუხლის თანახმად, კანონპროექტს უნდა დაერთოს **განმარტებითი ბარათი,** რომელშიც აისახება: ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ. მასში აღინიშნება: კანონპროექტის მიღების მიზეზი; კანონპროექტის მიზანი; კანონპროექტის ძირითადი არსი; კანონპროექტის ფინან-

სური დასაბუთება და სხვა. სადავოა საკითხი: ერთვის კი ყოველთვის განმარტებითი ბარათები ყველა კანონპროექტს და რამდენად ხელმისაწვდომია იგი მოქალაქეებისათვის, ეს სამსჯელო საკითხია.

თელეოლოგიური განმარტებისას კანონისა, უნდა გაირკვეს კანონის განმარტებისას გარკვეულ კანონს ფართო მნიშვნელობა უნდა მიეცეს თუ ვიწრო გაგებითაც შეიძლება მისი განმარტება.

„სამწუხაროა, რომ საქართველოში დამკვიდრებული არასწორი პრაქტიკით ხშირად ხდება **სკ 992-ე და 999-ე მუხლების** ერთმანეთში არევა, რაც წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით მიუღებელია და გამოუსწორებელ შედეგებს იწვევს. მაგ; ტვირთების გადამზიდავი თურქული კომპანია „ეკმეკის“ კუთვნილი ერთ-ერთი სატვირთო ავტომობილი, იმის გამო, რომ მძღოლი ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, რიკოთის უღელტეხილზე საქართველოს პროკურატურის კუთვნილი ერთ-ერთი ჯიპის ტიპის ავტომობილს დაეჯახა, რის შედეგადაც აღნიშნული ჯიპის ტიპის ავტომობილი ძლიერ დაზიანდა, ხოლო მასში მჯდარმა პროკურატურის ორმა თანამშრომელმა კი სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღო. სატვირთო ავტომობილის მძღოლის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო და თავისუფლება აღუკვეთეს, ხოლო მიყენებული ზიანის (დაზიანებული ავტომობილი, დაზიანებული მგზავრები) ანაზღაურების ვალდებულება კი სასამართლომ კომპანია „ეკმეკს“, როგორც სატვირთო ავტომობილის მფლობელს (მესაკუთრეს) დააკისრა სკ 999-ე მუხლის საფუძველზე(რეალური შემთხვევა). აღნიშნული გადაწყვეტილება უკანონოა და დაუსაბუთებელია, რადგანაც აქ საქმე სატვირთო ავტომობილის მძღოლის ინდივიდუალურ ბრალთან გვაქვს და ზიანის ანაზღაურებაც მხოლოდ მას უნდა დაეკისროს სკ 992-ე მუხლის საფუძველზე. ზემოაღნიშნული სიტუაცია სკ 999 მუხლის დასაცავ მიზანს

არანაირად არ წარმოადგენს“[75].

აქვე ორიოდ სიტყვით არ შეიძლება არ შევეხოთ სამოქალაქო ნორმების რეგულირებულ ურთიერთობათა მოცულობის გარკვევის **თვალსაზრისით სიტყვა-სიტყვით, შეზღუდვით და განვრცობით განმარტებებს.**

სამოქალაქო სამართლის ნორმების **სიტყვა-სიტყვითი განმარტება (ანუ ადექვატური განმარტება)** სამართლის ნორმის სიტყვიერი გამოხატვის სრულ შესაბამისობას გულისხმობს მის ნამდვილ აზრთან. ასეთ შემთხვევაში კანონმდებლის ნება და ამ ნების გამოხატულების ფორმა ურთიერთშესაბამისია.

საერთოდ, სამართლის ნორმის ანალიზის დროს ზოგჯერ საჭიროა ხოლმე სხვადასხვა განმარტებითი ლექსიკონის გამოყენება. საკანონმდებლო აქტის ენობრივი განმარტების დროს მნიშვნელობა ენიჭება მასში გამოყენებულ დამაკავშირებელ სიტყვებს, მაგალითად, „და“, „ან, ან“, „თუ“, „მაშინ“ და სხვა.

შეზღუდვითა **განმარტების დროს** სამოქალაქო სამართლის ნორმა უფრო ვიწროდ განიმარტება განსხვავებით მისი ტექსტობრივი გამოხატულებისა. ამ შემთხვევაში სამოქალაქო ნორმის ტექსტის სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობა უფრო ფართოა და მოვლენათა უფრო ფართო წრეს გულისხმობს, ვიდრე ეს კანონმდებელს სურს. მაგალითად, **სამოქალაქო კოდექსის 1229-ე მუხლის თანახმად,** „პირი, რომელიც იმყოფება მუდმივ აღსაზრდელად და სარჩენად, მოვალეა მისცეს სარჩო თავის ფაქტობრივ აღმზრდელს, თუ იგი შრომისუუნაროა, საჭიროებს დახმარებას, მაგრამ მისი მიღება არ შეუძლია თავისი შვილებისაგან ან მეუღლისაგან“. ბუნებრივია, აქ „მარჩენალში“ უნდა ვიგულისხმოდ ის პირი, რომელიც თვითონ იქნება შრომისუნარიანი და ექნება საკმაო მატერიალური სახსრები ფაქტობრივი აღმზრდელ-

75. გ. მარიამიძე, დასახ. ნაშრ., გე. 37.

ის შესანახად. **განვრცობითი განმარტება** სამოქალაქო სამართლის ნორმისა ნიშნავს, რომ ნორმის შინაარსი უფრო ფართოდ განიხილება, ვიდრე მისი ტექსტობრივი გამოხატულებაა. ასეთი სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმების ტექსტის სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობა უფრო ვიწროა, ვიდრე მასში კანონმდებლის მიერ ჩაქსოვილი აზრი, ე.ი. ნორმის ტექსტი სრულყოფილად, მთლიანად არ გამოხატავს კანონმდებლის ნებას და სწორედ ნორმის შეფარდების პროცესში შემფარდებლის მიერ საჭიროებს განვრცობით განმარტებას. განვრცობით განმარტებას ხშირად თან სდევს გამოთქმები „და ა.შ.", „და სხვა", „თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული" და სხვ. მაგალითად, **სამოქალაქო კოდექსის მ. 395, ნ.1** „მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს". ინდივიდუალურ შემთხვევაში გამოთქმა „თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს" - ფორსმაჟორული სიტუაციების ვარაუდი შეიძლება, რომელიც ცალკეულ შემთხვევაში უშვებს ბრალეულის პასუხისმგებლობისაგან გამონაკლის შემთხვევებს (გარდა საჰაერო კოდექსისა, სადაც ფორსმაჟორული სიტუაცია არ უხსნის კომპეტენტურ პირთ პასუხისმგებლობას ამ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე). მაგალითად, **სკ 408-ე მ., ნ. 4** „სარჩოს ნაცვლად დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს კომპენსაცია, თუ არსებობს „საამისო მნიშვნელოვანი საფუძველი". რა „საამისოდ მნიშვნელოვანი საფუძველი" უნდა არსებობდეს კომპენსაციის მიღებაზე, ეს აღნიშნული სამოქალაქო ნორმის კონკრეტული, ზუსტი განმარტების შედეგად უნდა დაადგინოს სამართალშემფარდებელმა.

ლოგიკური ახსნა-განმარტების დროს ხდება სამართლის (სამოქალაქო სამართლის) ნორმის ტექსტის ლოგი-

კური დაშლა. მაგალითად, **სამოქალაქო კოდექსის 465-ე მუხლის** შემთხვევაში, „კრედიტორს შეუძლია თავისი სურვილისამებრ შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ მოვალეს, როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ. ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე დანარჩენი მოვალეების ვალდებულება ძალაში რჩება". აღნიშნული ნორმა ლოგიკურად შეიძლება დაიშალოს რამდენიმე ნორმად, ლოგიკურ ნაწილად.

შეფარდებითი ახსნა-განმარტება. ზოგ შემთხვევაში ნორმატიული აქტის ტექსტში ზოგადი ცნებები ისე გამოიყენება, რომ მათი კონკრეტული შინაარსი არ ზუსტდება და ამ კონკრეტული შინაარსის შეფასებას, ანუ ცნებების ახსნა-განმარტებას ახდენს სამართალშემფარდებელი. ფაქტია, რომ სამოქალაქო სამართლის ნორმაში არც თუ ისე ხშირად გვხვდება ასეთი გამონათქვამები: „მნიშვნელოვანი ზიანი", ან კიდევ ვთქვათ საგადასახადო სამართალში „განსაკუთრებით დიდი ოდენობა" – (ეს გამონათქვამები გვხვდება აგრეთვე სისხლის სამართლშიც (მ. 218) და სხვ.). ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეუძლებელია გაირკვეს თითოეული ცნების ან ტერმინის შინაარსი, ე. ი. თუ რა აზრი ჩააქსოვა ან ტერმინებში კანონმდებელმა. ამიტომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სამართალშემფარდებელი უფლებამოსილია ინდივიდუალურად განმარტოს თითოეული ცნება და ტერმინი საქმის ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე. შეიძლება ასეთი მაგალითის მოყვანა: ზიანის მიყენებისას დაზარალებულის მიერ კომპენსაციის მოთხოვნისას მოსამართლემ უნდა გამოარკვიოს თუ რა ხარისხით მიეყენა პირს ზიანი, თუ „მომეტებულია ზიანი", ანუ მნიშვნელოვანია, იგი უნდა ანაზღაურდეს, ხოლო თუ მიყენებული ზიანი უმნიშვნელოა, ე. წ. ზღვარს ქვემოთაა, მაშინ შეიძლება არ დაკმაყოფილდეს ასეთი ზიანის ანაზღაურების საკითხი. „უმნიშვნელო ზიანი არ ანაზღაურდება"[75].

75. მ. თოდუა, ჰ. ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006, გვ. 41.

ან კიდევ სამართალშემფარდებელმა „ეკონომიკური ურთიერთობების სწრაფ კომერციალიზაციას დაუპირისპიროს „სუსტი" მხარის სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები, მათ შორის „ძლიერი" მხარის მომეტებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის შემოღების გზითაც"[76].

დაბოლოს, სამოქალაქო სამართლის ნორმის **კონსტიტუციური განმარტების** შესახებ. კონსტიტუცია ქვეყნის უზენაესი კანონია. იგი დეკლარაციულ ნორმებზე დაყრდნობით მკაფიოდ და ნათლად განსაზღვრავს სამართლის ყველა დარგის და, მათ შორის ცხადია სამოქალაქო სამართლის ფუძემდებლურ პრინციპებს, რომლითაც უნდა მოწესრიგდეს „პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობები" (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მ.1). აქ ორიოდე სიტყვით არ შეიძლება არ შევეხოთ **საკონსტიტუციო სასამართლოს საკონტროლო ფუნქციას,** რომელიც კერძო სამართლის განვითარებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. „ბოლო დროს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში სერიოზული შეფასების საგანი გახდა ნორმალური და სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვის საკითხები. მსოფლიოში მიღებული პრაქტიკით, აუცილებელი მოხმარების მთელი რიგი საგნების შეძენა ემორჩილება ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს. აქ არ მოქმედებს სახელშეკრულებო თავისუფლების აღიარებული წესი, ვინაიდან ხელშეკრულების პირობებს ერთი მხარე ე.წ. „შემთავაზებელი" განსაზღვრავს, მეორე მხარეს ისღა დარჩენია, რომ შეუერთდეს ასეთ პირობებს. ასეა მოსახლეობის ელექტროენერგიით, გაზით მომარაგებისას. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ შემთავაზებელი უკონტროლო სუბიექტია და როგორი პირობებიც მას მოუნდება, იმას შესთავაზებს მეორე მხარეს. ყველა შეთავაზებული პირობა უნდა იყოს სამართლიანი, თორემ ის ბათილად ჩაითვლება. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ეს პრობლემა

76. მ. თოდუა, ჰ. ეილემსი, დასახ. ნაშრ; გვ. 46.

მთელი სიმწვავით დადგა მოსახლეობისთვის მიწოდებული ელექტროენერგიის ტარიფის კონსტიტუციურობის შეფასებისას. **2002 წლის 30 დეკემბრის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში** ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ სამართლიანი ტარიფი ცოცხალი სამოქალაქო ბრუნვის აუცილებელი პირობაა. იგი გულისხმობს მომხმარებლის უმწეო მდგომარეობის არა ბოროტად გამოყენებას, არამედ მის მდგომარეობაში შესვლას. კერძოდ, ამ გადაწყვეტილებაში ითქვა **„სატარიფო პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს სამოქალაქო ბრუნვის ყველა მონაწილის პატივსადები ინტერესების გათვალისწინება. სამართლიანი ტარიფის არსებობა შესაბამისი სფეროს ნორმალური და სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, ვინაიდან ელექტროენერგიის სამოქალაქო ბრუნვა გულისხმობს კონკრეტულ მომხმარებელს. დაუშვებელია დადგინდეს ისეთი ტარიფები, რომლებიც მას ამ ბრუნვიდან მოწყვეტს და მის მიღმა დააყენებს. ამდენად ბრუნვის მონაწილეთა უფლებები ისე უნდა განისაზღვროს, რომ ეს ბრუნვა შედგეს და მისი სტაბილურობა ორივე მხარის ინტერესებში შედიოდეს. სასამართლოს გადაწყვეტილებიდან კი ჩანს, რომ სატარიფო ურთიერთობა ისეა განსაზღვრული, რომ მომხმარებელმა საკუთარი ვალდებულებები იცის მხოლოდ – ერთობ მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ საგანგებოდ მიაპყრო ყურადღება სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვის ჩამოყალიბებაში სახელმწიფოს ვალდებულებებზე – დაუშვებელია, რომ სახელმწიფომ ხელი დაიბანოს ამ ვალდებულებისაგან. თუ კი აუცილებელია სამომხმარებლო ტარიფით გამოწვეული ტვირთის სუბსიდირება, ამას სახელმწიფო უნდა ახდენდეს. არ შეიძლება სახელმწიფო არ წაეშველოს მოქალაქეებს, როცა საქმე ეხება აუცილებელი მოთხოვნილებების საგნებით მათ დაკმაყოფილებას.“**[77].

77. ბ. ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, გვ. 16-17.

§ 9. სამოქალაქო სამართლის ობიექტი, სუბიექტები, მიზანი. სამოქალაქო უფლებათა თავისუფლება პოლიტიკური უფლებებისაგან

სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლი კერძო სამართლებრივი ურთიერთობის **ობიექტად** მიიჩნევს ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალურ და არამატერიალურ სიკეთეებს, რომელიც კანონით დადგენილი წესით, ბრუნვიდან არ არის ამოღებული. ობიექტების ეს დეფინიცია უნდა განვიხილოთ **სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლთან** კავშირში, სადაც განმარტებულია ქონების ცნება. კერძოდ, „ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუ ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს". შევნიშნავთ, რომ **მე-7 მუხლში** ქონებრივ სიკეთეებთან ერთად საუბარია არამატერიალურ სიკეთეზეც, რომელიც მიგვაჩნია, რომ კანონმდებლობაში არასწორადაა მიჩნეული სამოქალაქო ბრუნვის ობიექტად, რამეთუ ისინი ბრუნვაუნარო სიკეთეებია, თუმცაღა ეს როდი უშლის ხელს პირს დაიცვას ვთქვათ პატივი, ღირსება, რეპუტაცია და სხვა. გამომდინარე აქედან სასურველია, რომ სამოქალაქო კოდექსში ყოფილიყო ფორმულირება აღნიშნულ მუხლებში იმის შესახებ, „არამატერიალური სიკეთეები, მიუხედავად იმისა, რომ ბრუნვის ობიექტს არ წარმოადგენენ, პირებს გააჩნიათ მისი დაცვის ღირსი ინტერესი". ობიექტები სამოქალაქო-სამართლებრივ რეჟიმს ექვემდებარებიან. ცხადია, რომ ეს ასეთი რეჟიმი დგინდება არა ზოგადად სიკეოეებისათვის, არამედ იმ სიკეთეებისათვის, რომლებიც ადამიანებთან არის დაკავშირებული და მათი განხორციელება განსაზღვრავს სხვადასხვა იურიდიულ მოქმედებს და მასთან დაკავშირე-

ბულ სამართლებრივ შედეგებსაც. საგნები, რა თქმა უნდა ითვლება საქონლად ეკონომიკური მნიშვნელობით, რადგან მას უფრო ფართო მნიშვნელობა და დატვირთვა გააჩნია, ვიდრე ნივთებს, რამეთუ ისინი ბრუნვის წესრიგს ემსახურებიან და მათზე ნებისმიერი სამოქალაქო-სამართლებრივი თუ ეკონომიკური გარიგების დადება შეიძლება (მაგალითად იყოს ექსპორტ-იმპორტის საგანი და სხვ.). ბრუნვის ობიექტს მიეკუთვნება ასევე შემოქმედებითი მოღვაწეობის პროდუქტები (იდეები და გადაწყვეტილებები), მაგალითად, ტექნიკური მოწყობილობები, ე.წ. მაგნიტური ჩანაწერები, ან დისკები, მხატვრული ნიმუშები, გამოხატული ფერწერაში, ნახატები, მხატვრული ნიმუშები და სხვა. ასეთ ნივთებზე შეუძლებელია პირდაპირი გაგებით ვილაპარაკოთ, როგორც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების საკუთრებაზე, რამეთუ შეუძლებელია მაგალითად კომპიუტერული თამაშების დისკის ყიდვით პირმა შეიძინოს მისი ავტორის (შემქმნელის) საავტორო უფლება, იგივეს ვიტყოდით მხატვრული ტილოს (შედევრის) ყიდვისას, მყიდველი ბუნებრივია ვერ შეიძენს ტილოსთან ერთად საავტორო უფლებასაც[78].

გერმანულ სამოქალაქო კოდექსში არსებობდა §90ა, რომლის მიხედვით **„ცხოველები არ წარმოადგენდნენ ნივთებს. ისინი BGB-ის მიხედვით დაცულნი იყვნენ სპეციალური კანონებით. კოდექსი აღიარებდა, რომ მათ მიმართ გამოყენებული უნდა ყოფილიყო ნივთების მიმართ დადგენილი ნორმები, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი“.** დღეს ეს პარაგრაფი გერმანული სამოქალაქო კოდექსიდან ამოღებულია. რაც შეეხება ქართულ სამოქალაქო კოდექსს, იგი სამართლებრივი რეგულირების მიღმა ტოვებს ცხოველებს. მხოლოდ **1003-ე მუხლში** შეგვახსენებს, რომ **„ცხოველის მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს ის**

78. Российский гражданский кодекс, Учебник, том I, Ответственный редактор Е. А. Суханов, Издание юридического факультета Московского Государственного Университета им. М. Ломоносова, 2011, стр. 299.

ზიანი, რომელიც მისმა ცხოველმა სხვას მიაყენა. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა, ცხოველი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, დაკარგული იყო თუ გაქცეული. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ გამოიყენება, როცა ცხოველის მფლობელმა მიიღო აუცილებელი ზომები მესამე პირების დასაცავად".

ნივთებად ითვლება აგრეთვე ფული და ფასიანი ქაღალდები. არაა აუცილებელი ნივთები მკვრივი სახისა იყოს, ასევე ნივთებს შეიძლება მიეკუთვნოს მკვრივი, ასევე აიროვანი და თხევადი საგნები, მაგალითად, ენერგორესურსები, რომლებიც მოპოვებულია ადამიანის მიერ, ნავთობი, გაზი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მოთავსებულია გარკვეულ სივრცობრივ „ჭურჭელში" (მაგალითად გაზი ე. წ. ბალონში), ბენზინი ავზში და სხვა.

საინტერესოა რუსეთის სამოქალაქო კოდექსის რეგულირება ცხოველებთან მიმართებით, რომელმაც მიიჩნია, რომ როგორც ნივთებია სამოქალაქო ბრუნვის ობიექტები, ასევე ცხოველებიც (მ. 137, 1-ლი ნაწილი), მაგრამ ასევე აღნიშნა, რომ ცოცხალი ცხოველები „სიტყვის მკაცრად განსაზღვრული აზრით" არ უნდა მივიჩნიოთ „ქონებად[79]."

„ნივთები პიროვნულობას მოკლებული საგნებია. ნივთების ცნებაში რომის სამართალი მოიაზრებს როგორც სხეულებრივ ნივთებს (საგნებს) – **res corporalis**, ასევე უსხეულო ნივთებსაც – **res incorporalis**. სხეულებრივი ნივთები განმარტებულია როგორც ისეთი ნივთები, „რომლებსაც მათი ბრუნვის მიხედვით შეიძლება შეეხო, მაგალითად, ადამიანი, მიწა, ტანსაცმელი, შენობა, ოქრო და სხვა ურიცხვი ნივთები[80]. უსხეულო ნივთები განმარტებულია როგორც

79. Российский гражданский кодекс, Учебник, том I, Ответственный редактор Е. А. Суханов, Издание юридического факультета Московского Государственного Университета им. М. Ломоносова. 2011, стр. 303.

80. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბილისი, 2000, 2002; ასევე იხ. Institutiones Iustiniani, L. II, T. II, მითითებულია წყაროდან: Институции Юстиниана, – перевод Д Расснера Под ред Л. Л. Кофанова, „Зерцало", Москва, 1998.

ისეთი ნივთები, რომლებთანაც შეხება შეუძლებელია და რომლებიც გამოიხატება უფლებაში: მემკვიდრეობის უფლება, აღნაგობა და სხვა. ფიზიკური აზრით, ადამიანის სხეული მატერიას კი მიეკუთვნება, მაგრამ ნივთს არ წარმოადგენს, რადგანაც იგი არ შეიძლება განეიხილოთ, როგორც სამოქალაქო ბრუნვის ობიექტი.... არც ადამიანის გვამი არ წარმოადგენს ნივთს, ვიდრე იგი განასახიერებს პიროვნებას. მას შემდეგ, რაც გვამი ანატომიის ინსტიტუტში მოთავსდება და მისი ანონიმიზირება მოხდება, ამით იგი კარგავს გარდაცვლილის პიროვნების სამოსელს და ნივთად იქცევა"[81].

შეიძლება თუ არა ადამიანის სხეულის ნაწილების გასხვისება მისი გარდაცვალების შემდეგ, როგორც ეს დაშვებული ბევრი სხვა ქვეყნის კანონმდებლობით? ქართული კანონმდებლობა მსგავს პრეცენდენტს არ იცნობს, მხოლოდ **საქართველოს კანონი „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ"** დასაშვებად მიიჩნევს პირის გარდაცვალების შემდეგ მისი ორგანოების ტრანსპლანტაციას მისი ახლობლების თანხმობით, მაგრამ არა გაყიდვის მიზნით. აღნიშნული **კანონის მე-5 მუხლის** თანახმად, „ქმედუნარიან პირს უფლება აქვს ნებაყოფლობით განაცხადოს თანხმობა ან უარი სიცოცხლეშივე ან სიკვდილის შემდეგ მისი ორგანოს აღებაზე. თანხმობა ან უარი შეიძლება ეხებოდეს ერთ ან მეტ ორგანოს. გადაწყვეტილება ფორმდება წერილობით და მას ადასტურებს სამკურნალო დაწესებულების ხელმძღვანელი".

ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები, სამედიცინო პროფესიულ ასოციაციებთან ერთად შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით, მოსახლეობას განუმარტავენ ორგანოს გაცემის, აღების, მისი სხვა ადამიანისათვის გადანერგვის შესაძლებლობასა და მნიშვნელობას.

81. ბ. ზოიძე, ქართული სანიეთო სამართალი, თბილისი, 2003, გვ. 26-27.

რომის სამართლის ისტორიას თუ გადავხედავთ, ნათლად იკვეთება, რომ რომის სამოქალაქო სამართლის წიაღში თანდათან გამომუშავდა ნივთების ცნება. რომაელ იურისტებს ნივთის მიმართ, ჩვენგან განსხვავებული, შეხედულება გააჩნდათ. იუსტიანიანეს ინსტიტუციების **(ტიტული II)** მიხედვით, „ზოგი ნივთი სხეულებრივია, ზოგიც – უსხეულო. 1. **სხეულებრივ ნივთებს** წარმოადგენენ ის ნივთები, რომლებსაც თავიანთი ბუნებრივი თვისებების გამო შეიძლება შევეხოთ, მაგალითად, მიწა (მიწის ნაკვეთი), ადამიანი[82], ტანსაცმელი, ოქრო, ვერცხლი და, ამის გარდა – სხვა უამრავი ნივთები; 2. **უსხეულო ნივთებს** წარმოადგენენ ის ნივთები, რომელთა შეხება არ შეიძლება. ასეთ ნივთებს მიეკუთვნებიან ის ნივთები, რომლებიც უფლებას წარმოადგენენ. მაგალითად, მემკვიდრეობა, უზუფრუქტი, ვალდებულება რა სახითაც არ უნდა იყოს იგი დადებული და არ აქვს მნიშვნელობა, რომ სამკვიდრო სხეულებრივი ნივთებისაგან შედგება, რადგან ნაყოფიც, რომელსაც ჩვენ მიწისგან ვიღებთ, სხეულებრივი ნივთია და აგრეთვე ის, რაც ჩვენ რომელიმე ვალდებულებით გვეკუთვნის. უმრავლეს შემთხვევაში ასევე სხეულებრივ ნივთს წარმოადგენს, მაგალითად, მიწის ნაკვეთი, ადამიანი (მონა); ფული...“ უსხეულო ნივთების რიცხვს მიეკუთვნება ქალაქისა და სოფლის მიწის ნაკვეთის (მამულების) უფლებანი, რომლებსაც სერვიტუტებსაც უწოდებენ“[83].

თანამედროვე გაგებით, კერძო სამართლებრივი ურთიერთობების **ობიექტად**, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიჩნეულია როგორც მატერიალური სამყაროს ობიექტები (უძრავ-მოძრავი ნივთები), რომლებიც სამოქალაქო ბრუნვის წესრიგს ემორჩილებიან, ასევე არამატერიალური სიკეთეებიც,

---

82. მონას რომში სამართლის სუბიექტად არ თვლიდნენ, იგი მათთვის ობიექტი იყო, რომელსაც ისე ეპყრობოდნენ როგორც ნივთს.

83. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბილისი, 2002, გვ. 65.

პირის პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია, ასევე სხვა არაქონებრივი უფლებების დაცვაც, რომლებიც საყოველთაოდ აღიარებული უფლებებია. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე კი (სასაქონლო ნიშნები, პატენტი, გამოგონება და სხვ.) განსაკუთრებული უფლებებია დადგენილი ამ ობიექტების მფლობელებისა.

სამოქალაქო კოდექსი (მ. 148) ნივთებს ჰყოფს **უძრავ და მოძრავ ნივთებად,** ხოლო უძრავი ნივთების დეფინიციას გვაძლევს **149-ე მუხლში,** საიდანაც ვიგებთ, რომ, „უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი, მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე".

როგორც სამოქალაქო კოდექსიდან ირკვევა, იგი არ გვაძლევს **მოძრავი ნივთების** დეფინიციას, და ეს შეუძლებელი იქნებოდა, მას ვერ ჩამოთელიდა, მისი სიმრავლის გამო, რამეთუ ერთ-ერთი ნიშანი მოძრავი და უძრავი ნივთების გამიჯვნისა, მათი სუბსტანციაა, რამეთუ უძრავი ნივთების გადაადგილება მისი სუბსტანციის მოშლის გარეშე შეუძლებელია, ხოლო მოძრავი ნივთები გადაადგილებისას სუბსტანციას არ იცვლიან, მაგალითად, მაგიდა სადაც არ უნდა გადაიტანოთ, ამით მისი არსი არ იცვლება და სხვ. რაც შეეხება საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსს, მ. 528-ე-ს მიხედვით, ბუნების მიხედვით მოძრავ ნივთებს მიეკუთვნება „პირუტყვი, საგნები, რომლებსაც შეუძლია ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა, თუნდაც ისინი მოძრაობდნენ თავისით ან მათ ადგილის შეცვლა შეუძლია გარეშე ძალის ზემოქმედების შედეგად"[84]. ავსტრიის ზოგადი სამოქალაქო კოდექსის თანახმად (§298), უფლებები მოძრავ ნივთებს განეკუთვნება, თუ ისინი არ არიან უძრავი ქონების ფლობასთან დაკავშირებული ან ლანდის კონსტიტუციის

84 .იხ. საიტი: https://www.google.ge/search?client=opera&q, Гражданское право Франции.

მიერ უძრავ ქონებად გამოცხადებული"[85].

უძრავ ნივთებზე საკუთრების წარმოშობის გზები **(მ. 183-185)** განსხვავდება **მოძრავ ნივთებზე (მ. 186-197)** საკუთრების შეძენის სამართლებრივი გზებისაგან. თუ უძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის სამართლებრივი საშუალებები რამდენადმე გართულებულია (მხარეთა შორის წერილობითი გარიგების დადება და ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში), მოძრავი ნივთები კი შემძენს შეიძლება გადაეცეს „ნამდვილი უფლების საფუძველზე", ანუ კანონმდებლობა მოძრავი ნივთების სხვა პირზე გადასაცემად მხარეებს უფლებამოსილებით აღჭურავს,რომ ზეპირად დადოდ მასზე ხელშეკრულება. მაგალითად, **სკ მ. 624-ე მუხლის** თანახმად, „სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად...."

ასევე ნივთები შეიძლება იყოს: **შეცვლადი და შეუცვლადი,** რომლებიც ბევრად არაფრით განსხვავდებიან **გვაროვნული და ინდივიდუალური ნიშნით** განსაზღვრული ნივთებისაგან. თუმცაღა, თუ შეცვლადი და შეუცვლადი ნივთები ობიექტური ნიშნებით განისაზღვრება, გვაროვნული და ინდივიდუალური ნიშნებით ნივთების გამიჯვნისას მთავარია სუბიექტური კრიტერიუმები, ბრუნვის ტრადიციებზე მითითება კი არ ხდება. **შეცვლადი ისეთი მოძრავი ნივთებია,** რომელთა შეცვლაც შეიძლება მათი მსგავსი ნივთებით (ფული, ფასიანი ქაღალდები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და სხვ.), ხოლო **შეუცვლადი ნივთებია** ინდივიდუალურად დამზადებული ნაკეთობანი, ხელოვნების ნიმუშები და სხვა. **სამოქალაქო კოდექსის 381-ე მუხლის** თანახმად, „თუ ხელშეკრულების საგანია ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი, კრედიტორი არ არის ვალდებული მიიღოს სხვა ნივთი, თუნდაც უფრო მაღალი ღირებულების მქონე". მაგალითად, როცა ერთი პირისათვის

85. ის. საიტი: http://lections.net/avstriyskiy-grazhdanskiy-kodeks.htm - Австрийский гражданский кодекс.

მზადდება სპეციალურად ნივთი, ვთქვათ მანქანა და მას გაანადურებს (ვთქვათ ავარიით) მონათხოვრე, იგი ბუნებრივია იმავე ნივთს ვერ დაუბრუნებს მესაკუთრეს, ამიტომ მას მოეთხოვება ნივთის სანაცვლოდ ზიანის ანაზღაურება. რაც შეეხებს გვაროვნულ ნივთებს, „თუ შესრულების საგანია ნივთი, რომლის შეცვლაც შეიძლება (გვაროვნული ნივთი) მოვალემ ვალდებულება ყოველთვის უნდა შეასრულოს". მაგალითად, თუ მონათხოვრემ მესაკუთრეს სერიული გამოშვების მანქანა დაუზიანა ავარიის დროს, იგი ვალდებულია ან გაურემონტოს (თუკი ეს შესაძლებელია), ან კიდევ მესაკუთრის მოთხოვნით ჩაუნაცვლოს იგივე საგნით (მანქანით).

საინტერესო საკითხია ერთმანეთთან დაკავშირებული ნივთების სამართლებრივი რეჟიმი. სამოქალაქო კოდექსმა უნდა გადაწყვიტოს ურთიერთდაკავშირებული ნივთების ბრუნვაუნარიანობა და სამართლებრივ ურთიერთობებში მათი მონაწილეობის წინაპირობები. სამოქალაქო კოდექსი ამასთან დაკავშირებით იცნობს ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილს **(სსკ მ. 150)** და **ნივთის საკუთვნებელს (სსკ მ. 151). ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილს** წარმოადგენს ნაწილი, რომლის გამოცალკევებაც შეუძლებელია მთლიანი ნივთის ანდა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე და იგი ცალკე უფლების ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. გამოდის, რომ ძირითადი ნივთის გასხვისება შეუძლებელია მისი შემადგენელი ნაწილის გარეშე. მაგალითად ავტომანქანა შედგება ძარის, საჭის, და სხვა აუცილებელი ნაწილებისაგან, რომელიც ერთობლიობაში ქმნიან ერთიან ნივთს და მისი გასხვისება შეუძლებელია ცალ-ცალკე, ისე რომ მისი სუბსტანცია არ დაირღვეს. ნივთის შემადგენელი ნაწილები იზიარებენ ამ ნივთის სამართლებრივ ბედს.

სამოქალაქო კოდექსის 151-ე მუხლის თანახმად კი, **„საკუთვნებელი** არის მოძრავი ნივთი, რომელიც თუმცა არ

არის მთავარი ნივთის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისათვის, დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რის გამოც იგი სივრცობრივ კავშირშია მთავარ ნივთთან და, დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, ითვლება საკუთნებლად". ასე მაგალითად, ავტომანქანა და „დომკრატი", სერიული გამოშვების ავტომანქანის ძრავა, თუმცა ძრავა, რომელიც ავტომანქანაშია დამონტაჟებული, პირიქით, მის არსებით შემადგენელ ნაწილად ითვლება. საკუთვნებლის დახასიათებისას საყურადღებოა მისი **ორგვარი სამართლებრივი ბუნება,** როგორც დამოუკიდებელი ნივთის და როგორც მთავარ ნივთთან დაკავშირებული ნივთის. საკუთნებელი, როგორც დამოუკიდებელი ნივთი, შეიძლება, არსებითი შემადგენელი ნაწილისაგან განსხვავებით, ცალკე უფლების ობიექტი შეიძლება იყოს. მაგალითად, ავტომანქანის საბურავი ან „დომკრატი" შეიძლება გაიყიდოს ცალკე.

არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს მიეკუთვნება ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, ან გამიზნულია საამისოდ, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე. არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს ჩვეულებრივ **„უსხეულო ნივთებს"** უწოდებენ. ისინი „ემორჩილებიან საკუთრების უფლების ცნებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. მათი ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ისევეა შესაძლებელი, როგორც სხეულებრივი სიკეთეებისა"[86]. „თუ ნივთების უკან არსებული უფლების სამიზნე თვით ეს ნივთებია, უსხეულო ნივთების უკან არსებული უფლების სამიზნე სრულიად სხვა საგნებია. სხვანაირად, თუ ერთ შემთხვევაში ნივთია უფლების მატარებელი, ვთქვათ ავტომობილზე საკუთრე-

86. ბ. ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003, გვ. 47.

ბის უფლებისა, სხვა დროს, თვით არამატერიალური სიკეთე, როგორც უფლება, სანივთო უფლების წყაროა. ასეთი იქნება ლატარიის ბილეთი, რომელსაც მოგების სახით წილად ხვდა ავტომობილი"[87]. რაც შეეხება არამატერიალურ სიკეთეებზე მოთხოვნის უფლებას, მათ განეკუთვნება ისეთი მოთხოვნებიც, რომელთა გადაცემა და დაგირავება შესაძლებელია. მაგალითად, ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნა შეიძლება სამართლებრივად მოვიაზროთ, როგორც სახელშეკრულებო-სამართლებრივი, ასევე დელიქტურიც.

მაინც რა მიიჩნევა ქონებად? კითხვაზე პასუხს გავცემთ იმ გაგებით, რომ ქონებად მიიჩნევა ქონებრივი უფლებების ერთობლიობა. ანუ, მხოლოდ აქტივები (უფლებები) და არა ვალდებულებები (პასივები).

აქვე არ შეიძლება არ შევეხოთ ორიოდ სიტყვით **აქცესორულ და შეზღუდულ უფლებებს. აქცესორულია** ისეთი უფლება, რომელიც ისეა დაკავშირებული მთავარ უფლებასთან, რომ მის გარეშე არ შეიძლება არსებობდეს **(სამოქალაქო კოდექსი, მ. 153, ნ.1). აქცესორული უფლება** სხვა სიტყვებით მთავარ უფლებას ემსახურება და მის სამართლებრივ ბედს იზიარებს, მას თან მიჰყვება. მაგალითად, თავდების მიმართ მოთხოვნა, გირავნობა, იპოთეკა და სხვა. ასევე, მოთხოვნა სახელშეკრულებო ამ კანონისმიერ პროცენტზე, ზიანის ანაზღაურებაზე და სხვა. აქცესორული (დამატებითი) უფლება არ შეიძლება არსებობდეს მთავარი უფლების გარეშე. მაგალითად, სესხი და მისი პროცენტი, პროცენტზე უფლებაა მანამაა, სანამ არსებობს მთავარი უფლება–სესხის მოთხოვნის უფლება და სხვა.

რაც შეეხება **შეზღუდულ უფლებებს,** იგი ნაწარმოებია იმ ფართო უფლებისაგან, რომელიც დატვირთულია ამ შეზღუდული უფლებით **(სამოქალაქო კოდექსი, მ. 153, ნ.2).** იგი განსხვავებით აქცესორული უფლებისაგან, დამოუკიდებელი

87. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბილისი, 1999, გვ. 32.

უფლებაა და შეიძლება დამოუკიდებლადაც გასხვისდეს. შეიძლება რომ ეს უფლება მთავარი უფლების უკეთ განხორციელებასაც ემსახურებოდეს. მაგალითად, სანიეთო სამართლებრივი ინსტიტუტები: აღნაგობა, უზუფრუქტი, სერვიტუტი; ვალდებულებით -სამართლებრივი ინსტიტუტებიდან შეიძლება მაგალითის სახით მოვიტანოთ იჯარის უფლება, რომელიც საკუთრებიდან წარმოიშობა და საკუთრებისეე სახელშეკრულებო დატვირთვას წარმოადგენს. ავიღოთ სხვისი საკუთრების შეზღუდული უფლების სადემონსტრაციოდ **აღნაგობის უფლება სამოქალაქო კოდექსი მ. 233-დან,** კერძოდ, „მიწის ნაკვეთი შეიძლება სხვა პირს გადაეცეს ვადიან სარგებლობაში, ისე, რომ მას ჰქონდეს ამ ნაკვეთზე ან მის ქვეშ რაიმე ნაგებობის აღმართეის უფლება, ასევე ამ უფლების გასხვისების, მემკვიდრეობით გადაცემის, ხოეების, გაქირავების უფლება (აღნაგობის უფლება). დღეს აღნაგობის უფლება ფართოდ გამოიყენება საგადასახადო სამართალშიც. მაგალითად, ქობულეთის ტურისტულ ზონაში, ინვესტორებს, სასტუმროს მშენებლებს მიწის ნაკვეთები გრძელვადიანი გარიგებით გადაეცემათ 2026 წლამდე გადასახადებისაგან გათავისუფლების რეჟიმით, საკურორტო ობიექტების ასაშენებლად და სხვა[88].

საწარმო. საქართველოს 1994 წლის კანონი „მეწარმეთა შესახებ“არ იძლევა საწარმოს დეფინიციას, მხოლოდ გვთავაზობს მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციის პირობებს (მ.4). თუმცაღა სამოქალაქო კოდექსი ამ ტერმინს იყენებს სკ 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის შემთხვევაში, სადაც არასრულწლოვანის ნაწილობრივ ემანსიპაციაზეა საუბარი, სადაც 16 წელს მიღწეულ არასრულწლოვანს კანონიერი წარმომადგენლები საწარმოს მართვის უფლება ანიჭებენ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობით და იგი ამ სფეროსათვის ჩეეულებრივ ურთიერთობებში

88. იხ, ი. ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2014, გვ. 329-335.

შეუხლუდავად ქმედუნარიანი ხდება და ეს გამოიყენება როგორც საწარმოს დაფუძნების, ასევე ლიკვიდაციისა და შრომითი ურთიერთობების დაწყების ან დამთავრების მიმართაც. **გერმანული სამოქალაქო კოდექსი §14-ში** განმარტავს **მეწარმის ცნებას,** რომელსაც წარმოადგენს ფიზიკური ან იურიდიული პირი ანდა უფლებაუნარიანობის მქონე ამხანაგობა, რომელიც გარიგების დადებისას მოქმედებს სამეწარმეო ან დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში. უფლებაუნარიანობის მქონე ამხანაგობას კი გერმანული სამოქალაქო კოდექსის მიხედვით წარმოადგენს ამხანაგობა, რომელსაც მინიჭებული აქვს უნარი, შეიძინოს უფლებები და იკისროს ვალდებულებები. ქართული სამოქალაქო კოდექსი მსგავს დანაწესს არ იცნობს.

საწარმო, როგორც სამართალურთიერთობის ობიექტი, წარმოადგენს ქონებრივ კომპლექსს, რომელიც პირობითად ოთხ ჯგუფად იყოფა: **ნივთები (სსკ მ. 147), ქონებრივი უფლებები** (სამართალურთიერთობის მონაწილეთა სუბიექტური უფლებები, რომელიც ქონებას ფლობს, სარგებლობს მისით და განკარგავს ამ ქონებას; ასევე მას უკავშირდება ქონებრივი მოთხოვნები, რომელიც ამ ქონების გაყოფის, ან გაცელის დროს წარმოიშობა; **ქონებრივი ვალდებულებები** (სამართალურთიერთობის მონაწილეთა ქონებრივი ვალდებულებები); **უფლება არამატერიალურ სიკეთეებზე.** აქ, ამ შემთხვევაში იგულისხმება საწარმოს იდენტიფიკაციისა და ინდივიდუალიზაციის საშუალებები და ა. შ.)[89]. „ზემოაღნიშნული სულაც არ ნიშნავს, რომ საწარმოსთან დადებული გარიგება აუცილებლად ყველა ჯგუფის ელემენტს უნდა მოიცავდეს. დასაშვებია, რომ სამართალურთიერთობის ობიექტი იყოს არა საწარმო მთლიანად, არამედ მხოლოდ მისი ნაწილი. მისი შინაარსის მექანიკური დაყვანა ამა თუ

89. იხ. ქ. ქოქრაშვილი, სამეწარმეო სამართალი, თბილისი, 2010, გვ. 87.

იმ ნივთების კომპლექსის გაგებამდე დაუშვებელია"[90].

საწარმო შეიძლება იყოს სამოქალაქო ბრუნვის საგანი, მაგალითად ნასყიდობის ხელშეკრულებისა, იჯარისა და სხვა. აქ შეგვიძლია გამოვყოთ **ორი ფაქტორი: ჯერ ერთი,** საწარმოს, როგორც ქონებაზე ხელშეკრულების დადება (მაგალითად ნასყიდობისა) და **მეორეც,** საწარმოს წილების, აქციების ყიდვა. ასევე პრაქტიკაში არის პრეცენდენტები საწარმოს მხოლოდ ქონების გასხვისებისა, ანუ საწარმოს ტექნიკური აღჭურვილობის გაყიდვისა, შენობის გარეშე გასხვისებისა და სხვ. საწარმო შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებადაც.

ფიზიკური პირები. კერძო სამართლებრივი ურთიერთობების, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე შეიძლება იყოს ნებისმიერი **ფიზიკური პირი,** არა აქვს მნიშვნელობა იგი ქმედუნარიანია თუ ქმედუუნარო, თუმცა ქმედუუნარო პირები, **ე.წ. „პასიური მონაწილეები"** არიან სამოქალაქო ურთიერთობებისა, იმ გაგებით, რომ მათ ბრუნვაში აქტიური ჩარევა სამოქალაქო გარიგებების დადების მეშვეობით არ შეუძლიათ, მათ მხოლოდ დადებული გარიგებების შედეგად „სიკეთეთა" მიღების უფლებები გააჩნიათ. რაც შეეხება **იურიდიულ პირებს,** ისინი შეუზღუდავად ფუნქციონირებენ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში, მიუხედავად იმისა, ისინი არასამეწარმეო თუ სამეწარმეო იურიდიულ პირებს წარმოადგენენ, რომლებიც ასევე ცალკე, სპეციალურად რეგულირდებიან კანონით „მეწარმეთა შესახებ". **სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის** ზოგადი განმარტება იურიდიული პირების შესახებ მათ საესებით მიესადაგება.

რაც შეეხება სახელმწიფო ორგანოების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს სხვა პირებთან, ეს ასევე სამოქალაქო კანონით წესრიგდება, თუ ეს ურთიერთობები სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე არ უნდა

90. ქ. ქოქრაშვილი, დასახ. ნაშრ; გვ. 87-88

მოწესრიგდეს საჯარო სამართლით (მაგალითად, საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ კერძო სამართლის პირებთან დადებული გარიგებები სამოქალაქო სამართლის ნორმებით წესრიგდება).

სამოქალაქო ურთიერთობების მონაწილეებმა ერთმანეთთან სამართლებრივი ურთიერთობები (ურთიერთვალდებულებები) კეთილსინდისიერების პრინციპებიდან გამომდინარე უნდა მოაწესრიგონ. ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებლობა მორალურ იმპერატივებს ეფუძნება, რომელიც ამაეე დროს ქვეცნობიერად კანონისადმი მორჩილებას ქადაგებს. იგი თითქოსდა „სამოქალაქო სამართლის ციხესიმაგრედ გვეელინება. სამოქალაქო ბრუნვის მინაწილეების მიერ თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების **კეთილსინდისიერად შესრულებაზე** არაერთი მუხლი მიგვითითებს. მაგალითად, **სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი,** „ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას", ან კიდევ, **სსკ მ. 346-ე:** „ბათილია ხელშეკრულებათა სტანდარტული პირობა, მიუხედავად ხელშეკრულებაში მისი ჩართვისა, თუ იგი ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ, საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის..."

სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლი „მეფურ მუხლს" წარმოადგენს, რადგანაც მთელი სამოქალაქო კანონმდებლობა, სამოქალაქო ბრუნვა კეთილსინდისიერების პრინციპზეა დაფუძნებული. კეთილსინდისიერება ხომ სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა მოქმედებას გულისხმობს ერთმანეთისადმი ნდობით, გულისხმიერებით, პატივისცემით. ეს დეფინიცია სამოქალაქო სამართლის მოქმედების ამოსავალი პრინციპია. „კეთილსინდისიერების საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი. ნორმის განმარტების საფუძველზე კეთილსინდისიერება სამართალგანვითარების ინსტრუმენტიც ხდება. **კოდექსის მე-5 მუხლის მეორე**

ნაწილის თანახმად, სამართლის ანალოგიის გამოყენება ხდება არა მხოლოდ სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე, არამედ **სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნების შესაბამისადაც.** ამდენად **კეთილსინდისიერება** სამოსამართლო სამართლის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი საფუძველია. კანონმდებლის მიერ დაშვებულ ხარვეზს მოსამართლე ისევე გამოასწორებს, როგორც ამას თვით კანონმდებელი გააკეთებდა. როგორც ერთისათვის, ისე მეორესათვის კეთილსინდისიერება წარმოადგენს სინამდვილის შეფასების ერთ-ერთ სერიოზულ კრიტერიუმს"[91]. კეთილსინდისიერება სამოქალაქო ურთიერთობების განუყრელი შემადგენელია როგორც სასყიდლიანი, ისე უსასყიდლო გარიგებების დადებისას.

„კეთილსინდინდისიერების პრინციპი კერძო სამართლის უნივერსალური შეფასებითი კატეგორიაა. კონტინენტურ ევროპულ სამართალში **„კეთილსინდისიერების დათქმა"** რომის სამართლიდან მოყოლებული გამოიყენება. მან შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა ევროპულ საერთო სამართალში და კოდიფიკაციების შემუშავების შემდეგაც"[92]. „ბრუნვაში ელინდება ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც ადამიანს აქცევს ღირებულებით შემკულ სუბიექტად. უმთავრესი ამ ბრუნვისათვის **კეთილსინდისიერებაა.** არა ყველა ბრუნვაა ფასეული, არამედ კეთილსინდისიერი ბრუნვა; კეთილსინდისიერება, არა როგორც გარეგანი მოვალეობა, არამედ შინაგანი მოთხოვნილება სუბიექტისა... მე როგორც ბრუნვის მონაწილე, კეთილსინდისიერად ვიქცევი არა შენთვის, არამედ ჩემთვის: თუ ჩემთვის ვიქცევი ასე, ის შენთვის ქცევა იქნება შენს თვალში. ამიტომაც ვამბობ, რომ რაც უფრო ძლიერადაა გაჟღენთილი სამოქალაქო ბრუნვა კეთილსინდისიერებით, მით მაღალი მართლშეგნების ადა-

91. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ. 2001, გვ. 271.
92. დ. კერესელიძე, დასახ. ნაშრ; გვ. 83-84.

მიანები იქნებიან მისი სუბიექტები. კეთილსინდისიერება ნდობაზეა აგებული. რაც უფრო ძლიერია ნდობის ფაქტორი, მით უფრო მშვიდობიანია სამოქალაქო ბრუნვა..[93]"

სამოქალაქო კანონები საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლებას უზრუნველყოფენ, თუ ეს თავისუფლება არ ხელყოფს მესამე პირის უფლებებს **(სსკ მ. 9).**

„ქართული სამოქალაქო კოდექსის სერიოზული თავისებურებაა **მესამე პირთა ინტერესების დაცვა.** კოდექსის მთელ სხეულს წითელ ზოლად გასდევს მისი ეს ნიშან-თვისება. მესამე პირი თავისი ინტერესებით წარმოჩნდება ყველგან – სანივთო სამართალშიც და ვალდებულებითშიც, საოჯახოშიც და მემკვიდრეობითშიც. მესამე პირთა უფლებრივი თავისებურება იმაშია, რომ ზოგჯერ მათი მდგომარეობა მთლიანად მხარეთა ნებით განისაზღვრება, ზოგჯერ კი მხოლოდ მესამე პირის ნება ხდება ანგარიშგასაწევი. განსაკუთრებით ეს უკანასკნელი ვითარებაა გამოკვეთილი სანივთო სამართალშიც"[94].

სამოქალაქო კოდექსის 349-351-ე მუხლები („მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებები"), 170-ე მუხლით (ნ.1) გათვალისწინებული პრინციპი, რომ მესაკუთრეს მაშინ შეუძლია მინიჭებული უფლებების განხორციელება „თუკი ამით არ ირღვევა მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები". **სსკ მ. 298, ნ. 2:** „თუ პირადი მოვალე დააკმაყოფილებს კრედიტორს, იპოთეკა მასზე გადადის იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მას შეუძლია მესაკუთრისგან ანაზღაურების მოთხოვნა". ანდა კიდევ, **სსკ მ. 372, „კრედიტორის დაკმაყოფილება მესამე პირის მიერ"**, სადაც საუბარია იმ ფაქტზე, რომ თუ კრედიტორი მიმარ-

93. ბ. ზოიძე, სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა. ესეები, თბილისი, 2013, ესეედან: „სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლება და სახელმწიფოებრივი მართლშეგნება".
94. ბ. ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, გვ. 196.

თავს იძულებით აღსრულებას მოვალის კუთვნილ ნივთზე, მაშინ ყოველი პირი, რომელსაც ექმნება საფრთხე, რომ იძულებითი აღსრულების შემდეგ დაკარგავს უფლებას ამ ნივთზე, უფლებამოსილია დააკმაყოფილოს კრედიტორი. როცა მესამე პირი დააკმაყოფილებს კრედიტორს, მაშინ მოთხოვნის უფლება გადადის ამ პირზე"; **სსკ მ. 1130, ნ.2** ეხება იმ პირთა უფლებებს, როცა მეუღლეთა შორის განქორწინებისას ქონების გაყოფისას ერთერთი მეუღლის საკუთრებაში აღმოჩნდება მესამე პირის ქონება, მაშინ დავა ქონების გაყოფის შესახებ ამ შემთხვევაში არ შეიძლება გადაწყდეს განქორწინების საქმესთან ერთად; ან კიდევ, **სსკ მ. 1335 („სამკვიდროდან ნივთის გამოთხოვის უფლება"):** „თუ მოანდერძემ, არასწორად დაუტოვა მემკვიდრეს ნივთი, ამ ნივთის მესაკუთრეს აქვს უფლება გამოითხოვოს იგი საერთო წესის მიხედვით" **(ნ.1)** და სხვ., აშკარად მიუთითებენ, უფლებამოსილი პირების უფლებების დაცვის ფართო სპექტრზე.

აქ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ მესამე პირთა ანარიშგასაწევი ინტერესები არსებითია სამოქალაქო კანონმდებლობისათვის, რათა მათი ინტერესების დაცვა მოდავე მხარეების დავის სამართლიანი გადაწყვეტისას მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე, არ მოხდეს მათი ინტერესების იგნორირება და ურთიერთობა ჰარმონიულად და მშვიდობიანად მოგვარდეს.

სამოქალაქო კოდექსი პირთა თანასწორობაზე დამყარებული სამართლებრიეი ურთიერთობაა და ბუნებრივია იგი ემიჯნება პოლიტიკურ უფლებებს. **სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილიც** მიგვითითებს ამის შესახებ: „სამოქალაქო უფლებების განხორციელება არ არის დამოკიდებული პოლიტიკურ უფლებებზე, რომლებიც განისაზღვრება კონსტიტუციით ან საჯარო სამართლის სხვა კანონებით. ნორმის მიზანი ცხადი და გასაგებია. **ჯერ ერთი,** რომ პირთა თანასწორობაზე დამყარებული სამართალია,

სადაც კერძო სამართლებრივი ხასიათის ქონებრივი ურთიერთობა მხარეთა უფლებრივი თანასწორობის პრინციპზეა დაფუძნებული, რაც „პარმონიზებული ფულად-სასაქონლო ურთიერთობების არსებობას გულისხმობს და იურიდიულ თანასწორობას სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტთა შორის, მათ ქონებრივ დამოუკიდებლობას, მათი მხრივ ინიციატივის გამოჩენას, გარეშე პირთა ჩაუერევლობას. ამასთანავე სამოქალაქო უფლებებით სარგებლობენ როგორც არასრულწლოვანი (რომელთაც პოლიტიკური უფლებები არა აქვთ, იგივე ითქმის პატიმრებზე), ქმედუუნარო (შეუძლია იყოს მემკვიდრე, გარიგებით ცალსახად მიიღოს სარგებელი და სხვ.), ასევე ქმედუნარიანი პირები. თუ გადავხედავთ საჯარო-სამართლებრივ ნორმებს, აშკარაა, რომ **ჯერ ერთი,** იგი ვერტიკალური დაქვემდებარების პრინციპზე აგებულ დარგებს მოიცავს, სადაც მბრძანებლური ნორმების სიჭარბეა და **მეორეც,** გარიგების დადებასაც საჯარო სამართალში სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ ნების გამოვლენა სჭირდება. ამ და სხვა მიზეზების გამო, ბუნებრივია გამიჯნული უნდა იყოს სამოქალაქო-სამართლებრივი უფლებები პირის პოლიტიკური უფლებებისაგან. სავსებით დასაბუთებულად ბრძანებს პროფ. **ბ. ზოიძე,** რომ **„ფიზიკური პირი, კერძო სამართლის სრულფასოვნი სუბიექტი მაშინაა, როცა ის პოლიტიკური უფლებისაგან თავისუფალი პირია. პოლიტიკური უფლებები არც დაბრკოლებაა და პრივილეგია“**[95].

„სამოქალაქო ურთიერთობების მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება“. ფიზიკური და იურიდიული პირები უფლებამოსილნი არიან ნებისმიერი გარიგების დადებაზე, თუ იგი კანონით აკრძალული არ არის (მაგალითად, დაუშვებელია

95. ბ.ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, გვ. 198.

იარაღით, ნარკოტიკული, ქიმიური ნივთიერებებით ვაჭრობა კერძო პირებისა და სხვ.).

სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებიდან გამომდინარე უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან სხვათა თავისუფლებას იცავს სამოქალაქო კოდექსის იმპერატიული ნორმები. ეს ნორმები მხარეთათვის აუცილებელი, უპირობო შესასრულებელია, ისინი იძულებითი ხასათის ნორმებია, რომელთა შეცვლა მხარეებს თვითნებურად არ შეუძლიათ. აღნიშნული ნორმები ცალსახად ისევე სამოქალაქო ბრუნვის წესრიგს ემსახურება და პირთა უფლებებს მეტ გარანტიას სძენს. სამოქალაქო სამართალში იმპერატიული ნორმები მეტნაკლებად გვხვდება, ცხადია პირთა თანასწორობის დისპოზიციური ნორმების სიჭარბეა, მაგრამ იმპერატიული ნორმებიც იჩენს თავს. მაგალითად, თუ სანიეთო, საოჯახო, სამემკვიდრეო სამართალში იმპერატიული ნორმები უფრო ხშირად გვხვდება, ამ ნორმების ნაკლებობით გამოირჩევა ვალებულებითი სამართალი და ბუნებრივიცაა, რადგან აქ მთავარი პირთა ნების თავისუფალი გამოვლენაა ორმხრივი გარიგებების დადებისას, ამასვე ითვალისწინებს 319-ე მუხლიც, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას“.

კითხვები:

1. რას შეისწავლის სამოქალაქო სამართალი?

2. როდის გამოიყენება სამოქალაქო სამართალში კანონ-ქვემდებარე აქტები და ჩვეულებანი?

3. როდიდან შედიან კანონი და კანონქვემდებარე აქტები ძალაში?

4. ზოგადი ხასიათის კანონი აუქმებს თუ არა სპეციალურ კანონს?

5. აქვს თუ არა სასამართლოს უარის თქმის უფლება სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაზე?

6. რას ნიშნავს სამოქალაქო კანონთა უკუქცევითი ძალა?

7. ახსენით სამოსამართლო სამართლის არსი

8. სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული უფლებები ემიჯნება თუ არა პოლიტიკურ უფლებებს?

9. რა როლს ასრულებს სამოქალაქო კანონმდებლობაში ცნებები: „სამართლიანობა“, „კეთილსინდისიერება“, „ზნეობა“?

10. ახსენით კოდექსის ნორმა: „სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება“.

ტესტები:

1. კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს:

ა. ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ეს წესი გამოიყენება როგორც სამეწარმეო, ასევე არასამეწარმეო, საქართველოს თუ სხვა ქვეყნის პირების მიმართ

ბ. ნებისმიერი ფიზიკური პირი

გ. მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები

დ. არც ერთი პასუხი სწორი არ არის

2. კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს:

ა. ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული

ბ. ქონებრივი ღირებულების მატერიალური სიკეთე

გ. არაქონებრივი ღირებულების არამატერიალური სიკეთე

დ. არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული

3. შეუძლიათ თუ არა სამოქალაქო ურთიერთობების მონაწილეებს ნებისმიერი ქმედების განხორციელება?

ა. სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ ხელშეკრულების თავისუფლად დადება

ბ. სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ ნების თავისუფლად გამოხატვა

გ. სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება

დ. ასეთ სამართლებრივ რეგლამენტაციას კანონი არ იცნობს

„ძირითადად იურიდიულ ლიტერატურაში სამართლებრივი ურთიერთობა განხილული არის, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობის შემადგენელი ნაწილი, რომლის მონაწილეები სამართლის ნორმის საფუძველზე გამოდიან უფლებებისა და მოვალეობების მატარებლად"[96]. „სამართლებრივი ურთიერთობა არის ყოველი ცხოვრებისეული კავშირი, თუ კი ის სამართლის ნორმით არის განსაზღვრული"[97], წერს პროფ. ი. სურგულაძე, თუმცა იგი მას სამართლებრივი ურთიერთობის გარეგან აღწერილობად მიიჩნევს, ხოლო სამართლებრივი ურთიერთობის ფაქტიურ შინაარსს სამართლებრივ ფორმაში ხედავს[98] და ასკვნის, რომ სამართლებრივი ურთიერთობის „საგნის იურიდიული ღირებულება წმინდა იურიდიული კატეგორია არის, რომლის დასაბუთება საზოგადოებრივი ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგების ძირითად პრინციპებს ეყრდნობა"[99]. ამით ი. სურგულაძემ სამართლებრივი ურთიერთობის წმინდა იურიდიული ელემენტების უფლებებისა და მოვალეობის გვერდით შემოიტანა და დაახასიათა კიდევ ორი ელემენტი – **სამართლის სუბიექტი და სამართლებრივი ურთიერთობის საგანი.**[100]

სამოქალაქო სამართალი არეგულირებს ქონებრივ და პირად არაქონებრივ ურთიერთობას, ქონებრივ ურთიერთობებში კი მოიაზრება ქონებრივ ღირებულებათა ურთიერთობები, ე.ი. უმთავრესად ეს ქონებრივ-ფულადი ურთიერთობებია. პირადი არაქონებრივი ურთიერთობებით, რომელიც

96. გ. ლობჟანიძე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2003, გვ. 448
97. ი. სურგულაძე, ხელისუფლება და სამართალი, თბილისი, 2002, გვ. 29
98. ი. სურგულაძე, დასახ. ნაშრ; გვ. 62
99. იქვე, გვ. 196.
100. იხ. ი. სურგულაძის დასახ. ნაშრ; გვ. 28.

სამოქალაქო სამართლის რეგულირების ობიექტია, გამოდიან ისინი, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებული არიან ქონებრივ ურთიერთობებთან. მაგალითად, საავტორო უფლებები.

„უნდა გამოიყოს **სამოქალაქო სამართალურთიერთობების შინაარსი,** რომელიც აღნიშნავს სამოქალაქო სამართალურთიერთობების სუბიექტების უფლებებსა და მოვალეობებს. სამოქალაქო სამართალურთიერთობების სუბიექტების უფლებებსა და მოვალეობებს უწოდებენ სუბიექტურ უფლებებსა და მოვალეობებს (სამოქალაქო სამართალსუბიექტურობა). სუბიექტური უფლებები – ეს დასაშვები მოქმედების ზომიერებაა, რაც უზრუნველყოფილია უფლებების ნორმებით. სუბიექტური მოვალეობა – ეს სამოქალაქო სამართალურთიერთობის სუბიექტის სათანადო ქცევაა“[101].

სამოქალაქო სამართალურთიერთობის ობიექტად იოლება ის, რაზეც მიმართულია სამოქალაქო სამართალურთიერთობა.

საჭიროა გამოვყოთ **სამოქალაქო სამართალურთიერთობის შემდეგი ობიექტები:** ნივთები (ფული და ფასიანი ქაღალდები); ქონებრივი უფლებები; სამუშაო და მომსახურება; ინტელექტუალური შემოქმედების შედეგები (მათ შორის განსაკუთრებული უფლებები); ინფორმაცია; არამატერიალური სიკეთე.

შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამოქალაქო **სამართალურთიერთობების სახეობები:** ქონებრივი (ობიექტი – ქონება, სამუშაოები და მისაგებელი (სანაცვალგებო) ხასიათის სამსახურის გაწევა); არაქონებრივი (ობიექტი – არამატერიალური კეთილდღეობა); აბსოლუტური (საკუთრების უფლება, განსაკუთრებული უფლებები, სამართალურთ-

101. დაწერილა РОССИЙСКОЕ ГРАЖДАНСКОЕ ПРАВО', УЧЕБНИК В 2 томах, Ответственный редактор заслуженный деятель науки РФ, доктор юридических наук, профессор Е.А. СУХАНОВ, Том I Общая часть. Вещное право Наследственное право., Личные неимущественные права, Интеллектуальные права, 2+е издание, стереотилное, москва, 2011, стр, 109-110.

იერთობის აღნიშნულ სახეს ეწინააღმდეგება გარკვეული რაოდენობის პირი); შეფარდებითი (სავალდებულო სამართალურთიერთობა, სამართალურთიერთობის აღნიშნულ სახეს ეწინააღმდეგება გაურკვეველი რაოდენობის პირი); საგნობრივი (პირადი უფლებების განხორციელება სხვა პირების გარეშე); სავალდებულო სამოქალაქო ურთიერთობები (პირადი უფლებების განხორციელება სხვა პირებთან შეთანხმებით)[102].

სამოქალაქო ურთიერთობის იურიდიული შინაარსი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედების შესაძლებლობაა, ან კიდევ გარკვეული მოქმედებისაგან თავშეკავების აუცილებლობა.

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის შინაარს შეადგენენ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების უფლებები და მისი მონაწილეების მოვალეობები. სამოქალაქო სამართალურთიერთობების სუბიექტების უფლებები მათი იურიდიული შესაძლებლობებიდან გამომდინარეობენ.

სამოქალაქო სამართალურთიერთობების სუბიექტებად აღიარებულია ფიზიკური პირები, უცხოელი ფიზიკური პირები, ასევე მოქალაქეობის არმქონე პირები, იურიდიული პირები, რომლებიც სხვა პირებთან სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდიან მათ ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების დახმარებითა და უშუალო მონაწილეობით. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოები მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოდის სამოქალაქო სამართალურთიერთობის მონაწილედ, როცა ისინი სამოქალაქო – სამართლებრივ გარიგებებში შედიან სამოქალაქო სამართლის სუბიექტებთან, ამ შემთხვევაში ისინი როგორც კერძო სამართლის სუბ-

102 .დაწერ.იხ. РОССИЙСКОЕ ГРАЖДАНСКОЕ ПРАВО', УЧЕБНИК В 2 томах, Ответственный редактор заслуженный деятель науки РФ, доктор юридических наук, профессор Е.А. СУХАНОВ, Том I Общая часть. Вещное право Наследственное право., Личные неимущественные права, Интеллектуальные права, 2+е издание, стереотипное, москва, 2011, стр. 109-126

იქტები ისე გვევლინებიან კერძო ურთიერთობებში. „საგულისხმოა, რომ შეზღუდულია იმ კერძო-სამართლებრივ ურთიერთობათა წრე, როცა სახელმწიფო უფლებამოსილია იყოს მისი მხარე. მაგალითად იგი ვერ იქნება საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი. მემკვიდრეობითი სამართლის ფარგლებში სახელმწიფოს ჩართულობა მხოლოდ უმკვიდრო ქონების მიღებას უკავშირდება. ფაქტობრივად, სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებული ურთიერთობიდან სახელმწიფო ძირითადად გვეელინება სანივთო და ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად....[103]“. კერძო ინტერესებთან შედარებით საჯარო ინტერესები ყოველთვის პრიორიტეტულია. „ამგვარი ინტერესი შეიძლება განსხვავდებოდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. პრაქტიკაში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ შემთხვევას წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების განკარგვის დროს დადებული გარიგებებიდან გამომდინარე კონტრაგენტთა შორის საჯარო სამართლით მოწესრიგებული ურთიერთობების წარმოშობა“[104]. კერძო სამართლებრივი ხელშეკრულების დადების დროს, როცა სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს მეშვეობით დებს ხელშეკრულებას, - მას ხელშეკრულების არსებითი პირობების განსაზღვრის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემა უსწრებს წინ. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ენიჭება ფაქტს იმის შესახებ თუ ვინ არის ხელშეკრულების მეორე მხარე, კერძო პირი, თუ ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც სახელმწიფოს წარმოადგენს. სახელმწიფოს მიერ ქონების განკარგვისას დადებული კერძო-სამართლებრივი გარიგება ყველა შემთხვევაში

---

103 .თ. ჩაჩანიძე, სახელმწიფო და კერძო-სამართლებრივი ურთიერთობები, საიუბილეო კრებულიდან „სამართლის პრობლემები“, თბილისი, 2012, გვ. 250.

104. იქვე, გვ. 251.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივ გარიგებას წარმოადგენს. სახელმწიფო კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის დამყარების მიზნით საკუთარ ნებას ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გამოცემით (ბრძანება, განკარგულება და სხვ.) გამოხატავს და შესაბამისად, გარიგების მო'შლისას და მხარეთა შორის წარმოშობილი დავის შემთხვევაში სადავო ადმინისტრაციული აქტი შესაბამისად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით განიხილება ადმინისტრაციულ საქმეთა წარმოების წესის შესაბამისად.

სამოქალაქო სამართალსუბიექტურობა ნიშნავს სამოქალაქო სამართლის ნორმებით გათვალისწინებულ უნარს (შესაძლებლობას) იყოს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, ისარგებლოს გარკვეული სამოქალაქო უფლებებით, ან კიდევ შეასრულოს ნაკისრი ან მასზე დაკისრებული მოვალეობანი. ფიზიკურ პირს, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სუბიექტს ახასიათებს **სამოქალაქო უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა[105]. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა** მისი უნარია, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, ხოლო **ფიზიკური პირის ქმედუნარიანობა** ეს მისი უნარია, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო - სამართლებრივი უფლებები და მოვალეობები.

სუბიექტური სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობებისას შეიძლება შევხედოთ სამი უფლებამოსილი კომბინაციის შედეგს: 1) უფლებამოსილება საკუთარ მოქმედებებზე, რაც ნიშნავს სუბიექტის მიერ თვითნებური ფაქტობრივად და იურიდიულად მნიშვნელოვანი მოქმედებების შესრულებას; **2)** მოთხოვნის უფლებამოსილება, რაც წარმოადგენს სუბიექტის შესაძლებლობას, მოითხოვოს მოვალე სუბიექტისაგან მასზე დაკისრებული მოვალეობის

105 ჩვენ ამ საკითხს უფრო ფართოდ დავუბრუნდებით, როცა კონკრეტული მუხლების კომენტარს გავაკეთებთ.

შესრულება (გადაიხადოს ვალი, დააბრუნოს იჯარით აღებული სასოფლო-სამეურნეო მიწა ხელშეკრულების ვადის გასვლისას და სხვ.); **3)** დაცვის უფლებამოსილება, რომელიც გამოდის შესაძლო სუბიექტის სახით გამოიყენოს სხვადასხვა დაცვის ზომები ან მოითხოვოს სახელმწიფოს იძულების ზომების გამოყენება იმ შემთხვევისათვის, თუ დარღვეულია სუბიექტების სამოქალაქო უფლებები.

სუბიექტური სამოქალაქო სამართლის კლასიკური მოდელი სამოქალაქო სამართალსუბიექტურობისა, რომელიც შეიცავს თავისი შინაარსით უფლებამოსილების მთელ ტრიადას, არის **სუბიექტური უფლების არსებობა,** მესაკუთრეს გააჩნია იურიდიული შესაძლებლობა მოითხოვოს ყველა პირისაგან უფლების დაცვა, რათა არ დაარღვიონ მისთვის მინიჭებული საკუთრების უფლება, მას ასევე შეუძლია მოითხოვოს უფლებადამრღვევის მიმართ გამოყენებული იქნეს სახელმწიფო-იძულებითი ზემოქმედების ზომები. მაგრამ, მთავარი და განმსაზღვრელი ბირთვი სუბიექტური უფლების საკუთრებასთან მიმართებაში ისაა, რომ განახორციელოს თავის საკუთრების ობიექტზე ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილება.

სამოქალაქო სამართალურთიერთობის მონაწილის მოვალეობას შეადგენს გარიგებით განსაზღვრული და სახელმწიფო იძულების შესაძლებლობით უზრუნველყოფილი აუცილებელი ქცევის წესის (მოქმედება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება) განხორციელება. გამოდის, რომ პირის, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტის მოვალეობაა სამოქალაქო სამართლის ნორმით განსაზღვრული აუცილებელი ქცევა, ზომა, ქცევის მასშტაბი, ანუ მისი ვალდებულება, რომელიც პირის ვალდებულებაა და რომელიც გულისხმობს მისი მოქმედების სამართლებრივ აუცილებლობას[106].

106 დამატ. იხ. ბ. სავანელი, დასახ. ნაშრ; გვ.90

სამოქალაქო სამართალურთიერთობის სუბიექტის აუცილებელ ქცევაში მოიაზრება ამ ქცევის ზუსტი ზომა, ანუ ქცევის სავალდებულო საზღვრების დადგენა. ასეთი საზღვრების დადგენა აუცილებელია თუნდაც იმის გამოც, რომ მოვალეობის შესრულება არა მარტო გარიგებებიდან გამომდინარებენ: **(„ხელშეკრულება უნდა შესრულდეს" - Pacta sunt servanda")**, ასევე ვალდებულების შესრულება სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილია მთელი რიგი სამართლებრივი ბერკეტებით.

სამოქალაქო სამართლის ობიექტები. იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ „სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტად ითვლება ყოველივე ის, რის გამოც წარმოიშობა ე. წ. ურთიერთობა, ესე იგი **სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტს** წარმოადგენს რეალური სიკეთე, რომლის გამოყენებასა და დაცვაზე მიმართულია სუბიექტის უფლებები და იურიდიული მოვალეობები"[107]. **სამოქალაქო სამართლის ობიექტები განმტკიცებულია სამოქალაქო სამართლის მეორე წიგნში - სანივთო სამართალში და იგი არის ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული.** გამოდის, რომ სამოქალაქო სამართლის ობიექტი არის ქონება – ყველა ნივთი და არამატერიალური სიკეთე, რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. ჩვენ ამ საკითხებს მოგვიანებით ისევ დავუბრუნდებით და მის დეტალურ განმარტებას ამ შემთხვევაში არ შევეცდებით[108].

---

107 ჯ. ლობჟანიძე. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია. თბილისი. 2005. გვ. 460.

108 დაწვრ. იხ. საიტი: http://lawsu.blogspot.com/2012/11/blog-post.html

თავი III. ფიზიკური პირები

§ 1. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა

ფიზიკური პირი[109] სამოქალაქო სამართლის აქტიური სუბიექტია, რომელსაც გააჩნია უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ფიზიკური პირების უფლებაუნარიანობის დეფინიციას **11-ე მუხლში** განამტკიცებს. **„ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა – უნარი ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშობა დაბადების მომენტიდან“.** ეს ცნება თავის სათავეებს იღებს XVIII საუკუნეში და სამართალსუბიექტობასთანაა გაიგივებული. თანამედროვე სამოქალაქო დოქტრინა ფიზიკურ პირს, როგორც სამართლის სუბიექტს, მხოლოდ უფლებაუნარიანობაზე დაყრდნობით ახასიათებს. მხოლოდ უფლებაუნარიანი პირი, როგორც სამართლის სუბიექტი, შეიძლება იყოს სამოქალაქო უფლებების მატარებელი. მხოლოდ უფლებაუნარიანი პირი სამართლის პასიური სუბიექტია, ქმედუნარიანობა კი მას აქტიურ სუბიექტად აქცევს. რომაული სამართალი ერთიანი უფლებაუნარიანობის ცნებას არ ცნობდა. „იუსტიანეს ნაწერში ადამიანის სამართლებრივი მდგომარეობის აღსანიშნავად

---

109. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB) სამოქალაქო სამართლის აქტიურ სუბიექტს – ადამიანს ფიზიკურ პირად მოიხსენიებს, თუმცა §1-ში ეკითხულობთ: „ადამიანის უფლებაუნარიანობა...“ და მერე როგორც არის (გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB); 2010 წლის მარტის მდგომარეობით, თარგმანი ზ. ჭეჭელაშვილის; (Гражданское уложение Германии {Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands. Wolters Kluwer, Москва, 2006); რუსეთის სამოქალაქო კოდექსი ფიზიკურ პირს მოიხსენიებს როგორც „მოქალაქე“ და აქვე ფრჩხილებში მიანიშნებს „ფიზიკური პირი“). იხ. რუსეთის სამოქალაქო კოდექსი. სახელმძღვანელო. ტომი I, ე. ა. სუხანოვის რედაქტორობით. „მგუ“-ს გამოცემა. მოსკოვი) რუსულ ენაზე). 2011. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი 38. ასევე სამოქალაქო სამართლის სუბიექტებად ფიზიკურ პირებს მოიხსენიებს და სხვ. http://legalportal.am/download/library/a17525acbc1c4f12a9181daa5a321acf.pdf

გამოიყენებოდა ტერმინი „**სტატუსი**“. მათი აზრით, რომის სახელმწიფოში ადამიანს შეიძლება გააჩნდეს **სამი მთავარი სტატუსი: 1) „სტატუს ლიბერტატის“** განსაზღვრავდა რომის სახელმწიფოსათვის მეტად მნიშვნელოვან საკითხს: ეკუთვნოდა თუ არა ადამიანი თავისუფალთა ფენას. ამ თვალსაზრისით, ადამიანი შეიძლებოდა ყოფილიყო თავისუფალი ან მონა. კანონი მათ შორის არაეითარ საშუალოს არ იცნობდა; **2) „სტატუს ცივიტატის“** — მიგვითითებს იმის შესახებ, რომ ადამიანი რომის მოქალაქე იყო თუ არა. უცხოელები – „**პერეგრინუსები**“ რომის მოქალაქეთა უფლებებით ვერ ისარგებლებდნენ; **3) „სტატუს ფამილიე“** – განსაზღვრავდა რომაელი მოქალაქეების მდგომარეობას ოჯახში. ოჯახში რომაელი ან ოჯახის უფროსი ოჯახის მეთაურია („**პატერფამილიას**“) ან მისი ხელქვეითია.... რომის სამოქალაქო სამართალი იცნობდა პირის უფლებაუნარიანობის შემცირებას და მას აღნიშნავდა ტერმინით **„კაპიტის დემინუციო“**. ამ მიმართებით, ცხადია, ადამიანის მიერ თავისუფლების დაკარგვა იქნებოდა მისი უფლებაუნარიანობის მაქსიალური შემცირება. ამ მოვლენას ასეც ერქვა: **„kapitis diminucio macsima“**, რომლის შემთხვევაში ადამიანი კარგავდა თავის მდგომარეობას ოჯახში, მაგრამ ინარჩუნებდა სხვა უფლებებს (პირველ ორ სტატუსს)[110]. ინგლისურ-ამერიკული სამართალი არ იცნობს უფლებაუნარიანობის ინსტიტუტს, იგი იცნობს მხოლოდ უფლებაუნარიან და ქმედუნარიან პირებს... „მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურ-ამერიკული სამართალი არ იცნობს უფლებაუნარიანობის სტატიკურ ცნებას, იგი მაინც ცდილობს დაამკვიდროს მისი მსგავსი ინსტიტუტები. მაგალითად, არის მცდელობა, რომ **legal capacity** ორგვარი გაგებით იქნეს გამოყენებული: **აქტიური (active capacity)** და **პასიური (passive capacity)**. კონტინენტური ევროპის სამართლის ენ-

110. გ. ნადარეიშვილი, რომის სამოქალაქო სამართალი, თბილისი, 2001, გვ. 1340135.

ასე რომ ვთქვათ, პირველი გამორიცხავს ქმედუნარიანობას, ხოლო მეორე – უფლებაუნარიანობას... .[111] გამოდის, რომ ინგლისურ-ამერიკული სამართალი კონკრეტული პირის უფლებაუნარიანობასა და ქმედუნარიანობას ერთდროულად მოიცავს, მაშინ, როცა კონტინენტური სამართლის ქვეყნების უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის ინსტიტუტებს ცალ-ცალკე განიხილავს.

გერმანული BGB-ის §1-ის თანახმად: „ადამიანის უფლებაუნარობა წარმოიშობა დაბადების დასრულების მომენტიდან".

უფლებაუნარობის ინსტიტუტისთვის უცხოა მისი მონაწილე პირის პოლიტიკური, რელიგიური და ა.შ. მრწამსი, მისი ძირითადი დანიშნულება ისაა, რომ ყველა აღიაროს სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილედ, ანუ ჰქონდეთ სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები და იგი მათ დაბადებიდან წარმოეშვებათ.

„ზოგადი სამართლებრივი ურთიერთობები მოიცავს ყველასათვის საერთო და თანასწორ უფლებებსა და მოვალეობებს, ხოლო კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები – არათანასწორ და განსხვავებული მოცულობის უფლებასა და მოვალეობას. შესაბამისად **ზოგად-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე პირები ხასიათდებიან ზოგადი სამართლებრივი სტატუსით, ხოლო კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილენი – ინდივიდუალური სამართლებრივი სტატუსით.** აქედან გამომდინარე უნდა განვასხვავოთ **ზოგადი და ინდივიდუალური (კონკრეტული) სამართლებრივი ურთიერთობები (ზოგადი სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს** გააჩნიათ თანასწორი უფლებები და მოვალეობები და მათ განეკუთვნება პიროვნება და სახელმწიფო). მაგრამ ადამიანის პიროვნებად ანუ ზოგადი სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად

111. ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000, გვ, 129-130.

ცნობა არ არის საკმარისი. ფუნდამენტური, თანდაყოლილი, გაუსხვისებელი საარსებო უფლებებისა და თავისუფლებების კონსტიტუციური დეკლარირება ადამიანის პიროვნებად ცნობის პირველი ეტაპია.... ფორმალურად არსებული კონსტიტუცია ფაქტობრივად არსებული ფიქციაა, თუ მასში ჩაწერილი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება რეალურად შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ადამიანის პიროვნებად ცნობა გულისხმობს არა მარტო ადამიანის ფუნდამენტური უფლებების,არამედ იმ შესაძლებლობების აღიარებასაც, რომელნიც უზრუნველყოფს ადამიანის პიროვნული არსის გამოვლენას. ასეთი ინსტიტუტია **უფლებაუნარიანობა**"[112]. „საერთოდ, უფლებაუნარიანობა არის ადამიანთა თავისუფლების ამოსავალი პოზიცია, საწყისი. ეს არის ჭეშმარიტი თავისუფლების სფერო, სადაც ბატონობს ადამიანის ნიჭი, უნარი, ინიციატივა, გამჭრიახობა, ფხიანობა, გეგილიანობა და სხვა თვისებები, რომლებსაც სხვადასხვა ხარისხით და მოცულობით ფლობენ ადამიანები და რომელთა გამო თანასწორობა სამართალს არ შეუძლია შექმნას. სამართალს შეუძლია და რეალურადაც აკეთებს იმას, რომ სცნობს, აღიარებს ამ შესაძლებლობათა გამოვლენის უნარს და ქმნის ამ გამოვლენისათვის თანასწორ ზოგად სამართლებრივ გარანტიებს[113].

უფლებაუნარიანობის წარმოშობას სახელმწიფოს მხრიდან არავითარი აქტი არ სჭირდება. იგი ადამიანის დაბადებიდან თანმდევი პროცესია და მის ასაკზე, ჯანმრთელობაზე და ა.შ. არ არის დამოკიდებული. მაგრამ, აქ მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა დგას – **როდიდან ითვლება ადამიანი, როგორც სამოქალაქო სამართალურთიერთობების მონაწილე დაბადებულად?** სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობით იგი განსხვავებულად არის მოწესრიგებული. მიუხედავად აზრთა პრულარიზმისა, ყველა თანხ-

112. ბ. სავანელი, დასახ. ნაშრ; გვ. 92-93.
113. ბ. სავანელი, დასახ. ნაშრ; გვ. 93.

მდება, რომ თანამედროვე მედიცინის გაგებით, დაბადებად დუდის საშვილოსნოდან ნაყოფის გამოყოფა მიიჩნევა, ანუ ამ შემთხვევაში დაბადება-როგორც სამედიცინო აქტი დამთავრებულია, ხოლო უფლებაუნარობა კი–წარმოშობილი. სწორედ დაბადებიდან იძენს პირი სამოქალაქო უფლებებს და მოვალეობებს.

აქ კიდევ ერთი პრობლემა წარმოიშობა. ბუნებრივია უფლებაუნარიანი ყველა ადამიანია, მაგრამ რა მიმართებაშია იგი უფლებებთან? ამ კითხვას პასუხს შემდეგნაირად გაეცემთ: უფლებაუნარობა ზოგადი ინსტიტუტია, რადგან მის მატარებლად ყველა ფიზიკური პირი ითვლება, რაც შეეხება უფლებებს – განსხვავებული ასაკის, სქესის ადამიანებს განსხვავებული უფლებები გააჩნიათ. გამოდის, რომ უფლებები უფრო კონკრეტულია, რადგან იგი, ან კონკრეტულ პიროვნებას უკავშირდება ან კონკრეტულ ურთიერთობას. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ბევრი უფლებების მატარებელი მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები არიან. მაგალითად, საქართველოს კანონმდებლობით, მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს აქვს პოლიტიკური უფლებები, ისიც კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, მაგალითად: აქტიური საარჩევნო უფლება იწყება **18 წლის ასაკიდან,** საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირი **21 წლის ასაკიდან**[114], საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე **35 წლის ასაკიდან,** ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად, გამგებლად, მერად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისათვის შეუსრულდა **21 წელი** და ა.შ.

უფლებაუნარიანობის ინსტიტუტთან მჭიდროდაა

114. მიგვაჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციაში 21 წლის ასაკობრივი ზღვარი საკანონმდებლო ორგანოში არჩევისა უნდა გაისარდოს, ეთქვათ 25 წლამდე მაინც.

დაკავშირებული **სამოქალაქო სამართლის სუბიექტების უფლება-მოვალეობების არსებობა.** „არ არსებობს უფლება სუბიექტის გარეშე და სუბიექტი უფლების გარეშე, უფლება სუბიექტის თვისებაა, სუბიექტი კი უფლების ქმნილება. სუბიექტად ქცევა არ საჭიროებს რეალურ უფლებებს. უფლების შეძენის შესაძლებლობა ქმნის სუბიექტს"[115]. „უფლებები შესაძლებლობის სახითაა ადამიანში მოცემული. ესაა მოქმედების თავისუფლება"[116].

ბუნებრივია, უფლებაუნარობა ცოცხალ ადამიანს გააჩნია და ბუნებრივია სამართლის სუბიექტიც თვითონაა, უფლება კი მხოლოდ სუბიექტს გააჩნია. მაგრამ სამოქალაქო კოდექსი იცავს ჯერ კიდევ დაუბადებელი, ჩანასახში მყოფის უფლებებს. **სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის** თანახმად, „მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე. ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე". ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ დაბადების მომენტის შესახებ და აქ ამ თემას აღარ გავაგრძელებთ. აღვნიშნავთ, რომ ჩასახულსაც აქვს უფლება იყოს მამკვიდრებლის მემკვიდრე, ოღონდ კანონმდებელი კონკრეტულად მიუთითებს: მხოლოდ მისი ცოცხლად დაბადების შემთხვევაში. კიდევ მეტიც, **სსკ 11-ე მუხლის მე-2 ნაწილის** დებულებას ეროგვარად ეხმიანება **სამოქალაქო კოდექსის მეექვსე წიგნის – „მემკვიდრეობითი სამართლის" 1307-ე მუხლი,** რომლის მიხედვით: „მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ: ა) კანონით მემკვიდრეობის დროს – პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისთვის და, აგრეთვე, მამკვიდრებლის შვილები, რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ ცოცხ-

115. ბ. ზოიძე, სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, ესეე-დან „უფლებისა და სუბიექტის კავშირურთიერთობა".
116. ბ. ზოიძე, დასახ. ნაშრ; ესეე-დან: „სამართლის რეზისტენციური სუბიექტის შესახებ". **„რეზისტენტობა"-(ლათ. resisto)** წინააღმდეგობას ვუწევ – გამძლეობა (იხ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 1989, გვ. 430.

ალი დაიბადნენ; **ბ)** ანდერძით მემკვიდრეობისას – პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, აგრეთვე ისინი, რომლებიც ჩაისახნენ მის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ მიუხედავად იმისა, მისი შვილები არიან ისინი თუ არა, ასევე იურიდიული პირები". იმ შემთხვევაში, **თუ არსებობს ანდერი ჩასახულისათვის ქონების დატოვების შესახებ და იგი „მკვდრად" დაიბადება?** ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, თუ არ არსებობს „უფლების" სუბიექტი, არც უფლება არ იარსებებს. **სსკ მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის** შემთხვევაში ადგილი აქვს შეზღუდულ უფლებაუნარობას, რადგანაც იგი მხოლოდ მემკვიდრედ ყოფნის უფლებას ითვალისწინებს. ასევე უფლება პირობითია იმიტომ, რომ თუ დაიბადება პირი, მაშინ იქნება იგი იმ ქონებრივი უფლებების მატარებელი, რომელიც მას მამკვიდრებელმა დაუტოვა. აქვე მოვიშველიოთ მაგალითის სახით **სამოქალაქო კოდექსის 1465-ე მუხლი,** რომელიც ჩასახული მემკვიდრის უფლებას ეხება სამკვიდროს გაყოფისას. კერძოდ, **„ნ.1.** თუ მემკვიდრე ჩასახულია, მაშინ სამკვიდროს გაყოფა შეიძლება მხოლოდ ამ მემკვიდრის დაბადების შემდეგ", ხოლო **ამავე მუხლის მე-2 ნაწილით** კი, „თუ ჩასახული მემკვიდრე ცოცხალი დაიბადება, მაშინ დანარჩენ მემკვიდრეებს უფლება აქვთ გაიყონ სამკვიდრო მხოლოდ მისი კუთვნილი ნაწილის გამოყოფით. ახალშობილის ინტერესების დასაცავად გაყოფაში მონაწილეობისათვის მიწვეულ უნდა იქნენ მისი წარმომადგენლები".

უფლებაუნარიანობა ადამიანის თანდაყოლილ ბუნებით აღიარებულ უნარს წარმოადგენს. გამომდინარე აქედან, დაუშვებელია რაიმე გარიგებით ან სახელმწიფოს რაიმე აქტით მისი შეწყვეტა. აკი პირდაპირ მიუთითებს **სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილი:** „ფიზიკური პირის უფლებაუნარობა წყდება მისი გარდაცვალებით". ეს მისი უფლებაუნარობის დასასრულია, თუმცა მემკვი-

დრეობითი სამართალი მას უკავშირებს სხვა პირებისათვის მთელი რიგი უფლებების წარმოშობას, რომელთაგან ძირითადი მემკვიდრეობის მიღებაა. **1306-ე მუხლი** ითვალისწინებს გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლას სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) კანონით ან ანდერძით, ან ორივე საფუძვლით. ან კიდევ, **ვალდებულებითი სამართლის 453-ე მუხლი** ითვალისწინებს, „მოვალის ან კრედიტორის გარდაცვალებისას ვალდებულების შეწყვეტას, თუ შესრულება შეუძლებელია მისი პირადი მონაწილეობის გარეშე და მეორე შემთხვევაში, თუ შესრულება გათვალისწინებული იყო პირადად კრედიტორისათვის, ან კიდევ **სსკ მ. 1302** მეურვეობის შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძვლად სამეურვეო პირის გარდაცვალებას მიიჩნევს, ხოლო **1304-ე მუხლი** კი მსრუნველობის შეწყვეტის სამართლებრივ საფუძვლად სამზრუნველო პირის გარდაცვალებას; ასევე საოჯახო სამართლიდან, **მ. 1149** მიუთითებს, რომ, არ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ქორწინების გაბათილება ორივე მეუღლის გარდაცვალების შემდეგ“ და სხვ.

ფიზიკური პირის გარდაცვალების მომენტად საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით „გულის მუშაობის შეჩერება“ მიიჩნეოდა, მაგრამ 60-იან წლებში სამხრეთ აფრიკაში, კაპშტადში პროფესორ კრისტიან ბერნარდის მიერ ჩატარებულმა პირველმა ოპერაციამ გულის გადანერგვისა ერთი ადამიანიდან მეორეზე და სისხლის მიმოქცევის ხელოვნური აპარატის საშუალებით ფუნქციონირებამ - დიდი დისკუსია გამოიწვია ადამიანის სიკვდილის ფაქტთან დაკავშირებით. ამან და, სხვა მსგავსმა სამედიცინო ექსპერიმენტებმა დაადგინეს, რომ გულის მუშაობის შეჩერება კი არა და ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა იწვევს ადმიანის გარდაცვალების მომენტს. **„ფიზიკური პირის გარდაცვალების მომენტად ითვლება თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა“ – ასეთი იყო მედიცინის დიდი მიღწევებისადმი სამართლის მეცნიერების გამოძახ-**

იხ. სამართალმცოდნეთ იმდენად კი არ აინტერესებდათ სამედიცინო კვლევები ამ კუთხით, მათთვის ადამიანის გარდაცვალების ფაქტს მრავალი სამოქალაქო სამართლებრივი აქტი უკავშირდებოდა. მაგალითად, პირის გარდაცვალებით მეურვეობის შეწყვეტა **(სსკ მ. 1302)** ან კიდევ, სამხრუნველო პირის გარდაცვალებით მზრუნველობის შეწყვეტა **(სსკ. მ. 1304);** ასევე, მემკვიდრეობის საკითხები; ვალდებულების შეწყვეტა-გაგრძელების სამართლებრივი პრობლემები მოვალის ან კრედიტორის გარდაცვალებისას და ა.შ.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, უფლებაუნარიანობა პირის ბუნებით განპირობებული, თანდაყოლილი უნარია. მისი წარმოშობა ან დაკარგვა სახელმწიფოს რაიმე აქტზე არ არის დამოკიდებული. ამიტომ მკაცრად განსაზღვრა სამოქალაქო კოდექსმა თავის **მე-11 მუხლის მე-4 ნაწილში,** „არ შეიძლება ფიზიკურ პირს წაერთვას უფლებაუნარიანობა".

აქვე მნიშვნელოვანია ერთი საკითხი: ადამიანის გარდაცვალება,მნიშვნელობა არ აქვს იგი ბუნებრივი სიკვდილით ხდება თუ სხვა მიზეზით,(მაგ; ავტოკატასტროფა),იწვევს უფლებაუნარიანობის შეწყვეტას, მაგრამ როცა ადამიანის გარდაცვლილად გამოცხადება ხდება **(სსკ მ. 22),** იწვევს თუ არა ეს აქტი პირის უფლებაუნარიანობის შეწყვეტას? აქ ერთგვარ **ურიდიულ ფიქციასთან** გვაქვს საქმე, რადგან სიკვდილის დამადასტურებელი ფაქტი არ არსებობს, დაშვებულია **„სიკვდილის პრეზუმფცია".** ეს ფაქტი ბუნებრივია იწვევს სამკვიდროს გახსნას (წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს). ჩვენ ცალსახად უნდა ვამტკიცოთ, რომ პირის გარდაცვლილად გამოცხადება იწვევს მის უფლებაუნარიანობის დაკარგვასაც.

აქვე ერთ შენიშვნას გავაკეთებდით სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის და კანონის „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ" IV თავის „გარ-

დაცვლილი დონორის ორგანოს აღება", მე-12 მუხლთან მიმართებით. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობის შეწყვეტის საფუძვლად გარდაცვალების ფაქტს მიიჩნევს და გარდაცვალების მომენტად ცალსახად თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტას უკავშირებს. **კანონში კი „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ"** ვკითხულობთ **(მ.12):** ადამიანი გარდაცვლილად ჩაითვლება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დადგინდება თავის ტვინის სიკვდილი ან გულის შეუქცევადი გაჩერება და სისხლის მიმოქცევის შეწყვეტა". როგორც ვხედავთ ერთი და იგივე მნიშვნელობის, იდენტური იურიდიული ფაქტი განსხვავებულად ფიქსირდება ორ კანონში. მიგვაჩნია, რომ უკეთესი იქნებოდა, კანონის ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ" მ. 12-ის მიხედვით ჩამოყალიბებულიყო სამოქალაქო კოდექსის 11-ე მუხლის მე-3 ნაწილის ფორმულირება.

§ 2. ფიზიკური პირის ქმედუნარიანობის შესახებ

ქმედუნარიანობის ლეგალური დეფინიცია სამოქალაქო კოდექსის **მე-12 მუხლის 1-ლ** ნაწილშია მოცემული. კერძოდ, **„ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები (ქმედუნარიანობა), წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე". გერმანული სამოქალაქო კოდექსის § 2** მოკლედ და კონკრეტულად მიუთითებს, რომ **„სრულწლოვანება დგება 18 წლის ასაკის მიღწევისას".** უფლებაუნარიანობა როგორც წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ, ყველა ადამიანს გააჩნია, განსხვავებით ასაკისა, ჯანმრთელობისა და ა.შ. რაც შეეხება ქმედუნარიანობას, მას პირები დაბადებიდანვე არ იძენენ. იგი ადამიანს ეწყება სრულწლოვანების

მიღწევიდან. „სრულწლოვანია პირი, რომელმაც მიაღწია თერამეტი წლის ასაკს“. ასევე ქმედუნარიანად ითვლება პირი, რომელსაც შეუძლია გონებრივად განსაჯოს თავისი ქმედებანი, ანგარიში გაუწიოს მის მიერ განხორციელებულ ყოველგვარ ქმედებას. ე. ი. ქმედუნარიანად გარკვეული ასაკის გარდა ითვლება აგრეთვე პირი, რომელსაც აქვს გონივრული განსჯის უნარი და შესაძლებლობა ანგარიში გაუწიოს მის მიერ განხორციელებულ ქმედებას. ე. ი. ქმედუნარიანობა გარკვეულ გარემოებებთან არის დაკავშირებული, რომლებიც განსაზღვრავენ პირთა ქმედუნარიანობას და ეს პირობებია: **ასაკი და ჯანმრთელობა.**

ქმედუნარიანობის ინსტიტუტი რომის სამართლიდან მომდინარეობს. განსხვავებით უფლებაუნარიანობის ინსტიტუტისაგან, რომელსაც ისტორიული წინამორბედი რომის სამართალში არ ჰყავდა. რომის სამოქალაქო სამართალში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქმედუნარიანობას (თუმცა ქმედუნარიანობის ზოგადი ცნება დამუშავებული არ იყო). ქმედუნარიანობის მოთხოვნიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა **ასაკს და შერაცხადობის საკითხს.** რომის სამართლის მიხედვით ქმედუნარიანობას მოკლებულ, ანუ არაქმედუნარიანად ითვლებოდა 7 წლამდე ასაკის პირები **(ინფანტეს (Infantes). 7-დან 14 წლამდე** ასაკის პირებს უფლება ჰქონდათ ყიდვა-გაყიდვის და ქონების შეძენისა. **14-დან 25 წლამდე** ასაკის პირები მიჩნეულ იყვნენ სრულყოფილი ქმედუნარიანობის მქონე პირებად. ქმედუნარიანობის განხორციელების ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნა იყო პირის შერაცხადობა, ანუ ისეთი მდგომარეობა, როცა ის ჯანმრთელი იყო და ანგარიშს უწევდა თავის მოქმედებას. რომის სამართლის მიხედვით სულით ავადმყოფები და ჭკუასუსტები ითვლებოდნენ არაქმედუნარიანებად. ისინი თავის უფლებებს ახორციელებდნენ მზრუნველის მეშვეობით. ქმედუნარიანობაში შეზღუდულად ითვლებოდნენ გამფლანგველები ანუ სუსტი ნებისყოფის

ადამიანები, რომლებიც თავიანთი ქცევით, ხასიათით ქმნიდნენ გარიგებათა შესრულების ჩაშლის საშიშროებას. აღსანიშნავია ისიც, რომ ქალები მამაკაცებთან შედარებით შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ ითვლებოდნენ[117].

თანამედროვე ქართული სამოქალაქო კოდექსის **მ. 12, ნ. მე-2** მთლიანად იზიარებს გერმანული BGB-ის **მოსაზრებას,** იმის შესახებ, რომ **„სრულწლოვანება დგება თვრამეტი წლის ასაკის მიღწევიდან (§2).**

„მხოლოდ უფლებაუნარიანი პირი, როგორც სამართლის სუბიექტი, შეიძლება იყოს სამოქალაქო უფლებათა მატარებელი. მარტოოდენ უფლებაუნარიანი პირი სამართლის პასიური სუბიექტია, ქმედუნარიანობა მას სამართლის აქტიურ სუბიექტად აქცევს. ეს კი, გარიგებაუნარიანობის შეძენასთანაა დაკავშირებული. **გარიგებაუნარიანობა ქმედუნარიანობაა.** გარიგებაუნარიანობა სამართლებრივად ფასეული ნების გამოვლენის უნარიანობაა. ეს კი გარკვეულ ასაკში ჩნდება და სხვადასხვა გარემოებებზეა დამოკიდებული“[118]. კოდექსის ასეთი მიდგომა, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ გერმანული სამართლის გავლენით აიხსნება. გერმანელი იურისტები პირის ნების გამოვლენას ფიზიკური პირის თვისებებს უკავშირებენ. სამართლის სუბიექტად პირს ეს თვისება კი არ აქცევს, არამედ მისი ადამიანურობა. ინგლისურ-ამერიკული სამართლის ენაზე პასიური უფლებაუნარიანობა უბრალოდ უფლებაუნარიანობაა, აქტიური უფლებაუნარიანობა კი ქმედუნარიანობა.

სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლი, ნაწილი მე-2, როგორც ავღნიშნეთ, პირის სრულწლოვანებას 18 წლის მიღწევას უკავშირებს. ასევე ამ მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს ასაკის მიხედვით ქმედუნარიანობის განსაზღვრისას **ემანსიპაციის ინსტიტუტს**. კერძოდ, „ქმედუნარიანად ითვლება პირი, რომელიც იქორწინებს თვრამეტი

117 . ვ. მეტრეველი, რომის სამართალი, საფუძვლები, თბილისი, 1995, გვ. 45-46.
118. ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, 2005, გვ. 209.

წლის ასაკის მიღწევამდე". **სსკ 1108 მუხლის 1-ლი ნაწილით** კი საქორწინო ასაკად დაწესებულია თერამეტი წელი, მაგრამ **ამავე მუხლის მე-2 ნაწილის** მიხედვით, „გამონაკლისის შემთხვევაში თექვსმეტი წლის ასაკიდან დაქორწინება დაიშვება მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი თანხმობით", ხოლო „თანხმობაზე მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების უარის შემთხვევაში პატივსადები მიზეზების არსებობისას დასაქორწინებელ პირთა განცხადების საფუძველზე ნებართვა შეუძლია გასცეს სასამართლომ" **(მ. 1108. ნ.3.).** ემანსიპაციის შემთხვევას იცნობს აგრეთვე **სსკ 65-ე მუხლის მე-2 ნაწილი,** რომლის თანახმად, „თუ კანონიერი წარმომადგენელი ანიჭებს თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას, მაშინ ამ სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში იგი შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება. ეს წესი გამოიყენება როგორც საწარმოს დაფუძნების, ასევე „ლიკვიდაციისა და შრომითი ურთიერთობების დაწყების ან დამთავრების მიმართაც".

სამოქალაქო კანონმდებლობა იცნობს ქმედუუნარო პირების ცნებასაც. კერძოდ, „შვიდ წლამდე ასაკის არასრულწლოვანი (მცირეწლოვანი) არის ქმედუუნარო, ასევე ქმედუუნარობა გარდა ასაკისა, დაკავშირებულია ასევე პირის ჯანმრთელობასთან (ბუნებრივია ჯანმრთელობაში ჩვენ არ ვგულისხმობთ ფიზიკურ ნაკლს). კერძოდ „ქმედუუნაროდ მიიჩნევა ასევე პირი, რომელიც ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ ასეთად იქნება აღიარებული. ამ პირის უფლებებს ახორციელებს მისი კანონიერი წარმომადგენელი". სრულწლოვანი პირების შეურაცხად, ქმედუუნარო პირებად აღიარება სასამართლოს კომპეტენციაა. დაინტერესებული პირების განცხადების საფუძველზე, სამედიცინო დასკვნის საფუძველზე აღიარებს პირებს სასამართლო ქმედუუნაროდ, თუმცა უნდა

აღინიშნოს, რომ სამედიცინო დასკვნა სასამართლოსათვის უტყუარ, ერთხელ მიღებულ დადასტურებულ ცნობად ყოველთვის არ მიიღება პირის ქმედუუნაროდ აღიარებისათვის. ქმედუუნაროდ აღიარებულ პირებს (მცირეწლოვნებს და სულით დაავადებულ სრულწლოვანებს) არავითარი გარიგების დადება არ შეუძლიათ, მათ მაგიერად გარიგებას დებენ მათი კანონიერი წარმომადგენლები-მეურვეები, რომლებიც „განსაკუთრებული უფლებამოსილების გარეშე წარმოადგენენ სამეურვეო პირის უფლებებსა და ინტერესებს მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის სასამართლოში". მაგრამ, ამასთანავე, **სსკ 1294-ე მუხლი** ითვალისწინებს მეურვისა და მზრუნველის უფლებამოსილების შეზღუდვას, კერძოდ,„მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი თანხმობის გარეშე მეურვეს არ აქვს უფლება სამეურვეო პირის სახელით დადოს გარიგება, ხოლო მზრუნველს სამზრუნველო პირის სახელით დათანხმდეს გარიგების დადებაზე, რომელიც შეეხება ქონების გასხვისებას, დაგირავებას, **ათ წელზე მეტი ვადით გაქირავებას, თხოვებას ან სხვა სავალო ვალდებულებათა გაცემას, თამასუქის, სამეურვეო ან სამზრუნველო პირის კუთვნილ უფლებებზე უარის თქმას, სამეწარმეო საზოგადოებაში პარტნიორად შესვლას, სესხის აღებას, ქონების გაყოფას, ან რომლებსაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს ქონების შემცირება".** **მხოლოდ სსკ მ. 1295** ითვალისწინებს გამონაკლისს, როცა მეურვეობისა და მზრუნველობს ორგანოს ნებართვის გარეშე შეიძლება გაიყიდოს მალფუჭებადი ან ისეთი ქონება, რომელიც თავისი ხასიათის მიხედვით გასაყიდად არის განკუთვნილი.

ქმედუუნაროდ აღიარებული სრულწლოვანი პირის განკურნების ან ჯანმრთელობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების შემთხვევაში სასამართლო მას ქმედუნარიანად აღიარებს. ეს კი ხდება სამედიცინო დასკვნის საფუძველზე. ქმედუნარიანად აღიარებულ სრულწლოვან პირს ჩვეულებრივ, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეუძლია

დადოს ნებისმიერი გარიგება და განსაზღვროს ამ გარიგების შინაარსი.

სამოქალაქო კოდექსის მე-13 მუხლი იმპერატიულია. მისი შეცვლა დაუშვებელია გარიგების მონაწილე მხარეთა მიერ. კანონის აღნიშნული მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ „ქმედუნარიანობის შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. დაუშვებელია ქმედუნარიანობის შეზღუდვა გარიგებით".

სამოქალაქო კანონმდებლობა ამომწურავად განსაზღვრავს ქმედუნარიანობის შეზღუდვის პირობებს. **სამოქალაქო კოდექსის მე-14 მუხლის თანახმად: 1.** „არასრულწლოვანი შვიდიდან თერამეტ წლამდე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა. **2.** შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ ითვლება ასევე სრულწლოვანი, რომელსაც სასამართლომ დაუწესა მზრუნველობა (ამ შემთხვევაში იგულისხმებიან ის სრულწლოვანი პირები, რომლებიც **სსკ 16-ე მუხლის** თანახმად, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ ითვლებიან იმის გამო, რომ ბოროტად იყენებენ ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამით ოჯახს მძიმე მდგომარეობაში აყენებენ და სასამართლოს მიერ მათ დაუწესდათ მზრუნველობა). შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი თავის ქმედუნარიანობაში უთანაბრდება არასრულწლოვანს. **3.** ქმედუნარიანობის შეზღუდვა უქმდება მაშინ, როცა აღარ არის ის საფუძველი, რომლის გამოც პირს შეეზღუდა ქმედუნარიანობა." ასე იმიტომ ეწოდებათ შეზღუდულ ქმედუნარებს, რომ განსხვავებით ქმედუუნარო პირებისაგან, მათ კანონით მინიჭებული აქვთ უფლება დადონ ქონების განკარგვის გარიგება, აგრეთვე განკარგონ ხელფასი, პენსია, ან სხვა სახის შემოსავალი მხოლოდ მზრუნველის თანხმობით, გარდა წვრილმანი ყოფითი გარიგებების დადებისა (ასეთს მიეკუთვნება ყოქვათ, სიგარეტის, ფუნთუშის ან სხვა „წვრილმანი" ნივთების ყიდვა). სამოქალაქო კანონმდებლობა არ იძლევა კონკრე-

ტულ განმარტებას „წვრილმანი ყოფითი გარიგებებისა“. ეს პრაქტიკის გადასაწყვეტია და დაკავშირებული არ არის ისეთი ნივთების გარიგებებთან, რომლებიც დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. იმ შემთხვევაში თუ აღარ იარსებებს ის საფუძველი, რის გამოც პირს შეეზღუდა ქმედუნარიანობა, ქმედუნარიანობის შეზღუდვა უქმდება და პირს შეეძლება ნება ყოველგვარი გარიგების დადებისას თავისუფლად გამოავლინოს (აქ იგულისხმება ორი შემთხვევა: **პირველი**: როცა პირი სრული ქმედუნარიანი ხდება, მიაღწევს თერამეტი წლის ასაკს და, **მეორეც**: ნარკომანი ან ალკოჰოლიკი სრულად გამოჯანმრთელდება და სასამართლო აღადგენს მათ თავიანთ უფლებებში სრულად. ამ შემთხვევაში „ქმედუნარიანობის სრულად აღდგენა იწვევს მზრუნველობის გაუქმებასაც“. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობაა საჭირო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი გარიგებით იღებს სარგებელს. **რა მიეკუთვნება სარგებლის მიღებას?** ამ კრიტერიუმის შესაფასებლად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მარტო ეკონომიური სარგებელი, ასევე განმსაზღვრელი უნდა იყოს ე.წ. **„პედაგოგიური სარგებელი“, „პედაგოგიური ხეირი“.** აქ მხედველობაშია გასათვალისწინებელი რომ სარგებლის მიღება უნდა იყოს ცალმხრივი და არ აიძულებდეს არასრულწლოვანს მეორე მხარისათვის გარკვეული საზღაურის (სანაცვლოს) გადახდას. სარგებელს შეიძლება მივაკუთვნოთ ჩუქება, ანდერძი, უპატრონო ნივთის მითვისება და ა.შ. შეზღუდულქმედუნარიანობის მქონე პირთა მიერ გარიგებების დადებისას საჭიროა, როგორც ავღნიშნეთ, მათი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, მაგრამ სამოქალაქო კოდექსში გვხვდება სპეციალური ნორმა, რომელიც ასეთ თანხმობას არ ითვალისწინებს. ასეთია **სსკ მ. 65 („არასრულწლოვანის ემანსიპაცია“),** რომლითაც მოწესრიგებულია **(პირველი ნაწილი)**

არასრულწლოვანის მიერ **„ჯიბის ფულის“** განკარგვის უფლებამოსილება. **„ჯიბის ფულს“** კი მიეკუთვნება ის საშუალებანი, რომელიც მას გადასცა კანონიერმა წარმომადგენელმა ან ამ უკანასკნელის თანხმობით, მესამე პირებმა ამა თუ იმ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედების შესასრულებლად ანდა თავისუფალი განკარგვის მიზნით. **„საშუალებაში“** უპირატესად ივარაუდება ფულადი საშუალება. აღნიშნულ საშუალებათა გადაცემაში გამოიხატება კანონიერი წარმომადგენლის კონკლიუდენტური თანხმობა არასრულწლოვანის მიერ დადებულ გარიგებათა მიმართ. თანხმობა კია, ოღონდ ზოგადი ხასიათის შეზღუდული თანხმობა და მკვეთრად არაა გამოხატული. არასრულწლოვანის მიერ დადებული გარიგება თავიდანვე ნამდვილია. აქ იგულისხმება, რომ თუ არასრულწლოვანი კანონიერი წარმომადგენლის ნაჩუქარი ფულით, ან კიდევ კანონიერი წარმომადგენლების თანხმობით, მესამე პირების ნაჩუქარი ფულით იქირავებს ბინას ვთქვათ ოთხი თვით, – გარიგება ნამდვილი იქნება, მიუხედავად იმისა, ეს გარიგება შემდგომ მის მშობელს მოეწონება თუ არა. ცალმხრივი წესით მიღებული სარგებლის მაგალითად შეიძლება ასეთი შემთხვევის მოყვანაც, რომელიც ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში არც თუ იშვიათია: დედა, რომელიც განქორწინებულია მეუღლესთან და ამ უკანასკნელმა სიკვდილის წინ მთელი თავისი ქონება დაუტოვა არასრულწლოვან შვილს, რომელიც დედასთან ცხოვრობს, და დედა არ იწონებს ამ ფაქტს, შვილი მაინც მიიღებს კანონით დადგენილი წესით სამკვიდრო ქონებას (სარგებელს).

§ 3. სახელის უფლება

სამოქალაქო სამართლის სუბიექტების, ფიზიკური პირების სხვა პირებთან სამართლებრივი ურთიერთობა მათ ინდივიდუალურ სახელთანაა დაკავშირებული, რომელიც ფიზიკური პირების იდენტიფიკაციის საშუალებაა. სამოქალაქო სახელის ტარების უფლება ყოველი ფიზიკური პირის უფლებაა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ არ შეიძლება არსებობდეს უსახელო ადამიანი. სამოქალაქო სახელს პირისას მნიშვნელოვანი სოციალური წესრიგის ფუნქცია აკისრია. სახელთან დაკავშირებული ურთიერთობებით რეგულირდება არა მარტო კერძო-სამართლებრივი, არამედ საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობებიც.

სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, **„ყოველ ფიზიკურ პირს აქვს სახელის უფლება, რაც მოიცავს სახელსა და გვარს."** ქართული სამოქალაქო სახელი ორწევრიანია, განსხვავებით პოსტსაბჭოთა ქართული სამოქალაქო კოდექსისაგან, რომელიც ფიზიკური პირის სახელის ქვეშ რუსული კანონმდებლობის ზეგავლენით მოიაზრებდა სახელს, მამის სახელსა და გვარს. აქვე შევნიშნავთ, რომ **BGB**-ს **§ 12 „სახელის უფლება"** ეხმიანება ქართული სამოქალაქო კოდექსის **მე-18 მუხლის 1-ლ და მე-2 ნაწილებს** და მასში პირდაპირ მითითებულია, რომ: „თუ პირის სახელის ტარების უფლებას შეეცილება სხვა პირი ან თუ უფლებამოსილი პირის ინტერესებიც ილახება სხვა პირის მიერ იგივე სახელით უნებართვო სარგებლობით, უფლებამოსილ პირს შეუძლია მას მოსთხოვოს დარღვევის შეწყვეტა. თუ ადგილი ექნება შემდგომ დარღვევებს, მაშინ მას შეუძლია სასამართლო წესით მოითხოვოს მოქმედებისაგან

თავის შეკავება“[119]. **BGB-ის §12** ლაკონურად აწესრიგებს სახელის უფლებასთან (**Namensrecht**) დაკავშირებულ საკითხებს. მე-18 მუხლი, რომელიც პირადი არაქონებრივი უფლების დაცვასთან დაკავშირებით ერცელ ინფორმაციას შეიცავს. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი პარაგრაფი კი რომლის სახელწოდებაა „სახელის უფლება“ ძირითადად საუბრობს სახელთან დაკავშირებული პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვაზე, ეფიქრობთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა კარგად დაალაგა კოდექსში ჯერ „სახელის უფლება“ (მ.17) და შემდეგ „სახელთან დაკავშირებული „პირადი არაქონებრივი უფლებები“ (მ.18) და სხვ. **BGB-ის §12** ერთმანეთისაგან განასხვავებს სახელის ორ სახეს – **ძირითადი სახელი** (**Znangsnamen**), რომელიც პირს გააჩნია და **შერჩეული სახელი** (**Nahnamen**)[120]. სახელის უფლება აბსოლუტური უფლებაა. ყოველი ინდივიდი უფლებამოსილია მოითხოვოს არა მარტო მისი სახელისადმი პატივისცემა, არამედ ამ უფლების (სახელის უფლების) აღიარება და მისი ხელყოფისაგან თავის შეკავებაც. სახელზე უფლება ფიზიკურ პირს აღჭურავს სამართლებრივი შესაძლებლობით: იქონიოს სახელი და გვარი, ატაროს დედის ან მამის გვარი, ან კიდევ შეერთებული გვარი, მეუღლის გვარი, შეიცვალოს სამოქალაქო სახელი, დაქორწინების შემდეგაც ატაროს ყო-

119. შევნიშნავთ, რომ თუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ჯერ სახელის უფლების დეფინიციას ეხვდებით და შემდეგ ფიზიკური პირი საცხოვრებელი ადგილისა, გერმანულ სამოქალაქო კოდექსში პირიქითაა: ჯერ კოდექსი საცხოვრებელი ადგილის ცნებას გვთავაზობს და შემდეგ ფიზიკური პირის სახელისა. იხ. გერმანიის სამოქალაო კოდექსი (BGB), 2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით, § 12; Гражданское уложение Германии, 2-е изданис, Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands, 2. Auflage. Wolters Kluwer, §12.

120. Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 13-15.

ფილი მეუღლის გვარი, ან მისი მოთხოვნით დაუბრუნდეს ქორწინებამდელი გვარი, რომლის შესახებ უნდა მიმართოს განცხადებით სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს ქორწინების რეგისტრაციის დროს, მოითხოვოს სახელის დაცვა და სხვა.

ფიზიკური პირები ასევე უფლებამოსილნი არიან სამოქალაქო სახელთან ერთად ატარონ **ფსევდონიმი (გამოგონილი სახელი).** ფსევდონიმი ინდივიდის შემოქმედებითი ნაწარმოების ავტორის არაქონებრივ უფლებათა რიცხვს განეკუთვნება. ფსევდონიმს ატარებენ შემოქმედნი ცნობილი მწერლები, ხელოვანები, მსახიობები, ჟურნალისტები და სხვა. მაგრამ ისინი სახელმწიფო (საჯარო) დაწესებულებებში ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელის მოწერისას თავიანთ იდენტიფიცირებას უფლება-ვალდებულებების განხორციელებისას ახდენენ მხოლოდ სამოქალაქო სახელით. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ისევე როგორც დასავლეთ ევროპის ბევრი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსები, ფსევდონიმთან დაკავშირებულ ურთიერთობებს ცალკე არ აწესრიგებს და მას საავტორო სამართალში მიუჩენს ადგილს – ფსევდონიმით ნაწარმოების გამოქვეყნების საკითხის მოწესრიგებისას[121]“ (მაგალითად **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მ. 10).** ფიზიკური პირები ხშირ შემთხვევაში ატარებენ აგრეთვე ე.წ. **ხელმეტ „კინობით-ალერსობრივ“** სახელს, რომლითაც მათ მიმართავენ ახლობლები ბავშვობიდან, მეგობრები. თუმცა ეს სახელი არ უნდა იყოს პიროვნების დამამცირებელი.

სამოქალაქო სახელის გარდა ცნობილია ე.წ. **სამწარმეო სახელწოდება, ფირმა. „ფირმის“** ქვეშ იგულისხმება იურიდიული პირის სახელი (ჩვენ ამის შესახებ მოგვიანებით, იურიდიული პირების შესახებ თავში უფრო კონკრეტულად ვისაუბრებთ), რომლითაც იგი ამყარებს სამართ-

121. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, 2011, გვ. 198.

ლებრივ ურთიერთობებს, დებს გარიგებებს სხვა პირებთან (ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებთან). საფირმო სახელწოდებით იურიდიული პირი რეგისტრირდება სარეგისტრაციო ორგანოში, ამ სახელით გამოდის იგი მოსარჩელედ და მოპასუხედ და სხვა. დასაშვებია, რომ იურიდიული პირის სახელწოდება ემთხვეოდეს იმ ფიზიკური პირის სახელს, რომელმაც იურიდიული პირი დაარეგისტრირა თავისი სახელით. მაგალითად, ლაღიძის წყლები ატარებს ცნობილი მეწარმის მიტროფანე ლაღიძის სახელს, ან კიდევ, საადვოკატო ფირმა რევაზ აბულაძე და ა. შ.

პირადი არაქონებრივი უფლებების დამახასიათებელია ის, რომ მისი გადაცემა სხვა პირებისათვის შეუძლებელია, ანუ იგი გადაცემაუუნარო უფლებაა. პირის სახელი მისი ინდივიდუალური თვისებების გამოხატულებაა, რომელიც მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი მაშინაც კი როცა ორი ფიზიკური პირის სახელი შეიძლება ერთმანეთს დაემთხვეს, მაგალითად, ცნობილი ქართული ფილმიდან „ჭრიჭინა" „ორი მარინა და ორივე ბერაძე". ასეთ კონკრეტულ შემთხვევაშიც პირის სახელი მისი პიროვნულობის განმსაზღვრელია.

განსხვავებით ფიზიკური პირის სახელისა, რომელიც გადაუცემადია, იურიდიული პირის სახელის გადაცემა კანონმდებლობით დაშვებულია, მაგალითად, პირი მის მიერ დარეგისტრირებულ იურიდიულ პირს ასხვისებს საფირმო სახელთან ერთად, მაგრამ იურიდიული პირის უკვე დარეგისტრირებული საფირმო სახელს არ შეიძლება ემთხვეოდეს დასარეგისტრირებელი იურიდიული პირის საფირმო სახელი, კერძოდ, **სამოქალაქო კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილის** თანახმად, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდება არ შეიძლება ემთხვეოდეს უკვე რეგისტრირებული არასამეწარმეო არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებას." კომერციული ურთიერთობები დასაშვებად მიიჩნევს ადამიანის სახელის გად-

აცემაუნარიანობას, მაშინ როცა ფიზიკური პირის სახელი იურიდიული პირის საფირმო სახელადაა გამოყენებული და ამ დროს სახელი საკმაჭრო სახელად გარდაიქმნება, საწარმოს ქონების შემადგენელ ნაწილად იქცევა.

სახელის შეძენის საფუძვლები. სახელის შეძენის საფუძვლად სამოქალაქო კოდექსი ამომწურავად ჩამოთვლის სახელის შეძენის პირობებს: **დაბადებას, დაქორწინებას, სახელის შეცვლას ნებაყოფლობით.**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1189-ე მუხლის მიხედვით, შვილის წარმოშობა დაქორწინებული მშობლებისაგან დასტურდება მეუღლეთა ერთობლივი ან ერთ-ერთი მათგანის განცხადებით, ბავშვის დაბადებისა და მშობელთა ქორწინების დამადასტურებელი დოკუმენტით"; სკ-ის **1194-ე მუხლის თანახმად, თანახმად კი:** „შვილს სახელს არქმევენ მშობლები ურთიერთშეთანხმებით". „ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილის წარმოშობა დგინდება მშობელთა ერთობლივი განცხადებით და ბავშვის დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტით. მშობელთა ერთობლივი განცხადების არარსებობის ან მისი წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში ბავშვის მამობა შეიძლება დადგინდეს სასამართლო წესით ერთ-ერთი მშობლის, ბავშვის მეურვის (მზრუნველის) ან იმ პირის განცხადების საფუძველზე, რომლის კმაყოფაზედაც იმყოფება ბავშვი, აგრეთვე თვით ბავშვის განცხადებით მის მიერ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ" **(სამოქალაქო კოდექსი მ. 1190, 6.1-2). საქართველოს კანონის „სამოქალაქო აქტების შესახებ" 33-ე მუხლის** თანახმად, „სასამართლო თავის გადაწყვეტილებას მამობის დადგენის შესახებ მისი კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში უგზავნის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს გადაწყვეტილების ადგილის მიხედვით. მამობის დადგენის შესახებ სასამართლოს მიერ წარდგენილი გადაწყვეტილების საფუძველზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორ-

განო ახორციელებს მამობის დადგენის რეგისტრაციას და შესაბამისი ცვლილება შეაქვს დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში"...

„ექსტრაკორპორული"[122] განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის დაბადების რეგისტრაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საბუთებთან ერთად სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს უნდა წარედგინოს: **ა)** ექსტრაკორპორული განაყოფიერების დამადასტურებელი საბუთი, რომელიც გაცემულია სამედიცინო დაწესებულების მიერ ემბრიონის იმპლანტაციისთანავე; **ბ)** ექსტრაკორპორულ განაყოფიერებამდე დადებული, სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება: **ბ.ა)** ბავშვის გამჩენ ქალსა და გენეტიკურ მშობლებს შორის, ან: **ბ.ბ)** ბავშვის გამჩენ ქალს, გენეტიკურ მშობელს, დაბადების აქტის ჩანაწერში ბავშვის მშობლად ჩასაწერ პირსა (რომელიც არ არის ბავშვის გენეტიკური მშობელი) და დონორს შორის, ან: **ბ.გ)** ბავშვის გამჩენ ქალს, წყვილსა და დონორებს შორის. ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის მშობლებად მიიჩნევიან: **ა)** გენეტიკური მშობლები; **ბ)** გენეტიკური მშობელი და ხელშეკრულების საფუძველზე დაბადების აქტის ჩანაწერში მშობლად ჩასაწერი პირი; **გ)** წყვილი. დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის მშობლად დონორის ან „სუროგატი დედის" მითითება დაუშვებელია. ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად გაჩენილი ბავშვის დაბადების რეგისტრაციისას ზემოთ აღნიშნული

---

122. ექსტრაკორპორული (**E. extracorporal, Rus. экстракорпоральный,. extracorporalis.** lლათ. **extra** გარეთ, **corpora** – სხეული) –სხეულის გარეთ მომხდარი რეაქცია, აქტი, პროცესი (მაგ; ექსტრაკორპორული განაყოფიერება, დასხივება და სხვ.) ექსტრაკორპორულ განაყოფიერებაში იგულისხმება სინჯარაში, ან ვიტრო განხორციელებული სპერმატოზოიდისა და კვერცხუჯრედის შერწყმა, რის შემდეგაც მიღებული ზიგოტის იმპლატანცია ხდება საშვილოსნოში". http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php

ხელშეკრულების წარუდგენლობის შემთხვევაში დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის სახელი და გვარი მიეთითება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს განცხადების საფუძველზე"[123].

აქვე არ შეიძლება არ შევეხოთ, ნაპოვნი ბავშვის რეგისტრაციის ფაქტს. ბავშვი მიტოვებულად აღიარებას ექვემდებარება: **ა)** ის არის ნაპოვნი ბავშვი და 6 კვირის ვადაში, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს, საქართველოს შსს ტერიტორიული ორგანოსა და იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად ვერ დადგინდა ამ ბავშვის ან/და მისი მშობლის (მშობლების) ვინაობა; **ბ)** ის არის ნაპოვნი ბავშვი და 6 კვირის ვადაში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად დადგინდა ამ ბავშვის ან/და მისი მშობლის (მშობლების) ვინაობა, მაგრამ ის (ისინი) თავს არიდებს (არიდებენ) მშობლის უფლების განხორციელებასა და მოვალეობების შესრულებას, 7 დღის ვადაში არ ცხადდება (არ ცხადდებიან) მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოში ან მასთან (მათთან) დაკავშირება შეუძლებელია; გ) თუ მშობელმა (მშობლებმა) საკუთარი ქმედებით ან უმოქმედობით გამოხატა (გამოხატეს) მისი მიტოვება და ის (ისინი), სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული პრევენციისა და რეინტეგრაციის ღონისძიებების მიუხედავად, თავს არიდებს (არიდებენ) მშობლის უფლების განხორციელებასა და მოვალეობების შესრულებას ან ბავშვის 24 საათიან სახელმწიფო ზრუნვაში ყოფნის ხანგრძლივობა აღემატება 6 თვეს (გარდა მშობლის (მშობლების) ჯანმრთელობის არასათანადო მდგომარეობის ან მშობლის (მშობლების) პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში

123. საქართველოს კანონი „სამოქალაქო აქტების შესახებ", მ. 19.

ყოფნის შემთხვევისა) და ბავშვის მშობელს (მშობლებს) შეჩერებული ან შეზღუდული აქვს (აქვთ) მშობლის უფლებამოსილებები. ბავშვის მიტოვებულად აღიარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო მისთვის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ მიმართვის შემდეგ"... ბავშვის მიტოვებულად აღიარების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ბავშვი აღიარებული იქნება მიტოვებულად...."[124]. **კანონის „სამოქალაქო აქტების შესახებ" 22-ე მუხლის** თანახმად კი: „ნაპოვნი ბავშვის დაბადების რეგისტრაციისას მისი სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მიეთითება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წერილობითი მიმართვისა და ასაკის დადგენის შესახებ სამედიცინო დასკვნის საფუძველზე. ნაპოვნი ბავშვის დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მიეთითება: „ბავშვი ნაპოვნია, მშობლები უცნობია".

სამოქალაქო კოდექსის 1188-ე მუხლის მიხედვით, „მამის გარდაცვალების შემთხვევაში ბავშვი დაქორწინებული მშობლებისაგან წარმოშობილად ჩაითვლება, თუ იგი დაიბადება მამის გარდაცვალებიდან არაუგვიანეს ათი თვისა", ხოლო **1190-ე მუხლის მე-3 ნაწილის** მიხედვით, „ბავშვის მამობის დადგენის საკითხს (აქ უკვე კანონმდებელი გულისხმობს დავის შემთხვევებს, როცა „პირობითი მამა" საჭიროს ხდის ბავშვის მამობას), სასამართლო წყვეტს **ბიოლოგიური (გენეტიკური) ანთროპოლოგიური გამოკვლევის** შედეგების (მტკიცებულებების) შესაბამისად, რომელიც შეეხება ბავშვის მამობის განსაზღვრის საკითხს". იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლით მამობის დადგენა შეუძლებელია, სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედი-

124. საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ", მ. 14.

სა და მამობის დადგენის შესახებ განმცხადებელი პირის (განცხადებაში მითითებული პირის) ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე ან/და მათ მიერ ბავშვის ერთად აღზრდის ან/და რჩენის ფაქტებს, ან/და სხვა დამამტკიცებელ საბუთებს ან/და გარემოებებს, რომლებიც სავსებით ადასტურებს განცხადებაში მითითებული პირის მიერ ბავშვის მამობის აღიარებას (სსკ, მ.1190.ნ. 4).

რაც შეეხება ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილის წარმოშობას კანონით განსაზღვრული წესით, ეს ფაქტი, ასევე შეიძლება დაადგინოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანომ პირის გარკვეულ დროსა და ვითარებაში დაბადების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენისას (სსკ, მ.1190, ნ.6).

პირს, რომელიც დასაბუთებულად ვარაუდობს რომ თვითონაა ბავშვის მამა, შეუძლია სადავო გახადოს **სსკ 1190-ე მუხლის („ერთმანეთისაგან დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილის წარმოშობის დადგენა“)** შესაბამისად სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში ბავშვის მამის შესახებ შესრულებული ჩანაწერი **ერთი წლის განმავლობაში** იმ დროიდან, როდესაც გაიგო ან უნდა გაეგო აღნიშნული ჩანაწერის თაობაზე. სასამართლოს უფლება აქვს უარი თქვას ბავშვის მამობის დადგენაზე, თუ მისი დადგენა ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს (სსკ. მ. 1190, ნ. 7-8).

სასამართლო პრაქტიკა მამობის დადგენის შესახებ: ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2014 წლის 19 მაისს განიხილა დავა მამობის დადგენის შესახებ ნ. გოზალიშვილის სარჩელი მოპასუხეების პ. ტყეშელაშვილისა და თ. ისმაილოვის მიმართ მამობის დადგენის თაობაზე. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2014 წლის 31 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოსარჩელე ნ. გოზალიშვილს სარჩელი დაუკმაყოფილა და 2013 წლის 10 იანვარს და-

ბადებული ი. გოზალიშვილის ბიოლოგიურ მამად ცნობილ იქნა 1979 წლის 10 ივლისს დაბადებული პ. ტყეშელაშვილი. სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ქუთაისის სამსახურის მიერ მოხდა ი. გოზალიშვილის დაბადების სააქტო ჩანაწერში შემდეგი ცვლილებების შეტანა: ი. გოზალიშვილის დაბადების სააქტო ჩანაწერში მამის გრაფაში ნაცვლად თ. ისმაილოვისა, ჩაიწერა პ. ტყეშელაშვილი[125].

სახელისა და გვარის შეძენის მეორე საფუძველს ფიზიკური პირისათვის **დაქორწინება** წარმოადგენს. **სამოქალაქო კოდექსის 1187-ე მუხლის** მიხედვით, „შვილების წარმოშობა დადასტურებულია კანონით დადგენილი წესით". ქორწინების რეგისტრაცია დაწესებულია მეუღლეებისა და ბავშვების ინტერესების დაცვის მიზნით და რაც მთავარია დგინდება ბავშვის სამოქალაქო სახელი, რომელიც ახალშობილს მიეკუთვნება როგორც ავღნიშნეთ მშობელთა ურთიერთშეთანხმებით.

„ბავშვის დაბადების რეგისტრაცია ხდება მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში ბავშვის დაბადების ან მშობლების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ ბავშვს აჩენს ქორწინებაში მყოფი დედა, ეს ნიშნავს, რომ მისი ქმარი ამ ბავშვის მამაა. ეს პრეზუმფცია ძალაშია სანამ თვით ქმარი სასამართლოს გზით არ დაამტკიცებს, რომ ბავშვი სხვა პირთანაა გაჩენილი"[126].

რაც შეეხება სრულწლოვანი პირების სახელის შეცვლას ეს მათ ნებაზეა დამოკიდებული, მათ შეუძლიათ ატარონ როგორც მშობლების მიერ მათთვის მინიჭებული სამოქალაქო სახელი, ასევე შეიცვალონ იგი.

125. იხ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე № 2/1503-13, 2014 წლის 19 მაისი

126. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი, 2000, გვ. 161. შვილების წარმოშობის დადგენაზე იხ. სამოქალაქო კოდექსის მ. 1187-1196, აღნიშნული კომენტარის გვ. 153-168.

გერმანული სამოქალაქო კოდექსის მიხედვით (§1616-1618)[127] კი: „შვილი დაბადების გვარის სახით იღებს თავისი მშობლების საქორწინო გვარს. იმ შემთხვევაში კი, თუ მშობლებს არ აქვთ საქორწინო გვარი და ისინი ბავშვზე ზრუნვას ახორციელებენ ერთობლივად, მაშინ ისინი სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს წინაშე გაკეთებული განცხადებით შვილის დაბადების გვარის სახით ადგენენ გვარს, რომელიც მამას ან დედას აქვთ განცხადების წარდგენის მომენტში. თუ მშობლები ბავშვის დაბადებიდან ერთი თვის განმავლობაში არ იღებენ გადაწყვეტილებას, საოჯახო საქმეთა სასამართლო გადაწყვეტილების მიღების უფლებას ანიჭებს ერთ-ერთ მშობელს[128]. სასამართლოს შეუძლია მშობელს გადაწყვეტილების მიღების უფლების გამოყენებისათვის დაუდგინოს ვადა. თუ ვადის გასვლამდე გადაწყვეტილების მიღების უფლება არ იქნება განხორციელებული, მაშინ ბავშვი იღებს იმ მშობლის გვარს, რომელსაც მიენიჭა გადაწყვეტილების მიღების უფლება... თუ მშობლებს არ აქვთ საქორწინო გვარი და ბავშვზე ზრუნვას ახორციელებს მხოლოდ ერთ-ერთი მშობელი, მაშინ ბავშვი იღებს იმ გვარს, რომელიც ამ მშობელს ბავშვის დაბადების მომენტში აქვს. მშობელი, რომელიც ერთპიროვნულად ახორციელებს დაუქორწინებელ შვილზე[129] ზრუნვას, შეუძლია სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს წინაშე გაკეთებული განცხადებით მიანიჭოს ბავშვს მეორე მშობლის გვარი. გვარის მინიჭება საჭიროებს მეორე მშობლის თანხმობას, ხოლო თუ ბავშვმა მიაღწია ხუთი წლის ასაკს,- ასევე ბავშვის თანხმობას.[130]“

---

127. იხ. Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 1912-1920

128. ჩვენ ასეთი სისტემა „საოჯახო სასამართლოსი“ არ გვაქვს.

129. მიგვაჩნია, რომ გერმანული სამოქალაქო კოდექსის ზოგიერთი ნორმის თარგმანი არაზუსტია.

130. განსხვავებით გერმანული სამოქალაქო კოდექსისაგან (§1617(ა), საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ასეთ ზღვრად ასაკისა მიიჩნევს 10 წელს.

სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „სახელის შეცვლა დასაშვებია. ამისათვის საჭიროა პირის დასაბუთებული განცხადება, რომელიც დადგენილი წესით უნდა განიხილოს სათანადო ორგანომ.“ კანონით ასევე გათვალისწინებულია სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლის წესი და პირობები. კერძოდ, საქართველოს მოქალაქეთა მიერ სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლა დასაშვებია მათ მიერ პირადობის დამადასტურებელი საბუთის მისაღებად დადგენილი ასაკის მიღწევის შემდეგ.

არასრულწლოვან მოქალაქეთა სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლა შესაძლებელია მათი მშობლების ან იმ მშობლის თანხმობით, რომელთანაც ცხოვრობს ბავშვი, აგრეთვე მშობლების მონაცვლე პირთა თანხმობით. **რა შეიძლება იყოს სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლის ის მიზეზები, რომლებიც მისაღები იქნება რეგისტრაციის ორგანოებისათვის? საქართველოს კანონი „სამოქალაქო აქტების შესახებ“ მ.62-69 და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის № 18 ბრძანება „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ მ.46** სახელის და/ან გვარის შეცვლის საფუძვლად მიიჩნევს: საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის, რომლის დაბადება რეგისტრირებულია საქართველოში, – განცხადებას. განცხადების ფორმას ამტკიცებს სააგენტოს თავმჯდომარე. საქართველოს მოქალაქეს, აგრეთვე საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლის დაბადება რეგისტრირებულია საქართველოში, უფლება აქვთ, შეიცვალონ სახელი ან/და გვარი. სახელის ან/და გვარის შეცვლისათვის სავალდებულოა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ სახელის ან/და გვარის შეცვლის რეგისტრაცია. სახელის ანდა გვარის შეცვლის რეგისტრაციის საფუძველია უფლებამოსილი პირის

განცხადება და კანონის „სამოქალაქო აქტების შესახებ თავი VII-ის („სახელის ან/და გვარის შეცვლის რეგისტრაცია“) თავით გათვალისწინებული გარემოებების არსებობა, კერძოდ: ქმედუუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის სახელის ან გვარის შეცვლა ხდება შემდეგი საფუძვლების არსებობისას: 16 წლიდან 18 წლამდე არასრულწლოვანის სახელის ან გვარის შეცვლა დასაშვებია ამ პირის მოთხოვნით და მისი მშობლის (მშობლების) ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების თანხმობით. 16 წლამდე არასრულწლოვანის სახელის ან/და გვარის შეცვლა ხორციელდება მისი მშობლების შეთანხებით, ხოლო მშობლების შეუთანხმებლობისას, არასრულწლოვანის სახელის ან გვარის შეცვლის საკითხს მისი ინტერესების გათვალისწინებით წყვეტს სასამართლო. ქორწინებაში არმყოფი დედის მიერ გვარის შეცვლისას, აგრეთვე იმ მშობლის მიერ გვარის შეცვლისას, რომლის გვარსაც ატარებს მისი არასრულწლოვანი შვილი და მშობლებს სხვადასხვა გვარი აქვთ, 10 წლამდე არასრულწლოვანის გვარი შეიცვლება მშობლის გვარის შეცვლასთან ერთად, ხოლო როცა არასრულწლოვანს 10 წელი შეუსრულდება, მისი სახელის/გვარის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მისი თანხმობით[131]. ქმედუუნარო სრულწლოვანის სახელის ან/და გვარის შეცვლა დასაშვებია მისი მეურვის თანხმობით. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე სრულწლოვანის სახელის ან/და გვარის შეცვლა დასაშვებია ამ პირის მოთხოვნით და მისი მზრუნველის თანხმობით.

„სრულწლოვან პირს უფლება აქვს საკუთარი სურვილისამებრ შეიცვალოს სახელი მხოლოდ ერთხელ, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. პირს შეუძლია შეიცვალოს გვარი და მიიღოს: ა) პირდაპირი აღმავალი

131. მიგვაჩნია, რომ 10 წლიანი ზღვარი უნდა გაიზარდოს, თუნდაც 14 წლამდე, რამეთუ 10 წლის ბავშვმა შეუძლებელია მიიღოს გონიერული გადაწყვეტილება.

შტოს ნათესავის გვარი; **ბ)** მშობელთა შეერთებული გვარი; **გ)** ფაქტობრივი აღმზრდელის გვარი; **დ)** მშვილებლის გვარი; **ე)** მეუღლის გვარი; **ვ)** სხვა სახელმწიფო უფლებამოსილი ორგანოს მიერ მისთვის მინიჭებული გვარი. გვარის შეცვლა ასევე შესაძლებელია, თუ პირს სურს მიიღოს საკუთარი და მეუღლის გვარების გაერთიანების შედეგად მიღებული გვარი, დაიბრუნოს ქორწინებამდელი გვარი ან აღიდგინოს ისტორიული გვარი"[132].

„პირის პირადობის დამადასტურებელ ან სხვა დოკუმენტებში მითითებული გვარი, რომელიც არ შეესაბამება მისი დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მითითებულ გვარს, შეიძლება აღიარებულ იქნეს კანონიერად, თუ დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მითითებულ გვარზე დაბრუნება (პირადობის დამადასტურებელი ან სხვა დოკუმენტების მიღება) დაკავშირებულია არათანაბარზომიერ ხარჯებსა და ძალისხმევასთან. გვარის კანონიერად აღიარება დასაშვებია, თუ კანონის „სამოქალაქო აქტების შესახებ" ამოქმედებამდე არანაკლებ 5 წლის განმავლობაში[133] პირი პირადობის დამადასტურებელ ან სხვა რაიმე ოფიციალურ დოკუმენტს ფლობდა გვარზე, რომელიც არ შეესაბამება მისი დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მითითებულ გვარს"[134].

რაც შეეხება გვარის დადგენის ფაქტს, „პირს, რომლის დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში არ არის მითითებული გვარი, მისი სურვილისამებრ, შეიძლება დაუდგინდეს პირდაპირი აღმავალი შტოს ნათესავის გვარი, ან სხვა გვარი, რომლითაც იგი სარგებლობდა ამ კანონის ამოქმედებამდე არანაკლებ 5 წლისა[135], რაც უნდა დასტურ-

132. საქართველოს კანონი „სამოქალაქო აქტების შესახებ", მ. 64.

133. როგორც კანონიდან ჩანს, ამ კანონითვე ნორმას (მ. 66, 62.) მიეცა უკუქცევითი ძალა, ე. ი. ნორმა იმოქმედებს მისი ამოქმედებამდე 5 წლის წინა პერიოდზე.

134. საქართველოს კანონი სამოქალაქო აქტების შესახებ", მ. 66

135. კანონის „სამოქალაქო აქტების შესახებ", მ. 67, ნ.1-ს მიეცა ან კანონითვე უკუქცევითი ძალა.

დებოდეს მის სახელზე შედგენილი დოკუმენტებითა და სხვა მტკიცებულებებით (კანონის „სამოქალაქო აქტების შესახებ", მ.67, ნ.1). მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე გვარის დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში პირს შეიძლება დაუდგინდეს თავისი ან პირდაპირი აღმავალი შტოს ნათესაეის სახელისაგან ნაწარმოები გვარი მისთვის სასურველი დაბოლოებით ან დაბოლოების გარეშე"(ნ.2).

პირს შეუძლია მოითხოვოს თავისი ისტორიული გვარის აღდგენა, თუ მტკიცებულებებათა ერთობლიობით დასტურდება, რომ მისი გვარი წარმოიშვა სხვა გვარის გარდაქმნის ან მისი ისტორიული გვარის წარმომადგენლის მიერ სხვა გვარის მიღების შედეგად. სხვა მტკიცებულებებთან ერთად ისტორიული გვარის აღდგენას საფუძვლად აგრეთვე შეიძლება დაედოს დასაბუთებული მეცნიერული ვარაუდი, რომლითაც დასტურდება ზემოთ აღნიშნული მითითებული გარემოებების არსებობა. ისტორიული გვარის აღდგენის წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით[136].

კანონი ითვალისწინებს განცხადებაზე დასართავი აუცილებელი საბუთების წარდგენას სარეგისტრაციო ორგანოში. მაგალითად, განმცხადებლის სრულწლოვანების შემთხვევაში პირადობის დამადასტურებელ მოწმობას; განმცხადებლის დაბადების მოწმობას (მოწმობის ასლს); განმცხადებლის ქორწინების მოწმობას (მოწმობის ასლს) თუ განმცხადებელი დაქორწინებულია; განმცხადებლის არასრულწლოვანი შვილების დაბადების მოწმობებს (ასლები) თუ განმცხადებელს ჰყავს არასრულწლოვანი შვილები; მშობლის (მშობლების) მონაცვლე პირთა წერილობით თანხმობას განმცხადებლის სახელის შეცვლაზე თუ განმცხადებელი არასრულწლოვანია, ასევე საქართ-

136. საუბარია საქართველოს იუსტიციის 2012 წლის №18 ბრძანებაზე „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ", მ. 48.

ველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოს ნებართვას სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლაზე და სხვა.

აქვე დავამატებდით, რომ ქორწინების რეგისტრაცია ერთ-ერთი საფუძველია მეუღლეებისათვის სახელის შეცვლისა, კერძოდ, დაქორწინებულ მეუღლეებს შეუძლიათ დაიტოვონ თავიანთი ქორწინებამდელი გვარი, ან ატარონ მეორე მეუღლის გვარი. ასევე, მეუღლეებს ჩაუწერებათ მათ მიერ საეროო გვარად შერჩეული ერთ-ერთი მათგანის გვარი ან ყოველ მათგანს ჩაუწერება თავისი ქორწინებამდელი გვარი. ერთ-ერთი მეუღლის სურვილისამებრ შესაძლებელია საკუთარი გვარისა და მეორე მეუღლის გვარის შეერთებით გვარის შექმნა. გვარების შეერთება დაუშვებელია, თუ თუნდაც ერთ-ერთი მეუღლის ქორწინებამდელი გვარი ორმაგია. საინტერესოა განქორწინების შემთხვევაში მეუღლეთა მიერ გვარის შენარჩუნების ან შეცვლის საკითხები. **სამოქალაქო კოდექსის 1133-ე მუხლის** თანახმად, „მეუღლეს, რომელმაც გვარი შეიცვალა, დაქორწინების დროს, უფლება აქვს განქორწინების შემდეგაც ატაროს იგივე გვარი, ან მისი მოთხოვნით დაუბრუნდება ქორწინებამდელი გვარი. უნდა შევნიშნოთ, რომ კონკრეტულ შემთხვევაში განქორწინებულმა მეუღლემ (და ასეთ ფაქტებს არც თუ იშვიათად შევხვდებით) მეორე მეუღლეს მოსთხოვა, რომ მას არ ეტარებინა განქორწინებული მეუღლის გვარი, თუმცა სასამართლოს მათი სარჩელი გამომდინარე ზემოთ აღნიშნული მუხლიდან არ დაუკმაყოფილებია და საესებით მართებულადაც. გამოდის, რომ მეუღლეს, რომელმაც გვარი შეიცვალა დაქორწინების დროს, უფლება აქვს განქორწინების შემდეგაც ატაროს იგივე გვარი, ან მისი მოთხოვნით დაუბრუნდება ქორწინებამდელი გვარი. მეუღლისათვის ქორწინებამდელი გვარის მიკუთვნების შესახებ სააგენტოს ტერიტორიული სამსახური აკეთებს შესაბამის ჩანაწერს. „მეუღლემ, რომელსაც სურს დაიბრუნოს ქორწინებამდელი

გვარი,ამის შესახებ უნდა განაცხადოს სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში განქორწინების რეგისტრაციის დროს. მეუღლისათვის ქორწინებამდელი გვარის მიკუთვნების შესახებ სააგენტოს ტერიტორიული სამსახური აკეთებს შესაბამის ჩანაწერს" **(სამოქალაქო კოდექსი, მ. 1134).**

საინტერესოა როგორ წყვეტს მეუღლეთა დავას სახელის შეცვლის თაობაზე კანონმდებლობა ქორწინების გაბათილების შემთხვევაში. პირდაპირ ამაზე მინიშნება კანონში არა გვაქვს, მაგრამ **1146-ე მუხლი** მიგვანიშნებს, რომ „ბათილად ცნობილი ქორწინება ბათილად ითვლება ქორწინების რეგისტრაციის დღიდან და არ წარმოშობს მეუღლეთა უფლებებსა და მოვალეობებს. ბუნებრივია, მეუღლეს, რომელიც მოატყუეს და მეორე „მეუღლე" მასთან ოჯახის შექმნას სულაც არ ისახავდა მიზნად და ანგარება ამოძრავებდა, ვერ დაიტოვებს კეთილსინდისიერი მეუღლის გვარს. მაგრამ ბუნებრივია რა ბედი ეწევა ასეთი ქორწინებისას გაჩენილი ბავშვის სამოქალაქო სახელს (სახელსა და გვარს)? ამ შემთხვევაში კანონმდებელი ცალსახად ამბობს, რომ „ქორწინების ბათილად ცნობა არ ხელყოფს ასეთი ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვთა უფლებებს" **(სამოქალაქო კოდექსი, მ. 1146, ნ. 4).** პასუხი ნათელია, ბავშვი ინარჩუნებს მშობლების მიერ მიკუთვნებულ სამოქალაქო სახელს, მიუხედავად იმისა, რომ მათი მშობლები (ან ერთ-ერთი მათგანი) დაქორწინებისას მიზნად არ ისახავდა ოჯახის შექმნას.

რა შეიძლება იყოს მარეგისტრირებელი ორგანოს უარი სახელის შეცვლაზე? მარეგისტრირებელ ორგანოს დასაბუთებული უარის საფუძველი სახელის შეცვლაზე შეიძლება იყოს: თუ სახელის, მამის სახელის შეცვლით რეალური საფრთხე ექმნება მესამე პირთა ინტერესებს, პირი, რომელიც ითხოვს სახელის შეცვლას ეჭვმიტანილია დანაშაულის ჩადენაში, ბრალდებულია, ნასამართლევია და ნასამართლობა მოხსნილი არ აქვს, შეცვლილი სახელით

ემალება საჯარო ვალდებულებებს.

სახელის შეცვლა როდი წარმოადგენს იმ უფლებებისა და მოვალეობების შეწყვეტის საფუძველს, რომლებიც შეძენილი იყო ადრინდელი სახელით. პირი მოვალეა აუცილებელი ზომები მიიღოს სახელის შეცვლის შესახებ კრედიტორებისა და მოვალეების გასაფრთხილებლად. პირი, რომელმაც შეიცვალა სახელი ან გვარი, ვალდებულია ცვლილებები შეიტანოს ყოველგვარ დოკუმენტში, რომლებიც მის ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს ეხება. დროულად უნდა იზრუნოს კრედიტორების, მოვალეების გასაფრთხილებლად, რამეთუ, თუ ამან წარმოშვა მეორე მხარისათვის ზიანის მიყენება, აღნიშნულის კომპენსირება დაეკისრება სრული მოცულობით იმ პირს, რომელმაც შეიცვალა სახელი და ამის შესახებ არ შეატყობინა პარტნიორებს.

§ 4. სახელთან დაკავშირებული პირადი არაქონებრივი უფლებები

სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლთან „სახელის უფლებასთან" არის დაკავშირებული **მე-18 მუხლით** გათვალისწინებული სახელთან დაკავშირებული პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა. აქ ერთმანეთისაგან განსხვავდება ორი ფაქტორი, რომლებიც საფუძვლად შეიძლება დაედოს სასარჩელო მოთხოვნებს სახელის უფლების დაცვის შესახებ. **„პირველი, როცა ფიზიკურ პირს სახელს ეცილებიან და მეორე, როცა ფიზიკური პირის სახელით სხვა უნებართვოდ სარგებლობს და ამით ფიზიკური პირის ინტერესები ილახება"**[137]. აღნიშნული მუხლის 1-ლ ნაწილ-

137. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 1999, გვ. 58-59.

ში მითითებულია, რომ „ვისაც სახელის ტარების უფლებას შეეცილებიან, ან ვისი ინტერესებიც ილახება მისი სახელით უნებართვო სარგებლობით, მას უფლება აქვს ხელმყოფს მოსთხოვოს მოქმედების შეწყვეტა ან უარის თქმა მასზე". **გერმანული სამოქალაქო სამართლის §. 12**[138] როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ, აერთიანებს **საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-17 და მე-18 მუხლების დეფინიციებს.** მასში აღნიშნულია, რომ თუ იმ პირის სახელი, რომლის ტარების უფლებაც მას გააჩნია, არასამართლებრივი გამოყენებით ილახება სხვა პირების მიერ, სახელის ტარების უფლების მქონე პირს შეუძლია მოსთხოვოს ამ პირს მისი დარღვევის შეწყვეტა. მას ასევე შეუძლია განსაკუთრებულ ღონისძიებებს მიმართოს, თუ არსებობს საშიშროება შემდგომი დარღვევისა.

პირი, რომლის სახელის არასწორი გამოყენებით ირღვევა ამ პირის უფლებები, სარჩელში მტკიცებულების სახით უნდა წარადგინოს სასამართლოში მისი პიროვნების იდენტიფიკაციის საშუალებები (ამ შემთხვევაში სამოქალაქო აქტების სარეგისტრაციო ორგანოს ჩანაწერები ან სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ მოცემული, კონკრეტული სახელის მხოლოდ მისადმი კუთვნილების უდავი ფაქტს).

მე-18 მუხლის შემთხვევაში ორგვარ ფაქტთან გვაქვს საქმე: „პირველ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას აქვს ორი ფაქტობრივი წანამძღვარი: **1.** სადავო სახელი ეკუთვნის მოსარჩელეს; **2.** მოპასუხე უარყოფს მოსარჩელისათვის სადავო სახელის კუთვნილებას. დავა შეიძლება შეეხებოდეს როგორც სამოქალაქო სახელს, ისე ფსევდონიმს, ან არაოფიციალურ სახელს. სასარჩელო მოთხოვნას მოცემულ შემთხვევაში შეადგენს მოპასუხის მიერ მოსარჩელის

138. იხ. Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. , 13-19.

კუთვნილი სახელის აღიარება. კერძოდ, მოთხოვნა შესაფერის შეთხვევებში მოსარჩელე იხსენიებოდეს კუთვნილი სახელით"[139]. **მეორე შემთხვევაში „სარჩელს სამი ფაქტობრივი წანამძღვარი აქვს:** 1) სახელი ეკუთვნის მოსარჩელეს; 2) მოპასუხე უნებართვოდ სარგებლობს მოსარჩელის სახელით; 3) მოსარჩელის ინტერესები ილახება[140]". ეს ფაქტორი შეიძლება მრავალ შემთხვევებში გამოვლინდეს, პირის სახელის მითვისება, მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟისათვის მოსარჩელის სახელის გამოყენება და სხვა. პირველი შემთხვევისაგან მეორე განსხვავდება იმით, რომ მეორე შემთხვევაში ილახება მოსარჩელის ქონებრივი, ან კიდევ არაქონებრივი ინტერესი. მოპასუხის ბრალეულობას ორივე შემთხვევაში სარჩელის შეტანისას სასამართლოში განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლმა (6.2) გააფართოვა პირის სახელთან დაკავშირებული პირადი არაქონებრივი უფლებების წრე და მას მიაკუთვნა **პატივი, ღირსება, პირად ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია.**

„ეთიკის მეცნიერებაში დამკვიდრებული განმარტების მიხედვით, **პიროვნების პატივის ქვეშ** იგულისხმება პიროვნების მორალური თუ სხვა თვისებების საზოგადოებრივი შეფასება. **პატივი** პიროვნების ობიექტური საზოგადოებრივი შეფასებაა, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულებას პიროვნების მიმართ. **ღირსების** ქვეშ იგულისხმება პიროვნების მიერ საკუთარი მორალური თუ სხვა თვისებების, უნარის, საზოგადოების წინაშე მისი ვალის მოხდის, საკუთარი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასება თავად პიროვნების მიერ. ამასთან, ეს ოვითშეფასება ემყარება მორალური თუ სხვა თვისებების შე-

139. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 58-59.
140. იქვე.

ფასების საზოგადოების მიერ აღიარებულ კრიტერიუმებს. როგორც პატივი, ისე ღირსება უნდა ემყარებოდეს ფაქტებს, რომლებიც სინამდვილეს შეესაბამება[141]".

საქმიანი რეპუტაციის ქვეშ კი იგულისხმება პირის საქმიანი, პროფესიული და სხვა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვისებების შეფასება, რასაც საზოგადოების დამოკიდებულება ემყარება ფიზიკური თუ იურიდიული პირების მიმართ.

მე-18 მუხლი ითვალისწინებს სახელის დასაცავად, კომპრომენტირებული სახელის აღსადგენად, პირებმა მიმართონ როგორც მათი სახელის უშუალო შემბღალავს, ასევე პირდაპირ სარჩელით სასამართლოს.

საქართველოს კონტიტუცია მყარ საკონსტიტუციო გარანტიებს ქმნის პირის უფლებების დასაცავად. მაგალითად, კონსტიტუცია **მე-17 მუხლით** გარანტირებულს ხდის პატივისა და ღირსების ხელშეუვალობას, ხოლო **მე-20 მუხლით,** „ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით, მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას **(პ.1).**

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად, „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს **(პ. 1).** დაცვის უფლება გარანტირებულია" **(პ. 3).** კონსტიტუციის ფუნდამენტური მუხლები უფლებით აღჭურავენ სამოქალაქო ურთიერთობების მონაწილეებს, რომელთა უფლებებიც ილახება მათი სახელის უკანონო მითვისებით და გამოყენებით, – დაიცვან იგი სასამართლოს მეშვეობით.

141. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 60.

იმ შემთხვევაში, თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების შემლახველი ცნობები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებითაა გავრცელებული, მაშინ მათი უარყოფაც ამავე საშუალებებით უნდა მოხდეს. პირი, რომლის სახელი, პატივი უსამართლოდ შეილახა მასმედიის ნებისმიერი საშუალებით და გავრცელებული ინფორმაცია სინამდვილისაგან შორსაა, ბღალავს პირის ავტორიტეტს, – იგი უფლებამოსილია ამ საშუალებებს მოსთხოვოს იმავე გვერდზე, იმავე შრიფტით, როგორც როგორც მასზე მაკომპრომენტირებელი მასალების პუბლიკაცია მოხვდა, მისი სახელის აღმდგენი სტატიის გამოქვეყნება. აღნიშნულის შემოტანა კანონმდებლობაში და მთლიანად **მე-18 მუხლი** სამოსამართლო სამართლის ბრწყინვალე შედეგია. სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან შემდგომ უამრავი პრეცენდენტი შეიქმნა მსგავსი მაგალითებისა, როცა ღია ეთერის, რადიოს თუ პრესის საშუალებით ვრცელდებოდა პირებზე მონაჭორები, მაკომპრომენტირებელი მასალები, რომლებიც შორს იყო სინამდვილისაგან და პირის სახელის შელახვას ისახავდა მიზნად. აღნიშნულ შემთხვევებში პირები მიმართავდნენ სასამართლოს სარჩელით ამ საშუალებების წინააღმდეგ, რათა აღედგინათ თავიანთი უკანონოდ შებღალული სახელი. ხშირ შემთხვევაში,მასმედიის საშუალებები ყურად არ იღებდნენ პირთა თხოვნას, რომელთა პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია ილახებოდა არასწორი ინფორმაციის გავრცელებით, რომ მასმედიის იმავე საშუალებებით ნამდვილი ცნობები გამოქვეყნებულიყო და აღდგენილ ყოფილიყო პირის პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, რაც მათ აიძულებდა სასამართლოსათვის მიემართათ.

არაერთ შემთხვევას ჰქონდა პრაქტიკაში ადგილი, როცა მასმედიის საშუალებები იჭრებოდნენ „პირის პირადი ცხოვრების საიდუმლოებაში და მასზე აქვეყნებდნენ ისეთ ინფორმაციებს, რომლებიც არ უნდა ყოფილიყო სა-

ჯარო. ამიტომ, სამოქალაქო კოდექსმა „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა“ პირის პირად არაქონებრივ უფლებად აღიარა, რომლის საჯაროდ გამოტანის უფლებაც თვით პირსვე მიაკუთვნა.

ასევე, თუ პირის გამოსახულება (ფოტოსურათი, კინოფილმი, ვიდეოფილმი და სხვა) გამოქვეყნდება მისი თანხმობის გარეშე, ამ შემთხვევაშიც იგი უფლებამოსილია დაიცვას პირადი გამოსახულების უფლება. ამ შემთხვევაში პირის ცალმხრივი თანხმობა აუცილებელია. მაგრამ პირის თანხმობა არ არის საჭირო, როცა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და სხვა) დაკავშირებულია მის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თანამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან, სამეცნიერო, სასწავლო ან კულტურულ მიზნებთან, ანდა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) მოხდა საზოგადო ვითარებაში, ანდა პირმა მიიღო საზღაური. ეს ეხება იმ კონკრეტულ შემთხვევას, როცა პირი ჩართულია ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტუალურ ფერხულში. საზოგადოებას მასზე ყველაფერი აინტერესებს და ბუნებრივია ბევრი ინფორმაცია მათ შესახებ საჯაროდ უნდა გამოქვეყნდეს. საზოგადოების ინტერესი, მიიღოს ინფორმაცია საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ,– ამ საქმეში ჩართული პირების თანხმობას არ საჭიროებს. მაგალითად, პარლამენტარის თანხმობა საპარლამენტო სესიის მიმდინარეობისას სხდომის სატელევიზიო ჩანაწერის გაკეთებისას და საჯარო ჩვენებისას პარლამენტარს დავეკითხოთ მოხვდეს თუ არა იგი კადრში, ან კიდევ მასობრივი შეკრებების ჩვენებები და სხვა საზოგადოებისათვის საინტერესო, აქტიური საზოგადოებრივი მოვლენები, რომლებიც აღვიძებენ საზოგადოების ინტერესს. მაგრამ, თუ პირი გუშინ აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა და **„ეწერებოდა აქტუალობისა და თანამედროვეობის“** შინაარსში, მაგრამ დღეს – „ყოფილი საზოგადო-

პოლიტიკური მოღვაწე განმარტოებულია“, ჩაკეტილია, არ მოსაქმეობს და არც სურს მისი სახელის აჟიტირება მასმედიის საშუალებით, **ამ შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცეს მასმედია?** აშკარაა, რომ ასეთი პიროვნებები იქცევიან ისე, როგორც არ მოიქცეოდნენ, საზოგადოებრივ -პოლიტიკურ პოსტებზე მუშაობისას. „ამ კატეგორიის ეპიზოდების გამომხატველ გამოსახულებათა გამოქვეყნება ექვემდებარება ზოგადი წესით განსაზღვრულ დაცულობას. თანამედროვეობის ისტორიის ამსახველი მოვლენები ინფორმირების სფეროში შემოდიან მხოლოდ იმ პირობით, თუ მათი საჯაროდ გამოტანა არ აღვიძებს საზოგადოების არაჯანსაღ ცნობისმოყვარეობას, არ შეურაცხყოფს ადამიანურ გრძნობებს“[142].

რაც შეეხება დანაშაულის ფაქტთან დაკავშირებული პუბლიკაციების გაშუქებას, ალბათ აუცილებელია მათი საჯაროდ პუბლიკაცია, იმ შემთხვევაში თუ დამნაშავე გაიქცა საპატიმროდან, თუ პირი ძებნილია და მისი გამოსახულების ჩვენება საზოგადოების ფართო წრისათვის ხელს შეუწყობს სამართალდამცავ ორგანოებს მის დაკავებაში. მაგრამ ეჭვმიტანილის მიმართ იმავეს ვერ ვიტყოდით. ეჭვმიტანილი მხოლოდ ეჭვმიტანილია, ის ხომ შეიძლება დამნაშავე არ აღმოჩნდეს, მისი გამოსახულების ჩვენებამ კი ეჭვმიტანილად, მისი შემდგომი გამართლების შემთხვევაშიც კი საეჭვოდ აქციოს მისი რეპუტაცია; ამას თუ დაეუმატებდით კონსტიტუციის **მე-40 მუხლსაც „უდანაშაულობის პრეზუმფციას“**, გამოდის, რომ ეჭვმიტანილი ჯერ კიდევ არაა დამნაშავე და მისი გამართლების შემდეგ, როცა პიროვნების საჯარო პუბლიკაცია მოხდება, ძნელია გამართლების შემდეგაც საზოგადოების „ეჭვიან“ ნაწილს უმტკიცო შენი ბრალეულობა. ნათქვამია „თაგი ერთხელ რომ გაგიტყდებაო...“

142. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 69.

რაც შეეხება **„დაკარგულებს“**, პირებს, რომლებიც „სახლიდან გავიდნენ და შინ აღარ დაბრუნებულან“, მათი პუბლიკაცია საჯაროდ, ღია ეთერის საშუალებით, ახლობელთა განცხადებით სამართლიანად დაშვებულია, რამეთუ იგი გარკვეული დახმარების გაწევაა ახლობლებისათვის დაკარგული ახლობლის მოძებნაში.

ყველას აქვს უფლება დაიცვას პირადი არაქონებრივი უფლებები. ეს მათ სახელთან დაკავშირებული იმანენტური უფლებაა. ყველა ფიზიკური პირია აღჭურვილი უფლებამოსილებით სხვა პირებისაგან მოითხოვონ პატივისცემით მოპყრობა. **მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი** განამტკიცებს ამ დებულებას სამართლებრივად. კანონმდებელი ბრძანებს, რომ „ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა. ხოლო თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც. ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. „მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად“.

ფიზიკური პირის პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძვლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამოქალაქო კოდექსის ის მუხლები, რომლებიც ზიანის ანაზღაურების ზოგად საფუძვლებს ქმნიან **(სსკ მ.408-415, მ.992** და ა. შ.) **მე-18 და 993–ე** მუხლების შინაარსის მიხედვით პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფა შეიძლება განხორციელდეს **სამი** სხვადასხვა შინაარსის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით: **1. ქონებრივი ზიანის მომტანი ფაქტების გაერცელებით; 2. ამგვარი ზიანის მომტანი ფაქტების გახმაურებით; 3. ფიზიკური პირის თანხმობის გარეშე მისი**

გამოსახულების გამოქვეყნებით. რადგან 993-ე მუხლი ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ქონებრივი ზიანის მომტანი ფაქტების გავრცელების, ან გახმაურებისათვის, უნდა ვიგულისხმოთ, რომ პირადი გამოსახულების უნებართვო გამოქვეყნებით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისათვის გამოიყენება ქონებრივი ზიანის ზოგადი **992-ე მუხლით** გათვალისწინებული წესები.

„გახმაურების" ქვეშ, ამ სიტყვის ლექსიკოლოგიური მნიშვნელობის შესაბამისად ძირითადად ისეთი ცნობების გავრცელება იგულისხმება, რომლებიც პირადი ცხოვრების საიდუმლოებას ასახავს და უმეტესწილად სინამდვილეს შეესაბამება. „გავრცელება" უნდა გულისხმობდეს პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელებას"[143].

სამოქალაქო კოდექსის 993-ე მუხლში[144] კანონმდებელი ორ შემთხვევას ითვალისწინებს ზიანის მომტანი ცნობების გახმაურებით გამოწვეული უარყოფითი შედეგებისათვის. **პირველი,** რომ „პირი, რომელიც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ავრცელებს ან ახმაურებს სხვა პირისათვის ქონებრივი ზიანის მომტან ფაქტებს, ვალდებულია აანაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი თუ ეს ფაქტები აშკარად არასწორია", ხოლო, მეორე შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა ისეთი გამონათქვამებისას, რომლებიც ემსახურება კანონიერი საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას. მაგალითი: ვთქვათ პირმა ჩაიდინა საზოგადოებრივად საშიში ქმედება და იგი სამართალში იქნა მიცემული. ღია ეთერის საშუალებით, საჯაროდ მოხდა ამ ფაქტის კომენტირება ტელევიზიით.

---

143. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 71-72.

144. იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბილისი, 2001, გვ. 391.

სამართალში მიცემულმა მოითხოვა მორალური ზიანისათვის მატერიალური ანაზღაურება. **უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა მისი მოთხოვნა?** ბუნებრივია არა, რადგან მის ინტერესს ამ შემთხვევაში აღემატება საზოგადოების ინტერესი და ამასთანავე არც პირის უფლებები დარღვეულა ამით და არც მასმედიის საშუალებებს გადაუჭარბებია თავისი უფლებებისათვის.

საიდან უნდა ამოვიდეს სამართალშემფარდებელი მორალური ზიანის მიყენებისას მატერიალური ანაზღაურების საკითხების გადაწყვეტისას, იმ შემთხვევაში თუკი გავრცელებული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება? ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია: **ჯერ ერთი,** რომ გახმაურებულ ცნობები სინამდვილეს არ შეესაბამება და პირმა გარკვეული ქონებრივი ზიანი მიიღო; **მეორეც,** უნდა დადგინდეს, რომ თუ პირის შესახებ გადაცემული (გამოქვეყნებული) მასალებით არ დარღვეულა პირის უფლებები, რომ საზოგადოებას „მომეტებული ინტერესი" ჰქონდა ამ პირის მიმართ და იგი „საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტუალობაში" იყო ჩართული, **მესამეც.** უნდა დადგინდეს ის მიზეზობრივი კავშირი, რაც არსებობს ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, ანუ რა სიმძიმისაა მიყენებული ზიანი პირისათვის მის მიმართ მაკომპრომენტირებელი მასალების გამოქვეყნებით, ასევე **მეოთხე,** გასათვალისწინებელია ხელმყოფი პირის ბრალი. ზიანის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმის, ასევე ბრალის ხარისხის მიხედვით. ზიანის მიმყენებლის განზრახვა ან გაუფრთხილებლობა ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისათვის თანაბარი მნიშვნელობისაა.

სასამართლოების პრაქტიკაში **მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის** შემოღების შემდეგ იმატა სარჩელებმა მორალური ზიანისათვის მატერიალური ანაზღაურების მოთხოვნებისა. სასამართლოები ხშირ შემთხვევაში არ აკმაყოფილებდნენ

მოსარჩელეების სარჩელებს და საესებით მართებულათაც. ანაზღაურებას უნდა დაექვემდებაროს ისეთი ზიანი, რომელიც პირს ფაქტობრივად მიადგა მასზე გავრცელებული არასწორი ინფორმაციით და რამაც გამოიწვია მისი საქმიანი რეპუტაციის შებღალვა, რის გამოც დაშორდნენ საქმიანი პარტნიორები და რამაც ბუნებრივია მატერიალური ზიანიც გამოიწვია პირისა, ან კიდევ, პირისათვის მორალური ტრავმა იმდენად დიდი იყო, რომ ჯანმრთელობა შეერყა, შრომის უნარი წაერთვა; ერთი სიტყვით იგი მისი სამსახურებრივი მდგომარეობისათვის არასტაბილური გახდა. **რა ქნას მან?** სამსახური ხომ მისი შემოსავლის ძირითადი წყარო იყო. ამ კონკრეტულ და სხვა შემთხვევებში, როცა სასამართლო კონკრეტულ ფაქტებს დაადგენს, – ხელმყოფს აკისრებს მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

მორალური ზიანის ქვეშ სამართლებრივად დაცული იმ არაქონებრივი ინტერესის ხელყოფა იგულისხმება, რომელსაც ქონებრივი ექვივალენტი არ გააჩნია. ხშირ შემთხვევაში უკვე დაგვიანებულია პირისათვის „შველა“, მან შრომის უნარი დაკარგა ძლიერი სტრესის გამო, რაც მისი პირადი არაქონებრივი უფლებების შებღალვამ გამოიწვია. ფულადი კომპენსაცია მისთვის ამ შემთხვევაში ვერაფერი საშველია. ადამიანს ხშირ შემთხვევაში ჯანმრთელობას ბოლომდე ვერ აღუდგენ, ანუ როგორც კანონშია ჩაწერილი, **„პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა დაუშვებელია“.** ხელყოფილი უფლების რესტიტუცია ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება, რადგან **მიყენებულ ზიანს ხომ ფულადი ექვივალენტი არ გააჩნია.** მაგრამ ფულადმა კომპენსაციამ უნდა შეძლოს ახალი დადებითი ემოციების მეშვეობით დაზარალებულის სულიერი გაწონასწორება და სრულფასოვანი ჩართვა სოციალურ ურთიერთობებში. აღნიშნული შეადგენს მორალური ზიანის **სატისფაქციურ (დააკმაყოფილოს დაზარალებული)** შინაარს. თუ პირისადმი არაქონებრივი უფლების ხელყოფა არაეითარ სუბსტანციურ ზიანს

არ აყენებს პიროვნებას, მორალური ზიანის ანაზღაურებას სიმბოლური ხასიათი აქვს[145]. (მაგალითად, ერთი ლარი). სატისფაქციურის, ანუ დაზარალებულის დაკმაყოფილების გარდა დელიქტური ვალდებულებების ეს სახე ითვალისწინებს ხელმყოფის მიმართ **რეპრესიული ზომების გამოყენებას,** ანუ ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელ'ს'ე (აანაზღაუროს ზიანი, ბოდიში მოიხადოს პირის წინაშე). ასევე კანონი ითვალისწინებს **პრევენციული ფუნქციების** განხორციელებას, ხელმყოფის დასჯით აიცილოს მსგავსი ქმედების ჩადენა მესამე პირის მხრიდანაც, გაფრთხილდეს, თუ ისიც ჩაიდენს მსგავს არაკანონიერ ქმედებას, მასზე სამოქალაქო პასუხისმგებლობა გავრცელდება. აქვე, სამოქალაქო კოდექსის **412-ე მუხლის მიხედვით,** „ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს". თუ ხელმყოფს მხოლოდ მორალური დაკმაყოფილების ვალდებულებით დავტვირთავდით (მაგალითად, მხოლოდ ბოდიშის მოხდით), ზიანის მიმყენებლისათვის ცხადია ეს ფაქტი მისთვის მისაღები და მომგებიანიც კი შეიძლებოდა რომ ყოფილიყო. მაგრამ ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ **413-ე**[146] **მუხლი** გვაფრთხილებს, **„არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით".** სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა არც ქონებრივი და არც არაქონებრივი ზიანის დეფინიციას. ეს საკითხი დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის შეფასების პრობლემაა. მთავარი ისაა, რომ კოდექსი დასაშვებად მიიჩნევს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას. კოდექსი უკეთეს შემთხვევაში, ისიც

145. საქართველოს სამოქალაქო კოდესის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 74-75.
146. დამატ. იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი, 2001, გვ. 467-475

ნაწილობრივ, მხოლოდ იმ სიკეთეებს ჩამოთვლის, რისი ხელყოფის შემთვევაშიც უნდა მოხდეს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება. როგორც ჩანს ეს საკითხიც სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს. მთავარია, რომ კოდექსი ზოგად პრინციპებს განამტკიცებს"[147].

აქვე შევნიშნავთ, რომ ქონებრივი ზიანი უფრო მატერიალიზებულ ზიანს წარმოადგენს თავისი გარეგნული გამოხატულებით და შესაბამისად მისი იდენტიფიკაციაც, ანუ მისი სიდიდის განსაზღვრა შედარებით ადვილია, რამეთუ საკუთრივ ქონებაა შეფასების კრიტერიუმი და გამომდინარე აქედან, ობიექტური მასშტაბები დაზარალებულის სუბიექტის გარეთაა, მისგან „გარეგანია". რაც შეეხება არაქონებრივ ზიანს, ამ შემთხვევაში, ობიექტური მასშტაბები საკუთრივ დაზარალებულის სუბიექტში „დევს" და ამაზე მიგვითითებს კიდეც ზიანის სახელწოდებაც. **აქვე გავაკეთებდით კიდევ ერთ შენიშვნას, სკ-ის 413-ე მუხლის გამონათქვამთან „კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში", სადაც კანონმდებელი არ გულისხმობს მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით დადგენილ შემთხვევებს, მაგალითად, როგორც ეს მე-18 მუხლის შემთხვევაშია. აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ასევე კერძო და საჯარო სამართლებრივი ხასიათის აქტებიც და სხვა. რაც შეეხება 413-ე მუხლის გამონათქვამს: „გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით", „გონივრული ანაზღაურება" იმავდროულად „სამართლიანი ანაზღაურებაა" და პირიქით.**

რა მოცულობით უნდა გადახდეს ხელმყოფს მიყენებული მორალური ზიანისათვის მატერიალური ანაზღაურება? როგორ უნდა მოხდეს კონკრეტული თანხების დაკისრება, თუ თუ პირი გადახდისუუნაროა?, - ეს და სხვა პრობლემები იყო კანონმდებლის დისკუსიის საგანი.

კომპენსაციური ფუნქციების რეალიზაციისას ალ-

147. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გვ. 468.

ბათ აუცილებელია სამართალშემფარდებელმა დაადგინოს როგორი სულიერი ტკივილები გამოიწვია პირის მიმართ დაუსაბუთებელი, მაკომპრომენტირებელი, შეურაცხმყოფელი მასალების გამოქვეყნებამ, რამაც დაზარალებულის ჯანმრთელობის მნიშვნელოვან შერყევაში იჩინა თავი. ფულადი კომპენსაციის მოცულობის განსაზღვრისათვის ყურადსაღებია გამოქვეყნებული მასალების მძაფრი, დამამცირებელი ტონი, კორესპოდენციის პოპულისტური ხასიათი, ზიანის მიმყენებლის ბრალის ხარისხი და სხვა. ასევე, ალბათ ყურადსაღებია ზიანის მიმყენებლის ეკონომიკური, ფინანსური მდგომარეობა, მისი გადახდისუნარიანობა. თუ პირი გადახდისუუნაროა, უნდა გათავისუფლდეს თუ არა იგი მიყენებული მორალური ზიანისათვის კომპენსაციისაგან? დისკუსიის შედეგად გადაწყდა, რომ არა, რამეთუ ეს პირის „დაუსჯელობის სინდრომს“ გაზრდიდა. ზიანი უნდა გადახდეს, მაგრამ ნაკლები ოდენობით, ვიდრე მსგავსი დარღვევისას მეტი ქონებრივი შესაძლებლობის პირს გადახდებოდა. ამგვარი ქმედების პრინციპი ის უნდა იყოს, რომ დაუსჯელი არავინ არ უნდა დარჩეს. ასევე „მორალური ზიანის პრევენციული ფუნქციების განხორციელებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა სამართალდარღვევის განმეორების საშიშროება და მოგების მიღება ზიანის მიმყენებლის მიერ“.[148]

„მოგება“ შეიძლება გაგებულ იქნეს არა მარტო სუფთა ეკონომიკური მოგების სახით, არამედ მის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ **აბსტრაქტული „ქონებრივი ხეირი“.** მაგალითად, ბეჭდვით საინფორმაციო საშუალებებში „ქონებრივი ხეირის“ დადგენის მიზნით შესაძლებელია განისაზღვროს, თუ რამდენად გაიზარდა ტირაჟი. შესაძლებელია „ქონებრივი ხეირის“ ორიენტირება სარეკლამო ფასებზე იქნას აგებული. თანხა, რომელიც ზიანის მიმყენებელმა იმ სტატი-

148. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 77.

ის ერთი გვერდიდან მიიღო, რომელიც მორალურ ზიანს აყენებს სხვა პირს, უნდა აღემატებოდეს იმ თანხას, რომელიც რედაქციამ იმავე ზომის გვერდზე განთავსებული რეკლამიდან "შემოსდის[149]" და სხვა. აქვე შევნიშნავთ, რომ ეს და სხვა მეთოდები არ გვაძლევენ გამოანგარიშებებში ზუსტ შესაბამისობას, მაგრამ „გონიერული და სამართლიანი" ანაზღაურების სახით ხდება მორალური ზიანისათვის მატერიალური კომპენსაცია.

მიგვაჩნია, რომ მორალური ზიანის შეფასება განეკუთვნება იმ პრობლემთა რიცხვს, რომლებიც სათანადოდ ვერ იქნა გადაწყვეტილი მეცნიერებასა და პრაქტიკაში. მიუხედავად იმისა, რომ არაქონებრივი (მორალური) ზიანის ცნება და მისი მატერიალური კომპენსაცია მეტნაკლებად ასახულია კანონმდებლობაში, სასამართლო პრაქტიკაც ჩამოყალიბდა ამ კუთხით. როგორც იურიდიულ ლიტერატურაშია აღნიშნული კანონის ძალა უსაზღვრო როდია, სინამდვილეში არსებითია, თუ სამართლის ნორმის რეალიზაციის როგორი პრაქტიკა დამკვიდრდება ქვეყანაში[150]. აქვე დავამატებდით. რომ **„ბრუნვის მონაწილე არ შეიძლება იყოს მეწვრილმანე". სამოქალაქო კოდექსში მე-18[1] მუხლი „პერსონალური მონაცემების მიღების უფლება"** ნოვაციაა. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს პირის დემოკრატიულ უფლებას გაეცნოს მასზე არსებულ პერსონალურ მონაცემებს და ჩანაწერებს, რომლებიც დაკავშირებულია მის ფინანსურ (ქონებრივ) მდგომარეობასთან ან სხვა კერძო საკითხებთან, მიიღოს მონაცემების ასლები, მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა. აქ მხედველობაშია მისაღები სხვადასხვა სახის საკანონმდებლო აქტები, რომლებიც დაუშვებლად მიიჩნევენ პირისათვის გარკვეული ინფორმაციის მიწოდებას, მისი კონფიდენციალური ხა-

149. იქვე, გვ. 78.
150. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, ი. დვალიძე, გ. კვერენჩხილაძე. გვ. 24.

სიათის გამო. ანალოგიური ხასიათის ნორმებს მოიცავს **საქართველოს 1999 წლის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თავი III, რომლის მ. 27[1] („პირადი საიდუმლოება"), მ. 27[2] („კომერციული საიდუმლოება"), მუხლი 27[3] („პროფესიული საიდუმლოება"), 37[1] („საჯარო დაწესებულებისათვის პერსონალური მონაცემებისა და კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა")** და სხვა მუხლები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ პირი უფლებამოსილია გაეცნოს მასზე დაცულ პერსონალურ მონაცემებს, მას არ შეიძლება უარი ეთქვას ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც მოიცავს პერსონალურ მონაცემებს ან ჩანაწერს მის შესახებ. **18[1]**–ე მუხლის **მე-3 ნაწილი** კიდევ მეტი კატეგორიულობით გამოირჩევა. იგი ნებისმიერ პირს ავალებს, წერილობითი თხოვნის საფუძველზე სხვა პირს გადასცეს მასთან დაცული პერსონალური მონაცემები და ჩანაწერები, თუ იგი წარუდგებს იმ პირს წერილობით თანხმობას, რომლის პერსონალურ მონაცემებსაც წარმოადგენს შესაბამისი ინფორმაცია. ასეთ შემთხვევაში, ინფორმაციის მიმღები პირი ვალდებულია დაიცვას აღნიშნული მონაცემების, ინფორმაციის საიდუმლოება. ანალოგიურ ნორმას ითვალისწინებს **ადმინისტრაციული ზოგადი კოდექსის 37[1] მუხლი (ნ.1, ნ.2, ნ.3).**

„პირს არ შეიძლება უარი ეთქვას იმ ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც მოიცავს პერსონალურ მონაცემებს ან ჩანაწერებს მის შესახებ, მაგრამ „გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. პირადი ინფორმაცია ძალზედ პირადია, იდენტიფიცირებულია. რა შეიძლება იყოს ჩადებული კანონში, რომ მან პირს აუკრძალოს **კონსტიტუციის 41-ე მუხლით** მასზე მინიჭებული უფლების განხორციელება, რომ „საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ დოკუმენტებს,

თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ, ან კომერციულ საიდუმლოებას"(3.1). „ხშირ შემთხვევაში ინფორმაციის თავისუფლების თემა დაკავშირებულია საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთჭიდილთან. კანონმდებლობიდან გამომდინარე არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოს ძალზედ უჭირს საპირწონის სამართლიანად გამოყენება. თუმცა არის მისასალმებელი და სრულიად სამართლიანი პრეცენდენტებიც, რომლებიც ამკვიდრებენ სახელმწიფო ინსტიტუტების საზოგადოებრივი კონტროლის ქმედით და ეფექტურ მექანიზმებს[151]". როცა კანონმდებლობაში საუბარია იმის შესახებ, რომ პირს კანონმდებლობა „განსაზღვრულ შემთხვევაში" უკრძალავს მასზე არსებული პერსონალური ინფორმაციის მიღებას, საჭიროა ალბათ, ჩვენის მოსაზრებით, **ჯერ გაირკვეს**–ესაა თუ ის ინფორმაცია მიჩნეულია თუ არა კანონით დადგენილი წესით საიდუმლოდ (ან პირდაპირ აღიარებს თუ არა კანონი მას ასეთად), **და ამის შემდეგ უნდა შეფასდეს,** მიაყენებს თუ არა ზიანს მისი გამჟღავნება კანონით დაცულ ინტერესებს. ხშირია შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი სამსახური (განსაკუთრებით სამართალდამცავი) დაუსაბუთებელ უარს ეუბნებიან პირებს მასზე არსებული ინფორმაციის გაცემაზე და სასამართლოებიც სამწუხაროდ ხშირ შემთხვევაში უმართებულოდ ათავისუფლებენ მთელ რიგ ძალზედ მნიშვნელოვან საჯარო დაწესებულებებს (პროკურატურა, შსს, ეროვნული უშიშროების საბჭო, საგარეო საქმეთა სამინისტრო. თავდაცვის სამინისტრო) საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისაგან, რაც უმართებულოდ მიგვაჩნია.

საინტერესოა **ადმინისტრაციული საპროცესო მე-20**[1] მუხლთან დაკავშირებით ადმინისტრაციული სამართლის სპეციალისტთა მოსაზრება. აღნიშნულ მუხლში საუბარია იმის შესახებ, რომ, „სასამართლო (მოსამართლე)

151. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, ი. დვალიძე, გ. კვერენჩხილაძე. გვ. 6.

გასაიდუმლოებული საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების კანონიერების შემოწმების მიზნით საქმეს იხილავს დახურულ სხდომაზე მხარეთა დასწრების გარეშე" (6.1), ხოლო ამავე მუხლის **მე-2 ნაწილის** თანახმად, „ამ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია მხარეებს არ წარედგინებათ". ბუნებრივია, სასამართლოს ხელი მიუწვდება ყველანაირ გასაიდუმლოებულ ინფორმაციაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მას საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილების კანონიერების შეფასების შესაძლებლობა არ ექნება[152]. თუ ინფორმაცია მართლაც საიდუმლო აღმოჩნდა, სასამართლოს შეუძლია დაეყრდნოს მას და ისე გადაწყვიტოს საქმე, მაგრამ ამ ინფორმაციის შინაარს იგი ვერ გაამჟღავნებს, არამედ მასზე მიუთითებს მხოლოდ. სასამართლოს მიერ საიდუმლო ინფორმაციის სწორად და კეთილსინდისიერად გამოყენების შესახებ მხარეებმა უნდა ირწმუნონ მხოლოდ, მათ არ შეუძლიათ გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილება საიდუმლო ინფორმაციის არასწორად ან დამახინჯებულად გაგების გამო, ვინაიდან მათ ამ ინფორმაციის შინაარსი არ იციან მისი საიდუმლოების გამო. საჩივარი შეუძლია შეიტანოს საიდუმლოების მფლობელმა ორგანომ იმ საბაბით, რომ მის ხელთ არსებული საიდუმლო ინფორმაცია რომელიმე მოსამართლემ გააყალბა. ასეთივე პრეტენზიის უფლება ექნება პიროვნებას, თუ ეს ინფორმაცია მის პერსონალურ საიდუმლოებას ეხება. თუ ეს არ მოხდა, საიდუმლო ინფორმაცია მოსამართლისაგან გაყალბებული დარჩება, რითაც უკანონოდ ისარგებლებენ მხარეები. გამოდის, რომ უკანონობა სამართლიანია, სანამ არ დადგინდება მისი არაკანონიერება. ეჭვი ასეთ დროს დაუშვებელია, ვინაიდან საეჭვო

152. ზ. ადეიშვილი, გ. ვინტერი, დ. ქიტოშვილი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2002, გვ. 134.

გადაწყვეტილების მიღება დაუშვებელია“[153].

სამწუხაროდ ხშირია შემთხვევები, როცა ხდება ერთმანეთში აღრევა პერსონალური მონაცემების საიდუმლოებისა და პირადი საიდუმლოებისა. ინფორმაციის თავისუფლების სფეროში სამწუხაროდ ერთ-ერთ პრობლემად კვლავ რჩება ზოგიერთი საკანონმდებლო ხარვეზი, უფრო სწორედ არასწორად დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკაც. ცხადია ეს პრობლემა პირველ ყოვლისა უკავშირდება ისეთ ფუნდამენტურ საკითხებს, როგორიცაა კოდექსის მოქმედების არეალი, მისი გავრცელების ფარგლები. მას კი შემდგომი ანალიზი და დაკონკრეტება სჭირდება. მისი განხორციელება კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული საკანონმდებლო აქტები სრულ შესაბამისობაში იქნებიან კონსტიტუციის ფუნდამენტურ დებულებებთან და არ უნდა მოხდეს ნორმის ისეთნაირი განმარტება, რაც თვით საკანონმდებლო აქტის მნიშვნელოვან დაკნინებას გამოიწვევს.

პირადი უფლებების დაცვა გარდაცვალების შემდეგ „სამართალში ადამიანი ფიგურირებს როგორც პირი და როგორც პირივნება. ადამიანს, როგორც პირს, სამართლის სუბიექტს ენიჭება უფლებები და ეკისრება მოვალეობანი. პიროვნება ადამიანის სულიერ ღირსებათა ერთობლიობაა“[154].

პირის გარდაცვალებით ფიზიკური პირი, როგორც სამართლის სუბიექტი არსებობას წყვეტს, მაგრამ მისი, როგორც პიროვნების სოციალური ზემოქმედება გრძელდება. იგი რჩება ადამიანთა ცნობიერებაში და სიკვდილის შემდეგაც საზოგადოებისათვის გარკვეულ ღირებულე-

153. იხ. გ. ლორია, მ.კოპალეიშვილი, ა. ლორია, ჯ. ლორია, ხ. ლორია, მ. სალხინაშვილი, ნ.წკეპლაძე, ც. ჩქარეული, ი. ხარშილაძე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2010, გვ. 103-104.

154. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 78-79.

ბას ინარჩუნებს. აქედან გამომდინარე ბუნებრივია ჩნდება კითხვა, არის თუ არა პირის სახელი გარდაცვალების შემდეგ დაცვის ინტერესი? რა თქმა უნდა კი. **სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლი** დასაშვებად მიიჩნევს პირის გარდაცვალების შემდეგ, პირებს, რომლებიც თუმცა არ არიან იმ სახელისა ან პირადი ღირსების უფლების მატარებელი, რომელსაც იცავენ, მაგრამ საამისოდ აქვთ დაცვის ღირსი ინტერესი, შეუძლიათ სახელისა და ღირსების ისეთი დაცვის მოთხოვნის განხორციელება, რომელიც პიროვნების არსების განმსაზღვრელია და სიკვდილის შემდეგაც გრძელდება.

პირი და პიროვნება ერთი არსების ორი მხარეა: სუბიექტური და ობიექტური. ბუნებრივია ეს ერთიანობა პირის გარდაცვალების შემდეგ ირღვევა. გარდაცვლილი ცხადია ვეღარ იქნება უფლებებისა და მოვალეობების მატარებელი და მას ბუნებრივია საკუთარი ინტერესების დაცვაც აღარ შეუძლია. ამიტომაც სამოქალაქო კანონმდებლობა „სხვა პირებს“ ანიჭებს გარდაცვლილის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის, პირადი ცხოვრების საიდუმლოების და სხვ. დაცვას.

ცხადია, გარდაცვლილის სახელის შეცვლა აღარ შეიძლება. ცოცხალი მშობლის მიერ სახელის შეცვლა აღარ იწვევს ცვლილებების შეტანას გარდაცვლილი შვილის ან მეუღლის სააქტო ჩანაწერებში. გარდაცვლილის უფლების დარღვევად ჩაითვლება მისი უგულებელყოფა, შეცვლა, დამახინჯება.

ვინ არიან ის პირები, რომლებიც გარდაცვლილის სამოქალაქო სახელთან დაკავშირებულ პირად არაქონებრივ უფლებებს იცავენ? ცალსახად ესენი პირველ რიგში მისი მემკვიდრეები იქნებიან, რომლებისთვისაც სულერთი არაა როგორ მოიხსენიებენ მათ წინაპარს საზოგადოების წევრები. ქართული ანდაზა **„გახსოვდეს ვისი გორისა ხარ“,** გარკვეული სტიმულის მიმცემია მათთვის, სასამართ-

ლოს ძალით მოითხოვონ გარდაცვლილის სახელის აღდგენა. მათ შეუძლიათ მხოლოდ გარდაცვლილის სახელთან დაკავშირებული შებღალული პატივის, ღირსების და ა. შ. დაცვა. რაც შეეხება პირად არაქონებრივ უფლებებს, იგი მემკვიდრეობით არ გადაეცემა. **სსკ მე-19 მუხლით** გარანტირებულია მემკვიდრეების მიერ მხოლოდ **პიროვნული უფლებების და არა გარდაცვლილისაგან მემკვიდრეობით მიღებული უფლებების დაცვა.** მორალური ზიანის კომპენსაციის მოთხოვნის უფლებით მხოლოდ კონკრეტული სუბიექტი სარგებლობს **(სსკ მ.18), ხოლო მე-19 მუხლით** გათვალისწინებულ პირებს, განსხვავებით **მე-18 მუხლის მე-6 ნაწილისა,** კანონმდებლობა უკრძალავს მოითხოვონ გარდაცვლილის სახელის აღდგენის შემთხვევაში მორალური ზიანის კომპენსაცია. „სახელის, პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა დაუშვებელია,"-ეს კანონის იმპერატიული მოთხოვნაა. მაგრამ სასამართლოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეუძლია მატერიალური კომპენსაციის მიცემა იმ პირისათვის, რომელიც გარდაცვლილის სახელის აღდგენას მოითხოვს მხოლოდ ერთ შემთხვევაში, თუ გარდაცვლილმა სიცოცხლეში შეიტანა სარჩელი მორალური ზიანისათვის მატერიალური ანაზღაურების შესახებ და ვერ მიიღო გარდაცვალების გამო. ასეთი კომპენსაციის მიღებაზე უფლებამოსილი მხოლოდ გარდაცვლილის მემკვიდრეები არიან. ასეთ შემთხვევაში აღნიშნული ფულადი საზღაური სამკვიდრო მასის შემადგენელი ნაწილი ხდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განიხილა საქმე, (2009 წლის 23 იელისი, საქმე № ას-1174- 1319-08) რომლის დავის საგანს წარმოადგენდა: ზ. ა-ძის მიერ აღძრული საქმე სასამართლოში გაზეთ „ალიასა“ (მოგვიანებით „ალია“ შეიცვალა სათანადო მოპასუხით – შპს „ალია ჰოლდინგით“) და ა. კ. კ-ის (ჟურნალისტის ფსევდონიმია ნ. ს-ძე) მიმართ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. მოსარჩელე დავობდა გაზეთ „ალიაში“ დაბეჭდილი სტატიის გამო სათაურით: „შანტაჟი სააკაშვილთან გადაღებული ფოტოთი“. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ამ სტატიის მიხედვით ზ. ს-ძე აღნიშნული ფოტოსურათით აშანტაჟებდა ხალხს და მიუთითებდა, რომ სტატია შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი იყო მისთვის. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სტატიის ყველა სიტყვა, ყველა აბზაცი გამიზნული იყო მის დასამცირებლად, სახელის გასატეხად და ეს გაკეთებული იყო არა შემთხვევით, არამედ შეგნებულად, რის გამოც მას მიადგა ზიანი. მოსარჩელე განმარტავდა, რომ გაზეთმა ადრეც გამოაქვეყნა სტატია სათაურით „ფრთხილად თბილისში გამომძალველ ქალთა ბანდა მოქმედებს“, ხოლო მის ფოტოსურათზე მინაწერია: „ნაციონალური მოძრაობის წევრი – პროფესიონალი გამომძალველი“.

სამოტივაციო ნაწილი: საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად, „პირს ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალ-

ოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა. იმისათვის, რომ სწორად განიმარტოს განსახილველი ნორმა (სკ, მ.18), ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ უფლებაზე, რომლის დაცვას ითხოვს მოსარჩელე. კერძოდ, მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მას შეელახა პატივი და ღირსება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ შემთხვევაში რეპუტაციის უფლებით დაცული სფეროები შეიძლება მოიცავდეს ღირსების უფლებით დაცულ სფეროებს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი იცავს პიროვნების პატივს, ღირსებას, საქმიან რეპუტაციას— აქედან გამომდინარე, პატივი, ღირსება, რეპუტაცია შეფასებითი კატეგორიებია. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ღირსება პიროვნების ისეთი არაქონებრივი სიკეთეა, რომლის შეფასება შესაძლებელია იმ პირის მიერ, რომელიც მოითხოვს თავისი ღირსების დაცვას— უნდა არსებობდეს სამართლიანი ბალანსი დაპირისპირებულ ღირებულებებს შორის, კერძოდ ამ შემთხვევაში ჩვენს წინაშეა გამოხატვის თავისუფლების უფლება, ხოლო მეორე შემთხვევაში – სხვა პირთა უფლებები და ინტერესები—

საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილი არ არის დასაბუთებული პრეტენზია— კასატორი ვერ უთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც კონკრეტული სადავო ურთიერთობის ზემოაღნიშნული თავისებურებებიდან გამომდინარე, მიუთითებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობაზე. ამდენად, საქმეში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, გამორიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ემუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასა-

ციო საჩივარს, თუ მითითებული კანონი არ დარღვეულა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას კი საფუძ-ლად არ უდევს კანონის დარღვევა.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამო-ქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და დ ა ა დ გ ი ნ ა:

ზ. ს-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ოქტომბრის განჩინება"-[155].

გ ე რ მ ა ნ ი ი ს საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკიდან:

პირველი პალატის 1999 წლის 15 დეკემბრის გადაწ-ყვეტილება **-1 *BvR* 653/96-საფუძვლები:**

საკონსტიტუციო საჩივარი ეხება პოპულარული ადა-მიანების ფოტოების გამოქვეყნებას, რომლებზეც ასახულია მათი ყოველდღიური და პირადი ცხოვრება.

მოპასუხემ მხარე „ბურდა", რომელიც გამოსცემს ჟურნალებს „***Freizeitrevue***" და „***Bunte***", ჟურნალებში სხ-ვადასხვა ტექსტებთან ერთად გამოაქვეყნა ფოტოები, რომ-ლებზეც გამოსახული იყო მომჩივანი, მონაკოს პრინცესა კაროლინა, რომელმაც აღძრა სარჩელი გამოქვეყნებისაგან თავის შეკავების მიზნით_ ლანდის სასამართლომ დააკმაყ-ოფილა სარჩელი საფრანგეთის ტერიტორიაზე გავრცელე-ბულ ჟურნალებში ფოტოების გამოქვეყნების ნაწილში. სხვა დანარჩენ ნაწილში კი სარჩელი არ დააკმაყოფილა. სასამართლოს აზრით, საფრანგეთის კანონმდებლობისაგან

155. დაწერ. საკასაციო გადაწყვეტილების შესახებ იხ. საქმე ას-1174-1319-08; 23 იელისი, 2009წ. ქ. თბილისი.

განსხვავებით, გერმანიაში მომჩივანს არ ჰქონდა ქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლება— ფედერალურმა სასამართლომ საკასაციო საჩივარს უარი უთხრა—

მან განმარტა, რომ: —იმ ფოტოების გამოქვეყნების უფლება, რომლებზეც ადამიანი გამოსახულია ყოველდღიურ ან პირად სიტუაციაში, განისაზღვრება საკუთარი ფოტოგამოსახულების უფლებისა და პირადი ცხოვრების სფეროს გარანტიის მასშტაბით, რომელიც წარმოადგენს ზოგადი პიროვნული უფლების დაკონკრეტებას. მომჩივნის მოსაზრებისაგან განსხვავებით, გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი და პირველი მუხლის პირველი პუნქტი არ ითვალისწინებს საკუთარი თავის წარმოდგენის ზოგად და ყოველისმომცველ უფლებას—როგორც გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ მრავალგზის აღნიშნა, ზოგადი პიროვნული უფლება თითოეულს არ მიაკუთვნებს იმის მოთხოვნის უფლებას, რომ იგი სხვა ადამიანებმა ისე წარმოადგინონ, როგორც თვითონ ხედავს საკუთარ თავს ან როგორც ეს მის სურვილსა და წარმოდგენებს შეესაბამება (იხ. ***BverfGE*** 82, 236, {269], 97, 125 {149}, 97, 391 {403}, 99, 185 {194}). ასეთი მასშტაბები და ფართო დაცვა არა მხოლოდ გადააჭარბებდა დაცვის მიზანს, რომელიც მდგომარეობს პიროვნების განვითარებასთან დაკავშირებული საფრთხის თავიდან აცილებაში, არამედ ასევე ჩაერეოდა მესამე პირთა უფლებებსა და თავისუფლებაში.

მომჩივანი არ ეწინააღმდეგებოდა სადავო ფოტოებზე მისი წარმოდგენის ფორმას, მაგრამ იმის გარკვევა სურდა თუ რამდენად შეიძლებოდა ამ ფოტოების გადაღება და გამოქვეყნება, ვინაიდან იგი იმ მომენტისათვის არ იყო დაკავებული თავისი ოფიციალური ფუნქციების შესრულებით, არამედ საზოგადოებაში იმყოფებოდა პირად და ყოველდღიურ ამპლუაში—

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასა-

მართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებები ზღუდავს მომჩივნის ზოგად პიროვნულ უფლებას. ვინაიდან გამოსახულებებზე ვრცელდება აღნიშნული ძირითადი უფლების დაცვის მექანიზმი, სასამართლოს მიერ მომჩივნის სურვილის წინააღმდეგ მათი გამოქვეყნების შესაძლებლობის დადგენა წარმოადგენს აღნიშნული დაცვის შეზღუდვას, რისი გათვალისწინებაც მომჩივანს შეუძლია მოსთხოვოს სასამართლოს კერძო-სამართლებრივი დავების ფარგლებშიც (იხ. ***BverfGE7, 198 (207)***).

გასაჩივრებული გადაწყვეტილებები სრულყოფილად ვერ აკმაყოფილებს გერმანიის ძირითადი კანონი მე-2 მუხლის პირველი პუნქტითა და პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს."[156]

§ 5. ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილის შესახებ

ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილი განსაკუთრებულ როლს თამაშობს საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობაში. მასთანაა დაკავშირებული სხვადასხვა სამართლებრივი მოქმედებების ლეგიტიმურობა. საცხოვრებელი ადგილი პირის სამოქალაქო-სამართლებრივი იდენტიფიკაციის კრიტერიუმია. სამოქალაქო კოდექსის **მე-20 მუხლი**[157] განმარტავს ფიზიკური პირის საცხოვრებელი ად-

156. აღნიშნული გადაწყვეტილების სრული ვერსია იხილეთ, იურგენ შვაბე, ჰამბურგის უნივერსიტეტის საჯარო სამართლის პროფესორი, „გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები", 2011, გვ. 33-37.

157. დამატ. იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB), 2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით, §7; Гражданское уложение Германииб 2-е издание, Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands, 2. Auflage. Wolters Kluwer, стр 1; Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 11-12.

გილის ცნებას. აღნიშნული **მუხლის 1-ლი ნაწილის** თანახმად, „ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად მიიჩნევს". საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის შესაძლებლობას ითვალისწინებს **სამოქალაქო კოდექსის 1157-ე მუხლიც,** რომელიც თითოეულ მეუღლეს თავისი შეხედულებისამებრ აძლევს საშუალებას აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ოჯახის ინტერესებს"[158]. „პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი". ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილი ადამიანის ძირითად ადგილსამყოფელს წარმოადგენს და მას ირჩევს საცხოვრებლად.

„ადრეფეოდალურ საზოგადოებაში ქორწინებისას, ჩვეულებრივ ქალი გადიოდა მამის ოჯახიდან და რძლად შედიოდა ქმრის ოჯახში. მოგვიანებით კი გავრცელდა ისეთი ქორწინებაც, როცა მხოლოდშობილი ქალი არ გადიოდა მამის ოჯახიდან და ქმარი ქალის მშობლების ოჯახში

158. მიგვაჩნია, რომ მუხლის ფორმულირება მთლად სწორი არ არის, რამეთუ კონსტიტუცია მშობლებს ავალებს ერთად აღზარდონ შვილები და იზრუნონ მათთვის და სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული მუხლი შეუსაბამოდ მიგვაჩნია კონსტიტუციის ამ დებულებასთან. მშობლების ცალ-ცალკე ცხოვრება (მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჩვეულებრივ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლეები არიან), საფრთხეს ხომ არ შეუქმნის გარკვეული თვალსაზრისით შვილების აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. ცალ-ცალკე ცხოვრება ბუნებრივია დასაშვებია განქორწინებული მშობლების შემთხვევაში და ეს გასაგებიცაა, თუმცა ჩვენი მოსაზრება ისე არ გავიგოთ, რომ მეუღლეებს არ ჰქონდეთ უფლება რამდენიმე საცხოვრებლის ქონისა. ამ მხრივ გარკვეულ კრიტიკას იწვევს სამოქალაქო კოდექსის 1157-ე მუხლი, სადაც აღნიშნულია, რომ "„თითოეულ მეუღლეს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ოჯახის ინტერესებს". როგორ არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ოჯახის ინტერესებს მეუღლეთა ცალ-ცალკე ცხოვრება, როცა აქ მთავარი და გასათვალისწინებელი ფაქტორი - შვილებია და მათი ერთად აღზრდის კონსტიტუციური ვალდებულება.

მიჰყავდათ. ქალს ასეთ შემთხვევაში „საძეო“ ეწოდებოდა. „იგი სამკვიდროს პატრონად და მემკვიდრეობის განმგრძობ-აღმდგენად ითვლებოდა. ასეთი წესი პროგრესული იყო საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის სფეროში“[159].

საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლით, „ყველას ვინც კი იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება. ასევე საქართველოს კონსტიტუცია საქართველოს პრეზიდენტის ასარჩევად ერთ-ერთ უმთავრეს კრიტერიუმად მიიჩნევს საქართველოში ცხოვრებას **15 წელი** მაინც და არჩევნების დანიშვნის დღისათვის ცხოვრობდეს საქართველოში. ასევე **კონსტიტუციას 2012 წლის მაისში დაემატა შემდეგი შინაარსის 104 (4) მუხლი: „2014 წლის 1 იანვრამდე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის და ხმის მიცემის უფლება საქართველოს მოქალაქეებთან ერთად შესაბამისად აქვთ პირებს, რომლებიც დაბადებული არიან და ბოლო 5 წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში და ამ მუხლის ამოქმედების მომენტისათვის აქვთ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობა“. აქვე განისაზღვრა, რომ (6.2) „ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში არ ვრცელდება კონსტიტუციის 29-ე მუხლის 1 (1) პუნქტით დადგენილი შეზღუდვები“.**

მხოლოდ ფიზიკურ პირს აქვს საცხოვრებელი, იურიდიული პირის „საცხოვრებელი ადგილი“ მისი სამეწარმეო საქმიანობის ადგილია. იურიდიული პირის სამოქალაქო ადგილი (ადმინისტრაციული მისამართი) და ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილის მისამართი შეიძლება ემთხვეოდეს ერთმანეთს. აქ მსედველობაშია, როცა ფიზიკურ პირს თავისი საცხოვრებელი სახლის (ბინის) ტერი-

159. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი, 2000, გვ. 106.

ტორიის ნაწილი კერძო საქმიანობისათვის აქვს გამოყოფილი და სამეწარმეო მოსაქმეობის ადგილად თავისი საცხოვრებელი ადგილი აქვს დარეგისტრირებული მარეგისტრირებელ ორგანოში. რაც შეეხება საჯარო სამართლით გათვალისწინებულ საცხოვრებელი ადგილის ცნებას, იგი სულ სხვანაირი დეფინიციით წარმოგვიდგება (მაგალითად, საკონსტიტუციო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, საგადასახადო სამართალი, საპოლიციო სამართალი და სხვა). საკონსტიტუციო სამართალი საცხოვრებელი ადგილის ცნებას უკავშირებს მოქალაქეობის შეძენის საფუძვლებს: **1. მოქალაქეობის შეძენა დაბადებით (ფილიაციით) (ეროვნული სისხლის პრინციპი)** (ვთქვათ მაგ; ბავშვი, რომლის ორივე მშობელი საქართველოს მოქალაქეა, ითვლება, საქართველოს მოქალაქედ დაბადების ადგილის მიუხედავად; **ტერიტორიული (ნიადაგის პრინციპი)** (მაგ; საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირების ბავშვები მიიღებენ საქართველოს მოქალაქეობას, თუ ისინი საქართველოს ტერიტორიაზე დაიბადებიან. **2. მოქალაქეობის შეძენა ნატურალიზაციით: ა. პირი უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს მუდმივად ცხოვრობდეს საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში და სხვა.** ასევე **საქართველოს 1993 წლის კანონის „მოქალაქეობის შესახებ", მ. 3-ის** მისედვით საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება: პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობდა საქართველოში **არანაკლებ 5 წლისა** და ცხოვრობს ამ კანონის სამოქმედოდ შემოღების დღისათვის, **თუ ექვსი თვის ვადაში** წერილობით უარს არ განაცხადებს საქართველოს მოქალაქეობაზე და სხვა. გერმანული BGB-ს მიხედვით **(§7),** პირი, რომელიც დასახლდება რომელიმე ადგილას და მას საცხოვრებლად მიიჩნევს, ეს ადგილი მის საცხოვრებლად მიიჩნევა. ამავე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ საცხოვრებელი ადგილი შეიძლება ერთდროულად რამდენიმე ადგილას ჰქონდეს პირს **(2).** თუ

პირი დატოვებს თავის საცხოვრებელ ადგილს, მაშინ ეს ადგილი აღარ მიიჩნევა პირის საცხოვრებლად. გერმანული სამოქალაქო სამართლის მიხედვით, საცხოვრებელი ადგილის არჩევა, მისი დაფუძნება სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების მსგავს მოქმედებას წარმოადგენს. განსხვავებით ქართული სამოქალაქო კოდექსისაგან **(მ.20),** გერმანული **BGB** ითვალისწინებს ქმედუუნარო პირების საცხოვრებელი ადგილის ცნებას **(§.8),** სამხედრო მოსამსახურეების საცხოვრებელ ადგილს **(§.9)** და შეუნიშნავთ, რომ მსგავს ნორმას ქართული სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს. ბავშვის საცხოვრებელ ადგილის დეფინიცია მოცემულია **BGB-ის §11-ში,** საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მე-20 მუხლის მე-2 ნაწილისაგან განსხვავებული დეფინიციით, კერძოდ: „არასრულწლოვანი ბავშვი იზიარებს თავისი მშობლის საცხოვრებელ ადგილს; იგი არ იზიარებს ერთ-ერთი მშობლის საცხოვრებელ ადგილს, რომელსაც არ აქვს ბავშვის მოვლის უფლება. თუ არც ერთ მშობელს არ აქვს ბავშვის მოვლის უფლება, ბავშვი იზიარებს იმ პირის საცხოვრებელ ადგილს, რომელსაც აქვს ეს უფლება. ბავშვი ინარჩუნებს საცხოვრებელ ადგილს მანამდე, სანამ იგი მას კანონიერად არ გააუქმებს[160]. გერმანულმა კანონმდებლობამ **4 პარაგრაფი** მიუძღვნა საცხოვრებელი ადგილის ცნებას[161], მაშინ როცა ქართული ერივნული კანონმდებლობის ზოგად

160. ამ შემთხვევაში შეიძლება ვარაუდი მშობლის უფლებაჩამორთმეული მშობლის (მშობლების) საცხოვრებელ ადგილზე, როცა ბავშვის საცხოვრებელი ადგილი იცვლება მათთვის მშობლის უფლების ჩანმორთმევის შემთხვევაში.

161. დაწვრ. იხ. დამატ. იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB), 2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით *§7-11); §7; Гражданское уложение Германии, 2-е издание, Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands, 2. Auflage. Wolters Kluwer, стр 1-2; Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 11-13.

ნაწილში მას დათმობილი აქვს ერთი მუხლი **(მ.20).**

აქვე შევნიშნავდით, რომ **BGB-ის §8-ის (2)**-ის თანახმად, „დაქორწინებულ არასრულწლოვანს ან არასრულწლოვანს, რომელიც ადრე დაქორწინებული იყო, შეუძლია დამოუკიდებელი საცხოვრებელი ადგილის დაფუძნება და გაუქმება“. მსგავსი ჩანაწერი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არ გვხვდება.

BGB-ის §13 იძლევა „მომხმარებლის“ ცნებას, რომელიც ასევე ამ ფორმულირებით არ გვხვდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. აღნიშნული პარაგრაფის თანახმად, „მომხმარებელს წარმოადგენს ფიზიკური პირი, რომელიც დებს გარიგებას იმ მიზნით, რომელიც არ განეკუთვნება მის სამეწარმე ან პროფესიულ საქმიანობას. აღნიშნული პარაგრაფის ერთგვარ, გარკვეულწილად არაპირდაპირ გამოძახილს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც ერთგვარი დამცავი მუხლია მომხმარებლებისათვის ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე პირებისაგან, როცა ეს პირები „არასამეწარმეო მიზნებისათვის, ან საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იძენენ ან სარგებლობენ ქონებითა და მომსახურებით, დაუსაბუთებლად არ შეიძლება მათ უარი ეთქვათ ხელშეკრულების დადებაზე, თუკი ხელშეკრულების მეორე მხარე მოქმედებს თავისი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში“.

„საერთაშორისო კერძო სამართალში, ისევე როგორც სამოქალაქო საპროცესო სამართალში, „საცხოვრებელი ადგილისა“ თუ „ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის“ ცნების მნიშვნელობა და შინაარსი საკმაოდ დეტალურადაა გაშუქებული. აქ საკმარისია მივუთითოთ მის ერთ-ერთ მნიშვნელობაზე. პირის საცხოვრებელ ადგილზე თუ მის ჩვეულებრივ ადგილსამყოფელზე ხშირად დამოკიდებულია იმ ქვეყნის სამართლის არჩევა, რომლითაც უნდა მოწესრიგდეს საერთაშორისო-კერძო სამართლებრივი ურთიერ-

თობა, აგრეთვე, ამათუ იმ ქვეყნის სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია, ანუ საკითხის გადაწყვეტა იმის შესახებ, თუ რომელი ქვეყნის სასამართლომ უნდა განიხილოს ასეთი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეები[162]".

საქართველოს 1998 წლის კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" ფიზიკური პირების მიმართ იყენებს არა მარტო „საცხოვრებელი ადგილის", არამედ „ჩვეულებრივი ადგილსამყოფლის" ცნებასაც **(მუხლები 9, 13, 14 15, 16 და სხვა),** იურიდიული პირების მიმართ ტერმინს **„რეზიდენცია"**, იშვიათად იურიდიული პირის ადმინისტრაციის „ფაქტობრივ ადგილსამყოფელს" **(მუხლები 9, 10, 24, 26).**

საერთაშორისო კერძო სამართალი **„ჩვეულებრივ საცხოვრებელში"** გულისხმობს ფიზიკური პირის ძირითად, უმთავრეს ადგილს (როგორც საერთაშორისო საპროცესო სამართალი). ასევე აღნიშვნის ღირსია, ერთ ადგილას **ექვსთვიანი ყოფნის ვადა საცხოვრებელი ადგილის წარმოშობის პრეზუმფციაზე.** მაგალითად, ეს ადგილი პირის „ჩვეულებრივი საცხოვრებელია". ექვსთვიანი ვადით (უწყვეტლივ), პირის ცხოვრებისა ერთ ადგილას, - ითვლება რომ დაფუძნებულია ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილი. **„ფაქტობრივი ადგილის"** განმარტებისას, აღსანიშნავია, რომ **„საცხოვრებელ ადგილად"** მიჩნევისათვის მხოლოდ ფაქტობრივად პირის ყოფნა არ არის საკმარისი, ამას თან პირის ნება უნდა ახლდეს თან, რომ მას ნამდვილად სურს ამ კონკრეტულ ადგილზე ცხოვრება. ფაქტობრივი ყოფნა მოცემულ ადგილას ავტომატურად არ წარმოშობს საცხოვრებელ ადგილს. მაშინ საპატიმრო, სადაც პირი იძულებით იმყოფება, საავადმყოფო, სადაც პირი მკურნალობს 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, ამ პირების საცხოვრებლად უნდა მიგვეჩნია. გამოდის დასკვნა,

162. თ. ლილუაშვილი, საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, 2001, გვ. 33-34.

რომ: 1. ფიზიკური პირი თავისი სურვილით, ნებით უნდა ირჩევდეს თავის საცხოვრებელ ადგილს და, 2. იქ უნდა ცხოვრობდეს 6 თვე და მეტი ხნის განმავლობაში. **სამოქალაქო კოდექსმა** ლეგიტიმური გახადა ფიზიკური პირებისათვის რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის ქონის უფლება. „პირს შეუძლია ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი“ **(მ. 20, ნ. 1, მეორე წინადადება),** რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ ნორმასთან დაკავშირებულია არა მარტო კერძო-სამართლებრივი (მაგალითად საოჯახო-მემკვიდრეობითი, ალიმენტის გადახდის, მემკვიდრეობის მიღების და სხვა საკითხები), არამედ საჯარო-სამართლებრივი საკითხებიც (მაგალითად, საგადასახადო სამართლის – გადასახადის გადახდის ვალდებულება კონკრეტულ ადგილას). გამოდის, რომ პირს აქვს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი, ჩაწერილი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთ ადგილას, ძირითადად სადაც ის მოსაქმეობს. ჩაწერის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ინსტიტუტი საცხოვრებელი ადგილის არსებობის პრინციპთან წინააღმდეგობაში არ მოდის. პირს შეუძლია თავისი ერთ-ერთი (ძირითადი) საცხოვრებელი ადგილიდან მოაწესრიგოს ვალდებულებანი (მაგ; საგადასახადო ვალდებულებანი) სახელმწიფოს წინაშე. პირი თავისუფლად ირჩევს საცხოვრებელ ადგილს. ამ შემთხვევაში მისი ნების გამოხატულება არაეითარ კავშირში არაა წინასწარ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ მოწესრიგებასთან, როგორც მას ადგილი ჰქონდა საბჭოთა სამართლებრივ სივრცეში. პირს ჯერ სახელმწიფოს კომპეტენტური საჯარო სამსახურის ნებართვა სჭირდებოდა სხვა ადგილას საცხოვრებელი ადგილის დაფუძნებისას (დგებოდა საპოლიციო ან სამისამართო აღრიცხვაზე და მერე ირჩევდა საცხოვრებელ ადგილს), დღეს კი პირიქითაა, რეგისტრაციის გარეშეც არსებობს პირის საცხოვრებელი ადგილი“. აქვე არ შეიძლება არ შეეხოთ საქართველოს **1996 წლის კანონს „საქართველოს მოქალაქეთა და საქართ-**

ველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“, რომელმაც გააუქმა საქართველოში საპოლიციო ჩაწერის ის სისტემა, რომელიც საბჭოთა სინამდვილეში არსებობდა და **1-ლი მუხლით** დაადგინა, რომ „საქართველოს კონსტიტუციისა და ადამიანის და მოქალაქის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტების შესაბამისად ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, გარანტირებული აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება. აღნიშნულმა კანონმა განსაზღვრა რეგისტრაციისა და რეგისტრაციიდან მოხსნის პირობები, საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა პირადობის დადასტურების წესი, პასპორტის გაცემის წესები და სხვა. კანონი სავალდებულოდ მიიჩნევს საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა შესახებ მონაცემების დადგენის, აგრეთვე მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობების განხორციელების მიზნით საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციას, ადგენს რეგისტრაციის პირობებს, საცხოვრებელი ადგილის **6 თვეზე მეტი ვადით** შეცვლისას პირის ვალდებულებას **6 თვის განმავლობაში არა უგვიანეს 10 დღისა** კანონის მოთხოვნათა დაცვით რეგისტრაციის გასავლელად და პირადობის მოწმობის მისაღებად ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მიმართოს სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს, რომელიც **10 სამუშაო დღის ვადაში** გაატარებს მას რეგისტრაციაში. რეგისტრაციის ორგანო კი ვალდებულია პირის რეგისტრაციაში გატერებიდან **3 დღეში** აცნობოს ამის შესახებ იმ ორგანოს, სადაც პირი იყო რეგისტრირებული, ხოლო ამ უკანასკნელმა უნდა მოხსნას პირი რეგისტრაციიდან

შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან **ერთი დღის ვადაში.** რეგისტრაციის მოხსნის თარიღად ითვლება პირის ახალ მისამართზე რეგისტრაციის თარიღი. კანონი ასევე ითვალისწინებს წინასწარი პატიმრობის ან სასჯელის მოხდის გამო პირის მიერ საცხოვრებელი ადგილის **3 თვეზე მეტი ვადით** შეცვლისას რეგისტრაციის პირობებს, სამხედრო-სავალდებულო ან საკონტრაქტო სამსახურში ყოფნის გამო პირის მიერ საცხოვრებელი ადგილის **3 თვეზე მეტი ვადით** შეცვლისას პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით რეგისტრაციის წესს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესებს არეგულირებენ[163]".

აღნიშნული **კანონის მე-3 მუხლის 2-ე ნაწილის** თანახმად საქართველოს მოქალაქე ვალდებულია **14 წლის მიღწევიდან 6 თვის განმავლობაში** მიიღოს პირადობის მოწმობა. იქვე მითითებულია, რომ პირადობის მოწმობის აღება სურვილის შემთხვევაში ასევე შეუძლია **14 წლამდე საქართველოს მოქალაქეს. 2(1) მუხლის** მიხედვით კი, საქართველოში მცხოვრები უცხოელი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს ბინადრობის მოწმობა. **2(2) მუხლი** კი არეგურირებს იმ შემთხვევებს, როცა საქართველოში პირადობის ელექტრონული მოწმობის მისაღებას რეგისტრაციის ვალდებულება არ ერცელდება საქართველოს იმ მოქალაქეზე, რომელიც კანონით „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ" – გათვალისწინებული რეგისტრაციიდან

163. ი. ხარაზი, სამოქალაქო სამართალი (ზოგადი დებულება) ლექციების კურსი იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის (მეორე გადამუშავებული გამოცემა), თბილისი, 2012, გვ 132-134.

მოიხსნა სხეა სახელმწიფო'ში მუდმივად საცხოვრებლად გამგზავრებასთან – ემიგრაციაში წასვლასთან დაკავშირებით".

„პირი, რომელიც არ ცხოვრობს მიწასთან მყარად დაკავშირებულ, ადამიანთა ხანგრძლივი დროით სამყოფად გამიზნულ შენობაში ან ცხოვრობს შენობაში, რომლის მისამართის იდენტიფიცირება შეუძლებელია, მისამართის მითითების გარეშე რეგისტრაციას გაიელის იმ დასახლებული პუნქტის მიხედვით, სადაც იგი იმყოფება; თუ დაბადების რეგისტრაციის დროს არასრულწლოვანი პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციისას მას არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი არ არის რეგისტრირებული; არასრულწლოვანი პირის რეგისტრაცია ხორციელდება მისამართის მითითების გარეშე. განცხადება-ანკეტასა და სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში მიეთითება პირის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში" **(მ. 5, ნ. 2).** „მისამართის მითითების გარეშე პირის რეგისტრაცია ძალაშია რეგისტრაციის თარიღიდან **6 თვის ვადაში.** ამ ვადის გასვლის შემდეგ პირი ითვლება რეგისტრაციიდან მოხსნილად, რაც პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობის მოქმედების შეჩერების საფუძველია. პირი ვალდებულია რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ ხელახლა გაიაროს რეგისტრაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით" **(მ. 5, ნ. 3)**[163].

მიუხედავად იმისა, რომ **სსკ მე-20 მუხლი** ფიზიკურ პირებს აძლევს საშუალებას თავისუფლად აირჩიონ საცხოვრებელი ადგილი, **მე-2 ნაწილში** კონკრეტული პირე-

163. დაწვრ. იხ. საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ".

ბისადმი გარკვეულ შეზღუდვებს ითვალისწინებს და მათ ასეთი არჩევანის საშუალებას არ აძლევს. ასეთი პირებია **არასრულწლოვანები და სრულწლოვანი სამეურვეო პირები,** რომლებსაც ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო არ შეუძლიათ საცხოვრებელი ადგილის დამოუკიდებლად არჩევის უფლება. მათ ნაცვლად ამას სამოქალაქო კოდექსი აკეთებს. ამიტომაც მათი საცხოვრებელი ადგილი **„კანონით საცხოვრებელ ადგილად"** იწოდება. კანონით საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა აგრეთვე მცირეწლოვნების საცხოვრებელი ადგილიც, რომლებიც კანონიერ წარმომადგენლებთან, მშობლებთან ერთად ცხოვრობენ.

გარკვეულ წინააღმდეგობას ვაწყდებით იმ კონკრეტულ შემთხვევებში, როცა მეუღლეები განქორწინებული არიან და მათ შორის ხშირად წარმოიშობა დავა თუ ვისთან უნდა იცხოვრონ არასრულწლოვანმა შვილებმა. ასეთი კონკრეტული საკითხები სამართლის ნორმათა ინტერპრეტაციის შედეგად სასამართლო პრაქტიკით უნდა გადაწყდეს. **სსკ 1128-ე** მუხლით გათვალისწინებულია კონკრეტული შემთხვევა, როცა მეუღლეები შეთანხმებული არ არიან განქორწინების შემდეგ შვილების საცხოვრებელ ადგილსა და მათ სარჩენად გადასახდელ სახსრებზე. სასამართლო მოვალეა განქორწინებასთან ერთად განსაზღვროს ისიც, თუ რომელი შვილი რომელ მშობელთან დარჩეს და განსაზღვროს ისიც, თუ რომელ მშობელს რა ოდენობით უნდა გადახდეს სარჩო (ალიმენტი).

საცხოვრებელი ადგილის გაუქმება, როგორც დაფუძნება პირის ნებაზეა დამოკიდებული და ამ ნების პრაქტიკული განხორციელება რაიმე სპეციალურ აქტზე არ არის დამოკიდებული.

საცხოვრებელი ადგილის გაუქმება შეიძლება განხორციელდეს ახალი საცხოვრებელი ადგილის დაფუძნებით, ოღონდ ეს უკანასკნელი ავტომატურად არ იწვევს ძველი საცხოვრებელი ადგილის გაუქმებას. აქაც პირის ნებაა

საჭირო, რომ იგი აუქმებს ძველ საცხოვრებელ ადგილს. საცხოვრებელი ადგილის გაუქმება შეიძლება გამოიწვიოს უცხოელთათვის მოცემულ ქვეყანაში ცხოვრების უფლების ჩამორთმევამ, რაც ამ ქვეყნის მოქალაქის მიმართ დაუშვებელია[164]". ამ დებულებას განამტკიცებს საქართველოს **კონსტიტუციის მე-13 მუხლი: „საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა. მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია. საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება დაუშვებელია".**

უქმდება თუ არა საცხოვრებელი ადგილი იმ მოქალაქეებისათვის, რომლებიც დაუძლეველი ძალის, ომის ან სხვა ამგვარი გარემოებების გამო იძულებულნი არიან დატოვონ თავიანთი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილდნენ ქვეყნის შიგნით (იძულებით გადაადგილებულნი), ან კიდევ საცხოვრებელი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ეძებონ (ლტოლვილები)? პასუხი იქნება: მათი საცხოვრებელი ადგილი მაინც თავდაპირველი ადგილია, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო მათ იქ დაბრუნება არ შეუძლიათ.

ცხოვრების ადგილს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო სამართალში. მას უკავშირდება მთელი რიგი სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილის სამართლებრივი ნორმები **(მ. 21, მ. 22, მ. 23), ვალდებულებით-სამართლებრივი ნორმები (მ.362, მ. 363, მ.432, მ.386 და სხვ.), საოჯახო-სამართლებრივი ნორმები (მ. 1128, მ. 1137, მ. 1157, მ.1164 და სხვ.), ასევე მემკვიდრეობით-სამართლებრივი ნორმები (მ. 1324, მ.1325, მ. 1326, მ. 1327, მ. 1385, მ. 1386 და სხვ.)** და სხვა კერძო-სამართლებრივი თუ საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობები. მნიშვნელოვან როლს ეს ინსტიტუტი აგრეთვე სამოქალაქო პროცესშიც ასრულებს, კერძო-სამართლებრივი დავების უწყებრივი ქვემდებარეობისა და განსჯადობი-

164. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 88-89.

სას. მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **მე-16 მუხლის თანახმად, 1.** „სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. **2.** ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის, ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო. **3.** სარჩელი, რომელიც გამომდინარეობს იურიდიული პირის ფილიალის საქმიანობიდან, სასაძართლოს წარედგინება მხოლოდ ფილიალის ადგილმდებარეობის მიხედვით. **4.** სარჩელები კანონისმიერ ან ანდერძისმიერ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით სასამართლოს წარედგინება მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ მამკვიდრებელი საქართველოს მოქალაქეა, მაგრამ გარდაცვალების მომენტისათვის იგი საზღვარგარეთ ცხოვრობდა, სასამართლოში სარჩელი შეიძლება აღიძრას საქართველოში მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის ან სამკვიდრო ქონების ადგილსამყოფლის მიხედვით.“და სხვა.

მოკლედ **მოქალაქეობის არმქონე პირების საცხოვრებელი ადგილის** შესახებ. „მოქალაქეობის არმქონე პირების მიმართ სკს–ში ძირითადად გამოიყენება **ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილის ქვეყნის კანონი (lex domicilii)**, ხოლო მისი დაუდგენლობის შემთხვევაში მიმთითებელი ქვეყნის კანონი[165]. ამას გვიდასტურებს კანონის **„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ მ. 22-ის მე-2 ნაწილი,** რომლის თანახმად, „თუ ფიზიკური პირი მოქალაქეობის არმქონეა ან შეუძლებელია მისი მოქალაქეობის დადგენა, მის მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მას აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან ეწევა ძირი-

165. ზ. გაბისონია, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გადამუშავებული და დამატებული გამოცემა, თბილისი, 2011, გვ. 132.

თად საქმიანობას, ხოლო თუ ასეთი არ არსებობს, საქართველოს სამართალი". საერთაშორისო კერძო სამართალი იცნობს აგრეთვე **ლტოლვილის სტატუსის** მქონე ფიზიკურ პირებსაც. ლტოლვილის სამართლებრივი სტატუსი მოცემულია **გაეროს ჟენევის 1951 წლის 28 ივლისის კონვენციაში „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ"**[166]. კონვენცია ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრის ძირითად კრიტერიუმად მიიჩნევს **საცხოვრებელი ადგილის ქვეყნის კანონს (lex domicilii)**. აღნიშნული **კონვენციის მე-12 მუხლის** პირველი ნაწილის თანახმად, „ლტოლვილის პირადი სტატუსი განისაზღვრება მისი საცხოვრებელი ქვეყნის კანონით, თუ მას ასეთი არ გააჩნია, მისი ადგილსამყოფელი ქვეყნის მიხედვით".

§ 6. ფიზიკური პირის უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება. გარდაცვლილად გამოცხადებულის დაბრუნების შედეგები

სამოქალაქო კოდექსის 21-ე მუხლი ფიზიკური პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებასა და მასთან დაკავშირებულ სამართლებრივ შედეგებზე აკეთებს აქცენტებს. **როდის უნდა იქნეს აღიარებული პირი უგზო-უკვლოდ დაკარგულად? რა გარემოებებია ამისათვის საჭირო?** სამოქალაქო კოდექსი პასუხს იძლევა ამ კითხვაზე. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხდება ორი გარემოების არსებობისას: **1. თუ პირის ადგილსამყოფელი უცნობია და 2. პირი ორი წლის მანძილზე არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას.** დაინტერესებული პირების სასამართლოსადმი მიმართვის შემდეგ, სასამართლო აცხადებს ამ პირს უგზო-უკვლოდ

166. კონვენცია ძალაში შევიდა 1054 წლის 22 აპრილს.

დაკარგულად. ისმის კითხვა: **„ვინ არიან ეს დაინტერესებული პირები“?** კანონმდებლობა ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხით არ შემოისაზღვრება და მხოლოდ ზოგადი რეგულირებით გვცემს პასუხს. დაინტერესებული პირები უნდა იყვნენ ისინი, ვისთანაც „დაკარგულ პირს“ ახლო ურთიერთობა ჰქონდა. ეს ურთიერთობები შეიძლება იყოს ახლო ნათესაური, მეგობრული, სამსახურეობრივი, პრტნიორული და ა.შ.

რა დოკუმენტაციით ხდება ადამიანის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება? ძირითადად, მოწმეთა ჩვენებით, რადგან ასეთ დროს სხვა მტკიცებულებები არ არის.

სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პირის უგზო-კვლოდ დაკარგულად ცნობის შესახებ დგება მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი: „დაკარგულის ქონების მართვის“ შესახებ.

ვინც არ უნდა შედიოდეს „დაინტერესებული პირების“ წრეში, რომლებიც სასამართლოსადმი მიმართვის უფლებით სარგებლობენ პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, პირის ქონების (უძრავ-მოძრავის) დროებითი მართვის უფლებით მისი კანონიერი მემკვიდრეები ისარგებლებენ[167] მინდობილი მესაკუთრის სახით (6 თვის გასვლის შემდეგ კი, თუ პირი არ გამოჩნდა, ამ ქონების მესაკუთრეები ხდებიან მემკვიდრეობის მიღების უფლებით); ასევე ისინი უფლებამოსილნი არიან ამ ქონებიდან სარგებლის მიღებისა. **აქვთ თუ არა მემკვიდრეებს ამ ქონების თავისუფალი განკარგვის უფლება?** ცხადია არა, რადგანაც დაკარგული პირი ჯერ კიდევ არა არის სასამართლოს მიერ გარდაცვლილად გამოცხადებული. მემკვიდრეები, რომლებმაც დაკარგულის ქონება დროებით სამართავად მიიღეს ვალდებული არიან: **1.** სარჩო მისცენ უგზო-უკვ-

167. კანონიერ მემკვიდრეთა წრე მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლში.

ლოდ დაკარგულის კმაყოფაზე მყოფ პირებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და 2. აღნიშნული ქონებიდან უნდა დაიფაროს კრედიტორების ვალები (ცხადია იმ შემთხვევაში, თუ ვალები გააჩნდა უგზო-უკელოდ დაკარგულ პირს).

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა პირი სასამართლოს მიერ აღიარებულია უგზო-უკელოდ დაკარგულად, ქონება დროებით სამართავად გადასცემიათ მის კანონიერ მემკვიდრეებს, ხოლო ასეთი მემკვიდრეების არარსებობის შემთხვევაში კი, – დაკარგულის ქონება უმკვიდროდ გამოცხადებულა და გადასცემია სახელმწიფოს **(სსკ, მ. 1343, ნ.1)**. უგზო-უკელოდ დაკარგულად აღიარებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფლის აღმოჩენის შემთხვევაში სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას ამ პირის ქონების მართვის შესახებ. რაც შეეხება მეურნეობის სათანადო გაძღოლით მიღებული სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, – „დაბრუნებულს" ამის უფლება არა აქვს (აქ მოქმედებს „უსაფუძვლოდ გამდიდრების"[168] პრინციპი). **საინტერესოა როგორ უნდა გადაწყდეს სამართლებრივად დავა, როცა მემკვიდრეებმა, რომლებმაც უგზო-უკელოდ დაკარგულის ქონება მიიღეს სამართავად, არ მართეს ეს ქონება, არ მიიღეს მისგან სარგებელი, რასაც მეურნეობის გაჩანაგება მოჰყვა, პირს მიადგა ზიანი?** წარმოეშობა თუ არა **„დაბრუნებულს"** უფლება, რომ მოსთხოვოს მემკვიდრეებს სარგებლის მიუღებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება? ამ კითხვას დადებითად უნდა ვუპასუხოთ. **სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი** ხომ ითვალისწინებს: „სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი". ამდენად, ისინი ვალდებული იყვნენ მიეღოთ სარგებელი დანატოვარი ქონებიდან, თუ ამ ქონებიდან სარგებელს უგზო-უკელოდ დაკარგულიც იღებდა (მაგალითად საწარმოს მართვა) და ვალდებული არიან მიყენებული ზიანის ანაზ-

168. უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ იხ. სსკ მ. 996-991.

ღაურებაზე მიუღებელი სარგებლის გამო.

„ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წყდება მისი გარდაცვალებით“ **(სსკ მ.11. მ.3).** გარდაცვალების ფაქტს ადასტურებს გარდაცვალების მოწმობა და აღნიშნული დოკუმენტის სამოქალაქო აქტების სარეგისტრაციო ორგანოში სათანადო ჩანაწერის გაკეთება. გარდაცვალებასთან ერთად პირის უფლებაუნარიანობაც წყდება. პირი, როგორც ფიზიკური არსება წყვეტს ფიზიკურ არსებობას, მაგრამ ამავე დროს სხვა პირებს (მემკვიდრეებს) გარკვეული უფლებები წარმოეშობათ და ეს უპირველეს ყოვლისა გარდაცვლილის ქონების მემკვიდრეობით მიღებაა. **სამოქალაქო კოდექსის 22-ე მუხლი იურიდიული ფიქციის** ერთერთი საუკეთესო მაგალითია. პირი ცხადდება გარდაცვლილად აღნიშნული იურიდიული ფიქციის საფუძველზე. აქ იგულისხმება შემთხვევა, როცა სახეზე არ არის გარდაცვლილის გვამი და პირი მაინც გარდაცვლილად ცხადდება სასამართლოს გადაწყვეტილებით. ეს უკიდურესი ღონისძიება გამოიყენება მხოლოდ კანონით ზუსტად გათვალისწინებულ შემთხვევებში. ეს შემთხვევებია: **1. თუ პირის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები ამ პირის ადგილსამყოფლის შესახებ; 2. თუ პირი უგზო–უკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებაში, რომელიც მას სიკვდილს უქადდა; 3. ანდა სავარაუდოა მისი დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო და ასეთი ცნობები ექვსი თვის განმავლობაში არ მოიპოვება.** მაგალითად, ოჯახს აქვს ინფორმაცია, რომ სავარაუდოდ ის ისეთ ვითარებაში იყო რომ შესაძლოა დაღუპულიყო, მაშინ ხუთწლიანი ვადა საჭირო აღარაა, მას სასამართლო გარდაცვლილად გამოაცხადებს, ოღონდ სასამართლო ამ ფაქტში უნდა დარწმუნდეს. ვთქვათ, მოხდა ავტოკატასტროფა, ჩააიძირა გემი და მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ეს მგზავრი ნამდვილად იყო აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებებში და არანაირი ინფორმაცია არ მოიპოვება მის ცოცხლად გადარჩენის ფაქტზე. ამ შემთხვევაში სასამართლო ასეთ პირს გარდაცვლილად გამოაცხადებს,

ხოლო თუ მომავალში დაბრუნდება, ამ გადაწყვეტილების გაუქმება მოხდება. საომარი მოქმედებების დროს ადამიანი შეიძლება დაიკარგოს (აქ იგულისხმება როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო პირი) და წლების შემდეგ ის ცოცხალი აღმოჩნდეს. კანონი ამასაც ითვალისწინებს და სამხედრო მოსამსახურე ან სხვა პირი, რომელიც უგზო-უკვლოდ დაიკარგა, სასამართლო წესით, საომარი მოქმედებიდან, მხოლოდ **ორი წლის** გასვლის შემდეგ ცხადდება გარდაცვლილად.

ვინ არიან ის პირები, რომლებსაც შეუძლიათ სასამართლოს მიმართონ ასეთი პირების გარდაცვლილად გამოცხადებაზე? ცხადია, როგორც ეს **21-ე მუხლის** შემთხვევაშიც აღვნიშნეთ, ასეთი დაინტერესებული პირები პირველ ყოვლისა მემკვიდრეები არიან, რომლებიც პირის გარდაცვლილად გამოცხადების შემთხვევაში მისი ქონების მემკვიდრეები იქნებიან (სავარაუდოდ თუ არ იარსებებს ანდერძი სხვა პირების, არანათესავების ანდერძისმიერ მემკვიდრეობაზე). ვინ განკარგავს პირის ქონებას მანამ, სანამ მას გარდაცვლილად გამოაცხადებენ? როცა პირი გარდაცვლილად გამოცხადდება, მემკვიდრეებს შორის ქონების განაწილება ჩვეულებრივი წესით ხდება. თუ არიან ანდერძისმიერი მემკვიდრეები, ქონება, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მათ შორის განაწილდება; თუ კანონისმიერი მემკვიდრე არ არსებობს, მაშინ ქონება სახელმწიფოს დარჩება. მაგრამ კანონი ითვალისწინებს იმ შემთხვევებსაც, რომ შესაძლოა ეს ადამიანი ცოცხალი აღმოჩნდეს და დაბრუნდეს. **ბუნებრივია გაჩნდება კითხვა: ქონება მას დაუბრუნდება?** უგზო-უკვლოდ დაკარგულის ქონებას ახლობლები განკარგავენ, რაც იმას ნიშნავს, რომ მას ქონება ენახება, ხოლო თუ პირი გარდაცვლილად გამოცხადდა და ის დაბრუნდა შემდგომ, ასეთ შემთხვევაში მისი გარდაცვალებულად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება უქმდება. შეიძლება ქონება, ან მისი ნაწილი ამ დროს უკვე

მემკვიდრეს გასხვისებული ჰქონდეს. ასეთ შემთხვევაში მას აქვს უფლება, მოითხოვოს ის ქონება, რომელიც უსასყიდლოდ სხვას გადაეცა. თუ მემკვიდრეს ქონება გასხვისებული არა აქვს, მფლობელს დაუბრუნდება. გასხვისების შემთხვევაში, თუკი დადგინდება, რომ მყიდველმა იცოდა, სინამდვილეში მფლობელი არ იყო გარდაცვლილი და მაინც შეიძინა მისი მემკვიდრისაგან ქონება, ასეთ შემთხვევაში მას ქონება ჩამოერთმევა და მეპატრონეს გადაეცემა, თუმცა ამის დამტკიცება ძალზედ რთულია. დაბრუნების დროის მიუხედავად, პირს უფლება აქვს მოითხოვოს ის შენარჩუნებული ქონება, რომელიც მისი გარდაცვლილად გამოცხადების შემდეგ უსასყიდლოდ გადაეცა სხვა პირს. როცა გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონება სახელმწიფოს გადაეცემა და მისი რეალიზაცია მოხდება, სახელმწიფო ვალდებულია, პირს კომპენსაცია მისცეს. **აქვე ერთ შენიშვნას გავაკეთებთ იმის შესახებ, რომ პირს მართალია უბრუნდება დაბრუნების შემთხვევაში დარჩენილი ქონება, მაგრამ მიღებული სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მას არა აქვს.**

რომელი დრო მიიჩნევა მაინც პირის გარდაცვალების დღედ? „პირის გარდაცვალების დღედ მიიჩნევა მისი გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე. სასამართლოს შეუძლია პირის სიკვდილის დღედ აღიაროს **მისი სავარაუდო დაღუპვის დღე**“ **(სსკ მ. 22. 6.3).**

საინტერესოა, არის თუ არა ფაქტები იმის შესახებ, რომ პირი გარდაცვლილად გამოცხადებულა სასამართლოს მიერ და შემდეგ გამოჩენილა? ასეთი ფაქტები არსებობს და სასამართლო პრაქტიკაც საკმაოდ მდიდარია ამ კუთხით. ასეთ შემთხვევასაც ჰქონია ადგილი, როცა პირი გარდაცვლილად გამოცხადებულა, მის მემკვიდრეებს სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ ქონება გაუყიდიათ და პირი, რომელიც ყველას დაღუპული ეგონა, თავის

საცხოვრებელ ადგილას გამოცხადებულა. **რა უნდა გააკეთოს ამ შემთხვევაში იმ პატიოსანმა მყიდველმა, რომელმაც კანონის ყველა მოთხოვნის დაცვით შეიძინა ასეთი ქონება?** კანონი იცავს კეთილსინდისიერ მყიდველს, ქონებას მას უტოვებს, ხოლო გამყიდველს (მემკვიდრეს აიძულებს რეალიზაციის შემდეგ მიღებული თანხა გადასცეს „დაბრუნებულს".

კანონი არ ითხოვს, რომ პირის დაკარგვის შემთხვევაში, პოლიციას მივმართოთ. იყო შემთხვევები პრაქტიკაში, როცა ოჯახმა პოლიციას მიმართა, მაგრამ წლების მანძილზე ამ ადამიანზე არანაირი ინფორმაცია არ არსებობდა. ესეც ერთ-ერთი მტკიცებულებაა, სასამართლოში საქმის განსახილველად.

საინტერესოა საოჯახო საკითხები **სსკ 22-ე მუხლთან** დაკავშირებით. **სსკ 1122-ე მუხლი** ქორწინების შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძვლად მიიჩნევს „კანონით დადგენილი წესით ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვლილად გამოცხადებას". გარდაცვლილად გამოცხადებულის მეუღლე სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ უფლებამოსილია დაქორწინდეს სხვა პირზე. გარდაცვლილად გამოცხადებულის დაბრუნება მხოლოდ ქონებრივ უფლებებში იწვევს მის რესტიტუციას, საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებში კი,–არა, თუ ყოფილი მეუღლის სურვილი არ იქნება. ამ შემთხვევაში მეორე მეუღლეს შეუძლია განქორწინდეს სხვა პირთან და ხელახლა დაარეგისტრიროს ქორწინება დაბრუნებულ მეუღლესთან, ხოლო თუ იგი დაქორწინებული არ იყო სხვაზე – ქორწინება ყველა შემთხვევაში უნდა აღდგეს, თუ რა თქმა უნდა ეს მეუღლეთა სურვილი იქნება. განქორწინებას ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით ითვალისწინებს აგრეთვე **სსკ მ. 1125, ა) ქვეპუნქტი),** როცა კანონით დაგენილი წესით პირი

აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად.

საერთო სასამართლოები **უდავო წარმოების წესით**[169] განიხილავენ **(სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მ. 317-321)** მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებასა და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადებას. განცხადება მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა ან მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ შეიტანება სასამართლოში დაინტერესებული პირის მიერ განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მ ა გ ა ლ ი თ ი: გარდაცვლილ პეტრეს დარჩა ერთადერთი პირველი რიგის მემკვიდრე, შვილი – დავითი. მამის გარდაცვალების შემდეგ დავითმა გააგრძელა მამის (პეტრეს) სახლში ცხოვრება, ყოველთვიურად იხდიდა ბინის „კომუნალურ გადასახადებს“ თავისი სახელით, ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს მართვას. (სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მიხედვით, „მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ სამკვიდრო მიიღო“). დავითმა ვერ გამონახა დრო და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ ექვს თვიან ვადაში (სსკ, მ.1424) ვერ მიიღო მამის დანატოვარ ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის მიღება.

დავითმა მამის გარდაცვალებიდან მესამე წელს განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა უდავო სამართალწარმოების წესით გარდაცვლილი მამის მემკვიდრეობის მიღების ფაქტის დადგენა.

რა დოკუმენტები დასჭირდება განცხადებასთან ერთად და-

---

169. უდავო წარმოება სასამართლო წარმოების დამოუკიდებელი სახეა, რომელიც განპირობებულია ამ წესით განსახილველ საქმეთა თავისებურებებით, რომელიც დაეისა და მოდავე მხარეთა არარსებობით გამოიხატება. ამ კატეგორიის საქმეთა სასამართლოში განხილვისას სასამართლოს მთავარი ამოცანაა არა მხარეთა შორის დავის განხილვა-გადაწყვეტა, არამედ ამა თუ იმ ფაქტის დადგენა-დადასტურება; ასევე უდავო წარმოების წესით საქმეთა განხილვისას არის მხოლოდ განმცხადებელი და არ არიან მოდავე მხარეები: მოსარჩელე და მოპასუხე, მესამე პირები, თანამოსარჩელეები. უდავო წარმოება ერთი მხარის (ერთპირიანი) წარმოებაა და სხვა.

ვითს, რომ მან სამკვიდრო მოწმობა მიიღოს?

დავითმა ამ განცხადებას უნდა დაურთოს თავისი დაბადების მოწმობა და ასევე ყველა ის საბუთი, რომლითაც დასტურდება რომ იგი გარდაცვლილი მამის (პეტრეს) შვილია. მან სასამართლოს უნდა წარუდგინოს ასევე ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლითაც მისი მამის (პეტრეს) საკუთრების უფლება როგორც მამკვიდრებლისა) მემკვიდრეა; აგრეთვე მამის (პეტრეს) გარდაცვალების მოწმობა; მეზობლების და სხვა პირთა პირთა (მაგალითად ნათესავების) ახსნა-განმარტებები, რომლებიც დავითის მიერ სამკვიდროს მიღების და დაუფლების ფაქტს დაადასტურებენ და ასევე იმ ფაქტსაც, რომ მამკვიდრებელ პეტრეს სხვა მემკვიდრე გარდა დავითისა არ დარჩენია. დავითმა განცხადებას უნდა დაურთოს სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრის დედანი.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ დავითის განცხადებაში მითითებული გარემოებები საქმის მასალებით დასტურდება, იგი დააკმაყოფილებს მის განცხადებას. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თუ უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას აღიძვრის ისეთი უფლებები, რომლებიც სასამართლოს უწყებრივად ექვემდებარება, სასამართლო განცხადებას განუხილველად დატოვებს და დაინტერესებულ პირებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ წარმოადგინონ სარჩელი საერთო საფუძველზე. ეს შეიძლება იყოს ვთქვათ შემთხვევა, როცა სასამართლო დავითის განცხადების განხილვისას გამოარკვევს, რომ დავითს ჰყოლის ნახევარდა, ანა, რომელსაც მამამ (პეტრემ) გვარი მისცა, რითაც აღიარა შვილად და ბუნებრივია კანონიერ მემკვიდრეთაც. დავითს აღნიშნულის შესახებ სასამართლოსათვის არ განუცხადებია და ცხადია, ანის დავითის მსგავსად თანაბარი უფლებები აქვს მამის დანატოვარ ქონებაზე. იმ შემთხვევაში, თუ ანა თავის წილ ქონებაზე უარს განაცხადებს, მაშინ დავითმა თავის განცხადებაში უნდა მიუთითოს ამის შესახებ და სასამართლოს წარუდგინოს ანას სანოტარო წესით დამოწმებული უარი სამკვიდროს მიღებაზე. თუ სასამართლო ამ კონკრეტულ შემთხვევაში დაადგენს, რომ დავითის განცხადებაში მითითებული გარემოებები საქმის მასალებით დასტურდება, იგი მის მოთხოვნას დააკმაყოფილებს.

საინტერესოა საერთაშორისო კერძო სამართლის მიდგომა ამ საკითხისადმი. საქართველოს კანონის „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, მ. 25 არეგული-

რებს „სამართლის გამოყენებას უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისას და გარდაცვლილად გამოცხადებისას. აღნიშნული მუხლის თანახმად, 1. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც უგზო-უკვლოდ დაკარგული ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირი განეკუთვნებოდა მისი სიცოცხლის შესახებ უკანასკნელი ინფორმაციის მიხედვით. მოქალაქეობის არმქონე პირის მიმართ გამოიყენება მისი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ქვეყნის სამართალი, ხოლო თუ ასეთი არ არსებობს –საქართველოს სამართალი. 2. თუ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირი საქმის განხილვის პერიოდში უცხო ქვეყნის მოქალაქეა, იგი შეიძლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული ან გარდაცვლილად გამოცხადებული იქნეს საქართველოს სამართლის მიხედვითაც, თუ ამისათვის არსებობს დასაბუთებული ინტერესი[170]“.

ამ პარაგრაფის დასასრულს, დასკვნის სახით ავღნიშნავთ, რომ **სკ 21-ე, 22-ე, 23-ე მუხლებში** გამოკვეთილია **პრეზუმფციის როლი** სამოქალაქო სამართალში („პრეზუმფცია“ ლათინური სიტყვაა და ვარაუდს, ვარაუდზე დამყარებულ მოსაზრებას ნიშნავს და მას გარკვეული პრაქტიკული დატვირთვა გააჩნია სამართალში. „დაუდასტურებელი მოვლენა ან ფაქტი მიიჩნევა, ივარაუდება არსებულად, დადასტურებულად და მას სამართლებრივი შედეგები უკავშირდება“). ამგვარი პრეზუმფციის არსებობა იმისთვისაა საჭირო, რომ ურთიერთობის მონაწილეები გაურკვეველ, ბუნდოვან მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ და მათი სამართლებრივი სტატუსი ჰაერში არ იყოს გამოკიდებული. მაგალითად, **სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის პირველი ნაწილის** მიხედვით ივარაუდება, რომ „ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე“. თუ სამოქალაქო სამართალში ჩვენ ასეთი ვარაუდი არ გვექნებოდა, მაშინ ეჭვი უნდა შეგვეტანა ყველა ადამიანის კეთილსინდიერებაში, რომ ის, რომელიც მათ აქვთ, მათი არ არის და სხვა.

170. დამატ. იხ. ზ. გაბისონია, საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გადამუშავებული და დამატებული გამოცემა, თბილისი, 2012.

1. განმარტეთ ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა

2. როდიდან წარმოიშობა ჩასახულის უფლება მემკვიდ-რეობაზე?

3. როგორ დაიცვათ პირადი არაქონებრივი უფლებები?

4. რომელი ადგილი მიიჩნევა ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად?

5. რა განსხვავებაა ქართული და გერმანული სამოქალაქო კოდექსების მიხედვით საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით?

6. რაში გამოიხატება პერსონალური ინფორმაციის მიღების უფლება?

7. როგორ ხდება პირადი უფლებების დაცვა გარდაცვალების შემდეგ?

8. როგორ ხდება პირის აღიარება უგზო-უკვლოდ დაკარგულად და გარდაცვლილად?

ტესტები

1. არასრულწლოვანმა ა. ბაღათურმა სარჩელი შეიტანა გ. ბერიძის მიმართ განქორწინების შესახებ, იმ მოტივით, რომ იგი ვერ შეეწყო ასაკით მასზე გაცილებით უფროს მეუღლეს - გ. ბერიძეს. სასამართლომ ბაღათურის სარჩელი არ მიიღო, ჩათვალა რა, რომ იგი აღძრულია ქმედუუნარო პირის მიერ.

სწორი გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ?

ა. დიახ, ისევე, როგორც დაქორწინებისას, განქორწინებაზე სარჩელის აღძერის შემთხვევაში 16 წლის ასაკიდან პირს სჭირდება მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის წინასწარი თანხმობა

ბ. დიახ, რადგან საპროცესო ქმედუნარიანობა სრული მოცულობით წარმოიშობა სრულწლოვანების, ე. ი. 18 წლის მიღწევის შემდეგ

გ. არა, ქმედუნარიანად ითვლება პირი, რომელიც იქორწინებს თვრამეტი წლის ასაკის მიღწევიდან

დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი

1. თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, როგორ უნდა მოხდეს მათი უარყოფა?

ა. სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით

ბ. სასამართლოს მეშვეობით-პირის ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფით

გ. იმავე მასობრივი ინფორმაციის საშუალებით.

დ. ომბუდსმენის მეშვეობით

2.პირის გარდაცვალების შემდეგ აღმოჩნდა მის მიერ შედგენილი ანდერძი, რომლითაც მთელი თავისი ქონება უანდერძა დისშვილს,რომელიც მოანდერძის გარდაცვალების მომენტისათვის ჩასახული იყო. ნაყოფი ცოცხალი არ დაიბადა. დედამ ანდერძით გათვალისწინებული ქონება

მოითხოვა, რადგან მიაჩნდა, რომ ეს ქონება ჩასახულის საკუთრება იყო.

რამდენად კანონიერია დედის მოთხოვნა?

ა.მოთხოვნა უკანონოა, რადგან ჩასახული არ შეიძლება მემკვიდრე იყოს

ბ. მოთხოვნა კანონიერია, რადგან დედა შვილის მემკვიდრეა

გ. მოთხოვნა არ არის კანონიერი, რადგან ჩასახულის მემკვიდრედ ყოფნის უფლება დამოკიდებულია დაბადებაზე

დ. მოთხოვნა უკანონოა, რადგან ჩასახული მხოლოდ მამის მემკვიდრეა

კ ა ზ უ ს ი

1.გარდაცვლილ ე. მენაბდეზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ჟურნალისტმა ვ. მეტრეველმა გაავრცელა მისი პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემცველი ცნობები. ე. მენაბდის შვილებმა მოითხოვეს დედის რეპუტაციის შელახვისათვის მორალური ზიანისათვის ქონებრივი ანაზღაურება.

რამდენად კანონიერია მათი მოთხოვნა?

2.ამილახვარი გარდაცვლილად იქნა გამოცხადებული. მისი ქონება მემკვიდრეობით მიიღო მისმა მეუღლემ ლ. აბულაძემ. მემკვიდრეობით მიღებული ქონების ნაწილი მან თავისთვის დაიტოვა, მაწილი კი მიჰყიდა ვინმე თ. კორძაძეს. ამილახვარი დაბრუნდა და სასამართლომ გადაწყვეტილება მისი გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ გააუქმა. ამილახვარმა მოითხოვა მისთვის ქონების დაბრუნება.

დაუბრუნდება თუ არა ამილახვარს ქონება?

თავი IV. იურიდიული პირები

§. 1. ცნება. სახეები

„მხოლოდ ადამიანი, როგორც ინდივიდი არის ზოგადი და ბუნებრივი გაგებით პირი და, სამართლის სუბიექტი. ამასთანავე არსებობს საფუძვლები, რომლებიც შეიძლება კანონებმა განსაზღვრონ, რომ სხვა საგნების პერსონიფიცირებაც მოვახდინოთ, ე. ი. შევხედოთ მათ, თითქოს ისინი პირები იყვნენ და ამით უფლებათა სუბიექტები. აქედან გამომდინარეობს იურიდიული პირის ცნებაც, რომელშიც იგულისხმება სამართლის მიერ აღიარებული საგანი“.

ჰაიზე

„იურიდიული პირების ადგილი კერძო სამართალში ძირითადად ორი მიმართულებით წყდება. რიგი ქვეყნების სამოქალაქო კოდექსები იურიდიული პირების ზოგად მოძღვრებასაც იძლევიან და მათ ცალკეულ სახეებსაც აწესრიგებენ, ზოგი სრულყოფილად, ზოგი კი – ნაწილობრივ“[171]. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB) ახდენს სამეწარმეო კავშირების სამართლებრივ მოწესრიგებასაც (§22) და გაკოტრების დეფინიციასაც გვაძლევს (§42), ასევე, რუსეთის თანამედროვე სამოქალაქო კოდექსშიც მოცემულია კომერციული იურიდიული პირების მომწესრიგებელი ნორმები, რაც არაა დამახასიათებელი საქართველოს სამოქალაქო კოდექსისათვის და იგი გამოტანილია საქართველოს კანონში „მეწარმეთა შესახებ“.

ტერმინი **„იურიდიული პირი“** გერმანული წარმოშო-

171. ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, 2005, გვ. 213.

ბისაა და მას **გუსტავ ჰუგოს**[172] აღმოჩენად თელიან, რადგან მან **1798 წელს** გამოცემულ **„ბუნებითი სამართლის, როგორც პოზიტიური სამართლის ფილოსოფიის“ წიგნში** პირველად გამოიყენა ეს ტერმინი. თუმცა თანამედროვე გაგებით ამ ცნების პირველად დამკვიდრებას მიაწერენ პანდექტიკის მეცნიერების ფუძემდებელს **გეორგ არნოლდ ჰაიზეს, რომელმაც 1807 წელს** გამოცემულ **„საერთო სამოქალაქო სისტემის საფუძვლებში“** უფრო დეტალურად განიხილა და ერთიან, მწყობრ სისტემაში მოაქცია იურიდიული პირების ცნება სამოქალაქო სამართლის სუბიექტებთან კავშირში. უფრო გვიან, 1819 წელს მან იურიდიული პირების ცნებაში კორპორაციებთან ერთად ფონდებიც შეიყვანა და ამით პრაქტიკულად ჩამოაყალიბა იურიდიული პირის ცნება, რომელიც XIX საუკუნის სამართლის მეცნიერებას არ მოშორებია. ისიც აღსანიშნავია, რომ ჰაიზეს სახელს უკავშირდება ასევე „გარიგების“ ცნების შემოტანა ცივილისტიკაში და ისიც **1807 წელს.** ჰაიზე იურიდიულ პირს განიხილავს როგორც აბსტრაქტულ ცნებას: „იურიდიული პირი არის ყველაფერი, გარდა კონკრეტული ადამიანებისა, რაც სახელმწიფოში უფლებათა დამოუკიდებელ სუბიექტად არის აღიარებული.

დასავლეთის ბევრი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსები, იურიდიული პირის ლეგალურ დეფინიციას არ იძლევიან. ეს იმით აიხსნება, რომ ამ ქვეყნების სამართალს არა დეფინიცია აინტერესებს, არამედ ამ სუბიექტების რეალური შინაარსი, მათი მონაწილეობის ფორმები და ხასიათი. ამიტომ

---

172. გუსტავ ჰუგო – სამართლის ისტორიული სკოლის ფუძემდებელი. სამართლის ისტორიული სკოლა ეწოდება სამართლის ფილოსოფიაში შეხედულებას სამართლის წარმოშობის შესახებ. იგი ეფუძნება მოსაზრებას, რომ სამართალი არ არის ბუნებრივი მოცემულობა (ბუნებითი სამართალი), არამედ იგი ხალხის სულიერი შეხედულებებისა და სამართლებრივი ასროვნებიდან ვითარდება ისტორიულ ეპოქასთან ერთად. http://library.court.ge/gil/index.php?term_id=491

ქართული სამართლის მეცნიერებაში აღნიშნულია, რომ იურიდიული პირის ნიშნები იმ სამართლის ნორმებიდან გამოჰყავთ, რომლებიც ამ ქვეყნების საკანონმდებლო აქტებშია მიმობნეული და იურიდიული პირების სამართლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავენ. ქართულ სამოქალაქო კოდექსში უნდა შესულიყო ფუძემდებლური ნორმები, რაც ხელშემწყობი იქნებოდა საკანონმდებლო რეგულირების ერთიანობისათვის და იურიდიული პირების კლასიფიკაციაც ამომწურავ წარმოდგენას მოგვცემდა მათ ნაირსახეობაზე, რათა არ მომხდარიყო სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ერთმანეთში აღრევა და კანონით გაუთვალისწინებელი პირების გაჩენა[173]". იურიდიული პირის შესახებ თანამედროვე მოძღვრების ჩამოყალიბება და განვითარება თითქმის მთელს მსოფლიოში დაკავშირებულია პანდექტური სამართლის მეცნიერებასთან, რადგან იურიდიული პირის თანამედროვე ცნება პრაქტიკულად შექმნა და განავითარა XIX საუკუნის პანდექტურმა სამართალმა. საინტერესოა იცნობდა თუ არა იურიდიული პირის ცნებას ცივილური სამართლის ფუძემდებელი–რომის სამართალი? რომის სამართალი არ იცნობს იურიდიული პირის ცნებას, მისთვის ასეთი სახელწოდებით „პირი" არ არსებობს, მაგრამ პრაქტიკა განასხვავებდა ცალკე პირის **(„პერსონას")** უფლებებს და კორპორაციის ანუ გაერთიანების უფლებებს (საამქრო, საგვარეულო და ა.შ.), დღეევანდელი გაგებით ფიზიკურ პირთა გაერთიანებებს. თუმცა იურიდიული პირები რომში აღიარებული იქნენ სამართლის სუბიექტებად, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ძველ რომში იურიდიული პირის ისტორიის განვითარებისდა კვალობაზე თანდათან ვითარდება იურიდიული პირი და იმპერიის ხანაში შედარე-

173. ჯონი ხეცურიანი, იურიდიული პირის ინსტიტუტის საკანონმდებლო რეგულირების სრულყოფის ამოცანები საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ჟურნალი „სამართალი", გვ. 52-53.

ბით ნათლად ჩამოყალიბდა[174]. იურიდიული პირების წარმოშობის პროცესს რომში წინ უძღოდა სხვადასხვა ამხანაგობების და გაერთიანებების არსებობა, ხოლო „იმპერიის პერიოდში უკვე იწყებოდა იურიდიულ პირთა ჩამოყალიბება სანებართვო წესით“[175]. „ამას მოჰყვა გარკვეული სიახლეების შემოტანა იურიდიულ პირთა სტრუქტურაში, რამაც ასახვა ჰპოვა იუსტინიანეს კოდიფიკაციაში, კერძოდ იურიდიული პირები გაიყო **„universitetes personarum“**, ხალხის გაერთიანებად და **„universitetes rerum“** ქონებრივ გაერთიანებად. იურიდიული პირის არსებობა წყდებოდა მიზნის მიღწევის, მასში გაერთიანებულ პირთა დაშლით და ორგანიზაციის უკანონო საქმიანობით“[176].

ძვ. წ. II-I საუკუნეებში ძლიერი რომის სახელმწიფოში სახელმწიფოს უზარმაზარი ქონება გააჩნდა (მიწები, მონები (მონა რომის სამართალში ნივთს წარმოადგენდა, რომელსაც არავითარი უფლებები არ გააჩნდა.), შენობები), რომლებიც რომაელი იურისტების აზრით სამოქალაქო ბრუნვაში ვერ მოექცეოდნენ. ასეთი ქონება **„res eqstra kommercium“**სამოქალაქო ურთიერთობების გარეთ იდგნენ, ისინი საზოგადო ქონებად ითვლებოდნენ. კონკრეტულ პირებს მასზე საკუთრების უფლება არ ჰქონდათ, ისინი ყველასი იყო. ამ ეტაპზე სამართალგანვითარებისა სახელმწიფო ხაზინა სამართლის სუბიექტად, იურიდიულ პირად არ მოიხსენიებოდა, იგი ჩვეულებრივ სახელმწიფო „საჭურჭლეს“ წარმოადგენდა. მაგრამ თვით რომაელი იურისტები მივიდნენ მოგვიანებით იმ დასკვნამდე, რომ სახელმწიფო თავისი ხაზინის სახით არის იურიდიული პირი, რომ ქალაქის თვითმმართველობები არიან იურიდიული პირები და

174. მხოლოდ კაპიტალიზმის ხანაში გახდა შესაძლებელი იურიდიული პირების სრულმასშტაბიანი განვითარება.

175. ვ. მეტრეველი, რომის სამართალი (საფუძვლები), თბილისი 2005, გვ. 58.

176. გ.ლობჟანიძე, რომის სახელმწიფო და სამართალი, II, ქუთაისი 2009, გვ. 25-26.

ა.შ... მაგრამ თვით რომის აყვავების ხანაშიც იურიდიული პირები მაინც და მაინც დიდ როლს არ ასრულებდნენ და ვერც შეასრულებდნენ. მხოლოდ კაპიტალისტურ ხანაში შეეძლოთ იურიდიულ პირებს დიდი როლის შესრულება ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

თეორიები. იურიდიული პირის შესახებ შექმნილმა თეორიებმა კიდევ უფრო გამოკვეთეს მისი როგორც სამართლის სუბიექტის სტატუსი, მისი სამართალსუბიექტურობა.

ფიიქციის თეორიამ (რომლის ფუძემდებლად ითვლება დიდი გერმანელი იურისტი სავინი[177] და რომელმაც თავისი მოძღვრება ცნობილ ნაშრომში „რომის სამართლის სისტემა" (ტომი II) ჩამოაყალიბა შეხედულება იურიდიული პიროვნულობის შესახებ, რომელიც უფლებაუნარიანობას ნიშნავს, მაგრამ რამდენადაც ასეთი უნარის მქონე მხოლოდ შეიძლება მხოლოდ ადამიანი იყოს, მაგრამ სამართალი გვაძლევს შესაძლებლობას, რომ აღნიშნული

177. სავინი ცნობილია, როგორც სამართლის ისტორიული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი პუხტასთან ერთად. სამართლის ისტორიული სკოლის ძირითადი დებულებების თანახმად, სამართლის შემოქმედი არსი არა სახელმწიფოებრივი თვითნებობა, არამედ „ხალხის სულია". დაწერილ სამართალს წინ უძღვის ჩვეულებითი სამართალი. იმდენად, რამდენადაც სამართალი ისეთივე „ორგანული" მოვლენაა, როგორც ენა ან ჩვეულება, სამართლის მეცნიერება შეიძლება იყოს მხოლოდ ისტორიული მეცნიერება. კოდიფიკაციის აუცილებელი პირობა, სამართლის მეცნიერების მიერ არსებული სამართლებრივი მასალის სრული დამუშავება და სისტემატიზაცია. სავინი მიიჩნევდა, რომ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო გასაკეთებელი და ამიტომ წინააღმდეგი იყო სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციისა. აღნიშნული შეხედულებები სავინიმ სწორედ კოდიფიკაციის წინააღმდეგ მიმართულ თხზულებაში „Vom Beruf unserer Zeit Fur Gesetzgebung und Rechtswissenschaft" ჩამოაყალიბა. აღნიშნული თხზულება იყო პასუხი ტიბოს ცნობილ თხზულებაზე, რომელშიც მან სამოქალაქო კოდექსის აუცილებლობა დაასაბუთა. http://ka.wikipedia.org/

უნარი განაერცოს კონკრეტულ საციალურ წარმონაქმნებზეც (სახელმწიფოზე, საამქროებზე, გილდიებზე, თემებზე) და მათ დაეხმაროს მათი საქმიანობის თავისუფალ განვითარებაში. სავინმა უფლებაუნარიანობის ტექნიკური გადატანის ფიქციის მეშვეობით უჩვენა, რომ სოციალური წარმონაქმნების უფლებაუნარიანობა მხოლოდ ქონებრივი სფეროთი შემოიფარგლებოდა, „რომ იურიდიული პირი „ქონებაუნარიანი", „ხელოვნური სუბიექტია". იგი ადამიანისაგან განსხვაებით არ არის ქმედუნარიანი, მას ჰყავს წარმომადგენელიც. იგი ასკვნის, რომ თუ იურიდიული პირი არაა ქმედუნარიანი, ის არც დელიქტუნარიანი იქნება. **ფლუმე**, რომელიც ილაშქრებდა სავინის ფიქციის თეორის წინააღმდეგ, ამბობდა, რომ „არასწორია რომ სავინის ფიქციად მიეჩნიოს ის წარმონაქმნები, რომლებიც სამართლის მიხედვით იურიდიულ პირებს წარმოადგენენ,„სავინის საერთოდ არ დაუსვამს კითხვა მათი რეალურობის შესახებ, რომლებიც იურიდიული პირის თვისებებს იღებენ". თუ რამდენად რეალურია იურიდიული პირები სავინისათვის, უწინარესად ყოელისა, იქედან გამომდინარეობს, რომ მისთვის სახელმწიფოც იურიდიული პირია... ამრიგად, სავინის მიხედვით, **ფიქცია არის ის**, რომ მხოლოდ ადამიანის უნარი, იყოს პიროვნება, გადააქვს სოციალურ წარმონაქმნებზე, რომლებიც თავისი ბუნებით არ არიან პიროვნებები და უფლებაუნარიანი არსებები, ე. ი. ხელოვნურად ექმნით მათ. მაშასადამე, **სავინის თანახმად, სოციალური წარმონაქმნები რეალურად არსებობენ (ისინი არ არის ფიქცია), მხოლოდ მათთვის პირად (პიროვნებად ყოფნის სტატუსის მინიჭებაა ფიქცია**[178]". იურიდიულმა ფიქციამ, როგორც გარკვეულმა საკანონმდებლო ტექნიკამ ადგილი დაიკავა სამოქალაქო კანონმდებლობაში. მას ხშირად მიმართავენ სამართლის სუბიექტები თავიანთი უფლებების განსამტკიცებლად. მაგ;

178. ლ. ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000, გვ. 212.

მოძრავი ნივთების შემთხვევაში ხელშეკრულების დადებისას (ვთქვათ სესხის ხელშეკრულების დადებისას) კანონი არ ითვალისწინებს წერილობით ფორმას. თუმცა სწორედ იურიდიული ფიქციის გამოყენებით იგი არც უკრძალავს პირებს ხელშეკრულების დადებას წერილობითი ფორმით და მის სავალდებულო რეესტრში გატარებას მოძრავი ნივთების შემთხვევაში (მაგ; ფულის სესხებისას). ამ შემთხვევაში „ფული, როგორც მოძრავი ნივთი სამართლებრივად „უძრავია", ხოლო ფიზიკურად, ის ცხადია მოძრავ ნივთად რჩება).

რეალური კავშირების თეორია (XIX საუკუნეში, მის მეორე ნახევარში წარმოიშვა, იდეოლოგი – გირკე). გირკე, ფიქციის თეორიისაგან განსხვავებით ამტკიცებს, რომ ადამიანების გაერთიანებები რეალურად არსებობენ და მიუთითებს ამ გაერთიანებათა დიდ სოციალურ მნიშვნელობაზე. გირკეს აზრით, კავშირები ნებისა და მოქმედების სუბიექტს წარმოადგენენ. ეს ნიშნავს, რომ კავშირები თვითონ განახორციელებენ თავიანთ საქმიანობას და არა წარმომადგენლის მეშვეობით, როგორც ეს იურიდიული პირის შესახებ რომანულ მოძღვრებას ესმოდა. **გირკე** ავითარებს აზრს იმის შესახებ, რომ „კავშირს სპეციალური, მისი არსებობისათვის შესაბამისი და ინდივიდებისაგან განსხვავებული წესრიგი სჭირდება. ამ წესრიგის აღსანიშნავად გირკე იყენებს **სოციალური სამართლის** ცნებას. სამართლებრივი აქტები, რომლებიც კავშირის ცხოვრებას განსაზღვრავენ, უნდა განვასხვაოთ კერძო სამართლის აქტებისაგან. კავშირის დაფუძნება არ არის ხელშეკრულება, არამედ ერთობლივი აქტი, მისი ორგანოების საქმიანობა კი არ არის წარმომადგენლობა; აშკარაა, რომ ეს უხილავი კავშირი პიროვნება განხორციელებელი და შერაცხადი, სურვილების მქონე და მოქმედი ერთეულია[179]".

მიზნობრივი ქონების თეორიის მამამთავარი ბრინცი,

179. ლ. ჭანტურია, დასახ. ნაშრ; გვ. 214.

იურიდიული პირის საკითხის განხილვისას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა არა პირთა გაერთიანებას, არამედ ქონებას, რომ იურიდიული პირისათვის გადამწყვეტი ქონებაა, რომელიც იურიდიულ პირს განსაზღვრული მიზნის მისაღწევად სჭირდება. პირის არსებობა ამ მიზნის განსახორციელებლად სულაც არ იყო საჭირო. მისი აზრით, შეიძლება არსებობდეს უფლებები სუბიექტის გარეშე-ამტკიცებდა იგი. სწორედ, ბრინცის სახელთანაა დაკავშირებული იურიდიული პირის შეფასება: **„იურიდიული პირი - საფრთხობელა ადამიანთა შორის“.**

მაინც რაში მდგომარეობდა ამ თეორიების დადებით და უარყოფითო მხარეები? ყველა მათგანი ჭეშმარიტებისაკენ მიილტვოდა: აეხსნათ იურიდიული პირის ბუნება. ყველა თეორიის იდეოლოგები ცდილობდნენ, რომ იურიდიული პირისათვის ადამიანის სახე მიეცათ, ადამიანისათვის დაემსგავსებინათ, რათა მას გაადვილებოდა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე ყოფილიყო. „თუ გავითვალისწინებთ იმ ეპოქას, რომელშიც ეს თეორიები იბადებოდა, სახელდობრ განმანათლებლობისა და ბუნებითი სამართლის გაუგონარი ზეგავლენის შედეგად ადამიანმა ახლახან მოიპოვა სრული უფლებაუნარიანობა; იგი დიდი ხანია, რაც სამართლის სუბიექტი გახდა და სამართლის სუბიექტად ყოფნის ეს უნარი დაბადებისთანავე წარმოეშობა. იმავდროულად წარმოიშობა მეორე გარემოებაც: ეკონომიური წინსვლის აუცილებლობა მოითხოვს სოციალურ ურთიერთობებში არა მხოლოდ ცალკეული ადამიანების, არამედ მათი გაერთიანებების მონაწილეობას.... ყველა თეორია ცდილობს იურიდიულ პირში დაინახოს ადამიანი, რომელიც ფიქრობს, აზროვნებს, მოქმედებს (გირკე), რომელსაც აქვს მიზნობრივი ქონება (ვინდშაიდი) და იძენს უფლებებსა და მოვალეობებს (სავინი).[180] “

„საერთო სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებში აღი-

180. ლ. ჭანტურია, დასახ. ნაშრ; გვ. 216.

არებულ პრინციპს წარმოადგენს **ე.წ. „ინკორპორაციის პრინციპი“**, რომელსაც დოქტრინაში **„დაფუძნების ანუ დაარსების თეორია“** ეწოდება. ამ თეორიის მიხედვით იურიდიული პირის „ეროვნულობა“ განისაზღვრება მისი დაარსების, რეგისტრაციის ქვეყნის მიხედვით. ინკორპორაციის პრინციპი მიუთითებს, რომ კომპანია მას შემდეგ, რაც ერთხელ დაარსებული იქნება მოცემულ ქვეყანაში, სხვა სახელმწიფოში აღიარებული უნდა იყოს უფლებაუნარიანად. ამ შემთხვევაში მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილს მნიშვნელობა არა აქვს. დიდი ბრიტანეთისა და აშშ კანონმდებლობებში იურიდიული პირის „ეროვნულობის“ განმსაზღვრელი კრიტერიუმი მისი დაარსების ადგილია, ანუ ის ქვეყანა, სადაც კომპანია დაარსდა, დაამტკიცა თავისი წესდება და რეგისტრაცია გაიარა. ინგლისელი ავტორები ამ კანონს **ინკორპორაციის კანონს უწოდებენ** და თელიან, რომ თუ იურიდიული პირი დაარსდა დიდ ბრიტანეთში და იქ დაამტკიცა თავისი წესდება, ის ითვლება ინგლისური სამართლის იურიდიულ პირად (ინკორკორაციის პრინციპი). პრობლემურია საკითხი იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რომელი ქვეყანა უნდა იქნეს მიჩნეული დაფუძნების ქვეყნად. ამ თეორიის მომხრე სახელმწიფოთა უმრავლესობის საკორპორაციო სამართალი ამგვარ ქვეყნად წესდებით განსაზღვრულ ადგილსამყოფელ ქვეყანას მიიჩნევს“[181].

კონტინენტური სამართლის ქვეყნები კი (გერმანია, ავსტრია და სხვ.) აღიარებს იურიდიული პირის ე.წ. **„ადგილსამყოფლის“ ანუ „ბინადრობის“ პრინციპს,** რომლის მიხედვითაც, იურიდიული პირის **„ეროვნულობის“** განსაზღვრის ძირითად კრიტერიუმად მისი ცენტრალური ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილს მიიჩნევს. „ასე მაგალითად, ავტოკონცერნი „BMB“ სამართლებრივი თვალსაზრისით მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება გერმანულად,

181. ზ. გაბისონია, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, 2012, გვ. 140-141.

თუ მისი ცენტრალური ადმინისტრაციული ორგანო გერმანიის ტერიტორიაზე იქნება განთავსებული (მიუხედავად იმისა, რომ მისი საფირმო სახელწოდების აბრევიატურაში პირდაპირაა მითითებული მისი გერმანული წარმოშობა. აღნიშნული თეორია გერმანულ სკს-ის დოქტრინაში **„ადგილსამყოფლის თეორიის“** (**Sitztheorie**“) სახელწოდებითაა ცნობილი“[182].

ექსპლოატაციის ცენტრის თეორიის მიხედვით, რომელიც ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში გავრცელდა, კომპანიის ეროვნულობის განსაზღვრის მთავარი კრიტერიუმი საწარმოს სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობის ფაქტობრივი განხორციელების ადგილია, ანუ ექსპლოატაციის ადგილი და სხვა.

იურიდიული პირების უფლებაუნარიანობა. ფიზიკური პირების უფლებაუნარიანობისაგან განსხვავებით, რომელიც ერთიანი ცნებით არსებობს თითქმის ყველა ქვეყანაში, იურიდიული პირების უფლებაუნარიანობის საკითხს სხვადასხვა ქვეყნის სამართალი განსხვავებულად წყვეტს. **გერმანული სამართლის წრის ქვეყნებში (გერმანია, შვეიცარია, ავსტრია), აღიარებენ იურიდიული პირის ზოგადი უფლებაუნარიანობის პრინციპს და ამით მას პრაქტიკულად ფიზიკური პირების უფლებაუნარიანობასთან აიგივებენ. ინგლისურ-ამერიკული სამართლის ქვეყნები, ასევე კონსტიტუციური სამართლის ზოგიერთი ქვეყანა, იურიდიული პირის უფლებაუნარიანობის ფარგლებს ზღუდავენ მხოლოდ წესდებით ან სხვა სადამფუძნებლო დოკუმენტებით განსაზღვრული მიზნებით. ამით ამ ქვეყნების სამოქალაქო სამართალი, საბჭოთა სამართლის მსგავსად, განამტკიცებს სპეციალური უფლებაუნარიანობის ინსტიტუტს.**

ზოგადი უფლებაუნარიანობის თანახმად, იურიდიული პირი შეიძლება იყოს ნებისმიერი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე და არაა აუცილებელი,

182. ზ. გაბისონია, დასახ. ნაშრ; გვ. 142.

რომ ეს ურთიერთობები წესდებაში ან სხვა სადამფუძნებლო დოკუმენტებში იყოს ჩამოყალიბებული.

იურიდიული პირი ნიშნავს უფლებაუნარიანობას კერძო სამართლის ფარგლებში, ასეთი უნარი კი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ადამიანს ფიზიკურ პირს, რადგან მხოლოდ ადამიანი შეიძლება იყოს პიროვნება, ფიზიკური პირი. მაგრამ სამართალს აქვს შესაძლებლობა ეს უნარი განავითაროს განსაზღვრულ სოციალურ წარმონაქმნებზე, როგორიცაა სახელმწიფო და, ეს ხდება იმისათვის, რო მათ გაუადვილოს თავისუფალი საქმიანობა და დაეხმაროს დასახული მიზნების მიღწევაში. ფიზიკური პირებისაგან განსხვავებით, იურიდიული პირების უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა ერთდროულად აღმოცენდება. ეს კი მაშინ ხდება, როცა იურიდიული პირი, როგორც სამართლის სუბიექტი, ოფიციალურად წარმოიშობა.

იურიდიული პირის ცნება. იურიდიული პირის ლეგალურ დეფინიციას იძლევა **სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლი,** რომელიც ემყარება როგორც სამოქალაქო სამართლის მეცნიერების მიღწევებს, აგრეთვე საერთაშორისოდ აღიარებულ იურიდიული პირის ნიშნებს. შეენიშნავთ, რომ ამ დეფინიციას არ შეიძლება ჰქონდეს სრულყოფილების პრეტენზია. მასში მხოლოდ იურიდიული პირის არსებით ნიშნებზეა საუბარი. „არსებობს მოსაზრება, რომ ყოველგვარი დეფინიცია სამოქალაქო სამართალში სახიფათოა, განსაზღვრების მოცემა ხშირად არამართებულია, რადგან რთულია იპოვო საჭირო გამოთქმა"[183]. „განსაზღვრებანი უფრო დოქტრინის საქმედ უნდა იქნეს მიჩნეული. სწორედ, დოქტრინა და იურიდიული პრაქტიკა უნდა იქცეს სამართლებრივ სიკეთეთა განსაზღვრების ამოსავალ საფუძვლად, რაც სამართლებრივი ქაოსის მიზეზი კი არ გახდება, არამედ სასამართლოებს გაუადვილებს სწორი გადაწ-

183. დაწვრ. იხ. Савелъев В. А. Гражданский кодекс Германии, М; 1994, 20.

ყველილების მიღებას. ხოლო კანონმდებელს სიფრთხილე მართებს განსაზღვრებათა მიმართ, ვინაიდან ის სახიფათოა, რადგან ის შეიძლება ვერ ასახავდეს საგნის რეალურ მდგომარეობას"[184]. ცხდია ეს მოსაზრება სსკ-ის 24-ე მუხლთან მიმართებაშიც მოიაზრება.

საერთაშორისო კერძო სამართალში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იურიდიული პირისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. მაგრამ აქვე შევნიშნავთ, რომ „თავად ტერმინი **„უცხო ქვეყნის იურიდიული პირი"** ხშირად სამართლებრივი თვალსაზრისით ბუნდოვანია, ვინაიდან არ არსებობს ერთიანი ნორმატიული დეფინიცია და ის კრიტერიუმები, რომლებიც ზუსტად განსაზღვრავდნენ უცხო ქვეყნის იურიდიული პირების სამართლებრივ სტატუსს"[185]. „ევროპული სკს-ის დოქტრინა ორ ძირითად კრიტერიუმს გამოჰყოფს, რომელთა გაზიარების შემთხვევაში შეიძლება პასუხი გაეცეს კითხვას, თუ რომელი ქვეყნის იურისდიქციას ექვემდებარება ესა თუ ის იურიდიული პირი. პირველ ამგვარ კრიტერიუმად მიიჩნევა **იურიდიულ პირთა პერსონალური სტატუსის (Gesellschaftststatut) განსაზღვრა**, ხოლო მას შემდეგ, რაც დადგინდება კომპანიის სტატუტი, უნდა მოხდეს ამ სტატუტის სხვა ქვეყნების მიერ ცნობა-აღიარება..... იურიდიული პირის „ეროვნულობა" სკს-ში პირობით ხასიათს ატარებს და მასში იგულისხმება პირის მიკუთვნება განსაზღვრული სახელმწიფოსადმი. ეს საკითხი იმდენად რთულია, რომ მის მიმართ ერთგვაროვანი დამოკიდებულება არ არსებობს"[186]. „დასავლეთის ბევრი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსები იურიდიული პირის ლეგალურ დეფინიციას არ იძლევიან. ეს უფრო იმით აიხსნება, რომ ამ ქვეყნების სამართალს არ აინტერესებს არა დეფინიცია, არამედ ამ

184. ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, 2005, გვ. 156.
185. ზ. გაბისონია, დასახ. ნაშრ; გვ. 138.
186. ზ. გაბისონია, დასახ. ნაშრ; გვ. 139.

სუბიექტების რეალური შინაარსი, უფრო ზუსტად, სამართლებრივ ურთიერთობებში მათი მონაწილეობის ფორმები და ხასიათი. ამიტომ, როგორც სწორად იყო ქართული სამართლის მეცნიერებაში აღნიშნული, იურიდიული პირის ნიშნები იმ სამართლის ნორმებიდან გამოჰყავთ, რომლებიც ამ ქვეყნების საკანონმდებლო აქტებშია და იურიდიული პირების სამართლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავენ"[187]. ქართველ მეცნიერთა მიერ არაერთხელ აღინიშნა, რომ კოდექსმა დეფინიციებისაგან თავი უნდა შეიკავოს. პროფ. ჯ. ხეცურიანის აზრით „კოდექსმა იურიდიული პირის განსაზღვრებას თავი უნდა დაანებოს"[188].

მაგრამ როგორც ვხედავთ სამოქალაქო კოდესში მოცემულია იურიდიული პირის დეფინიცია, ოღონდ კანონმდებელი ტოვებს ადგილს ამ განსაზღვრების გასავრცობად.

იურიდიული პირის ნიშნები. სკ 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ". თვით, ამ დეფინიციაში იურიდიული პირისა, მოცემულია იურიდიული პირისათვის დამახასიათებელი ნიშნები, რომელთა ერთობლიობა ქმნის თვით იურიდიულ პირს.

განსაზღვრული მიზნის მიღწევა იურიდიული პირის ერთ-ერთ კონსტიტუციურ ნიშნადაა აღიარებული. იურიდიული პირის დაფუძნებისას დამფუძნებელი ყოველთვის რაღაცის მიღწევას ისახავს მიზნად და ამისათვის საჭიროებს

187. იხ. კონსპექტი – იურიდიული პირის ცნება და სახეები; საიტი http://mimomxilveli.wordpress.com/2012/09/09

188. ჯ. ხეცურიანი, იურიდიული პირის ინსტიტუტის საკანონმდებლო რეგულირების სრულყოფის ამოცანები საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ჟურნალი „სამართალი", № 1-2, გვ. 52-53.

იმ ნორმატიულ-სამართლებრივ კონსტრუქციას, რომელსაც იურიდიული პირი ეწოდება. ამ მიზნის განსაზღვრისას ერთმანეთისაგან განსხვავდება **სამართლებრივად მნიშვნელოვანი მიზანი და იურიდიული პირის მონაწილეთათვის** მნიშვნელოვანი მიზანი. **სამართლებრივად მნიშვნელოვნად** უნდა ჩაითვალოს იურიდიული პირის შექმნა **კომერციული (მოგების მიღება)** თუ **არაკომერციული (იდეალური)** მიზნებისათვის. ამგვარი დაყოფა სამართლებრივად მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ კანონმდებლობა განსაზღვრულ შეზღუდვებს აწესებს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის არჩევისას. იურიდიული პირების დაყოფას კომერციულ (მოგებაზე დაფუძნებული) და არაკომერციულ (იდეალური მიზანი) იურიდიულ პირებად სამართლებრივად რელევანტურია, რამეთუ კანონმდებლობა გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს სამართლებრივი ფორმების არჩევისას (მაგალითად არაკომერციული იურიდიული პირები მხოლოდ იდეალური მიზნისათვის, ანუ არაკომერციული მიზნებისათვის იქმნება).

ორგანიზებული წარმონაქმნობის მიზნის ხასიათიდან უნდა ირკვეოდეს, რომ ის არის ერთჯერადი, ერთი მოქმედების მეშვეობით მისაღწევი მოვლენა. იგი უნდა მოითხოვდეს ორგანიზებული წარმონაქმნის არსებობას ხანგრძლივი ვადით. კანონი სრულიად ბუნებრივად და მართებულად არ განსაზღვრავს ამ ვადის ხანგრძლივობას, რადგან ვადის ხანგრძლივობა გამოიყენება არა კონკრეტული კალენდარული ვადის აღსანიშნავად, არამედ იმ განზრახვის გამოსახატავად, რომელიც საფუძვლად უდევს იურიდიული პირის შექმნას და მის საქმიანობას.

იურიდიული პირის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანია ასევე ის, რომ მას უნდა ჰქონდეს თავისი **დამოუკიდებელი ქონება.** ეს ქონება განცალკევებული უნდა იყოს წევრთა პირადი ქონებისაგან. ეს იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ზოგიერთი თეორია ამას გადამწყვეტადაც კი მიიჩნევს. იუ-

რიდიული პირის ქონება არც დამფუძნებლების, ან მასში მონაწილე პირების საერთო საკუთრება არ არის, მათი საკუთრება მხოლოდ ამ იურიდიული პირის წილები ან აქციებია. მაშინაც კი როცა საქმე საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან გვაქვს, რომლის ერთადერთი დამფუძნებელი სახელმწიფოა, ქონების მესაკუთრედ მაინც იურიდიული პირი გამოდის. დამოუკიდებელი ქონების არსებობა უკავშირდება იურიდიული პირის დამოუკიდებელი ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხს. ზოგადი პრინციპის თანახმად, იურიდიული პირი კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით.

თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობა იურიდიული პირის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნიშნად როგორც ავღნიშნეთ, მისი დამოუკიდებელი ქონების არსებობას აღიარებს. მაგრამ არც იურიდიული პირის მონაწილეების (პარტნიორების) პასუხისმგებლობას გამორიცხავს. მაგალითად; საფრანგეთის სამოქალაქო სამართლით ღია საჯარო საზოგადოება, იურიდიული პირია, მაგრამ მისი პარტნიორები კრედიტორების წინაშე პირდაპირ და შეუზღუდავად აგებენ პასუხს. ანალოგიურ წესებს ითვალისწინებს **საქართველოს 1994 წლის კანონი „მეწარმეთა შესახებ“**. იმ ქვეყნებში კი, სადაც კანონმდებლობა პირდაპირ განსაზღვრავს, რომ იურიდიული პირის პასუხისმგებლობა მხოლოდ მისი ქონებით შემოიფარგლება, სასამართლო პრაქტიკამ გამონაკლისები მაინც დაამკვიდრა. სახელმწიფო საწარმოების შემთხვევაში კი, რომლებიც იურიდიულ პირებს წარმოადგენენ, მათი პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე არ შემოიფარგლება მხოლოდ მათი ქონებით, დამატებით სახელმწიფოც აგებს პასუხს საწარმოს კრედიტორების წინაშე.

სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის გამარტივებისათვის იურიდიულ პირს აქვს საკუთარი სახელი (მაგ; სს „რუსთავცემენტი“, შპს „განთიადი“ და სხვა) და, სწორედ ეს ნიშანი აღჭურავს მას უფლებამ-

ოსილებით შეიძინოს უფლებები და მოვალეობები, იკისროს (შეასრულოს) მოვალეობები, დადოს გარიგებები, ან კიდევ სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ, ე. ი. იყოს ყველა იმ ურთიერთობის მონაწილე, რომელსაც მას სამოქალაქო სამართალი განუსაზღვრავს. იურიდიული პირისათვის სამოქალაქო სახელის არსებობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, რამეთუ ამ სახელის მეშვეობით ხდება მისი ინდივიდუალიზება და იდენტიფიკაცია. სამოქალაქო სამართალი, როგორც კონტინენტური სამართლის ქვეყნების სამოქალაქო სამართალი, კერძო სამართლის იურიდიული პირების წარმოშობას რეგისტრაციის ფაქტს უკავშირებს[189] და მას კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს.

იურიდიული პირების დაყოფას სახეებად არა მხოლოდ თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. მას მრავალი, ხშირად ერთმანეთისაგან განსხვავებული სამართლებრივი შედეგები უკავშირდება. ეს შედეგი არა მხოლოდ სამოქალაქო-სამართლებრივია, არამედ არც თუ იშვიათად, საჯარო-სამართლებრივი, საგადასახადო-სამართლებრივი და ა.შ. კლასიფიკაციას ასევე მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ ადამიანებს ან იურიდიულ პირებს მიეცეთ არჩევანის შესაძლებლობა, კერძოდ გადაწყვიტონ, თუ ორგანიზაციის რომელი ფორმაა მათთვის ყველაზე ხელსაყრელი და ხელმისაწვდომი, მოხერხებული და გამართლებული, უსაფრთხო და გარანტირებული[190]".

იურიდიული პირები შეიძლება იყოს კორპორაციულად ორგანიზებული, წევრობაზე დაფუძნებული, წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან მისგან დამოუკიდებელი და მისდევდეს ან არ მისდევდეს მეწარმეობას"(სსკ მ. 24, ნ.2).

---

189. იურიდიული პირების რეგისტრაციის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

190. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 102-103.

იურიდიული პირები შეიძლება ჩამოყალიბდნენ ფარგლული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით: კორპორაციულად ორგანიზებული, ანუ გაერთიანებების საფუძველზე (მაგ; არასამეწარმეო იურიდიული და სამეწარმეო იურიდიული პირები). ასევე ამ იურიდიულ პირებს შეიძლება ჰყავდეთ წევრები (მაგ; სპორტსაზოგადოება „ფეხბურთის კლუბი"), ან შეიძლება იურიდიულ პირებს არ ჰყავდეთ წევრები (ასეთის მაგალითად ფონდები ავიღოთ, მაგალითად, ფონდი „იავნანა"). თვითონ წევრობაზე დამოკიდებული იურიდიული პირები შეიძლება დაიყოს წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებულად და წევრთა მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად (პირველ შემთხვევაში იურიდიული პირისაგან წევრის გასვლა, ამ იურიდიული პირის დაშლას იწვევს, მითუმეტეს რომ თუ ეს საკითხი ამ იურიდიული პირის სადამფუძნებლო დოკუმენტებითაა დარეგულირებული, ხოლო თუ იურიდიული პირისაგან წევრის გასვლა მის დაშლას არ იწვევს, ასეთ შემთხვევაში სახეზე გვექნება იურიდიული პირი, რომელიც წევრთა მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია).

სამართალი იცნობს **კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს.**

კერძო სამართლის იურიდიული პირების მიმართ **„numerus klausa"**-ს პრინციპი გამოიყენება, რაც იმაზე მიუთითებს რომ კერძო სამართლის იურიდიული პირების სამართლებრივი წრე კანონით ამომწურავადაა ჩამოთვლილი. ეს იმას ნიშნავს, რომ პირებს შეუძლიათ დააფუძნონ მხოლოდ ის იურიდიული პირები, რომლებიც კანონითაა რეგლამენტირებული. **რამ განაპირობა კანონის ასეთი მოთხოვნა?** კერძო სამართალი, ბუნებრივია კერძო პირთა სამართალია, პირების ქონებრივი არეალი კი, შეუზღუდავი, ზღვარდაუდებელია. მათ რომ კანონმდებლობით თავისუფლად განესაზღვრათ იურიდიული პირების სახელწოდებები, ეს ქაოსის მეტს არაფერს შემოიტანდა სამოქალაქო

კანონმდებლობაში და საერთოდ სამოქალაქო ბრუნვაში. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ, კერძო სამართლის სუბიექტებს შეზღუდული აქვთ აირჩიონ იურიდიული პირების ფორმებს შორის მათთვის მისაღები მობილური ფორმა კონკრეტული საქმიანობის განსახორციელებლად. **ჯერ ერთი,** რომ კერძო სამართლის სუბიექტები უფლებამოსილნი არიან დააფუძნონ როგორც არასამეწარმეო (იდეალური მიზნის მქონე[191], **ასევე** სამეწარმეო კორპორაციული (მოგების მიღებაზე ორიენტირებული) იურიდიული პირები, რომლებიც შეიძლება იყოს საჯაროც და კერძოც. განსხვავება მათ შორის საქმიანობის მიზანსა და შედეგშია.

არასამეწარმეო იურიდიული პირების სახელწოდების შესახებ საუბარია **სსკ 27-ე მუხლში,** ხოლო კომერციულო იურიდიული პირების დეფინიციას გვაწვდის **„მეწარმეთა შესახებ კანონის" მ. 2, პ. 1,** სადაც აღნიშნულია, რომ „მეწარმე სუბიექტები არიან: ინდივიდუალური მეწარმე, სამეწარმეო ამხანაგობა, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია) და კოოპერატივი.

კომერციული იურიდიული პირები და ინდივიდუალური მეწარმე, როგორც კანონით **„მეწარმეთა შესახებ"** გათვალისწინებულ უფლება მოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშობა მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. თუ რეგისტრაციამდე მეწარმე სუბიექტის სახელით რაიმე მოქმედება განხორციელდა, ამ მოქმედების შემსრულებლები და საწარმოს დამფუძნებლები პასუხს აგებენ პერსონალურად, როგორც სოლიდარული მოვალეები, მთელი თავისი ქონებით პირდაპირ და უშუალოდ ამ მოქმედებიდან წარმოშობილი ყველა ვალდებულებისათვის.

191. იდეალური მიზნის მქონედ იურიდიული პირები მოიაზრებიან იმდენად, რამდენადაც მათი საქმიანობა საქველმოქმედოა, არა მოგების პრინციპებზეა აგებული. მაგ, ფონდი „იავნანა".

;ეს პასუხისმგებლობა ძალაში რჩება მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციის შემდეგაც. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი წარმოადგენენ იურიდიული პირის სტატუსის მქონე საწარმოებს (კომპანიებს). ამ კანონით განსაზღვრული ინდივიდუალური მეწარმე არ არის იურიდიული პირი. ინდივიდუალური მეწარმე საქმიან ურთიერთობებში თავის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს, როგორც ფიზიკური პირი **(კანონი „მეწარმეთა შესახებ, მ. 2. პ2. პ3.).**

საჯარო სამართლის იურიდიული პირების სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება **საქართველოს კანონით „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ".** თუმცა სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში ისევე მონაწილეობენ, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. საჯარო სამართლის იურიდიულ პირს დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად აქვს **სპეციალური უფლებაუნარიანობა.** იგი საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში იყოს მოსარჩელე და მოპასუხე. **საქართველოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ", მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად:** საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონი საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფო კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე ავტონომიური რეს-

პუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფო კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას. ქ.თბილისში ქალაქ თბილისის საკრებულოს ნორმატიული აქტით შეიძლება შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით" განსაზღვრული წესით". აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კი: „დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად საჯარო სამართლის იურიდიულ პირს აქვს სპეციალური უფლებაუნარიანობა. იგი საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ". „საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება შეიქმნას: კანონით; საქართველოს მთავრობის დადგენილებით; სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში; ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით, ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადასაწყვეტად; ქ. თბილისის საკრებულოს ნორმატიული აქტით, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციისათვის მიკუთვნებული საკითხების გადასაწყვეტად. საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება ერთობლივად დააფუძნოს რამდენიმე სახელმწიფო მმართველობის ორგანომ (კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ", მ5, „უფლებაუნარიანობის შეძენა").

BGB-ს ქვეტიტული III „საჯარო სამართლის იურიდი-

ული პირები“ §.89[192] („პასუხისმგებლობა ორგანოების მოქმედებებისათვის; გაკოტრების საქმის წარმოება“), აღნიშნულია: (1) ნორმა შესაბამისად გამოიყენება ხაზინის მიმართ, ისევე როგორც საჯარო სამართლის კორპორაციების, ფონდებისა და დაწესებულებების მიმართ“, ხოლო (2)-ს თანახმად, კი: ანალოგიური წესი დადგენილია § 42 მე-2 ნაწილის ნორმის მიმართ იმ ფარგლებში, რომლებშიც იგი გაკოტრების საქმის წარმოება დაშვებულია საჯარო სამართლის კორპორაციების, ფონდებისა და დაწესებულებების მიმართ[193]. ასეთი დასათაურებით მუხლს ჩვენ ქართულ სამოქალაქო კოდექსში ვერ ვხვდებით.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ისეთი საჯარო მიზნებისა და ფუნქციების შესასრულებლად, რომელთა განხორციელება უშუალოდ არ შედის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების კომპეტენციაში, ხოლო თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე, შესაბამისი სახელმწიფო მმართველობის ორგანო ვალდებულია დააყენოს ამ პირის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის საკითხი.

საჯარო სამართლის უმთავრესი იურიდიული პირი **სახელმწიფოა.** სახელმწიფო მეტად აბსტრაქტული ცნებაა.

192. იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი BGB), 2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით, §. 89; Гражданское уложение Германии, 2-е издание, Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands, 2. Auflage. Wolters Kluwer. стр. 16-17; Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 60-62.

193.იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი BGB), 2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით, §. 42; Гражданское уложение Германии, 2-е издание, Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands, 2. Auflage. Wolters Kluwer. стр. 5; Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 41-42.

საინტერესოა მაინც კონკრეტულად რომელი ორგანოები გამოდიან მისი სახელით სხვა პირებთან ურთიერთობაში? ამ კითხვაზე პასუხს გაგვცემს **სსკ 24-ე მუხლის 6.4,** სადაც აღნიშნულია, რომ „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული სამოქალაქო ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებებს ამ დროს ახორციელებენ მისი ორგანოები (უწყებები, დაწესებულებები და ა. შ.), ისე, რომ ისინი არ არიან იურიდიული პირები. მაგალითად, სახელმწიფო განათლების პოლიტიკას ახორციელებს განათლების სამინისტრო და მისდამი დაქვემდებარებული სტრუქტურების მეშვეობით. ამ შემთხვევაში განათლების სამინისტრო სახელმწიფოს წარმოადგენს (იგი არ არის იურიდიული პირი).

სახელმწიფო შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს იურიდიული პირების სახით, რომლებიც სანებართვო, საგანკარგულებო წესით ფუძნდებიან (მაგ; ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობაში შემავალი შემოსავლების სამსახური, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიული პირია). საჯარო სამართლის იურიდიული პირების ჩამონათვალი შეზღუდული არ არის, განხხვავებით კერძო სამართლის იურიდიული პირებისაგან, რადგან სახელმწიფო უფლებამოსილია შექმნას იმდენი იურიდიული პირი, რამდენიც კი მისი პოლიტიკის განხორციელებისათვის იქნება საჭირო.

საჯარო სამართლის იურიდიული პირებს აგრეთვე მიეკუთვნებიან ე.წ. **საჯარო-სამართლებრივი კორპორაციები** (მათ თვითმმართველობითი ორგანოები-მუნიციპალიტეტები განეკუთვნება). სახელმწიფოს დარად ისინი იურიდიული პირია და მისი ორგანოები განყოფილებების, სხვადასხვა სამსახურების ფორმითაა წარმოდგენილი და სხვა. საჯარო-სამართლებრივ კორპორაციას ასევე მიეკუთვნება ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც სახელმწიფოს

ხელი გამოყოფილი სახსრების ხარჯზე ფუნქციონირებენ, ზოგადად საზოგადოებრივი ტელეეთერია, ასევე საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს მიეკუთვნებიან სპეციალური კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი ორგანიზაციები, რომლებიც სახელმწიფოს ფუნქციებს და მის პოლიტიკას ახორციელებენ შესაბამის სფეროებში, მაგალითად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი **საქართველოს ეროვნული ბანკი. საქართველოს ორგანული კანონის ეროვნული ბანკის შესახებ, 1-ლი მუხლში** ჩაწერილია, რომ **„ეროვნული ბანკი საჯარო სამართლის იურიდიული პირია“.**

საჯარო სამართლის იურიდიული პირების ჩამონათვალი ძალზედ ფართოა და მას განეკუთვნება სახელმწიფო ბიბლიოთეკები (ეროვნული, საჯარო ბიბლიოთეკა), სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, კვალიფიკაციის ამაღლების კურსები და სხვ. დასაველეთის კანონმდებობისათვის ცნობილია ე.წ. საჯარო-სამართლებრივი ფონდები, რომელიც განსაზღვრული მიზნისათვის გათვალისწინებულ ქონებას ფლობს, ქართულში ასეთ ფონდად შეიძლება დასახელებულიყო პრეზიდენტის ფონდი.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონში **(მ.2)** აღნიშნულია, რომ „ქალაქ თბილისში ქალაქ თბილისის საკრებულოს ნორმატიული აქტით შეიძლება შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი განსაზღვრული წესით“. ეს განპირობებულია **ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილით**, რომლის თანახმად: „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის (შემდგომ თბილისი), როგორც საქართველოს დედაქალაქის სტატუსი გულისხმობს თბილისის როგორც განსაკუთრებულ სამართლებრივ მდგომარეობას, რომელიც სახელმწიფო და ადგილობრივი ინტერესების დასაცავად უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობით თბილისის მართვას“. ქ.

თბილისის განსაკუთრებული სტატუსით, კერძოდ, აღნიშნული **კანონით** მისი ასეთი განსაკუთრებული მნიშვნელობა გამოკვეთილია იმითაც, რომ იგი არის საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, აღმასრულებელი ხელისუფლების, სხვა ორგანოების, საქართველოს უზენაესი სასამართლოს, საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს ეროვნული ბანკის, უცხო ქვეყნის დიპლომატიური და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობების ადგილსამყოფელი.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს აგრეთვე წარმოადგენენ **პოლიტიკური პარტიები,** მიუხედავად იმისა, რომ იგი საზოგადოებრივი გაერთიანებაა, მისი მიზნიდან გამომდინარე და რომ ისინი მონაწილეობენ სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის ორგანოების მუშაობაში – განაპირობებს მათი საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ყოფნას.

აქვე არ შეიძლება არ შევეხოთ სამოქალაქო კოდექსის გარდამავალი და დასკვნითი დებულებების **1509-ე მუხლს, კერძოდ მის 1-ლ ნაწილს,** სადაც აღნიშნულია, რომ „სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად იწოდებიან:

ა) სახელმწიფო;

ბ) თვითმმართველი ერთეული;

გ) სახელმწიფოს მიერ კანონმდებლობის ან ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე შექმნილი იურიდიული პირები,რომლებიც არ არიან ჩამოყალიბებული სამოქალაქო კოდექსის ან მეწარმეთა შესახებ კანონით განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით;

დ) სახელმწიფო დაწესებულებები და სახელმწიფო ფონდები,რომლებიც არ არის შექმნილი სამოქალაქო კოდექსის ან მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად;

ე) საჯარო მიზნების მისაღწევად კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი არასახელმწიფოებრივი ორგანიზა-

ციები (პოლიტიკური პარტიები და სხვა);

ე) საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით აღიარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი" საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია;

ზ) ამ კოდექსის **1509[1] მუხლით** გათვალისწინებული რელიგიური გაერთიანებები".

სამოქალაქო კოდექსის 1509[1] მუხლი კი ავითარებს აზრს იმის შესახებ, რომ: რელიგიური გაერთიანებები შეიძლება დარეგისტრირდნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად, ხოლო **ამავე მუხლის მე-2 ნაწილი** ალტერნატიულად განსაზღვრავს, რომ აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი როდი ზღუდავს რელიგიური გაერთიანებების უფლებას, დარეგისტრირდნენ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებად, აგრეთვე ეწეოდნენ საქმიანობას, როგორც სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული არარეგისტრირებული კავშირი.

საინტერესოა საგადასახადო კანონმდებლობის მოსაზრება რელიგიურ საქმიანობასთან დაკავშირებით. საქართველოს **2011 წლის საგადასახადო კოდექსის მე-11 მუხლის** თანახმად, "რელიგიურ საქმიანობად ითვლება დადგენილი წესით რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციის (გაერთიანების) საქმიანობა, რომლის მიზანია აღმსარებლობისა და სარწმუნოების გავრცელება... **(61) ამავე მუხლის მე-2 ნაწილის** თანახმა კი, „რელიგიურ საქმიანობას უთანაბრდება იმ რელიგიური ორგანიზაციების (გაერთიანებების) საწარმოთა საქმიანობა, რომლებიც გამოსცემენ რელიგიურ (საღვთისმსახურო) ლიტერატურას ან აწარმოებენ რელიგიური დანიშნულების საგნებს; ამ ორგანიზაციების (გაერთიანებების) ან მათი საწარმოების საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია რელიგიური (საღვთისმსახურო) ლიტერატურის ან რელიგიური დანიშ-

ნულების საგნების რეალიზაციასთან (გაერცელებასთან); აგრეთვე ასეთი საქმიანობით მიღებული ფულადი სახსრების გამოყენება რელიგიური საქმიანობის განსახირციელებლად" **(საგადასახადო კოდექსი, მ. 11, ნ. 2)**[194].

რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციას კი ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი" საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო" უფლებამოსილია საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაარეგისტრიროს საქართველოსთან ისტორიული კავშირის მქონე რელიგიური მიმდინარეობა ან რელიგიური მიმდინარეობა, რომელიც ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში კანონმდებლობით მიჩნეულია რელიგიად.

ამავე **მუხლის მე-5 ნაწილის** თანახმად, „საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრირებულ რელიგიურ გაერთიანებაზე არ ვრცელდება **„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 ნაწილით** გათვალისწინებულ შემთხვევაში კი, მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის მიმართ მოქმედებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციისათვის დადგენილი წესი და მათი უფლებამოსილება განისაზღვრება სამოქალაქო კოდექსის პირველი კარის მეორე თავით"[195].

იურიდიული პირების უფლებაუნარიანობის შესახებ.

194. მიგვაჩნია, რომ რელიგიური კონფესიები უნდა ჩამოყალიბდნენ და ფუნქციონირებდნენ როგორც საზოგადოებრივი გაერთიანებები, რომლებიც დაფუძნებული იქნებოდა საზოგადოების წევრების რწმენის თავისუფალ არჩევანზე და არა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად.

195. საუბარია II თავზე, კერძოდ, იურიდიულ პირებზე.

იურიდიული პირის უფლებაუნარიანობის საკითხში საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კონტინენტური ევროპის საშართლებრივ გზას იზიარებს და განამტკიცებს **ზოგადი უფლებაუნარიანობის ცნებას.** „იურიდიული პირის ზოგადი უფლებაუნარიანობა მისი მოქმედების თავისუფლების აღიარებაა, რაც მას უფლებას ანიჭებს, განახორციელოს წესებისმიერი მოქმედება („საქმიანობა"), რომელიც არ არის დაკავშირებული ადამიანის თვისებებთან ან აკრძალული კანონმდებლობით".[196] **სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის** თანახმად, „კერძო სამართლის იურიდიულ პირს (სამეწარმეოს თუ არასამეწარმეოს) უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული". კერძო სამართლის თავისუფლება ასევე მოცემულია კოდექსის **მე-10 მუხლის მე-2 ნაწილში,** სადაც აღნიშნულია, რომ „სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება". მიუხედავად კოდექსის ამგვარი დეფინიციებისა, ერთმანეთთან არ უნდა გავაიგივოთ ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებაუნარიანობა. ცხადია მათ შორის რეალურად არის განსხვავება, რასაც თვით იურიდიული პირის სამართლებრივი ბუნებაც განაპირობებს. **კონსტიტუციის 45-ე მუხლით** კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი მათი შინაარსის გათვალისწინებით ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზეც. ფიზიკურ პირთან შედარებით, იურიდიული პირი შეზღუდულია უფლებებში მისი ბუნებიდან გამომდინარე. ზოგადი უფლებაუნარიანობის მიუხედავად, იურიდიულ პირში ჩანს **სპეციალური უფლებაუნარიანობის** ნიშნებიც. ამდენად, საჭვო იქნებოდა იურიდიულ პირთან მიმართებით საერთო და სპეციალური

196. დ. კერესელიძე, დასახ. ნაშრ; გვ. 173.

უფლებაუნარიანობის ჩინური კედლით გამოყოფა“[197]. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მაგალითის მოყვანა იმის შესახებ რომ კერძო სამართლის იურიდიული პირების არსებობის განმსაზღვრელი ხან **„საერთო მიზანია“**, ხან კიდევ **„საერთო საზოგადოებრივ-სასარგებლო მიზანი“**, რომლის შეცვლამ იურიდიული პირის არსებობის მიზანშეწონილობის საკითხიც კი შეიძლება დააყენოს დღის წესრიგში.

როგორც აღვნიშნეთ, სამოქალაქო კოდექსი იურიდიული პირების ორ კატეგორიას იცნობს: **კერძოს და საჯაროს.** თავისთავად ამან გამოიწვია აზრი **იურიდიული პირის უფლებაუნარიანობის დუალისტური ბუნების შესახებ.** ზოგადი უფლებაუნარიანობის დეფინიციით, იურიდიული პირი ნებისმიერი სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე შეიძლება იყოს **(სამოქალაქო კოდექსი, მ.25, ნ.2, მ.10. ნ.2.).** კონკრეტული საქმიანობის განმახორციელებელ იურიდიულ პირს, თუ ეს კანონს არ ეწინააღმდეგება, შეიძლება შეეცვალოს საქმიანობის პროფილი. **ზოგადი უფლებაუნარიანობა** ნიშნავს, რომ იურიდიული პირები არიან მესაკუთრეები ნივთებისა, უფლებებისა და მოთხოვნებისა, მფლობელები, ხელშეკრულების მხარეები, მემკვიდრეები, საქმიანი პარტნიორები და სხვა. ისინი სამოქალაქო ბრუნვის თავისუფალი მონაწილეები არიან. იურიდიული პირების სამართალსუბიექტურობა განსხვავებულადაა მოწესრიგებული ფიზიკური პირების უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობისაგან. თუ ფიზიკური პირების შემთხვევაში უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა ცალ-ცალკე წარმოიშობა, კერძოდ ფიზიკური პირების უფლებაუნარიანობა იწყება დაბადებით და წყდება გარდაცვალებით **(სსკ მ.11),** ხოლო ქმედუნარიანობა **ასაკთან** და **ჯანმრთელობასთან** არის დაკავშირებული **(სსკ მ.12),** იურიდიული პირების შემთხვევაში იურიდიული პირე-

197. ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ; 2005, გვ. 216.

ბის სამართალსუბიექტურობა ერთდროულად წარმოიშობა, კერძოდ მისი რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება რეგისტრაციის გაუქმებით.

კერძო სამართლის იურიდიული პირებისაგან განსხვავებით, რომლისთვისაც **ზოგადი უფლებაუნარიანობაა** დამახასიათებელი, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის უფლებაუნარიანობა ყოველთვის **სპეციალურია.** მიუთითებს კიდეც **სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილი:** „საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია განახორციელოს კანონით ან მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი საქმიანობა". „ზოგიერთი საქმიანობა, რომელთა ჩამონათვალსაც განსაზღვრავს კანონი, იურიდიულ პირს შეუძლია განახორციელოს მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე. აღნიშნული საქმიანობის განხორციელების უფლება იურიდიულ პირს წარმოეშობა ლიცენზიის/ნებართვის მიღების მომენტიდან[198] (მაგალითად, იურიდიულ პირს საწყობის (როგორც ერთ-ერთი სასაქონლო ოპერაციის (საბაჟო რეჟიმის) შექმნა შეუძლია მხოლოდ შემოსავლების სამსახურის ნებართვის მიღების შემდეგ)[199]. როგორც აღნიშნული მუხლიდან ირკვევა, იურიდიულ პირს ზოგიერთი საქმიანობის განხორციელება მხოლოდ საჯარო ნებართვის მიღების შემდეგ შეუძლია. ეს საჯარო-სამართლებრივ აკრძალვას წარმოადგენს, და თუ იურიდიული პირი ამ მოთხოვნას დაარღვევს, მას შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება. მაგრამ აქვე შეიძლება დაისვას იმ მესამე პირების „სამართლებრივი ბედის" საკითხი, რომლებიც ლიცენზიის გარეშე ფუნქციონირებდნენ, მაგრამ მესამე პირებთან დებდნენ გარკვეული სახის ხელშეკრულებებს (მაგალითად, ავტოტექმომსახურების სახელოსნო, რომელიც

198. იხ. საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ".

199. იხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მ. 231; ი. ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2014.

ფუნქციონირებდა ნებართვის, შესაბამისი რეგისტრაციის გარეშე, მომსახურებას უწევდა ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლებს. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. ცხადია, ეს როდი ათავისუფლებთ მათ პასუხისმგებლობისაგან.

აქვთ თუ არა არასამეწარმეო იურიდიულ პირებს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობის უფლება? საერთოდ, არასამეწარმეო იურიდიულ პირებს კანონი უკრძალავს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უფლებას, როგორც იდეალური მიზნის მქონე პირებს, მაგრამ მათი საქმიანობის უკეთ განხორციელების მიზნით, **სსკ 25-ე მუხლის მე-5** ნაწილი მათ უფლებამოსილებით აღჭურავს ეწეოდნენ დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდანაც მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზაციას. აქ მხოლოდ ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

ისევე, როგორც ფიზიკურ პირს შეიძლება ჰქონდეს ე. წ. „საცხოვრებელი ადგილი", **იურიდიული პირის „საცხოვრებელი", ადგილსამყოფელი მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილია.** იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი), ხოლო იურიდიული პირის სხვა ადგილსამყოფლად მისი ფილიალის ადგილსამყოფელი ჩაითვლება.

აქვე ავღნიშნავდით, რომ **BGB**-ს მიხედვით (იურიდიულ პირებს არეგულირებს **§ 21-89)**[200], განსხვავებით ქართული სამოქალაქო კოდექსისაგან, გამოყოფილია რეგისტრირებული კავშირების **(§55-79)** და ფონდების **(§80-88)** სამართლებრივი რეგლამენტაცია. ადრე, სამოქალაქო კოდექსის პირველ ვარიანტში არასამეწარმეო იურიდიული პირები

200. დამატ. იხ. Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 24-62.

მოცემული იყო მსგავსად **BGB-სი,** კავშირებისა ფონდების სახით, მაგრამ დროთა განმავლობაში არასამეწარმეო იურიდიული პირების მრავალფეროვნებამ გამოიწვია ქართულ სამოქალაქო კოდექსში ცვლილებები და სსკ-ის I კარის III თავი „იურიდიული პირები", რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: **„ზოგადი დებულებანი" (მ.24-26) და „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები" (მ. 27-38)**[201], სწორედ ამ უკანასკნელში განიცდებულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგლამენტაცია და არა კავშირებისა და ფონდების სამართლებრივი რეგულირება, როგორც ეს, როგორც აღნიშნეთ, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებისას არსებობდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში. აქვე შევნიშნავდით, რომ გერმანული სამოქალაქო კოდექსი **§ 89-ში** საუბრობს „საჯარო სამართლის პირებზე", კერძოდ „პასუხისმგებლობაზე ორგანოების მოქმედებებისათვის; გაკოტრების საქმის წარმოებაზე" და აღნიშნავს, რომ: **§ 31** (საუბარია „კავშირის პასუხისმგებლობაზე მისი ორგანოებისათვის") ნორმა შესაბამისად გამოიყენება ხაზინის მიმართ, ისევე როგორც საჯარო სამართლის კორპორაციების, ფონდებისა და დაწესებულებების მიმართ. (2) ანალოგიური წესია დადგენილი **§ 42 მე-2 ნაწილის** (საუბარია იმ შემთხვევაზე, როცა „გადახდისუუნარობის ან ზედავალიანების შემთხვევაში გამგეობამ უნდა განაცხადოს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ. თუ ადგილი ექნება განცხადების წარდგენის დაგვიანებას, ბრალეულად მოქმედი გამგეობის წევრები ვალდებულნი არიან, აუნაზღაურონ კრედიტორებს ამის შედეგად მიყენებული ზიანი; ისინი პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები") ნორმის მიმართ იმ ფარგლებში, რომლებშიც გაკოტრების საქმის წარმოება დაშვებულია საჯარო სამართლის კორპორაციების, ფონდებისა და დაწესებულებების მიმართ". მსგავსი ნორმა ქართულ სამოქალაქო სამართალში არ მოგვეპოვება. იგი გვხვდება კანონში მეწარმეთა შესახებ (მ.9.7).

201. სსკ-ის მ. 30, 33[1], 34, ამოღებულია

§ 2. არასამეწარმეო იურიდიული პირები სახელწოდება. რეგისტრაცია. ცვლილებების რეგისტრაცია

კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომელთა საქმიანობის მიზანს არ წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობა, სამოქალაქო კოდექსში წარმოდგენილია არასამეწარმეო იურიდიული პირების სახელწოდებით. სამოქალაქო კოდექსის თავდაპირველი რედაქციით არასამეწარმეო იურიდიული პირები წარმოდგენილი იყვნენ კავშირებისა და ფონდების სახით, რომლის რეგისტრაციასაც სასამართლო ახორციელებდა კავშირის ადგილსამყოფლის მიხედვით ხოლო ფონდისას კი – იუსტიციის სამინისტრო. უფრო მოგვიანებით კი, არასამეწარმეო იურიდიული პირების, მათი ფილიალების რეგისტრაციას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს რეგისტრაციაზე უფლებამოსილი სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ორგანოები ახორციელებდნენ სახელმწიფო რეესტრში სათანადო ჩანაწერებით, საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებით, სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობის (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის) გაცემის საფუძველზე.

საზოგადოების განვითარებისდა კვალობაზე, არასამეწარმეო იურიდიული პირების რიცხოვნობის ზრდამ, მათი დარეგისტრირების ადგილის შეცვლამ, რამაც უფრო მობილური გახადა მათი საქმიანობის კონტროლიც, ცვლილებების შეტანა გამოიწვია სამოქალაქო კანონმდებლობაშიც, რაც ძირითადად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციის ცვლილებებში გამოიხატა. ვინ შეიძლება იყოს არასამეწარმეო (არაკომერციული) პირებისა და უცხოეთის არასამეწარმეო იურიდიული პირების ფილიალის დამფუძნებელი? დამფუძნებელი შეიძლება იყოს ფიზი-

კური (რეზიდენტი[201] ან არარეზიდენტი[202]), ან იურიდიული (საქართველოში ან უცხოეთში შესაბამისი კანონმდებლობით რეგისტრირებული) პირი.

როგორც ფიზიკური პირების იდენტიფიკაციისათვის აუცილებელია სახელის ქონა, ასევე იურიდიული პირების იდენტიფიკაციის საჯალდებულო მოთხოვნაა **სახელწოდება (საფირმო სახელწოდება). სამოქალაქო კოდექსის 27-ე მუხლში** აღნიშნულია, რომ „არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს აქვს სახელწოდება, რომელშიც აღინიშნება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისადმი მისი კუთვნილება". კანონი კრძალავს **(2011 წლის ცვლილებებით, 01. 07. 2011, №5017)** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებაში გამოყენებულ იქნეს ისეთი გრაფიკული სიმბოლოები, რომელთაც არ აქვთ ენობრივი ნორმებით დადგენილი ბგერითი ან სიტყვიერი შესატყვისი, ასევე **„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონითა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ"** საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული იურიდიული პირისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმებისათვის დამახასიათებელი აღნიშვნები. ამასთანავე, სახელწოდებას არ უნდა ერთვოდეს რაიმე ისეთი დამატება, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირი ან/და გამოიწვიოს შეცდომა ან/და გაუგებრობა სუბიექ-

201. საქართველოს რეზიდენტად მთელი მიმდინარე საგადასახადო წლის განმავლობაში, ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც ფაქტობრივად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 183 დღე ან მეტხანს ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის პერიოდში, რომელიც მთავრდება ამ საგადასახადო წელს, ან ფიზიკური პირი, რომელიც ამ საგადასახადო წლის განმავლობაში იმყოფებოდა უცხო ქვეყანაში საქართველოს სახელმწიფო სამსახურში (საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მ, 34, ნ. 2).

202. საქართველოს არარეზიდენტად ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც საგადასახადო კოდექსის 34-ე მუხლის მიხედვით არ არის რეზიდენტი.

ტის ფორმისა თუ საქმიანობის შესახებ". არასამეწარმეო იურიდიული პირის სახელწოდება ასევე არ შეიძლება ემთხვეოდეს უკვე დარეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებას. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა ახლად დაარსებული იურიდიული პირები უნებართვოდ იყენებენ ადრე დაარსებული იურიდიული პირების სახელს, რომლებიც უკვე ფართოდ ცნობილნი არიან საზოგადოებისათვის და მათ საყოველთაო აღიარება და პრესტიჟი მოპოვეს. ამიტომ სამოქალაქო კანონმდებლობა კრძალავს ახლად დაარსებული იურიდიული პირების მიერ სხვა იურიდიული პირების სახელის მართლსაწინააღმდეგოდ გამოყენებას,წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია უფლებამოსილი პირის (ვისი სახელითაც მართლსაწინააღმდეგოდ სარგებლობს) მოთხოვნის საფუძველზე შეწყვიტოს ასეთი სარგებლობა და აანაზღაუროს მართლსაწინააღმდეგო სარგებლობით გამოწვეული ზიანი. იურიდიული პირები საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში იყენებენ **სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით** გათვალისწინებულ ნორმებს და მოითხოვენ შელახული სახელის რესტიტუციას და აღნიშნული ნორმებით დარეგულირებულ სამართლებრივ საშუალებებს იყენებს იმ იურიდიულ პირთა წინააღმდეგ, რომელთა უკანონო საქმიანობა მათი სახელის მითვისებით ზიანის მომტანია ამ არაკომერციული იურიდიული პირების საქმიანობისათვის.

არასამეწარმეო იურიდიული პირებისათვის რეგისტრაციის ფაქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. სად უნდა გაიაროს არასამეწარმეო იურიდიულმა პირმა და უცხო ქვეყნის არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალმა (წარმომადგენლობამ) რეგისტრაცია?

სამოქალაქო კოდექსში და შესაბამის კანონებში გათვალისწინებული ცვლილებები **(სსკ მ.28-32[203])** იმაზე მი-

203. 30-ე მუხლი ამოღებულია.

მანიშნებელია, რომ თანდათან მარტივდება არაკომერციული იურიდიული პირების რეგისტრაციის პირობები, რათა იგი ხელმისაწვდომი გახდეს ნებისმიერი იმ პირისათვის, რომელიც კერძო სამართლის იურიდიული პირების დარეგისტრირებას ითვალისწინებენ.

სამოქალაქო კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად,„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაცია ხორციელდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრს აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი–საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (შემდგომ „მარეგისტრირებელი ორგანო“). არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსითა და მეწარმე სუბიექტების, უცხო ქვეყნის მეწარმე იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრის წარმოების პირობებსა და რეესტრიდან ამონაწერის ფორმებს განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი ბრძანებით დამტკიცებული **„მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციით“. „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონით** დადგენილი წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციისათვის გადაიხდევინება მომსახურების საფასური. საჯარო

რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ გადაწყვეტილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის რეგისტრაციის შესახებ უნდა მიიღოს განცხადების წარდგენიდან **1 სამუშაო დღეში.** მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ ძალაში შედის მხარისათვის ოფიციალურად გაცნობისთანავე ან გამოქვეყნებისთანავე. გადაწყვეტილების გამოქვეყნებად კი ითვლება მისი საჯარო რეესტრის ვებგვერდზე განთავსება. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ვალდებულია, რომ დარეგისტრირებული არასამეწარმეო იურიდიული პირისა და უცხო ქვეყნის იურიდიული პირის ფილიალის რეგისტრაციასთან ერთად მიანიჭოს საიდენტიფიკაციო ნომერი და გასცეს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ასევე უცხო ქვეყნის იურიდიული პირის ფილიალი რეგისტრაციის დოკუმენტის მიღებისთანავე, იღებს აგრეთვე საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერს.

რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირები, რომლებსაც დაუსაბუთებელი უარი ეთქვათ არასამეწარმეო იურიდიული პირის ან კიდევ უცხო ქვეყნის იურიდიული პირის ფილიალის დარეგისტრირებაზე, უფლებამოსილნი არიან რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივრონ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

„რეგისტრაციის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ დაინტერესებული პირისათვის წინასწარ იყო ცნობილი ამ მონაცემების უზუსტობა“.

ბუნებრივია ისმის კითხვა: მაინც როგორ უნდა დავრეგისტრირდეთ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად? ამ კითხვაზე პასუხს გაგვცემს სამოქალაქო კოდ-

ექსის 29, 31-32 მუხლები. პირველ რიგში რეგისტრაციით დაინტერესებული პირი მარეგისტრირებელ ორგანოს წარუდგენს დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმებას და განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით მეწარმეთა იურიდიული პირის რეგისტრაციისათვის დადგენილ სავალდებულო მონაცემებს. განცხადებას ხელს უნდა აწერდნენ დამფუძნებლები (ან მათი წარმომადგენლები). განცხადებას თან უნდა დაერთოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი და სანოტარო წესით დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტი (წესდება, წევრთა შეთანხმება).

განცხადების ფორმას თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტები: **ა)** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის მიზანი; **ბ)** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრად მიღების, წევრობიდან გასვლისა და გარიცხვის წესი, თუ იგი წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია; **გ)** რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს (პირის) დასახელება, გადაწყვეტილების მიღების წესი და პროცედურა; **დ)** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (ხელმძღვანელი პირის) შექმნის (არჩევის) წესი და უფლებამოსილების ვადა;

კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში **ფილიალის** ცნებას, ჩვეულებრივ კომერციული იურიდიული პირების სტრუქტურულ ქვედანაყოფად გამოიყენებენ. ფილიალი შეიძლება გააჩნდეს როგორც კომერციულ, ისე არაკომერციულ იურიდიულ პირებს. კომერციული იურიდიული პირების ფილიალის სამართლებრივი სტატუსი კანონით „მეწარმეთა შესახებ“ არის მოწესრიგებული, ხოლო არაკომერციული იურიდიული პირების ფილიალისა – სამოქალაქო კოდექსით.

არასამეწარმეო იურიდიულ პირს შეუძლია დაარსოს ფილიალი (წარმომადგენლობა).

არაკომერციული იურიდიული პირის ფილიალი განცალკევებული ქვედანაყოფია, რომელიც მდებარეობს იურიდიული პირის ადგილსამყოფლის გარეთ და სრულად ან ნაწილობრივ წარმოადგენს ან ასრულებს მის ფუნქციებს, არ არის იურიდიული პირი და საქმიანობას ახორციელებს დამფუძნებლის მიერ მიღებული აქტის (ოქმის) საფუძველზე. მას არც დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა აკისრია.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) ცვლილებების რეგისტრაცია იწვევს ცვლილებებს მათ სადამფუძნებლო დოკუმენტებში (წესდება, წევრთა შეთანხმება) და მისი რეგისტრაცია აუცილებელია. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის/უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია ხორციელდება მეწარმე იურიდიული პირის/ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციისათვის დადგენილი წესით.

მარეგისტრირებელი ორგანო მისი კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე იღებს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგისტრაციისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობისათვის დადგენილ, ასევე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 14[2] მუხლით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს. ასევე, ამ გადაწყვეტილების გაუქმების წესიც იგივე კანონის იმავე მუხლით რეგულირდება.

სამოქალაქო კოდექსის 32-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული)

იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციის და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების მოთხოვნის შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანო, გარდა მეწარმე სუბიექტისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლებისა, იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, თუ: ა) რეგისტრაციისათვის წარდგენილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) მიზნები ეწინააღმდეგება მოქმედ სამართალს, აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ან საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებს; არსებობს საქართველოს **კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტით**[204] გათვალისწინებული პირობები.

კანონის **„საჯარო რეესტრის შესახებ" მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად,** „საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები და მარეგისტრირებელ ორგანოში დაცული დოკუმენტაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომია გასაცნობად ნებისმიერი პირისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა".

აღნიშნული **კანონის მე-11 მუხლით** განსაზღვრულია „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრაციისადმი დაქვემდებარებული უფლებები და ვალდებულებები", კერძოდ, ამ **მუხლის 1-ლი პუნქტის** თანახმად, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირდება: **ა) საკუთრება; ბ) აღნაგობა, აღნაგობის უფლების იპოთეკით დატვირთვა; გ) უზუფრუქტი: დ) სერვიტუტი; ე) იპოთეკა; ვ) ქირავნობა;**

204. დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვიძებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს".

ზ) ქირავნობა, ქვექირავნობა; თ) თხოვება; ი) ლიზინგი; კ) საჯარო სამართლით გათვალისწინებული სარგებლობასა და მფლობელობასთან დაკავშირებული უფლებები; ლ) უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულებები. კანონის მე-11 მუხლის მე-4[1] პუნქტის თანახმად, „უძრავ ნივთზე შეზღუდული უფლება რეგისტრირდება შესაბამის შეზღუდვასთან /ვალდებულებასთან ერთად“.

კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, კი: „მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირდება: **ა) გირავნობა; ბ) ლიზინგი; გ) საბანკო გარანტია.**

სახელმწიფოს კონტროლი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობაზე. რეგისტრაციის მინაცემები. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა. სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს **(მ. 33)** სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ კონტროლის განხორციელებას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საქმიანობაზე. არაკომერციული იურიდიული პირები საზოგადოებრივი ძალის ორგანიზაციებია, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში. მათ ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გააჩნია დამხმარე სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უფლება, რომლიდანაც მიღებული მოგება უნდა მოხმარდეს თვით არაკომერციული იურიდიული პირის ინტერესებს და არა მის დამფუძნებელთა და პარტნიორების ეკონომიკურ ინტერესებს, რომელთა მაგალითებიც (როცა დამფუძნებელი და პარტნიორი ითვისებდა არასამეწარმეო იურიდიული პირის სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებულ მოგებას) ქვეყანაში სამწუხაროდ არაერთხელ დაფიქსირებულა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველიც გამხდარა. აქედან და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, გასაგებია **სსკ 33-ე** მუხლით გათვალ-

იისწინებული სახელმწიფო კონტროლის განხორციელება მათ საქმიანობაზე.

იმ შემთხვევაში, თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები არ ასრულებენ კანონით ან მათი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებულ საქმიანობას, მაშინ მათი საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მართლსაწინააღმდეგო ქმედება შეიძლება გამოიხატოს, თუ არასამაწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე. ამ შემთხვევაში სასამართლო მარეგისტრირებელი ორგანოს ანდა დაინტერესებული პირის[205] სარჩელის საფუძველზე განიხილავს და წყვეტს არასამეწარმეო (არაკომერციული) საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის საკითხს. სასამართლოს მიერ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მარეგისტრირებელმა ორგანომ უნდა გააუქმოს არასამეწარმეო იურიდიული პირის რეგისტრაცია.

კანონი კონკრეტულად მიუთითებს იმ პირთა (ორგანოს) კომპეტენციას, რომლებიც უფლებამოსილნი არიან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები წარმოადგინონ მესამე პირებთან ურთიერთობაში. **სსკ 35-ე მუხლი** კონკრეტულად ჩამოთვლის ასეთ პირობებს, კერძოდ, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული

---

205. დაინტერესებული პირი ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს ვთქვათ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრები, თუ წევრობაზე დაფუძნებული იურიდიული პირია, ან ის პირები, რომლებიც სარგებელს იღებენ ამ იურიდიული პირის საქმიანობისაგან (მაგალითად, ინვალიდთა დახმარების ფონდის დესტინატერების მიერ (დესტინატერები ის პირების – ფიზიკური იურიდიული და სხვ; ვისთვისაც იქმნება ფონდი) პირადი საკუთარი კეთილდღეობისათვის ფონდის სახსრების მოხმარება.

პირის დამფუძნებელი (წევრი) უფლებამოსილია ერთ პირს მიანიჭოს საქმეების ერთპიროვნულად გაძღოლის უფლებამოსილება ანდა დააწესოს ორი ან ორზე მეტი პირის ერთობლივი ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა. შიდა ხელმღვანელობითი ურთიერთობების დროს (საქმიანობის დროს) ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები რაიმე სპეციალური მინდობილობს გარეშე წარმოადგენენ არასამეწარმეო იურიდიულ პირებს მესამე პირებთან ურთიერთობაში, თუ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ასეთ შეზღუდვებს. რაც შეეხება წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს, ისინი შეიძლება იყვნენ სხვა პირები, გარდა არასამეწარმეო იურიდიული პირების დამფუძნებლების ან წევრებისა და, წარმოადგენენ მინდობილობის საფუძველზე არასამეწარმეო იურიდიულ პირებს სხვა პირებთან ურთიერთობაში (მაგ; ადვოკატი სასამართლოში დაიცავს არასამეწარმეო იურიდიული პირის კანონით დაცულ ინტერესებს, ან კიდევ, მასმედიასთან ურთიერთობისას იყენებენ ხელშეკრულებით მოწვეულ პირს შესაბამისი ანაზღაურებით და სხვა). არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაცია და სტრუქტურა წესრიგდება წესდებით (წევრთა შეთანხმებით), რომელიც საჭიროებს სანოტარო წესით დამოწმებას **(სსკ 835).**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქონების გასხვისება. ზიანის ანაზღაურება. შეიძლება თუ არა არასამეწარმეო იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება? რა თქმა უნდა შეიძლება, მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. ეს, კანონით დადგენილი შემთხვევებია: **1.** თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას; **2.** მის ორგანიზაციულ განვითარებას; **3.** ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელება ან, **4.** ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს. არასამეწარმეო იურიდიულ პირის (დამფუძნებლებს (წევრებს), როგორც

ვხედავთ საკუთარი პირადი ინტერესებისაათვის ორგანიზაციის ქონების გასხვისება არ შეუძლიათ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ დადგება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

პასუხისმგებლობის ინსტიტუტი მნიშვნელოვანია არასამეწარმეო იურიდიული პირის საქმიანობაში. არასამეწარმეო იურიდიულმა პირებმა ისე უნდა იმოქმედონ, რომ ზიანი არ მიადგეს მესამე პირებს ამ ურთიერთობიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში არასამეწარმეო (არაკომერციული) პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მიადგათ მესამე პირებს ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მიერ დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას ისეთი მოქმედების განხორციელებისას, რომელიც ზიანის ანაზღაურებას იწვევს.

ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების საქმიანობის მიმართ გამოიყენება **ნდობის, გულისხმიერების და კეთილსინდისიერების „მეფური მუხლები", სსკ მ. 8. ნ. 3-ის** ცნობილი თეზა, რომ **„სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები," სრულად მიესადაგება სკ 37-ე მუხლის მე-2 ნაწილს,** სადაც აღნიშნულია, რომ „ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) საქმეს კეთილსინდისიერად უნდა უძღვებოდნენ". ამ მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი არასამეწარმეო იურიდიული პირის წინაშე პასუხისმგებელია წარმოშობილი ზიანისათვის. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმა ბათილია, თუ ეს აუცილებელია მესამე პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. (ანალოგიურ მუხლს შეიცავს მეწარმეთა კანონიც, კერძოდ **მ.9.7.),** რომელიც ითვალისწინებს კომერციულ იურიდიულ პირებში ხელმძღვანელობაზე უფლებამ-

ოსილი პირების სახოგადოების საქმეებისადმი ნამდვილი კომერსანტის გულისხმიერებით და კეთილსინდისიერებით გაძღოლას. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, წარმოშობილი ზიანისათვის პარტნიორების წინაშე სოლიდარულად აგებენ პასუხს. საზოგადოების ხელმძღვანელებმა უნდა დაამტკიცონ, რომ მათ არ დაურღვევიათ თავიანთი მოვალეობა. მოვალეობის დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობა გარდუვალია. მაგალითად, არასამეწარმეო იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული არამართლზომიერი, დაუდევარი მოქმედების გამო ზიანი მთლიანად ამ იურიდიული პირების ხელმძღვანელებს დაეკისრათ სასამართლო გადაწყვეტილებით და ასეთ არაერთ შემთხვევებს შეხვდებით სასამართლო პრაქტიკაში. ზიანის კომპენსაციის შემდეგ მესამე პირთათვის რეგრესული (უკუმოთხოვნის) უფლების საფუძველზე არაკომერციული იურიდიული პირის წინაშე გადახდილი ზიანის თანხას სასამართლო დააკისრებს ხელმძღვანელობაზე ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს. არასამეწარმეო იურიდიული პირის ქონება ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილი პირების ქონებისაგან დამოუკიდებელია. არაკომერციული იურიდიული პირის წევრები იურიდიული პირის ვალდებულებებისათვის პასუხს არ აგებს, როგორც არასამეწარმეო იურიდიული პირები პასუხს არ აგებენ მისი წევრების, ასევე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები არ აგებენ პასუხს არასამეწარმეო იურიდიული პირის ვალდებულებებისათვის.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმის შეცვლა დაუშვებელია, ხოლო გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა), შერწყმა (გაერთიანება, მიერთება) და ლიკვიდაცია ხორ-

ციელდება მეწარმე სუბიექტის ლიკვიდაციისათვის/ რეორგანიზაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირს რეგისტრაციის შესახებ განცხადებით განსაზღვრავენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლები/წევრები. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ: **ა)** გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების მიღწევას; **ბ)** გასხვისება ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს; **გ)** ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს **(სსკ მ. 38, ნ. 2.)**. აკრძალულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება მის დამფუძნებლებს/წევრებს, ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

სალიკვიდაციო პროცესის დამამთავრებელი სტადია არასამეწარმეო იურიდიული პირების ქონების განაწილებაა, ანუ უნდა განისაზღვროს ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირები. **სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის მე-4 ნაწილი** ადგენს, რომ თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებმა არ განსაზღვრეს მისი ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორებიც ლიკვიდირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. ხოლო თუ ასეთი იურიდიული პირი (პირები) არ არსებობს ან ასეთი იურიდიული პირის (პირების) გამოვლენა შეუ-

ძლებელია, შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ[206]. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან **6 თვის** გასვლის შემდეგ.

ლიკვიდაციას ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ახორციელებენ, ხოლო განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობისას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სხვა ლიკვიდატორების დანიშვნის მოთხოვნით[207]. ლიკვიდატორები პასუხს აგებენ, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები.

თუ მიღებულია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი სისხლის სამართლის საქმეზე,- ლიკვიდაციას ახორციელებს სასამართლოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორი (ლიკვიდატორები). კანონი კრძალავს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიმართ სალიკვიდაციო და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების წარმოებას მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლის სამაროლის საქმის წარმოების შეწყვეტამდე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება (2009წლის 31 დეკემბერი, №2410), „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“,

206. სასურველია კანონმდებლობით გამოიკვეთილიყო თუ როგორ მოიხმარდა ამ შემთხვევაში სახელმწიფო ქონებას, თვით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სპეციფიკიდან გამომდინარე.

207. ვთქვათ ფინანსთა სამინისტროს დასაბუთებული ეჭვი აქვს, რომ ლიკვიდაციის საქმეს კეთილსინდისიერად არ უდგებიან, ან სხვა შემთხვევებში.

აწესრიგებს სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების სახელმწიფო რეგისტრაციის წესებს. კერძოდ; „არასამეწარმეო იურიდიული პირის რეგისტრაცია სარეგისტრაციო პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ არ აკმაყოფილებს,- საგენტო ვალდებულია რეგისტრაციის საკითხზე მიიღოს გადაწყვეტილება რეგისტრაციის, ხარვეზის დადგენის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო საამისო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, შეწყვიტოს სარეგისტრაციო წარმოება ან განუხილველად დატოვოს განცხადება"[208].

სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველია: ა) დაინტერესებულ პირთა განცხადება; ბ) სააგენტოსათვის კანონმდებლობით, ზემდგომი ორგანოს ან სასამართლო აქტით (არბიტრაჟის გადაწყვეტილებით) დაკისრებული ვალდებულება – მიიღოს გადაწყვეტილება. განცხადების წარდგენა და შესაბამისი დოკუმენტების გაცემა წარმოებს ელექტრონული პროგრამის საშუალებით,სააგენტო განცხადების წარმოდგენას ადასტურებს შესაბამის ელექტრონულ პროგრამაში მისი რეგისტრაციითა და მასზე სარეგისტრაციო ნომრის მინიჭებით.

„სააგენტოს გადაწყვეტილება გამოიცემა ელექტრონული ფორმით და შეიცავს შემდეგ მონაცემებს: ა) გადაწყვეტილების სახე; ბ) სათაური; გ) გამომცემი ორგანოს დასახელება და მისამართი; დ) გამოცემის დრო და განცხადების რეგისტრაციის ნომერი; ე) დასაბუთება და სამართლებრივი საფუძვლები; ვ) იმ ორგანოს დასახელება და მისამართი, სადაც შეიძლება გადაწყვეტილების გასაჩივრება და საჩივრის წარდგენის ვადა.

სუბიექტი წარმოშობილად, რეგისტრაცია გაუქმებულად, ხოლო რეგისტრირებული მონაცემები შეცვლილად

208. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება (2009წლის 31 დეკემბერი, №2410), „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ", მ. 14, ნ.1

ითვლება რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტიდან. გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებისთანავე[209]“.

სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას ხარვეზის დადგენის შესახებ, თუ: სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტები არ არის წარმოდგენილი აღნიშნული ინსტრუქციის და მოქმედი კანონმდებლობით[210] დადგენილი ფორმით და წესით; სარეგისტრაციოდ წარდგენილია არაზუსტი, არაიდენტიფიცირებადი ან არასრულყოფილი მონაცემები; არ არის გადახდილი მომსახურების საფასური კანონის „საჯარო რეესტრის“ მიერ დადგენილი წესით და სხვ (გამოდის, რომ თუ სამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სარეგისტრაციო დოკუმენტები წარდგენილია, მაგრამ იგი არ აკმაყოფილებს რეგისტრაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პირობებს, ან ეს პირობები მოგვიანებით ისპობა, არასამეწარმეო იურიდიული პირს ხარვეზის გამოსასწორებლად ეძლევა ხარვეზის აღმოჩენიდან **30 დღიანი ვადა,** რომელიც აითვლება დაინტერესებული პირის მიერ ხარვეზის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების ოფიციალურად გაცნობიდან, ხოლო გადაწყვეტილების ეროვნული სააგენტოს შესაბამის ვებგვერდზე გამოქვეყნების შემთხვევაში – გამოქვეყნებიდან. აღნიშნული ვადის გაგრძელება დაუშვებელია, ხოლო თუ ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი ვადის განმავლობაში ხარვეზი არ გამოსწორდა (არ აღმოიფხვრა) მარეგისტრირებელმა ორგანო უარს ამბობს იურიდიული პირის რეგისტრაციაში გატარებაზე. რეგისტრაცია უქმდება მხოლოდ ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შემდეგ. ბუნებრივია წარმოიშობა კითხვა: იურიდიული პირი

209. დასახ. ინსტრუქც. მ. 14, პ. 203.

210. კონკრეტულ შემთხვევაში იგულისხმება სამოქალაქო კოდექსის და საქართველოს კანონის „საჯარო რეესტრის შესახებ“ შესაბამისი ნორმები.

დარეგისტრირებულია, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ იგი არ აკმაყოფილებდა რეგისტრაციისათვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს. ამ იურიდიულ პირთან ურთიერთობისას კი, მესამე პირები ენდობოდნენ კანონით დადგენილ დებულებას, იმის შესახებ, რომ რეგისტრაციის მიმართ უტყუარობისა და სისწორის პრეზუმფცია მოქმედებს და მასთან გარკვეულ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში შევიდნენ. მათთვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში არამართლზომიერად დარეგისტრირებული არასამეწარმეო იურიდიული პირი აგებს თუ არა პასუხს, ეთქვათ, ზიანის კომპენსაციაზე? ცხადია პასუხი დადებითია

პასუხს აგებს. აქ მოქმედებს პრეზუმფცია იმის შესახებ, რომ იურიდიული პირი **„სწორად დარეგისტრირებულია“.** ანალოგიურ დებულებას ეხედებით კანონში **„მეწარმეთა შესახებ“.** კერძოდ, თუ საწარმო რეგისტრირებულია, მაგრამ იგი არ აკმაყოფილებს რეგისტრაციის პირობებს, ან ეს პირობები მოგვიანებით ისპობა, რეგისტრაცია უქმდება, თუ ეს ხარვეზი არ იქნება გამოსწორებული. რეგისტრაციის გაუქმებამდე შეცდომით რეგისტრირებული საწარმო განიხილება როგორც უშეცდომოდ რეგისტრირებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს არ ეწინააღმდეგება ცალკეული პირების ან საზოგადოების არსებით ინტერესებს და საწარმოს დამფუძნებლებს (პარტნიორებს) არ განუცხადებიათ ამის შესახებ“.

მოკლედ კომერციული იურიდიული პირების შესახებ. საქართველოს **კანონი „მეწარმეთა შესახებ“ (მ.2. პ.2)** განსაზღვრავს მეწარმე სუბიექტების ექვს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას. ესენია: **ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია) და კოოპერატივი.** აქედან ინდივიდუალური მეწარმე არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.

კანონის მე-20 მუხლის თანახმად, **„სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება** არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი (პარტნიორი) ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და საზოგადოებრივი ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს, როგორც სოლიდარული მოვალეები, - მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ". „სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიზანია ორი ან მეტი პირი ერთობლივად ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას ერთი, საერთო საფირმო სახელწოდებით. ამასთან, საზოგადოების თითოეული წევრის საქმიანობა განიხილება როგორც მთელი საზოგადოების საქმიანობა"[211].

„კომანდიტური საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, თუ საზოგადოების კრედიტორების წინაშე ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება – შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის – სრული პარტნიორები (კომპლემენტარები) **(კანონის მ.34).** კომანდიტური საზოგადოების პარტნიორი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

კანონის 44-ე მუხლის თანახმად, **შეზღუდული პასუხისმგებობის საზოგადოება** არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. ასეთი საზოგადოების დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც".

„სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის კაპიტალი დაყოფილია წესდებით განსაზღვრული კლასისა

211. ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, თბილისი, 2002, გვ. 228.

და რაოდენობის აქციებად. აქცია არის არამატერიალიზებული სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში.... სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით."**(მ. 51).**

კანონის 60-ე მუხლის თანახმად, კი: **„კოოპერატივი** არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე". კოოპერატივი შეიძლება იყოს მაგალითად: ნედლეულის მომპოვებელი, სასოფლო-სამეურნეო ან სარეწაო პროდუქციის ერთობლივი გასაღების კოოპერატივები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი და გასაღების კოოპერატივი და სხვა[212].

არაიურიდიული პირების შესახებ სამოქალაქო სამართალში. კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეები მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიული პირები (სამეწარმეო, არასამეწარმეო) როდი არიან, ასევე კანონი ითვალისწინებს **(სამოქალაქო კოდექსი, მ. 39) არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) (მ39)** და **ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) (მ. 930-940)** აქტიურ მონაწილეობას სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში. **რა განმასხვავებელი ნიშანი ახასიათებს არარეგისტრირებულ გაერთიანებას, რეგისტრირებული გაერთიანებისაგან?** მხოლოდ ერთი განმასხვავებული,ძირითადი ნიშანი რეგისტრაციაში გატარება, რის გამოც იგი ვერ

212.არასამეწარმეო იურიდიული პირების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოიძიეთ საიტი: http://www.civilin.org/pdf/Guidebook-final.pdf „არასამეწარმეო იურიდიული პირების დაბეგვრის თავისებურებები საქართველოში", გზამკვლევი.

ღებულობს იურიდიული პირის სტატუსს (ასეთი არსებობდა სკოლებში სამეთვალყურეო საბჭოების სახით, ან კიდევ უფრო ადრე მშობელთა კომიტეტი და სხვა). განსხვავებით რეგისტრირებული იურიდიული პირებისაგან, არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) მოწყობისა და სტრუქტურის საკითხები განისაზღვრება მის წევრთა ურთიერთშეთანხმებით (ურთიერთშეთანხმების საფუძველი შეიძლება იყოს წესდება, ან ეთქვათ წევრთა შორის დადებული ხელშეკრულება).

არარეგისტრებული კავშირის მსგავსად რეგისტრირებულ კავშირს შეიძლება ჰქონდეს სახელი, გააჩნდეს საბანკო ანგარიში და სხვა. საინტერესოა რა სახსრებით არსებობენ ასეთი ტიპის ორგანიზაციები? ამაზე პასუხს გაგვცემს **სკ 39-ე მუხლის მე-2 ნაწილი:** „წევრთა საწევრო შესატანები და ამ შესატანით შეძენილი ქონება შეადგენს არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) საერთო ქონებას.

რადგანაც არარეგისტრირებული კავშირი პირთა გაერთიანების შედეგადაა წარმოშობილი, მის წევრთა შეთანხმებით შესაძლებელია იგი სასამართლოში ან სასამართლოსგარეშე ურთიერთობებში წარმოდგენილ იყოს წევრებით ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირებით.

კრედიტორების მოთხოვნები არარეგისტრირებული კავშირის (გარეთიანების) საერთო ქონებიდან შეიძლება დაკმაყოფილდეს. ამასთანავე, პერსონალურად და, როგორც სოლიდარული მოვალეები პასუხს აგებენ აგრეთვე ის პირები, რომლებიც მოქმედებდნენ არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) სახელით.

თუ არარეგისტრირებული კავშირი იქმნება ე. წ. იდეალური მიზნებისათვის, ამხანაგობის შექმნისას კი გამოკვეთილია საერთო-სამეურნეო მიზნების მიღწევა, იგი მიზნად ისახავს შემოსავლების მიღებას და კანონითაც განმტკიცებულია მიღებული შემოსავლების განაწილების წესი.

„ერთობლიეი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად“ **(მ. 930).** „ერთობლიეი საქმიანობა, ანუ ამხანაგობა, როგორც სამოქალაქო სამართლებრიეი ურთიერთობა ჯერ კიდევ რომის სამართლიდან არის ცნობილი. უძველესი ამხანაგობის ხელშეკრულებები თავდაპირველად ოჯახის წევრთა (ძირითადად ძმებისა და მამაშვილების) მიერ ერთობლივად წარმოებულ საქმიანობას არეგულირებდა. ამ ურთიერთობამ სამართლებრიეი განვითარების გარკვეული ეტაპები გაიარა და ყველა ქვეყნის კანონმდებლობაში თავისებური ასახვა ჰპოვა, თუმცა ყოველთვის შეუცვლელი იყო ის ძირითადი თავისებურებები (ამხანაგობის საქმიანობის მიზანი, მონაწილე სუბიექტები, ამხანაგობის საქმიანობის შედეგები, ამხანაგობა, როგორც სამართლის სუბიექტი და ა.შ.), რომლითაც ის მკვეთრად არის გამიჯნული სხვა სამოქალაქო სამართლებრიეი ურთიერთობისაგან“[213].

ერთობლიეი საქმიანობისათვის დამახასიათებელი ნიშნები ასევე აისახებოდნენ ამხანაგობის სხვადასხვა ფორმებში, მაგალითად როგორიცაა: სავაჭრო ამხანაგობა, სააქციო საზოგადოებები, სრული ამხანაგობა, რომლებიც ცნობილი იყო რუსეთისა და შემდგომ საბჭოთა პერიოდის კერძო კანონმდებლობაში.

ამხანაგობა არ არის იურიდიული პირი, მასში მონაწილეებმა უნდა შეიტანონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესატანები, წილის ან ქონების გადაცემა მესამე პირებისათვის ხელშეკრულების სხვა მონაწილეთა თანხმობის გარეშე დაუშვებელია, თუ ხელშეკრულება სხვა

213. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, თბილისი, 2001; გვ.275. ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999.

რამეს არ ითვალისწინებს. ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) წევრები საქმეებს ეროობლივად უძღვებიან და ამხანაგობას წარმოადგენენ სხვა პირებთან ურთიერთობაში. თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, შემოსავალს ამხანაგობის წევრები ინაწილებენ წილის შესაბამისად.

კანონში გამოკვეთილია **(მ. 937)** ამხანაგობის მონაწილეთა სოლიდარული პასუხისმგებლობა ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისათვის, ანუ მოქმედებს პრინციპი: **„ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის“,** რაც დამახასიათებელი ყველა ამ ტიპის გაერთიანებებისათვის, იქნება ის კომერციული იურიდიული პირი (მაგალითად სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება), თუ არარეგისტრირებული ამხანაგობა.

რაც შეეხება ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას ამხანაგობაში, მიუხედავად იმისა, რომ იგი იურიდიულ პირს არ წარმოადგენს, თუ ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული ხელმძღვანელობის წესები, მაშინ ისინი „საქმეებს ერთობლივად უძღვებიან“. შიდა პასუხისმგებლობა მათი წილის შესაბამისად განისაზღვრება. როგორც ზევითაც ავღნიშნეთ, მინაწილეთა წილის შესაბამისად აგებენ პასუხს, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ხელშეკრულებით პასუხიმგებლობის სხვა ფორმებს ხელშეკრულებით არ განსაზღვრავენ.

„ამხანაგობები ხშირად გამოიყენება **არაიურიდიული პირი ფონდების** სახით, რომლის დროსაც ხდება ფინანსური სახსრების გაერთიანება შეთანხმებით განსაზღვრული მიზნების დასაფინანსებლად. მაგალითად, განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდების ხელშეწყობის ფონდი შეიძლება არსებობდეს ამხანაგობის ფორმით. ბინის მენაშენეთა ან საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა ერთობლივი საქმიანობის კიდევ ერთ გავრცელებულ ფორმას

წარმოადგენს“[214].

მსხვილი ეკონომიკური პროექტების განსახორციელებლად ამხანაგობა, ე. წ. **კონსორციუმების** სახელწოდებით, დიდი პოპულარობით სარგებლობს. მაგალითად, ბაქო-თბილისი-ჯეიხანის ნავთობსადენის მშენებელი და ოპერატორი ორგანიზაცია არსებობს კონსორციუმის ფორმით[215]“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელით ფუნქციონირებდა, როგორც უმაღლესი სასწავლო დაწესებულება სხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირ უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად, უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მე-13 მუხლის და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 ნოემბრის დადგენილების (№412) 1-ლი მუხლის თანახმად „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შესახებ“ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირად და იგი იწოდებოდა როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. დღეს, თსუ, ისე როგორც სხვა საჯარო უნივერსიტეტები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები არიან.

214. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბილისი, 2011, გვ. 279.
215. იქვე.

კითხვები

1. განმარტეთ იურიდიული პირის ცნება
2. დაახასიათეთ იურიდიული პირის ნიშნები
3. განმარტეთ ტერმინი: „იურიდიული პირის სამართალსუბიექტურობა“
4. არასამეწარმეო იურიდიული პირის რა სახეებს იცნობთ?
5. როგორ დავარეგისტრიროთ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი?
6. რა ფორმით ხორციელდება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია?

ტესტები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირები:

ა) სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში არ მონაწილეობენ.

ბ) სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე,როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები.

გ) მონაწილეობენ მხოლოდ კორპორაციულ პირებთან ურთიერთობისას

დ) მონაწილეობენ მხოლოდ რეგისტრაციის შემდეგ.

2. იურიდიული პირის ადგილსამყოფლად ითვლება:

ა) მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი.

ბ) ფილიალის მდებარეობის ადგილი.

გ) იურიდიული პირის ადგილი განისაზღვრება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

დ) იურიდიული პირის ადგილს ადგენს ხელმძღვანელობაზე წარმოდგენილი პირები.

3. არასამეწარმეო იურიდიული პირის სახელწოდება:

ა) შეიძლება ემთხვეოდეს სხვა არასამეწარმეო იურიდიული პირის სახელწოდებას.

ბ) არ შეიძლება ემთხვეოდეს უკვე რეგისტრირებული

არასამეწარმეო იურიდიული პირის სახელწოდებას.

გ)შეიძლება ემთხვეოდეს კომერციული იურიდიული პირის სახელწოდებას.

დ) შეიძლება ემთხვეოდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელწოდებას.

3. აკრძალულია თუ არა ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება არასამეწარმეო იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლების მქონე პირებს შორის?

ა) დაიშვება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

ბ) დაიშვება არაკომერციული იურიდიული პირის ხელმძღვანელობის უფლების მქონე პირების გადაწყვეტილებით.

გ) აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

დ) დაიშვება, თუ ეს არასამეწარმეო იურიდიული პირის წესდებითაა განსაზღვრული.

პ ა ს უ ხ ი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად შეუდგა დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას, ხოლო აქედან მიღებულ მოგებას ინაწილებდნენ ამ იურიდიული პირის დამფუძნებლები. არასამეწარმეო იურიდიული პირის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში დანარჩენი დამფუძნებლების წინააღმდეგ. მოგების მიმღებმა პირებმა სასამართლოში განაცხადეს, რომ მათ სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილი ამის უფლებას აძლევს.

როგორ გადაწყვეტილებას გამოიტანდა სასამართლო?

თავი V. ბარიბები

§1. ზოგადი ნორმები გარიგებების შესახებ

„ხელშეკრულება უნდა აალაპარაკო"
რობერ ბულანჟე

„ხელშეკრულება ის მშვენიერი სასახლეა,
სადაც შესვლა ადვილია, გამოსვლა კი – ძნელი"

„გარიგების" როგორც ტერმინის წარმოშობა XVIII საუკუნეს უკავშირდება. ამ დეფინიციის წარმოშობას არნოლდ პაიზეს სახელს უკავშირდება. 1807 წელს გამოცემული შრომის პირველ წიგნში – „ზოგადი მოძღვრებანი", პაიზემ სამოქალაქო სამართლის სისტემის დასახასიათებლად „მოქმედებანი" მოიხსენია, რომელიც ორ პარაგრაფადაა დაყოფილი: „ნების გარიგება" და განსაკუთრებით „გარიგებანი". ეს სისტემა განსაკუთრებით განავრცო პანდექტურმა სამართალმა-განსაკუთრებით-სავინიმ.

ჯერ კიდევ რომაელმა იურისტებმა მიაქციეს ყურადღება მხარეთა ნების გამოვლენის და განმარტების საკითხებს. „რომის ვალდებულებითი სამართლის მიხედვით, **„Bovae Fidei"** ხელშეკრულებების გაჩენამდე მხარეთა ნების ახსნა-განმარტება ხელშეკრულებების დადებისას არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა. სახელდობრ, მხარეთა შინაგან გამოხატულ ნებას არ ჰქონდა იურიდიული ძალა(გამოხატვის თეორია): interpretatio secundum verba. ნების გამოხატულება დგებოდა იმ ობიექტური ფაქტების გვერდით, რომლებიც გარიგების ფორმას შეადგენდნენ[216].

„Bovae Fidei" ხელშეკრულებების დადებით რომაულ სამართალ'ში თანდათან მკვიდრდებოდა ნების თეორია, ანუ

216. გ. ლობჟანიძე, რომის სახელმწიფო და სამართალი, II, გვ. 290.

თეორია, რომლის თანახმადაც ხელშკრულებების დადებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული არა მარტო ის, რასაც მხარეები აცხადებენ,არამედ,უპირველეს ყოვლისა,ის, რაც მათ ნამდვილად სურთ გარიგებებში შესვლისას"[217].

კლასიკურ სამართალში ნების თეორია ჯერ კიდევ არ იყო პირველხარისხოვანი და იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენებოდა,როცა ნების გამოხატულება არ იყო სრულად გასაგები და მოქმედებდა ფორმულა,როდესაც არ არსებობს გამოხატულ ნების ცოდნაში ეჭვი, საჭიროც არ არის სცადო რომ გაარკვიო მხარეთა შინაგანი ნება. მაგრამ რაც დრო გადიოდა,თანდათან უფრო იკრებდა ძალას ნების გამოხატვის თეორია და საბოლოო სახით ჩამოყალიბდა იუსტინიანეს დროს და ფორმულის სახე მიიღო, კერძოდ, კონტრაჰენტების შეთანხმებებში უფრო მეტი ყურადღება უნდა დათმობოდა ნებას, ვიდრე მასში არსებულ გამოხატვას[218].

ძველ ქართულ სამართალში „გარიგება" გაცილებით ფართო მნიშვნელობით გამოიყენებოდა, ვიდრე თანამედროვე სამოქალაქო სამართალში და იგი რაიმეს დადგენას, დაწესებას, განსაზღვრას გულისხმობდა[219].

გარიგების ცნება უზოგადესი ცნება, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი არა მარტო სამოქალაქო სამართალში გამოიყენება (მის ექვსივე წიგნში), არამედ კერძო სამართლის სხვა დარგებშიც: სამეწარმეო, საბანკო, შრომის და სხვ. დარგებში.

„გარიგება "- თვით ცნება გერმანული წარმოშობისაა. მიუხედავად იმისა, რომ მისი პირველად სამართლებრივ

---

217. იქვე.

218. იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს „ინსტიტუციები". თბილისი, 2002; Дгесты Юстниана. Пер. и коммептарии И. С. Перетерского, М; 1984; Дгесты Юстниана (Ответв ред. Л. Л. Кофано, М; 2002-2006.

219. საქართველოს სამოქალაქო სამაროლის კომენტარი. წიგნი პირველი, გვ. 165-166.

სიერცეში შემოტანა ჰაიზეს სახელს უკავშირდება, მაგრამ კლასიკური ფორმით, ანუ როგორც იგი დღეს გვაქვს მოცემული მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში – სავინს უკავშირდება. სწორედ სავინის სახელს უკავშირდება ტერმინი „ნების გამოვლენა“.

„ნების გამოვლენა პირადი ნების გამოხატვას წარმოადგენს, რომელიც სამართლებრივი შედეგის მიღწევისაკენ არის მიმართული. იგი ორი ელემენტისაგან **შინაგანი ნებისა** და **ნების გამოხატვისაგან** შედგება. **პირის შინაგანი ნება** შეიძლება სამ ნაწილად დაიყოს, კერძოდ: **მოქმედების ნებად (Handlungswille)**, გამოხატვის ნებად **(Erklaerungsweille)** და **გარიგების ნებად (Geschaeftswille)**. **მოქმედების ნებაში** მოქმედების გაათვითცნობიერება მოიაზრება. აქ **გათვითცნობიერებული ნებელობითი აქტი** იგულისხმება, რომელიც რეალური განხორციელებისკენ არის მიმართული (მაგალითად, ნება მიმართულია **ლაპარაკისაკენ, სხვადასხვა მიმიკისკენ** {თავის დაკერა, თავის გაქნევა[220]); ან **სიჩუმისკენ; გამოხატვის ნება** სახეზეა, როდესაც პირს გათვითცნობიერებული აქვს, რომ მისი მოქმედება აუცილებლად **რაღაც სამართლებრივ შედეგს** გამოიწვევს... (ამის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს, როდესაც აუქციონზე შემთხვევით მოხვედრილი ა. მისალმების მიზნით ხელს უწევს მის მეგობარს და ვერ წარმოუდგენია, რომ მისი ხელის აწევა 200 ლარად შეფასებული ვაზის ლარნაკის ყიდვის ოფერტს წარმოადგენს... მართალია ა. ხელის აწევისას **მოქმედების ნებით** ხელმძღვანელობდა, სახეზე არ გვაქვს ა-ს **გამოხატვის ნება,** რადგანაც ა-ს ხელის აწევით არანაირი სამართლებრივი შედეგის მიღწევა არ სურდა, იგი მხოლოდ და მხოლოდ მის მეგობარ ბ-ს მიესალმა; გარიგების ნების ქვეშ ისეთი ნება მოიაზრება, რომლის გამოხატვისას პირს **კონკრეტული სამართლებრივი შედეგის მიღწევა** სურს.

220. დამატ. იხ. ნ. იაშვილი, ე. მაღალაშვილი, ზ. ნაჭყებია, სახელშეკრულებო ურთიერთობების პრაქტიკა, თბილისი, 2006, გვ. 52-59.

(მაგალითად, ა-ს სურს ბ-ს თავისი ავტომობილი 7600 ლარად მიჰყიდოს თავის შეთავაზებულ ოფერტში კი შეცდომით 6700 ლარს წერს. მართალია, ამ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს ა-ს **გარიგების ნება,** რადგან მას ამ სამართლებრივი შედეგის მიღწევა არ სურს. მას სურს თავისი ავტომობილი არა 6700, არამედ 76000 ლარად გაყიდოს...[221] ავტომობილი ცხადია არსებითი შეცდომით დადებული გარიგების საფუძველზე გამყიდველს დაუბრუნდება, ანუ ა-ს შეუძლია საცილო გახადოს ნიეთის 6700 ლარად გაყიდვის ფაქტი.

თანამედროვე გერმანულ სამართალში გარიგება გერმანული **BGB**-ს ზოგად ნაწილშია მოცემული და მას **104 პარაგრაფიდან 181 პარაგრაფამდე**[222] ეძღვნება. აღნიშნულ პარაგრაფებში დეტალურადაა გადმოცემული გარიგებების სახეები, ქმედუნარიანობა გარიგების დადებისას, გარიგების დადების ფორმები, შეთანხმებები. პირობები და ვადები გარიგების დადებისას, წარმომადგენლობა გარიგებებში და სხვა. აქვე ავღნიშნავდით, რომ გერმანულ სამოქალაქო კოდექსში, იმ პარაგრაფებში, რომლებიც გარიგებებს ეხება, რამდენადმე სხვა ფორმითაა წარმოდგენილი გარიგებებთან დაკავშირებული დეფინიციები, ვიდრე ეს ქართულ სამოქალაქო კოდექსშია. მაგალითად, **„სასამსახურო ან შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები" (§113), „სასამართლო წესით დამტკიცებული მორიგება"(§127(ა), „სანოტარო წესით დამოწმება" (§128)** (ქართულ სამოქალაქო სამართალში – საჯარო რეესტრში დარეგისტრირება, თუმცა ცალკეულ

221. გ. მარიამიძე, სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი, I ნაწილი, I გამოცემა, თბილისი, 2011, გვ. 51-53.

222. დამატ. იხ. Гражданское уложение Германии, 2-е издание, Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands, 2. Auflage. Wolters Kluwer, стр. 19-35; Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 77-190.

შემთხვევებში სანოტარო დამოწმებაც გამოიყენება, მაგალითად საქორწინო კონტრაქტისას და სხვ; თუმცა შეენიშნავთ, რომ ძირითადად ქართული სამოქალაქო კანონმდებლობა გარიგებების ცნებების ახსნისას ძირითადად მიჰყვება გერმანულ სამოქალაქო კოდექსს.

უნდა ითქვას, რომ ქართველმა კანონმდებელმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძირითად „საშენ მასალად" გერმანული კოდექსის გარიგების შესაბამისი პარაგრაფები გამოიყენა, თუმცა უნდა ითქვას, რომ გარიგებების სხვადასხვა თავების შემოტანისას კოდექსში სხვადასხვა ქვეყნის სამართლის ანალოგიური ნორმებიც გამოიყენა, რომლებიც საკმაოდ **„კომფორტულად მოეწყვნენ"** ქართულ სამოქალაქო კოდექსში. მაგალითად, „შეცდომით დადებული გარიგებების კოდიფიცირებისას, გერმანულის გარდა გამოყენებულ იქნა შვეიცარიული და იტალიურ სამართალში მიღებული დებულებები. „არსებითი შეცდომის დეფინიციისა და კლასიფიკაციის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს „ვალდებულებათა შესახებ" შვეიცარიის კანონი. მისი **23-ე და 24-ე მუხლები** მთლიანად ჩაჯდა ქართულ სამოქალაქო კოდექსში. ასეთივე მოწადინებით გამოვიყენეთ ჩვენ **26-ე მუხლის მე-2 ნაწილიც,** რომელიც დაუდევრობის შეცდომის იურიდიულ შედეგებს ეხება. ცალკე მოწესრიგდა მოტივში და უფლებაში შეცდომის შემთხვევები. აქაც შვეიცარიული და იტალიური სამართლის გავლენები იგრძნობა. ზოგადი ნორმა ფრანგული სამოქალაქო კოდექსის **110-ე მუხლის გავლენას განიცდის[223]-".** „დაახლოებით ანალოგიურად განვითარდა მოვლენები მოტყუების შესახებ ნორმების შემუშავებისას. კომისიის მიერ მოწონებულ დებულებებში ჩანს ფრანგული და ინგლისური სამართლის გავლენები. ზოგიერთი ნორმა წააგავს ბრაზილიის სამოქალაქო კოდექსში არსებულს. ინგლისური სამართ-

223. ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, გვ. 223.

ლის კვალი ატყვია 81 მუხლის მე-2 ნაწილს, რომელშიც საუბარია წაყრუებით მოტყუებაზე. კომისიამ არ გაიზიარა გაუფრთხილებლობით მოტყუების გერმანული ვარიანტი: იძულების კოდექსისეული ცნებაც და შინაარსიც ფრანგული სამართლიდანაა აღებული[224]".

თუ გადავხედავთ გერმანული სამოქალაქო სამართლის ნორმებს, რომლებიც „თანხმობას გარიგებებში" ეხებიან, აშკარად დავინახავთ, რომ იგი ზუსტად გადმოვიდა ეროვნულ სამოქალაქო კოდექსში იდენტური დასახელების თავში (მ. 99-102). **გერმანული BGB-ს 165-ე, 167-ე, 175-ე, 177-ე 179-ე და სხვა პარაგრაფები,** რომლებიც წარმომადგენლობის ინსტიტუტს ეხება, მთლიანად გადმოვიდა გერმანული სამოქალაქო სამართლიდან. გერმანულში ამ ნაწილს „წარმომადგენლობა და რწმუნებულება" ჰქვია, ჩვენთან კი – „წარმომადგენლობა გარიგებებში". განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებს გარიგების დადებისას ფორმის არჩევის საკითხს და ქართული სამოქალაქო კოდექსის სასახელოდ უნდა ითქვას,რომ იგი „ამ მხრივ სრულად ემთხვევა **ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის 283-ე პარაგრაფის** დებულებებს, რომლის თანახმად, გარიგების მონაწილეების მიერ ნების გამოვლენის არჩევა თავისუფალია. შვეიცარიის სამართალიც იგივეს განამტკიცებს და არსებითად ქართული კოდექსის ანალოგიურად წყვეტს ფორმის თავისუფლების საკითხს. ამ მხრივ განსხვავება არ ჩანს გერმანულ სამართალშიც[225]".

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, „გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ". გარიგების არსებობისას სულ მცირე ერთი

224 დასახ. ნაშრ; გვ. 223.

225. ლ. ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000, გვ. 347.

პირის ნების გამოვლენაც საკმარისია. ნების გამოვლენა გარიგების საფუძველია, ფუნდამენტია. მაგრამ მისი იდენტური მაინც არ არის. ხშირ შემთხვევებში სამართლებრივი შედეგის დასადგომად ნების გამოვლენა საკმარისი არ არის და და მას თან უნდა ერთვოდეს პირის გარკვეული რეალური აქტის განხორციელება, ან კიდევ რომელიმე ორგანოს შესაბამისი მოქმედების განხორციელება. მაგალითად, ა-მ ბ-ს მიჰყიდა რაიმე ნივთი. გარიგება რომ შედგეს და სამართლებრივად ვარგისი იყოს, საჭიროა არა მხოლოდ გარიგების დადების ფაქტი, არამედ მკვეთრად გამოხატული რეალური მოქმედება: ა-მ ბ-ს უნდა გადასცეს ნასყიდობის საგანი, ხოლო ბ-მ უნდა გადაიხადოს შესაბამისად ანაზღაურება. „გარიგება არის ნების გამოვლენა. ამ საკითხის მიმართ ორგვარი მიდგომა არსებობს. **ერთი თეორიის თანახმად, გარიგების დეფინიციაში მთავარია ნება, როგორც ასეთის - ეს ნების თეორიაა.** ბუნებრივია, როდესაც პირს სურს მიაღწიოს რაიმე სამართლებრივ შედეგს, ამ შემთხვევაში ეს შედეგი ნების გამოვლენის გარეშე არ დადგება. სრულად შესაძლებელია შინაგანი ნება და გამოვლენილი ნება არ ემთხვეოდეს ერთმანეთს... სათანადო სამართლებრივი საფუძვლის არსებობისას ამ დროს შეიძლება დაისვას საკითხი ნების გამოვლენის ბათილობის შესახებ. მაგრამ ვიდრე მისი ბათილობა მოხდებოდეს, არსებული ნების გამოვლენა გარიგებად რომ ჩავთვალოთ მანამდე ხომ უცნობია პირის შინაგანი ნება, ამდენად შინაგანი და გარეთ გამოვლენილი ნების ურთიერთმიმართება ინტერესის საგანი ხდება მაშინ, როდესაც მათ შორის არსებობს კონფლიქტი, შეუსაბამობა. მანამდე ნების გამოვლენა უნდა მივიჩნიოთ იმ სინამდვილედ, რომელსაც ჰქვია გარიგება[226]“.

კითხვაზე გარიგება კერძო ნების გამოვლენაა, თუ ობიექტურის?– უნდა გავცეთ პასუხი ცალსახად: **გარიგება უპირატესად კერძო ნების გამოვლენაა,** მაგრამ ამავდროუ-

226. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 166.

ლად **ობიექტური ნების გამოვლენაცაა** და ეს უპირატესად ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებს, – გარიგებებს ეხება, სადაც ნება მეტად ავტონომიურია და ცხადია პირთა შორის ურთიერთობებიც მეტი დისპოზიციურობით ხასიათდება. ამის საუკეთესო მაგალითია სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი სამოქალაქო სამართალში, რომელიც საუკეთესო გამოხატულებას პოულობს **319-ე მუხლში,** რომელიც სამოქალაქო ბრუნვის უმთავრეს ფასეულობას წარმოადგენს. აღნიშნული მუხლი ხელშეკრულების დადების და ასევე მისი შინაარსის განსაზღვრის თავისუფლებასაც გულისხმობს. კონტრაჰირების თავისუფლება სამოქალაქო სამართლის, კერძოდ კი, ვალდებულებით - სამართლებრივი ურთიერთობის ფუნდამენტური პრინციპია და მისი მიზანი სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ინტერესების დაცვაა. ან კიდევ, **„მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება“(მ. 349-351),** რომლებიც პირებს შესაძლებლობით აღჭურავენ, არა მხოლოდ ისეთი გარიგებები დადონ, რომლის სამართლებრივი სიკეთის (სარგებლის) ადრესატები თვითონ იქნებიან, არამედ, კონტრაჰენტთან დადონ ხელშეკრულებები არა თავისთვის, არამედ მესამე პირთა ინტერესებისათვის, ან კიდევ „თუ მესამე პირი უარს ამბობს ხელშეკრულებით შეძენილ უფლებებზე, მაშინ კრედიტორს შეუძლია თვითონ მოითხოვოს ვალდებულების შესრულება **(სსკ მ. 351).** ამაზე მეტი თავისუფლება რა შეიძლება იყოს, – კრედიტორები სრული უფლებამოსილებით არიან აღჭურვილი არა მარტო ხელშეკრულების ტიპის, შინაარსის არჩევაში, ასევე თვითონ დამოუკიდებლად განსაზღვრონ ადრესატი კონტრაგენტთან დადებული ხელშეკრულებებისას.

თუ ვალდებულებით – სამართლებრივი გარიგებების (ხელშეკრულებების) დადებისას პირის **კერძო ავტონომია** ფართოდ არის გამოკვეთილი, რომ მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რაც კანონით

არ არის გათვალისწინებული, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას, – სანივთო სამართალში გარიგებების დადებისას გამოკვეთილია კანონის **ობიექტური ნება,** აქ სანივთო-სამართლებრივი რეგ-ლამენტაცია მკაცრადაა შემოსაზღვრული,„**numerus klausa**-ს“ პრინციპით. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ სანივთო გარიგებების წრე კანონითაა მოხაზული. ყველა შემთხვევაში გარიგება **კერძო (სუბიექტური) და საჯარო (ობიექტური)** ნების გამოვლინების რეზულტატად უნდა წარმოვიდგინოთ. სანივთო გარიგებები სამოქალაქო სამართალში სანივთო უფლების წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტისკენაა მიმართული, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ „სანივთო უფლებათა მიმართ იგივე შედეგებს იწვევს ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგებაც. მაგალითად, როგორიცაა საკუთრების უფლების წარმოშობა ნასყიდობის საფუძველზე... სანივთო და ვალდებულებით გარიგებას შორის განსხვავება მათ შინაარსში ვლინდება. კერძოდ უფლების წარმოშობის გზაში და არა იმდენად თვით ამ უფლების ხასიათში. ნასყიდობის გზით ჩნდება საკუთრების სანივთო უფლება, მაგრამ თვით ნასყიდობა ვალდებულებითი გარიგებაა[227]“.

სანივთო გარიგების მიმართ გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნორმები გარიგებათა შესახებ, თუკი, თვით სანივთო სამართლის ნორმები სხვა რამეს არ ითვალისწინებს. მაგალითად, ხშირ შემთხვევაში, სანივთო გარიგებების დადებას სანივთო სამართლის სოციალური წესები ითვალისწინებს. „მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ არ ახსენებს სანივთო შეთანხმებას როგორც საკუთრების უფლების გადამცემ განკარგვით გარიგებას, იგი მაინც მიჩნეულ უნდა იქნეს არსებულად ქართულ სამართალში. **საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის** არსით იგი შედის

227. ბ.ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003, გვ. 10.

წერილობით დოკუმენტში, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელს შეიძლება ეწოდებოდეს ნასყიდობის, ჩუქების, გაცვლის, ამხანაგობის და ა.შ. ხელშეკრულება, ანუ მასში შეიტანება განკარგვითი გარიგების საფუძველად არსებულ ვალდებულებით გარიგებაზე[228]". მაგ; **სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი,** რომლის თანახმად, „უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში".

სანივთო გარიგებებში, განსხვავებით ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგებებისაგან, ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპი არ გამოიყენება. **აქ კანონის ნორმატიული ნება ზეიმობს.** სანივთო გარიგებებში გეხვდება ნორმები, რომლის საფუძველზეც ხდება სანივთო უფლებებზე უარის თქმა **(სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 184)**. სანივთო გარიგება ხშირ შემთხვევაში ვალდებულებითი ურთიერთობების შესასრულებლადაა მიმართული. **გირავნობა (სსკ მ. 254-285) და იპოთეკა (სსკ მ. 286-310)** ამის საუკეთესო მაგალითია (გირავნობა და იპოთეკა, როგორც, დამტვირთველი უფლება, ხომ ვალდებულებითი ურთიერთობის გარეშე არ არსებობს). აღსანიშნავთ, რომ სახელშეკრულებო შეთანხმებები მოქმედებს მხოლოდ ვალდებულებით და არა სანივთო სამართალში.[229]

გარიგებები თავისებური ფორმებით თავის გამოხატულებას პოულობს საოჯახო-მემკვიდრეობით, ინტელექტუალური საკუთრების, შრომით-სამართლებრივ და სხვა ურთიერთობებში.

მოკლედ საჯარო-სამართლებრივი გარიგებების შესახებ, რომლებიც საჯარო სამართლის დარგებშია მოცე-

228. ზ. ჭეჭელა'შვილი, სანივთო სამართალი, თბილისი, 2010. გვ. 183-184.

229. ჰაინრიხ შნიტგერი. საკრედიტო სამართალი, გვ. 7. საიტი: www.gtz.d/law.caucasus

მული. შედარებითი ანალიზი რომ გავაკეთოთ, ამ ორი განსხვავებული სისტემის სამართლის დარგებში (კერძო და საჯარო სამართლის დარგებში) გარიგების დადების სამართლებრივი პრინციპისა, ჩვენ არსებით განსხვავებას დავინახავთ. მაგალითისათვის ავიღოთ **ადმინისტრაციული სამართალი.** ადმინისტრაციულ გარიგებას ეძღვნება **ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დამოუკიდებელი V თავი**[229]. „კოდექსში არ არის მოცემული ადმინისტრაციული გარიგების ცნება, მაგრამ **66-ე მუხლში** განმარტებულია, რომ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს მხოლოდ კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში. ადმინისტრაციული გარიგების ასეთი ცნება ერთგვარად განსხვავდება სამოქალაქო სამართალში მოცემული ცნებისაგან. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის განმარტება ამ უკანასკნელის განმარტებისაგან განსხვავდება იმით, რომ სამოქალაქო სამართალში გარიგება არ არის შემოფარგლული სუბიექტების უფლებამოსილებით და განსაზღვრულია, რომ იგი შეიძლება იყოს ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა. მაშასადამე, სამოქალაქო გარიგება შეიძლება შეეხოს ქონებრივი ურთიერთობის ნებისმიერ საკითხს. ადმინისტრაციულ გარიგებებში ქონებრივი საკითხები შემოფარგლულია ადმინისტრაციული ორგანოს მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში. ამიტომ, თუ მოქალაქეს შეუძლია მაგალითად, დადოს გარიგება ნებისმიერ საკითხზე, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს დადოს ქონებრივი ხასიათის გარიგება იმ შემთხვევაში, თუ მის კომპეტენციაში აქვს ეს გათვალისწინებული“[230]. საჯარო სამართლის ორგანოები გარიგებების დადებისას კისრულობენ

229. ვ. ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, თბილისი, 2002, გვ314.
230. ვ. ლორია, დასახ. ნაშრ; გვ. 314.

;გარკვეულ ვალდებულებებს გარიგების აღსასრულებლად, ;მაგრამ მესამე პირი სარგებლობს გარკვეული უფლებებით ამ გარიგებებში, რომელსაც ეთანხმება ადმინისტრაციული ორგანო, წინააღმდეგ შემთხვევაში გარიგება არ შედგება. თუ კერძო სამართლებრივი გარიგებების დადებისას პირთა (გარიგების დამდები მხარეების სრული ავტონომიაა გამოკვეთილი, ამას ვერ ვიტყვით საჯარო-სამართლებრივი გარიგებების დადებისას, სადაც გარიგების დადებისას საჯარო სამართლის კონკრეტული სუბიექტის (ადმინისტრაციული ორგანოს) ნებაა გამოკვეთილი.

როგორც პროფ. ბ. ზოიძე აღნიშნავს„„კომისიამ მიუღებლად მიიჩნია კოდექსში იმ ნორმების შეტანა, რომელთა მიხედვითაც საცილო გარიგების (მაგალითად, მოტყუების, ძალადობის) ბათილობისას ქონებრივი სარგებლის მიმღები ხდება სახელმწიფო. რუსეთის და სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებს საბჭოთა სამართლის მსგავსად, ბათილი გარიგების არენაზე შემოჰყავთ სახელმწიფო“[231]. სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება გარკვეული იურიდიული შედეგების მომტანია მისი დამდები მხარეებისათვის, რადგან მისი დადება სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას იწვევენ (მაგალითად, მამკვიდრებლის ნების გამოხატვა ანდერძის ფორმით იწვევს მისი გარდაცვალების შემდეგ ანდერძისმიერი მემკვიდრეებისათვის ახალი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველს, რაც ნაანდერძევი ქონების მიღებაში გამოიხატება, ან კიდევ, სამოქალაქო კოდექსის ზიანის ანაზღაურების ნორმები **(სსკ მ. 408-415),** დელიქტური ნორმები, სხვადასხვა სამართლებრივ შედეგს უკავშირდება და იგი შეიძლება იყოს სამოქალაქო-სამართლებრივი, ადმინისტრაციულ-სამართ-ლებრივი და სისხლის-სამართლებრივიც. ამის საუკეთესო მაგალითია კუმულაცი-

231. ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, 2005, გვ. 226.

ური სანქციები პირის მიმართ, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგოდ აყენებს ზიანს.

მართლზომიერი თუ არამართლზომიერი ნების გამოვლენა უნდა ჩაითვალის გარიგებად? ცხადია ორივე. თუ პირი კანონის ყველა მოთხოვნით დებს გარიგებას, ცხადია მისი ნების გამოვლენა მართლზომიერია და იურიდიული ძალის მქონე გარიგებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ მართლსაწინააღმდეგო ნების გამოვლენაც გარიგების ფაქტს წარმოადგენს, მაგრამ მისი მართლწინააღმდეგობის გამო – იგი დელიქტია. ასეთია მერყეევად ბათილი და უცილოდ ბათილი (არარა) გარიგებები, რომლებიც არ წარმოშობენ სამართლებრივ შედეგებს. რაც შეეხება ცნებას „მერყეევი გარიგება",–აქ ცნება **„მერყეევი"** ნიშნავს, რომ ასეთი ტიპის გარიგებები ნამდვილობისა და ბათილობის ზღვარზე არიან (მაგ; **სსკ მ. 63. ნ. 1.**). ამ შემთხვევაში კანონი თითქოს ელოდება „ვიღაცის" თანხმობას რომ კანონის მიერ **„სპირწონედ დადებული გარიგება"** ნამდვილად იქცეს. თუ მოიწონებს მას მოწონებაზე უფლებამოსილი პირი, იგი ნამდვილი იქნება. მაგ; „თუ არასრულწლოვანი დებს ორმხრივ გარიგებას (ხელშეკრულებას) კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე, მაშინ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, შემდგომში მისი წარმომადგენელი მოიწონებს თუ არა **მას (სსკ მ. 63, ნ. 1).** გამოდის რა, რომ არასრულწლოვანის დადებული გარიგება საეჭვოა, ანუ მერყეევია,– იგი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას (ნების გამოვლენას) ელოდება. როგორი იქნება ეს ნება-მოწონება თუ, მასზე უარი? ამის მიხედვით გადაწყდება ბედი მერყეევად ბათილი გარიგებისა. იქნება ნამდვილი – დასტურის, მოწონების შემთხვევაში და წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, ან კიდევ არანამდვილი (არმოწონების შემთხვევაში) და არც სამართლებრივი შედეგის მომტანი იქნება იგი არასრულწლოვანისათვის. შევნიშნავთ რომ **„თანხმობას"** ფართო გამოყენება აქვს გარიგებებში

(განსაკუთრებით ხელშეკრულების დადებისას), რამეთუ იგი სამართლებრივი ურთიერთობების სიცოცხლისუნარიანობას განსაზღვრავს.

გარიგება ცალმხრივი ნების გამოვლენაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში განსაზღვრულია ერთი პირის ნება და მისი ნების გამოხატულებაზეა დამოკიდებული შედგება თუ არა გარიგება და მიიღებს თუ არა „მესამე პირი" სამართლებრივ სარგებელს. ცალმხრივი გარიგების საუკეთესო მაგალითია სამოქალაქო სამართალში-ანდერძი **(სსკ მ. 1344), ნაპოვარი (სსკ მ. 191), ჯილდოს საჯაროდ დაპირება (სსკ მ. 755)** და სხვა ნორმები, რომელშიც გამოკვეთილია პირის ცალმხრივი ნების გამოვლენა. სამართლებრივი ურთიერთობების წარმოსაშობად **ორმხრივი გარიგების** საუკეთესო მაგალითს ხელშეკრულებები წარმოადგენს. ხელშეკრულება ორი ან მეტი პირის შეთანხმებაა გარიგების ყველა პირობაზე. ცნობილია ტიპიური და ატიპიური ხელშეკრულებები. მაგალითად, ნასყიდობა, ნარდობა, იჯარა, ქირავნობა - ტიპიური ხელშეკრულებებია, ხოლო ლიზინგი, ფრენშაიზინგი, ფაქტორინგი – ატიპიური.

რაც შეეხება **მრავალმხრივ გარიგებებს,** იგი უფრო ხშირად გვხვდება სამეწარმეო სამართალში. როცა სამეწარმეო იურიდიული პირების შექმნა პირთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული, ე. ი. პირთა შეთანხმებული ნების რეზულტატს წარმოადგენს.

კაუზალური[232] და აბსტრაქტული გარიგებები. „გარიგებათა დაყოფა აბსტრაქტულ და კაუზალურ გარიგებებად ტრადიციულად გერმანული სამოქალაქო სამართლისთვისაა დამახასიათებელი. ეს გამომდინარეობს გერმანულ სამართალში განმტკიცებული აბსტრაქციის პრინციპიდან, რომლის თანახმად, საკუთრება შემძენზე გადადის მხოლოდ ნივთის გადაცემით და ეს გადაცემა ნამდვილია მიუხედა-

232. **კაუზალური**(causalis)-მიზეზობრივი. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?

ვად იმისა, მის საფუძვლად არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი აქტი **(კაუზა)** ნამდვილია თუ არა...[233]. **გარიგება მიიჩნევა კაუზალურად, თუ მისგან გამომდინარეობს გარიგების მიზანი (კაუზა), სამართლებრივი საფუძველი, ე. ი. კაუზალურია გარიგება, რომელსაც აქვს კონკრეტული ხელშესახები სამართლებრივი საფუძველი - კაუზა, მიზანი.** მაგალითად, **ა. აძლევს ბ-ს წიგნს. რა შეიძლება იყოს ამ წიგნის მიცემის სამართლებრივი საფუძველი? სამართლებრივი საფუძველი შეიძლება იყოს ჩუქება, თხოვება, მიყიდვა და ა.შ.** გარიგების ამ უშუალო ტიპიურ საფუძველს (მიზანს), რომელიც გადაცემის სამართლებრივ ხასიათს განსაზღვრავს, ეწოდება საართლებრივი საფუძველი – კაუზა, ასევე ტიტულუს.[234]

აბსტრაქტული გარიგების დროს კაუზალურისაგან განსხვავებით, სამართლებრივ საფუძველს მნიშვნელობა არა აქვს და გარიგების ნადვილობა დამოუკიდებელია ამ სამართლებრივი საფუძვლის ნამდვილობისაგან. აბსტრაქტული გარიგების მაგალითია მოთხოვნის დათმობა კრედიტორის მიერ **(სსკ მ.199) –ცესია**[235]. გარიგება ძველსა (**ცედენტი**) და ახალ (**ცესიონერი**) კრედიტორს შორის: ძველი კრედიტორი თავისი მოთხოვნის უფლებას მოვალისაგან უთმობს ახალ კრედიტორს; ან კიდევ მინდობილობის გაცემა რომელიმე ძირითად ურთიერთობასთან (მომსახურება, ნარდობა და სხვა) არის დაკავშირებული. რაც შეეხება მინდობილობას, მისი ნამდვილობა დამოკიდებულია ამ ურთიერთობების ხასიათთან. აბსტრაქტული გარიგებები ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საწარმდგენლო

233. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, გვ. 311-312 გვ. 311-312.
234. ლ. ჭანტურია, დასახ. ნაშრ. გვ.312.
235. დამატ. იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე.; ბ. ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003, გვ. 191-199. ს. ჭეჭელაშვილი, სანივთო სამართალი, თბილისი, 2010, გვ. 217-274.

და საორდერო ფასიანი ქაღალდების დროს (**სსკ 8.925, 6.1**), როცა ეოქვათ საორდერო ქაღალდის მფლობელი უფლებამოსილია ხელმოწერილი დოკუმენტის (ეოქვათ ჩეკი და სხვა) ჩაბარების სანაცვლოდ გადახდა მოითხოვოს. აღნიშნული ხელმოწერილი დოკუმენტი მის მფლობელს უფლებას აძლევს საკრედიტო დაწესებულებიდან მიიღოს ფულადი თანხა ისე, რომ მიუხედავად იმისა, თუ რა სამართლებრივი საფუძველი უდევს მას – ნასყიდობა, ჩუქება და სხვა. ფასიანი ქაღალდის გამცემი თავისი ხელმოწერით ადასტურებს ფულის გადახდის თანხმობას ისე, რომ არ არის გამოკვეთილი ამგვარი გადაცემის მიზანი.

სამოქალაქო კანონმდებლობა იცნობს აგრეთვე **სასყიდლიან (სანაცვალგებო) და უსასყიდლო (უნაცვალგებო) გარიგებებს. სასყიდლიანი ისეთი გარიგებებია,** როცა ერთი მხარე ვალდებულია მეორე მხარის გარკვეული მოქმედების შესრულებისათვის. საპასუხო ეკვივალენტური შესრულება თანხით შეიძლება გამოიხატოს. მაგალითად, ნასყიდობა, ქირაენობა, ნარდობა, ლიზინგი და სხვა. **უსასყიდლო გარიგებებისას,** მართალია ვალდებული პირი გარკვეულ საპასუხო მოქმედებას ასრულებს, მაგრამ მას ფულადი კომპენსაცია არ ახლავს თან (მაგ; ჩუქება, თხოვება და სხვა). სასყიდლიანი ხელშეკრულებები ხშირ შემთხვევაში ორმხრივი (მრავალმხრივი) (სინალაგმატური) გარიგებებისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო უსასყიდლო-ცალმხრივი გარიგებებისათვის.

ცნობილია აგრეთვე **მავალდებულებელი და განკარგვითი გარიგებები. მავალდებულებელი გარიგებები** განსაკუთრებით გამოკვეთილია სამოქალაქო სამართლის მეოთხე წიგნში, სადაც მავალდებულებები გარიგების კლასიკურ მაგალითს ნასყიდობა წარმოადგენს, რომლის 477-ე მუხლის მიხედვით: „ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა მყიდველს გადასცეს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და

მიაწოდოს საქონელი". ან, კიდევ, **სამოქალაქო კოდექსის 531-ე მუხლის** მიხედვით, „ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი მოვალეა დამქირავებელს სარგებლობაში გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით. დამქირავებელი მოვალეა გამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა". ან კიდევ, **მ. 533,** „გამქირავებელმა უნდა გადასცეს დამქირავებელს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი".

„მავალდებულებელ გარიგებათა უმრავლესობა ორმხრივ ხელშეკრულებას წარმოადგენს, თუმცა გამონაკლის შემთხვევებში, გვხვდება ასევე ცალმხრივი მავალდებულებელი გარიგებანიც[236]"

განკარგვითი გარიგებები დამახასიათებელია ძირითადად სანივთო სამართლისათვის. ამ დროს ხდება სანივთო უფლების უშუალოდ გადაცემა, დატვირთვა, შეცვლა ან გაუქმება. მაგალითად, **სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის** თანახმად, „მოძრავ ნივთზე საკუთრების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი".

ნების გამოვლენა მარტოოდენ რიდია საკმარისი, რომ გარიგება შედგეს გვაძლევდეს, ამასთანავე საჭიროა, რომ „ნების გამოვლენა", რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა.

არსებობს გარიგებათა სხვაგვარი კლასიფიკაციაც. მაგ; ქონებრივი და არაქონებრივი და სხვა.

აქვე არ შეიძლება არ შევეხოთ **თანმყოფ და არათანმყოფ პირებს. თანმყოფია პირები,** რომლებიც ერთმანეთთან ფიზიკურად ახლოს იმყოფებიან, ვთქვათ ერთ ქალაქში, ან კიდევ დაშორებული არიან (სხვადასხვა ქალაქში არიან), მაგრამ კომუნიკაციის საშუალებებით (მობილური ფაქსი

236. გ. მარიამიძე, სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი, I ნაწილი, I გამოცემა, თბილისი, 2011, გვ. 60.

და სხვ.) ისინი ადვილად და დროის მოკლე ინტერვალში უკავშირდებიან ერთმანეთს. რაც შეეხება **არათანმყოფ პირებს,** ისინი ერთმანეთისაგან ფიზიკურად დაშორებულ მდგომარეობაში იმყოფებიან (ვთქვათ ქვეყნის სხვადასხვა წერტილებში, რომელთა შორის დაკავშირება ჭირს, კომუნიკაცია ძნელდება). **როგორ უნდა მოხდეს არათანმყოფი პირების შემთხვევაში დაკავშირება და გარიგების პირობებზე შეთანხმება?** თუ პირველ შემთხვევაში დროის ფაქტორი დიდ როლს არ თამაშობს, მეორე შემთხვევაში (არათანმყოფი პირებისათვის) წამოიჭრება დროის ფაქტორის საკითხი. **როდემდე უნდა ველოდოთ აქცეპტანტისაგან (თანხმობის მიმცემი პირი) პასუხს?** ბუნებრივია მთელი ცხოვრება ვერ დაველოდებით. აქ უნდა გამოვიყენოთ დებულება იმის შესახებ, თუ როდის მიუვა ოფერტი (წინადადება) მეორე მხარეს (ვთქვათ 1 თვეში (და როდის დაბრუნდება პასუხი მეორე მხარისაგან (ვთქვათ 1, 5 თვეში). გამოდის საშუალოდ 2,5 თვე.

ნების გამოვლენა და მისი განმარტება. „განმარტებანი გარკვეულ როლს თამაშობენ საკანონმდებლო ხარვეზების გამოსწორების საქმეში. ჯერ ერთი, ესაა ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრა განმარტებათა გზითაა შესაძლებელი და მეორე – ესაა ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრა მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილებებით თუ შეიძლება“[237]. დოქტრინის თანახმად, ნების გამოვლენა მისი გამოვლენის მომენტიდან არის ნამდვილი. აქ უნდა გამოვყოთ **სამი** შემთხვევა. კერძოდ: **1. ნების გამოვლენა** (პირმა გამოხატა ნება, ვთქვათ წერილი დაწერა), **2. ნების გაგზავნა** (პირმა გააგზავნა წერილი), მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს წერილის ადრესატამდე მისვლას და, 3. **ადრესატმა მიიღო ნება** (წერილი). აქვე განვმარტოთ ერთი პრობლემაც. **ადრესატისათვის ნების მისვლაა საკმარისი, რომ გარიგება შედგეს?**

237. ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, გვ. 232.

ცხადია არა. აქ კიდევ მთავარი და განმსაზღვრელია თუ როგორ მიიღო, როგორ აღიქვა პირმა ნება. ნების მიღების სხვადასხვა მაგალითები არსებობს სამოქალაქო სამართალში. ვთქვათ როგორ ღებულობს კონკრეტული პირი ნებას, პირადად, მოსამსახურის დახმარებით, ან თუნდაც „მოკითხვამდე“, ან კიდევ ზეპირად, ან წარმომადგენლის მეშვეობით, ასევე ნება ვთქვათ ჯერ ოჯახის წევრს გადაეცემა კონკრეტული ადრესატისათვის გადასაცემად და მერე ადრესატს. მაგრამ თუ ადრესატმა ნება არ მიიღო (წერილი არ მიიღო ან წაიკითხა, მაგრამ ნებას არ ღებულობს), ან აიძულეს ნების მიღებაზე (იძულებით ჩაუდეს წერილი ჯიბეში), ამ შემთხვევაში ნება მისულად არ ჩაითვლება. იმ შემთხვევაში, თუ პირი აგზავნის ნებას, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა, თუმცა ნება უკვე გაგზავნილია და დაუყოვნებლივ გააფრთხილებს (ნების მისვლამდე) ადრესატს, რომ ნება არ მიიღოს (ვთქვათ წერილში გამოთქმული აზრებს ის უკან იღებს), მაგრამ ადრესატი ღებულობს ნებას (კითხულობს წერილს) მოქმედებს **პრეზუმფცია, რომ ნება მისულად არ ჩაითვლება.** საინტერესოა შემთხვევაც, თუ პირმა გამოავლინა ნება (დაწერა წერილი), მაგრამ ვერ მოასწრო მისი გაგზავნა, ვთქვათ საწერ მაგიდაზე დარჩა, ნება ამ შემთხვევაში მისულად ჩაითვლება? არა. ნების გაგზავნისას აუცილებელია რომ ნების გამოვლენის სუბიექტმა განახორციელოს შესაბამისი მოქმედება. თუ ვთქვათ, მაგიდაზე დარჩენილი წერილი სხვა პირმა (ვთქვათ ოჯახის წევრმა) გააგზავნა, ნება მისულად მაინც არ ჩაითვლება. ან კიდევ ნება გამოვლენილად და მისულად არ ჩაითვლება თუ იგი გამოავლინა ქმედუუნარო პირმა (**სკ მ. 51, ნ.3**).

„შესაბამისად გასამიჯნია **მიღებასავალდებულო (მიღებააუცილებელი) და არამიღებასავალდებულო (არამიღებააუცილებელი) ნების გამოვლენის ნამდვილობა.** არამიღებასავალდებულო ნების გამოვლენა ნამდვილია მისი „გაცხადებისთანავე“, ანუ როდესაც დასრულებულია

სუბიექტური ნების ფორმირებისა და მისი ობიექტურად შეცნობად გამოხატვის პროცესი. მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა ნამდვილია „მისვლის“ მომენტიდან, როდესაც ადრესატს არსებული გარემოებების (მაგალითად, საფოსტო კავშირის ფუნქციონირების, სამუშაო საათების) გათვალისწინებით, აქვს მისი შინაარსის გაცნობის შესაძლებლობა. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს, გაეცნობა თუ არა იგი მას რეალურად“[238].

ერთ-ერთი აქტუალური საკითხი გარიგებების დადებისას ეს არის **ნების გამოვლენის განმარტების საკითხი.** „ნების გამოვლენის განმარტებაში „სიტყვასიტყვითი“ მნიშვნელობის მიღმა რეალური მნიშვნელობის დანახვა იგულისხმება. **სავინი მიუთითებს, რომ განმარტების მიზანია, „მკვდარ ასოებში ჩადებული ცოცხალი აზრი კვლავ აღდგეს ჩვენს წარმოსახვაში“.** იგი არ მიჯნავს ფრაზას მისი ავტორისაგან და მხედველობაში იღებს იმ გარემოებებსაც, რომლებშიც მოხდა ნების გამოვლენა.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ ვინ არის ნების გამომვლენი და თუ რა გარემოებებს შეეძლო გავლენა მოეხდინა მის მიერ შესაბამისი ფრაზის ფორმირებაზე. დასადგენია ის, თუ რა მნიშვნელობა შეეძლო მიენიჭებინა ნების გამომვლენს ცალკეული სიტყვისა თუ ფრაზისათვის კონკრეტულ ვითარებაში, ანუ როგორ მეტყველებს თუ წერს იგი, რა ტერმინოლოგიას იყენებს, რა სახის განათლება აქვს მიღებული და როგორ ფსიქიკურ მდგომარეობაში შეიძლებოდა ყოფილიყო ის ნების გამოვლენის მომენტში“[239]. ნების გამოვლენის განმარტებისას ლოგიკურად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველაფერი, რასაც ითვალისწინებს კონკრეტული ნების გამომვლენი და რაც ზეგავლენას ახდენს მისი ნების ფორმირებაზე.

238. დ. კერესელიძე, დასახ. ნაშრ; გვ. 243.
239. დ. კერესელიძე, დასახ. ნაშრ; გვ. 251.

ნების გამოვლენის განმარტებისას უნდა დადგინდეს, რომ ნება გონიერული განსჯის შედეგად უნდა განიმარტოს და არა არა მარტოოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან **(სსკ მ. 52). გერმანული სამოქალაქო კოდექსის თანახმად კი, (§133) „ნების გამოვლენის განმარტებისას უნდა დადგინდეს ნამდვილი ნება გამოთქმის სიტყვა-სიტყვით მნიშვნელობაზე გაჩერების გარეშე“.** გარიგების, როგორც კანონის განმარტებისას, ხდება ბუნდოვანი, საეჭვო აზრის დაზუსტება. მაგრამ, თუ კანონის განმარტებას ზოგადი ხასიათი აქვს, ე.ი. სავალდებულოა ან გამოიყენება ყველას, კერძო სამართლის სუბიექტების მიმართ და კანონის ბუნდოვანი ადგილების ერთიან გაგებას აყალიბებს, გარიგების განმარტებისას, ამ განმარტების მიზანი უფრო ეიწროა და მოიცავს მხოლოდ გარიგების დამდებ მხარეებს შორის ურთიერთობის გარკვევას. ამგვარ განმარტებას გარიგების ძალა მხოლოდ კონკრეტული გარიგების დამდები მხარეებისათვის აქვთ. გონიერულ განსჯას და არამარტო სიტყვა–სიტყვით აზრს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გარიგების განმარტებისას. მაგალითად, პირმა მეორე პირთან დადებული გარიგებისას გააკეთა დათქმა იმის შესახებ, რომ გამქირავებელს დამქირავებლის მიერ ქირა 1 ივნისისათვის უნდა მიეღო. გარიგება შედგა ზეპირად. დამქირავებელმა კი ეს დათქმა 1 ივლისად აღიქვა. აქ საინტერესოა ვისი ნება უნდა იქნეს გათვალისწინებული წამოჭრილი დავისას? ცხადია სასამართლომ გონიერული განსჯით უნდა გადაწყვიტოს როგორ გამოავლინა პირმა ნება და როგორ მიიღო იგი ნების გამოვლენის ადრესატმა (ან როგორ უნდა მიეღო, რომ გარიგების დამდებ მხარეთა შორის დავა არ წამოჭრილიყო).

ნების გამოვლენის ადრესატმა უნდა შეეცადოს ისე შეიმეცნოს ნების გამომვლენის ჭეშმარიტი ნება, რომ ჯერ ერთი ეს იყოს კეთილსინდისიერად გამოვლენილი, რამეთუ ნების მიმღებს დისკომფორტი არ შეექმნას ნების სწორ მიღებაში.

სამოქალაქო კოდექსი, გარიგების განმარტებისას (რომელიც გარიგების ნებისმიერ სახეს ეხება), გარიგების განმარტების გარდა იცნობს აგრეთვე კონკრეტულად **ორმხრივი გარიგების (ხელშეკრულების) განმარტების** ნორმებსაც, კერძოდ, რომელიც ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილშია მოთავსებული. ესენია **სსკ მ. 337-340,** რომლებიც ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამების განმარტებას (უპირატესობა ენიჭება ხელშეკრულების დამდები მხარეების საცხოვრებელ ადგილს), ხელშეკრულების შინაარს (ურთიერთგამომრიცხავი და მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამები), შერეულ ხელშეკრულებებს, საჯარო ტრადიციებს და ჩვეულებებს და სხვებს ეხებიან[240].

ნების გამოვლენის განმარტებისას, ყველა გარიგება კი არ უნდა მივიღოთ მხედველობაში, არამედ მხოლოდ ისინი, რომლებიც ამ გარიგებებთან უშუალოდ დაკავშირებულია. მაგ; ადგილი, დროის ფაქტორი გარიგებების დადებისას. მაგ; ცნობილი კინოფილმიდან „მიმინო", როცა მიზანდარი საზღვარგარეთიდან საქართველოში, თელავში რეკავს და ტელეფონისტი მას ისრაელს, თელ-ავივს აკავშირებს. გადაიხადოს უნდა თუ არა ამ შემთხვევაში სატელეფონო საუბრის თანხა მიზანდარმა? აი კითხვა, რომლის პასუხიც **სსკ 52-ე მუხლმა** უნდა გახსნას. ცხადია, მიზანდარს, ვთქვათ თბილისიდან რომ შეეკეთა თელავი, პრობლემაც არ იარსებებდა, მაგრამ კითხვა ჩნდება, როგორ გაეგო ევროპელ ქალს, რომ პატარა სახელმწიფოში შეიძლებოდა ქალაქი თელავი არსებულიყო (გაუგებრობა ქალაქების სახელწოდების მსგავსებამ გამოიწვია). მაგრამ ალბათ მასაც უნდა დაეზუსტებია სატელეფონო შეკვეთის შინაარსი, რადგან უცხოელი იძლეოდა შეკვეთას. ე.ი. აქ სამართალშემფარდებელმა დავის შემთხვევაში უნდა გაარკვიოს პრობლემა,- რა სურდა ნების გამომქმელს (მი-

240. დამატ. იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი, 2001, გვ. 154-175; ნ. იოსელიანი, ხელშეკრულების განმარტება, 2008.

ზანდარს) და როგორ უნდა მიეღო ეს ნება მის მიმღებს (ევროპელ ტელეფონისტ ქალს). გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება აზრს (იმ მრავალი თეორიიდან, რომელიც კი ჩამოყალიბებულა **სსკ 52-ე მუხლის** განმარტების შემთხვევაში), რომელიც ნების მიმღებს შეეძლო წარმოშობოდა და უნდა წარმოშობოდა კიდეც. ნების მიმღებს მხოლოდ ისე შეეძლო მიეღო ნება, როგორც იმ კონკრეტულ სიტუაციაში ნებისმიერი ანალოგიურად მიიღებდა მას? მაშინ ნების გამომვლენსაც ისეთივე მნიშვნელობით უნდა გაეგო ნება, როგორც ეს ნების მიმღებმა მიიღო. ერთი სიტყვით, რამდენი თეორიაც არ უნდა არსებობდეს გარიგების დადების დროს ნების გამოვლენის განმარტებისას, არსებითია რომ მისი განმარტებისას გონივრული განსჯაა მთავარი და არა მხოლოდ გამოთქმის სიტყვა-სიტყვითი აზრი.

აქვე არ შეიძლება არ შევეხოთ **ხელშეკრულებათა განმარტების საკითხსაც,** თუმცა ამ თემატიკის ირგვლივ ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში იქნება საუბარი[241] და ჩვენ რადგან ნების გამოვლენის განმარტებაზე ვსაუბრობთ და ნება ორმხრივი გარიგებების, ხელშეკრულებების დადების დროსაც ვლინდება, ბუნებრივია არ

241. რაც შეეხება ხელშეკრულებას, როგორც ორმხრივ გარიგებას, გერმანული სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში, განყოფილება I, ტიტული III –ში აქვს ადგილი დადებული, სადაც საუბარია ოფერტით ბოჭვაზე, ოფერტის გაუქმებაზე, აქცეპტის ვადაზე, დაგვიანებით მიღებულ აქცეპტზე, აქცეპტის სანოტარო წესით დამოწმებაზე, ხელშეკრულების დადებაზე აუქციონით ვაჭრობისას, ხელშეკრულების განმარტებაზე და სხვ. ქართულ სამოქალაქო კოდექსში კი ხელშეკრულებათა განმარტებაზე ვალდებულებით სამართალშია საუბარი. აქვე შევნიშნავთ, რომ თუ ქართულ სამოქალაქო კოდექსში ოთხი მუხლი ეხება ხელშეკრულების განმარტებას (მ. 337-340), გერმანულ სამოქალაქო კოდექსში მას მხოლოდ ერთი პარაგრაფი არეგულირებს (§157), რომლის თანახმად, „ხელშეკრულებები განმარტებულ უნდა იქნეს კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე სამოქალაქო ბრუნვის ჩვეულებების გათვალისწინებით". დამატ. ხელშეკრულების განმარტების შესახებ გერმანული სამოქალაქო კოდექსის § 157-ის შესახებ იხ. Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 162-166.

შეიძლება ორიოდ სიტყვით აქ არ ვისაუბროთ ამ საკითხის ირგვლივ. „ხელშეკრულების განმარტების აუცილებლობა წარმოიშობა ყოველთვის, როცა მხარეთა გამონათქვამები ბუნდოვანია, ან მათ შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობა მიენიჭოთ. ამგვარი რამ ცხოვრებაში არც თუ იშვიათად ხდება. ამიტომ მოსამართლემ ხელშეკრულებათა განმარტებისას უპირატესობა უნდა მიანიჭოს იმ გამონათქვამებს, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამებიან ხელშეკრულების შინაარს“ **(სსკ მ.338)**[242]. ხელშეკრულებების განმარტებისას სამოქალაქო სამართალში ასევე სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციებიც გამოიყენება **(სსკ მ.339)**, რომლებიც წარმოიშობა სამეწარმეო საქმიანობის კონკრეტული დარგის ფარგლებში ვაჭრობაში, მშენებლობაში და ისინი არ წარმოადგენენ სამართლის წყაროს. სიტყვა „სავაჭრო“ როდი ნიშნავს იმას, რომ იგი მხოლოდ ვაჭრობის სფეროში გამოიყენება და მოიცავენ სამეწარმეო საქმიანობის სხვადასხვა დარგს. „იმისათვის, რომ ესა თუ ის წესი სავაჭრო ჩვეულებად და ტრადიციად ჩაითვალოს, აუცილებელია რომ იგი გამოიყენებოდეს დროის განსაზღვრულ პერიოდში აღიარებულ უნდა იყოს ყველა მონაწილის მიერ და ფაქტობრივად ხორციელდებოდეს კიდეც“[243]. სავაჭრო ჩვეულებებს და ტრადიციებს ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრისას ენიჭებათ დამატებითი მნიშვნელობა და ხელშეკრულების მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული **(სსკ 339-ე მუხლი)**. როგორც აღვნიშნეთ, სავაჭრო ჩვეულება არ წარმოადგენს სამართლის ნორმას და ბუნებრივია იგი კანონს ვერ შეცვლის. მაგრამ დისპოზიციურ ნორმებთან შედარებით სავაჭრო ჩვეულებებსა და ტრადიციებს უპირა-

242. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი, 2001, გვ. 163; ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999.

243. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გვ. 166.

ტესობა ენიჭება, გამომდინარე იქედან, რომ თუ მხარეებმა დადეს ხელშეკრულება და გამორჩათ რაიმე საკითხის მოსაწესრიგებლად, დაეისას ჯერ გამოიყენება სავაჭრო ჩვეულება ან ტრადიცია, ხოლო შემდეგ კანონის დისპოზიციური ნორმა.

„ხელშეკრულების მონაწილეები მხარეთა ავტონომიური, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე დებენ ისეთ ხელშეკრულებებსაც, რომლებიც ხელშეკრულებათა ერთ სახეს არ განეკუთვნებიან. ანუ, ერთი ხელშეკრულება (ვთქვათ ნასყიდობა) ასევე შეიცავს გადაზიდვის, მომსახურების, ან კიდევ ნარდობის ელემენტებს. ერთი სიტყვით, ადგილი აქვს ხელშეკრულებათა კომბინაციას, მხარეები კი იგიეეა. ხელშეკრულებათა ამ კომბინაციის რომელიმე სახის ხელშეკრულების შეუსრულებლობას ბუნებრივია შეიძლება მოჰყვეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, ან კიდევ დაზიანებული ნივთის გამოცვლა, შეკეთება და სხვა. **ბუნებრივია ისმის კითხვა. ხელშეკრულებათა კომბინაციიდან ერთ-ერთის შეუსრულებლობის შემთხვევაში, დანარჩენი ყველას მიმართ უნდა იქნეს გამოყენებული კონკრეტული, ერთნაირი სანქცია და ხელშეკრულება მთლიანად ბათილია?** ალბათ სწორი იქნებოდა, რომ ხელშეკრულებათა ეს კომბინაცია დაგვეყო ცალკეულ ხელშეკრულებებად და თითოეულის მიმართ გამოგვეყენებინა შესაბამისი ხელშეკრულების დამარეგულირებელი ნორმები, ან კიდევ, მთლიანი ხელშეკრულების მიმართ გამოგვეყენებინა ხელშეკრულების ერთი ტიპი, რომელიც ამ კომბინაციაში დომინირებს. ხელშეკრულების ერთი ნაწილის შეუსრულებლობამ არ უნდა გამოიწვიოს მთლიანი შერეული ხელშეკრულების ბათილობა და მისი მოშლა, მაგრამ თუ ეს ნაწილი იწვევს ხელშეკრულების შეუსრულებლობას, მაშინ ბუნებრივია დაშვებულია მთლიანი ხელშეკრულების მოშლაც. თუმცა ვფიქრობთ მისი ნამდვილობა-ბათილობის საკითხი კრედიტორს უნდა მიეან-

დოთ. საინტერესოა ასევე ნების გამოვლენათა განმარტება, რომელიც პირთა განუსაზღვრელი წრისადმია მიმართული **(სსკ მ.329.)**. ცხადია ამ კონკრეტულ შემთხვევაში ძნელია ყველა შესაძლო პირის აღქმის უნარის გათვალისწინება, ამ შემთხვევაში ასეთი ნების განმარტებისას ამ ურთიერთობის საშუალო მონაწილის აღქმის უნარი უნდა იქნეს გათვალისწინებული.[244]

ცალმხრივი წესით ნების გამოვლენისას (ვთქვათ ანდერძისას) უნდა დაზუსტდეს გამოვლენილი ნების ნამდვილობა (ხომ არ ჰქონია ადგილი ანდეძის შედგენისას მოანდეძის მიმართ ძალდატანებას). აქ გადამწყვეტია ნების გამომვლენის ნება და მისი მიმღების ნება. ამ შემთხვევაში ანდერძის განმარტების თავისუფლება მდგომარეობს იმაში, რომ ანდერძის ტექსტი სრულ შესაბამისობაში უნდა იქნეს განმარტებული, ანუ კონკრეტულად რა აზრი ჩააქსოვა მასში მოანდერძემ.

სასამართლო პრაქტიკაში ხშირად გვხვდება საეჭვო მდგომარეობა გარიგებების დადებისას. ამ დროს მოსამართლე „გულის კარნახით" მოქმედებს, თავის გადაწყვეტილებას შინაგან რწმენაზე ამყარებს, ზოგჯერ კი ნორმატიულადაა განსაზღვრული თუ ვის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს საეჭვო მდგომარეობა. სამოქალაქო კოდექსში ხშირად ვხვდებით ტერმინს **„საეჭვოობისას"**. მაგალითად, **სსკ მ. 386:** „შესრულების ადგილის საეჭვოობისას ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს კრედიტორის ადგილსამყოფლის (საცხოვრებელი ადგილი, ან იურიდიული მისამართი) მიხედვით".

„გარიგება არ არსებობს, თუ არც გარეგნული გამოხატვიდან და არც სხვა გარემოებებიდან არ შეიძლება ზუსტად დადგინდეს გარიგების შინაარსი **(სსკ მ. 53)**. აქ, ამ შემთხვევაში აქცენტი **გარიგების ფორმაზეა** გადატანილი.

---

244. ი. ხარაზი, დასახ. ნაშრ., გვ. 234-235.

გარიგების დადებისას გარიგების დამდები მხარეების ნება ნათლად და გარკვეით უნდა გამოიხატოს, ანუ ცხადად ჩანდეს გარიგების შინაარსი და არა ისე, როგორც ეს ცალკეული გარიგებების შემთხვევაშია: ვერ გაიგებ მხარეებმა ჭირავნობა დადეს თუ იჯარა. **53-ე მუხლს** პრეევენციული ფუნქცია აკისრია და გარიგების მხარეებს აცალდებულებს ნება კანონით დადგენილი ფორმის დაცვით გამოავლინონ.

დუმილი და კონკლიუდენტური მოქმედებაც შეიძლება მივიჩნიოთ გარიგების დადების საფუძვლად. **დუმილი** გარიგების დადების სპეციფიკური ფორმაა. მას სამართლებრივი შედეგები უკავშირდება. ხშირ შემთხვევაში კანონი პირდაპირ ითვალისწინებს დუმილის მეშვეობით გარიგების დადების სამართლებრივ შედეგებს. მაგალითად, **335-ე მუხლი,** სადაც აღნიშნულია, „თუ მეწარმე, რომელსაც უხდება სხვა პირთა საქმიანი ოპერაციების შესრულება, მიიღებს ოფერტს ამგვარი საქმეების შესრულებაზე იმ პირისაგან, რომელთანაც იმყოფება საქმიან ურთიერთობებში, მაშინ ის ვალდებულია გონივრულ ვადაში უპასუხოს ამ წინადადებას; მისი დუმილი ჩაითვლება აქცეპტად".

ნების გამოვლენის შემთხვევაა აგრეთვე **კონკლიუდენტური მოქმედების განხორციელება,** მაგალითად, პირი ჩადის მეტროში, ადის ავტობუსში, შედის სუპერმარკეტში, იხდის მგზავრობის, პროდუქტის საფასურს, ისე, რომ მას სიტყვებით გამოხატულება ნების გამოვლენისას არ უწევს, იგი **„ჟესტიკულაციების", გარკვეული მოძრაობების** საშუალებით დებს გარიგებას. მაგრამ თუ პირმა არ გადაიხადა ვთქვათ მგზავრობის, ნაყიდი საქონლის საფასური, მაშინ ჩვეულებრივ მის წინააღმდეგ სამართალი ამოქმედდება.

„ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობრივ ნორმებს" **(სსკ მ.54).** „დებულება - ბათილია დადგენილი წესისა და აკრძალვების დარღვევით დადებული გარიგებანი-ბათილობის საერთო ცნების გა-

შემხატველი დებულებაა. აქ ერთის მხრივ მხედველობაშია, როგორც ყველა ის გარიგება, რომელსაც გააჩნია ბათილობის კანონით განსაზღვრული საერთო საფუძველი (მაგალითად, მოტყუებით, ძალადობით, ცდომილებით და ა. შ. დადებული გარიგებანი), ისე ცალკეული გარიგებებისათვის დამახასიათებელი სპეციალური საფუძვლები. მაგალითად, მოტყუება ზოგადად არღვევს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპს და ამდენად კანონით დადგენილ წესსაც ეწინააღმდეგება, მაგრამ იგი ბათილობის დამოუკიდებელი საფუძველია, როგორც ნების გამოვლენის ნაკლის გამო[244]". მაგალითად, **სსკ მ. 320** ბათილად მიიჩნევს ხელშეკრულებას, რომლითაც ერთი მხარე კისრულობს ვალდებულებას, მთელი თავისი მომავალი ქონება ან ამ ქონების ნაწილი გადასცეს სხვას, ან უზუფრუქტით დატვიროთოს იგი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხელშეკრულება დადებულია მომავალი ქონების ცალკეულ ნივთებზე".

„სამოქალაქო კოდექსში მორალურ იმპერატივებთანაა დაკავშირებული საჯარო წესრიგის ცნება". ქართულ სამართალში ცნების „საჯარო წესრიგის" შემოღება ფრანგულ სამართალს უკავშირდება". საჯარო წესრიგის ცნებაში სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპები მოიაზრება. საჯარო წესრიგის დარღვევით ასევე ილახება არა მარტო სამოქალაქო ბრუნვის კონკრეტული მონაწილის, არამედ ზოგადად სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესი. ასევე საჯარო წესრიგის დარღვევა უარყოფს სხვადასხვა პრინციპულ სამართლებრივ ფასეულობებს, რაც მხარეთა თავისუფლების შეზღუდვაში გამოიხატება. საჯარო წესრიგის დარღვევით ილახება საკუთრების, ხელშეკრულებების, მეწარმეთა თავისუფლების პრინციპები. **სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილმა სამოქალაქო**

244. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 177.

კოდექსში პირველად 54-ე მუხლით დადგენილი ფასეულობანი პირველად გააჟღერა, რომ „ჩვეულებანი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ან საჯარო წესრიგს". საჯარო წესრიგის დადგენილი პრინციპების გადახვევისაგან ნორმის ბათილობას იწვევენ სანიეთო-სამართლებრივი, ვალდებულებით-სამართლებრივი და საოჯახო-მემკვიდრეობითი სამართლის შესაბამისი ნორმები. მაგალითები: ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობის შემთხვევებს ითვალისწინებს **სამოქალაქო კოდექსის 347-348** მუხლები, ან კიდევ, თუ პირი გასცემს სესხს და მსესხებელს უყენებს პირობას, რომ სანამ იგი სესხს არ გადაიხდის, ვერ გადავა ახალ სამუშაოზე, არ აიღებს სესხს სხვა პირისაგან და სხვა, ან კიდევ, ქორწინების აკრძალვა პირისათვის, რომელიც დაქორწინების თავისუფლებას უსპობს პირს,—იგი ზნეობის საწინააღმდეგო გარიგების ნიმუშადაც შეიძლება გამოდგეს. კიდევ მეტიც, აუკრძალო პირს რელიგიური, ეთნიკური და ა.შ. წარმოშობის გამო არ იქორწინოს სხვა მრწამსის, სოციალური ჯგუფის, ეთნიკური წარმოშობის პირთან, ასევე კომერციულმა ბანკმა, რომელიც სესხს გასცემს კონკრეტულ პირზე,— აუკრძალოს კრედიტის ამღებს სხვა საკრედიტო დაწესებულებისაგან სესხის აღება.

კანონი კრძალავს **ზნეობის** საწინააღმდეგოდ დადებულ გარიგებასაც. საზოგადოების ზნეობრივი ნორმები ღრმა წარსულიდან მოდის და ყოველი საზოგადოების განმსაზღვრელ, მისთვის შინაგან და დამახასიათებელ პრინციპებს ემყარებოდა. ყველა საფეხურის საზოგადოებას მისი განვითარების დონის ხასიათის მიუხედავად, საკუთარი ზნეობრივი ღირებულებები გააჩნია და რომლის დაცვაც ის თავის წევრებს ხშირ შეთხვევაში იმპერატიულად სთხოვს.

„ზნეობის საძირკველზე აღმოცენებულ-დაფუძნებული

უფლებები, მათი წარმოშობის შემდეგაც, თავდაპირველ წყაროსთან არიან მიბმული. აქ არა გვაქვს ის ტრადიციული შემთხვევა, როდესაც ხელშეკრულების საფუძველზე გაჩენილ საკუთრებას აღარაფერი აკავშირებს ამ ხელშეკრულებასთან. ზნეობრივ იმპერატივებზე აგებული საკუთრება კვლავაც მისი გამჩენის კონტროლის ქვეშ რჩება[245]". საინტერესო საქმე განიხილა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ **სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლთან** დაკავშირებით, კერძოდ, კონსტიტუციური სარჩელის შემტანი მოსარჩელე არაკონსტიტუციურად მიიჩნევდა ამ მუხლში მიჩნეულ დებულებებს, რომ: **1. „ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ. 2.თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ. 3. ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოებების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს".** მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ ნაჩუქრობის გზით დასაჩუქრებული ნაჩუქარი ნივთის მესაკუთრე ხდებოდა და **529-ე მუხლი კონსტიტუციის 21-ე მუხლთან** გარანტირებული საკუთრების უფლებასთან სრულ შეუსაბამობაში მოდიოდა. საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი სხვადასხვა პრინციპული გარემოებების გამო და აღნიშნა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სამართალი ყველაზე ძლიერადაა შებოჭილი ზნეობით, კერძოდ, „მჩუქებლის უფლება, უკან დაიბრუნოს ქონება, ჩუქების ურთიერთობის მაღალი ზნეობრივი ხასიათითაა განპირობებული. ნაჩუქრობა ისტორიულად ჩამოყალიბდა, როგორც ზნეობრივ საძირკველზე დაფუძნებული ურთიერთობა... ნაჩუქრობა სამართლისა და ზნეობის ურთიერთკავშირის იდეალურ გა-

245. ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, 2005, გვ. 29.

მოვლინებას წარმოადგენს. აქ ეთიკურ-ზნეობრივი იმპერატივებითაა დატვირთული მთელი ურთიერთობა მისი წარმოშობიდან გაუქმების მომენტის ჩათვლით. ამიტომაცაა, რომ მჩუქებლის მიერ ქონებრივი სიკეთის უსასყიდლოდ გადაცემა პირდაპირ ენასკვება დასაჩუქრებულის მარიალია არა სამაგიერო, მაგრამ ზნეობრივი ქცევის ვალდებულებას... სასამართლო გადაწყვეტილებისას გამოჩნდა, რომ საკუთრების უფლება როგორც ფასეულობა, შეიძლება აღემატებოდეს საზოგადოების ზნეობრივ ფასეულობებს. უზომოდ უზნეო იქნებოდა ეს საკუთრება, კანონმდებელს მისი შენარჩუნებისათვის მხარი რომ არ დაეჭირა... ჩუქების გაუქმებით ამ შემთხვევაში, სამართალი ასრულებს ზნეობრივ ფასეულობათა მხარდაჭერისა და დაცვის ფუნქციას[246]".

მორალის (ზნეობის) ნორმები კოდიფიცირებული არიან, ამიტომ ხშირ შემთხვევაში ძნელი დასადგენი ხდება კონკრეტულად რომელ ზნეობრივ ნორმებს ეწინააღმდეგება გარიგება. მოსამართლე კონკრეტული დავების განხილვისას უნდა ამოვიდეს იქედან, რომ მოუხმოს არა მარტო **„სახალხო მორალის ნორმებს"**, არამედ ამა თუ იმ სოციალური წრისათვის მიღებულ მორალურ (ზნეობრივ) ნორმებსაც. ანტიზნეობრივი გარიგება, ხშირ შემთხვევაში ანტიკანონიერიცაა. განა უზნეო არ არის იმ სრულწლოვანი პირის ქცევა, რომელიც არასრულწლოვანს მათხოვრობისაკენ, ქურდობისაკენ, სხვა ამორალური საქციელისაკენ უბიძგებს საკუთარი მატერიალური ინტერესებიდან გამომდინარე. ასეთი და მსგავსი გარიგებანი, რომლებიც ერთდროულად კანონსაც და მორალურ ნორმებსაც არღვევს, სასამართლომ უნდა გააბათილოს. ტიპიურ ნორმებს მოიცავს აგრეთვე კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებიც. მაგალითად, **BGB-ს §138 „ამორალური გარიგება; მეგახშეობა"** თქვის, **რომ (1)** გარიგება, რომელიც ეწინააღმ-

246. უფრო დაწვრ. იხ. ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, გვ. 28-31.

დეგება ზნეობრივ ნორმებს, ბათილია". მეორე ნაწილში კი აკონკრეტებს გერმანული კოდექსი, რომ „კერძოდ, ბათილია გარიგება, რომლითაც პირი სხვა პირის მძიმე მდგომარეობით, გამოუცდელობით, გონიერული განსჯის უუნარობით ან ნების მნიშვნელოვანი სისუსტით აიძულებს ამ უკანასკნელს ვალდებულების შესრულების მოქმედების სანაცვლოდ მისადმი ან მესამე პირისადმი ქონებრივი სარგებლის შეპირებას ან შესრულებას, რომელიც აშკარად არაპროპორციულია ვალდებულების შესრულებისა". „მთელ მსოფლიოში კანონის და კეთილი ზნისადმი დაპირისპირება ითვლება დარღვევად, რასაც მივყავართ ხელშეკრულების ბათილად აღიარებამდე. ამიტომ ანგლო-ამერიკულ და რომანულ სამართლებრივ სისტემებში ეს პრობლემა განიხილება სახელშეკრულებო სამართლის ჩარჩოებში. კანონის და კეთილი ზნის დარღვევას მხოლოდ გერმანიაში შეიძლება მოჰყვეს ყველა სახის სამართლებრივი გარიგების გაბათილება. შეეიცარული სამართალი იტალიურთან ერთად პრაქტიკულად იგივე შედეგს აღწევს. თუმცა ფორმალურად ბათილობა მხილოდ ხელშეკრულების უფლებას ეხება"[247].

არ შეიძლება აქ არ მოვიყვანოთ პროფ. ბ. ზოიძის მოსაზრება ზნეობასთან მიმართებაში: „სამართალს ვერ შეეაყვარებთ ხალხს, თუ იგი ზნეობასთან მიმართებაში მუდამ დამცირებულ მდგომარეობაში გვეყოლება. არ შეიძლება ადამიანებს მარტო ის სწამდეთ, რომ სამართალი ზნეობის მინიმუმია, როგორც ამას ამტკიცებდა ცნობილი გერმანელი იურისტი გეორგ ელინეკი... კანონმდებელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ იგი არ უნდა დაუპირისპირდეს აღიარებულ ზნეობრივ ფასეულობებს. ასეთი დაპირისპირება საფრთხეს შეუქმნის თვით ადამიანის არსებობას, ვინაიდან **არ შეიძლება არსებობდეს ადამიანი, როგორც მარ-**

247. კ. ცვაიგერტი, ჰ.კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში. ტომი II, 2001. გვ. 65-66.

ტოდენ სამართლებრივი სუბიექტი... სამართლის ქმნადობის პროცესი ისე უნდა ავაწყოთ, რომ იგი საზოგადოების სასიცოცხლო ზნეობრივ ფასეულობებს დირეგად (ბოძად) ედგეს და ძირს არ უთხრიდეს მას[248].

გარიგების დადების თავისუფლება სამოქალაქო ბრუნვის უმთავრეს ფასეულობას წარმოადგენს. აკი, კიდეც გვეუბნება სამოქალაქო კოდექსის **319-ე მუხლი,** რომ კერძო სამართლის სუბიექტებს ხელშეკრულების დადება თავისუფლად შეუძლიათ და ასევე ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრაშიც კანონის ფარგლებში ისინი თავისუფალი არიან ნების გამოვლენაში. ეს კი ბუნებრივია, ზოგადად გარიგების დადების თავისუფლებასაც გულისხმობს, თუ არ გამოერიცხავთ ზოგიერთ მუხლებს სამოქალაქო კოდექსიდან **(მაგ; მ.183).** მაგრამ სამოქალაქო კანონმდებლობა იცნობს მუხლებს, რომლებიც ბათილია მისი კანონთან შეუსაბამობის გამო და სწორედ ერთ-ერთ ასეთ მუხლს წარმოადგენს **მ.55 („გარიგების ბათილობა ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამო").** აღნიშნული მუხლი ჩამოთვლის იმ სამართლებრივ შემთხვევებს, რომლის დარღვევისას გარიგება ბათილად ჩაითვლება. მუხლის თანახმად, **„ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როცა მათი ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე." საინტერესოა კანონმდებელი ამ შემთხვევაში როგორ უდგება აღნიშნული მუხლით გარიგების ბათილობის საკითხს? რა ფაქტორი უნდა ამოქმედდეს, რომ გარიგება გაბათილდეს?** ამ მუხლის კომენტირებისას ჩვენ გამოვყოფდით განსაკუთრებული **ნდობის ფაქტორის** როლს სამართალში, რომელიც ცხადია ნებისმიერი საზოგადოების არსებობის დედაბოძია. გარიგების დამდები მხარეები უნდა ენდობოდნენ ერთმანეთს, ისე უნდა იქცეოდნენ, რო-

248. ბ. ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, გვ. 139-140.

ფორც კუთილსინდისიერი პარტნიორები, თანასწორები მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების განსახღვრისას. ანუ მოქმედებს პრინციპი: **თუ ენდობი ესე იგი გწამს!** მაგრამ ყოველთვის რომ ასე არაა. მხარეები ხშირ შემთხვევაში იყენებენ თავიანთ საბაზრო ძალაუფლებას, რომ თავიანთი უპირატესობა, მონოპოლიური მდგომარეობა შეიქმნან. კი ბატონო! თუკი არავის სურს კონკრეტული საქმის წამოწყება (მაგ; სახღვარგარეთიდან გარკვეული სახის პროდუქციის იმპორტი) და შენ გაქვს კანონიერად მონოპოლიური მდგომარეობა, მაგრამ ეს როდი გაძლევს უფლებას საბაზრო ძალაუფლება სხვების დასათრგუნად გამოიყენო და კონტრჰაგენტს შესთავაზო ხელშეკრულების შეუსაბამო პირობები. ბუნებრივია თავისუფალი კონკურენცია დაშვებულია,მაგრამ არაკონკურენტულია სხვების უკანონოდ „ჩაწიხლვის“ ხარჯზე. აღნიშნულ მუხლს ამაგრებს აგრეთვე, **319-ე მუხლის მეორე ნაწილი,** სადაც აღნიშნულია, რომ თუ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს უკავია დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე, მაშინ საქმიანობის ამ სფეროში მას ეკისრება ხელშეკრულების დადების ვალდებულება. მას არ შეუძლია კონტრჰაგენტს უსაფუძვლოდ შესთავაზოს ხელშეკრულების არათანაბარი პირობები. ან კიდევ, **მ. 319-ის მე-3 ნაწილი,** რომელიც იმ პირებს ეხება, რომლებიც სამეწარმეო მიზნებისათვის ან საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იძენენ ან სარგებლობენ ქონებითა და მომსახურებით. ასეთ პირებზე დაუსაბუთებელი უარისთქმა ხელშეკრულების დადებაზე დაუშვებელია, თუკი ხელშეკრულების მეორე მხარე მოქმედებს თავისი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში. თუ რა მიიჩნევა მხარის მძიმე მდგომარეობად, ეს სასამართლო პრაქტიკის შეფასების საკითხია. მხარის მძიმე მდგომარეობა სხვადასხვა **სუბიექტურ-ობიექტური ფაქტორებით** არის გამოწვეული. მაგ; პირის ავადმყოფობა, რომელიც იძულებულია მაღალ ფასად იყიდოს წამალი, რომელსაც წამლის გადამყიდველი

სთავაზობს, ან კიდევ, ბაზარზე ფასების მკვეთრი ხელოვნური ზრდა, რაც ეწინააღმდეგება საბაზრო წესრიგის პირობებს და სხვა.

მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებები, რომლებიც სსკ 56-ე მუხლშია მოცემული ანალოგიურია გერმანული **BGB-ს 117 პარაგრაფისა**[249] **(მოჩვენებითი გარიგება).** მუხლის პირველი ნაწილის შემთხვევაში, **„თუ ნების გამოვლენა, რომელიც მიმართული უნდა იყოს მეორე მხარისაკენ, ამ უკანასკნელის თანხმობით გაკეთებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, მაშინ ბათილია“. ხოლო მე-2 ნაწილით, „თუ მოჩვენებითი გარიგებით იფარება სხვა გარიგება, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი ნორმები“.** მუხლის ორივე ნაწილის შემთხვევაში ცხადია ადგილი აქვს ფიქტიურ გარიგებებს. ორივე ნაწილს აეროიანებს ის გარემოება, რომ არც ერთ შემთხვევაში ნების გამოვლენა არ შეესაბამება მხარეთა ნამდვილ ნებას. აღნიშნული ტიპის გარიგებები იღება იმ შემთხვევაშიც, როცა ერთერთი მხარე ცდილობს „ჩაფიქრებული მიზანი“, რომელიც კანონსაწინააღმდეგოა, დამალოს მისი ბათილობის შიშით და მოსაჩვენებლად,– არამართლზომიერი მიზნების მისაღწევად დებს კანონსაწინააღმდეგო გარიგებებს. მაგალითი: **ა-ს** ჰქონდა **ბ-ს** ვალი და ვალის უზრუნველსაყოფად გამოიყენებოდა **ა-ს** მოძრავ ნივთზე გირავნობის უფლება. **ა** **ბ-ს** თანხმობით იყენებდა ნივთს საჭიროებისამებრ. ვალის გადახდის დროის მოსვლისას, **ა-მ,** რომელიც ვერ იხდიდა **ბ-ს** ვალს, გამოუცხადა ბ-ს, რომ ნივთი დაკარგა და „ვითომ“ ძებნა დაიწყო. ფაქტიურად მან ნივთი გადამალა, ან კიდევ მეორე ვარიანტი: ნივთი სხვას „მიჰყიდა“. ფაქტიურად არავისთვის არ მიუყიდია, კრედიტორის მოსაჩვენებლად „ვითომცდა“ დადო ნასყიდობის ხელშეკრულება. სესხის

249. დამატ. იხ. Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 87-88.

ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, გამსესხებელმა (ბ-მ) მოითხოვა სესხის დაბრუნება, რაზედაც მსესხებელმა (ა-მ) განაცხადა, რომ სესხის გადახდა არ შეეძლო. მაშინ ბ-მ მოითხოვა ნივთის მისთვის გადაცემა სარეალიზაციოდ, რათა ამ გზით დაებრუნებინა ფული. ისმის კითხვა: უნდა დააბრუნოს თუ არა მესამე პირმა ნივთი, რომელმაც არაფერი არ იცოდა სესხის ხელშეკრულების დადებისა და მსესხებლის „თაღლითობის“ შესახებ? მესამე პირი ხომ კეთილსინდისიერი შემძენია, რომელმაც არაფერი არ იცოდა მოჩვენებითი გარიგების შესახებ, ამიტომ იგი არაა ვალდებული ნივთის დაბრუნებაზე, მან ნივთზე საკუთრების უფლება მოიპოვა, ხოლო მსესხებელი ყველა შემთხვევაშია ვალდებული სესხის დაბრუნებაზე. მოჩვენებით დადებული გარიგების საილუსტრაციოდ შეიძლება ასეთი მაგალითის მოტანა: კომპანიონი საწარმოები ერთმანეთს შორის დებენ ისეთ ხელშეკრულებებს, რომ ხარჯები წარმოებისა გაზარდონ, რათა შეამცირონ სახელმწიფოსათვის გადასახადი თანხის ოდენობა. ცხადია მხარეთა ასეთი სახით დადებული გარიგება მოჩვენებითია და ბათილობას ექვემდებარება, ხოლო ბათილობა კი იმავდროულად სანქციის სხვადასხვა სახეებს წარმოშობს (მაგ: ზიანის ანაზღაურება, ჯარიმა, შეიძლება სისხლის სამართლის პასუხსმგებლობაც საწარმოს ხელმძღვანელთა მიმართ).

მოჩვენებით დადებული გარიგების შესახებ უზენაესი სასამართლოს პალატამ განმარტა, (საქმე №ას-1-453-06-07, 2007, 24 მაისი) რომ: „მოჩვენებითი გარიგების დროს მხარეთა შეთანხმება მოკლებულია ნამდვილობას და იგი კანონსაწინააღმდეგო მიზნების მისაღწევად გამოიყენება იმ მიზნით, რომ კრედიტორების დაკმაყოფილებას გაექცეს, მოვალე ვითომ ყიდის ან ჩუქნის ქონებას. სინამდვილეში არავითარი ნასყიდობა ან ჩუქება არ არის. მოჩვენებითი გარიგების შემთხვევაში შეიძლება დაისვას მესამე პირთა ინტერესების დაცვის საკითხი. მოჩვენებითი გარიგების დროს მოსაჩვენებლად იქცევა ამ გარიგების მონაწილე ნე-

ბის გამოვლენის ყველა სუბიექტი—[250]"

თვალთმაქცური გარიგებები მოწვენებითი გარიგების ნაირსახეობას წარმოადგენენ და მათგან განსხვავდებიან იმით, რომ გარიგების მონაწილეებს მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით სურთ სხვა გარიგების დაფარვა, რომლის განხორციელებასაც ისინი რეალურ მიზნად ისახავენ (მაგ; ჩუქებას, როცა რეალურად ნასყიდობაა და სხვა). **სამოქალაქო კოდექსის 57-ე მუხლი „გარიგების ბათილობა ნების გამოვლენის არასერიოზულობის გამო"** ანალოგიურია გერმანული სამოქალაქო კოდექსის **§. 118-ისა (სერიოზულის არარსებობა[251])**, იმ განსხვავებით, რომ ქართული მუხლი ორ ნაწილიანია, განსხვავებით გერმანული შესაბამისი პარაგრაფისა, რომელიც მხოლოდ ორი წინადადებისაგან შედგება („ნების გამოყენება, რომელიც გაკეთებულია არასერიოზულად იმ ვარაუდით, რომ სერიოზულობის არარსებობა გამოცნობილი იქნებოდა, ბათილია). **სსკ მ. 57-ე მუხლი** ითვალისწინებს არასერიოზულად (ხუმრობით) ნების გამოვლენას ბათილად, იმავე ვარაუდით, რომ არასერიოზულობა გამოცნობილი იქნებოდა (როგორც ვხედავთ გერმანული სამოქალაქო კოდექსის ანალოგიურია). ნების მიმღებს კი, რომელმაც ზიანი განიცადა იმის გამო, რომ იგი ნების გამოვლენას ენდობოდა, მიყენებული ზიანი უნდა აუნაზღაურდეს. ბუნებრივია, ადამიანები ხშირად ხუმრობენ და ნებასაც შესაბამისად არასერიოზულად გამოხატავენ, მაგრამ როგორია ეს ხუმრობა: **კეთილი თუ ბოროტი? როგორ მიზანს ისახავს „ხუმრობა?", როცა პირი ხუმრობისას ნებას არასერიოზულად ავლენს?** ბუნებრივია, „კეთილი ხურობის დროს ნების გამომვლენი ბოროტ განზრახვას

250. დაწვრ. იხ. სუსგ. სამოქ. საქმე №ას-1-453-06-07, 2007, 24 მაისი, სარჩელის საგანი; ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

251. დამატ. იხ. Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 88.

.არ ისახავდა მიზნად, ეს რომ სცოდნოდა არც იხუმრებდა. **გამომდინარე აქედან კეთილსინდისიერი ხუმრობა ბათილია, ხოლო ბოროტი ხუმრობა, როცა პირი წინასწარი შეცნობით „ხუმრობს ბოროტად", რომ ხუმრობის ადრესატს ზიანი მიაყენოს,-ასეთი ხუმრობა არ იწვევს გარიგების ბათილობას.**

რა შედეგი შეიძლება მოყვეს ასეთი სახის ხუმრობებს. ამაზე პასუხს გვცემს სწორედ **სსკ მ. 57-ის მე-2 ნაწილი,** რომ თუ პირი, რომელმაც ზიანი მიიღო იმის გამო, რომ იგი ხუმრობით ნების გამომხატველს ენდობოდა, რადგანაც მას ვერ წარმოედგინა ამ პირის ნების არასერიოზული გამოვლენა,-ზიანი უნდა აუნაზღაურდეს. ზიანი ორივე შემთხვევაში (კეთილი და ბოროტი ხუმრობისას) უნდა ანაზღაურდეს, მაგრამ მომეტებული რისკით ბოროტი ხუმრობისას, რადგან ბოროტი ხუმრობით „ხუმარა" მიზნად ისახავს მეორე მხარისათვის ზიანის მიყენებას და ამ პირს გარკვეული რისკის ქვეშ აყენებს. კეთილსინდისიერი ხუმრობის დროს მხოლოდ ზიანი ანაზღაურდება.

როგორ გავიგოთ ხუმრობა „კეთილია თუ ბოროტი?"ეს საქმის არსის გარკვევისას სასამართლოს შეფასების საკითხია. სანქციის დაკისრებისას სასამართლომ უნდა გამოარკვიოს ხუმრობის ხასიათი, გარიგების ხასიათი, კონტრაჰენტის პიროვნება, ის კონკრეტული გარემოებანი, რა ვითარებაშიც დაიდო გარიგება, ასევე სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომელიც არსებით გაელენას ახდენენ ხუმრობის ავტორის მიერ ნების გამოყლენაზე.

სამოქალაქო კოდექსის 58-ე მუხლი ჩამოთვლის მთელ რიგ შემთხვევებს გარიგების ბათილობისა. კერძოდ: **1)** გარიგების ბათილობა, რომელიც დადებულია მცირეწლოვნის ან სასამართლოს მიერ აღიარებული ქმედუუნარო პირის ნების გამოვლენისას; **2)** ცნობიერების დაკარგვის ან დროებითი ფსიქიკური მოშლილობის დროს; **3)** ნების გამოვლენა სულით ავადმყოფის მიერ, როცა

ეს არ შეესაბამება რეალური ვითარების სწორად აღქმას, თუნდაც ის არ იყოს სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული. აღნიშნული ნორმები ბუნებრივია მოდის **გერმანული BGB-ს § 104 (ქმედუუნარობა), § 105 (ნების გამოვლენის ბათილობა), § 105ა. (ყოველდღიური გარიგებები), § 106 (არასრულწლოვანის შეზღუდული ქმედუნარიანობა)-დან.** აღნიშნულ პარაგრაფებში ზუსტად იგივე ფაქტორია ჩამოთვლილი გარიგების ბათილობისა, რაც საქართველოს **სამოქალაქო კოდექსის 58-ე მუხლში.** ამ მუხლის კომენტირებისას ავღნიშნეთ, რომ მცირეწლოვანისა და სასამართლოს მიერ პირის ქმედუუნაროდ აღიარების შემთხვევაში, მათ გარიგების დადება არ შეუძლიათ, ხოლო თუ დადეს – იგი გაბათილდება. ასეთი პირების ნაცვლად გარიგებებს მათი კანონიერი წარმომადგენლები (მეურვეები) დებენ. არაქმედუნარიანობისას სახეზეა აბსოლუტური ქმედუუნარობა, რომელიც დამოუკიდებლად ნების გამოვლენას უარყოფს (გამონაკლისია მშობლის თანხმობით მცირეწლოვანის მიერ ვთქვათ ფუნთუშის, საღეჭი რეზინის ყიდვა და სხვა, რომელიც ფაქტურად ნების გამოვლენად არც კი ჩაითვლება). აქ ერთგვარი გარდამავალი მდგომარეობა გვაქვს ქმედუუნარობიდან ქმედუნარიანობამდე. ბათილია აგრეთვე სრულწლოვანი, მაგრამ არაქმედუნარიანის (სულით დაავადებულის) მიერ გარიგების დადებაც, მათ არც საპროცესო ქმედუნარიანობა გააჩნიათ. მათ უფლებებს სასამართლოში იცავენ მათი კანონიერი წარმომადგენლები. მაგრამ თუ ქმედუუნარო სრულწლოვან პირს აღუდგება ქმედუნარიანობა, რისი დამამტკიცებელიც იქნება სამედიცინო დასკვნის საფუძველზე სასამართლოს პირვანდელი გადაწყვეტილების ბათილობა (პირის ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ) და პირის სრული რესტიტუცია თავის პირვანდელ უფლებებში, ამის შემდეგ მას ბუნებრივია დამოუკიდებლად შეეძლება გარიგების დადება. რაც შეეხება ფიზიკურ ნაკლს (სიმუნჯე, სიყრუე და სხვა), ისინი პირს ხელს არ უშლიან გარი-

გების დადებისას და საფუძველსაც ვერ ქმნიან ბუნებრივია მისი ქმედუუნაროდ აღიარებისათვის.

ცნობიერების დაკარგვა და დროებითი ფსიქიკური მოშლილობაც საფუძველია გარიგების ბათილობისათვის, რადგან ამ შემთხვევაში პირის სულიერი მდგომარეობის დროებითი მოშლილობა დამაბრკოლებელი ფაქტორია მისი ნების თავისუფლად გამოვლენისა (ეთქვათ, ძლიერი ნერვიულობა, სტრესი, ძლიერი ფიზიკური და სულიერი ტრაემა, ძლიერი სიმთვრალე და სხვა). მაგალითად, **სსკ 1403 მუხლის მე-3 ნაწილი** ითვალისწინებს ანდერძის სასამართლოს მიერ ბათილად გამოცხადების შემთხვევას, თუ პირი ისეთ მდგომარეობაშია, რომ მას არ შეუძლია შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა და წარმართოს იგი. ბუნებრივია, რომ სასამართლოს მიერ გარიგება უნდა გაბათილდეს მაშინაც, როცა პირი სულით დაავადებულია, მაგრამ არ არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ამ პირის ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ, რადგანაც მის მიერ ნების გამოვლენა რეალური ვითარების სწორად აღქმას არ ექვემდებარება, მაგრამ გარიგება შეიძლება ნამდვილად ჩაითვალოს, როცა პირმა იგი დადო გამოჯანმრთელების შემდეგ („ნათელ შუალედებში"), ხოლო თუ იგი შემდეგ ისევ დაავადდა, სასამართლო ისევ გამოიტანს გადაწყვეტილებას მისი ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ.

საქართველოს უზენაესმა სასამართლოს გადაწყვეტილება (2007წ. 26დეკემბერი, საქმე №ას-615-952-07), გარიგების ბათილობაზე ქმედუუნარობისა და ფსიქიკური მოშლილობის გამო დავის საგანზე: სესხისა და ოპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. საქმის არსი მდგომარეობდა შემდეგში, რომ: გელაშვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და განმარტა, რომ მ. ნემანიშვილს, ნ. სტურუას და ე. კიზივაძეს შორის დაიდო სესხის და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მ. ნემანიშვილმა, ნ. სტურუამ ე. კიზივაძეს ასესხა 6000 აშშ დოლარი, 6 თის ვადით. სესხი წერილობით ჩანდა, მაგრამ

თანხის გადაცემა არ მომხდარა. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ ე. კიზივაძე იყო ხანდაზმული, 86 წლის და მასთან არ შეიძლება დადებულიყო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რამეთუ მას ხელშეკრულების დადების მომენტისათვის ჰქონდა ცერებრალური ათეროსკლეროზი, დაქვეითებული ჰქონდა მეხსიერება და აზროვნება. ბინა კი, რომელზეც გაფორმებულია სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, არ არის რეგისტრირებული მიწის მართვის დეპარტამენტში. ბინა 4-ა, რომელიც აღნიშნულია იპოთეკის ხელშეკრულებაში, ფიზიკურად არ არსებობს. ბინა №4-ის თანამესაკუთრე არის მოსარჩელე და ნოტარიუსს მის გარეშე არ უნდა გაეფორმებინა იპოთეკის ხელშეკრულება, ამიტომ მოსარჩელემ მოითხოვა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. თბილისი საქალაქო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა დააკმაყოფილა და ბათილად ცნო მხარეებს შორის დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. აღნიშნული გადაწყვეტილება კი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ნ. სტურუამ, მ. ნემანიშვილის უფლებამონაცვლემ ა. ხერკილაძემ და ბ. სეხნიაძემ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ნ. სტურუას, მ. ნემანიშვილის უფლებამონაცვლის ა. ხერკელაძისა და ბ. სეხნიაძის სააპელაციო საჩივარი დააკმაყოფილა, მ. გელაშვილის, ე. და ნ. კიზივაძეების კანონიერი წარმომადგენლის მ. გელაშვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მ. გელაშვილმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა საკასაციო სასამართლოში, სადაც აღნიშნავდა, რომ მ. გელაშვილის სახელზე რიცხული ორი ოთახი წარმოადგენს ერთი ბინის შემადგენელ ნაწილებს. ე. კიზივაძე ბინაში ცხოვრობდა შვილთან – ო. კიზივაძესთან, რძალთან – მ. გელაშვილთან და ორ შვილიშვილთან - ნ. კიზივაძე და ე. კიზივაძესთან ერთად, რაც კიდევ ერთხელ უთითებს, რომ იგი გასაჩივრებულ გარიგებას ხელს არ მოაწერდა.

საკასაციო სასამართლოს პალატამ განმარტა, რომ: პალატა იზიარებდა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას

ობის თაობაზე, რომ იპოთეკის ხელშეკრულებით, რომლის ბათილობასაც ითხოვდა მოსარჩელე, მისი უფლება არ დარღვეულა. იპოთეკით დატვირთულია ბინა თბილისში,... მდებარე ...მე-4ა ბინა, ასეთი ბინა კი საჯარო რეესტრის მონაცემებით არ არსებობს, ანუ მოსარჩელის ბინა იპოთეკით არ დატვირთულა და, შესაბამისად, არც მისი უფლება დარღვეულა ამ ხელშეკრულების დადებით, მითუმეტეს, რომ სადავო გარიგება რეგისტრირებული არ არის საჯარო რეესტრში. პალატამ არ გაიზიარა კასატორის ის არგუმენტი, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ე. კიზივაძეს ხელშეკრულების დადების მომენტში არ ჰქონდა რეალური გითარების სწორად აღქმის უნარი. სამოქალაქო კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბათილად შეიძლება ჩაითვალოს ნების გამოვლენა ცნობიერების დაკარგვის ან დროებითი ფსიქიკური მოშლილობის დროს. საქმეში წარმოდგენილი კასატორის მტკიცებულებები არ ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ ე.კიზივაძეს გარიგების დადებისას ცნობიერება ჰქონდა დაკარგული და იმყოფებოდა ფსიქიკურ აშლილობის მდგომარეობაში. ის გარემოება, რომ ე. კიზივაძე დაავადებული იყო ცერებრალური ათეროსკლეროზით, გულის იშემიური დაავადებით და დაქვეითებული ჰქონდა აზროვნება და ცნობიერება, არ ნიშნავს იმას, რომ მას ცნობიერება საერთოდ დაკარგული ჰქონდა. ცნობიერების დაქვეითება და დაკარგვა განსხვავებული ცნებებია და თუ რამდენად გამორიცხავს ხელშეკრულების მხარის მიერ რეალური ნების გამოვლენას, უნდა დადგინდეს სპეციალისტის მიერ. გარდა ამისა, არ იქნა გაზიარებული საკასაციო სასამართლოს პალატის მიერ კასატორის ის მოსაზრებაც, რომ ე. კიზივაძის მიერ ხელი მოწერილი უნდა ყოფილიყო თარჯიმნის მონაწილეობით. სანოტარო მოქმედების შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის მე-5 მუხლის თანახმად, თუ პირი, რომელიც ითხოვს სანოტარო მოქმედების შესრულებას, ვერ ფლობს სახელმწიფო ენას და, შესაბამისად,

არც ნოტარიუსი ფლობს მას, ნოტარიუსი დასამოწმებელი დოკუმენტის შინაარს თარგნის თარჯიმნის მონაწილეობით. აღნიშნული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, თარჯიმნის მონაწილეობა გარიგების დადებისას სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ ნოტარიუსი ვერ ფლობს ხელშეკრულების ხელმომწერი მხარის ენას. როგორც საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულებიდან ირკვევა, ნოტარიუსმა უთარგმნა ე. კიზივაძეს ხელშეკრულების შინაარსი. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას კიზივაძე არ წერს თავის სახელს, აღნიშნულით შეუძლებელია, მის მიერ გამოვლენილი ნება დადგეს ეჭვქვეშ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატამ მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს და გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა[252].

გარიგების ფორმებზე ჩვენ შემდეგ პარაგრაფში გვექნება საუბარი, **სსკ 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის** შემთხვევაში კი ავღნიშნავთ, რომ კანონი ბათილად მიიჩნევს გარიგებას, რომელიც კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად, ან ნებართვის გარეშე დაიდო (თუ კონკრეტული გარიგების ნამდვილობისათვის საჭირო იყი ნებართვა). ნორმა იმპერატიულია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გარიგების მონაწილეებს მისი შეცვლა არ შეუძლიათ. აქ საუბარია იმის შესახებ, რომ **ჯერ ერთი,** გარიგების ფორმას განსაზღვრავს კანონი იმპერატიული ფორმით (მაგ; **სსკ 183-ე მუხლით,** ან კიდევ, **„საჯარო რეესტრის შესახებ კანონის II თავით,** რომელთა თანახმად, „უძრავ ნივთზე ნასყიდობის ხელშეკრულების დასადებად აუცილებელია წერილობით ხელშეკრულებასთან ერთად საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების გატარება. ხშირ შემთხვევაში, გამონაკლისის სახით დაშვებულია იმ ხარვეზის გამოსწორება, ფაქტობრივი შესრულებით, რომელიც გარიგების დადებისას მხარეებმა ვერ

252. დაწერ. იხ. სუსგ სამოქ. 2007წ. 26 დეკემბერი, საქმე №ას-615-952-07, 2007წ. 26 დეკემბერი

:გაითვალისწინეს. მაგ; **სსკ 563-ე მუხლი**[253] ითვალისწინებს საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის შეწყვეტას წერილობითი ფორმით. მაგრამ თუ მხარეებმა ეს მოთხოვნა არ დაიცვეს და ისე შეწყვიტეს ხელშეკრულება, ასეთი შეცდომა ბათილი აღარ იქნება, რადგან ფაქტობრივი შესრულებით ფორმის ხარვეზი გამოასწორეს. გამონაკლისი შემთხვევა კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში გამოიყენება და ეს იმ შემთხვევებში, როცა სამოქალაქო ბრუნვის წესრიგს, ამ ბრუნვის სუბიექტებს ზიანი არ ადგებათ. რაც შეეხება სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელის ფორმის დაუცველად დადებულ გარიგებას, ისიც ბათილად ცხადდება. მაგალითი: **624-ე მუხლის** თანასმად, „სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც“[254]; თუ ხელშეკრულების ღამდებმა რომელიმე მხარემ დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა, რომ სესხი წერილობით დაიდოს, მიუხედავად იმისა, რომ სესხის ხელშეკრულება ფორმასავალდებულო არ არის, მაინც ბათილი იქნება. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა მიზნით აიღეს მხარეებმა გარიგების ეს ფორმა; „გარიგების ნამდვილობის წინაპირობად თუ გარიგებიდან გამომდინარე უფლებების ნათესაყოფად ან მათ მტკიცებულებებად. ამ უკანასკნელი საფუძვლით ფორმით შეთანხმება პრაქტიკაში ძალიან ხშირია, რაზედაც ზემოთ მოტანილი ერთ-ერთი მაგალითი მიგვანიშნებს სესხის ხელშეკრულებისა.

მარტივი წერილობითი ფორმის დაუცველობა ხან იწვევს გარიგების ბათილობას; (მაგ; ანდერძი **(მ.1357)** აუცილებლად წერილობითი ფორმისა უნდა იყოს)[255], ან კი-

253. იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, თბილისი, 2001, გვ, 126- 128.

254. იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, თბილისი, 2001, გვ, 229-230.

255. იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი, 2000, გვ, 413-414. რ. შენგელია, ე. შენგელია, მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, 2007.

დეე, პირგასამტეხლო წერილობითი ფორმით უნდა იყოს შეთანხმებული **(მ. 418, ნ. 2[256]),** - ხან კიდევ არა. მაგრამ, საკმაოთ არ არის, რომ ზეპირი ფორმით დადებული გარიგებები ხშირ შემთხვევაში მაღალი რისკის მატარებელია, ხანდახან მოწმეთა ჩვენებები, როგორც მტკიცებულებები არ კმარა გარიგების დადების ნამდვილობის დასამტკიცებლად. ამის საილუსტრაციოდ მივმართავთ ისევ **624-ე მუხლის** ბოლო წინადადებას, რომ ზეპირი ხელშეკრულების დროს (იგულისხმება სესხის ხელშეკრულება) მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით). თუმცა მოწმის ჩვენება კარგი მტკიცებულებაა შესანახად მიბარებული ნივთის ამოსაცნობად. ზეპირი ფორმით დადებული ხელშეკრულებები მხარეთა უფლებების დაცვის საუკეთესო სამართლებრივი ფორმა რომ არაა, დოქტრინამ ამიტომაც აღიარა **იურიდიული ფიქციის** დიდი როლი ხელშეკრულებით კონტრაგენტების უფლებათა განმტკიცების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად (მაგალითად, მხარეებს კანონი არ ავალდებულებს წერილობით დადონ მოძრავ ნივთებზე ხელშეკრულებები, მაგრამ მათი უფლებების განსამტკიცებლად, უფლებამოსილებით აღჭურავს წერილობით გააფორმოს ხელშეკრულება (მაგ. სესხის) და საჯარო რეესტრში გაატარონ იგი). ეს იურიდიული ფიქციის ერთ-ერთი მაგალითია.

რთული წერილობითი ფორმა კანონით ზუსტადაა დეტერმინირებული **(სსკ მ.183, მ. 184 და ა. შ.).**

გერმანული სამოქალაქო კოდექსი §126-129[257] არეგულირებს გარიგების ნამდვილობის დამდგენ ფორმებს და ასეთ ფორმებად შესაბამისად მიიჩნევს: წერილობით ფორმას და **§126-ში** ალტერნატიულ ვარიანტს გვთავაზობს, კანონით დადგენილ წერილობით ფორმას მისი შემდგენ-

256. იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი, 2001, გვ, 490- 492.

257. იხ. Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 103-109.

ლების ხელმოწერით, ან მასზე მისი სანოტარო წესით დამოწმებული ინიციალებით; ასევე მისთვის მისაღებია ელექტრონული ფორმაც **(§126ა.)**. ამ შემთხვევაში ნების გამომვლენმა ამ ფორმას უნდა დაურთოს საკუთარი სახელი, ხოლო ელექტრონულ დოკუმენტს კი დაუმატოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა **„ელექტრონული ხელმოწერის შესახებ“** კანონის **(Signaturgesetz)** მიხედვით; **§ 127ა.** მიხედვით, სასამართლო წესით დამტკიცებული მორიგების შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **(Zivilprozessordnung)** ნორმების მიხედვით განცხადებების მიღების შედეგად შედგენილი ოქმი ცვლის სანოტარო წესით დამოწმებას“; გერმანული სამოქალაქო კოდექსი არაერთგზის იმოწმებს სანოტარო წესით დამოწმების მნიშვნელობას გარიგების ნამდვილობის პირობისათვის, კერძოდ, **§128:** „თუ ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმება გათვალისწინებულია კანონით, მაშინ საკმარისია, ჯერ ოფერტი, ხოლო შემდეგ აქცეპტი დამოწმდეს ნოტარიუსის მიერ; ქართულ სამოქალაქო კანონმდებლობაში ბევრგან ნოტარიუსი ჩაანაცვლა საჯარო რეესტრმა, ან მარტივმა წერილობითმა ფორმამ. ასევე, **გერმანული სამოქალაქო კოდექსის §129** იმოწმებს სანოტარო დამოწმებას, თუ განცხადების საჯარო დამოწმება გათვალისწინებულია კანონით და ამ შემთხვევაში იგი წერილობით უნდა შედგეს და განმცხადებლის ხელმოწერა დამოწმდეს ნოტარიუსის მიერ.... განცხადების სანოტარო წესით დამოწმება ცვლის საჯარო დამოწმებას.

როდიდანაა საცილო გარიგება ბათილი? ამ კითხვაზე პასუხს გაგვცემს **59-ე მუხლის მე-2 ნაწილი:** „საცილო გარიგება ბათილია მისი დადების მომენტიდან, თუ იგი შეცილებული იქნება. შეცილება შეიძლება განხორციელდეს ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ“; მესამე ნაწილის

თანახმად, კი - „შეცილების უფლება აქვს დაინტერესებულ პირს“[258].

BGB-ის § 143-ე (1) შემდეგნაირად არეგულირებს „შეცილების განცხადება“ -ს: (1) „შეცილება ხორციელდება მოწინააღმდეგე მხარის (**Anfechtungsgegner**) მიმართ წარდგენილი განცხადებით....“. გერმანული სამართალი **(§143.)** აზუსტებს დებულებას იმის შესახებ,რომ შეცილების ადრესატი ხელშეკრულებაში, ხელშეკრულების მეორე მხარეა **(§143, (2),** ხოლო § 123 მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების შემ-

258. პროფ. ლ. ჭანტურიას მოსაზრებით 59-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მთლიანად საცილო გარიგებებისათვის მნიშვნელოვან დებულებებს შეიცავენ და ისინი ცალკე მუხლში უნდა ყოფილიყვნენ მოთავსებული. როგორც ჩანს, სამოქალაქო კოდექსის ბოლო რედაქციის მომზადების დროს გაიპარა შეცდომა, რომელიც დღემდე არ გასწორებულა. მომავალში კანონის ეს ხარვეზი აუცილებლად უნდა გასწორდეს. იხ. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბილისი, 2011, გვ. 394 (სქოლიო 566). იგივეს ადასტურებს დ. კერესელიძე წიგნში „კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები“ (გვ. 361-263, კერძოდ: „სსკ-ის 2 მუხლის თანახმად, „შეცილება ხორციელდება ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ“. ასეთ ფორმულირებაში ნორმის აშკარა ხარვეზი ვლინდება. „ხელშეკრულების მეორე მხარის მითითება, მისი სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარე, გამორიცხავს შეცილების ინსტიტუტის გავრცელებას ცალმხრივი ნების გამოვლენაზე. საქართველოს იურიდიულ ლიტერატურაში არის ამ ფორმულირების ფართოდ განმარტების მცდელობა, რათა ხელშეკრულების მეორე მხარის გარდა, „შეცილების ადრესატი იყოს ყოველი მესამე პირი, რომელმაც სარგებელი ნახა ამ გარიგებიდან“(ლ. ჭანტურია, შესაყალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ; 1997, 389). უმჯობესია აქცენტი თავდაპირველი თუ საცილო ნების გამოვლენის მიმღებზე – ადრესატზე გაკეთდეს. ასეთი განმარტება შესაბამისობაშია მოწესრიგების არსთან და მიზანთან, ვინაიდან კანონმდებელს სწორედ ნების გამოვლენის შეცილების ადრესატის განსაზღვრა სურს, როგორც ცალმხრივ, ისე ორმხრივ გარიგებებში. ცხადია, ხელშეკრულების მეორე მხარე ვერ იარსებებს ცალმხრივი გარიგების შემთხვევაში და, შესაბამისად, ასეთ გარიგებაზე სსკ-ის 59-ე II 2 მუხლი მისი დღევანდელი სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობის სრული იგნორირებით თუ ანალოგიით უნდა გავრცელდეს“.

თხვევაში (საუბარია იმის შესახებ,„თუ მოტყუება ჩადენილ იქნა მესამე პირის მიერ, მაშინ ნების გამოვლენა, რომელიც უნდა გაკეთებულიყო მეორე მხარის მიმართ, შეიძლება გახდეს საცილო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ უკანასკნელმა მოტყუების შესახებ იცოდა, ან უნდა სცოდნოდა ამის თაობაზე"),- პირი, რომელმაც ხელშეკრულებით უშუალოდ მიიღო უფლება"; აღნიშნული პარაგრაფის (3) – ის თანახმად, „ცალმხრივი გარიგების შემთხვევაში, რომელიც დაიდო სხვა პირის მიმართ, მოწინააღმდეგე მხარეს წარმოადგენს ეს სხვა პირი. ანალოგიური წესი მოქმედებს ისეთი გარიგების დროსაც, რომელიც უნდა დადებულიყო სხვა პირის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ მაშინაც კი, როდესაც გარიგება ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ უკვე დაიდო"; იგივე პარაგრაფის (4) - ის თანახმად: „სხვა სახის ცალმხრივი გარიგების შემთხვევაში, მოწინააღმდეგე მხარედ მიიჩნევა პირი, რომელმაც უშუალოდ მიიღო უფლებრივი სარგებელი გარიგების საფუძველზე. თუმცა, თუ ნების გამოვლენა უნდა გაკეთებულიყო ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, შეცილება შეიძლება გაკეთდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ გაკეთებული განცხადებით; ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა შეატყობინოს შეცილების შესახებ იმ პირს, რომლის ინტერესებსაც უშუალოდ შეეხნენ გარიგებით"[259].

საცილო გარიგება მანამ, სანამ შეცილებული (შედაეებული) არ იქნება, სასამართლო არ ცნობს მას ბათილად. არსებობს პრეზუმფცია, რომ სანამ იგი ბათილად არ იქნება ცნობილი, ანულირებამდე ნამდვილია, ანულირების შემდეგ კი-ბათილი. „სასამართლო გადაწყვეტილებამდე საცილო გარიგების ნამდვილობა განპირობებულია იმ საფუძველთა თავისებურებებით, რის გამოც ხდება მისი ბათილო-

259. დამატ. იხ. Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 149.

ბა. ნების გამოვლენის ფაქტში ბათილობის საფუძველი ობიექტურად შეუმჩნეველია. ვთქვათ მოტყუებით დაიდო გარიგება. მოტყუების ფაქტი ობიექტურად არ ვლინდება, ფორმის დაუცველობა კი ობიექტურ, გარეგნულ გამოხატულებას პოულობს. ამ უკანასკნელის არსებობის მტკიცება თვით ამ ფაქტშია. ამიტომაცაა, რომ ვიდრე არ დამტკიცებულა მოტყუების, ცდომილების მდგომარეობა, მანამდე ვერ ვიტყვით, რომ გარიგება ბათილია. სასამართლო აქ გარიგების ბათილობის დადასტურება კონსტატაციას კი არ ახდენს, არამედ, ადგენს მას[260]".

შეცილების უფლება ყველა პირს არ შეუძლია. ასეთებად კანონი აღიარებს დაინტერესებულ პირებს. ესენი არა მარტო გარიგების დამდები მხარეები არიან, არამედ მესამე პირებიც, რომლებიც ამ გარიგების რეზულტატით არიან დაინტერესებული.

რას ნიშნავს გარიგების კონვერსია?[261] „თუ ბათილი გარიგება აკმაყოფილებს სხვა გარიგებისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მაშინ ეს უკანასკნელი გამოიყენება, თუკი გარიგების ბათილობის შეტყობისას მხარეებს სურს მისი ნამდვილობა" **(სსკ მ. 60).**

აღნიშნული დებულება მაგალითად **BGB-ს 140-ე პარაგრაფისგან,** არსებითად „მხარეებზე" მითითებითია და ამ მხარეთა სურვილის აწმყოში მოხსენიებითაა თუ ფაქტის არსებობის კონსტანტაციით განსხვავდება. **ქართული სსკ-ის მე-60 მუხლის** დებულების „მხარეებს სურთ მისი ნამდვილობა"-შესაბამისია გერმანული ნორმისა- **„მისი ნამდვილობა სასურველი იქნებოდა"**და ერთის მხრივ, ცალმხრივ ნების გამოვლენაზე არგაერცელებასა და მეორეს მხრივ მხარეთა ნების ფაქტობრივად არსებობაზე

260. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 196.

261. კონვერსია – ლათ. konversio –შეცვლა; წინათ გამოშვებული სახელმწიფო სესხის პირობების შეცვლა (პროცენტის შემცირება, გადახდის ვადის გადაწევა და მისთ.).

აქცენტით ელინდება.

კონვერსიის დროს სახეზე გვაქვს მხარეების მიერ თავიდანვე **შეთანხმებული გარიგება და შემდგომი გარიგება**. ბათილი სწორედ თავდაპირველი გარიგებაა, ანუ სახეზე უნდა იყოს მთლიანი გარიგების ბათილობა, ნაწილისა-ამ მუხლის შემთხვევაში კი არა. „აღნიშნული მუხლის **სპეციალური განმარტება** მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც იგი მოიცავს სხვა ნამდვილ გარიგებას და როცა ამ უკანასკნელის სამართლებრივი შედეგები გარიგების უკან რჩება[262]". მე-**60 მუხლის** მოქმედება შეთანხმების დადების პროცესში მყოფი გარიგების მიმართ არ ვრცელდება. სხვა გარიგება მხოლოდ მაშინ იქნება ნამდვილი, თუკი მხარეები შეიტყობენ თავდაპირველი გარიგების ბათილობას და მოიწდომებენ მის ნამდვილობას.

„სამოქალაქო სამართალი განამტკიცებს **ნამდვილი გარიგებისა და და ბათილი გარიგების ცნებებს.** ნამდვილად ითვლება ისეთი გარიგება, რომელიც იწვევს გარიგების მონაწილეების მიერ დასახული სამართლებრივი შედეგების დადგომას. გარიგება მიიჩნევა ბათილად თუკი მას შედეგად არ მოჰყვება დასახული მიზანი იმის გამო, რომ მოქმედი სამართალი განხორციელებულ ქმედებას სამართლებრივად უვარგისად მიიჩნევს" (მაგ; თუ უძრავ ქონებაზე ნასყიდობის ხელშეკრულება კანონით დადგენილი იმპერატიული ფორმით არ დაიდო **(მ. 183),** ასეთი გარიგება ბათილია. სამოქალაქო სამართალი იცნობს აგრეთვე გარიგებათა სახეებს, რომელთა **ერთი ნაწილია არანამდვილია** და რომელიც გარიგების ბათილობის საფუძველია, ე. ი. ივარაუდება, რომ გარიგება ამ ბათილი ნაწილის გარეშეც დაიდებოდა **(მ.62).** აქ ბუნებრივია წამოიჭრება პრობლემა კითხვების სახით: **კონკრეტულად რომელი ნაწილი ჩავთვალოთ გარიგების ბათილობის საფუძვლად? ამ ნა-**

262. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 197.

წილის ბათილობა იწვევს მთლიანად გარიგების ბათილობას თუ არა? გარიგების ნაწილის ბათილობა დანარჩენ ნაწილს უნარჩუნებს სამართლებრივ ძალას? წარმოშობს კი იურიდიულად სამართლებრივ შედეგებს პირთათვის? ამ და სხვა კითხვებზე პასუხის გასაცემად უნდა ამოვიდეთ იქედან, რომ დავსვათ კითხვა: შეიძლება ამ ნაწილის გამოყოფა გარიგებიდან, რომელიც ბათილია? მაგალითად, თუ ერთობლივი ამხანაგობის წევრები ხელშეკრულებაში ამხანაგობის შექმნის შესახებ ჩაწერენ, რომ ამხანაგობა იურიდიული პირია. ასეთი ნაწილის ბათილობა ხელშეკრულებაში, მთლიანად ამხანაგობის ხელშეკრულების ბათილობას იწვევს, რადგანაც კანონში **(სსკ მ.930)** პირდაპირ ჩაწერილია, რომ „ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად".

„საკითხი იმის შესახებ არსებობს თუ არა ერთიანი გარიგება, რომელიც ცალკეული ნაწილებისაგან შედგება და იწვევს თუ არა ამ ნაწილების ბათილობა მთლიანად გარიგების ბათილობას, სურთ თუ არა გარიგების მონაწილებს მთლიანად გარიგების ბათილობა, თუ თანახმანი არიან მხოლოდ ერთი ნაწილის ბათილობაზე, უნდა დადგინდეს **განმარტების** საფუძველზე. ამიტომ ნაწილობრივად ბათილი გარიგებების განხილვისას განმარტებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. განმარტების საფუძველზე უნდა დადგინდეს, ითვალისწინებენ თუ არა გარიგების მონაწილეები იმის შესაძლებლობას, რომ გარიგების ერთი ნაწილის ბათილობამ არ გამოიწვიოს მთლიანად გარიგების ბათილობა... ნაწილობრივი ბათილი გარიგების განხილვისას მნიშვნელოვანია ასევე საკითხი, თუ რამდენად არსებითია გარიგებისათვის ის ნაწილი, რომელიც ბათილად იქნა მიჩნეული, გონივრულია თუ არა მის გამო მთ-

ლიანად გარიგების აღიარება ბათილად" და სხვა"[263].

BGB-ს 139-ე პარაგრაფში კანონმდებელი „ნეგატიურ ფორმულირებას" იყენებს. კერძოდ: „გარიგების ნაწილის ბათილობა იწვევს მთლიანი გარიგების ბათილობას, თუ არ არის სავარაუდო, რომ იგი დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშეც".

არსებობს ასევე **მერყევად ბათილი გარიგებები**. იგი ისეთი ტიპის გარიგებების სახეა, რომელიც „ნეიტრალურია" გარიგების ბათილობასა და ნამდვილობას შორის, „თითქოს ყიღაცას", ან „რაღაცას"ელოდება, რას მოიმოქმედებენ პირები მისი ნამდვილობა–არანამდვილობისათვის. მაგალითი: არასრულწლოვანმა კანონიერი წარმომადგენლის გარეშე იყიდა ისეთი ნივთი (მაგ; კომპიუტერი), რომლის ყიდვისას მას კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა სჭირდებოდა. რა უნდა მოიმოქმედოს ამ შემთხვევაში კანონმა? იგი ელოდება კანონიერ წარომადგენელს (მშობელს). თუ არასრულწლოვანის მიერ დადებული ორმხრივი გარიგება (ხელშეკრულება) კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე დაიდო,მაშინ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, შემდგომში მისი წარმომადგენელი მოიწონებს თუ არა მას, გარდა იმ შემთხვევებისა,როცა როცა იგი იღებს სარგებელს **(სსკ მ.63, ნ.1)**, ხოლო თუ არ მოიწონა კანონიერმა წარმომადგენელმა ასეთი გარიგება, იგი ბათილი იქნება. ასეთ გარიგებებს სამოქალაქო დოქტრინა **საცილო გარიგებებს უწოდებს.** სამოქალაქო სამართლისათვის ცნობილია **ფარდობითად ბათილი გარიგებები,** რომლებიც მთლიანობაში არის ნამდვილი, მაგრამ კონკრეტული პირის (პირების) შემთხვევაში მათ იურიდიული ძალა არა აქვთ. მაგალითად, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებაში ჩაიწერა, რომ ერთობლივი ამხანაგობიდან ერთ-ერთი მონაწილის

263. ლ. ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000, გვ. 386-387.

გასვლისას, რომელმაც თავისი საქმიანობით ზიანი მიაყენა მესამე პირებს, პასუხს არ აგებენ ამ პირების წინაშე მიყენებული ზიანისათვის, რამეთუ ისინი უკვე გავიდნენ ამხანაგობიდან. ეს შეთანხმება შეიძლება მათთვის იყოს ძალის მქონე, მაგრამ მესამე პირების შემთხვევაში (რომ ისინი პასუხს არ აგებენ ვალდებულებისათვის) იურიდიულად უვარგისია. რადგან „გამსვლელის ვალდებულება გასვლის მომენტში არსებული კრედიტორების წინაშე უცვლელია“ **(მ.938, ნ. 3, ბოლო წინადადება).**

„უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება ბათილად ითვლება მისი დადების მომენტიდან **(სსკ მ.61, ნ.1)**. როგორც ნორმიდან ვებულობთ, ეს სახე გარიგებისა ყველაზე მკაცრია და კატეგორიული მისი დამდები მხარეებისათვის, იგი არ ითვალისწინებს ასეთი გარიგების დადებისას არავითარ სამართლებრივ შედეგებს არც გარიგების მხარეებისათვის, არც მესამე პირებისათვის. იგი თავიდანვე, დადებისთანავე „განწირულია“ ბათილობისათვის. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს საეროოდ არ წარმოშობს არავითარ სამართლებრივ შედეგებს; წარმოშობს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას იმ პირის წინაშე, ვისაც ასეთი გარიგების დადებით მიადგა ზიანი. **იძლევა თუ არა ასეთი ტიპის გარიგებები „გამოსწორების საშუალებას“, რომ იგი ნამდვილად გადაიქცეს?** ამაზე პასუხს გაგვცემს **სკ 61-ე მუხლის მე–2 ნაწილი:** „თუ პირი, რომელიც დებს უცილოდ ბათილ გარიგებას, ადასტურებს მას, მაშინ მისი მოქმედება განიხილება, როგორც გარიგების ხელახლა დადება“. მაგალითი: **ა-მ და ბ-მ** ერთმანეთს შორის გააფორმეს სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება წერილობით, საჯარო რეესტრში დარეგისტრირების გარეშე. ცხადია, ასეთი გარიგება უცილოდ ბათილია. მაგრამ, შემდგომში, იმავე მხარეებმა აღნიშნულ სახლზე ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმეს კანონის მთელი მოთხოვნის დაცვით (იხ. **მ.183).** კანონმა პირებს „არარა გარიგების“ კვლავ თავიდან დადების უფ-

ლება მისცა იმავე საგანზე და სამართლებრივი შედეგიც კანონიერია.

შეიძლება თუ არა საცილო გარიგების დადასტურება და ვის მიერ? „თუ გარიგებას ადასტურებს შეცილების უფლების მქონე პირი, მაშინ იგი ამით კარგავს შეცილების უფლებას“ **(სსკ, მ.61, ნ.3.). გამოდის რა?** რომ, თუკი შეცილების უფლების მქონე პირი, რომელსაც დადებული გარიგებიდან გამომდინარე შეცილების უფლება აქვს და არ სარგებლობს კანონით მისთვის მინიჭებული ამ უფლებით, პირიქით ასრულებს გარიგებით გათვალისწინებულ პირობებს, მას აღარ აქვს შეცილების უფლება? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ბუნებრივია სამართალშემფარდებელმა უნდა გაარკვიოს პირის დუმილის მიზეზი, რომელიც ხშირ შემთხვევაში როდი ნიშნავს დადასტურებას. ძნელია იძულებით დადებული გარიგებებისას პირის დუმილის მიზეზი დადასტურება იყოს **(სსკ მ.88),** განსხვავებით მოტყუებით დადებული გარიგებებისას **(სსკ მ.81),** სადაც დუმილი დადასტურების ნიშანია (პირს ჰგონია, რომ ნამდვილ გარიგებას დებს).

ორმხრივად ბათილი გარიგების დადასტურების შემთხვევაში, მხარეები საქმეოობისას ვალდებული არიან ერთმანეთს გადასცენ ყველაფერი, რაც კი მათ შეხვდებოდათ, გარიგება თავიდანვე ნამდვილი რომ ყოფილიყო. გამოდის, რომ მხარეები დადასტურებას თავინთ უფლებამოვალეობებს უკავშირებენ. **61-ე მუხლის მე-4 ნაწილის** შემთხვევაში თავიდანვე, გარიგების დადებიდან, ნამდვილობის ვარაუდია. მაგალითი: **ა. ბერიძემ პ. ივანიძეს მიჰყიდა საოფისე ფართი. ნასყიდობა დადებულ იქნა კანონით დაცული წესების დარღვევით და ბუნებრივია იგი გაბათილდა. მოგვიანებით (1 წლის გასვლის შემდეგ). ა. ბერიძემ და პ. ივანიძემ იგივე საოფისე ფართზე თავიდან დადეს ნასყიდობის ხელშეკრულება (სანივთო გარიგება) 183-ე მუხლის დაცვით. ამ ერთი წლის განმავლობაში პ. ივანიძემ ფართის**

ნაწილი მიაქირავა შპს-ს, რომელიც მას ყოველთვიურად ქირას უხდიდა. ა. ბერიძემ პ. ივანიძეს მოსთხოვა შპს-ს მიერ გადახდილი ქირის მისთვის გადაცემა. პ. ივანიძემ მას უარი განუცხადა. ა. ბერიძემ სასამართლოს მომართა. სასამართლომ იხელმძღვანელა რა სსკ 61-ე მუხლის მე-4 ნაწილით, ა. ბერიძის სარჩელი არ დააკმაყოფილა.

რა შემთხვევებშია დადასტურება ნამდვილი, ფორმისა თუ შინაარსის ნაკლისას? პასუხი ცალსახაა: მხოლოდ ფორმის ნაკლისას. რაც შეეხება ზნეობის ნორმების, საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გარიგებებს, მას მოწონება ან დადასტურება ნამდვილად ვერ აქცევს. დადასტურებას ისევ ბათილობა მოყვება. ამ შემთხვევაში ურთიერთობის შენარჩუნება ძნელია, რადგან 61-ე მუხლის მე-5 ნაწილით, დადასტურება მხოლოდ მაშინ გახდება ნამდვილი, როცა ხელშეკრულება ან გარიგება არ ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს და დადგენილ საჯარო წესრიგის მოთხოვნებს".

კ ი თ ხ ვ ე ბ ი

1. განმარტეთ გარიგების ცნება

2. რა სახის გარიგებებს იცნობს ქართული სამოქალაქო სამართალი?

3. „ნების გამოვლენის თეორია“ ვის სახელს უკავშირდება?

4. როგორ განიმარტება ნება?

5. განმარტეთ „გარიგების კონვერსია“

6. განმარტეთ მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებები

6. როგორია მერყევად ბათილი, „არარა“ გარიგებები?

ტ ე ს ტ ე ბ ი

1. გარიგება არის:

ა. მხოლოდ ცალმხრივი

ბ. მხოლოდ ორმხრივი

გ. მხოლოდ მრავალმხრივი

დ. ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.

2. ნების გამოვლენა ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან:

ა. როცა იგი მეორე მხარეს მიუვა.

ბ. როცა ოფერენტი გამოავლენს მას.

გ. ნების გამოვლენას გარკვეულ პირთა თანხმობა სჭირდება.

დ. ნების გამოვლენას თანხმობა საერთოდ არ სჭირდება.

3. ნების გამოვლენის თეორია უკავშირდება:

ა. ჰაიზეს სახელს.

ბ. სავინის სახელს.

გ. ვინდშაიდის სახელს.

დ. კოტცის სახელს.

4. ვინ განმარტავს ნებას?

ა. ნებას განმარტავს მისი გამომვლენი პირი.

ბ. ნება უნდა განმარტოს მისმა მიმღებმა.

გ. ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ გამოთქმის სიტყვა-სიტყვითი აზრიდან.

დ. ნებას განმარტება არ სჭირდება.

5. გარიგების კონვერსია იმ შემთხვევაში გვაქვს, როცა:

ა. სახეზეა ბათილი გარიგება.

ბ. სახეზეა საჯარო წესრიგის და ზნეობის ნორმების საწინააღმდეგო გარიგება.

გ. სახეზეა საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენება.

დ. თუ ბათილი გარიგება აკმაყოფილებს სხვა გარიგებისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს, გამოიყენება ეს უკანასკნელი, თუკი გარიგების ბათილობის შეტყობისას მხარეებს სურთ მისი ნამდვილობა.

6. შეცილების უფლების მქონე პირი კარგავს შეცილების უფლებას:

ა. თუ ეს აქცეპტანტის ნებაა.

ბ. თუ გარიგებას ადასტურებს შეცილების უფლების მქონე პირი, მაშინ იგი კარგავს შეცილების უფლებას.

გ. თუ ეს პირი ბათილ გარიგებას ადასტურებს.

დ. შეცილების უფლების მქონე პირი არასოდეს არ კარგავს შეცილების უფლებას.

§ 2. ქმედუნარიანობა, როგორც გარიგების ნამდვილობის პირობა

სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის კომენტირებისას ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ არასრულწლოვანი პირი 7-დან 18 წლის ასაკის მიღწევამდე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა, ხოლო მე-15 მუხლში კი გამოიკვეთა, რომ შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობაა საჭირო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი გარიგებით იღებს სარგებელს. კანონით ასევე გათვალისწინებულია პირის შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება, რომელიც სრულწლოვანია, მაგრამ ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს. სასამართლო ასეთ პირებს მზრუნველს უნიშნავს **(სსკ მ.14, მ.15, მ.16).** მაგრამ ჩვენ ამ პარაგრაფში კონკრეტულად ასაკის მიხედვით (7-დან-18 წლამდე) პირებზე (არასრულწლოვანებზე) გვაქვს საუბარი, კერძოდ, რამდენად მართლზომიერია მათ მიერ დადებული გარიგებები, თუ ისინი ამ გარიგებებს დებენ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, ხდება თუ არა მათი ემანსიპაცია და სხვა.

კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე არასრულწლოვანს საერთოდ არ შეუძლია გარიგების დადება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი გარიგებით იღებს სარგებელს (სსკ მ.15). აქ საუბარია ცალმხრივ გარიგებაზე (მაგ; ანდერძი, ჯილდო, ნაპოვარი და სხვა). რაც შეეხება იმ ფაქტს, როცა არასრულწლოვანი დებს ორმხრივ გარიგებას (ხელშეკრულებას) კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე, მაშინ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, შემდგომში მისი წარმომადგენელი მოიწონებს

თუ არა მას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი სარგებელს იღებს **(სსკ მ. 63, ნ.1)**. აქ, ამ შემთხვევაში სქმე გვაქვს მერყევად ბათილ გარიგებასთან. კერძოდ, გარიგების ისეთ სახესთან, რომელიც არ არის იმპერატიულად, მბრძანებლურად ბათილი. იგი თითქოს ბათილობისა და ნამდვილობის **„სამართლებრივ გზასაყარზე"** დგას და ელოდება არასრულწლოვანის კანონიერ წარმომადგენელს, მოიწონებს თუ არა იგი არასრულწლოვანის მიერ დადებულ ორმხრივ გარიგებას. თნხმობის შემთხვევაში კანონის ანალოგიით გამოიყენება **სსკ მ.101 („შემდგომი თანხმობა (მოწონება")**, – უკუქცევითი ძალა აქვს გარიგების დადების მომენტიდან, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი[264]. გამოდის, რომ თუ კანონიერმა წარმომადგენელმა მოიწონა არასრულწლოვანის მიერ დადებული გარიგება (ხელშეკრულება), იგი ნამდვილი იქნება. სამართლებრივ ნამდვილობას მას ანიჭებს სწორედ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. **მაგალითი**: 16 წლის არასრულწლოვანმა მშობლებისაგან ნაჩუქარი ფულით იყიდა კომპიუტერი, ისე რომ ამ ფაქტის შესახებ გამყიდველთან ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე მშობლებისათვის არ განუცხადებია და ბუნებრივია არც თანხმობა მიუღია გარიგების დადებაზე. კომპიუტერი სამოქალაქო ბრუნვის ნივთია, მეტად სასარგებლო ინფორმაციის წყაროა და ბუნებრივია მშობლების რეაქცია უარყოფითი არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ მშობლებმა თუ არ მოიწონეს არასრულწლოვანი შვილის მიერ დადებული გარიგება, მაშინ იგი ბათილი იქნება. კანონმა დაადგინა, რომ სრულწლოვანია პირი მხოლოდ 18 წლის ასაკის მიღწევიდან და ამ შემთხვევაში (რადგან ჩვენს მიერ მოყვანილ მაგალითში იგი არასრულწლოვანია) მას სჭირდებოდა კანონიერი წარმომადგენლების (მშობლების) თანხმობა, რადგანაც კომპიუტერი ძვირადღირებული ნივთია და ასეთ

264.ჩვენ ამ პუნქტის შესაბამისი პარაგრაფის კომენტირებისას დაწვრილებით შევეხებით.

ნიეთებზე ორმხრივი გარიგების (ხელშეკრულების) დადებას კანონიერი წარმომადგენლების თანხმობა ყოველთვის სჭირდება. დოქტრინის თანახმად, ორმხრივი გარიგება, ჯერ ერთი, რომ **„პედაგოგიური ხელის“**, სარგებლის მომტანი შეიძლება სულაც არ იყოს მოზარდისათვის და კომპიუტერის მისთვის მიყიდვა შეიძლება რომ გარკვეული ბოროტი განზრახვით, შემხვედრი ვალდებულებისათვის გამოიყენოს მეორე (სრულწლოვანმა) პირმა (გამყიდველმა). რაც შეეხება **სსკ 63-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადებას,** რომ თუ არასრულწლოვანი გარიგებით იღებს სარგებელს, მას კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა არ სჭირდება, ანალოგიურია **მე-15 მუხლის ბოლო წინადადებისა,** როცა ცალმხრივი წესით გარიგებით მიღებულ სარგებელზე არასრულწლოვანს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა არ სჭირდება. ორივე შემთხვევაში (ორმხრივი ხელშეკრულების დადებისას და ცალმხრივი გარიგებისას ზოგადად **50-ე მუხლით** დარეგულირებულ გარიგებას აქვს ადგილი. მაშინ რატომაა, რომ პირველ შემთხვევაში კანონი იმპერატიულად მოითხოვს არასრულწლოვანის მიერ ორმხრივი გარიგების დადებისას კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას,- წინააღმდეგ შემთხვევაში გარიგება ბათილია (კომპიუტერის ყიდვისას არასრულწლოვანს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა სჭირდება), ხოლო იგივე კომპიუტერი თუ მას აჩუქეს (ან ვთქვათ ანდერძით დაუტოვეს) ასეთ თანხმობას სამოქალაქო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. **რაშია საქმე? ორივე შემთხვევაში გარიგებაა დადებული ერთიდაიგივე ნივთზე (ან თუნდაც სხვადასხვა ნივთზე)?** საქმე სწორედ რომ გარიგების სამართლებრივ სარგებლიანობაშია. პირველ შემთხვევაში (ნასყიდობა) ორმხრივი გარიგებაა, ე. ი. ხელშეკრულებაა. ხელშეკრულება კი არა მარტო უფლებამოსილებით აღჭურავს არასრულწლოვანს, არამედ იგი ავალდებულებს კიდეც; მეორე შემთხვევაში მხოლოდ სარგებელს იღებს,

ყოველგვარი შემხვედრი ვალდებულების გარეშე. გამოდის, რომ სამართლებრივი სარგებლით უნდა შეფასდეს არასრულწლოვანის მიერ დადებული გარიგება. სამართლებრივი სარგებელი იქნება სანივთო-სამართლებრივი გარიგებაც. მაგალითად, არასრულწლოვანისათვის საკუთრებაში ქონების გადაცემა, თუნდაც რომ დატვირთული იყოს სანივთო უფლებებით, სანივთო სარგებელი ხომ მაინც სახეზეა. სამართლებრივი სარგებლის მომტანია აგრეთვე ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგებაც. მაგალითად, მუხლი **525, ნ. 3:** „საჩუქრის დაპირება წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას მხოლოდ მაშინ, თუ იგი წერილობითი ფორმითაა დადებული". საინტერესოა ამ მხრივ **სსკ მ.191 („ნაპოვარი"),** როცა არასრულწლოვანი იპოვის დაკარგულ ნივთს და სჯარო განცხადების შემდეგ **(1 წლის გასვლის შემდეგ)** იგი ამ ნივთის მესაკუთრე გახდება. **შეუძლია თუ არა მას ამ ნივთით ისარგებლო თავისუფლად?** გააჩნია ნივთს, პირველადი თავისუფლება ყოველთვის არ წარმოშობს ნაწარმოებ თავისუფლებას. ხშირია შემთხვევები, როცა ნაპოვარი ნივთის გამოყენების უფლება მისი მაღალი ღირებულების, ან თუნდაც ამ ნივთის თავისებურებიდან გამომდინარე არ აქვს მას სრულწლოვანების მიღწევამდე, ან კიდევ დიდი თანხის პოვნის შემთხვევაში მისი თავისუფალი განკარგვა არასრულწლოვანს არ შეუძლია სრულწლოვანების მიღწევამდე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის სრულ ემანსიპაციას დაქორწინების შემთხვევაში 16-დან 18 წლის ასაკის მიღწევამდე კანონიერი წარმომადგენლების თანხმობით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით.

სსკ 63-ე მუხლის მე-2 ნაწილი არასრულწლოვანს ორმხრივი გარიგების თავისუფალი დადების შესაძლებლობით და ამ გარიგებით მიღებული სარგებლის თავისუფლად განკარგვის უნარით აღჭურავს. **მიზეზი ასეთი უსამანო თავისუფლებისა რა არის?** არასრულწლოვანი ქმედუნარიანი გახდა და იგი თვითონ წყვეტს თავისი ნების

გამოვლენის ნამდვილობის საკითხს.

არასრულწლოვანის მიერ დადებული გარიგება (გარდა ცალმხრივი წესით მიღებული სარგებლისა და **სსკ 65-ე მუხლის** შემთხვევაში – ემანსიპაციისა) მერყეულად ბათილია და კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას ელოდება მისი ნამდვილობისათვის. მაგრამ ვიდრე არასრულწლოვანის მიერ დადებულ გარიგებას (ხელშეკრულებას) კანონიერი წარმომადგენელი მოიწონებდეს, მეორე მხარეს აქვს უფლება არასრულწლოვანის მიერ დადებული ხელშეკრულების მოწონებამდე, უარი თქვას ხელშეკრულებაზე. უარის თქმა გამორიცხულია თუ მეორე მხარემ იცოდა პირის არასრულწლოვნობის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არასრულწლოვანი მას ატყუებდა, რომ წარმომადგენლისაგან მიღებული ჰქონდა თანხმობა **(სსკ მ.64).**

სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლი სპეციალურია. იგი ითვალისწინებს გამონაკლისებს **სსკ მ. 15-დან,** რომელიც შეზღუდული ქნედუნარიანობის მქონე პირის მიერ დადებული ორმხრივი გარიგებისას მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას რომ მოითხოვს უცილოდ. კერძოდ, **65-ე მუხლის 1-ლი ნაწილი** არასრულწლოვანს უფლებამოსილებით აღჭურავს **„ჯიბის ფულის“** თავისუფლად განკარგვაზე. „ხელშეკრულება, რომელიც დადებულია არასრულწლოვანის მიერ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, ითვლება ნამდვილად, თუკი არასრულწლოვანმა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოქმედებათა შესასრულებლად განკარგა ის საშუალებები, რომლებიც მას გადასცეს კანონიერმა წარმომადგენლებმა, ან ამ წარმომადგენლების თანხმობით-მესამე პირებმა ამ მიზნით ან თავისუფალი განკარგვის მიზნით“ **(სსკ მ.65, ნ.1).** გამოდის რომ, თუ ზოგადად არასრულწლოვანს ორმხრივი გარიგების დადებისას კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა სჭირდება (წინააღმდეგ შემთხვევაში გარიგება ბათილდება), ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სპეციალური ნორმით

მოწესრიგებულ ურთიერთობასთან გვაქვს საქმე, რომელიც გამონაკლისს შეიცავს საერთო ნორმებისაგან. კერძოდ, თუ არასრულწლოვანს მშობლებმა, ან კიდევ, მშობლების თანხმობით სხვა პირებმა (ვთქვათ, ნათესავებმა, მშობლების მეგობრებმა) დაბადების დღეზე ფული აჩუქეს და მშობლებმა მას ამ თანხის **თავისუფალი განკარგვის უფლება მისცეს,** მას შეუძლია ეს ფული გამოიყენოს საკუთარი შეხედულებისამებრ, მაგ; იქირავოს ბინა გარკვეული ვადით. ეს გარიგება იქნება ნამდვილი, მიუხედავად იმისა, რომ შემდგომში მისი კანონიერი წარმომადგენლები მოზარდის ამ ქცევით უკმაყოფილონი იქნებიან თუ არა. ცხადია, **63-ე მუხლის 1-ლი ნაწილი** უსამანო (უსაზღვრო) თავისუფლებად მაინც არ უნდა გავიგოთ. ამ ფულს არასრულწლოვანი ვერ დააბანდებს ისეთ ნივთში, რომელიც სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებულია. **აქვე ერთი შენიშვნაც:** თუ არასრულწლოვანმა, რომელმაც ამორალურ საქციელს მიჰყო ხელი ნაქირავებ ბინაში, რომელიც მან მშობლებისაგან თავისუფალი განკარგვის მიზნით მიღებული ფულით იქირავა, – ბუნებრივია ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება ექნება გამქირავებელსაც და არასრულწლოვანის კანონიერ წარმომადგენელსაც. თუ ვინ იქნება არასრულწლოვანის მიერ გამქირავებლისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციაზე პასუხისმგებელი – პასუხს გაგვცემს **სსკ 994-ე მუხლის მე-3 ნაწილი.**

ქართული სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული მუხლი ანალოგიურია გერმანული BGB-ს **§112-ისა** („სამეწარმეო საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვა")[265], სადაც აღნიშნულია, რომ **(1)** „თუ კანონიერი წარმომადგენელი საოჯახო საქმეთა სასამართლოს (**Familiengericht**) თანხმო-

265. დამატ. იხ. Гражданское уложение Германии, 2-е издание, Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands, 2. Auflage. Wolters Kluwer. стр. 21; Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 83.

ბით არასრულწლოვანს ანიჭებს სამეწარმეო საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვის უფლებამოსილებას, მაშინ ამ წარმოებასთან დაკავშირებული გარიგებებისათვის იგი შეუზღუდავად ქმედუნარიანია". ასევე, ამ ნაწილის მეორე წინადადებით, „გამონაკლისს მიეკუთვნება ის გარიგებები, რომელთა დადებისათვის წარმომადგენელს ესაჭიროება საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობა". **(2)-ს** თანახმად, წარმომადგენელს შეუძლია გააუქმოს უფლებამოსილება მხოლოდ საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობით". ქართულ სამოქალაქო კოდექსს ასეთი ფორმულირება არ გააჩნია.

ასევე, **გერმანული სამოქალაქო კოდექსი** ითვალისწინებს **§113-ში („სასამსახურო ან შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები")**[266] არასრულწლოვანის შეუზღუდავად ქმედუნარიანობას იმ გარიგებისათვის (თუ კანონიერი წარმომადგენელი არასრულწლოვანს ანიჭებს სამსახურის ან მუშაობის დაწყების უფლებამოსილებას), რომლებიც დაკავშირებულია დაშვებული სახის სამსახურის ან მუშაობის დაწყებასთან ან მიტოვებასთან ანდა აღნიშნული სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებათა შესრულებასთან. გამონაკლისს მიეკუთვნება ის ხელშეკრულებები, რომელთა დადებისათვის წარმომადგენელს ესაჭიროება საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობა". **(2)-ის** თანახმად, „უფლებამოსილება შეიძლება გაუქმდეს ან შეიზღუდოს წარმომადგენლის მიერ", ხოლო **(3)-ს** თანახმად, „თუ კანონიერი წარმომადგენელი წარმოადგენს მეურვეს (**Vormund**), უფლებამოსილება, თუ ამ უკანასკნელის მინიჭებაზე უარს აცხადებს წარმომად-

266. დამატ. იხ. Гражданское уложение Германии, 2-е издание, Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands, 2. Auflage. Wolters Kluwer. стр. 21; Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 83-84.

გენელი, შეიძლება მინიჭებული იქნეს საოჯახო საქმეთა სასამართლოს მიერ არასრულწლოვანის განცხადების საფუძველზე. საოჯახო საქმეთა სასამართლომ უნდა მიანიჭოს უფლებამოსილება, თუ ეს სამეურვეო პირის (**mundel**) ინტერესებშია", **(4)-ის** თანახმად კი, „ცალკეული შემთხვევისათვის მინიჭებული უფლებამოსილება საეჭვოობისას მიიჩნევა ზოგად უფლებამოსილებად მსგავსი სახის ურთიერთობებში შესვლისათვის".

განკარგვის პირველადი თავისუფლება როდი წარმოშობს განკარგვის მომდევნო თავისუფლებას. მაგალითი: 16 წლის არასრულწლოვანმა მშობლებისაგან ნაჩუქარი ფულით იყიდა ლატარიის ბილეთი (ამის უფლება მას **63-ე მუხლის 1-ლი ნაწილით** ჰქონდა) (პირველადი განკარგვა) და მოიგო ავტომობილი. ისმის კითხვა: **შეუძლია თუ არა მას ავტომობილის მართვა, ან გაყიდვა?** ცხადია არა. პირველ შემთხვევაში ლატარიის ბილეთის ყიდვა შეეძლო, რადგან, იგი წვრილმან გარიგებებს განეკუთვნება, რომლის დადების უფლებაც არასრულწლოვანს სამოქალაქო კანონმდებლობით ჰქონდა, ხოლო ავტომობილის მართვას კი იგი შეძლებს გარკვეული ასაკის მიღწევის შემდეგ. გამოდის, რომ პირველადმა განკარგვის თავისუფლებამ არ წარმოშვა განკარგვის მომდევნო თავისუფლება. ასე წყვეტს ამ საკითხს სასამართლო პრაქტიკა (როგორც ეროვნული, ასევე უცხოური).

აქ ერთი საინტერესო საკითხია: შეუძლია თუ არა მშობელს გამოიყენოს პირადი ინტერესებისათვის შვილის საკუთრებაში არსებული თანხა (გამოიყენოს შვილის მიერ ნაყიდი ლატარიით მოგებული ავტომანქანა (გაყიდოს და ფული თვითონ მოიხმაროს)? ცხადია არა. წინააღმდეგ შემთხვევაში დგება საკითხი მშობლის მიერ შვილისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა. ანალოგიურად წყვეტს

ამ პრობლებას საზღვარგარეთის კანონმდებლობაც.

სპეციალურ შემთხვევებს ითვალისწინებს არასრულწლოვანის ემანსიპაციისა **65-ე მუხლის მე-2 ნაწილი,** რომელიც ისეთ შემთხვევას ეხება, როცა კანონიერი წარმომადგენელი (მშობელი, ბებია-პაპა, ახლო ნათესაკი და სხვა) თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას ანიჭებს. ამ სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში არასრულწლოვანი შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება **(აქ ერთგვარ ფიქციასთან გვაქვს საქმე).** ეს წესი გამოიყენება საწარმოს დაფუძნების, ასევე ლიკვიდაციისა და შრომითი ურთიერთობების დაწყების ან დამთავრების მიმართაც. გამოდის, რომ 17 წლის ახალგაზრდა, რომელსაც მამამ საკუთარი საწარმოს მენეჯერობა მიანდო, იგი ამ საქმეში სრულიად დამოუკიდებელ ხელმძღვანელ პირად იქცევა და კანონი მას ანიჭებს ამ საქმისათვის დამახასიათებელი გარიგებების თავისუფლად დადების უფლებას. კანონიერ წარმომადგენლებს ამ შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობა სჭირდებათ. რატომ? საწარმო ხომ კერძო საკუთრებაა და ყველა რისკის მატარებელი მისი მესაკუთრეა, რატომ უნდა სჭირდებოდეს მესაკუთრეს სხვა ორგანოს (სახელმწიფო ორგანოს) თანხმობა? ამ შემთხვევაში რა როლს თამაშობს სახელმწიფო მეურვეობისა და მზრუნველობის სახით? საქმე იმაშია, რომ ემანსიპირებულ პირს გარკვეული ხელშეკრულებების დადება მოუწევს მესამე პირებთან და გამომდინარე აქედან კანონი იცავს იმ სოციალურ წრეს, ვისთანაც საქმიანი შეხება ექნება ემანსიპირებულ არასრულწლოვანს. განსხვავებით არასრულწლოვანის დაქორწინებისას მისი სრული ემანსიპირებისა **(სსკ მ.1108. ნ.2 ნ.3),**– როცა იგი სამოქალაქო-სამართ-

ლებრივ ურთიერთობებში „სრული ქმედუნარიანი“ხდება **(იურიდიული ფიქცია)** და მას შეუძლია დადოს ნებისმიერი სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე,– საწარმოს არასრულწლოვანი პირის მართვის შემთხვევაში, ამ პირის სამოქალაქო უფლებები გარიგების დადებისას რამდენადმე შეზღუდულია: იგი ემანსიპირებულია მხოლოდ საწარმოს მართვაში,რაც შეეხება მისი დაქორწინების ფაქტს,აქ უკვე კანონი მოითხოვს კანონიერი წარმომადგენლების თანხმობას. ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს აუცილებელ თანხმობას საჭიროებს არასრულწლოვანის პარტნიორად შესვლა სამეწარმეო საზოგადოებაში. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მსჯელობის საგანი ხდება აგრეთვე ემანსიპირებული არასრულწლოვანისათვის საწარმოს მართვის ფუნქციების ჩამორთმევა კანონიერი წარმომადგენლების მიერ, რამეთუ ამ შემთხვევაში იკვეთება თვითონ არასრულწლოვანის, როგორც ხელმძღვანელის (მენეჯერის),დამოუკიდებელი მეწარმის ინტერესი. არასრულწლოვანის მიერ ორმხრივად დადებული გარიგებები ხშირ შემთხვევაში საცილოა, კერძოდ, მერყევად ბათილია და თუ კანონიერი წარმომადგენელი მას მოიწონებს, იგი ნამდვილი იქნება. რაც შეეხება ცალმხრივი წესით დადებულ გარიგებებს არასრულწლოვანის მიერ, განსხვავებით გარიგების მერყეობისა, იგი უცილოდ ბათილ (არარა) გარიგებათა რიცხვს განეკუთვნება. ასეთი იმპერატიული მოთხოვნით კანონი იმ პირთა ინტერესებს იცავს, რომლებსაც არასრულწლოვანის მიერ ცალმხრივი წესით დადებული გარიგებით არსებითი ზიანი ადგება. ამიტომ ბრძანებს კანონმდებელი: „ბათილია ცალმხრივი გარიგება, რომელსაც დებს არასრულწლოვანი კანონიერი წარმო-

მადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე". თანხმობის განხორციელებამდე მეორე მხარე სამართლებრივად გაურკვეველ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. სამოქალაქო კოდექსის მუხლები **352-360 („ხელშეკრულებიდან გასვლა"), ვალდებულების შეწყვეტა (სსკ მ.427-454)**[267] და სხვა, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების მოშლის, ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ მეორე მხარის ნების მიღებას საჭიროებენ. მაგ; **სსკ მ. 355** („ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შეტყობინებით"), - შეუტყობინებლობა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა მეორე მხარეს. „ამ შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა მიზანშეწონილია წერილობით გამოითქვას და ამ ფორმით მიუვიდეს იგი მეორე მხარეს. ასეთი ფორმით თანხმობაც რომ იყოს, თუ არასრულწლოვანს მეორე მხარისათვის არ წარმოუდგენია ამის დამადასტურებელი წერილობითი საბუთი, მეორე მხარეს უფლება აქვს დაუყოვნებლივ უარი თქვას გარიგების დადებაზე. რა როლს თამაშობს **66-ე მუხლის** შემთხვევაში ტერმინი **„დაუყოვნებლივ"**[268] იგი დროის მცირე მონაკვეთთან არის დაკავშირებული და თუ დაუყოვნებლივ უარი არ ითქმება მეორე მხარის მიერ არასრულწლოვანისათვის გარიგების დადებაზე, იგი

267. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კომენტარი, წიგნი მესამე, გვ. 229-266; 508-566.

268. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით „დაუყოვნებლივ" განმარტებულია როგორც „რაც არ დაუგვიანიათ, მაშინვე, დაუგვიანებლად, დაუყოვნებლივ შეუდგება საქმეს – დაუყოვნებლივ გაემგზავრება"- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ეროტომეული, თბ; 1986, გვ. 196; ინგლისურ-ქართულ იურიდიულ ლექსიკონში ეხედებით ტერმინ immediate-ს შემდეგნაირ განმარტებას: უშუალო, პირდაპირი, გადაუდებელი, გადადების გარეშე, დაუყოვნებელი, უახლესი – დ. წულაია, ინგლისურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი, გამომც. „საქართველოს მაცნე", თბ; 2005, გვ. 443.

ჩაითვლება არასრულწლოვანის ნების გამოვლენასთან დაკავშირებულად[269]. „ასეთი უარი დაუშვებელია მაშინაც კი, თუკი მეორე მხარე ინფორმირებული იყო კანონიერი წარმომადგენლის ამ თანხმობის შესახებ. ამ შემთხვევაში ივარაუდება, რომ კანონიერმა წარმომადგენელმა დასტური მეორე მხარეს არასრულწლოვათან გარიგების დადებაზე აცნობა.

შეზღუდული ქმედუნარიანობა გარიგების ნამდვილობაზე გაცლენას ახდენს არა მარტო მაშინაც, როდესაც პირი ასეთადაა ცნობილი სასამართლოს მიერ, არამედ მაშინაც, როცა გარიგების დადების დროსაც მისი ქმედუნარიანობის შეზღუდვის საფუძველი უკვე აშკარად არსებობდა. ამასვე ითვალისწინებს **სკ 58-ე მუხლის მესამე ნაწილიც,** რომლის თანახმად, „ბათილია ნების გამოვლენა სულით ავადმყოფის მიერ, როცა ეს არ შეესაბამება რეალური ვითარების სწორად აღქმას, თუნდაც ის არ იყოს სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული.

269.თ. ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, თბილისი, 2005, გვ. 77. სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრულ ვადებთან ერთად ფართოდ ითვალისწინებს განუსაზღვრელ ვადებსაც, რომელთა დადგენისას ხშირად გამოიყენება ტერმინები: „დაუყოვნებლივ", „მაშინვე", „შესაბამის ვადაში", ნებისმიერ დროს", „გონივრულ ვადაში" და სხვ. ჩვეულებრივ, ვალდებულება უნდა შესრულდეს დაუყოვნებლივ: გაყიდვის შემთხვევაში, მაგალითად საფასური გადახდილ უნდა იქნეს იმავდროულად, როდესაც ნივთი შემძენს გადაეცემა".

კ ი თ ხ ვ ე ბ ი

1. რას ნიშნავს გამოთქმა: „არასრულწლოვანის ემანსიპაცია“

2. ახსენით რატომაა 65-ე მუხლი სპეციალური?

3. როდის აქვს ხელშეკრულების მეორე მხარეს არასრულწლოვანთან ხელშეკრულების დადებამდე უარის თქმის უფლება?

4. რა შემთხვევაშია ბათილი არასრულწლოვანის მიერ დადებული გარიგება?

კ ა ზ უ ს ი

1. 17 წლის არასრულწლოვანმა ბ-მ ლატარიის ბილეთით მოიგო 100 000 ლარი. მისმა მშობლებმა შვილის მიერ მოგებული თანხა გამოიყენეს პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. შვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს მშობლების წინააღმდეგ და მოითხოვა თანხის უკან დაბრუნება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებდა სასამართლო?

2. არასრულწლოვან გ. ბერიძეს მშობლებმა ანდეს საწარმოს მართვის უფლება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობით. გ. ბერიძე გახდა რა მშობლების საწარმოს მენეჯერი, დაიწყო საწარმოს ფულადი თანხების გამოყენება გასართობად, რითაც მან საწარმოს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. მშობლებმა მას ჩამოართვეს საწარმოს მართვის უფლება. მშობლების ეს გადაწყვეტილება გ. ბერიძემ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში გაასაჩივრა.

რამდენად სწორად მოიქცა გ. ბერიძე? პასუხი დაასაბუთეთ.

§ 3. გარიგების ფორმა

გარიგების ფორმის საკითხს (ნების გამოვლენის ფორმის) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამოქალაქო სამართალში, რამეთუ ზოგად ნაწილში დეფინირებული ნორმებზე, გარიგების ფორმებზე გარკვეულად მიბმულია ხელშეკრულების ფორმები, საოჯახო-მემკვიდრეობით სამართალში პირთა ნების გამოხატულების ფორმები. გარიგების ფორმები ცხადია გვხვდება საჯარო სამართალშიც (მაგალითად ადმინისტრაციული გარიგება). საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში გარიგების ფორმის ფუნქციის ორი მნიშვნელოვანი ასპექტი გამოყო: **1. მტკიცების გაადვილება და 2. განზრახვის სერიოზულობის დადასტურება**[270]. სამოქალაქო სამართალი, რომლის სუბიექტების ურთიერთობები უმეტესად ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე რეგულირდებიან და ისინი თვითონ განსაზღვრავენ თავიანთ უფლება-მოვალეობებს კონკრეტულ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში,– ბუნებრივია ფორმის არჩევანის თავისუფლების პრინციპსაც შეჩერებული, რომლის გარეშეც წარმოუდგენელი იქნებოდა სამოქალაქო ბრუნვაში წესრიგის გამყარება. ქართულმა სამოქალაქო სამართალმა ორიენტაცია დასავლური სამართლის პრინციპებზე გააკეთა სამოქალაქო კოდექსის **68-71 მუხლების** ჩამოყალიბებისას. თუ გადავხედავთ გერმანული **BGB-ს სტატიებს (§125, §126, §126ა. §126ბ. §127**[271] და სხვა), დავინახავთ, რომ ძირითადად მისი გამოძახილია ქართული სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლებიც გარიგების ფორმებისა.

270. იხ. სუსგ, სამოქ. 1/2008, გვ.52.

271. დამატ. იხ. Гражданское уложение Германии, 2-е издание, Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands, 2. Auflage. Wolters Kluwer. стр. 23-24; Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 100-108.

კოდექსის **68-ე მუხლის** თანახმად, „გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. თუ ასეთი ფორმა არ არის დაწესებული, მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ იგი". „კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმის მიმართ წაყენებული მოთხოვნები ეხება მხოლოდ ნების გამოვლენას. შესაბამისად, გარიგების ნამდვილობისათვის აუცილებელია იმ ფორმის დაცვა, რაც დადგენილია შესაბამისი ნების გამოვლენისათვის."[272].

გარიგების ფორმის ცნება შეიძლება გამოყენებულ იქნას **ფართო და ვიწრო გაგებით.** სამოქალაქო კოდექსში გვხვდება როგორც დისპოზიციური მიდგომა გარიგების ფორმების შურჩევისას და სრულიად თავისუფალია, მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული რა ფორმით გადაწყვეტენ გარიგების დადებას, ხოლო კოდექსით ხდება აგრეთვე ფორმის კანონით დადგენა უმეტესად მაშინ, როდესაც გარიგებით გათვალისწინებული სიკეთე სოციალური ტვირთის მატარებელია და კანონმდებელი მიიჩნევს რომ მხოლოდ ასეთი წესით უფრო შესაძლებელია მისი დაცვა და მოწესრიგებული ურთიერთობის შენარჩუნებაც. მაგალითად, უძრავ ნივთებზე გარიგების დასადებად კანონმდებელი სავალდებულოდ თვლის გარიგების მონაწილე მხარეებს შორის აუცილებელ წერილობით ფორმას და მის დარეგისტრირებას საჯარო რეესტრში. აღნიშნულის მაგალითია **სსკ მ. 183, მ. 184** და ა.შ. გამოდის, რომ უძრავი ქონების განკარგვითი გარიგება კანონით მკაცრად დადგენილი ფორმით ხორციელდება. მაგრამ კანონის ფორმის დადგენა როდი ცვლის ფორმის თავისუფლებას, უმრავლეს შემთხვევაში თვითონ გარიგების მხარეები ირჩევენ გარიგების ფორმას. „ქართული სამოქალაქო კოდექსი ამ მხრივ ეხმიანება **ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის 883-ე პარაგრაფის**[273] დებულებას, რომლის თანახმად, გარიგების

272. დ. კერესელიძე, დასახ. ნაშრ; გვ. 283.

273. Австрийский гражданский кодекс http://lections.net/avstriyskiy-grazhdanskiy-kodeks.htm

მონაწილეების მიერ ნების გამოვლენის ფორმის არჩევა თავისუფალია. შვეიცარიის სამართალიც იგივეს განმტკიცებს და არსებითად ქართული კოდექსის ანალოგიურად წყვეტს ფორმის თავისუფლების საკითხს"[274]. ზემოთ აღნიშნეთ, რომ ანალოგიურია გერმანული სამართალიც.

„გარიგების ფორმის დახასიათებისას მნიშვნელოვანია მისი განხილვა ერთ შემთხვევაში, როგორც **გარიგების ერთ-ერთი ატრიბუტის,** ხოლო მეორე შემთხვევაში როგორც **აბსოლუტური ფორმის.** ამ კლასიფიკაციაზე ხშირად არის დამოკიდებული გარიგებად ჩაფიქრებული, განზრახული ნების გამოვლენის ბედი. როცა გარიგების ფორმა მხოლოდ გარიგების ატრიბუტად მოიაზრება, მისმა დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს გარიგების ბათილობა. მაგალითად, სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება, თუ არ არის წერილობით გაფორმებული და შემძენი არ არის საჯარო რეესტრში რეგისტრირებული (ესე იგი არაა ფორმა დაცული), ჩაითვლება ბათილად, თუმცა ხელშეკრულების მონაწილეების მიერ განხორციელებულ ქმედობას შეიძლება ეწოდოს ნასყიდობა[275]".

როდესაც ფორმის თავისუფლებაზე ვსაუბრობთ, ბუნებრივია ყველაზე ხშირად იგი თავს ვალდებულებით სამართალში იჩენს. თვით კოდექსის **319-ე მუხლის** დანაწესი, რომ „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი, მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას", – არა მარტო ხელშეკრულების შინაარსის თავისუფალი განსაზღვრის საშუალებებზე, არამედ ნების გამოვ-

274. ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, გვ. 227.

275. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბილისი, 2011, გვ. 337-338.

ლენის ფორმის თავისუფლებაზეც მიგვანიშნებს. ასეთი ნორმები რომც არ ყოფილიყო კოდექსში, სამართლის ანალოგია იქნებოდა აღნიშნული დისპოზიციურობის წყარო. მაგრამ **319-ე მუხლშივეა** მინიშნებული, რომ „თუ საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვისათვის ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მოწესრიგდეს ცალკე კანონით“. სახელმწიფოს ნებართვა კი წერილობითი (სანებართვო) წესით ხორციელდება. უფრო მეტიც, **328-ე მუხლი** მხარეებს სთავაზობს ხელშეკრულებისათვის ფორმის მისადაგებას, ოღონდ თხოულობს მათ მიერ არჩეული ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ შეიძლეს ხელშეკრულება ძალაში, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ კანონის იმპერატიული ნორმების მოთხოვნით უძრავი ნივთების ნასყიდობის ხელშეკრულება იმპერატიული ფორმით უნდა მოხდეს.

თუ ვალდებულებით სამართალში ფორმის თავისუფლება აშკარად გამოკვეთილია უმნიშვნელო გამონაკლისების გარდა, სანივთო სამართალში იგი მკაცრად რეგლამენტირებულია, სამართლებრივი წესრიგი იმპერატიულ ფორმებშია გამოკვეთილი. „სანივთო უფლება „**numerus klausa**“-ს პრინციპითაა განსაზღვრული. ეს იმას ნიშნავს, რომ სანივთო უფლებათა წრე კანონით ამომწურავადაა აღიარებული. ესენია: **საკუთრება, აღნაგობა, სერვიტუტი, უზუფრუქტი, გირავნობა, ოპოთეკა**. სანივთო უფლებათა შინაარსი კანონის ნორმატიული ნებითაა განსაზღვრული, რადგან სანივთო უფლების ფარგლები პირის ნივთთან მიმართებაში დგინდება. ამიტომაც ამ მიმართებას ძირითადად კანონი მოხაზავს. თუმცა ეს არ გამორიცხავს სანივთო უფლების თაობაზე მხარეთა ცალკეულ შეთანხმებებს, მაგალითად როგორც ესაა სერვიტუტის, უზუფრუქტის შემთხვევებში. სანივთო უფლებათა შინაარსის ასეთი საკანონმდებლო რეგლამენტაცია ცხოვრებისეული

გამოცდილებითაა ნაკარნახევი. ასე, მაგალითად, საკუთრება შინაარსობრივად რომ არ იყოს რეგლამენტირებული, ამან შეიძლება სახოგადოებაში ქაოსი გამოიწვიოს... ყოველივე ეს სამოქალაქო ბრუნვის სიმყარის გარანტიაა"[276].

„ყველა თანამედროვე მართლწესრიგში აღიარებულია, რომ გარიგებათა რიგი სახეობები იურიდიულად ფასეული იქნება, თუ დადებულია განსაზღვრული ფორმით. თუმცა, ყველგან, განსაზღვრული ფორმის დაცვა გახდა გამონაკლისი თავისუფალი ფორმის ზოგადი პრინციპიდან. აღნიშნული პრინციპი უშუალოდ არის გამოხატული ბევრ მართლწესრიგში. შვეიცარიის ვალდებულებითი სამართლის შესახებ კანონის თანახმად (მუხლი 11), ხელშეკრულების ნამდვილობისათვის მათ დადებას „მხოლოდ იმ შემთხვევაში სჭირდება განსაკუთრებული ფორმის დაცვა, როდესაც ამას პირდაპირ ითხოვს კანონი" (მსგავსია ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის §883). გერმანიის სამოქალაქო კოდექსში იურიდიული ტექსტების ცხად და კონკრეტულ გადმოცემასთან შედარებით უპირატესობა ენიჭება ეზოპესეულ ლაპიდარულობას და აბსტრაქტულობას. ამიტომ §125 საფუძველზე მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება დავასკვნათ, რომ ზოგადი წესის თანახმად, იურიდიული გარიგებები არ ექცევა ფორმის მოთხოვნების მოქმედების არეალში"[277].

„რომანულ სამართლებრივ ოჯახში ფორმის მოთხოვნას ძირითადად მტკიცებულების ფუნქცია აქვს. თუ არ სრულდება მოთხოვნები ფორმის შესახებ, გარიგება არ ბათილდება, არამედ მხოლოდ რთულდება მისი ნამდვილობის დადასტურება, რადგან გამორიცხულია სამართლებრივი პოლიტიკის თვალსაზრისით არასასურველ მოწმეთა ჩვენებების გამოყენება მათი არასაიმედოობის გამო.

276. ბ. ზოიძე, ქართული სანიოთო სამართალი, თბილისი, 2003, გვ. 5-6.

277. კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, თბილისი, 2001, გვ. 51.

ამის მიუხედავად, ისინი დასაშვებია, თუ სადავოა თუნდაც პრიმიტიული წერილობითი მტკიცებულება ან საქმესთან დაკავშირებული ჩვენება, რომელიც ადასტურებს, რომ აღებული ვალდებულების შესრულების პირობა ნამდვილად დაიდო"[278]. „ფორმის დაცვა ფრანგულ სამართალში იშვიათად არის გარიგების ნამდვილობის წინასწარი პირობა. ხოლო იქ, სადაც კანონი ითხოვს ფორმის დაცვას, უმეტეს შემთხვევებში იგი უნდა იყოს ნოტარიალური. ამგვარ სამართლებრივ გარიგებებს განეკუთვნება ნაჩუქრობის დაპირება (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 931; იტალიის სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 782) და საქორწინო ხელშეკრულება (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მუხლი 1394, იტალიის სამოქალაქო კოდექსის 162 და მომდევნო მუხლები..... საფრანგეთში ნამდვილად ითვლება უძრავი ქონების შესახებ ზეპირი გარიგებებიც (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მუხლი 1583). თუმცა ზეპირად დადებული გარიგების დამადასტურებელი განცხადების დასამოწმებლად შეიძლება მოითხოვონ განცხადების დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტი და მოწმეთა ჩვენებები) და ა.შ[279].

„სრულიად განსხვავებულად არის საქმე გერმანულ სამართლებრივ ოჯახში. ფორმის მოთხოვნები აქაც მტკიცებულების ფუნქციას ასრულებს. მაგრამ ეს ფუნქცია დამხმარე ბუნებისაა „განზრახვის სერიოზულობის" დამადასტურებელ ფუნქციასთან მიმართებით. აღნიშნულს ადასტურებს შემდეგი ფაქტი: ფორმასთან დაკავშირებულ ნაკლოვანებებს გერმანულ სამართლებრივ ოჯახში ყოველთვის მოსდევს გარიგების გაბათილება მაშინაც, თუ ცალკეულ შემთხვევებში უდავოდ დასტურდება მოცემული პირობის ნამდვილობა ან პარტნიორთა ურთიერთშეთანხმება ხელშეკრულების დასადებად. ამგვარი მკაცრი ზომები

278. კ. ცვაიგერტი, ჰ. კოტცი, დასახ. ნაშრ; გვ. 57.
279. დაწერ. იხ. კ. ცვაიგერტი, ჰ.კოტცი, დასახ. ნაშრ; გვ. 54-57.

ფორმის დაუცველობის მიმართ აიხსნება იმით, რომ კანონმდებლისთვის ფორმა არის საფუძველი ხელშეკრულების დადების შესახებ პარტნიორთა განზრახვის სერიოზულობის დასადასტურებლად"[280].

როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ, კანონმდებლობა მხარეთა შეთანხებებისას ნების გამოვლენის ფორმის თავისუფლების პრინციპს ქადაგებს სამოქალაქო ბრუნვის გასავითარებლად, განსაკუთრებით ეს მოძრავ ნივთებზე გარიგებების დადებას ეხება. აკი აღიარებს კიდეც ამ დებულებას სამოქალაქო კოდექსის **186-ე მუხლი:** „მოძრავ ნივთზე საკუთრების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი **(ნ. 1)**. აქ არსად არაა მინიშნებული კანონით გათვალისწინებულ ფორმაზე და ბუნებრივიცაა, რადგან ყოველდღიურ რუტინულ ცხოვრებაში ადამიანები იმდენ წვრილმან საყოფაცხოვრებო გარიგებებს დებენ, რომ წერილობითი ფორმით ასეთი გარიგებების დადების მოთხოვნა კანონმდებლის მხრიდან დაბრკოლება იქნებოდა პირთა ნების გამოვლენის გზაზე (თუმცაღა იურიდიული ფიქციის გამოყენებით შეგვიძლია მოძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის ხელშეკრულებები წერილობითი ფორმით დავდოთ და საჯარო რეესტრშიც დავარეგისტრიროთ).

კანონი ასევე გვთავაზობს საინტერესო ალტერნატივებს, სადაც განსაკუთრებით გამოკვეთილია საზოგადოების შეგნებაში გაბატონებული **ზნეობრივი ნორმების როლი.** მაგალითად, სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად **(მ. 624)**, მაგრამ კანონმდებელი იქვე მხარეებს სთავაზობს, რომ თუ იარსებებს მხარეთა უნდობლობა, მათ ასევე შეთანხმებით შეუძლიათ გამოიყენონ წერილობითი ფორმაც და ცხადია ამ ფორმით ისარგებლებენ მხარეები, თუ ზეპირი ფორმით დადებული ხელშეკრულება მათთვის სარისკო იქნებოდა მათი უფლებების დასაცავად (მაგალი-

280. კ. ცვაიგერტი, ჰ. კოტცი, დასახ. ნაშრ; გვ. 57.

თად, გამსესხებელი მოითხოვს 100 000 ლარზე სესხის წერილობით დაფიქსირებას მეტი გარანტიისათვის), მითუმეტეს, რომ თვით კანონმდებელი გვაფრთხილებს, რომ „ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით“ **(იხ. სსკ მ.624).**

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გარიგების დადება შეიძლება აგრეთვე **დუმილით, კონკლიუდენტური მოქმედებით.** „დუმილი თანხმობის ნიშანია“ – ეს ცნობილი გამოთქმა სამართალში ნაკლებად გამოიყენება. ზოგადი და დამკვიდრებული წესით დუმილი ნების გამოვლენას არ წარმოადგენს[281]“. იმისათვის, რომ დუმილი გამოყენებულ იქნეს აქცეპტად (თანხმობად) აუცილებელი გარკვეული წინაპირობების არსებობა არ არის საკმარისი, მხარეები წინასწარ უნდა შეთანხმდნენ იმაზე, რომ დუმილი მათ შორის დადებულ ხელშეკრულებებში მათი გარიგების ფორმად, თანხმობის ნიშნად მიიღებოდეს. დუმილი, როგორც შეთანხმება მხარეებს შორის ხელშეკრულების დადებისა, შეიძლება გამოიყენებოდეს მეწარმეთა ურთიერთობებში როგორც ერთმანეთის წინადადების მიღების საუკეთესო საშუალება. „თუ მეწარმე, რომელსაც უხდება სხვა პირთა საქმიანი ოპერაციების შესრულება, მიიღებს ოფერტს ამგვარი საქმეების შესრულებაზე იმ პირისაგან, რომელთანაც იმყოფება საქმიან კავშირში, მაშინ იგი ვალდებულია გონიერულ ვადაში უპასუხოს ამ წინადადებას; მისი დუმილი ჩაითვლება აქცეპტად“ **(სსკ მ. 335, მ.1, პირველი წინადადება).** დუმილი ამ შემთხვევაში მეწარმეებს, საქმიან კავშირში მყოფ პირებს შორის ურთიერთობას აწესრიგებს, მაგრამ მხოლოდ იმ პირებისა, რომელთაც სხვა პირთა საქმიანი ოპერაციების შესრულება უხდება. **ავიღოთ მაგალითი:** ტურისტული კომპანია „ცენტური“ ყიდის ავიაკომპანია „აირზენას“ ავიაბილეთებს. იგი ვალდებულია შემკვეთს გონიერულ

281. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ.146.

ვადაში უპასუხოს ბილეთის არსებობა-არარსებობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში დუმილი **სსკ 335-ე მუხლის** თანახმად, თანხმობად ჩაითვლება. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როცა მეწარმე იღებს ასეთ ოფერტს იმ პირისაგან, რომლისგანაც იგი ითხოვდა შეკვეთებს ამგვარი საქმეების შესასრულებლად. **მაგალითი:** სააქციო ფირმა „კოკა-კოლა“-სა და საავტომობილო გადამზიდველს შორის დაიდო ხელშეკრულება საქონლის გადაზიდვაზე, რომლის თანახმად, ექსპედიტორი ვალდებულებას იღებს დამკვეთი ფირმის წინაშე, რომ მასთან გააფორმებს ხელშეკრულებას და გადაუზიდავს საქონელს დანიშნულების ადგილამდე. თუ ოფერტს (წინადადებას) გააგზავნის შემკვეთი სს „კოკა-კოლა“ და გონივრულ ვადაში არ უპასუხებს გადამზიდავი ორგანიზაცია, რომლიდანაც ადრე შეკვეთებს იღებდა იგი, ბუნებრივია **335-ე მუხლიდან** გამომდინარე მისი დუმილი აქცეპტად ჩაითვლება და თუ იგი არ შეასრულებს ვალდებულებას და კონტრაჰენტს ზიანი მიადგება, იგი პასუხისმგებელია ზიანის კომპენსაციაზე.

კონკლიუდენტური მოქმედების დროს ნების გამოვლენა კონკრეტული გარემოებებიდან იგულისხმება. აქ ძირითადად გარიგებები ფიზიკური ჟესტიკულაციური მოქმედებებით იდება. მაგალითად, სუპრმარკეტში შესვლისას ვიღებთ ჩვენთვის საჭირო ნივთებს და ვიხდით თანხას ოპერატორთან, ავდივართ ავტობუსში და ვიხდით მგზავრობის საფასურს, ისე, რომ ამისათვის ჩვენ სიტყვებით გარიგების დადება სულაც არ გვჭირდება. მაგრამ ყველა შემთხვევაში ასე როდია საქმე. სადავო გამხდარა პირების მიერ დუმილით დადებული გარიგებები ხშირ შემთხვევებში. **მაგალითი:** ვთქვათ ორმა პირმა ლოტოს ბილეთების გაყიდვის ჯიხურთან გამოხატეს ნება, რომ „ეთამაშათ“ და იყიდეს ბილეთი, რომელმაც დიდი თანხა მოიგო. მოგებული ბილეთი ერთ-ერთ მათგანთან ინახებოდა, რომელმაც მოგების თანხა არ გაუყო პარტნიორს, იმაზე მითითებით, რომ აქ ადგილი

არ ჰქონია გარიგების დადებას. ბუნებრივია სასამართლო ასეთი ფორმით (კონკლიუდენტური) დადებულ გარიგებას დადებულად ჩათვლიდა და ერთ-ერთ მათგანს დაავალებდა მოგებული თანხის შუაზე გაყოფას.

სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებას მემკვიდრეობად გადმოჰყვა ძველი სამართლის პირობებში გაუკუღმართებული ფორმით წარმოშობილი ურთიერთობანი. ამის ფაროდ გავრცელებულ მაგალითს წარმოადგენს ე. წ. **„ატსტუპნოი"**[282], რაც საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გეერდით მისი სარგებლობის სხვადასხვა ფორმებს ცნობდა. ეს საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანიც კი გამხდარა, კერძოდ სადავო აქტს წარმოადგენდა **საქართველოს კანონი „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ"**, რომლის განხილვის პროცესშიც წამოიჭრა **უფლებისა და გარიგების ფორმის მიმართების საკითხი**. აღნიშნული **კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი** ადგენდა, რომ „თუ მხარეებს შორის ურთიერთობა მოწესრიგებულია წერილობითი დოკუმენტით, რომელიც აღიარებს მათ შორის საცხოვრებელი სადგომის ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობას, მაგრამ მისი ფორმა არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, შემძენი ცნობილ იქნა მესაკუთრედ". **სასამართლოს მიერ განვითარებული აზრით არ არსებობს ურთიერთობა, თუკი არ არსებობდა აუცილებელი ფორმა.** საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული ნორმა არაკონსტიტუციურად ცნო და დაემყარა უძრავ ნივთზე საკუთრების შეძენის კანონისმიერი, საჯაღდებულო ფორმის მოთხოვნით გარიგების დადებას უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მოპოვებისა. **ასევე საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ „ფორმისა და ნების გამოვლინების კონფლიქტის ვითარებაში, არ უნდა გამოირიცხოს ნების გამოვლენის სხვაგვარი მტკიცება და ასე ფორმის**

282. „გასამცლელო".

ნაკლის გამოსწორება. თუკი შესაძლებელია ნამდვილი და უტყუარი ნების სხვა გზით დადგენა, ამაზე უარი არ უნდა ითქვას[283]".

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, კანონი ფორმის თავისუფლებას ქადაგებს სამოქალაქო ბრუნვის წესრიგის განსამტკიცებლად. **სსკ 69 - მუხლის 1-ლი ნაწილის** დებულება, რომ „გარიგება შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობითი ფორმით" – პირთა ნების თავისუფალი გამოვლენის ნათელი დასტურია. ზეპირი ფორმით გარიგებები, როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ, ძირითადად ხორციელდება მოძრავი ნივთების შემთხვევაში სანივთო გარიგებების დადებისას, რაც შეეხება ვალდებულებით სამართალს, აქ მეტი თავისუფლებაა ფორმის არჩევაში და ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები მხარეებს შორის ვერბალური (ზეპირი) ფორმით დადებული გარიგებებიდან ვლინდება. ერთი სიტყვით, **68-ე მუხლის 1-ლი ნაწილი** ალტერნატიულ ვარიანტს სთავაზობს პირებს გარიგებების ფორმის თავისუფლად არჩევაში. მოვიხმობთ სესხის ხელშეკრულებას (ეს მაგალითი ზემოთაც გამოვიყენეთ კონკრეტული საკითხის უკეთ გასაგებად), რომელიც ზეპირად იდება, მაგრამ მხარეებს აქვთ ალტერნატივა, – იგი წერილობითაც დადონ. ეს ფორმა სესხის და სხვა ტიპიური ხელშეკრულების დამდები მხარეებისათვის სამართლებრივი გარანტიების მიღების მეტი საშუალებაა, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ სესხის ხელშეკრულების **624-ე მუხლის ბოლო,** არც თუ დამამშვიდებელ დებულებას იმის შესახებ, რომ „ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით". სასამართლოს მიერ კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილებების მიღების საქმეში წერი-

283. დაწვრ. იხ. ბ.ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, გვ. 53-52-54. აქვე, დამატ. იხ. საქართველოს საკონტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/1/103,117,147-148,152-153 (2001 წლის 7 ივნისი).

ლობითი ფორმით დადებული გარიგებების მნიშვნელობისას, რომ ადრეც და ეხლაც დიდია ალბათობა იმისა, რომ სასამართლო პროცედურები, რომლებიც დაკავშირებულია საკმაოდ რთულ წესებთან, არსებობს საფრთხე იმისა, რომ ზეპირად ადებული გარიგების დასადასტურებლად სასამართლოს მოტყუებაც შეიძლება, ტყუილი ფიცის დადებაც ან კიდევ ცრუმოწმეების დაქირავება და სხვა. ამიტომ ცხადია, წერილობითი ფორმით დადებულ გარიგებებს მეტი მტკიცებულებითი ძალა ჰქონდეთ სასამართლო დავების განხილვისას და სხვ.

წერილობითი ფორმით გარიგების დადებისას პირველ შემთხვევას შეიძლება ვუწოდოთ **მკაცრად განსაზღვრული, იმპერატიული მოთხოვნით გათვალისწინებული ფორმა,** რომლის დარღვევაც არა თუ არ იწვევს უფლებების წარმოშობას მისი დამდები მხარეებისა, ხშირ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელ ნორმადაც ქცეულა. ასეთი ნორმები ძირითადად გათვალისწინებულია უძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენასთან დაკავშირებით, იგი **რთული წერილობითი ფორმის სახელითაა** ცნობილი დოქტრინაში,მაგრამ ამავე დროს კანონი ითვალისწინებს ჩვეულებრივ, **წერილობითი ფორმით დადებულ** გარიგებებსაც (ხელშეკრულებებს). მაგალითად, „ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე იღებს ვალდებულებას მთელი თავისი ამჟამინდელი ქონება ან ამ ქონების ნაწილი გადასცეს სხვას ან უზუფრუქტით დატვირთოს იგი, მოითხოვს წერილობით ფორმას“ **(სსკ მ. 321),**ხოლო იმავე მუხლის ბოლო წინადადება **ზეპირ ფორმასაც** მიიჩნევს დასაშვებად,თუ ხელშეკრულება დადებულია ამჟამინდელო ქონების ცალკეულ ნივთებზე. ან კიდევ, **სსკ მ. 563-ე** ქირავნობის ხელშეკრულებიდან, რომელიც საცხოვრებელი სახლის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისათვის წერილობით ფორმას მოითხოვს და არა საჯარო რეესტრში მის დარეგისტრირებას, როგორც ეს რთული წერილობითი ფორმის დროსაა აუცილებელი. მა-

გრამ პრაქტიკამ საინტერესო მაგალითები შემოგვთავაზა იმისა, რომ თუ ქირავნობის ხელშეკრულების მხარეებმა ეს ფორმა არ გაითვალისწინეს და ფაქტობრივად შეწყვიტეს ხელშეკრულება (გამქირავებელმა დაიბრუნა ქირავნობის საგანი, ხოლო დამქირავებელმა კი გადაიხადა ქირა, ე. ი. მხარეებმა ხელშეკრულებით დათქმული ყველა პირობით შეწყვიტეს ხელშეკრულება ზეპირი ფორმით და ერთმანეთთან სადავო არაფერი აქვთ), – კანონი ამ ფორმასაც ღებულობს ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლად (ზეპირ, ვერბალურ ფორმას). მაგრამ ამას ვერ ვიტყვით **1174-ე მუხლზე,** რომელიც კანონმდებლის მიერ მკაცრად რეგლამენტირებულია და იმპერატიულად ითხოვს, რომ „საქორწინო ხელშეკრულება იდება წერილობით და დასტურდება სანოტარო წესით". კანონმდებლობა ითვალისწინებს გარიგების წერილობითი ფორმის ნამდვილობისათვის გარიგების მონაწილეთა მხარეების ხელმოწერების არსებობას.

წერილობითი ფორმა ხელშემკვრელ მხარეებს ბუნებრივია იცავს ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღებისაგან,მართივად რომ ვთქვათ, წერილობითი ფორმით ხელშეკრულების დადებისას, კონტრაჰენტები კიდევ ერთხელ „გადააველებენ თვალს" ხელშეკრულების პირობებს, წაიკითხავენ მას და მერე მოაწერენ ხელს, მაგრამ ქართულ სინამდვილეში სამწუხაროდ ეს ასე როდი ხდება და ნაჩქარევად მიღებული გადაწყვეტილება, ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა მისი გონივრულად წაკითხვისა და გაანალიზების გარეშე ხშირად გამხდარა სასამართლო დავის საგანი. უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ჩაიწერა, რომ წერილობით დოკუმენტზე ხელმოწერა დასტურია იმისა, რომ ხელშეკრულების (ორმხრივი გარიგების) მონაწილენი იცნობენ მის შინაარს[284]. ასეთ უარყოფით პრაქტიკას ხშირად ეხვდებით ხოლმე ხელშეკრულების სტანდარტული

284. იხ. სუსგ, სამოქ. 9/2005, გვ. 32

პირობების განსაზღვრისას[285], როცა ხელშეკრულების პირობებს შემთავაზებელი (ოფერენტი) განსაზღვრავს და ეს პირობები მრავალჯერადი გამოყენებისაა. განსაკუთრებით ეს გახდება ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ხელმოწერაზე გაზით, ელექტროენერგიის, წყლის და ა. შ. მომსახურების (შეთავაზების) დროს, როცა უხეშად ირღვევა მომხმარებლის უფლებები, იგივეს ვიტყოდით საბანკო სასესხო მომსახურებისას კომერციული ბანკების მიერ შეთავაზებულ პირობებზე კრედიტის აღებისას, სადაც ელემენტარულად საბანკო კრედიტის ხელშეკრულების ფორმულარების შედგენისას, იქ, სადაც ბანკების უფლებებზეა საუბარი,-ფართო შრიფტითაა გაწერილი სტანდარტულ პირობებში ბანკების უფლებები, ხოლო კრედიტის ამღების უფლებები რატომღაც წერილი შრიფტითაა გადმოცემული, ისე,რომ მისი წაკითხვაც კი ჭირს ხშირ შემთხვევაში და ეს იმ დროს, როცა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი შეჭირვებული მდგომარეობის გამო, ოღონდ კრედიტი აიღოს და ხშირად არც კი კითხულობს თავის ვალდებულებებს, – არაა გაცნობიერებული თავის უფლებებს და ისე აწერს ხელს საკრედიტო ხელშეკრულებას, სახეზე კი ბანკების ვალის პოტენციური ვერგადამხდელები და უბინაოდ დარჩენილი მოქალაქეები გვრჩება სახეზე, რომელთა რაოდენობაც ასეულობითაა საქართველოში.

კანონი ასევე ითვალისწინებს **(სსკ მ.69 ნ.4) ბლანკეტურ ხელმოწერას,** რომელიც თანამედროვე პირობებში დიდ როლს ასრულებს და მას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც მინდობილობის დოკუმენტს. როგორც მინდობილობა ანიჭებს რწმუნებულს უფლებას მარწმუნებლის სახელით განახორციელოს მოქმედება, ასევე ბლანკეტური, ანუ შეუვსებელი დოკუმენტი მის მფლობელს უფლებამ-

285. იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მ. 342-348; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გვ. 180-212.

ოსილებით აღჭურავს შეავსოს დოკუმენტი და ამით დოკუმენტის გამცემის სახელით განახორციელოს ნების გამოვლენა. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბლანკეტური დოკუმენტი არასწორადაა შევსებული, ყარაუდია იმისა, რომ ნების გამოვლენა განხორციელდა დოკუმენტის გამცემის მიერ. მაგრამ თუ ისე მოხდა, რომ ბლანკეტური დოკუმენტი მისი მფლობელის მიერ მართლსაწინააღმდეგოდაა მოპოვებული, შევსებული და ადრესატისათვის გადაცემული, მას განიხილავენ როგორც წარმომადგენლობის უფლებამოსილების გარეშე სხვისი სახელით საქმიანობის განხორციელებას. შესაბამისად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნორმები „დაუალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისა“ **(მ. 969-975)**[286]. ბლანკეტური ფორმით გარიგების დადების გავრცელებულ სახეს გარიგების ფორმისა ადგილი აქვს ხოლმე საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ დიდი ოდენობით საფირმო ბლანკების არსებობისას, რომლებზედაც ამ საწარმოს ყველა რეკვიზიტია აღნიშნული. ბლანკეტური ხელმოწერა დასაშვებია აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა შეუვსებელი დოკუმენტი (ბლანკი) გადაეცემა პირს და გამცემის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი ავსებს მას. თუ მისმა მიმღებმა არასწორად შეავსო დოკუმენტი, არსებობს პრეზუმფცია იმისა, რომ ნების გამოვლენა დოკუმენტის გამცემის მიერ სწორადაა განხორციელებული, ხოლო თუ ბლანკი ბოროტად იქნება გამოყენებული, ეს შემთხვევა დაკვალიფიცირდება, როგორც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ხოლო უფლებამოსილების გარეშე სხვისი საქმიანობის განხორციელებად განიხილება ბლანკეტური დოკუმენტის მისი მფობელის გარეშე მართლსაწინააღმდეგოდ მოპოვება და გამოყენება. როცა კანონი ითხოვს წერილობით ფორმას გარიგების არსებობისას, კანონით გათვალისწინებულ

286. იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბილისი, 2001, გვ. 341- 351.

შემთხვევებში ან მხარეთა შეთანხმებით გარიგება ან გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობა უნდა დაამოწმოს ნოტარიუსმა ან კანონით გათვალისწინებულმა სხვა პირმა. მაგალითად, **258-ე მუხლის მე-4 ნაწილით „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით**[287] განსაზღვრულ სატრანსპორტო საშუალებასა და სასოფლო-სამეურნეო

287. საქართველოს კანონის `საგზაო მოძრაობის შესახებ“ 53-ე მუხლის („სატრანსპორტო საშუალების,მისი ნომრიანი აგრეგატებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალებების რეგისტრაცია და რეგისტრაციის გაუქმება“) პირველი პუნქტის თანახმად, „საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას რეგისტრაციას ექვემდებარება: ა) შიგაწვის ძრავას მქონე მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომლის ძრავას ცილინდროს მოცულობა 50 სმ[3] –ზე მეტია; ბ) ელექტროძრავიანი მექანიკური სატრანსპორტო საშუალება,რომლის ძრავას მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია; გ) მისაბმელი, რომელიც განკუთვნილია „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებებით მისი ბუქსირებისათვის; დ) სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალება; ე) ამ პუნქტის „ა“- „დ“ ქვეპუნქტეებით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალებების ნომრიანი აგრეგატები; ვ) ინდივიდუალური (თვითნაკეთი) წესით დამზადებული ან გადაკეთებული ამ პუნქტის „ა“ - „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალებები, მათი ნომრიანი აგრეგატები და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალება“. სქოლიოს ბ) ქვეპუნქტში საუბარია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის ლ) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებულ ელექტროძრავიან სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათავისუფლებულია აქციზისაგან ჩათვლის უფლების გარეშე; დამატ. იხ. ი.ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, მეორე გადამუშავებული გამოცემა,თბილისი, 2013, გვ. 475, 494. აღნიშნულ საკითხებს სტუდენტები დაწერილებით გაეცნობიან საგადასახადო სამართალში, ხოლო „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მძიმეგაბარიტიანი სატრანსპორტო საშუალებების დაბეგვრის, საბაჟო საწყობში მოთავსების, საქართველოს საბაჟო საზღვარზე მათი გადაადგილების შესახებ დაწერ. გაეცნობიან ისევ საგადასახადო სამართლის კურსის და საბაჟო საკითხების შესწავლისას, დამატ. ასევე იხ. ი. ხარაზი. საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2014, გვ. 134-135; გვ. 139-140.

მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე რეგისტრირებული გირავნობის წარმოშობისათვის აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და ამ გარიგებით განსაზღვრული გირავნობის უფლების რეგისტრაცია საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში.... საქართველოს თავდაცვის სამინისტრო უფლებამოსილია მისი კუთვნილი ზემოთ აღნიშნული 53-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნომრიანი აგრეგატების რეგისტრაცია და რეგისტრაციის გაუქმება განახორციელოს თავად ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში (კანონის „საგზაო მოძრაობის შესახებ“ მ. 53. პ.1, ქვეპუნქტი 7); მეორე მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ **სსკ მ. 286, ნ. 3.** „ის მოთხოვნა, რომელიც უზრუნველყოფილია იპოთეკით, შეიძლება შეიცვალოს სხვა მოთხოვნით. ამისათვის საჭიროა მესაკუთრისა და კრედიტორის (იპოთეკარის) შეთანხმება და ამ შეთანხმების რეგისტრაცია რეესტრში“. ასევე, სხვა მაგალითის სახით შეიძლება ზემოთაღნიშნული **სსკ მ. 1174 მუხლის** მოტანა, რომ „საქორწინო ხელშეკრულება იდება წერილობით და დასტურდება სანოტარო წესით; ისევე მაგალითი, **სსკ 1357-ე მუხლი** დასაბუთებულად მიიჩნევს წერილობითი ანდერძის ორ სახეს: **ა)** შინაურულს და **ბ)** თუ პირს მისი დეპონირება სურს ნოტარიუსთან, მაშინ ანდერძი დამოწმდება სანოტარო წესით.

კანონმდებლობით დასაშვებია **ხელის მოწერის გადანდობა სხვა პირისათვის,** როცა ნების გამომხატველი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისათვის იყენებს სხვა პირებს დავალების, მინდობილობის საფუძველზე. ეს დასაშვებია სამეწარმეო სამართალში (მაგალითად, **საქართველოს 1994 კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მ.10** „გენერალური

საჯარო მინდობილობა (პროკურა) და იურიდიულ მოქმედებათა განხორციელების უფლებამოსილება", მ.11. „საჯარო წარმომადგენელი, დამოუკიდებელი მოჯარე და კომისიონერი"), სახელშეკრულებო სამართალში ხელშეკრულებების დადებისას, როდესაც ხდება დავალების გადანდობა მესამე პირისათვის **(სსკ მ.711),** მემკვიდრეობით სამართალში **(სსკ მ.1361)** წერა-კითხვის უცოდინარი პირის, ყრუ-მუნჯისა და ბრმის მიერ საანდერძო განკარგულების გამოხატვისას ნოტარიუსთან და სხვა. წარმომადგენლის ხელის მოწერა აუცილებლად უნდა დამოწმდეს ოფიციალურად, ამასთან უნდა აღინიშნოს ის მიზეზი, რომლის გამოც გარიგების დამდებმა ვერ შეძლო გარიგებაზე ხელის მოწერა. მაგალითად, გარკვეული თავისებურებები ახასიათებს ბრმის, ან წერა-კითხვის უცოდინარი პირის მიერ საანდერძო განკარგულების გამოხატვას, რომელიც მას არ შეუძლია. ამიტომ იგი უფლებამოსილია, მისი ნება საანდერძო განკარგულების გამოხატვისას წარმომადგენელს მიანდოს. ბუნებრივია, პირს, რომელსაც იგი ენდობა და ეს პირი არაა დაინტერესებული ანდერძში გამოხატული ნებით. კანონის მომეტებული ყურადღება ამ შემთხვევაში მოანდერძეთა ინტერესების დაცვის გარანტირებულობის მაღალი ხარისხის აუცილებლობითაა განპირობებული და მოითხოვს დამატებით პირობებს, კერძოდ, ბრმის, წერა-კითხვის უცოდინარის საანდერძო განკარგულება უნდა გაკეთდეს ნოტარიუსთან სამი მოწმის თანდასწრებით. ამის შემდეგ უნდა გაკეთდეს სათანადო ჩანაწერი და წაეკითხოს მოანდერძეს. ჩამწერი და წამკითხველი, სხვა პირების მსგავსად შეიძლება იყვნენ მოწმებიც. მაგრამ ჩამწერი, ამავე დროს არ უნდა იყოს წამკითხველი. ჩანაწერში მითითებულ უნდა იქნეს, თუ ვინ გააკეთა ჩანაწერი და ვინ წაუკითხა მოანდერძეს. ჩანაწერს ხელი უნდა მოაწეროს მოწმეებმა და დაადასტუროს ნოტარიუსმა. ასეთი დოკუმენტები სრულფასოვანი ანდერძია"[288].

---

288. რ. შენგელია, ე. შენგელია, მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, 2007, გვ. 75-76.

გარიგების წერილობითი ფორმის შედგენისას აუცილებელია მისი დამდები მხარეების მიერ გარიგების დოკუმენტზე ხელის მოწერა, რომლითაც დასტურდება ამ გარიგების ნამდვილობა.

თუ გარიგების დადებისას ერთიდაიმავე შინაარსის რამდენიმე დოკუმენტია შედგენილი, რომლებიც შინაარსობრივად იდენტურია, კანონი დასაშვებად მიიჩნევს თითოეული მხარის ხელმოწერას იმ დოკუმენტის ეგზემპლარზე, რომელიც შესაბამისი მხარისათვის არის განკუთვნილი. მაგალითად, გარიგების დამდები მხარეები უფლებამოსილი არიან გარიგების ერთი ფორმულარის შედგენით დაკმაყოფილდნენ, ხელი მოაწერონ მას და დეპონირებისათვის (შესანახად) გადასცენ მესამე პირებს (ვთქვათ-ნოტარიუსს), ან კიდევ, შეადგინონ იმდენი დოკუმენტი (ფორმულარი) გარიგებისა, რამდენი მხარეც მონაწილეობს მასში (ვთქვათ 10 პირია) და თითოეულმა მათგანმა მისთვის განკუთვნილ ფორმულარს მოაწეროს ხელი და ერთმანეთში გაცვალონ დოკუმენტი, ან კიდევ, ყველა ფორმულარზე დაფიქსირდეს გარიგების მხარეების ხელმოწერა და თვითეე დაიტოვონ შესანახად ყველა მხარის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი. კანონი აქ შეზღუდვებს არ ცნობს.

ფორმის დაუცველად დადებული გარიგებები ბათილია. როგორც ავღნიშნეთ, **სსკ მ. 59, ნ. 1** ითვალისწინებს, რომ „ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ასევე ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისათვის საჭიროა ნებართვა". აღნიშნული დებულება გარკვეულ მსგავსება აქვს BGB-**ს § 125-თან**[289], კერძოდ, ამ პარაგრაფის თანახმად, (1) „თუ კანონით დადგენილია წერილობითი ფორმა, მაშინ დოკუმენტი საკუთარი ხელით

289. Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 100-103.

უნდა იქნეს ხელმოწერილი შემდგენლის მიერ ან მასზე უნდა გაკეთდეს მისი სანოტარო წესით დამოწმებული ინიციალები"[290]. როდესაც **სსკ მ. 59-ის 1-ლი ნაწილით** ბათილად ცხადდება ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისათვის საჭიროა ნებართვა",– ბათილობის საფუძვლად ნებართვის არარსებობის მითითება ფორმის-დაუცველად დადებულ გარიგებასთან ურთიერთკავშირში შესაბამის განმარტებას საჭიროებს. „ცხადია **სსკ-ს 59-ე I მუხლში** არ არის საუბარი ნებართვაზე **სსკ-ის მე-100 მუხლის** გაგებით, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში გარიგება მერყეულად ბათილად უნდა გამოცხადებულიყო. შესაბამისად, ასეთი გარიგება ბათილი მხოლოდ ცალმხრივი გარიგების

290. ქართულ კანონმდებლობაში სანოტარო წესით დამოწმება საჯარო რეესტრში რეგისტრაციამ ჩაანაცვლა, ხოლო გერმანულ სამოქალაქო კანომდებლობაში უფრო ხშირად ვხვდებით სანოტარო წესით დადასტურებას, მაგ; § 126,(4), სადაც წერია: „სანოტარო ფორმა ცელის წერილობით ფორმას", ასევე, § 128 („სანოტარო წესით დამოწმება, სადაც ეკითხულობთ: „თუ ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმება გათვალისწინებულია კანონით, მაშინ საკმარისია, თუ ჯერ ოფერტი, ხოლო შემდეგ აქცეპტი დამოწმდეს ნოტარიუსის მიერ"); ან კიდევ § 129(2): „განცხადების სანოტარო წესით დამოწმება ცელის საჯარო დამოწმებას", აგრეთვე §152: „თუ ხელშეკრულება დამოწმებულ უნდა იქნეს სანოტარო წესით ორივე მხარის ერთდროული თანდასწრების გარეშე, მაშინ ხელშეკრულება დადებულად ითელება §128 თანახმად გაკეთებული აქცეპტის დამოწმების მომენტიდან, თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი. გამოიყენება § 151 მე-2 წინადადების ნორმა(§151-ის მე-2 წინადადებაში საუბარია იმის შესახებ, რომ: ...მომენტი, როდესაც ოფერტი უქმდება, განისაზღვრება ოფერენტის ოფერტიდან ან გარემოებებიდან ნაგულისხმევი განზრახვის მიხედვით" და სხვ. ჩვენ ასეთ დათქმებად საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არ ვხვდებით გარდა გამონაკლისებისა, მაგალითად საქორწინო კონტრაქტის დროს, რომლის დადება წესრილობითი ფორმით ხდება და დასტურდება სანოტარო წესით და ა. შ, თუმცა გერმანულ სამოქალაქო კოდექსში ვხვდებით ასევე საადგილმამულო რეესტრში ჩანაწერების აუცილებლობას, რაც ცელის ქართულ საჯარო რეესტრს. მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §. 927, სადაც საუბარია მესაკუთრის რეგისტრაციაზე საადგილმამულო რეესტრში და ა.შ.

შემთხვევაში იქნებოდა. სხვა შემთხვევებში იგი დამოკიდებული იქნებოდა შემდგომ თანხმობაზე, ანუ მოწონებაზე, **სსკ-ის 101-ე მუხლის** გაგებით. სავარაუდოდ კანონმდებელი **სსკ-ის 59-ე მუხლის I მუხლში** შესაბამისი საჯარო უფლებამოსილების მქონე ორგანოს ნებართვას თუ ლიცენზიას გულისხმობს. სწორედ ასეთი სავალდებულო ნებართვის გარეშე დადებული გარიგება უნდა ჩაითვალოს ბათილად.[291]"

ბოლო დროს საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფართო გავრცელება ჰპოვა **ე.წ. ელექტრონულმა ვაჭრობამ.** გარიგების დამდები მხარეები ხ'შირად ერთმანეთთან დებენ სავაჭრო გარიგებებს, მაგალითად ყიდულობენ სხვადასხვა საქონელს, ისე, რომ არ ხედებიან ერთმანეთს. ასეთი ფორმით დადებულმა გარიგებებმა ისეთი მასშტაბური ხასიათი მიიღო, რომ გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიამ მოდელური კანონიც კი მიიღო ელექტრონული ვაჭრობის შესახებ. სრულიად შეგვიძლია, რომ ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულებებს მივუსადაგოთ მარტივი წერილობითი ფორმა. გერმანული სამოქალაქო კანონმდებლობა გამოყოფს **(§ 126ა.) ელექტრონული ფორმას გარიგებების დადებისას.** კერძოდ, **(1)** „თუ კანონით დადგენილი წერილობითი ფორმა უნდა შეიცვალოს ელექტრონული ფორმით, მაშინ ნების გამომჟღენმა ამ ფორმას უნდა დაურთოს საკუთარი სახელი, ხოლო ელექტრონულ დოკუმენტს კი დაუმატოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა **„ელექტრონული ხელმოწერის შესახებ"** კანონის **(Signaturgesetz) მიხედვით. (2)-ის** მიხედვით კი, „ხელშეკრულების შემთხვევაში თითოეულმა მხარემ ელექტრონულად უნდა მოაწეროს ხელი იდენტურ ეგზემპლარს **1-ლ ნაწილში** აღწერილი სახით". ასეთი კონკრეტული მითითება ხელშეკრულების დადებისას ელექტრონული ხელმოწერის შემთხვევებზე ქართული

291. დ.კერესელიძე, დასახ. ნაშრ; გვ. 301-302.

კანონმდებლობისათვის უცნობია, თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ კანონმდებლობით იგი აკრძალულია.

საქართველოს კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის[292] შესახებ“ განსაზღვრავს ელექტრონული სისტემის და მასში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებს. ელექტრონულ დოკუმენტზე ციფრული ხელმოწერა ითვლება მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ, თუ ციფრული ხელმოწერა გამოიყენება ელექტრონული დოკუმენტის ხელმოწერის მომენტში მოქმედ სერტიფიკატში (მოწმობაში) მითითებული მონაცემების შესაბამისად და შესაძლებელია ციფრული ხელმოწერის ნამდვილობის შემოწმება და დადასტურება და სერტიფიკატის საფუძველზე შექმნილი ციფრული ხელმოწერით დამოწმებული ან/და დადასტურებული ელექტრონული დოკუმენტის გამოყენება შესაძლებელია ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს კანონმდებლობა მოითხოვს დოკუმენტის მატერიალურ ფორმას.

აქვე ავღნიშნავდით, რომ სერტიფიკატის საფუძველზე შექმნილი ციფრული ხელმოწერით დამოწმებული ან/და დადასტურებული ელექტრონული დოკუმენტის გამოყენება არ შეიძლება **სამოქალაქო კოდექსის 341-ე („ვალის არსებობის აღიარება“), 892-ე („თავდებობის ფორმა“), 942-ე (სამისდღესიო „ხელშეკრულების ფორმა“) და 1357-ე (ანდერძის „სანოტარო ფორმა“)** მუხლებით განსაზღვრულ

---

292. **ელექტრონული დოკუმენტი** – ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალების გამოყენებით შექმნილი, გაგზავნილი, მიღებული ან შენახული წერილობითი ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტს ან იურიდიული მნიშვნელობის არმქონე ფაქტს; **მატერიალური დოკუმენტი** – ქაღალდზე ან სხვა მატერიალურ მატარებელზე წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტს ან იურიდიული მნიშვნელობის არმქონე ფაქტს.

გარიგებებზე ან/და ხელშეკრულებებზე.

ელექტრონული ხელმოწერა საქართველოში ყველაზე უფრო მასიურად გამოიყენება საგადასახადო საქმეში, საგადასახადო ორგანოსა და ვალდებულ პირებს შორის მიმოწერისას, საგადასახადო დოკუმენტების შედგენისას[293] და ა.შ.

სასამართლო პრაქტიკა ფორმის დაუცველად დადებული გარიგება-ის შესახებ იხ:

1. სუსგ სამოქ. ას-339-372-2010, 4 ნოემბერი, 2010 წელი;

2. სუსგ სამოქ. ას-922-1205-09 5 მარტი, 2010წ;

კ ი თ ხ ვ ე ბ ი

1. შეუძლიათ თუ არა მხარეებს თვითონ განსაზღვრონ გარიგების მისთვის მისაღები ფორმა, თუ იგი კანონით არაა გათვალისწინებული?

2. კანონით გათვალისწინებულ რა ფორმებს იცნობს სამოქალაქო სამართალი?

3. რას ნიშნავს გამოთქმა: „numerus klausa"-ს პრინციპი?

4. როგორია ვერბალური გარიგებები?

6. განმარტეთ „ბლანკეტური ხელმოწერა".

---

293. დაწვრ. იხ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის ბრძანებით (№996) დამტკიცებული ინსტრუქცია: „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ", თავი III „ელექტრონული ფორმით კომუნიკაცია".

ტესტები

1. უძრავი ქონების ნასყიდობისას პირებმა ხელშეკრულება შეიძლება დადონ:

ა.ზეპირად

ბ.წერილობითი ფორმით

გ. ზეპირად ან წერილობითი ფორმით

დ. წერილობითი ფორმით და ამ გარიგებით განსაზღვრული უფლების რეგისტრაცია უნდა მოახდინონ საჯარო რეესტრში.

2. გარიგება წერილობითი ფორმით შეიძლება დაიდოს:

ა. ოფერენტის ნებით

ბ. აქვეპტანტის თანხმობით

გ. სახელმწიფოს ნებართვის საფუძველზე

დ. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ან მხარეთა შეთანხმებით.

§ 4. საცილო გარიგებანი

§ 4. 1. შეცდომით დადებული გარიგებანი

შეცდომას, ადამიანის არასწორი წარმოდგენები უდევს საფუძვლად, რომელიც მას შეიძლება წარმოეშვას რეალური ცხოვრებიდან და ფაქტია, რომ ის არ დადებდა ასეთ გარიგებას, მას რომ ფაქტობრივი (რეალური) გარემოებები სცოდნოდა. შეცდომით დადებულ გარიგებებს ასევე, სამეცნიერო იურიდიულ ლიტერატურაში „ნების გაუცნობიერებელ ნაკლსაც „უწოდებენ[294]. ასევე საცილო გარიგებების სახეს კანონმდებელი განაკუთვნებს: **1 შეცდომით, 2. მოტყუებით და 3. იძულებით დადებულ გარიგებებს**, რომლებსაც საკმაოდ ვრცელი მუხლები არეგულირებენ.

სამოქალაქო კანონმდებლობაში **„შეცდომის"** როგორც ტერმინის განმარტება არ გეხვდება, ამიტომ სასამართლო პრაქტიკაში **„შეცდომა"** განიმარტა, როგორც არასწორი წარმოდგენები ამა თუ იმ ფაქტზე, მოვლენაზე. რომ არა შეცდომა, გარიგების მონაწილეები არც ისეთ გარიგებებს დადებდნენ, რომლებიც მათ სინამდვილეში არ სურდათ და არც გარკვეული სახის ურთიერთობებს დაამყარებდნენ ერთმანეთთან მოსალოდნელი შედეგები რომ სცოდნოდათ. რა შედეგები მოყვება შეცდომით დადებული გარიგების ბათილად ცნობას? რა უფლება-მოვალეობანი წარმოეშობათ მის დამდებ მხარეებს შეცდომის გამოვლენისას? როგორ იმოქმედებს შეცდომით დადებული გარიგებანი მესამე პირთა უფლებებზე და საერთოდ იმოქმედებს თუ არა,- აი, ის კითხვები, რომლებიც ცივილისტიკას აწუხებდა რომის სამართლიდან მოყოლებული დღემდე. შეცდომად, ანუ **erro-r (ignorantia)** ითვლებოდა მცდარი წარმოდგენა რაიმე ფაქტზე გარიგების დადებისას. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ყურადღება არ მახვილდებოდა კონტრაჰენტის გამოხატულ

294. იხ. დ. კერესელიძე, დასახ. ნაშრ; გვ. 317.

გარეგან და შინაგან ნებას შორის. აქ ლაპარაკი იყო ნების გამოხატვაზე არსებული ნების საწინააღმდეგოდ. ამიტომ რომაელი იურისტები თვლიდნენ, რომ შეცდომა წინასწარ განსაზღვრავს არანამდვილობას: არ არსებობს შეთანხმება იმათ შორის, ვინც ცდება; ჭეშმარიტება ეწინააღმდეგება შეცდომით დადებულ შეთანხმებას, რომლის ქვეშ უცოდინარობა იმალება. შეცდომით დადებული აქტების დროს მოქმედებდა პრინციპი: **„nulla voluntas errantis est“**[295] - **„არ ცოდნა, არ ცოდვაა“. მაგრამ** ყოველგვარი შეცდომა როდი მიიჩნეოდა სამართალ-რელევანტურად, ამისათვის საჭირო იყო რამდენიმე პირობა: ის მისაღები უნდა ყოფილიყო; არსებითი და ფაქტების არცოდნიდან გამომდინარე.

„რომის სამართალი შეცდომით დადებული გარიგების ზოგად პრობლემას არ განიხილავდა. მას ისინი უკავშირებდნენ ხელშეკრულებებიდან, მემკვიდრეობითი სამართლიდან და სხვა, გამომდინარე პრობლემებს. მომდევნო ეპოქების ცივილისტები შეცდომის მოძღვრებას ბუნებით სამართალთან აკავშირებდნენ. „გარიგების ცნების დამკვიდრებასთან ერთად შეცდომის საკითხმა ნების გამოვლენის პრობლემატიკის სფეროში გადაინაცვლა. შეცდომა უკვე განიხილებოდა უთანხმოებად ნებასა და მის გამოვლენას შორის. ამით შეცდომა ნების ნაკლის შესახებ მოძღვრების შემადგენელ ნაწილად იქცა“[296].

„თანამედროვე მოძღვრების ჩამოყალიბება დიდი **სავინის** სახელს უკავშირდება. მის თანახმად, შეცდომით განხორციელებული ნების გამოვლენა არ არის ნამდვილი, ვინაიდან ამ გარეგნული გამოხატვის უკან არ დგას ნამდვილი ნება, ე. ი. ნება და მისი გამოვლენა არ ემთხვევა ერთმანეთს“[297].

295.დიგესტები, 33, 3, 20

296. ლ. ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000, გვ. 368.

297. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბილისი, 2011, გვ. 366.

„შეცდომისაგან განსხვავდება უცოდინარობა. თუ შეცდომა სინამდვილის ყალბი წარმოდგენაა, უცოდინარობა საქმის ნამდვილი მდგომარეობის არცოდნაა. მათ ერთი და იგივე შედეგები მოსდევს და შესაბამისად ერთი მნიშვნელობითაც გამოიყენებიან“[298]. ბუნებრივია ისმის კითხვა: **როგორი შეცდომა მიიჩნევა საცილოდ? ყველანაირი შეცდომა, მათ შორის წვრილმანიც, რომელსაც ხშირად არც კი ვაქცევთ ყურადღებას?** ცხადია არა. ეს რომ ასე ყოფილიყო სამოქალაქო ურთიერთობების სტაბილურობა ეჭვქვეშ დადგებოდა. სამოქალაქო კოდექსის **72–ე მუხლი** პირდაპირ პასუხს გვცემს ამ კითხვაზე: „გარიგება შეიძლება საცილო გახდეს, თუ ნების გამოყენა მოხდა არსებითი შეცდომის საფუძველზე“. შეცდომა კერძო ნების გადახვევაა საერთო ნორმატიული ნებისაგან **(დივერგენცია)**[299].

შეცდომა ნების გაუცნობიერებელი ნაკლია. შეცდომით დადებული გარიგება საცილო გარიგებათა რიცხვს განეკუთვნება. „შესაბამისად საცილოობის წინაპირობაა ის, რომ ნების გამოვლენაზე გავლენა უნდა მოეხდინა შეცდომას, ანუ უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი პირის „სუბიექტურ“ შეცდომასა და მისი ნების გამოვლენას შორის. ამასთან, ეს შეცდომა „ობიექტურად“ „არსებითად“ უნდა იყოს მიჩნეული. შემდგომ კი, **სსკ-ის 73-ე** და შემდგომი მუხლებით ხორციელდება შეცილების უფლების წარმომშობი „არსებითი შეცდომის“ ცალკეული სახისა და შეცილების გამომრიცხავი „არაარსებითი შეცდომების“ მოწესრიგება“[300].

წინაპირობა შეცდომით დადებული გარიგებისა შეცდომაა. უნდა შევნიშნოთ, რომ შეცდომით დადებული

298. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 223.

299. დივერგენცია – divergentia – 1. სხვადასხვაობა; გადახრა, განშტოება; დიფერენციაცია. 2. ლინგვ. იგივეა, რაც დიფერენციაცია. უცხო სიტყვათა ლექსიკონი.

300. დ. კერესელიძე, დასახ. ნაშრ; გვ. 319.

გარიგებებისას შეცილების უფლების მქონე პირი ყველაზე ნაკლებად იმსახურებს დაცვას, რამეთუ შეცდომა მისი არსებიდან მომდინარეობს, თავად ნების გამომქმედების ძალაუფლების ქვეშაა მისი ნება, გარიგების დადებისას როგორ ნებას გამოავლენს იგი, აქ სხვათა ძალაუფლების გამოვლენა საერთოდ გამორიცხულია. საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებულია მოსაზრება მსგავს სიტუაციაში, ვითარებაში რა ზომებს მიიღებდა „გონივრული ადამიანი", ცდომილებაში მყოფი პირი, მას საქმის ნამდვილი გარემოება რომ სცოდნოდა. ბუნებრივია, შეცდომა ჩვენი ცხოვრების თანამდევია და მას ის არასწორი წარმოდგენები უდევს საფუძვლად, რომელიც გვიბიძგებს გარიგების დადებისაკენ, რამეთუ საქმის ნამდვილი არსის შესახებ რომ გვქონოდა ინფორმაცია, მსგავს გარიგებას არ დავდებდით. ცხადია, შეცდომა მაშინ უნდა ჩაითვალოს **არსებითად**, „თუკი პირი ასეთ ვითარებაში საერთოდ არ დადებდა გარიგებას, ან დადებდა მას სრულიად განსხვავებული პირობებით.." შეიძლება ითქვას, რომ გარიგების დამდებ მხარეს „წაცდა ხელი" გარიგების დადებისას, ანუ შეცდომა დაუშვა ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას, მეტყველებისას (ნების ზეპირი გამოვლენისას), ასევე სხვა მოქმედებების განხორციელებისას, რომელთა დახმარებითაც მან გარიგება დადო.

„საქართველოში შეცდომას სამოქალაქო სამართალში არ გააჩნია რაიმე სახის კონკრეტული განმარტება..."[301] „კანონის საშუალებით ხდება დიფერენცირება თუ რა სახის შეცდომის დაშვებაა სამართლებრივი შედეგის მქონე და რომ ცხოვრებაში დაშვებული თითოეული შეცდომა არ შეიძლება სამართლებრივი შედეგის დადგომის წინაპირობას წარმოადგენდეს"[302].

---

301. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გე. 223.

302. ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000, გე. 369.

არსებითი შეცდომის სახეები. სსკ-ის მიხედვით არსებითი შეცდომის სახეები იყოფა ექვს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სახედ. საკითხი შეიძლება მეორე კუთხითაც იქნეს განხილული, როგორიც შეცდომის ერთი ძირითადი სახის არსებობა, რომელთა დაკონკრეტებაა დანარჩენი სახეები. აღნიშნული მოსაზრება, რომელიც შეცდომის ერთ ძირითად სახეს გამოყოფს, საინტერესოა იმ კუთხით, რომ ძირითადი აქცენტი არსებითი შეცდომის ყველაზე გაერცელებული სახეზე – შინაარსში დაშვებულ შეცდომაზე კეთდება. თუ ავიღებთ გერმანიის მაგალითს, შევამჩნევთ, რომ სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე გამოიყოფა შეცდომის ორი ძირითადი სახე: **შეცდომა შინაარსში**[303] **და შეცდომა განმარტებაში**[304], ხოლო ყველა სხვა სახის შეცდომა ზემოაღნიშნულ სახეებს შინაარსობრივად ექვემდებარება"[305].

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით არსებითი შეცდომის სახეები ექვს ნაწილად იყოფა და ესენია: 1. შეცდომა გარიგების ტიპის არჩევაში; 2. შეცდომა შინაარსში; 3. შეცდომა გარიგების საფუძველში; 4. შეცდომა კონტრაჰირების იძულებაში; 5. შეცდომა საგნის ძირითად თვისებებში; 6. შეცდომა უფლებაში.

სსკ 73 - ე მუხლი ჩამოთვლის არსებითი შეცდომის სახეებს, კერძოდ: **ა. პირს სურდა დაედო სხვა გარიგება და არა ის, რომელზედაც მან გამოთქვა თანხმობა; ბ. პირი ცდება იმ გარიგების შინაარსში, რომლის დადებაც მას სურდა; გ. არ არსებობს ის გარემოებები, რომელთაც მხარეები, კეთილსინდისიერების პრინციპებიდან გამომდინარე, განიხილავენ გარიგების საფუძვლად.**

303. შეცდომა შინაარსში – **der inhaltsirrtum.**

304. შეცდომა განმარტებაში – **der erklärungsirrtum.**

305. სერგი ჯორბენაძე, „გარიგებაში დაშვებული შეცდომის სახეები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით", წიგნიდან: რ. შენგელია, სამართლის პრობლემები; თბილისი, 2012, გვ. 399

ა. პირს სურდა დაედო სხვა გარიგება და არა ის, რომელზედაც მან გამოთქვა თანხმობა. აქ ნათლად იკვეთება ფაქტი იმის შესახებ, რომ პირი აშკარად ცდება გარიგების ტიპში. მას რომ სცოდნოდა, რომ ცდებოდა (რაზედაც გარიგება დადო), ბუნებრივია, იგი ამ გარიგებას სინამდვილეში არ დადებდა. მაგალითად, ა-მ ბ-ს ათხოვა წიგნი 1 თვით. ბ. ამ წიგნს აღარ აბრუნებს ვადის გასვლის შემდეგ. როცა ა-მ ბ-ს წიგნი მოსთხოვა, ბ-მ ა-ს განუცხადა, რომ მას ხომ ეს წიგნი აჩუქეს. გამოდის, რომ აქ თხოვების ნაცვლად პირმა ჩუქება იგულისხმა. როგორ უნდა დადგინდეს ფაქტი რომ ამ შემთხვევაში თხოვებაა და არა ჩუქება? კონკრეტული ფაქტის საფუძველზე, **ნების გამოვლენის გონივრული განმარტების შედეგად.** ე. ი. სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომ ნების გამომვლენს აზრადაც არ მოსვლია, რომ ბ-სთვის წიგნი ეჩუქებინა. ცხადია, ბ-მ წიგნი უკან უნდა დააბრუნოს. გარიგების ტიპში შეცდომა შეიძლება შეეხვედეს არა მარტო სხვადასხვა გარიგებების დადებისას (თხოვების ნაცვლად ჩუქება, ქირავნობის ნაცვლად იჯარა და ა. შ.), ასევე თვით ერთი გარიგების შიგნითაც. ისევ მაგალითი: ა. ბ-ს შეპირდა, რომ აჩუქებდა „ვეფხისტყაოსანს“ და თუ მჩუქებელი სახლში არ იქნებოდა-წაეღო წიგნი. ა-ს სახლში ჰქონდა აგრეთვე XIX საუკუნეში დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც წაიღო ბ-მ. ა-მ მოითხოვა წიგნის უკან დაბრუნება. თუ ნების გონიერული განსჯის შედეგად დადგინდა, რომ ა-ს მხედველობაში არ ჰქონდა ცხადია უნიკალური გამოცემის ჩუქება, ნივთი უკან დაბრუნდება. ან კიდევ, ა-ს ბ-სთვის უნდა ეჩუქებინა დაბადების დღეზე 100 ლარი და კონვერტში კი შეცდომით 100 ამერიკული დოლარი ჩაუდო. ე.ი. ამ და, ზემოთ მოყვანილ სხვა მაგალითებში პირები დებენ გარიგებას, რაზედაც მათ თანხმობა არ გამოუთქვამთ. ასეთი გარიგებები ბუნებრივია უნდა გაბათილდეს. შედეგი ამ ბათილობისა? ნივთი საწყის მესაკუთრეს დაუბრუნდება.

ბ. სსკ მ. 73.ბ. „პირი ცდება იმ გარიგების შინაარსში, რომლის დადებაც მას სურდა“. გამოდის რა, რომ პირის მიერ გამოვლენილი ნება მის ნამდვილ სურვილს არ ემთხვევა. გარიგების შინაარსში შეცდომასთან ხშირად აქვს ადგილი მხარეთა სხვადასხვა საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით გარიგების დადებასთან, ენის არცოდნასთან, როცა თვით ნების გამომვლენი მის მიერ გამოვლენილ ნებაში სულ სხვა შინაარს აქსოვს, ვიდრე მას სურდა და სხვა. მაგალითად, აშშ მოქალაქემ კანადის მოქალაქეს ასესხა 20 000 აშშ დოლარი. ვალის გადახდის დროს კანადელმა ამერიკელს 20 000 კანადური დოლარი დაუბრუნა. ამერიკელმა კი მოითხოვა 20 000 ამერიკული დოლარის დაბრუნება. როგორ უნდა გავიგოთ საქმის ნამდვილი არსი? ამაზე პასუხს გაგვცემს **337-ე მუხლი** („ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამების განმარტება“). „თუ ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამები შეიძლება გაგებულ იქნეს სხვადასხვანაირად, მაშინ უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმას, რომელიც ჩვეულებრივ მიღებულია ხელშეკრულების დამდები მხარეების საცხოვრებელ ადგილზე“. ამერიკელსა და კანადელს ხომ არ აქვთ საერთო საცხოვრებელი ადგილი ჩვენს მაგალითში? მაშინ, პასუხს ისევ **337-ე მუხლის ბოლო წინადადება** იძლევა: „თუკი მხარეებს სხვადასხვა საცხოვრებელი ადგილი აქვთ, გადამწყვეტია აქცეპტანტის საცხოვრებელი ადგილი“. პასუხი ნათელი და გასაგებია.

ასევე, ხშირია ხელშეკრულებებში ურთიერთგამომრიცხველი და მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამების არსებობა, რომელიც ხშირად გაუგებარს ხდის ნების გამოვლენათა განმარტებას. რა უნდა მოვიმოქმედოთ ამ ჩიხიდან გამოსასვლელად? ამ კონკრეტული შეკითხვის ამომწურავ პასუხს გასცემს **338-ე მუხლი: „ხელშეკრულებაში** ურთიერთგამომრიცხავი ან მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამების დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ გამონათქვამებს, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისე-

ბა ხელშეკრულების შინაარს. **მაგალითი**: ორმა გოგონამ ჩაუარა საქორწინო კაბების მაღაზიას. ერთ-ერთმა მათგანმა სურვილი გამოთქვა რომ შესულიყვნენ მაღაზიაში, რადგან იგი თხოვდებოდა და საქორწინო კაბის მორგება უნდოდა. მეორემ უთხრა, რომ მას ჰქონდა სახლში საქორწინო კაბა, რომელიც ზუსტად მისი ზომა იქნებოდა და მისცემდა. **მეორე შემთხვევა:** გოგონებმა საქორწინო კაბების გამქირავებელ სალონს ჩაუარეს და ერთ-ერთი მათგანის თხოვნაზე, რომ შესულიყვნენ და დაეთვალიერებინათ, რადგან ერთი მათგანი მალე თხოვდებოდა, მეორემ ისევ გაუმეორა, რომ მისი ზომის კაბა სახლში ჰქონდა და მისცემდა. თუ ორივე შემთხვევაში გარიგება შედგებოდა და გათხოვილი მეგობარი კაბას არ დააბრუნებდა, რომელ შემთხვევაში შეეძლო მეორე მხარეს (საქორწინო კაბის მიმცემს) საქორწინო კაბის დაბრუნება? რათქმა უნდა თუ ნება (კაბის მიმცემისა) გამოელინდებოდა იმ სალონის გვერდით ჩაელისას, რომელიც საქორწინო კაბას აქირავებდა და არ ყიდდა. თუ მეგობარი ამ შემთხვევაში კაბას არ დააბრუნებს, მეორე მხარეს სასამართლოს ძალით უფლება აქვს მისი დაბრუნებისა ქირის გადახდით (სალონი ხომ კაბას აქირავებდა და არ ყიდდა). ამრიგად, **73-ე(გ) და 337-338-ე მუხლებს**[306] დიდი მნიშვნელობა აქვთ, რადგანაც არცთუ ისე ხშირია შემთხვევები, როცა ცალკეული გამონათქვამები მხარეებს სხვადასხვანაირად ესმით და სხვადასხვანაირ სამართლებრივ შედეგებსაც ითვალისწინებენ ამ გარიგებებიდან სხვა მაგალითის მოყვანაც შეიძლებოდა, მაგალითად, მემკვიდრეობითი სამართლიდან: პირი, რომელიც ანდერძს წერს და სურს რომ მთელი თავისი ქონება დის შვილს დაუტოვოს, ანდერძში კანონიერ მემკვიდრეებს მოიხსენიებს, არ იცის რა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობას ამ შემთხვევაში მიიღებენ ის კანონისმიერი მემ-

306. დამატ. იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გვ. 154-165.

კეიდრეებიც, რომლებიც **133-ე მუხლში** არიან მოხსენიებული და სხვა.

გ- 73.გ. „არ არსებობს ის გარემოებები, რომელთაც მხარეები, კეთილინდისიერების პრინციპებიდან გამომდინარე, განიხილავენ გარიგების საფუძვლად“. ხშირია შემთხვევები, როცა არ არსებობს ის გარემოებები, რომელთაც მხარეები კეთილსინდისიერების პრინციპებიდან გამომდინარე გარიგების საფუძვლად განიხილავდნენ. გამოდის, რომ მხარეებს ერთობლივად ისეთი წარმოდგენა ჰქონდათ კონკრეტული გარიგების დადებისას გარემოებებზე, რომელიც საფუძველი გახდა მისი დადებისა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მხარეები ცდებოდნენ ამ გარემოების არსებობაში, რადგან კეთილსინდისიერად ენდობოდნენ მას. გამოდის, რომ მხარეებს მისთვის მიუღებელი გარემოებები რომ სცოდნოდათ, გარიგებას არ დადებდნენ. აქ საფუძველში შეცდომაა, რომელიც მოტიეში შეცდომასაც გულისხმობს და მეორეს მხრივ, ნების გამოვლენაში შეცდომას. აქ ადგილი აქვს ერთდროულად **სუბიექტურ და ობიექტურ** გარემოებებს ბრუნვის კეთილსინდისიერებიდან გამომდინარე.

გერმანული სამოქალაქო კოდექსის § 119-ის თანახმად **(1)**[307], რომელიც **„შეცილებას შეცდომის გამო“** ეძღვნება, აღნიშნულია, რომ „პირს, რომელმაც ნების გამოვლენის დროს დაუშვა შეცდომა ნების გამოვლენის შინაარსთან დაკავშირებით ან მას საერთოდ არ ჰქონია განზრახვა ასეთი შინაარსით ნების გამოვლენისა, – შეუძლია საცილო გახადოს ნების გამოვლენა, თუ ივარაუდება, რომ იგი არ გააკეთებდა ნების გამოვლენას საქმის ვითარების ცოდნისას ან მისი გონივრული შეფასებისას. (2) ნების გამოვლენის შინაარსში შეცდომად მიიჩნევა შეცდომა პირის

307. დამატ. იხ. Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 88-92.

ან ნიუთის თვისებებში, რომლებიც სამოქალაქო ბრუნვაში მიიჩნევა არსებითად.“

გარიგების სწორად განმარტებას, არა მარტო თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია. ეს საბუთდება იმით, რომ შესაძლებლობას აძლევს მხარეებს არა მარტო სწორად გამოაცლინონ ნება, არამედ გამოვლენილი ნება სწორად მიიღოს მეორე მხარემაც (ნების მიმღებმა). ნების გამოვლენის გაუგებრობისას, მეორე მხარეც არასწორად იღებს ნებას და ეს ხდება შემდეგ მათ შორის წარმოშობილი დავის საგანი. ძალზედ ძნელია ხშირად საუბარი მხარეთა საერთო ნებაზე, შეუძლებელიც ხდება ხშირ შემთხვევაში გარიგების განმარტება იმის მიხედვით, თუ რას ფიქრობდა ნების გამომვლენი, ან პირიქით-ნების მიმღები. გამოსავალს კიდევ გვაწვდის **სსკ 52-ე მუხლი**, რომ, „ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონიერული განსჯის შედეგად, ანუ გონიერი ადამიანი კონკრეტულ გამონათქვამში რა შინაარს ჩააქსოვდა. გამონათქვამები **სოციალური კომუნიკაციის აქტია** და ბუნებრივია მისი ავტორი გარკვეულ პაუხისმგებლობასაც კისრულობს ამ გამონათქვამებისათვის, რამეთუ მასში გარკვეული აზრია ჩადებული. ამიტომ გარიგების დადებისას, ყოველმა მხარემ გამონათქვამს ისეთი მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს, რომელსაც ასევე მიიღებდა გონიერი ადამიანი. თუ გარიგების დამდები მხარეები საქმიანი წრის წარმომადგენლები არიან, მაშინ ცხადია, ისიც უნდა იქნეს გათვალისწინებული, ამ წრეში ამ პირების გამონათქვამებს რა მნიშვნელობა მიენიჭებოდა. მაგალითად, **სსკ მ. 339 („სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები“)**[308] მიხედვით, სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები წარმოიშობა ამა თუ იმ სამეწარმეო საქმიანობის წარმომადგენელთა მიერ ურთიერთშეთანხმებული და ხანგრძლივი გამოყენების შედეგად.

---

308. იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გვ. 166-170.

სსკ-ის 339-ე მუხლთან ერთად არ შეიძლება აქვე ორიოდ სიტყვით არ შევეხოთ **„ინკოტერმსს“, Incoterms (International Commercial Terms** (ქართულად: საერთაშორისო სავაჭრო ტერმინები), რომლებიც მსოფლიოში აღიარებული მთელი რიგი ტერმინებია, რომლებიც ფაქტობრივად, სავაჭრო ტრადიციებისა და პრაქტიკის საფუძველზე შეიქმნა. საერთაშორისო სავაჭრო ტერმინების, ანუ როგორც მას სახელშეკრულებო პრაქტიკაში შემოკლებით უწოდებენ„„ინკოტერმს“-ის ტერმინები მოწოდებულია მოახდინოს საერთაშორისო ნასყიდობისა და გადაზიდვების ხელშეკრულებათა ძირითადი პირობების ჰარმონიზება“[309]. „აღსანიშნავია, რომ ინკოტერმსის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ხელშეკრულების მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებზე, საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ საკითხებში“[310].

ამასთანავე ამგვარი გარიგებების განმარტებისას ყურადღება უნდა მიექცეს ნების გამოვლენის განმარტებას, მხარეების მიერ კეთილსინდისიერად მოქმედების ვარაუდს.

კეთილსინდისიერი ქცევა არაა სამართლებრივი ქცევის ტოლფასი. გამოდის, რომ ყოველი არამართლზომიერი ქცევა იმავდროულად არ ნიშნავს არაკეთილსინდისიერ ქცევა და პირიქით. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ერთმანეთისადმი გულისხმიერ,პასუხისმგებლობით აღსავსე,ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას.

შეცდომა კონტრაჰენტის პიროვნებაში. „შეცდომა კონტრაჰენტის პიროვნების მიმართ მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არსებითად, როდესაც თვითონ კონტრაჰენტის პიროვნება

309. `თავისუფალი ქართულენოვანი ენციკლოპედია ეიკიპედიდან. იხ. საიტი: http://ka.wikipedia.org/wiki/

310. ნ. იაშვილი, ე. მაღალაშვილი, ზ. ნაჭყებია, სახელშეკრულებო ურთიერთობების პრაქტიკა, თბილისი, 2006, გვ. 156.

ან მისი პირადი თვისებების გათვალისწინება გარიგების დადების მთავარი საფუძველია“ **(სსკ მ. 74. მ. 1).** როგორც მუხლიდან ჩანს, თუ ოფერტის აქცეპტირება პირმა კონკრეტულ პირს დაუკავშირა, ან კიდევ მის პიროვნულ მახასიათებლებს (პროფესიონალიზმი, ასაკი, უნარი, ცნობადობა და სხვა), მაშინ შეიძლება ვილაპარაკოთ გარიგების ბათილობაზე. მაგალითი როცა პირთან დაკავშირებითაა შეცდომა: **ა-ს** სურს მთელი თავისი ქონება დაუტოვოს ახლო ნათესავს და მას კონკრეტული სახელით მოიხსენიებს ანდერძში, სინამდვილეში კი, აღმოჩნდება, რომ ეს პირი მისი ახლო ნათესავი არ ყოფილა, ან კიდევ, **ა-მ** გადაწყვიტა ავტოპორტრეტი შეეკვეთა ცნობილი მხატვრისათვის, თუმცა მას ფიზიკურად არ იცნობდა. სახელოსნოში შესვლისას მან იკითხა ეს მხატვარი და იქვე მყოფმა პირმა (სხვა მხატვარმა) უპასუხა, რომ ის წარმოადგენდა ამ სახელის მატარებელ პირს. პორტრეტის დახატვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ სახელოსნოში ორი მხატვარი მუშაობდა ერთი და იგივე სამოქალაქო სახელით და ნაკლებად ცნობილი მხატვრისათვის გაუგებარი იყო რომ პორტრეტის შემკვეთი „ცნობილ მხატვარს“ ეძებდა. **გაბათილდება თუ არა ეს გარიგება?** გარიგების გაბათილების საკითხი გონივრული განმარტების შედეგად უნდა დადგინდეს და გასათვალისწინებელია **სუბიექტური (მხარეთა ნება)** და **ობიექტური (ნების გარეგნული გამოხატვა) ფაქტორები** (მოქმედებები, სიტყვები, აზრის ფორმულირება). სხვანაირად ფაქტიურად შეუძლებელია გარიგების გაბათილება. ამ შემთხვევაში უპირატესობა სწორედ გარეგნულ გამოხატულებას ენიჭება.

მაგრამ აქვე გასათვალისწინებელია ერთი ძირითადი ფაქტორი იმის შესახებ, რომ პირი შეცდა კონტრაგენტის პიროვნულ თვისებებში (სურდა სხვა მხატვარს დაეხატა მისი პორტრეტი და სხვამ, უფრო ნაკლებად ცნობილმა მხატვარმა დახატა, რომელმაც არ იცოდა, რომ შემკვეთი „დიდ მხატვარს“, ეძებდა), მაგრამ შემკვეთმა მიიღო ნახატი,

– მაშინ შეცდომას კონტრაგენტის პიროვნებაში ადგილი აღარ ექნება და შემკვეთის მიერ გარიგების გაბათილებაც აღარ მოხდება. ან კიდევ პირმა ხანძრის ჩასაქრობად გამოიძახა ერთი სახანძრო რაზმი და მეორე მოვიდა. საქმე (ხანძრის ჩაქრობა) კეთილსინდისიერად იქნა შესრულებული. **გარიგების გაბათილება მოხდება თუ არა?** ცხადია არა. თუ გადახდის ვალდებულება წარმოიშობოდა მომსახურებისას, ცხადია პირმა უნდა გადაიხადოს მომსახურების საფასურიც, თუ მისთვის განსაკუთრებული, გამოკვეთილი მნიშვნელობა არ ექნებოდა თუ ვინ შეასრულებდა სამუშაოს.

შეცდომას კონტრაჰენტის პიროვნებაში მხოლოდ მაშინ ექნებოდა ადგილი, თუ კონკრეტულ პირს (ან მის პიროვნულ მახასიათებელს) დავუკავშირებდით გარიგების დადებას.

საინტერესოა ს. ჩაჩავას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ თუ რატომ არ შეიძლება გამჩუქებლის მიერ დაშვებულ იქნეს შეცდომა კონტრაჰენტის პიროვნებაში, როდესაც იგი უშუალოდ დასაჩუქრებულის პირად თვისებებში ცდება? აზრის ავტორს მხედველობაში აქვს სსკ-ის 74-ე მუხლის პირველი ნაწილი, სადაც კონტრაჰენტის „პირად თვისებებში“ შეცდომაზეა საუბარი[311]. ვფიქრობთ, აქ საკამათო და საჭოჭმანო არაფერია, რამეთუ „შეცდომა კონტრაჰენტის პიროვნებაში“ და კონკრეტულად „პირად თვისებებში“ არ შეიძლება ეიწროდ განვმარტოთ, რამეთუ კონტრაჰენტის პიროვნებაში შეცდომა აბსტრაქტული ხასიათისაა და კონტრაგენტის მხოლოდ „ვიწროდ“ დამახასიათებელ თვისებებს როდი მოიცავს. აქ შეიძლება პიროვნების ისეთ თვისებებზეც გამახვილდეს ყურადღება, როგორი-

311. ს. ჩაჩავა, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2011, გვ. 90-91, ასევე გვ. 105 და შემდგომი.

ცხაა: მადლიერება გამჩუქებლის მიმართ, პუმანურობა, ზრდილობიანობა, პასუხისმგებლობის გრძნობა და მისთ. სერგი ჯორბენაძე, თავის სტატიაში („გარიგებაში დაშვებული ზარსებითი შეცდომის სახეები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით"), იზიარებს ს. ჩაჩანიძის მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ: „სრულიად ლოგიკურად მიმაჩნია, ამ ორი ინსტიტუტის (შეცდომა კონტრაჰენტის პიროვნებაში და ჩუქების ხელშეკრულება) დაკავშირება ერთმანეთთან", თუმცა ის მიიჩნევს, რომ „ნაჩუქარი ნივთის უკან გამოთხოვა შეცდომით დადებული გარიგების შედეგი არაა, ვინაიდან სამართლებრივი შედეგიც გარიგების საცილოობა გახდებოდა"[312]. მას აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად მოჰყავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება (№ას-385-358. 2010), კერძოდ, „საკასაციო სასამართლომ გაიზიარა და დაეთანხმა სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომელიც მიიჩნევდა, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დადებულ ჩუქების ხელშეკრულებას არ გააჩნდა ხელშეკრულების მოშლის საფუძველი. საქმის გარემოება შემდეგში მდგომარეობა: **მოსარჩელემ მოპასუხეს ბათუმში აჩუქა საცხოვრებელი ბინა, მხოლოდ იმ პირობით, რომ დასაჩუქრებული (საქმეში მოპასუხე) მოუვლიდა დამსაჩუქრებელს (საქმეში მოსარჩელე) და მასთან მცხოვრებ ქალბატონს, რომელიც მოსარჩელის აზრით მოპასუხემ არ შეასრულა და მის მიმართ დიდი უმადურობა გამოიჩინა. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში არ ჰქონდა შესაბამისი მტკიცებულებანი წარმოდგენილი, რომლითაც იგი „უმადურობის" ფაქტს დაადასტურებდა, ხოლო მოპასუხის მიერ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებანი უშუალოდ მიუთითებდა მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, კერძოდ: მოპასუხე მხარე ჩუქების ხელშეკრულების**

312. სერგი ჯორბენაძე, „გარიგებაში დაშვებული შეცდომის სახეები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით". წიგნიდან: რ. შენგელია, სამართლის პრობლემები, გვ. 407.

დადებამდე და დადების შემდეგაც ცხოვრობდა სადავო სახლში და არა სხვის ადგილას. ამასთან, იგი მუდამ ცდილობდა მადლიერება გამოეხატა დამსაჩუქრებლის მიმართ, რაც მისთვის გარკვეული თანხის გადაცემაში გამოიხატებოდა. იმ ფაქტის შესახებ, რომ მოპასუხე იჩენდა მზრუნველობას მოსარჩელის მიმართ, დამსაჩუქრებელმა თავად განუცხადა სასამართლოს, რაც შემდგომ საკასაციო პალატისათვის გადაწყვეტილების დასაბუთების ერთ-ერთი საშუალება გახდა. შედეგად სარჩელი ამ ნაწილში (ისევე როგორც მთლიანად) არ დაკმაყოფილდა, მოცემული განმარტებანი და დასაბუთებანი არ გახდა სასამართლოსთვის იმის დარწმუნების მიზეზი, რომ დასაჩუქრებულის მოქმედება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის პირველი ნაწილის დარღვევით[313].

მოყვანილი სასამართლო პრაქტიკიდან ს. ჯორბენაძე ასკვნის, რომ დასაჩუქრებულის უმადურობა არ შეიძლება განხილულ იქნეს კონტრაჰენტის პიროვნებაში შეცდომით. მოყვანილი საქმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, - ასკვნის ს. ჯორბენაზე, - მოსარჩელეს შეეძლო ევარაუდა, რომ დასაჩუქრებული დიდი ქონების პატრონი იყო და აუცილებლად გამოიჩენდა მის მიმართ იმგვარ მზრუნველობას (სასამართლომ ამგვარ ფაქტზე გამოხატა საკუთარი პოზიცია და აღნიშნა, რომ მოსარჩელემ იცოდა ჩუქების ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, მას არ სურდა სხვა სახის ხელშეკრულების დადება, წინააღმდეგ შემთხვევაში მიუთითებდა ამის შესახებ), რომლის არქონის გამოც შეიტანა საბოლოო სარჩელი სასამართლოში, მაგრამ საქმის მასალებიდან ჩანს, რომ დამსაჩუქრებელმა იცოდა დასაჩუქრებულის ვინაობა, ვინაიდან დასაჩუქრებული მისი ძმისშვილი იყო. აქედან გამომდინარე, ს. ჯორბენაძე ასკვნის, რომ კონტრაჰენტის პიროვნებაში შეცდომა

313. დაწვრ. იხ. 2010 წლის 14 ივნისის სუსგ-ის განჩინება №ას-385-358.

:გამორიცხულია. სსკ-ის 74-ე მუხლის I ნაწილი არ უნდა გავაიგივოთ მხოლოდ სუბიექტურ წარმოდგენებთან, რომელიც პირს ხელშეკრულების დადებამდე გააჩნდა, ვინაიდან ამ შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ შედეგი, არა როგორც არსებითი შეცდომით დადებული გარიგება, არამედ შეცდომა მოტივში[314], რომელიც ქართული კანონმდებლობით წესრიგდება და რომელსაც სამართლებრივი შედეგი არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, ისევე როგორც თითოეული სამართლებრივი ურთიერთობისას, ამ შემთხვევაშიც კონკრეტული შემთხვევის მიხედვით არის საჭირო იმაზე მსჯელობა, თუ რა სახის შეცდომა იქნა დაშვებული პირის კონტრაჰენტის პიროვნებაში და თუ დაშვებულ იქნა, რა საფუძველი გააჩნდა მას[315].

საგნის ძირითად თვისებებში შეცდომისას გარიგების ბათილობა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა მათ მნიშვნელობა აქვთ საგნის ღირებულების განსაზღვრისათვის. მაგალითად, პირი ყიდულობს ცნობილი მოქანდაკის სკულპტურას და იხდის დიდ თანხას იმიტომ, რომ იგი ბუმბერაზი შემოქმედის შედევრია. აღმოჩნდება კი, რომ ეს შედევრი კი არა, მისი ასლია. ან კიდევ, კოლექციონერი აუქციონზე ყიდულობს მიქელანჯელოს ნახატს და შემდეგ ირკვევა, რომ ეს ორიგინალი კი არა-მისი ასლია; ქალი ყიდულობს ბეჭედს, პგონია, რომ მასში ძვირფასი თვლებია და აღმოჩნდება, რომ ყალბი თვლებია. ამ მაგალითებიდან ძნელი მისახვედრი არაა, რომ გარიგება უცილობლად გაბათილდება, რადგან პირი ცდება საგნის იმ ძირითად თვისებებში, რომელიც მან გარიგების დადებას დაუკავშირა. აქ სახ-

314. იხ. დ. კერესელიძე, დასახ. ნაშრ; გვ. 330.

315. I. დაწერ. იხ. ლ. ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გვ. 372-373, დაწერ.ზემოთ მოყვანილი სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ იხ. ს. ჯორბენაძის სტატია „გარიგებაში დაშვებული შეცდომის სახეები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით", წიგნიდან: რ. შენგელია, სამართლის პრობლემები, გვ. 408-409.

ეზე გვაქვს **სუბიექტურ-ობიექტური ფაქტორების არსებობა** (ანუ არა მარტო საგნის ძირითადი ფიზიკური თვისებები, არამედ ის ფაქტობრივი და იურიდიული ურთიერთობანიც, რომლებიც გავლენას ახდენს მის გამოყენებით ვარგისიანობაზე, ღირებულებაზე. მაგალითი: **ა-მ ბ-საგან** იყიდა მიწის ნაკვეთი ვენახის გასაშენებლად. აღმოჩნდა, რომ ეს ნაკვეთი ვენახისათვის არა ვარგოდა, ან კიდევ, ცნობილმა მეცნიერმა ქალაქგარეთ გარკვეული ვადით იქირავა აგარაკი, რათა ქალაქის ხმაურისაგან მოშორებით „სიწყნარეში" დაემთავრებინა სამეცნიერო ნაშრომი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იქვე ახლოს ნაგვის გადასამუშავებელი მინი ქარხანა მუშაობდა სისტემატურად, რომლის ხმაურმაც ხელი შეუშალა მეცნიერს ნაშრომის დასრულებაში. აგარაკის მესაკუთრეს კი, რომელიც აგარაკზე იშვიათად ადიოდა, მეზობლისაგან ხმაური არ აწუხებდა. ამ მაგალითში საგნის ძირიოადი თვისება სუბიექტური კატეგორიით უნდა შეფასოთ, რამეთუ მეცნიერს ხელი შეეშალა მუშაობაში და არა ამ აგარაკის მესაკუთრეს. რა შეიძლება ჩაითვალოს არსებით გარემოებად და რა არაარსებით გარემოებად? ეს კონკრეტული შემთხვევაში, კონკრეტული გარიგების მიხედვით უნდა გადაწყდეს, რამეთუ, ის, რაც ერთი გარიგებისათვის არსებითია, მეორისათვის კი შეიძლება სრულიად უმნიშვნელი იყოს და არც გამოდგეს გარიგების ბათილობის საფუძვლად.

„მიზანშეწონილია გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მიდგომის გათვალისწინებით, საგნის ძირითად თვისებებად მიჩნეულ იქნეს „ყველა ფაქტობრივი გარემოება და სამართლებრივი (უფლებრივი) ურთიერთობა, რომლებიც, მათი ხასიათიდან და ხანგრძლივობიდან გამომდინარე, საგნის მოხმარებასა და ფასზე ახდენენ გავლენას[316]".

უფლებაში შეცდომა. უფლებაში შეცდომა ხშირ-

316. დ. კერესელიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 331-332.

ად კანონის უცოდინარობითაა გამოწვეული. პირს არას-წორი წარმოდგენები აქვს მის მიერ დადებული გარიგების სამართლებრივ შედეგებზე. მან არ იცი, რომ მის მიერ გამოხატული ნება მის სურვილს ეწინააღმდეგება, ამ ნებაში ჩადებულ აზრს, შინაარს არ ემთხვევა, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი სახის გარიგებას არ დადებდა. **მაგალითი:** პირმა, რომელსაც სურდა, რომ მხოლოდ საცხოვრებელ სახლში ავეჯი გაეყიდა, რათა იგი ახლით ჩაენაცვლებინა, ერთ-ერთ სარეკლამო გაზეთში გააკეთა განცხადება რომ ყიდდა მთელ თავის უძრავ-მოძრავ ქონებას და ასეთი ფორმით დადო კიდეც ხელშეკრულება მყიდველთან. მყიდველმა ბუნებრივია მოითხოვა როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონება გამყიდველისაგან. გამყიდველმა კი მას განუცხადა, რომ მხოლოდ მოძრავი ნივთების (ავეჯის) გაყიდვას აპირებდა. მყიდველმა სასამართლოს მიმართა. **როგორ უნდა გადაწყდეს ქონების ბედი სასამართლო დავისას?** ამ შემთხვევაში ადგილი აქვს **75-ე მუხლის** დანაწესს, რომ „შეცდომა უფლებაში არსებითი მნიშვნელობისაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი იგი გარიგების დადების ერთადერთი და მთავარი საფუძველი იყო". გამოდის, რომ ნების გონივრული განმარტების შედეგად უნდა დადგინდეს (რომელიც ხშირად ადვილი დასადგენი არაა) რა სურდა ნების გამომვლენს (ავეჯის გამყიდველს მხოლოდ მოძრავი ნივთების (ავეჯის) გაყიდვა უნდოდა, თუ არა) და ამის შემდეგ დადგინდეს გარიგების ბათილობის საკითხი.

უფლებაში შეცდომად არ ჩაითვლება ისეთი გარიგება, რომლითაც პირი აღიარებს გარიგებით სხვისთვის მიყენებულ ზარალს და უარს ამბობს გარიგების მეორე მხარისავის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. ან კიდევ, გამყიდველი როცა პასუხს არ აგებს გაყიდული ნივთის ნაკლზე. აქ მოყვანილი და სხვა ტიპიური შემთხვევები ცხადია ნების გამომვლენს ვერ იცავენ და გარიგების ბათილობის უცილობელ პირობას ქმნიან, რამეთუ „დაუშვებე-

ლია მხარეთა წინასწარი შეთანხმება მოვალის მიერ განზრახი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურებისაგან მისი გათავისუფლების შესახებ **(სსკ მ. 395, ნ. 2);** ასევე, კანონის იმპერატიული მოთხოვნაა: „გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი“ **(სსკ მ. 487).** ნივთის ნაკლით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ეს ზოგადი წესები **75-ე მუხლსაც შეეხება.**

შეცდომა მოტივში. მოტივში შეცდომა ყოველთვის არ იწვევს გარიგების ბათილობას, რამეთუ გარიგების დამდებ ყოველ მხარეს თავისი, ინდივიდუალური წარმოდგენები და ზრახვები გააჩნია და ისინი კონტრაჰენტისაგან როდი გამომდინარეობენ და კანონი მათ არ აიძულებს მიიღონ ნების გამომვლენის წარმოდგენები და ზრახვები. გარიგების მოტივებს განეკუთვნება მხოლოდ ისეთი წარმოდგენები გარიგების დადებისას ნების გამომვლენი პირისა, რომელსაც გარიგების ერთი მონაწილე იქმნის გარიგების სხვა მონაწილეების შესახებ, ან კიდევ საგნის ძირითად თვისებებზე. მაგალითი: **ა-მ ბ-ს** ფული ასესხა, რადგან იგი კეთილსინდისიერ პირად მიიჩნია, კოლექციონერმა იყიდა ძვირფასი ნივთი, იმიტომ, რომ იგი ორიგინალად მიიჩნია და სხვა. გარიგების დადებისას სხვადასხვა მოტივები მხარეებისათვის მამოძრავებელი ძალაა. მაგალითად, გოგონა ყიდულობს საქორწინო კაბას იმიტომ, რომ მას მალე ქორწილი ექნება. **როდისაა მაინც მოტივში შეცდომა გარიგების ბათილობის საფუძველი?** პასუხს **76-ე მუხლი** იძლევა: „შეცდომა გარიგების მოტივში არ ჩაითვლება არსებითად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოტივი შეთანხმების საგანს წარმოადგენდა“. **მოვიყვანთ ისევ მაგალითს:** თუ ქალიშვილმა, რომელიც მოკლე ხანში გათხოვებას აპირებს და მკერავს შეუკვეთა საქორწინო კაბა იმ პირობით, რომ თუ იგი მზად იქნება კვირა დღის დილის 10 საათზე, რადგან მას

14 საათზე აქვს ქორწილი და მომზადება სჭირდება. მკერავმა საქორწინო კაბა 15 საათზე შეკერა. ცხადია გარიგება გაბათილდება და ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაც წარმოიშობა მკერავის მხრიდან, რამეთუ ქალიშვილმა საქორწინო კაბის შეკერვა გარიგების მოტივს დაუკავშირა. მას რომ მკერავისათვის საქორწინო კაბის შეკერვა ეთხოვა „კვირის ბოლომდე" და მკერავს იმ კვირის 18 საათისათვის გაემზადებინა, ამ შემთხვევაში მოტივი ვერაფერი საფუძველი იქნებოდა პატარძლის მხრიდან გარიგების გაბათილებისა და ზიანის მოთხოვნისათვის, რადგან შეთანხმებით ვადა დამთავრდებოდა კვირას დღის დამთავრებისთანავე (12 საათზე). როცა მოტივი შეთანხმების საგანია, ამ შემთხვევაში იგი უკვე არსებითი მნიშვნელობის გარემოებაა, რადგან სწორედ მას უკავშირებს გარიგების დამდები მხარე გარიგების ნამდვილობას. მაგალითად, მშობელი ავეჯის ფაბრიკასთან დებს ხელშეკრულებას ავეჯის დამზადებაზე იმ მოტივით, თუ მისი ვაჟი იანვრის თვეში ცოლს მოიყვანს, რადგან ავეჯი მას ახალდაქორწინებულების ოთახის მოსაწყობად სჭირდება. თუ ქორწილი არ შედგება, ბუნებრივია მოტივსაც არ ექნება არსებითი მნიშვნელობა და ავეჯის ფაბრიკასთან გარიგებაც არ შედგება.

გარიგების მოტივს უკავშირებენ როგორც კონტრაჰენტის პიროვნებას, ასევე საგნის ძირითად თვისებებს და ხშირ შემთხვევაში გამიჯვნაც ჭირს: სად არის გარიგების მოტივში შეცდომა და სად კიდევ შეცდომა პიროვნების ან საგნის თვისებებში.

კონტრაჰენტის თანხმობა შეცდომით დადებულ გარიგებებში. ხშირია შემთხვევები, როცა გარიგების დამდები მხარე ცდება გარიგების დადებისას, ვერ ასრულებს გარიგების პირობებს, მაგრამ არა განზრახვით, არამედ შეცდომით. გამოდის, რომ გარიგების ერთი მხარე ცდომილებაშია, მეორე კი-არა. თუკი მეორე მხარე თანახმა იქნება, რომ გარიგების პირობები შეასრულოს ისე, როგორც ეს გარიგე-

ბაშია ჩადებული, მაშინ გარიგება არ გაბათილდება. აკი მითითებულია კიდეც ამის შესახებ **77-ე მუხლში,** რომ „შეცდომით ნების გამოვლენა არ შეიძლება საცილო გახდეს, თუკი მეორე მხარე თანახმაა შეასრულოს გარიგება იმ მხარის სურვილის თანახმად, რომელსაც სურს საცილო გახადოს გარიგება", ამ მუხლის განმარტებისას არ შეიძლება არ ვიხელმძღვანელოთ **მერვე მუხლის მესამე ნაწილით, რომ „სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები".** მართლაცდა თუკი გარიგების მეორე მხარეს კეთილსინდისიერად სურს გამოასწოროს გარიგების ნაკლი და შეასრულოს მეორე მხარის თანხმობით გარიგებაში დაშვებული ცდომილება, კანონმდებელმა რატომ უნდა გააბათილოს გარიგება, იგი ხომ პირთა თავისუფალი ნების გამოხატულებაა და პირთა ნება და თანხმობა ასწორებს მას. ცხადია კანონი პირთა ნების თავისუფალ გამოვლენაში, მითუმეტეს თუ მათი კურძო შეთანხმებით საჯარო წესრიგის პრინციპები არ ირღვევა - არ ჩაერევა. **ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითს: ა-მ ბ-საგან** იყიდა ავეჯის გარნიტური 6000 ლარად, ფაქტიურად კი მყიდველმა შეცდომით გადასცა გამყიდველს 5500 ლარი. გამყიდველმა შეცდომის გამოსწორება მოითხოვა: ან თანხის შევსება დათქმულ ოდენობამდე, ან კიდევ გარიგების გაბათილება და მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მყიდველმა გამყიდველს 500 ლარი დაუბრუნა. გარიგება ცხადია არ გაბათილდება, რადგან მყიდველმა გამოასწორა ნების თავისუფალი გამოვლენით გარიგების ნაკლი. მაგრამ ყოველთვის ასე მარტივად როდი ხდება ყველაფერი. ხშირად შეუძლებელია გარიგების დადება ცნობილ მხატვარს დაუკავშიროთ და ნაკლებად ცნობილმა მხატვარმა დაგიმზადოთ შეკვეთა, ცნობილ დიზაინერს შეუკვეთოთ ტანსაცმელი და უცნობმა დიზაინერმა შეგიკეროთ და სხვა. ამ შემთხვევაში, ბუნებრივია უნდა გამოიკვეთოს მხარეთა

მხაობა: ვალდებულების შესრულება და მისი მიღება (ამ შემთხვევაში ადგილი აქვს **სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების** ურთიერთმიმართებას). **ვინ უნდა შეაფასოს ჯოველიე ეს?** მხოლოდ და მხოლოდ ცდომილებაში მყოფმა პირმა. იგი ვალდებულია კეთილსინდისიერად იმოქმედოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი მოთხოვნა გარიგების ბათილობაზე მხედველობაში არ მიიღება.

რაც შეეხება წერილმან შეცდომებს გამოანგარიშებებში ან წერილობით განხორციელებულ ნების გამოვლინებაში, იგი იძლევა მხოლოდ შესწორების, მაგრამ არა შეცილების საფუძველს. **78-ე მუხლით** გათვალისწინებული წერილმანი შეცდომები გარიგების შინაარსში დაშვებულ შეცდომებს განეკუთვნება. რა ჩაითვლება წერილმან შეცდომებად, მისი შეფასებისას, სამოქალაქო ბრუნვის წესრიგიდან, ასევე იურიდიული პრაქტიკიდან (უფრო ობიექტური, ვიდრე სუბიექტური) უნდა ამოვიდეთ. **მაგალითი:** გამყიდველმა პირს შეცდომით მიჰყიდა 20 ლარიანი წიგნი 22 ლარად. მყიდველი ამ შემთხვევაში უფლებამოსილია მოითხოვის გამყიდველისაგან ზედმეტად გადახდილის დაბრუნება და არა გარიგების გაბათილება. ასევე, თუ წერილობით განხორციელებულ ნების გამოვლენაში (ვთქვათ, გაცემულ დოკუმენტში-დიპლომში სტუდენტის სახელი არასწორადაა დაფიქსირებული) არის შეცდომა, რომელიც არაარსებითია და კანონით დადგენილ წესს და აკრძალვებს არ ეწინააღმდეგება და შეცდომაში მყოფი მას ასწორებს (საკუთარი ხარჯით უცვლის სტუდენტს დიპლომს), მეორე მხარის მიერ გარიგების გაბათილების ნება არ მიიღება, რადგან ასეთი წერილმანი შეცდომები მხოლოდ შესწორების, მაგრამ არა შეცილების უფლებას იძლევა. როგორც იტყვიან ციცილისტები ხატოვნად: **„ბრუნვის მონაწილე მეწერილმანე არ უნდა იყოს!“.**

შეცილების ნამდვილობა. კანონი ხანდახმულობის საერთო გადას განსაზღვრავს **10 წლით.** საერთო (ზოგადი)

ვადები სანდაზმულობისა კი ვრცელდება არა მარტო სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებულ გარიგებებზე, არამედ ხელშეკრულებებზე, სამოქალაქო – სამართლებრივ გარიგებებზე და სხვა, თუ კანონის სპეციალური ნორმით სხვა ვადა არ არის დადგენილი. **128-ე მუხლის ბოლო წინადადების** დანაწესი შეიძლება გამოვიყენოთ გარიგებათა ყველა მხარის მიმართ.

თუ მოვახდენთ შედარებით ანალიზს გერმანულ სამოქალაქო კოდექსთან შეცილების ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით, იგი იდენტურია ქართული სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმისა, კერძოდ: **§ 121 (10)** მიგვანიშნებს **§§ 119, 120**[317] მითითებულ შემთხვევებში შეცილება უნდა განხორციელდეს ბრალეული გაჭიანურების გარეშე (დაუყოვნებლივ) მას შემდეგ, რაც შეცილებაზე უფლებამოსილი პირისათვის ცნობილი გახდა შეცილების საფუძვლის შესახებ. არათანმყოფი პირის მიმართ გაკეთებული შეცილება ითვლება დროულად განხორციელებულად, თუ შეცილების განცხადება დაუყოვნებლივ იქნა გაგზავნილი.

(2) შეცილება გამორიცხულია, თუ ნების გამოვლენის მომენტიდან გავიდა ათი წელი".

შეცილების უფლების მქონე პირმა შეცილება უნდა მოახდინოს გარიგების მეორე მხარის წინაშე განცხადების გაკეთებით (ნების გამოვლენით). **შეცილება უნდა იყოს ნამდვილი** და იგი უნდა მოხდეს „შეცილების საფუძვლის შეტყობის მომენტიდან **ერთი თვის** განმავლობაში" **(სსკ მ.79, მ. 1.)**. შეცილების უფლება მოისპობა, თუ ნების გამოვლენიდან გავა საერთო ხანდაზმულობით გათვალისწინებული **ათი წელი.** შეცილების განცხადებაში ნათლად უნდა ჩანდეს შეცილების საფუძველი და მისი დასაბუთებულობა.

317. დამატ. იხ. Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 88-93.

თუ გარიგება საცილო გახდა და შეცდომა გამოწვეულია შეცილების უფლების მქონე პირის დაუდევრობით, მაშინ იგი ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს გარიგების ბათილობით წარმოშობილი ზიანი". ზიანი ცხადია პირის ბრალეული ქმედების შედეგი უნდა იყოს, რომ ანაზღაურდეს (მაგალითად დაუდევრობისას) „და არა ზოგადად იმისათვის, რომ ვინც ავლენს ნებას, მას მეორე მხარე ენდობა და ამდაგვარად მის წინაშე პასუხისმგებელიცაა გარიგების ნამდვილობაზე სამოქალაქო ბრუნვის სიმყარის ინტერესებიდან გამომდინარე[318]. თუკი მეორე მხარემ იცოდა ნების გამომჟღავნების შეცდომის შესახებ, რომლის გამოც მას ზიანი მიადგა, ან ეს უცნობი იყო მისთვის დაუდევრობის გამო (უნდა სცოდნოდა დაუდევრად რომ არ მოქცეოდა კანონით მასზე მინიჭებულ უფლებებს შეცილებაზე და ზიანის ანაზღაურებაზე), ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა. დაზარალებულის ბრალი გამორიცხავს შემცილებლის პასუხისმგებლობას.

ზიანის ანაზღაურებისას გასათვალისწინებელია თუ ვისი ბრალითაა გამოწვეული ზიანი, თუ ადგილი აქვს ე. წ. **„შერეულ ბრალს"**, როცა ზიანის დადგომაში ორივე მხარის ბრალია გამოკვეთილი. მაგალითად, თუ დაზარალებული მოქმედებდა განზრახ, ასეთ ვითარებაში მოვალე განზრახ იმოქმედებს თუ გაუფრთხილებლობით, დამდგარი ზიანის ანაზღაურება გამორიცხულია; თუ დაზარალებული იმოქმედება უხეში გაუფრთხილებლობით, მოვალე კი – განზრახ, ამ დროს დაზარალებულს ზიანი სრულად უნდა აუნაზღაურდეს; თუ დაზარალებული იმოქმედებს მარტივი გაუფრთხილებლობით, მოვალე კი ერთ შემთხვევაში – უხეში გაუფრთხილებლობით, სხვა შემთხვევაში კი მარტივი გაუფრთხილებლობით,–პირველ შემთხვევაში, თუ სახელშეკრულებოა ურთიერთობა, ზიანი ნაწილობრივ

318. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 236.

ანაზღაურდება, არასახელშეკრულებო ურთიერთობებში კი – სრულად ანაზღაურდება და სხვა[319].

იმ შემთხვევაში თუ ნების გამოვლენა მის მიღებას საჭიროებს (ხელშეკრულების შემთხვევაში), ზიანის ანაზღაურების უფლება აქვს ყოველ ყოველ იმ პირს, ვისკენაცაა მიმართული ნება. „ეს უფლება გვაქვს მაშინაც, როდესაც არაა სავალდებულო ნების გამოვლენის შეტყობინება ხელშეკრულების დასადებად"; თუკი სახეზეა ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი (მოწვევა ოფერტზე), მაშინ ზიანის ანაზღაურებაზე უფლება აქვს ნებისმიერ დაზარალებულს[320]".

დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს არა **„დადებითი ზიანი"**, არამედ **ე.წ. „უარყოფითი ინტერესი", „ნდობის ინტერესი",** რაც თანაბარია იმ ზიანისა, რომელიც მხარემ განიცადა იმის გამო, რომ მან გარიგება ნამდვილად ჩათვალა, ზიანს არ მიიღებდა, მას რომ გარიგების ბათილობის პირობების შესახებ სცოდნოდა. ამასთანავე დაზარალებული ვერც ერთ შემთხვევაში ვერ მიიღებს ზიანის მოთხოვნისას იმაზე მეტს, ვიდრე მიიღებდა ის მატერიალურ სარგებელს, გარიგება ნამდვილი რომ ყოფილიყო.

აქვე მოკლედ განმარტების სახით ზიანის სახეების შესახებ. ზიანი შეიძლება იყოს **მატერიალური (ქონებრივი, მატერიალიზებული), არამატერიალური (მორალური, არაქონებრივი), პირდაპირი** (წარმოადგენს მოვალის ქმედების უშუალო შედეგს **(დადებითი ზიანი),** რომელიც ანაზღაურდება სრულად), არაპირდაპირი ზიანი (წარმოადგენს მოვალის, მესამე პირების მოქმედების და ან სხვა ფაქტორების შედეგს). ამ სახის ზიანი ანაზღაურდება განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს (მაგ; **სსკ 742-ე**

319. დაწვრ. იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გვ. 482-483.

320. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 237.

მუხლის მეორე ნაწილი), ნომინალური ზიანი (სიმბოლური თანხაა, რომელიც დგინდება და ეკისრება მოვალეს კრედიტორის უფლების დასადასტურებლად; **რეალური (მიუღებელი) ზიანი** წარმოადგენს იმ ხარჯების ერთობლიობას, რომელიც გასწია დაზარალებულმა მოვალის მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო, ანდა ის შემოსავალია, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

შეცდომა შუამავლის მიზეზით. „შუამავლობა არის ხელშეკრულება, რომლის საგანია საშუამავლო საქმიანობა და მასთან დაკავშირებული მომსახურება. საშუამავლო საქმიანობის ქვეშ იგულისხმება საქმიანობა, რომელიც მიმართულია მესამე პირებთან ხელშეკრულების დადებისაკენ“[321]. პირს, რომელიც საშუამავლო საქმიანობას ეწევა ეწოდება მაკლერი, აგენტი, ფაქტორი, ბროკერი (სხვადასხვა ქვეყნებში). შუამავლის მიზეზით ნების გამოვლენა, რომელიც შუამავლად გამოყენებული პირის მიერ იქნა არასწორად შეტყობინებული, საცილო ხდება იმავე პირობებით, როგორც **73-ე მუხლის** მიხედვით შეცდომით დადებული გარიგება. აქ განვმარტავთ, რომ „შუამავალი ის პირია, რომელიც ერთგვარ ნეიტრალურ როლს თამაშობს ორ მხარეს შორის, ე. ი. ერთი პირის ნებას მეორეს ატყობინებს. შუამავლად მიიჩნევიან როგორც კერძო პირები (ფიზიკური, იურიდიული), ასევე სატელეფონო, სატელეგრაფო საწარმოები, რომელთა მეშვეობითაც, პირები თავიანთ ნებას მეორე მხარეს ატყობინებენ. შუამავლის მიერ დაშვებული არსებითი ხასიათის შეცდომა ცხადია შეცილების საფუძველს იძლევა. თუ შუამავალი წინასწარი შეცნობით, განზრახ ამახინჯებს პირის ნების გამოვლენას, ამ შემთხვევაში **სსკ მე-80 მუხლი** არ გამოიყენება, რადგანაც ამ მუხლში მხოლოდ შუამავლის მიერ შეცდომით, არასწორად, ყოველგვარი პირდაპირი განზრახვის გამოხატვის გარეშეა არასწორად გადაცემული ნება ერთი

321. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, თბილისი, 2001, გვ. 441.

პირისაგან მეორისათვის. აღნიშნული მუხლი არც წარმომადგენლობის ინსტიტუტისათვის გამოიყენება, რადგან წარმომადგენელი გარიგების ერთი, კონკრეტული მხარის წარმომადგენელია, და მის ინტერესებს გამოხატავს. წარმომადგენელი სხვისი ნების გამოვლენას ახდენს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და უფლებები და მოვალეობებიც მხოლოდ წარმოდგენილ პირს წარმოეშობა. ამიტომაცაა **სსკ 106-ე მუხლის პირველი ნაწილის** დანაწესი რომ გვამცნობს: „ნების გამოვლენის ნაკლის გამო გარიგების საცილოობისას გადამწყვეტია წარმომადგენლის ნება". წარმომადგენელი არ შეიძლება იყოს ნეიტრალური, იგი შედეგზე ორიენტირებულია, ოღონდ იმ შედეგზე, რომელსაც წარმოდგენილი პირი მიიღებს გარიგების დადებისას. შუამავალი კი არ შეიძლება იყოს გარიგების რომელიმე მხარის წარმომადგენელი ცალსახად, პირიქით, იგი ცდილობს, რომ ორივე მხარესთან ურთიერთობაში თანაბარი უფლებამოსილებით გამოვიდეს და გარიგების მხარეებს სწორად გადასცეს ერთ-ერთის მიმართ გამოხატული ნება. „თუ შუამავალი მიმღების წარმომადგენელი არ არის, ის შეიძლება მისი „**მონაცვლე**" (**Empfangsbote**) იყოს. ეს ისეთი პირია, რომელიც შეტყობინების (ნების გამოვლენის მიღებისთვის) განკუთვნილ და უფლებამოსილ პირად შეიძლება ჩაითვალოს"[322]. ასეთი პირებია ოჯახის მოსამსახურე, ან კიდევ ოჯახის სრულწლოვანი წევრი, რომელიც ვთქვათ ოჯახის წევრის შინ არყოფნის გამო მის ნაცვლად იღებს შეტყობინებას (მაგ; სასამართლო შეტყობინებას).

შუამავლობა, როგორც ინსტიტუტი, ძირითადად ხელშეკრულებების დასადებად გამოიყენება. მაგ; „შუამავლობა ბინის ქირავნობას" **(ს მ. 749-750), „შუამავლობა სესხებისას"(სკ მ.751-753) და ა.შ.**

322. გ. მარიამიძე, სამოქალაქო სამართალი,ზოგადი ნაწილი, I ნაწილი, I გამოცემა, თბილისი, 2011, გვ. 97.

კ ი თ ხ ვ ე ბ ი

1. როგორი გარიგებებია საცილო გარიგებები?

2.საცილო გარიგების რა სახეებს იცნობთ?

3.როდის შეიძლება გარიგება გახდეს საცილო?

4. რა მიიჩნევა არსებით შეცდომად?

5. როდის აქვს ადგილი შეცდომას კონტრაჰენტის პიროვნებაში? უფლებაში?

6. როდის უნდა მოხდეს გარიგების შეცილება?

ტ ე ს ტ ი

1. მწერალთა კავშირის გამგეობამ ნარდობის ხელშეკრულება გააფორმა ვ. ბერიძესთან. ხელშეკრულების თანახმად,მენარდეს უნდა მოეხდინა გამგეობის შენობაში არსებული ძველი ავეჯის რესტავრაცია. ვ. ბერიძეს წინასწარ გადაუხადეს 200 ლარი, დანარჩენი 600 ლარი სამუშაოს დასრულების შემდეგ უნდა მიეღო. მოგვიანებით გამგეობისათვის ცნობილი გახდა,რომ ვ. ბერიძე,სულაც არ იყო ის რესტავრატორი, რომლის მოწვევაც მათ სურდათ. იგი ცნობილი რესტავრატორის მოსახელე იყო. შემკვეთს კი, სწორედ ცნობილი სპეციალისტის მოწვევა სურდა ავეჯის რესტავრაციისათვის. შემკვეთმა მოითხოვა ნარდობის გარიგების ბათილად ცნობა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მწერალთა კავშირის მოთხოვნა.

სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. დიახ, რადგან მენარდემ-ვ. ბერიძემ ნარდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მიიღო ავანსად 200 ლარი.

ბ. არა, რადგან შეცდომა კონტრაჰაგენტის პიროვნების მიმართ, რაც გარიგების დადების მთავარი საფუძველი იყო, უფლებას აძლევს მხატვართა კავშირს, მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა.

გ. დიახ, რადგან ნარდობის ხელშეკრულება გაფორმებული იქნა დადგენილი წესით.

დ. არა, რადგან ნარდობის ხელშეკრულების ბათილობას კანონი არ ითვალისწინებს.

პასუხი

ა. ფორჩხიძემ მაღაზიაში მეგობრისათვის საჩუქრად იყიდა ძვირადღირებული პიჯაკი. გამყიდველთან შეთანხმდა, რომ მეგობრის ერთ შარვალს უნდა მორგებოდა მაინც პიჯაკი ფერით და მისი აზრით ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ეს ასე არ მოხდა. ა. ფორჩხიძემ მოითხოვა გარიგების ბათილად ცნობა და პიჯაკის დაბრუნება, რაზედაც მაღაზიამ უარი განუცხადა.

სწორად მოიქცა მაღაზია?

სასამართლო პრაქტიკა:

უზენაესი სასამართლოს განმარტება სარჩელში მოთითებული ფაქტობრივი გარემოებების შესახებ. თარიღი: 25/03/2014

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივად მოსარჩელისაგან განსხვავებულად შეფასების შესაძლებლობისა და ამ შესაძლებლობის რეალიზების პირობებში ორივე მხარის ინტერესების დაცვის აუცილებლობის თაობაზე (№ას-1350-1275-2012). მოცემულ საქმეზე მოსარჩელე ნ. მ. მოითხოვდა ა. ლ-სთან გაფორმებული უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულების, როგორც მოტყუებით დადებული გარიგების, ბათილად ცნობას. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ხელშეკრულება იყო არა მოტყუებით, არამედ შეცდომით დადებული გარიგება და სწორედ ამ საფუძვლით ცნო ბათილად. საკასაციო საჩივარში მოპასუხემ მიუთითა, რომ ვინაიდან ორივე ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელე დავობდა ხელშეკრულების, როგორც მოტყუებით დადებული გარიგების ბათილობის თაობაზე, ა. ლ-ს არ

მიუთითებდა სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე, მაშინ, როდესაც, შეცდომით დადებული გარიგების შეცილებისათვის კანონით დადგენილი ვადა ამოწურული იყო. მოპასუხეს არ მიეცა საშუალება, ამ გარემოებაზე მიეთითებინა, რითაც მისი კანონიერი ინტერესები დაირღვა.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლზე და აღნიშნა, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების გამოყენებით აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში და მხარის მიერ არასწორი ნორმატიული საფუძვლის მითითება არ შეიძლება გახდეს სარჩელზე უარის თქმის საფუძველი, თუმცა სასამართლოს აღნიშნული დისკრეცია უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ მოპასუხეს არ შეეზღუდოს კონკრეტულ საკითხზე შესაგებლის წარდგენის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილება. საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში. საკასაციო სასამართლო აქვე მიუთითებს, რომ სარჩელისაგან განსხვავებული სამართლის ნორმების გამოყენება არ გულისხმობს გარიგების შეცილების საფუძვლის შეცვლას. მხარის განმარტება იმის თაობაზე, რომ იგი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, სარჩელის ფაქტობრივი შემადგენლობის ნაწილია და არა ნორმატიული საფუძველი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება მხარისათვის მოულოდნელი არ უნდა იყოს და ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდეს, როგორც სარჩელსა და შესაგებელში ასახული გარემოებების შეფასებიდან, ისე მხარეთა ახსნა - განმარტებების და მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გაკეთებული დასკვნებიდან. სააპელაციო სასამართლომ, ასევე ის გარემოება უნდა მიიღოს მხედველობაში, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის

საფუძველზე, მხარე ახალ ფაქტებზე საკასაციო სასამართლოში ვერც საპატიო მიზეზის არსებობისას მიუთითებს, მით უფრო, რომ საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებაა და იგი საქმეზე ფაქტობრივ გარემოებებს არ ადგენს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მხარეს აღარ აქვს შესაძლებლობა, პროცესუალური საშუალებების გამოყენებით დაიცვას თავი მისთვის არასასურველი გადაწყვეტილებების მიღებისაგან. ამგვარი შემთხვევის თავიდან ასაცილებლად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, თუ სააპელაციო სასამართლო დავის განხილვისას მიიჩნევს, რომ ამ საქმის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას სარჩელში აღნიშნულისაგან განსხვავებული ნორმები და ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად განსხვავებულად უნდა შეფასდეს, მან ასევე უნდა შეაფასოს, გამოიწვევს, თუ არა, ამგვარი ცვლილება მეორე მხარის ინტერესების დარღვევას და თუ წარმოიშობა დასაბუთებული ვარაუდი, რომ მოპასუხეს, შეიძლება, შეეზღუდოს შეჯიბრებითობის პრინციპით გათვალისწინებული უფლებამოსილების რეალიზაციის შესაძლებლობა, საქმე ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში უნდა დაბრუნდეს.

რაც შეეხება ხანდაზმულობის საკითხს, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ხანდაზმულობა განიხილება, როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოება. მხარე კი, საპროცესო კანონმდებლობით შეზღუდულია ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების შესახებ ზემდგომ ინსტანციებში, ამდენად, ჩვეულებრივ პირობებში, ხანდაზმულობის საკითხის დაყენება შესაძლებელია მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო მოსარჩელისაგან განსხვავებულად აფასებს მხარეთა შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობას და მოპასუხეს ობიექტურად არ აქვს საშუალება გარკვეულ გარემოებებზე (ხანდაზმულობის ჩათვლით) მითითებით დაიცვას თავი სარჩელისაგან, ხანდაზმულობის საკითხის წამოჭრა ზემდგომ ინსტანციაში დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული. სააპელაციო სასამართლოსათვის, ამგვარ ვითარებაში ხანდაზმულობაზე მითითება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევად უნდა შეფასდეს[323].

323. http://myadvokat.ge

§4. 2. მოტყუებით დადებული გარიგება

ხელშეკრულებათა დადების საფუძველი ნების გამოვლენაა, მაგრამ ხშირ შემთხვევებში, როგორც წინა პარაგრაფშიც აღვნიშნეთ, გარეგნულად გამოხატული ნება არ ემთხვევა მისი გამოვლენის შინაგან ნებას და გარიგების დადება ხორციელდება გარეშე ფაქტორების ზემოქმედებით (ნების გარეგნული გამოვლენით), რომელიც რომის სამართლიდან დღემდე ითვლებოდა და ითვლება „ნების ნაკლით" დადებულ გარიგებებად, რომელსაც ჯერ კიდევ რომაელები მიაკუთვნებდნენ მოტყუებით, იძულებით დადებულ გარიგებებს, თუმცა მათ შორის განსხვავებასაც კარგად ხედავდნენ.

დიგესტების მიხედვით, მოტყუება (dolus-ი) შეიძლება მომხდარიყო კონტრაგენტის მცდარ წარმოდგენებში პროვოცირების განზრახვით, მისთვის საზარალო რაიმე ხელშეკრულების დასადებად. ხელშეკრულება მოტყუებითაა დადებული, როდესაც კონტრაგენტის ჩასათრევად ამბობენ ერთს და აკეთებენ მეორეს[324].

მოტყუებით დადებული გარიგების დროს ადგილი აქვს ნების გამოვლენის ნაკლს. განსხვავებით შეცდომით დადებული გარიგებებისგან, სადაც ადგილი აქვს პირის მიერ სინამდვილის ყალბ წარმოდგენას, მოტყუების დროს პირი განზრახ შეჰყავთ ცდომილებაში. ამ შემთხვევაში გარიგების კონტრაგენტის მხრიდან აშკარად განზრახი მოქმედებაა, როცა მიზნადაა დასახული გარიგების მეორე მხარის ცდომილებაში განზრახ შეყვანა. აქ აშკარაა, რომ სახეზეა ნების გამოვლენის ნაკლი. თუ შეცდომით დადებული გარიგების დროს ნების გამოვლენის ნაკლი თვით ნების გამომვლენის პიროვნებაშია, რადგან იგი არასწორად ახორციელებს მოქმედებებს, მას ამისკენ არავინ უბი-

324. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს „დიგესტები", თბილისი, 2000, 2001, 2,14,7,9.

ძგებს, მოტყუებით დადებული გარიგებისას კი პირიქითაა, გარიგების მხარის არასწორ, მისთვის მიუღებელ ქცევას იწვევს გარიგების მეორე მხარე, ან მესამე პირი და იგი დებს ისეთ გარიგებას, საქმის ნამდვილი არსი რომ სცოდნოდა, ასეთ გარიგებას არ დადებდა. აშკარაა, რომ აქ ადგილი აქვს სამართლებრივად გასაკიცხ მოქმედებას. ამ შემთხვევაში აშკარაა, რომ პირი უფლებამოსილია ამ გარიგების გაბათილება მოითხოვოს. „თუ პირი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა. ეს ხდება მაშინ, როცა აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა“ **(სსკ მ.81, ნ.1).** ბათილობას იწვევს მოტყუება, რომელმაც გარიგება წარმოშვა და არა ხელშეკრულებაში არსებული მოტყუება. პირი ამ შემთხვევაში უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, ზიანის ანაზღაურების ზოგადი ნორმების საფუძველზე. ავღნიშნავთ, რომ მოტყუებით დადებული გარიგებისას აშკარაა, რომ აქტიურია „მოტყუება“ იმ მხარის მხრიდან, რომელიც ცდილობს ის ინფორმაცია, გარემოებები დაუმალოს გარიგების დამდებ მხარეს, რომელიც არ დაიდებოდა, გარიგების დამდებ მხარეს სწორი ინფორმაცია რომ ჰქონოდა ხელშეკრულების საგანზე. გამჟღავნების ვალდებულება არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა მხარე ამას ელოდებოდა კეთილსინდისიერად. **81-ე მუხლის მეორე ნაწილი** აშკარად მოითხოვს, მხარის კეთილსინდისიერებას, სამოქალაქო ბრუნვის აუცილებელი პრინციპის განხორციელებას („სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი“), რომ გარიგება სამართლებრივად გასაკიცხი არ იყოს და მხარეებმა კანონის მოთხოვნათა დაცვით განახორციელონ უფლებები და გარიგებით ნაკისრი ვალდებულებებიც შეასრულონ.

„სსკ-ის 81-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული ინ-

ფორმაციის მიწოდების ვალდებულება, კერძოდ, ფორმულირება – „მხარე ამას ელოდა კეთილსინდისიერად" – დაზუსტებას საჭიროებს. ცხადია, აქ არ არის საუბარი პირის სუბიექტურ „მოლოდინზე". გადამწყვეტია ის, რომ პირს უნდა ჰქონდეს „მისი მოლოდინის" ობიექტური საფუძველი, ანუ მეორე მხარე, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, ვალდებული უნდა იყოს, თუნდაც კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, მიაწოდოს მას შესაბამისი ინფორმაცია. ასეთ შემთხვევაში პირის „მოლოდინი" („ელოდებოდა კეთილსინდისიერად") ობიექტურად გამართლებულია. ამასთან, არ არსებობს ზოგადი ვალდებულება, ინდივიდმა საათანადო მოთხოვნის გარეშე შეატყობინოს ხელშეკრულების მეორე მხარეს ყველა იმ გარემოების შესახებ, რაც შესაძლებელია მისთვის გადაწყვეტილების მიღებისას არსებითი იყოს. პირის ვალდებულება არ ვრცელდება, განსაკუთრებით, ისეთ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც მას შეუძლია ივარაუდოს, რომ მათზე აუცილებლად იკითხავენ, თუ მნიშვნელობას ანიჭებენ"[325].

მოტყუებით დადებული გარიგების სამართლებრივ რეგულირებას ვხვდებით **გერმანული სამოქალაქო კოდექსის § 123-ში** იძულებით დადებული გარიგების შეცილებასთან ერთად. კერძოდ, „თუ პირი ნების გამოვლენაზე დაიყოლიეს მოტყუების გზით ან მართლსაწინააღმდეგო იძულებით, მას შეუძლია ეს ნების გამოვლენა გახადოს საცილო (1). გარიგების მეორე მხარისაგან მომდინარე წაყრუება-დუმილი, როცა მეორე მხარე თავის ნებას არ გამოავლენდა (არ დადებდა გარიგებას საქმის ნამდვილი გარემოება რომ სცოდნოდა), როგორც ავღნიშნეთ გარიგების ბათილობისა და ზიანის მოთხოვნის საფუძვლად იქცევა. მაგრამ ყოველთვისაა მოტყუება გარიგების ბათილობის საფუძველი? ყოველთვის არა. ყველას არ მოეთხოვება საქმის ყველა ნიუანსი, დეტალი გაუმჟღავნოს მეორე მხარეს.

325. დ. კერესელიძე, დასახ. ნაშრ; გვ. 341-342.

მაგალითად, სამეწარმეო „ნოუ-ჰაუ“, ან კიდევ აცნობოს თავისი კონკურენტების შესახებ, პროდუქციის ტექნოლოგიის შესახებ, ასევე ბაზარში შესვლისას ეხედავთ როგორ აქებს გამყიდველი გასაყიდ საქონელს და იმაზე მეტადაც, ვიდრე მისი სამომხმარებლო ღირებულებაა, მაგრამ ამ შემთხვევაში „მოტყუება“ ვერ იქნება გარიგების გაბათილების საფუძველი, მაგრამ თუკი პარტნიორი ცდომილების მდგომარეობას განუმტკიცებს პარტნიორს იმით, რომ განზრახ შეიყვანს მას ცდომილებაში – აქ უკვე სახეზე მოტყუებით დადებული გარიგებაა.

გამოდის, რომ გარიგების დამდებ მხარეს „გულღიაობა“ გარკვეული დოზით მოეთხოვება გარიგების დადებისას. **მაგრამ საინტერესოა რა დოზით?.** თუ ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროს იგი ნაკლებია, პირიქით-მომეტებულია წარმომადგენლობის,ამხანაგობის,დაზღვევის ურთიერთობებში, იმიტომ, რომ აქ პირთა ნდობის ხარისხი გარიგების დადებისას განსაკუთრებით მაღალია და სამოქალაქო ბრუნვის მოწესრიგების გარანტიცაა.

გარიგების მეორე მხარისაგან მომდინარე წაყრუებადუმილი, როცა მხარე თავის ნებას არ გამოავლენდა (არ დადებდა გარიგებას საქმის ნამდვილი გარემოება რომ სცოდნოდათ), როგორც ავღნიშნეთ გარიგების ბათილობისა და ზიანის მოთხოვნის საფუძვლად იქცევა. მაგრამ ყოველთვისაა მოტყუება გარიგების ბათილობის საფუძველი? ყოველთვის არა. ყველას არ მოეთხოვება საქმის ყველა ნიუანსი, დეტალი გაუმჟღავნოს მეორე მხარეს. მაგალითად, სამეწარმეო **„ნოუ-ჰაუ“,** ან კიდევ აცნობოს თავისი კონკურენტების შესახებ, პროდუქციის ტექნოლოგიის შესახებ, ასევე ბაზარში შესვლისას ეხედავთ როგორ აქებს გამყიდველი გასაყის საქონელს და იმაზე მეტადაც, ვიდრე მისი სამომხმარებლო ღირებულებაა, მაგრამ ამ შემთხვევაში „მოტყუება“ ვერ იქნება გარიგების გაბათილების საფუძველი, მაგრამ თუკი პარტნიორი ცდომილების მდგო-

მარეობას განუმტკიცებს პარტნიორს იმით, რომ განზრახ შეიყვანს მას ცდომილებაში,– აქ უკვე სახეზე მოტყუებით დადებული გარიგებაა.

მოტყუებით დადებული გარიგების ბათილობისათვის მოტყუების ობიექტური ფაქტიც საკმარისია, რომელიც გარიგებას წარმოშობს. „მოტყუებით დადებული გარიგების ბათილად ცნობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, არასწორი ცნობების შეტყობინებით მხარე მიზნად ისახავდა რაიმე სარგებლის მიღებას, თუ მეორე მხარისათვის ზიანის მიყენებას“ **(სსკ მ. 82)**. როგორც აღნიშნული მუხლიდან აშკარად იკვეთება მოტყუებით დადებული გარიგების ბათილად ცნობისათვის მარტოოდენ ერთი ფაქტორიც საკმარისია (არასწორი ცნობების შეტყობინებით მეორე მხარისათვის ზიანის მიყენება) რომ დადგეს ბათილობის და მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხიც. მოტყუებით დადებული გარიგებისას ზიანის ანაზღაურება მოტყუებულ მხარეს შეუძლია მოითხოვოს მოტყუების ნორმების საფუძველზე, მაგრამ ზოგ შემთხვევებში კი დელიქტური სარჩელების საფუძველზე, როცა მაგალითად, საქმე ეხება უხარისხო პროდუქტით გამოწვეულ ზიანს, რომელსაც შეუძლია პირის ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი შერყევა გამოიწვიოს. უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობისას მტკიცების ტვირთი ეკისრება დაზარალებულს“ **(სსკ მ. 1012)**, ხოლო თუ ერთი და იმავე ზიანისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება რამდენიმე მწარმოებელს, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები“ **(სსკ მ. 1013)**.

მოტყუებით დადებული გარიგებისას ხშირ შემთხვევებში მოტყუება მოდის არა მარტო გარიგების მეორე მხარისაგან, არამედ მესამე პირებისაგან, მაგრამ გარიგების მონაწილემ ამის შესახებ იცის. მაგ; საბინაო მაკლერმა იცის, რომ სახლის მესაკუთრე, რომელიც ყიდის ამ სახლს, ავარიულია, ჩამოქცევის საფრთხე ემუქრება, მაგრამ რადგან გამორჩენას ელის ამ გარიგებიდან, აყიდვინებს ავარიულ

სახლს მხარეს. სწორედ **83-ე მუხლი** აძლევს უფლებას მოტყუებულ და ამავე დროს დაზარალებულ მხარეს მოითხოვოს გარიგების ბათილობა და ზიანის ანაზღაურებაც.

თუ მოტყუებით დადებულ და იძულებით დადებულ გარიგებებს სხვადასხვა მუხლები არეგულირებენ, გერმანულ სამოქალაქო სამართალში მას როგორც აღნიშნეთ, მიძღვნილი აქვს ერთი, პარაგრაფი, **§123**[326], სადაც საუბარია მოტყუებით და იძულებით დადებული გარიგებებისას მის საცილოობის შესაძლებლობაზე.

თუ მოტყუებას ახორციელებს მესამე პირი **(სკ 83-ე მუხლი** „მოტყუება მესამე პირის მხრიდან" გაერთიანებულია გერმანული სამოქალაქო კოდექსის **§ 123-ე პირველი და მეორე წინადადებების დებულებებთან),** მაშინ შეცილება დასაშვებია („ბათილობის მოთხოვნა") თუ „მოტყუების შესახებ იცოდა ან უნდა სცოდნოდა იმ პირს, რომელიც სარგებელს იღებს ამ გარიგებიდან". ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ამ უკანასკნელში ექცევა როგორც ნების გამოვლენის ადრესატი, ისე ნებისმიერი მესამე პირი, **რაც ცხადია არამართებულია.**

საინტერესოა ისიც, რომ მესამე პირად შეცილებისას ვერ გამოვა ყველა მესამე პირი. მაგ; მესამე პირად ვერ ჩაითვლება წარმომადგენელი, ნების ნაკლზე იგი დამოუკიდებლად აგებს პასუხს **(სსკ მ.106, ნ. 1).** ასევე ვერც დავალების გარეშე მოქმედი პირი **(სსკ, მ. 969-975),** თუნდაც რომ მისი მოქმედება მხარის მიერ მოწონებულ იქნეს. აქვე უნდა დადგინდეს ფაქტი მესამე პირის კეთილსინდისიერება არაკეთილსინდისიერების შესახებ. თუ მესამე პირი კეთილსინდისიერია და არ იცოდა გარიგების დამდები მხარის არაკეთილსინდისიერების შესახებ, ცხადია მისი კეთილსინდისიერება გააბათილებს გარიგების კონტრჰაგენტის არაკეთილსინდისიერებას და პასუხს არ აგებს,

326. იხ. Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 94-99

ანუ მოქმედებს სამოქალაქო ბრუნვის ერთ-ერთი პრინციპი, „რომ მას არ შეეძლო სცოდნოდა გარიგების დამდები მხარის არაკეთილსინდისიერების შესახებ“ და, ბუნებრივია ზიანსაც არ იხდის, მაგრამ გარიგება ბუნებრივია გაბათილდება, რადგანაც იგი ნების ნაკლითაა დადებული. პირველი გარიგების ბათილობაზე ხომ შემდგომი გარიგების სამართლებრივი ბედია დამოკიდებული. აქ მოქმედებს **სსკ მ. 61-ის 1-ლი ნაწილის დანაწესი,** რომ „უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება ბათილად ითვლება მისი დადების მომენტიდან,“ხოლო არაკეთილსინდისიერება მისი მხრიდან გარიგების დამდებ მხარესთან ერთად-პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს იძლევა.

საინტერესოა შემთხვევა, როცა ორივე მხარე მოტყუებით მოქმედებს. ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, ორივე ერთმანეთის მიმართ მიზნად ისახავს ზიანის მიყენებას ან სარგებლის მიღებას. ამიტომ, „თუ გარიგების ორივე მხარე მოტყუებით მოქმედებდა, მაშინ არც ერთ მათგანს არა აქვს უფლება მოტყუებაზე მითითებით მოითხოვოს გარიგების ბათილობა ან ზიანის ანაზღაურება“. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს პრეზუმფციას, ანუ როცა ორივე მხარე ტყუის. ეს ეითარება არსებითად ტოლფასია იმავე მდგომარეობისა, რომ გარიგების არც ერთი მხარე არ ტყუის.

საერთოდ მოტყუებით დადებული გარიგება ფაქტობრივად პირის განზრახ შეცდომაში შეყვანაა, განზრახი ცდომილებაა პირისა, რომისგანაც სარგებელს იღებენ, ან მოტყუებულ მხარეს ზიანს აყენებენ. **რა საფუძვლით უნდა მოხდეს გარიგების ბათილობა ამ შემთხვევაში შეცდომის თუ მოტყუების?** თუ გავითვალისწინებთ, რომ შეცდომით დადებული გარიგების შეცილების ვადა **1 თვეა,** ხოლო მოტყუებისა **–1 წელი,** ბუნებრივია ეს უკანასკნელი უფრო უპრიანია მოტყუებული მხარისათვის, მითუმეტეს თუ კანონი აძლევს მას ამის უფლებას. **სსკ 84-ე მუხლის** თანახმად, „მოტყუებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს **ერთი წლის განმავლობაში.** ვადა აითვლება იმ მომენტიდან, როცა შეცილების უფლების მქონემ

შეიტყო შეცილების საფუძვლის არსებობის შესახებ". აქ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამოქალაქო კოდექსის **130-ე მუხლი,** რომლის თანახმად, „ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ". შეცილება კი შეიძლება განხორციელდეს ხანდაზმულობის **საერთო 10 წლიანი ვადის განმავლობაში,** როგორც ეს ხდება ჩვეულებრივ საცილო გარიგებებისას.

იგივეს ითვალისწინებს **BGB-ს §124 („შეცილების ვადა),**[327] რომლის თანახმად, **„(1) §123** თანახმად საცილო ნების გამოვლენის შეცილება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში, ხოლო **§124 (2)-ის** მიხედვით, შეცდომის შემთხვევაში ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც შეცილებაზე უფლებამოსილი პირი აღმოაჩენს შეცდომას, ხოლო იძულების შემთხვევაში, იძულების შეწყვეტის მომენტიდან. ვადის დენის მიმართ გამოიყენება ხანდაზმულობის მიმართ დადგენილი **§ 205**[328] (ამ პარაგრაფში საუბარია „ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებაზე ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლების შემთხვევაში" და აღნიშნულია, რომ: „ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება იმ ვადით, რა ვადითაც მოვალე კრედიტორთან შეთანხმების საფუძველზე დროებით უფლებამოსილია, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე"), **§ 206**[329]-ში („ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება დაუძლეველი ძალის შემთხვევაში)", აღნიშნულია, რომ: „ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება იმ ვადით, რა ვადითაც კრედიტორი ხანდაზმულობის ვადის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მოკლებულია საკუთარი უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობას დაუძლეველი ძალის შედეგად") და **§ 211** („ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა

327. Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 99-100.

328. დასახ. ნაშრ; გვ.222.

329. დასახ. ნაშრ; გვ. 222-223.

სამემკვიდრეო საქმეებში)"[330] და სადაც საუბარია, მოთხოვნის უფლებაზე, რომელიც შედის სამკვიდრო ქონებაში ან მიმართულია მის წინააღმდეგ, არ არის ხანდაზმული ექსი თვის ვადის გასვლამდე იმ მომენტიდან, როდესაც სამკვიდრო მიღებულ იქნა მემკვიდრის მიერ ან სამკვიდრო ქონების მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება ანდა მოთხოვნის უფლება წარდგენილ იქნა წარმომადგენლის მიერ ან მის მიმართ. თუ ხანდაზმულობის ვადა ექვს თვეზე მცირე, მაშინ ხანდაზმულობისათვის დადგენილი ვადა იკაუებს ექვსი თვის ადგილს") ნორმები.

შეცილებული გარიგება მისი დადების მომენტიდანაა ბათილი და იგი ბათილად ჩაითვლება არა მარტო მხარეთა და მათ უფლებამონაცვლე, არამედ მესამე პირთა მიმართაც, მესამე პირი კეთილსინდისიერი იქნება თუ არა, გარიგება ხომ ნების ნაკლითაა დადებული. გამომდინარე აქედან კეთილსინდისიერი მყიდველი, რომელმაც არაფერი არ იცოდა გარიგების ბათილობის შესახებ, ქონება მოტყუებულ მხარეს მაინც უნდა დაუბრუნოს. ასეთია გარიგების ბათილობის სამართლებრივი შედეგის პრინციპი.

მოტყუებით დადებულ გარიგებებს როგორც აღნიშნეთ, ბუნებრივია იცნობს **გერმანული სამოქალაქო სამართალიც §123 (1),** რომელიც მოტყუებით დადებული გარიგებების აღსანიშნავად იყენებს ტერმინს „განზრახი მოტყუება". ამ მოსაზრებას არ იზიარებს ქართული კანონმდებლობა და იგი არ იცნობს განზრახ მოტყუებას. ამით **ის გამოხატავს აგრეთვე აზრს იმის შესახებ, რომ მოტყუება გაუფრთხილებლობითაც შეიძლება განხორციელდეს. ქართულმა იურიდიულმა ლიტერატურამ ცალსახად გაიზიარა აზრი (ფრანგული და ინგლისური სამართლის ნორმები) იმის შესახებ, რომ მოტყუება პირის განზრახ შეცდომაში შეყვანაა[331]".**

---

330. დასახ. ნაშრ; გვ. 225.

331. ბ. სოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, გვ. 123; ლ. ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გვ. 378-479.

კ ი თ ხ ვ ე ბ ი

1. განმარტეთ მოტყუებით დადებული გარიგება

2. რა როლს ასრულებს მესამე პირი მოტყუებით დადებულ გარიგებებში?

3. რა არის მოტყუებით დადებული გარიგების ბათილობის საფუძველი?

4. რა ვადაში შეიძლება საცილო გახდეს მოტყუებით დადებული გარიგება?

ტ ე ს ტ ე ბ ი

1. ვ. ბერიძემ მეგობარს, ლ. ანთიძეს შესთავაზა მისი კუთვნილი 5000 ათასი აშშ დოლარად დირებული ბეჭდის გაცვლა თავის საათში, რომელიც ბრილიანტის თვლებით იყო მორთული, საკმაოდ ლამაზი იყო და მესაკუთრის თქმით 5400 აშშ დოლარი ღირდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ არც ერთი ნივთი ძვირფასი არ ყოფილა და ცხადია არავითარ ფასეულობას არ წარმოადგენდა. ვ. ბერიძემ სასამართლოს მიმართა და გარიგების ბათილობა მოითხოვა. სასამართლომ მისი სარჩელი დააკმაყოფილა.

რამდენად სწორად მოიქცა სასამართლო?

ა. სწორად მოიქცა, რადგან გაცვლის ხელშეკრულება შეცილებიდან 1 წლის განმავლობაში შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი.

ბ. სწორად მოიქცა, რადგან მოტყუებით დადებული გარიგება ბათილია.

გ. სწორად არ მოიქცა, რადგან თუ გარიგების ორივე მხარე მოტყუებით მოქმედებდა, მაშინ არც ერთ მათგანს არა აქვს უფლება მოტყუებაზე მითითებით მოითხოვოს გარიგების ბათილობა ან ზიანის ანაზღაურება.

დ. არა, რადგან მხარეებს უფლება აქვთ მხოლოდ ზიანის ანაზღაურებაზე.

ა-ს სურდა ეყიდა საცხოვრებელი ბინა 20 000 აშშ დოლარის ფარგლებში. მან მიმართა საბინაო მაკლერს ბ-ს, რომელსაც ამ საქმეში გამოცდილება ჰქონდა და დაპირდა ა-ს, რომ ამ თანხით მას აყიდინებდა ბინას გ-საგან. ა-მ არ იცოდა, რომ გ-ს ბინა, რომელსაც ბ აქებდა, ავარიული იყო(გ-მ ამ ფაქტის შესახებ დაუმალა ბ-ს). ა-მ იყიდა ბინა, რომელიც შემდეგ აღმოჩნდა, რომ საცხოვრებლად უვარგისი იყო და საფრთხე იქმნებოდა მისი ჩამონგრევისა. მან მოითხოვა გარიგების ბათილობა.

როგორ გადაწყვეტილებას მიიღებდა სასამართლო?

სასამართლო პრაქტიკა:

ას198-189-2010 13 ივლისი

მოტყუებით დადებული გარიგება

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ნივთის მიკუთვნება

ლ. პ-იკმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ს. დ-ძის მიმართ 2008 წლის 31 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და ქ. ქობულეთში,– ქ. 12-ში მიმდებარე 72კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ ცნობის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2004 წელს სამკვიდრო მოწმობით მოსარჩელემ მეუღლისაგან მემკვიდრეობით მიიღო № 19-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი. მოპასუხე არის ლ. პ-იკის მამა, რომელმაც შესთავაზა შვილს, იჯარით გადაეცა ზემოხსენებული უძრავი ქონება საერთო მაღაზიის გახსნის მიზნით. მოგვიანებით მოსარჩელემ შეიტყო, რომ ს. დ-ძემ მას მოტყუებით ხელი მოაწერინა არა იჯარის, არამედ ნასყიდობის ხელშეკრულებაზე. მითითებული გარიგება დადებულია მოტყუებით, მოპასუხემ ისარგებლა იურიდიულ საკითხებში ლ. პ-იკის გამოუცდელობით, სუსტი მხედ-

ველობითა და მამისადმი მისი ნდობით, რის გამოც ცნობილ უნდა იქნეს ბათილად. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: მხარეთა შორის დაიდო უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც გამყიდველმა გამოავლინა ნივთის გაყიდვის ნამდვილი ნება. მოსარჩელემ გარიგების მოტყუებით დადების ფაქტი სათანადოდ ვერ დაასაბუთა.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ლ. პ-იკსა და ს. დ-ძეს შორის 2008 წელს დადებული ხელშეკრულება უძრავი ქონების, მიწის ნაკვეთის ნასყიდობის შესახებ, ლ. პ-იკი ცნობილ იქნა ქ. ქობულეთში ქ. 19-ში მდებარე უძრავი ქონების – 72 კვ. მ. ნაკვეთის მესაკუთრედ, რაც ს. დ-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2010წლის 6 იანვრის გადაწყვეტილებით ს. დ-ძის სააპელაციო საჩივარი დააკმაყოფილა, რის შედეგად გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ლ. პ-იკის სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო მხარეთა შორის, დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში, სადაც მხარეებს განემარტათ ხელშეკრულების შინაარსი და შედეგები_ სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძვლებზე და ჩათვალა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებით სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის არც ერთი პირობა დარღვეული არ არის, რადგან მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულება დაიდო ორ ფიზიკურ პირს შორის, რომლებსაც განემარტათ ხელშეკრულების შინაარსი, მათ გამოხატეს თავიანთი ნება, მოაწერეს მას ხელი. პალატის მითითებით, საქმის მასალებით არ დგინდება, რომ პ-იკმა სადავო გარიგებას ხელი იძულებით მოაწერა. ამდენად, ხელშეკრულება არ არღვევს საჯარო წესრიგს, კანონით დადგენილ აკრძალვებსა ზნეო-

ბრივ ნორმებსაც არ ეწინააღმდეგება.სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის თანახმად, პალატამ მიიჩნია, რომ გარიგების ბათილობისათვის აუცილებლად სამი ფაქტორი: საბაზრო ძალაუფლების გამოყენება,[332] მხარის მძიმე მდგომარეობა და მისი გამოუცდელობა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ლ. პ-იკმა გაასაჩივრა საკასაციო წესით და მოითხოვა მისი გაუქმება_ მან საკასაციო საჩივარში მიუთითა, რომ სასამართლოს უნდა ემსჯელა არსებობდა თუ არა მხარეთა შორის შეთანხმება სადავო უძრავი ქონების ნასყიდობაზე, მის ფასზე, გადაიხადა თუ არა მყიდველმა აღნიშნული ფასი და რით დასტურდება მითითებული გარემოება. სააპელაციო სასამართლომ უგულებელყო ის გარემოება, რომ გარიგების დადებისას შესაძლებელია არსებობდეს ნების ნაკლი, როდესაც გარიგება გარეგნულად აკმაყოფილებს სამოქალაქო კოდექსის 183-ე და 477-ე მუხლებს, თუმცა შინაარსობრივად მცდარია. ნაკლოვანი ნება არსებობს, როდესაც მისი საფუძვლის, მოტივისა და შინაარსის დროს იგი გარკვეულ ზეგავლენას განიცდის. შესაძლოა, პირმა საკუთარ ნებას საფუძვლად დაუდოს მცდარი წარმოდგენა რაიმე გარემოებაზე ან ამგვარი ზემოქმედება გამოწვეული იყოს მოტყუებით თუ მუქარით. სადავო ნასყიდობის საგნის ღირებულების სიმცირე თავად მოპასუხემაც დადაასტურა (12500 ლარი). კასატორი მიუთითებდა, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლი და არ გაითვალისწინა, რომ ს. დ-ძეს არ გააჩნია უპირატესობა, იგი გამოცდილია კომერციულ საქმეებში და შეეძლო, თავს მოეხვია გამოუცდელი პირისათვის თავისი ნება, მით უმეტეს, რომ კასატორს მისი, როგორც მამის მიმართ, განსაკუთრებული ნდობა გააჩნდა_ კასატორს მიაჩნია, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდ-

332. უკეთესი იქნებოდა თუ გადაწყვეტილებაში ჩაიწერებოდა „საბაზრო ძალაუფლების „ბოროტად“ გამოყენება.

ექსის 81-ე და 84-ე მუხლებიც, ვინაიდან ს. დ-ძის მერ სადავო გარიგების შინაარსის განზრახ დამალვის გარეშე ხელშეკრულება არ დაიდებოდა—

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ პ. – იკის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და ძალაში უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რადგან მხარეს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია, იგი იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს; უსაფუძვლოა კასატორის არგუმენტი, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების მოტყუებით დადებას ადასტურებს შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 1. მხარეები არიან მამაშვილი და მათ შორის არსებობს ნდობა; 2. კასატორს აქვს სუსტი მხედველობა და ერთი თვალის შეელებით არ შეეძლო ხელშეკრულების შინაარსის გაგება; 3. ნასყიდობის საგანი უკავშირდება ცენტრალურ გზას და ლ. პ-იკს არ აქვს ისეთი ეკონომიკური მდგომარეობა, რომ საცხოვრებელი ეზო გაესხვისებინა 2500 ლარად – რეალურ საბაზრო ფასებთან სრულიად შეუსაბამოდ. არ ჩანს 81-ე მუხლის 1-ლი ნაწილის პირობა იმის შესახებ, რომ მოტყუებით დაიდო გარიგება და უნდა გაბათილდეს, მხარემ იცოდა, რომ ხელს აწერდა ნასყიდობის ხელშეკრულებას, კასატორი ვერც იმ ფაქტს ადასტურებს, რომ ხელშეკრულება არ წაუკითხავს, თუმცა ამ შემთხვევაშიც ვერ იქნება ხელშეკრულება ბათილი, ვინაიდან ხელშეკრულებაზე ხელი ნებაყოფლობითაა მოწერილი და მხარეები გამოთქვამენ თანხმობას ხელშეკრულების პირობებზე, გამოდის, რომ ხელშეკრულების პირობები მისთვის ცნობილია. კანონი კი არ ითვალისწინებს ხელშეკრულების ბათილობას მხარის დაუდევრობის –ხელშეკრულების გაცნობის გარეშე ხელის მოწერის გამო. დაუსაბუთებელია ლ. პ-იკის მოსაზრება სკ-ის 55-ე მუხლის არასწორად განმარტებასთან მიმართებით.

ხელნაშნული ნორმით გარიგება შეიძლება გაბათილდეს, თუ გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობაა და გარიგება დაიდო მხოლოდ იმის წყალობით, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება ან ისარგებლა ხელშეკრულების მეორე მხარის მძიმე მდგომარეობით ან გამოუცდელობით (გულუბრყვილობით). ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როცა მათი ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია რომ აქ ჩამოთვლილს ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება კასატორის სუსტი მხედველობის ფაქტს, ესეც ვერ დაადგინა სასამართლომ, კასატორმა ვერ წარმოადგინა მყარი არგუმენტები, არასრული განათლების მიღების შესახებ, რომლითაც მეორე მხარემ ისარგებლა, სუსტი მხედველობა და არასრული განათლება არ არის მყარი არგუმენტი ხელშეკრულების გასაბათილებლად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოცემულ შემთხვევაში ლ. პ-იკმა ვერ შეძლო დაესაბუთებინა სარჩელის საფუძვლად მითითებული ფაქტების არსებობა, რაც მისი მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა კასატორის საკასაციო საჩივარი და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა[333].

კითხვა:

თქვენი აზრით სწორად მოიქცა საკასაციო სასამართლო? დადებითი ან უარყოფითი პასუხის შემთხვევაში თქვენი აზრი დაასაბუთეთ.

---

333. სუსგ ას198-189-2010 13 ივლისი

§ 4. 3 იძულებით დადებული გარიგებანი

„ნების ნაკლის გამო გარიგებების ყველაზე მძიმე და ყველაზე მკაცრ ფორმას **იძულებით დადებული გარიგებანი** წარმოადგენს“[334]. თუ შეეადარებთ მას შეცდომით, მოტყუებით დადებულ გარიგებებს (როგორც საცილო გარიგების სახეებს), დავინახავთ, რომ აქ არც სინამდვილის რეალური ფაქტების არცოდნაა (როგორც შეცდომისას) და არც სხვისი შეცდომაში განზრახ შეყვანაა (მოტყუება), აქ სახეზეა პირის იძულება, რომ მან დადოს ისეთი გარიგება, რომელიც არ დაიდებოდა, რომ მაიძულებელი პირის მხრიდან იძულებას ადგილი არ ჰქონოდა. იძულებით დადებულ გარიგებებს ბუნებრივია იცნობს კონტინენტური სამართლის ქვეყნები. გერმანული სამოქალაქო სამართალი მოტყუებით და მუქარით დადებულ გარიგებებს ერთ პარაგრაფში (**§ 123**) აერთიანებს.

რომის სამართლის მიხედვით იძულება (**vis**) მართლსაწინააღმდეგო ქმედებას წარმოადგენდა კონტრაგენტის მიმართ, რომ ფიზიკურად აეძულებინა მხარე, დაედო ხელშეკრულება, რომელსაც იგი სხვაგვარად არ დადებდა. კონტრაგენტის მიმართ იძულების ქმედებებს რომში ყოფდნენ საჯაროდ (**vis publica**) და კერძოდ (**vis privata**). ადრიანეს დროიდან ძალადობის ცნება, ანუ იძულება ხშირად უთანაბრდებოდა მუქარის (**metus**) ცნებას. იურისტები თვლიდნენ, რომ მუქარა წარმოადგენდა ნებისმიერი იძულების საფუძველს. ამ დროიდან ტერმინი vis გამოიყენებოდა ძალადობის საჯარო დელიქტის, ხოლო ტერმინი metus – კერძო დელიქტის მნიშვნელობით, რომელიც შეიძლებოდა გამოყენებულიყო მუქარებით ან ფიზიკური ძალადობის გამოყენებით.

---

334. ლ. ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გვ. 379; ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გვ. 380-381

სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლით გარიგების დადების მიზნით იძულება **(ძალადობა ან მუქარა),** რომელიც ანიჭებს პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას, ხორციელდება ან **ფიზიკური ზემოქმედების, ან კიდევ ფსიქიკური ზემოქმედების** ფორმით. ძალადობა კი შეიძლება იყოს აშკარა და ფარული მუქარაც. მუქარა მიმართული კონკრეტულ პირზე (რომელსაც გარიგების დადებას აიძულებენ), პირის ახლობლებზე, ან კიდევ მუქარა პირის ქონების განადგურებით. იძულება გარიგების ბათილობას იწვევს იმ შემთხვევაში, როცა იძულების ფორმების გამოყენებით დაიდო გარიგება. იძულება ხშირ შემთხვევაში იმდენად უხეშად არღვევს პირის უფლებებს ნების თავისუფალი გამოვლენისა, იმდენად უხეშად ერევა პირის თავისუფლებაში, რომ ხშირად იგი დელიქტური სარჩელის საფუძველიც კი ხდება.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ ფსიქიკური იძულებისათვის აუცილებელია ისეთი გარემოებების არსებობა, რომელიც პირს აფიქრებინებდა, რომ მას საფრთხე ემუქრებოდა და ასეთ გარემოებად სასამართლომ არ მიიჩნია ცოლის ულტიმატუმი გაყრის თაობაზე ქმრის მიმართ და დაადგინა, რომ ასეთი გარემოება არ შეიძლება იყოს სერიოზული საფრთხის შემცველი მოქმედება, რომელიც ადამიანს აიძულებდა, რომ ყველაფერი გაეყიდა და თავი უსასხრო მდგომარეობაში ჩაეგდო[335].

„ნების გამოვლენის ფორმირებაზე დაუშვებელი ზემოქმედების კიდევ ერთი შემთხვევაა **სსკ-ის 85-ე** და შემდგომი მუხლებით მოწესრიგებული ფსიქიკური იძულება. ამასთან, **სსკ-ის 85-ე მუხლის** თანახმად, საცილოობის წინაპირობაა „გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო გარიგება...“ ამ ნორმის ასეთი ფორმულირებით იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს

335. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №ას-743-1069-07, 20.02.2008.

კანონმდებელს შეცილების უფლების წარმოშობის საფუძვლად იძულების ორივე სახის – **ფიზიკური („ძალადობა")** და **ფსიქიკური („მუქარა")** იძულების – განსაზღვრის ნება ჰქონდა. განმარტების ეს ალტერნატივა არ არის მართებული. ფიზიკური იძულების შემთხვევაში ხდება არა პირის ნების თავისუფალ ფორმირებაზე ზემოქმედება, რაც შეცილების უფლების წარმოშობის საფუძველი იქნებოდა, არამედ პირს არ აქვს მოქმედების ნება, ანუ არ ხდება ნების გამოვლენის სუბიექტური კომპონენტის ფორმირება. ასეთ შემთხვევებში ნების გამომვლენის ნაცვლად მოქმედებს სხვა პირი – ის, ვინც მას ფიზიკური ზემოქმედებით, „ძალადობით" აწერინებს დოკუმენტზე ხელს, „თანხმობის ნიშნად" აქნევინებს თავს, ან, მაგალითად, აუქციონზე აწევინებს ხელს. შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში არ არსებობს ნების გამოვლენა. ცხადია, თუ არ არსებობს ნების გამოვლენა, შეუძლებელია, არარსებული ნების გამოვლენისა თუ გარიგების შეცილებაზე საუბარი"[336].

შევნიშნავთ, რომ კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში აქცენტი კეთდება შეცილების საფუძვლად მართლსაწინააღმდეგო ფსიქიკურ იძულებაზე. მაგალითად, **გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 123-ით** დეტერმინირებულია „მართლსაწინააღმდეგო იძულებით პირის მიერ ნების გამოვლენაზე დაყოლიება" და სხვა.

იძულება შეიძლება გამოიხატოს: **ა) ფიზიკურ იძულებაში.** მაგალითად, მაიძულებელი მხარე ფიზიკურად მასზე სუსტ პირს აიძულებს, რომ მან ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას, რომლის დადებაც პირს არ სურს. მაგალითად, ჯიკავით მიჰყავს ხელშეკრულების დოკუმენტთან და ძალით აწერინებს ხელს დოკუმენტზე, ან კიდევ ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით აიძულებს მიიღოს დიდი რაოდენობით ალკოჰოლი, ან კიდევ ძალით აღებინებს ნარკოტიკულ საშუალებებს, რათა „გათიშოს" პირი და

336 დ. კერესელიძე, დასახ. ნაშრ; გვ. 349.

სული მოაწერინოს გარიგებას; **ბ) ფსიქიკურ იძულებაში,** როცა პირს ახლობლების ხელყოფით ემუქრებიან, თუ იგი არ დადებს გარიგებას და სხვისი ნების შესატყვის ნებას ვერ გამოავლენს. ცხადია, მაიძულებელ მხარეს ესმის, რომ იგი განზრახ სჩადის ისეთ მოქმედებას, რომელიც დასჯადია და მისი ქმედების კანონსაწინააღმდეგო განზრახვას ორივე ელემენტი გააჩნია: **ინტელექტუალური (კოგნიტური) და ნებელობითი (ვოლუნტატური).** პირველ შემთხვევაში, მაიძულებელი მხარე აცნობიერებს თავისი მოქმედების ხასიათსაც და შედეგსაც, ხოლო ნებელობითის დროს კი იგი აშკარად გამოთქვამს სურვილს, რომ სამართალდარღვევით განახორციელოს პირის მიმართ იძულება და ძალით დაადებინის გარიგება.

იძულება არა მარტო გარიგების დამდები მხარისაგან მომდინარეობს, არამედ იგი შეიძლება მომდინარეობდეს **მესამე პირის მხრიდანაც.** არ არის გამორიცხული, რომ გარიგების კონტრაჰენტი და მესამე პირი შეთანხმებულად, ერთად ახორციელებდნენ იძულებას. მიუხედავად ამისა, დაზარალებულს ამ შემთხვევაშიც კონტრაჰენტთან ექნება საქმე. როგორც მოტყუების დროს (როცა კონტრაჰენტმა არაფერი იცის და მესამე პირი იტყუება),– იძულების შემთხვევაშიც მიუხედავად იმისა,რომ დაზარალებულმა არაფერი იცის იმის შესახებ, რომ კონტრაჰენტი კი არა მესამე პირი იტყუება,– ეს საფუძველი ვერ იქნება გარიგებისათვის სამართლებრივი ძალის შესანარჩუნებლად. იძულების ქვეშ მყოფი პირი ყოველთვისაა უფლებამოსილი მოითხოვოს გარიგების ბათილობა, რადგანაც მის იძულებას, რომელსაც პირის თავისუფლების უხეში შეზღუდვა მოჰყვება – კანონი არ ცნობს. ცხადია, იძულებასაც აქვს თავისი გამართლება როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო პირის მხრიდანაც (ამ უკანასკნელზე ჩვენ მოგვიანებით ვისაუბრებთ ამავე ქვეპუნქტში, კონკრეტული მუხლის კომენტირებისას), მაგრამ მთაყარია, რომ იძულება არ შეცვალოს ძალადო-

ბამ, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლების პრინციპს და საერთოდ დემოკრატიულ თავისუფლებას. სახელმწიფოც და კერძო პირიც თავის თავს უნდა აელენდეს სამართლით მოხაზულ წრეში, რამეთუ ჩვენ სამოქალაქო ბრუნვის მონაწილენი შებოჭილი ვართ სამართლით.

მაინც როგორი იძულება იწვევს გარიგების ბათილობას? „გარიგების ბათილობას იწვევს ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გაავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება“ **(სსკ მ. 86. ნ. 1).** გამომდინარე აქედან, ყოველგვარი იძულება არ ყოფილა გარიგების ბათილობის საფუძველი, არამედ ისეთი, რომელიც თავისი ხასიათით გავლენას ახდენს პირზე და აფიქრებინებს, რომ პიროვნებას, ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება. აქედან დასკვნა: თუ პირი ემუქრება მეორე მხარეს, რომ თუ იგი მას არ გადაუხდის ვალს, რომლის გადახდის ვადაც დამდგარია, იგი მაშინ ყველანაირ მეგობრულ ურთიერთობას გაწყვეტს, ან კიდევ, თუ საწარმო მუშაკს არ მოუმატებს ხელფასს, იგი იმუქრება, რომ სხვა, კონკურენტ საწარმოში გადავა სამუშაოდ და სხვა. როგორც ვხედავთ, აქ იძულების თავისებურ სახესთან გვაქვს საქმე, როცა „მუქარის “მიზანი არ შეიცავს არც მართლსაწინააღმდეგო და არც კანონსაწინააღმდეგო დებულებებს.

გერმანულ სამართალში იძულების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი სამი კრიტერიუმით დგინდება. ეს კრიტერიუმებია: „1. იძულება მართლსაწინააღმდეგოა, თუ იძულების საშუალება მართლსაწინააღმდეგოა, ეს საშუალებაა, რომლის გამოყენებაც დაუშვებელია, თუნდაც დასაშვები შედეგის მისაღწევად; 2. იძულება მართლსაწინააღმდეგოა, როდესაც იძულების მიზანი საშუალებისაგან დამოუკიდებლად მართლსაწინააღმდეგოა; 3. იძულება მართლსაწინააღმდეგოა, როდესაც მიზნის მიღწევის საშუალება შეუსა-

ბამოა მიზანთან. შეუსაბამობა იმ შემთხვევასაც გულისხმობს, როცა მიზანიც და საშუალებაც მართლზომიერია, მაგრამ შეუსაბამობის გამო მიზნის მისაღწევად არსებული საშუალებების გამოყენებაა უსამართლო"[337].

რა კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს იძულება? სსკ 86-ე მუხლის მე-2 ნაწილით ეს კრიტერიუმები შეიძლება იყოს: **პირთა ასაკი, სქესი და ცხოვრებისეული გარემოებანი.** პირველ ყოელისა, სასამართლოს მიერ იძულებით გარიგებების დადებისას საქმის განხილვის დროს, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ იძულების ქვეშ მყოფი პირის შეფასებისას ჩვეულებრივ გასათვალისწინებელია, რომ ის არის გონივრული, ნორმალური ადამიანი და არა რაღაც განსაკუთრებული თვისებებით დაჯილდოებული ადამიანი. ყველას ხომ ვერ მოსთხოვ გმირი იყოს. ასევე სასამართლოს მიერ გასათვალისწინებელია, რომ იძულება რეალური საფრთხის მაუწყებელი უნდა იყოს, პირი დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ თუ მაიძულებელ მხარეს არ დაეთანხმება გარიგების დადებაში, იგი თავის მუქარას განახორციელებს (ამ შემთხვევაში გარიგება ბათილია), მაგრამ თუ იძულება მოჩვენებითია, „მაიძულებელ მხარეს" სულაც არ ჰქონია მხედველობაში პირისათვის, ან მისი ახლობლებისათვის და ქონებისათვის რაიმე ზიანის მიყენება, – ბუნებრივია იძულებაც არ არსებულა და არც კანონსაწინააღმდეგი შედეგი დადგება.

რა როლს თამაშობს იძულების ფაქტის სასამართლოსეული შეფასებისას ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმები? ა) ასაკი. ასაკს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იძულების ფაქტის შეფასებისას იმ გაგებით, რომ ადვილია აიძულო კანონსაწინააღმდეგო გარიგების დადებაზე არასრულწლოვანი ან კიდევ პენსიონერი, რომელთაც არ ძალუძთ წინააღმდეგობა გაუწიონ მაიძულებელს; **ბ) სქესი.**

337. იხ. Larenz / wolf. Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts. München. 2004. 692-694.

ამ ფაქტორსაც არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება იძულების ფაქტის დადგენისას, რამეთუ მამაკაცთან შედარებით, ქალის დამორჩილება უფრო ადვილია, მაგრამ სამართალშემფარდებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ფაქტზე, ვინ არის ეს ქალი პროფესიით: ქალი კარატისტი (სპორტსმენი), პოლიციელი (რომელიც გარკვეულ ვარჯიშებს გადის პროფესიიდან გამომდინარე), რომელთა დამორჩილება შედარებით ძნელია, მათი ფიზიკური სიძლიერიდან გამომდინარე. აქვე დავამატებდით, რომ **პირის ჯანმრთელობაც** გარკვეული მიზეზი შეიძლება გახდეს იძულებით დადებული გარიგების გაბათილებისა. აქ იგულისხმება იძულების ქვეშ მყოფი პირის ჯანმრთელობის ისეთი მდგომარეობა (ინვალიდობა, მძიმე დაავადება და სხვა), როცა ადამიანი უძლურია წინააღმდეგობა გაუწიოს მოძალადეს.

გარიგების ბათილობას იწვევს აგრეთვე როცა გარიგების დადებისას პირის იძულება მიმართულია იძულების ქვეშ მყოფი მხარის მეუღლის, ოჯახის სხვა წევრების ან ახლო ნათესავების წინააღმდეგ. კონკრეტულად თუ ვინ არიან ეს პირები, რომელთა გამოც პირი მაიძულებელ მხარესთან კანონსაწინააღმდეგო გარიგებას დებს, მოცემულია **სსკ 1336-ე მუხლში,** რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრეთა ხუთ რიგს ჩამოთვლის და, რომლებიც მემკვიდრის ახლო ნათესავებში მოიაზრებიან. იძულების შეფასებისას ობიექტური კრიტერიუმებიდან უნდა ამოვიდეთ, რამდენადაც გასათვალისწინებელია ის სამართლებრივად მნიშვნელოვანი საფუძველი, რომელიც გარიგების ბათილად ცნობისათვის გამოადგებოდა სამართალშემფარდებელს, მაგრამ სასამართლომ არ უნდა დაივიწყოს სუბიექტური ფაქტორებიც. მაგალითად, როგორი ურთიერთობა აკავშირებთ იძულების ქვეშ მყოფ პირს და ახლო ნათესავს, იქნებ მტრული?, მათი ბედი სულაც არ აღელვებს იძულების ქვეშ მყოფს და სულაც სურს კანონსაწინააღმდეგო გარიგების დადება, იმედოვნებს, რა, რომ სამართალი გაითვალისწინებს მაიძულე-

ბელი პირის მიერ მის მიმართ განხორციელებულ მუქარას, რომ თუ იგი მასთან კანონსაწინააღმდეგო გარიგებას არ დადებს ახლო ნათესავის (ნათესავების) სიცოცხლეს ხელყოფს. სასამართლოს მიერ არა მარტო ნათესაური კავშირები უნდა დადგინდეს იძულებით დადებული გარიგების შეფასებისას, არამედ მასთან დაკავშირებული ინტერესები და განცდები.

იძულებით დადებული გარიგება რომ გაბათილდეს და დადგეს მაიძულებელი პირის პასუხისმგებლობის საკითხი (არა მარტო სამოქალაქო-სამართლებრივი, ხშირ შემთხვევაში სისხლის სამართლებრივიც), უნდა დადგინდეს გარიგების მიზნისა და მართლწინააღმდეგობა – მართლზომიერების საკითხი.

იძულებად არ ჩაითვლება ისეთი მოქმედება, **(სსკ 85-87 მუხლებით გათვალისწინებული),** რომლებიც არც **მართლსაწინააღმდეგო მიზნით** და არც **მართლსაწინააღმდეგო საშუალების** გამოყენებით ხორციელდებიან. გამოდის, რომ თუ მიზანი და საშუალება მართლზომიერია არც გარიგების საცილოობის საფუძველი იქნება სახეზე. **მაგალითი: თუ ა. ბ-ს** აიძულებს მასთან გარიგების დადებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოში სარჩელს შეიტანს მის მიერ დანაშაულის ჩადენის გამო,– ასეთ შემთხვევაში ძნელია ვილაპარაკოთ გარიგების ბათილობაზე, რადგან არც გარიგების განზრახვაშია რაიმე კანონსაწინააღმდეგო და არც იძულების საშუალებაა ასეთი. **ა-ს** მოქმედებაში ჩვენ ვერაფერს კანონსაწინააღმდეგოს ვერ დავინახავთ, რადგანაც ყოველი პირი ვალდებულია (საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე) განაცხადოს შესაბამის ორგანოებში სხვა პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ. როცა მართლსაწინააღმდეგოა მიზანიც და შედეგიც, მაშინ გარიგება აუცილებლად უნდა გაბათილდეს. **მაგალითი: ა. ემუქრება ბ-ს, თუ იგი მასთან ერთად არ ივაჭრებს ნარკოტიკებით, გაიტაცებს მისი ოჯახის წევრს და სიცოცხლეს**

გამოასალმებს. რეალურია, რომ მაიძულებელი მხარე მართლაც შეასრულებს მუქარას. ამ შემთხვევაში ცხადია, რომ დგება გარიგების ბათილობის საკითხი, მაგრამ დადგება ასევე მაიძულებელი პირის მიმართ უფრო მძიმე ბრალდებაც – სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

საინტერესოა რა გადაწყვეტილებას მიიღებდა სასამართლო იმ პირის მიმართ, რომელიც აიძულეს ახლობლის სიცოცხლის ხელყოფის მუქარით ნარკოტიკებით ევაჭრა? გათავისუფლდება იგი პასუხისმგებლობისაგან? ცხადია არა. მიუხედავად იმისა, რომ პირმა მუქარის გამო მიიღო მონაწილეობა ნარკოტიკებით ვაჭრობაში, ან სხვა კანონსაწინააღმდეგო საქმიანობაში, მას პასუხისმგებლობა დაეკისრება, თუნდაც რომ მაიძულებელ მხარეს შეესრულებინა მუქარა.

პრაქტიკაში არის პრეცენდენტები, როცა საშუალება ქმედებისა მართლსაწინააღმდეგოა, მიზანი კი–მართლზომიერი. მაგალითი: კრედიტორი ემუქრება პირს მისი ან ახლობლის სიცოცხლის ხელყოფით, თუ იგი მას ნაკისრ ვალდებულებას არ შეუსრულებს. აქსიომატური (პრინციპული) დებულებაა, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს და ვალდებული პირი იძულების გარეშეც ვალდებულია ნაკისრის შესრულებაზე, მაგრამ მას კანონი როდი აძლევს უფლებას, რომ ამისათვის მართლსაწინააღმდეგო იძულებას მიმართოს. სამოქალაქო ბრუნვაში ვერ დამკვიდრდება პრინციპი, რომ ვალდებულება კანონსაწინააღმდეგო საშუალებით სრულდებოდეს, ეს ქაოსს გამოიწვევდა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და წესრიგისა. „თუ მესამე პირმა აიძულა ვალდებული პირი, რომ მან ნივთი გადასცეს კრედიტორს, რომლის გადაცემის ვადაც დამდგარია, ამ შემთხვევაშიც შეიძლება გარიგების საცილოობის საკითხის დასმა (ნივთი უკან ბრუნდება), მაგრამ ეს ვერ განხორციელდება, რადგანაც კრედიტორს შეუძლია პირის მოთხოვნა გააბათილოს თავისი მოთხოვნით. თავად

კრედიტორიდან რომ წამოსულიყო იძულება, მაშინ გამორიცხული იქნებოდა შესაგებლები და ჩათვლები"[338].

ქართულ სასამართლო პრაქტიკას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ პირის ფსიქიკური იძულების მაკვალიფიცირებელ გარემოებად მიიჩნევა ისეთი გარემოებების არსებობა, რომელიც იძულების ქვეს მყოფს აფიქრებინებს, რომ მას საფრთხე ემუქრება. როცა სასამართლოები ობიექტურ ფაქტორებზე ამახვილებენ ყურადღებას, აქვე ბუნებრივია, გასათვალისწინებელია **სუბიექტური ფაქტორიც:** რამდენად რეალურად აღიქვამს პირი საფრთხეს, რომელიც მას ემუქრება, თუ მაიძულებელი პირის დავალებას არ შეასრულებს (მიგვაჩნია, რომ იძულების მუხლების გამოყენებისას ნორმის შეფარდების შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს **ობიექტურ (იძულების ფაქტს)** და ასევე **სუბიექტურ ფაქტორებსაც (პირის მიერ რეალურად აღქმა მოსალოდნელი საფრთხისა, თუ იგი მაიძულებელი პირის „განკარგულებას" არ შეასრულებს).**

„იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადაო გახდეს **ერთი წლის განმავლობაში იძულების დამთავრების მომენტიდან"(სსკ მ. 89)**. განსხვავებით საცილო გარიგებების სხვა სახეებისაგან, როცა შეცდომით დადებული გარიგების საცილოობის ვადა შეცილების საფუძვლის შეტყობის მომენტიდან იწყება, ხოლო მოტყუებით დადებული გარიგების შემთხვევაში - ერთი წლის განმავლობაში იმ მომენტიდან, როცა შეცილების უფლების მქონემ შეიტყო შეცილების საფუძვლის არსებობის შესახებ, იძულებით დადებული გარიგების შემთხვევაში უნდა დამთავრდეს იძულების ფაქტი, პირი უნდა იქცეს სხვისი ნების გამოვლენის იარაღად და შემდეგ დასაშვებია იძულებით დადებული გარიგების ბათილად ცნობა. იძულებით დადებული გარიგება კანონით მკაცრად დაუშვებელი გარიგებაა, რომლის ბათილობისას

338. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი პირველი, გვ. 251.

ასევე უნდა დაისვას საკითხი **„პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოვალეობისა“ (სსკ მ.408), „დელიქტური ვალდებულებანი“ (სსკ მ. 992)** ზიანის ანაზღაურებისა, რომელიც უნდა მოხდეს იმისგან დამოუკიდებლად, ნების გამოვლენის შეცილებას ჰქონდა თუ არა ადგილი. ასევე აქ დგება საკითხი უსაფუძვლოდ გამდიდრების ნორმების გამოყენებისა **(სსკ მ. 978),** რომელიც ითვალისწინებს: პირი, რომელიც სხვას გადასცემს რაიმეს არა ვალდებულების შესასრულებლად, არამედ იძულების ან მუქარის საფუძველზე, შეუძლია მისი უკან დაბრუნება...“. და ეს ნორმები გამოიყენება მაიძულებელი პირის მიმართ ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში, მისი შეცილება მოხდა თუ არა.

პროფ. დ. კერესელიძის მოსაზრებით, „დასაფიქრებელია, ხომ არ შეიძლება, მუქარით დადებულ გარიგებებზე გავრცელდეს მოტყუებით გამოვლენილი ნების მიმართ მოქმედების ანალოგიური მიდგომა; შესაბამისად ნების გამოვლენის შეცილების წინაპირობად ჩაითვალოს ის, რომ ფსიქიკურ იძულებას ობიექტურად შეეძლოს პირის ნების გამოვლენაზე გავლენის მოხდენა და, ამავე დროს, მას სინამდვილეში „სუბიექტურად“ გამოეწვია შესაბამისი ნების გამოვლენა. ამ მიდგომის სასარგებლოდ მეტყველებს სამართლებრივი სიცხადის მაღალი ხარისხი და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრების სიმარტივე. მის საწინააღმდეგოდ შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ შესუსტდება ისეთი პირის დაცვა, რომელიც არ ექცევა „ჩვეულებრივი“ თუ „გონიერი“ ადამიანის მოქმედების სტანდარტში. ამ უხერხულობის დაძლევა სწორედ იმით მიიღწევა, რომ ცალკეულ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება, მაგალითად,„პირთა ასაკი, სქესი და ცხოვრებისეული გარემოებანი“,ანუ ყველაფერი ის,რასაც შეეძლო ინდივიდის აღქმის გამძაფრება “ჩვეულებრივ ადამიანთან შედარებით“[339]. აზრის ავტორი მიიჩნევს, რომ „გარდა ამისა, ამ მიდგომის

339. დ. კერესელიძე, დასახ. ნაშრ; გვ. 352-353.

საჯარგებლოდ მეტყველებს მოტყუებისა და ფსიქიკური იძულების შემთხვევების ეროგვაროვანი მოწესრიგების მიზანშეწონილობაც. ფსიქიკური იძულების საფუძველზე ნაცილოობის მიმართ მოქმედი წინაპირობები. მუქარის განმხორციელებელს უნდა ჰქონდეს ნების ფორმირებასა თუ მის გამოვლენაზე ზემოქმედების მიზანი ან, მინიმუმ, გაცნობიერებული ჰქონდეს, რომ მის მოქმედებას შეუძლია პირის ნების გამოვლენაზე ზემოქმედების მოხდენა. თავის მხრივ ამ ზემოქმედებამ უშუალოდ უნდა გამოიწვიოს პირის ნების გამოვლენა. შესაბამისად უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი მუქარასა და პირის ნების გამოვლენას "შორის".[340] მიგვაჩნია, რომ რამეთუ იძულებით დადებული გარიგება ყველაზე მძიმე ფორმაა საცილო გარიგებებს შორის და შეიძლება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველიც კი გახდეს, მისი დამამძიმებელ ფორმებში განხორციელებისას (თუმცა მოტყუების ხარისხსაც გააჩნია პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის დაკისრების საფუძველი, მაგრამ ეს უფრო იშვიათად), ამიტომ გარკვეულწილად მიგვაჩნია, რომ მოტყუებით დადებული გარიგებების ნორმების იძულებით დადებული გარიგებების მიმართ შეუძლებელია (ყოველ შემთხვევაში ყოველთვის), ანალოგიური მიდგომა.

როგორც აღვნიშნეთ, იძულებით დადებული გარიგებისას არა მარტო სამოქალაქო-სამართლებრივი, არამედ სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობაც შეიძლება დადგეს.

340. დ. კერესელიძე, დასახ. ნაშრ; გვ. 353.

კ ი თ ხ ვ ე ბ ი

1. როგორი გარიგებები მიიჩნევა იძულებით დადებულ გარიგებებად?

2. რაში გამოიხატება პირის იძულება?

3. მოქმედებს თუ არა გარიგების ბათილობაზე პირის იძულება გარიგების დადებაზე, თუ იძულება ამ პირის ახლობელთა წინააღმდეგაა მიმართული?

4. ჩაითვლება თუ არა იძულებად მართლსაწინააღმდეგო საშუალებით, მაგრამ მართლზომიერი მიზნით დადებული გარიგება ბათილად?

5. როდიდან ცხადდება იძულებით დადებული გარიგება ბათილად?

6. მოახდინეთ შედარებითი ანალიზი საცილო გარიგებების სამივე სახის მიმართ.

ტ ე ს ტ ე ბ ი

1. გარიგების ბათილობას იწვევს:

ა. მესამე პირისაგან განხორციელებული იძულება.

ბ. სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული იძულება.

გ. ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება.

დ. სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება არ გაბათილდება.

2. გარიგების იძულების ხასიათის შეფასებისას მხედველობაში მიიღება:

ა. პირის ჯანმრთელობა.

ბ. პირის ქცევა ზოგადად.

გ. მხოლოდ ცხოვრებისეული გარემოებანი.

დ. ასაკი, სქესი და ცხოვრებისეული გარემოებანი.

1. ა-ს ჰქონდა ბ-ს ვალი, რომელსაც იგი არ იხდიდა, მიუხედავად ბ-ს არაერთგზის გაფრთხილებისა. ბ-მ იცოდა, რომ ა-ს წარსულში ჩადენილი ჰქონდა დანაშაული და დაემუქრა ა-ს, რომ თუ არ გადაიხდიდა ვალს, პოლიციაში დაასმენდა ჩადენილი დანაშაულის შესახებ

რამდენად სწორად მოიქცა ბ.? პასუხი დაასაბუთეთ.

2. თუ ა. შეეცდება, რომ ბ. აიძულოს კრედიტორის წინაშე შეასრულოს გარკვეული სახი ვალდებულება (მაგ; ნივთი დააბრუნოს), რომლის შესრულების ვადაც დამდგარია, იძულების ქვეშ მყოფს შეუძლია გარიგების საცილოობა? ან კიდევ, თუ კრედიტორიდან წამოვიდა იძულება ამ მაგალითში, მაშინ რა იქნებოდა გამორიცხული?

3. გ. დიდხანს ეწეოდა ნარკოტიკებით ვაჭრობას. მან გადაწყვიტა თავისი უკანონო საქმიანობის არეალი რომ გაეფართოვებინა, „საქმეში" დაეყოლიებინა მეზობელი. გ. გამუდმებით ემუქრებოდა ბ-ს (მეზობელს) შვილის გატაცებით, თუ იგი ამ საქმიანობას ხელს არ მოჰკიდებდა. ბ. მიხვდა, რომ მუქარა რეალური იყო, ეშინოდა გ.-ს საქმიანობის შესახებ პოლიციისათვის განეცხადებინა და იძულებული შეიქნა თვითონაც დაწყო გ.-სთან ერთად ნარკოტიკებით ვაჭრობა. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ორივე დააკავეს. ბ.-მ თავისი კანონსაწინააღმდეგო საქმიანობა იმით ახსნა, რომ გ. მას აიძულებდა შვილის გატაცებითა და მოკვლით, თუ მასთან ერთად ნარკოტიკებით არ ივაჭრებდა.

კ ი თ ხ ვ ა: გააამართლებდა თუ არა სასამართლო ბ.-ს იძულების წესით განხორციელებულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას, მაშინ როცა რეალური მუქარა მის შვილს სიცოცხლის ხელყოფით ემუქრებოდა?

სასამართლო პრაქტიკიდან ამონარიდი:

სასამართლომ ბიზნესმენ X-ს საკუთრების უფლება აღუდგინა (17.07.2014).

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მოქ. X-ის მიმართ და მას დაუბრუნა წინა ხელისუფლების დროს მისთვის იძულების წესით (X-მა გარიგება დადო ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ ძალდატანებით, თავისუფლების აღკვეთის ადგილას) დადებული გარიგებისას წართმეული ქონება და წილები, ბათილად ცნო მისი პატიმრობისას იძულებით გაფორმებული გარიგება და აღუდგინა საკუთრების უფლება.[341].

§ 5. პირობითი გარიგებანი

გარიგების მონაწილები (ხელშემკვრელი მხარეები) საერთოდ გარიგების დადებისთანავე იწყებენ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და გარიგების დადების მომენტიდანვე იწყება სამოქალაქო სამართლის კვინტესენციის შესრულება – **Pacta sunt servanda (ხელშეკრულება უნდა შესრულდეს!).** მაგრამ ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა გარიგებით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების შესრულებას მისი მონაწილე მხარეები გარკვეულ პირობებს რომ უკავშირებენ მის შესრულებას და ასეთი გარიგებები სამოქალაქო სამართალში პირობით გარიგებებად იწოდება.

სამოქალაქო კოდექსში, **II კარში „გარიგებანი"** ცალკე მეხუთე თავად გამოყოფილია **„პირობითი გარიგებანი"**, რომლებიც განსხვავებით საბჭოთა სამოქალაქო კოდექსისაგან, რომელსაც მხოლოდ ერთი (მ.60) მუხლი ჰქონდა დათმობილი, - საკმაოდ დეტალურად აწესრიგებს „პირობასთან" დაკავშირებულ გარიგებებს. ქართული სამოქალაქო კოდ-

341. medianews.ge/ge

ექსი გერმანული და ფრანგული სამოქალაქო სამართლის შესაბამის ნიმუშებს იყენებს გარიგების ამ სახის დასარეგულირებლად ეროვნულ სამოქალაქო კანონმდებლობაში. პირობითი გარიგებანი, რომლებიც ზოგად ნაწილშია მოქცეული, არეგულირებენ აგრეთვე იმ ვალდებულებით სამართლებრივ, თუ საოჯახო მემკვიდრეობით ურთიერთობებს, რომელთა იურიდიული ვარგისიანობა მხარის **„დათქმულ პირობაზეა"** დამოკიდებული. გარიგებით გათვალისწინებული შედეგის დადგომა კი შეიძლება რამდენიმე პირობაზე იყოს დამოკიდებული. ეს პირობები შეიძლება იყოს **კუმულატიული** (რომლის დროსაც აუცილებელია ყველა იმ პირობის არსებობა, რომელიც გარიგების ნამდვილობის პირობად არის დასახელებული) და **ალტერნატიული** (რომლის შემთხვევაში გარიგების ნამდვილობისათვის საკმარისია ერთ-ერთი რომელიმე პირობის დადგომა)[342].

დეფინიცია **„პირობა"** სიტყვათხმარებაში სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. „პირობა" ხშირ შემთხვევაში გარიგების არსებობის პირობაა, ხოლო **სსკ 90-98 მუხლებით** გათვალისწინებულ შემთხვევაში „პირობა" გარიგების შემადგენლობის არსებითი პირობაა, რომელსაც თვით კანონი ითვალისწინებს და გარიგების მხარეთა ნებაზე არაა დამოკიდებული. მაგ; ხშირ შემთხვევებში კანონი გარიგების ფორმას, კონკრეტული გარიგების არსებით პირობად მიიჩნევს **(სსკ მ.183, მ.184 და ა.შ.)** და ამ ფორმის გარეშე დადებული გარიგებები ბათილია, ან კიდევ, სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები სრულწლოვანებას მიიჩნევს ნების გამოვლენის ნამდვილობად, ან კიდევ გარკვეულ პირთა კატეგორიის თანხმობით სხვა პირთა ნების გამოვლენისათვის კანონი საჭიროდ მიიჩნევს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას. ზემოთ ჩამოთვლილი

342. იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 254; ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი ,2011, გვ. 410-411.

მაგალითების შემთხვევაში სახეზეა **ობიექტური პირობები,** რომლებიც გარიგების, როგორც სამართლებრივი კატეგორიის არსებობას განაპირობებენ და მოკლებული არიან დამატებითი ფაქტის მნიშვნელობას. ეს პირობები კანონით დადგენილი პირობებია, რომლებიც იურიდიულ ძალას ანიჭებენ გარიგებას და იცავენ მას ბათილობისაგან. **90-ე მუხლით** გათვალისწინებული პირობითი გარიგებისას პირობას დამატებითი ფაქტის მნიშვნელობა ენიჭება და „თვით გარიგებას კი არ განაპირობებს, არამედ ამ გარიგების იურიდიულ შედეგებს განსაზღვრავს[343]“, რაზედაც სწორედ **სსკ 90-ე მუხლი** მიგვითითებს. „პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა – ამ მოვლენის დადგომისთანავე“. დ. კერესელიძის მართებული მოსაზრებით, „სსკ-ის 90-ე მუხლის დებულება ადეკვატურ განმარტებას საჭიროებს. დასაზუსტებელია, მაგალითად ის, თუ რა იგულისხმება „გარიგების შესრულების გადადებაში“. პირობითი გარიგების ყველა შესაძლო შედეგი ვერ მოექცევა „შესრულების“ ცნებაში, ვინაიდან ცალკეული შედეგი ხშირად „ავტომატურად“, ანუ პირის დამატებითი მოქმედებისაგან დამოუკიდებლად, დგება. ეს ის შემთხვევებია, როდესაც გარიგების დადებისას სრულდება მისი შინაარსისათვის ყველა არსებითი წინაპირობა და პირობის დადგომის შემთხვევაში “შესრულება“ ნების გამომვლენს, უბრალოდ, აღარ სჭირდება. მაგალითად, ასეთი შემთხვევაა საკუთრების უფლების შენარჩუნებით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება, როდესაც ხელშეკრულების საგანი უკვე გადაცემულია და საკუთრების უფლების ერთი პირიდან მეორეზე გადასვლა ნასყიდობის ფასის სრულად დაფარვის პირობაზეა დამოკიდებული. ცხადია, ამ შემთხ-

343. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 253.

შეცვალოს პირობის დადგომას – ფასის სრულ გადახდას – „ავტომატურად“მოჰყვება შესაბამისი შედეგი“[344].

პირობით გარიგებებს არეგულირებს **გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §158-163[345].** აღნიშნული პარაგრაფების მიხედვით „შესრულება“ გარიგების “შედეგების“ შინაარსის შესაბამისად განიმარტება. სასურველია ასევე განმარტოთ იგი ქართულ სამოქალაქო სამართალშიც.

როგორც ნორმის განმარტებიდან ჩანს, პირობითი გარიგებანი სამომავლო და უცნობ მოვლენებს უკავშირდებიან „იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ან კიდევ გარიგების შეწყვეტა ამ მოვლენის დადგომისთანავე. მოვიხმობთ მაგალითებს. **1.** თბილისში მცხოვრები ნათესავი ჰპირდება სოფლიდან ჩამოსულ აბიტურიენტს, რომ თუ იგი უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხება, მასთან აცხოვრებს; **2.** მშობელი შვილს ჰპირდება, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტში სამშენებლო ფაკულტეტზე ჩარიცხვის შემთხვევაში, მას მანქანას უყიდის; **3.** თბილისის „დინამო“-ს ადმინისტრაცია ფეხბურთელს ჰპირდება, რომ თუ არ გადავა სხვა ქვეყნის საფეხბურთო კლუბში სათამაშოდ, ხელფასს გაუზრდის და სხვა. როგორც მოხმობილი მაგალითებიდან ვხედავთ, პირობა სამომავლო მოვლენებზეა დამოკიდებული, რომლის საშუალებითაც აწმყოსაგან პირთა ემანსიპაცია და მომავლის დამორჩილება ხდება. აქ ადგილი აქვს „მომავლის შემთხვევითობებთან სამართლებრივი ურთიერთობის შეგუებას“. სამომავლოდ პირობითი გარიგებების შემთხვევაში ნების შეზღუდვა კი არ ხდება, არამედ მისი გაფართოება, პირობის დადგომისას გარიგების მეორე მხარისათვის გარკვეული უფლებების წარმოშობა, კერძოდ პირობის დამდებს ნაკისრი პირობის შესრულება მოსთხოვოს.

---

344. დ. კერესელიძე, დასახ. ნაშრ; გვ. 391.

345. დამატ. იხ. Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 167-169.

პირობა შეიძლება იყოს: **კუმულაციური და ალტერნატიული.** პირველის შემთხვევაში ორი ან რამდენიმე პირობა უნდა დადგეს, რომ გარიგების იურიდიული შედეგები მიეღოთ, ხოლო მეორე შემთხვევაში ნაკისრი რამდენიმე პირობისაგან ერთ-ერთის დადგომაც საკმარისია იურიდიული შედეგის დადგომისათვის.

პირობითი გარიგებების დროს, ურთიერთობა გამოიხატება **„მაშინ“** და **„თუ“** კავშირებით. **„თუ** შენ ჩააბარებ გამოცდებს უმაღლეს სასწავლებელში – **მაშინ** გიყიდი მანქანას“ (ჰპირდება მშობელი შვილს) და სხვ. ცხადია **პირობა უცნობი უნდა იყოს,** ანუ **ობიექტურად უცნობი მოვლენა,** რომლის რეალიზებაც მომავალში ხდება, აწმყო და წარსული მხედველობაში არ მიიღება. იურიდიული შედეგების განსაზღვრას და გადაწყვეტას მომავალში დამდგარი შედეგი იწვევს (შვილი ჩააბარებს გამოცდას, ხოლო მშობელი შეასრულებს პირობას და მას საჩუქრად მანქანას გადასცემს). პირობის სამართლებრივ ინსტიტუტს განსაკუთრებული როლი ეკუთვნის ვალდებულების შესრულებაში, იგი გარკვეული გარანტიაა იმ პირისათვის, რომელიც პირობის დადგომისას „პირობას“ ასრულებს, მაგრამ დათქმული შედეგის მიღებასაც ითხოვს მეორე მხარისაგან.

პირობით შეიძლება დაიდოს თითქმის ყველა გარიგება და მათ მიმართ ჩვეულებრივ ის წესები გამოიყენება, რაც გარიგებების მიმართ. მაგრამ ამასთანავე არსებობს ისეთი გარიგებების სახე, რომლის დადებაც პირობით არ შეიძლება და ეს თვით ამ გარიგების ბუნებიდან გამომდინარეობს (დაქორწინება არ შეიძლება პირობით, არ შეიძლება საქორწინო კონტრაქტში ისეთი პირობების გათვალისწინება, რომლებიც პირის კანონით აღიარებულ უფლებების შემზღუდველი იქნება (მაგალითად, მეუღლის შეზღუდვა პროფესიულ უფლებებში) და ა. შ).

პირობითი გარიგებაც შეიძლება იყოს ბათილი, როცა

იგი ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს ან ზნეობის ნორმებს, ანდა შეუძლებელია მისი შესრულება. გარიგება, რომელიც რომელიმე ასეთ პირობაზეა დამოკიდებული, მთლიანად ბათილია. როგორც ნორმიდან აშკარად ჩანს, **91-ე მუხლით** გათვალისწინებული ალტერნატიული პირობებიდან ერთ-ერთიც საკმარისია გარიგების ბათილად ცნობისათვის. კერძოდ, ან კანონის მოთხოვნებთან შეუსაბამობა (წინააღმდეგობა) ანდა ზნეობის მოთხოვნებთან შეუსაბამობა, ანდა მისი შესრულების შეუძლებლობა. აღნიშნული მუხლის განმარტებისას არ შეიძლება არ მოვიხმოთ **ანალოგიური 54-ე მუხლი,** რომელიც გარიგების ბათილობას მკაცრად მოითხოვს, თუ იგი არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, ან ზნეობის ნორმებს. ე.ი. **91-ე მუხლის** შემთხვევაში პირობით დადებული გარიგებების ბათილობას კანონით განსაზღვრული საერთო საფუძველი გააჩნია. მაგალითად, გარიგების პირობად დათქმული ქურდობა, მკვლელობა და ა.შ, რომელიც არა მარტო კანონის, არამედ ზნეობის საწინააღმდეგო პირობაცაა. **ავიღოთ ასეთი მაგალითი.** საწარმოს მენეჯერი ჰპირდება ახალგაზრდა ქალს, რომ თუ იგი მასთან სქესობრივ კავშირზე დათანხმდება, სამსახურში მიიღებს. რა თქმა უნდა პირობა არც სამართლებრივად ვარგისია და არც ზნეობრივად გამართლებული. პირობა, რომელიც შესრულების შეუძლებლობას იწვევს - ბათილია. მაგალითად, **ა.** ჰპირდება **ბ-ს,** რომ ცაში ვარსკვლავებს დაითვლის, ან ზღვაში კენჭებს. ასეთი პირობის შესრულება ხომ შეუძლებელია და მის ბათილობას იწვევს უცილოდ. ამ უკანასკნელს ნამდვილობისათვის „ობიექტურობა" აკლია.

კანონსაწინააღმდეგო, უზნეო, შეუსრულებელი პირობები გარიგების ბათილობის უპირობო საფუძველია, არა აქვს მნიშვნელობა გარიგება სასყიდლიანია თუ უსასყიდლო, გადადებითია თუ გაუქმებითი.

პირობითი გარიგების ბათილობას იწვევს აგრეთვე ნებაზე დამოკიდებული გარიგებები. **92-ე მუხლის** თანახმად, „ნებაზე დამოკიდებულად ითვლება ისეთი პირობა, რომლის დადგომა ან დაუდგომლობა დამოკიდებულია მხოლოდ გარიგების მხარეებზე. ასეთი პირობით დადებული გარიგება კი - ბათილია.“ პირობა მხარეთა ნებაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, რომ იყოს ნამდვილი. ეს მისი თვისებაა და სწორედ ამის წყალობითაა იგი სამართლებრივად ნამდვილი. პირობა, რომელიც ერთი მხარის ნებაზეა დამოკიდებული, ბათილია, რადგანაც ბუნებრივია იგი დადებით სამართლებრივ შედეგს რომ იწვევდეს, ერთი მხარის ნებაზე იქნებოდა დამოკიდებული გარიგების პირობის მართვა და იურიდიული შედეგიც ყოველთვის მისთვის სასარგებლოდ დადგებოდა, ანუ, თუ მოინდომებდა, გამოიწვევდა მისთვის სასურველ შედეგს, თუ არ მოინდომებდა–არა.

ერთმანეთისაგან განსხვავდება „ორი სახის **პოტესტატური (ნებასთან დაკავშირებული) პირობა: 1. უბრალოდ პოტესტატური და 2. წმინდა პოტესტატური. უბრალოდ პოტესტატურის შემთხვევაში** ადგილი აქვს დაინტერესებული პირის მხრიდან არა მარტო ნების გამოვლენას, არამედ გარკვეული გარეგნულად გამოხატული მოქმედების განხორციელებასაც[346]“. მაგალითი: მშობელი ჰპირდება შვილს მანქანის ყიდვას, თუ იგი ჩააბარებს სტუ-ში მიმდინარე წელს სამშენებლო ფაკულტეტზე.

„წმინდა პოტესტატური პირობის შემთხვევაში მოვლენის დადგომა დამოკიდებულია ერთი მხარის ნებაზე და ამ აზრით, სულაც აღარაა იგი შემთხვევითი და გამოუცნობი. ამიტომ პირობა უფრო კატეგორიულ, იმპერატიულ ფორმაშია გამოხატული: თუ მე მოვისურვებ, თუ მე საჭიროდ ჩავთვლი“[347]. **მაგალითი**: გასესხებ ფულს, თუ მე ამას მო-

346. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 257.
347. იქვე, გვ. 258.

შესყიდვებ, თუ მე საჭიროდ ჩავთვლი). როგორც ვხედავთ, აქ არანაირ შეთანხმებას არა აქვს ადგილი და პირობის ვადგომა მთლიანად ერთი მხარის ნებაზეა დამოკიდებული.

პოტესტატურის გარდა პირობა შეიძლება იყოს კაუზალურიც[348]. **„კაუზალურია პირობა,** როცა მისი არსებობა შემთხვევით მოვლენაზეა დამოკიდებული. მაგალითად, ზიანის დადგომაზე, ან ავარიის დროს მძიმედ დაშავებულის გადარჩენაზე. კაუზალური პირობა შეიძლება მოქმედებაშიც გამოიხატოს, კერძოდ მესამე პირის ნების გამოვლენაში. მაგალითად, გარიგება შეიძლება დაიდოს იმ პირობით, რომ გარიგების მონაწილეები მესამე პირისაგან მიიღებენ თანხმობას"[349].

გარიგების შედეგებზე ორიენტირებული პირობა შეიძლება იყოს პოზიტიური (ე. ი. დადებითი შინაარსის) და ნეგატიური (უარყოფითი შინაარსის).

პოზიტიური პირობის დროს, გარიგება დადებულია იმ პირობით, რომ რაიმე მოვლენა არ დადგება განსაზღვრულ ვადაში და ამ შემთხვევაში პირობა ძალადაკარგულად ითვლება, თუკი ეს ვადა გავიდა და მოვლენა არ დადგა. ამ შემთხვევაში, პირობა რომ შესრულდეს გარკვეულ ვადაში უნდა დადგეს მოვლენა, თუ ეს ვადა გავა და მოვლენა არ დადგება, მაშინ პირობაც არ შესრულდება. მშობელი შვილს ჰპირდება, რომ თუ წარმატებით დაამთავრებს თსუ-ს, მას სამოგზაუროდ გაუშვებს იტალიაში. თუ შვილი ვერ დაამთავრებს წარმატებით უნივერსიტეტს, ცხადია, რომ მშობელი თავის პირობას არ შეასრულებს, პირობა ძალადაკარგულად ჩაითვლება გადადების პირობით. ან კიდევ, მშობელი შვილს ჰპირდება, რომ მანქანას უყიდის, თუ მიმდინარე

348. შინაარსის მიხედვითაა დაყოფილი პირობა კაუსალურად და პოტესტატურად.

349. ლ. ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000, გვ. 404. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, გვ. 414.

წელს სამხატვრო აკადემიაში ჩააბარებს. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მიმდინარე წელს სამხატვრო აკადემიას არ ჰქონია გამოცხადებული აბიტურიენტების მიღება. ამ შემთხვევაში კი-პირობა ძლადაკარგულად ჩაითვლება გაუქმების პირობით.

93-ე მუხლის 2-ე ნაწილის თანახმად, „თუ ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ პირობა შეიძლება შესრულდეს ნებისმიერ დროს". თუკი მშობელი შვილს ჰპირდება, რომ თუ ჩააბარებს სამხატვრო აკადემიაში მას მანქანას უყიდის და არ აკონკრეტებს დროს, მაშინ მან პირობა უნდა შეასრულოს (შვილს მანქანა უყიდოს), არ აქვს მნიშვნელობა რომელ წელს ჩააბარებს შვილი კონკრეტულ უმაღლესში (მიმდინარე თუ მომავალ წლებში), რადგანაც მშობელს ვადა გამოცდის ჩაბარებისა არ დაუკონკრეტებია. პირობა ძალადაკარგულად იქნება მიჩნეული, როცა აშკარაა, რომ მოვლენის დადგომა შეუძლებელია (სამხატვრო აკადემია საერთოდ აღარ ღებულობს სტუდენტებს კონკრეტულ სპეციალობაზე).

პირობის შინაარსი **ნეგატიური იქნება**, თუ გარიგებით გათვალისწინებული შედეგის დადგომა იმაზეა დამოკიდებული, რომ პირობა არ დადგეს. **94-ე მუხლის თანახმად (ნ.1)**, „თუ გარიგება დადებულია იმ პირობით, რომ რაიმე მოვლენა არ დადგება განსაზღვრულ ვადაში, მაშინ პირობა შესრულებულად ითვლება, თუ აღნიშნული ვადა გავა მოვლენის დადგომის გარეშე. ასევე პირობა შესრულებულად ითვლება მაშინაც, როცა ვადის გასვლამდე აშკარაა რომ მოვლენის დადგომა შეუძლებელია" (მაგალითი: მშობელი ჰპირდება შვილს, რომ თუ არ ჩააბარებს ტექნიკურ უნივერსიტეტში, მას სამოგზაუროდ გაუშვებს). პირობა დამდგარად ჩაითვლება, თუ შვილი არ ჩააბარებს აღნიშნულ უმაღლეს სასწავლებელში. პირობა შესრულებულად ითვლება მაშინაც, თუ შვილი ვერ ჩააბარებს ტექნიკურ უნივერსიტეტში, იმის გამო, რომ ტექნიკურმა უნივერსიტეტმა სტუდენტების

მიღება შეწყვიტა. უარყოფითი პირობა შეიძლება იყოს არა მარტო გადადებითი, არამედ გაუქმებითიც.

94-ე მუხლის მეორე ნაწილში ნეგატიური პირობის შესრულება განსაზღვრული არ არის ვადით, არამედ პირობა შესრულებულად ითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ნათელი გახდება, რომ მოვლენა არ დადგება. მეორე ნაწილში არსებითად პირველი ნაწილის მეორე წინადადება მეორდება. განსხვავება მხოლოდ მოვლენის დადგომის ვადებშია, თორემ თუ ამ მოვლენის დადგომა შეუძლებელია, მაშინ მნიშვნელობა აღარ აქვს იმას, ეს მოვლენა როდის უნდა დამდგარიყო - მიმდინარე წელს, თუ ვადა განუსაზღვრელი იყო და შესაბამისად სულ ერთი იყო როდის დადგებოდა იგი. ორივე შემთხვევაში ნეგატიური პირობა შესრულებულად ჩაითვლება"[350].

პირს, რომელმაც განსაზღვრული პირობით დადო გარიგება, არა აქვს უფლება პირობის დადგომამდე რაიმე ისეთი მოქმედება შეასრულოს, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს მას ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში **(სსკ მ. 95, ნ.1)**. გამოდის, რომ გარიგების მხარეები პირობის დადგომამდე ერთმანეთთან ურთიერთშებოჭვის პირობებში იმყოფებიან და დაუშვებელია პირობის დადგომამდე ისეთი მოქმედება განახორციელოს პირობის დამდებმა მხარემ, რაც ხელს შეუშლის პირობითი უფლებამოსილების მქონეს დანაპირების მიღებაში. **მაგალითი: ა** წერილობით შეპირდა ბ-ს საჩუქარს (საჩუქრის დაპირება კი ჩუქების ვალდებულებას წარმოშობს მხოლოდ მაშინ თუ იგი წერილობითი ფორმითაა დადებული **(სკ მ. 525, ნ.3)**. მიუხედავად იმისა, რომ **ა-ს** ჯერ კიდევ არ გადაუცია **ბ-სთვის** შეპირებული საჩუქარი და გადაცემამდე კვლავ ამ ნივთის მესაკუთრეა, იგი კანონითაა შებოჭილი, რომ ვალდებულება უნდა შეასრულოს და არ უნდა გაასხვისოს ნივთი. **95-ე**

350. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 261.

მუხლის წესები გამოიყენება როგორც გადადებითი, ისე გაუქმების პირობის შემთხვევაში და ნაკისრი ვალდებულების შესრულებას უწყობს ხელს. **95-ე მუხლის პირველი ნაწილის** პირობის დარღვევა **ამ მუხლის მეორე ნაწილით** გათვალისწინებულ შედეგებს წარმოშობს. კერძოდ, თუ პირობა დადებულია განსაზღვრულ დროს და პირს უკვე შესრულებული აქვს ასეთი მოქმედება, მაშინ იგი ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ამგვარი მოქმედებით გამოწვეული ზიანი. გამოდის, რომ თუ ზემოთ მოყვანილ მაგალითში, **ა.** თავის პირობას არ ასრულებს და შეპირებულ საჩუქარს არ გადასცემს პირობითი უფლების მქონეს (დაკარგვის, გაფუჭების, დამსხვრევის, სხვა პირზე გაყიდვის და ა.შ. გამო), იგი ვალდებული იქნება მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. ამ შემთხვევაში გამოიყენება ზიანის ანაზღაურების ზოგადი ნორმები.

სამოქალაქო სამართალში პირობითი გარიგებების დადებისას ერთმანეთისაგან გამოყოფენ **გადადების (ანუ სუსპენსიურს)** და **გაუქმებით (ანუ რეზოლიტიურ) პირობებს.**

გადადების, ანუ სუსპენსიური პირობით გარიგება დადებულად ითვლება, თუ გარიგებით გათვალისწინებული უფლებებისას და მოვალეობების წარმოშობა სამომავლო და უცნობ მოვლენაზეა დამოკიდებული, ან/და კიდევ ისეთ მოვლენაზე, რომელიც უკვე დამდგარია, მაგრამ მხარეებისათვის ჯერ კიდევ უცნობია. მაგალითად, **799-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების** თანახმად, „დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ან კიდევ, მშობელი შვილს შეპირდა საჩუქარს უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების შემთხვევაში. შვილი ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ მხარეებისათვის ეს ფაქტი ჯერ კიდევ უცნობია, რამეთუ ჩარიცხვის შესახებ

ინფორმაციას შესაბამისი ორგანოები აქვეყნებენ ჩარიცხვიდან გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ. გამოდის რა, რომ „გადადების პირობა ნების გამოვლენის სუბიექტებს ურთმანეთთან აკავშირებს აწმყოშივე". სადაზღვევო კომპანიამ არ იცის რა, რომ უკვე დადგა სადაზღვევო რისკი (მოგვიანებით გაიგო მან ამის შესახებ), მაგრამ ამ რისკის დადგომისას მას უკვე წარმოეშვა ვალდებულება პირობის განადღებისა სამომავლოდ, ასევე მშობელს, რომელიც შვილს საჩუქარს შეპირდა, თუ უმაღლესში ჩაირიცხებოდა. შვილის უმაღლესში ჩარიცხვის მომენტიდან მშობელი ვალდებულია შვილის წინაშე პირობის შესრულებაზე, თუმცა მშობლისათვის ეს ფაქტი (შვილის უმაღლესში ჩარიცხვა) ჯერ კიდევ უცნობია. ბუნებრივია, შემპირებელი მხარე ნივთის გადაცემამდე ამ ნივთის მესაკუთრეა, იგი უფლებამოსილია გამოიყენოს ეს ნივთი (მაგალითად, თუ მანქანაა შეპირებული, რომლითაც მისი მესაკუთრე შემოსავალს იღებს, ბუნებრივია იგი უფლებამოსილია ნივთის გადაცემამდე ამ უფლებით ისარგებლოს, ან კიდევ, თუ ბინაა შეპირებული და ეს ბინა გაქირავებულია,-სარგებელი მიიღოს მის გადაცემამდე. მაგრამ აქ ერთი საკითხი წარმოიშობა. **დამქირავებელი როგორ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, ბინის სხვა პირისათვის გადაცემის შემდეგ?** ბუნებრივია, რომ იგი უფლებამოსილია ახალ მესაკუთრესთანაც დამქირავებლად დარჩეს. ახალ მესაკუთრეს უფლება აქვს პატივსადები მიზეზების არსებობისას დამქირავებელს ბინის დაცლა მოსთხოვოს (ოღონდ გონივრული ვადებში). ნივთის გამოყენებამ შემპირებლის მიერ ხელი არ უნდა შეუშალოს მას პირობის შესრულებაში. ისმის კითხვა: **მაგრამ თუ ნების გამომვლენმა, რომელსაც პირობა ბოჭავს, გაყიდა შეპირებული ნივთი (იგი ხომ ამ ნივთის მესაკუთრეა), სად რთხე ხომ დაემუქრება პირობითი უფლების მქონეს თავისი უფლების განხორციელებისას?** ცხადია, მაგრამ კანონი იცავს მას იმით, რომ მოითხოვოს პირობის შეუსრულე-

ბლობით გამოწყეული ზიანის ანაზღაურება. პირობითი გარიგება დადებულად ხომ ნების გამოვლენის მომენტიდან ითვლება და არა პირობის დადგომის მომენტიდან. პირობის დადგომიდან პირობითი უფლების განხორციელება იწყება.

გარიგება გაუქმების, ანუ რეზოლუტიური პირობით დადებულად ითვლება, როცა ამ პირობის დადგომა იწვევს გარიგების შეწყვეტას და აღადგენს გარიგების დადებამდე არსებულ მდგომარეობას **(სსკ 8.97)**. გაუქმების პირობის არსებობისას გარიგების შედეგი მაშინვე დგება, მაგრამ პირობის დადგომისთანავე იგი უქმდება. მაგალითი: **ა-მ ბ-ს** დაპირდა, რომ თუ იგი კონკურსში გაიმარჯვებდა, საჩუქარს გადასცემდა მას. გამოდის, რომ თუ პირი კონკურსში ვერ გაიმარჯვებს, მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობაც შეწყდება და ის მდგომარეობა აღდგება, რაც გარიგების დადებამდე იყო. ან კიდევ, ბინის მესაკუთრემ დამქირავებელს იმ პირობით (იმ დრომდე) მიაქირავა ბინა, ვიდრე მისი ვაჟი ცოლს მოიყვანდა, რადგან მას ბინა ახალდაქორწინებულებისთვის დასჭირდებოდა. აღნიშნული პირობის დადგომისას ბუნებრივია დამქირავებელმა უნდა დაუბრუნოს მესაკუთრეს ბინა. ამ შემთხვევაში აღდგება გარიგების დადებამდე არსებული მდგომარეობაც, მაგრამ აქ შეიძლება წარმოიშვას ერთი პრობლემაც. **თუ დამქირავებელმა ბინის მესაკუთრის თანხმობით ქვექირავნობით სხვას გადასცა ბინის ერთი ოთახი?** ამ შემთხვევაში დამქირავებელი ვალდებულია ოთახი გამოითხოვოს ქვემოქირავნისაგან (მოითხოვს თუ არა ზიანს ვადაზე ადრე ქვექირავნობის შეწყვეტისათვის ქვემოქირავნე, ეს უკვე დამქირავებლის პრობლემაა) და გადასცეს მესაკუთრეს, თუმცა კანონი არ ართმევს უფლებას გამქირავებელს (მესაკუთრეს) მისი საკუთრების საგანი ნებისმიერი მესამე პირისაგან გამოითხოვოს, ვისთანაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი.

მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესი, რომ „სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები", ბუნებრივია პირობითი გარიგების მხარეებსაც ავალდებულებს კეთილსინდისიერად მოიქცნენ. პირობის დამდებმა მხარემ არაკეთილსინდისიერად არ უნდა დააბრკოლოს პირობის დადგომა (რომლისთვისაც პირობის დადგომა ხელსაყრელი არ არის), წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედებს **იურიდიული ფიქცია და პირობა მაინც დადებულად ჩაითვლება.** ხოლო თუ პირობის დადგომას არაკეთილსინდისიერად შეუწყო მხარემ ხელი, რომლისთვისაც პირობის დადგომა ხელსაყრელია,–პირობა დამდგარად არ ჩაითვლება. აქვე თემის ბოლოს დავაზუსტოთ ერთი საკითხიც. **რა განსხვავებაა პირობასა და წინაპირობას შორის, თუ საერთოდ არ არის მათ შორის განსხვავება და ისინი იდენტური ცნებებია?** პირობასა და წინაპირობას შორის აშკარა განსხვავებაა, არა მხოლოდ ტერმინოლოგიურად, არამედ მასთან დაკავშირებული სხვადასხვა სამართლებრივი შედეგებით. მაგ; პირი იქირაებს მანქანას, თუ მანქანა კარგ მდგომარეობაში იქნება–არის არა გარიგების პირობა, არამედ წინაპირობა. პირობითი გარიგების კვალიფიკაციისათვის მას აკლია ის, რომ არ წარმოადგენენ **„ობიექტურ** და უცნობ მოვლენას", რომლებიც მომავალში უნდა წარმოიშვან, – ისინი მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული.

ასევე აქ არ შეიძლება არ შევეხოთ **ვადების მნიშვნელობას** პირობითი გარიგებებისას. გადადებითი, გაუქმებითი და საერთოდ მთელი პირობითი გარიგებები ვადებთან არის დაკავშირებული და იგი პირობის დადგომის მნიშვნელოვან საზომს წარმოადგენს. მაგალითად, „გარიგების შესრულების გადადება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა ამ მოვლენის დადგომისთანავე" **(სსკ მ.90),** ან კიდევ, თუ გარიგება დადებულია იმ პირობით, რომ რაიმე მოვლე-

ნა დადგება განსაზღვრულ ვადაში და პირობა ძალადაკარგულად ითვლება თუ ეს ვადა გავიდა და მოვლენა არ დადგა **(სსკ მ.93, ნ.1)**, „თუ ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ პირობა შეიძლება შესრულდეს ნებისმიერ დროს.“ **(სსკ მ.93, ნ.2. პირველი წინადადება).** „თუ გარიგება დადებულია იმ პირობით, რომ რაიმე მოვლენა დადგება განსაზღვრულ ვადაში, მაშინ პირობა შესრულებულად ითვლება, თუკი აღნიშნული ვადა გავა მოვლენის დადგომის გარეშე“. „პირობა შესრულებულად ითვლება მაშინაც, როცა ვადის გასვლამდეც აშკარაა, რომ მოვლენის დადგომა შეუძლებელია“, ასევე გარიგება გადადების ან გაუქმების პირობით **(სსკ მ.96-97)** და სხვა. არსებობენ **ვადიანი პოზიტიური პირობები** (თუ შვილი ჩააბარებს უმაღლესში მშობელი მას მანქანას უყიდის) და ასევე **ვადიანი ნეგატიური პირობები,** როცა გარიგებით გათვალისწინებული შედეგის დადგომა დამოკიდებულია იმაზე, რომ გარიგებით პირობადადებული მოვლენა არ დადგეს განსაზღვრულ ვადაში (მაგ; თუ შვილი მიმდინარე წელს არ ჩააბარებს ტექნიკურ უნივერსიტეტში, მშობელს სურს, რომ მისმა შვილმა თსუ-ში ჩააბაროს), მაშინ უყიდის მანქანას. გამოდის, რომ თუ შვილმა ჩააბარა ტექნიკურ უნივერსიტეტში, პირობა ძალადაკარგულია.

და ბოლოს ერთი დამახასიათებელი ნიუანსი პირობითი გარიგებისა. მიუხედავად იმისა, რომ პირობითი გარიგების დადგომისას მხარეები სრულიად თავისუფალნი არიან ნების გამოვლენაში (ისინი თავისუფლად განსაზღვრავენ გარიგების პირობებს), მაგრამ პირობის დადების შემდეგ, კანონი მათ ავალდებულებს (ბოჭავს) ამ პირობის შესრულების ვალდებულებით (თუ მშობელი დაპირდა შვილს საჩუქარს უმაღლესში ჩაბარების შემთხვევაში, კიდევაც უნდა შეასრულოს პირობა), ხოლო თუ მხარე პირობას დაარღვევს და ისეთ მოქმედებას შეასრულებს, რაც პირობის დადგომას ხელს უშლის, პირობა დამდგარად ჩაითვლება და მხარე, რომელმაც არაკეთილსინდისიერად

შეუშალა ხელი პირობის დადგომას, მთელი სამართლებრივი რიკის მატარებელია (ვალებულია პირობის შესრულებაზე, ან ზიანის ანაზღაურებაზე და სხვა). ასევე პირობითი გარიგებებისათვის დამახასიათებელია პირობითი გარიგების მონაწილეების სამართლებრივი ინტერესების დაცვა (სსკ 398, 6.1, 6.2).

კ ი თ ხ ვ ე ბ ი

1. როგორი გარიგება ითვლება პირობითად?
2. განმარტეთ ნებაზე დამოკიდებული გარიგება
3. როგორია პოზიტიური და ნეგატიური პირობა?
4. ახსენით გადადების და გაუქმების პირობით გარიგების არსი
5. რომელი მუხლი მიუთითებს იურიდიული ფიქციის გამოყენების შესაძლებლობაზე პირობით გარიგებებში?

ტ ე ს ტ ე ბ ი

1. პირობითად ითვლება გარიგება:

ა. როცა დამოკიდებულია მხარეთა ნებაზე.

ბ. ერთ-ერთი მხარის ნებაზეა დამოკიდებული.

გ. სახელმწიფოს რაიმე აქტზეა დამოკიდებული.

დ. როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე, იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა-ამ მოვლენის დადგომისთანავე.

2. იმ პირს, რომელმაც განსაზღვრული პირობით დადო გარიგება:

ა. უფლება აქვს პირობის დადგომამდე შეასრულოს მოქმედება, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს მისი ვალდებულების შესრულებას.

ბ. პირობის დადგომაზე ზემოქმედება მოახდინოს.

გ. ნებისმიერ დროს დაარღვიოს პირობა.

დ. არ აქვს უფლება პირობის დადგომამდე შეასრულოს რაიმე ისეთი მოქმედება, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს მისი ვალდებულების შესრულებას.

პ ა ს უ ხ ი

ა-მ მიაქირავა საცხოვრებელი ბინა ბ-ს იმ პირობით, რომ თუ მისი შვილი მოიყვანს ცოლს, ბინა ა-ს დაუბრუნდებოდა, რადგანაც იგი ახალდაქორწინებულებისათვის დასჭირდებოდა. ბ-მ ქვექირავნობით გააქირავა ბინის ნაწილი გ-ზე. პირობის დადგომისას (ა-ს შვილმა ცოლი მოიყვანა) ქვემოქირავნემ (გ-მ) არ დააბრუნა ბინის ნაქირავები ნაწილი, იმაზე მითითებით, რომ ქვექირავნობის ხელშეკრულებას ვადა არ გასვლია.

ვის აქვს უფლება გამოითხოვოს ბინა? ა-ს, თუ ბ-ს? თუ ორივეს ერთად?

§ 6. თანხმობა გარიგებებში

სამოქალაქო სამართალი ითვალისწინებს არა მარტო ისეთ გარიგებებს, რომლის ნამდვილობისათვის გარიგების მონაწილე მხარეების თანხმობაა საჭირო, რომ გარიგება სამართლებრივად ნამდვილი იყოს, არამედ ასევე კონკრეტული ხასიათის გარიგების ნამდვილობისათვის კანონი ასევე მოითხოვს მესამე პირთა თანხმობასაც. გარიგებებში მესამე პირის თანხმობასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს სამოქალაქო კოდექსის **99-102 მუხლები.** თუმცა არა მარტო სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული მუხლები. ჩვენ სამოქალაქო სამართლის სხვა ნორმებშიც გვხვდება გარიგების ნამდვილობის აღიარებისათვის მესამე პირების თანხმობის საჭიროება. აღნიშნული ნორმების იმპერატიული მოთხოვნაა, რომ თანხმობა, როგორც გარიგების ნამდვილობის პირობა, მხოლოდ კანონით განისაზღვრება. თანხმობა შეიძლება განხორციელდეს და გარიგება იურიდიულად ვარგისი იყოს, როგორც **წინასწარ გაცემული (ნებართვის) შემთხვევაში (სსკ მ.100), ასევე შემდგომი თანხმობის (მოწონების) (სსკ მ.101) შემდეგაც.** ამ უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენ უკვე შესაბამისი მუხლების კომენტირებისას აღვნიშნეთ, რომ ასეთს ადგილი აქვს არასრულწლოვანის მიერ დადებული გარიგებებისას **(სსკ მ. 63-67),** წარმომადგენლობისას და სხვა. არის ნორმები კანონმდებლობაში, რომლებიც დისპოზიციურია და გარიგების მონაწილეთა ნებით წყდება მესამე პირის თანხმობის საჭიროება. ასეთს ადგილი აქვს კანონში **„მეწარმეთა შესახებ", მ. 9,** სადაც აღნიშნულია, რომ ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები მეწარმე სუბიექტს წარმოადგენენ მესამე პირთან სამართლებრივ ურთიერთობებში, თუ წესდებით (სამეწარმეო ამხანაგობის შემთხვევაში მონაწილეთა ხელშეკრულებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ყოველგვარი გარიგების დადებას როდი სჭირდება მესამე პირის მიერ ნების გამოვლენა გარიგების ნამდვილობის დასადასტურებლად, თუ ვთქვათ მხარეები განსაზღვრავენ, რომ ერთ-ერთი მათგანის თანხმობის გარეშე გარიგება არ დაიდება, მაგრამ ამ თანხმობის გარეშეც გარიგება ნამდვილია, ასეთი გარიგებების დადებას მესამე პირთა თანხმობა არ სჭირდება. მაგ; **ა-მ ბ-ს** ფული ასესხა, რომ იგი სანამ ვალს არ გადაიხდიდა, იგი ამ საწარმოდან, სადაც ისინი ერთად მუშაობდნენ სხვა სამუშაოზე მისი თანხმობის გარეშე ვერ გადავიდოდა. ბუნებრივია ასეთ თანხმობას არავითარი იურიდიული ძალა არ ექნება, რადგან იგი სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეს **(ა-ს)** უსღუდავს საქმიანობის თავისუფალი არჩევის უფლებას. მაგრამ ამას ვერ ვიტყოდით სააქციო საზოგადოების მიმართ. სს-ში დირექტორებს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების გარეშე უძრავი ქონების გასხვისება არ შეუძლიათ. როგორც ვხედავთ, აქ საჭიროა სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა გარიგების ნამდვილობისათვის. ამ შემთხვევაში თანხმობა გარიგების ნამდვილობის პირობა კი არ არის, რომლის არსებობასაც გარიგების მონაწილეები გარიგების სამართლებრივ შედეგს დაუკავშირებდნენ, არამედ გარიგების შინაარსის შემადგენელი ელემენტია.

„სამართლიანად არის ლიტერატურაში აღნიშნული, რომ თანხმობა, როგორც გარიგების ნამდვილობის წინაპირობა, შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ კანონით. ეს იმას ნიშნავს, რომ გარიგებით, მით უფრო ხელშეკრულებით, არ შეიძლება იმის დადგენა, რომ გარიგების ნამდვილობა შეიძლება დამოკიდებული იყოს „ვიღაცის" თანხმობაზე. ასეთი რამ დაიშვება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში"[351].

„მართალია თანხმობა გარიგების ნამდვილობის პი-

351. ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გვ. 394.

რობაა, მაგრამ იგი იმავდროულად თვით წარმოადგენს გარიგებას," რომელიც მომსახურების ფუნქციას ასრულებს ძირითადი გარიგების მიმართ. ე.ი. თანხმობა ერთდროულად დამოუკიდებელი გარიგებაცაა და საშუალებაც"[352]. „თუ გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია მესამე პირის თანხმობაზე, მაშინ როგორც თანხმობა, ასევე მასზე უარი შეიძლება გამოითქვას როგორც ერთი, ისე მეორე მხარის წინაშე" **(მ. 99. ნ.1)**. მაგალითად, არასრულწლოვანს გარიგების დასადებად კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა სჭირდება, ასევე ეს თანხმობა წერილობითი ფორმით უნდა მიუვიდეს მეორე მხარესაც, რომ გარიგება იყოს ნამდვილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბათილია ცალმხრივი გარიგება, რომელსაც არასრულწლოვანი დებს კანონიერი წარმომადგენლის გარეშე **(სსკ მ. 66)**. ასევე, სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს, აუცილებელ ნორმებს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის შენარჩუნებისათვის როცა კანონიერი წარმომადგენლები არასრულწლოვანს ანდობენ საწარმოს მართვის უფლებას. ამ შემთხვევაში „საწარმოს მართვის ნებართვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარდა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების თანხმობასაც (შეთანხმებას) საჭიროებენ, როგორც ისეთი შემთხვევა, როცა იგივე კანონიერი წარმომადგენელი არასრულწლოვანს საწარმოს მართვის უფლებას ართმევს.

თანხმობა ერთი შეხედვით **მინდობილობას** ჰგავს, რომელსაც სახელშეკრულებო სამართალი არეგულირებს. მსგავსება გამოიხატება იმაში, რომ ხშირად მინდობილობის გაცემა ამა თუ იმ გარიგებაზე, ხშირად იმავდროულად თანხმობაც არის.

როგორი გარიგებები შეიძლება იყოს თანხმობაზე დამოკიდებული? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა მივმართოთ **სსკ 50-ე მუხლის** დანაწესს და ავღნიშნოთ,

352. ლ. ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გვ. 396.

რომ თანხმობაზე დამოკიდებული გარიგება შეიძლება იყოს როგორც ცალმხრივი, ასევე მრავალმხრივი. ცალმხრივი გარიგებების მაგალითია შრომის ხელშეკრულების მოშლა მუშაკთან საწარმოს ადმინისტრაციის ინიციატივით.

კანონით გათვალისწინებულ თანხმობას ითვალისწინებს აგრეთვე საოჯახო სამართლის **1108-ე მუხლის მე-2 ნაწილი,** რომლის თანახმად, „გამონაკლის შემთხვევაში თექვსმეტი წლის ასაკიდან დაქორწინება დაიშვება მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლობის წინასწარი წერილობითი თანხმობით". **ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად** კი, „თანხმობაზე მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების უარის შემთხვევაში პატივსადები მიზეზების არსებობისას დასაქორწინებელ პირთა განცხადების საფუძველზე დაქორწინების ნებართვა შეუძლია გასცეს სასამართლომ "(ამ შემთხვევაში ნებართვა სახელმწიფო ხელისუფლების თანხმობის გამომხატველია, რომელიც არასრულწლოვანი პირების დაქორწინებას კანონიერი წარმომადგენლების უარის თქმის შემთხვევაში მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობისას ახდენს (მაგ; გოგონა ორსულადაა და სხვა).

თანხმობას არ სჭირდება გარიგებისათვის დადგენილი ფორმის დაცვა. გამოდის, რომ თანხმობა, რომელიც ცალმხრივი ნების გამოვლენას წარმოადგენს, თვითონაა დამოუკიდებელი გარიგება და არა იმ გარიგების ნაწილი, რომლის სამართლებრივი ნამდვილობისათვის იგია გაცემული. ამიტომ თანხმობა, როგორც გარიგება, შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობით **(სსკ მ. 69),** ასევე კონკლიუდენტური მოქმედებებით და სხვა. მაგრამ ნების გამოვლენა ისე უნდა განხორციელდეს, რომ მეორე მხარემ მისი აღქმა შეძლოს. ამ შემთხვევის დასადასტურებლად შეიძლება გამოვიყენოთ **51-ე მუხლის** განმარტება ნების გამოვლენის მეორე მხარის მიღების შესახებ. ე. ი. თანხმობა **50-ე მუხლით** გათვალისწინებულ ცალმხრივ გარიგებათა კატ-

ეგორიას განეკუთვნება. როგორც ავღნიშნეთ, თანხმობას კანონით დადგენილი ფორმის დაცვა არ სჭირდება გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა (იგივეს ვიტყოდით არასრულწლოვანის მიერ დადებულ გარიგებაზე, რომელიც მისი სამართლებრივი ნამდვილობისთვის მოითხოვს ნებართვას) კანონიერი წარმომადგენლების მხრიდან ასეთი გარიგების დადებაზე, ან კიდევ, სამეწარმეო ურთიერთობებისათვის ზოგ შემთხვევაში იმპერატიულადაა გათვალისწინებული ასეთი ნებართვის გაცემა და როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, იგი სამეწარმეო იურიდიული პირების ხელმძღვანელებს სჭირდებათ (სს-ში სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება) უძრავი ქონების გასხვისებაზე და სხვა. გამონაკლის ითვალისწინებს კანონმდებლობა სპეციალური ნორმებით.

საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობებისას განსაკუთრებით გამოკვეთილია სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების დამყარებისას და **სახელმწიფოს ასეთი „შემოჭრა“ „პირთა თანასწორობის სამართალში“** უხეშად კი არ ხდება და არც სახელისუფლებო სტრუქტურების უხეში გადამეტებაა უფლებამოსილებისა, პირიქით, იგი ისევე კერძო პირთა ინტერესებს იცავს, რომ არ „წალეკოს“ ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე პირებმა, სხვათა უფლებები. და ასეთი დომინირებული მდგომარეობის მქონე პირებს, „საქმიანობის ამ სფეროში ეკისრებათ ხელშეკრულების დადების ვალდებულება. მას არ შეუძლია კონტრაჰენტს უსაფუძვლოდ შესთავაზოს ხელშეკრულების არათანაბარი პირობები“. სახელმწიფო „უთანასწორო ეკონომიკურ ბრძოლაში“ კერძო პირის ინტერესებს იცავს, ეს მისი ვალდებულებაა, რამეთუ, სადაც სახელმწიფოს ვალდებულება არ არის გამოკვეთილი, ან არ ასრულებს სახელმწიფო თავის ვალდებულებას მისი ქვეშევრდომების (მოქალაქეების წინაშე), იქ ბუნებრივია არც პირების უფლებები მოიაზრება.

კიდევ მეტიც, ხშირ შემთხვევაში ზოგიერთი საქმიანობის წამოწყებისათვის კერძო პირებს სახელმწიფოს ნებართვა სჭირდებათ. „თუ საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვისათვის ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მოწესრიგდეს ცალკე კანონით“ **(მ.319. ნ.1. ბოლო წინადადება).** ასეთს წარმოადგენს მაგალითად, **საქართველოს 2005 წლის კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“,** სადაც გაწერილია კერძო პირთა საქმიანობის ის სფეროები, სადაც საქმიანობის ლეგალიზებისათვის სახელმწიფოს ნებაა საჭირო. მაგ; საწყობის გახსნა კერძო პირებსაც შეუძლიათ, ოღონდ სახელმწიფოს მიერ მიღებული ნებართვის შემდეგ; რეექსპორტიორებს 200 000 ლარის გარანტია სჭირდებათ საწყობის გახსნის ნებართვის მისაღებად; ასევე კერძო პირი უფლებამოსილია სამედიცინო წამლებით რეალიზაციაზე გარკვეულ იურიდიულ პირად ჩამოყალიბების შემდეგ და მას ამ საქმიანობის განხორციელებისათვის სახელმწიფოს მიერ გაცემული ლიცენზია სჭირდება, ისევ კერძო პირთა ეკონომიკური, სოციალური ინტერესებიდან გამომდინარე. **99-ე მუხლის მე-3 ნაწილი** მიუთითებს, რომ „თუ გარიგება, რომლის ნამდვილობაც დამოკიდებულია მესამე პირის თანხმობაზე, დადებულია მისი თანხმობით, მაშინ შესაბამისად გამოიყენება **66-ე მუხლის მე-2 და მე-3 წინადადებები.“** ჩვენ ამ მუხლის შესახებ შესაბამის პარაგრაფში გვქონდა საუბარი, აქ მოკლედ აღნიშნავთ, რომ არასრულწლოვანის მიერ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე დადებული გარიგება ბათილია. ბათილობა არსებობს იმ შემთხვევაშიც, თუ არსებობს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, მაგრამ არასრულწლოვანს ამ თანხმობის წერილობითი საბუთი მეორე მხარისათვის არ წარმოუდგენია, რის გამოც მეორე მხარე უფლებამოსილია ასეთი საბუთის გარეშე გარიგების დადებაზე დაუყოვნებლივ თქვას უარი, მაგრამ იმავე

შუხლის ბოლო წინადადებით კანონი ასეთ უარს არ ღებულობს მეორე მხარისაგან, თუ იგი ამ თანხმობის შესახებ არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენლის მიერ ინფორმირებული იყო.

როგორც ამ პარაგრაფის შესავალშიც აღვნიშნეთ, თანხმობა შეიძლება იყოს როგორც **წინასწარ გაცემული (ნებართვა)** ასევე **შემდგომი თანხმობა (მოწონება). წინასწარ გაცემული თანხმობა (ნებართვა)** თავისი სამართლებრივი ბუნებით ძალიან ჰგავს მინდობილობას. მინდობილობის მეშვეობით აძლევს უფლებამოსილებას ამ თანხმობის გამცემი (წარმოდგენილი პირი) წარმომადგენელს. **103-ე მუხლი** ადასტურებს კიდეც, რომ „გარიგება შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობითაც. წარმომადგენლის უფლებამოსილება ან კანონიდან გამომდინარეობს ანდა წარმოიშობა დავალების (მინდობილობის) საფუძველზე". უფლებამოსილების (რწმუნებულების) მიცემა კი ხდება რწმუნებულის ან იმ მესამე პირის მიმართ ნების გამოვლენით, რომელთანაც უნდა შედგეს წარმომადგენლობა.

კანონით შეიძლება თუ არა გარიგების დადებამდე გაუქმდეს ნების გამომვლენის თანხმობის (ნებართვის) გამცემი პირის მიერ თანხმობა (ნებართვა)? რა თქმა უნდა. აქის სამართლებრივ საფუძველს იძლევა **მე-100 მუხლი,** რომლის თანახმად, „წინასწარ გაცემული თანხმობა (ნებართვა) შეიძლება გარიგების დადებამდე გაუქმდეს, თუკი მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან. თანხმობის (ნებართვის) გაუქმების შესახებ უნდა ეცნობოს ორსავე მხარეს". გამოდის, რომ თანხმობის (ნებართვის) გამცემს ყოველთვის შეუძლია უკან „გაიწვიოს მისი თანხმობა, ანუ გარიგების დადებამდე გააუქმოს იგი. მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულება სააქციო საზოგადოების მიერ სხვა სამეწარმეო იურიდიულ პირთან. მოლაპარაკებებს კი სპეციალური მინდობილობის საფუძველზე ამ საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები აწარმოებენ.

სს-ს სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია გააუქმოს ნებართვა (არ შედგეს ნასყიდობა). მაგრამ აქ მედლის მეორე მხარეა. მედალი ამ შემთხვევაში კანონია. როგორ უნდა გადაწყვიტოს ამ შემთხვევაში კანონმა ეს კონკრეტული შემთხვევა, ჩომ შეიძლება, რომ გარიგების მეორე მხარეს ზიანი მიადგეს. ვალდებულია თუ არა ერთი მხარე მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, ეს საკითხი სასამართლოს გადასაწყვეტია კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე.

ნებართვის გაუქმების შესახებ (ნებართვა როგორც ვიცით ცალმხრივი გარიგებაა) ორსავე მხარეს უნდა ეცნობოს, ე. ი. არა მხოლოდ იმას, ვისაც ეს ნებართვა მიეცა (წარმომადგენელს), არამედ იმ მხარესაც, ვისთანაც ნებართვის მიმღები დებდა გარიგებას.

თუ ნებართვის გარეშეა დადებული თანხმობასავალდებულო გარიგება, იგი მერყევად ბათილია, შესაბამისი პირისაგან მოწონებას ელოდება, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არც სამართლებრივ უფლებებს წარმოშობს და არც მოვალეობებს. მაგრამ, თუ ვინმემ სარგებელი მიიღო ასეთი გარიგებისაგან, იგი ვალდებულია „უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების საფუძველზე“ **(სსკ, მ.976)** უკან დააბრუნოს ყველაფერი ის, რაც ვითომ – კრედიტორმა მიიღო, შემდეგ შემთხვევებში, თუ: **ა.** ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა, ან შეწყდება შემდგომში; **ბ.** ვალდებულების საწინააღმდეგოდ ისეთი შესაგებელი იქნა წარდგენილი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამორიცხულია მოთხოვნის წარდგენა“. ამ პარაგრაფის, ამ კონკრეტული მონაკვეთისათვის მეტი შინაარსის მისაცემად, არ შეიძლება არ შევეხოთ **64-ე და 112-ე მუხლებს,** რომლებიც გამონაკლისებს ითვალისწინებენ იმ წესებიდან, როცა მერყევად ბათილი გარიგებისას მისმა დამდებმა პირებმა კი არ გააუქმონ გარიგება, არამედ დაელოდონ მესამე პირები მათ მო-

ქმედებას მოიწონებენ თუ არა. **64-ე მუხლის** შემთხვევაში არასრულწლოვანის მიერ დადებული ხელშეკრულების მოწონებამდე მეორე მხარეს აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება **(6.1),** ხოლო თუ მეორე მხარემ იცოდა პირის არასრულწლოვნობის შესახებ, მაშინ ეს უარის თქმა შეუძლია იმ შემთხვევაში, როცა მას არასრულწლოვანი ატყუებდა, რომ წარმომადგენლის თანხმობა ჰქონდა მიღებული. ანალოგიურ დანაწესს მოიცავს **სსკ მ.112,** სადაც ნათქვამია, რომ „ხელშეკრულების დასადებად თანხმობის მიცემამდე მეორე მხარეს აქვს უფლება უარი თქვას ხელშეკრულებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ მან ხელშეკრულების დადების დროს იცოდა. ხელშეკრულების დადებაზე უარი შეიძლება გამოითქვა წარმომადგენლის მიმართაც". **101-ე მუხლს** აქვს უკუქცევითი ძალა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ შემდგომ თანხმობას (მოწონებას) აქვს უკუქცევითი ძალა არა გარიგების მოწონების მომენტიდან, არამედ გარიგების დადების მომენტიდან. **რატომ ხდება საჭირო უკვე დადებული გარიგების შემდგომი მოწონება ამ გარიგებისათვის იურიდიული ვარგისიანობის მისანიჭებლად და მაინც ვინ უნდა მოიწონოს ასეთი გარიგებები, ან კიდევ როგორი სახისაა მოწონებასავალდებულო გარიგებები?** დავიწყებთ ბოლოდან, რომ ასეთი გარიგებები ძირითადად მერყევად ბათილი გარიგებებია და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მას წარმომადგენლის სჭირდება. ისევ მოვიყვანთ ამ დებულების დასამტკიცებლად **63-ე მუხლის 1-ლ ნაწილს,** იმის შესახებ, რომ თუ არასრულწლოვანი დებს ორმხრივ გარიგებებს (ხელშეკრულებებს) კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე, მაშინ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, შემდგომში მისი წარმომადგენელი მოიწონებს თუ არა მას, – თუ მოიწონებს – ნამდვილი, ვარგისი იქნება და ყოველგვარ სამართლებრივ შედეგს წარმოშობს გარიგების მხა-

რეებისათვის, სოლო თუ არ მოიწონებს–ბათილია და მას იგივე შედეგი მოჰყვება, რაც საერთოდ ბათილი გარიგებისათვისაა დამახასიათებელი (ზიანის ანაზღაურება, მიყენებული სარგებლის უკან დაბრუნება და სხვა). **მაგალითი**: არასრულწლოვანმა მშობლების შინ არყოფნისას მეგობარს აჩუქა მშობლებისაგან ნაჩუქარი კომპიუტერი. ცხადია, რომ კომპიუტერი ძვირადღირებული ტექნიკაა და მასზე ჩუქების ხელშეკრულების დამოუკიდებლად დადება არასრულწლოვანს არ შეეძლო. აშკარაა რომ გარიგება მერყევად ბათილია – კანონი კანონიერი წარმომადგენლების (მშობლების) თანხმობას ელოდება, მოიწონებენ თუ არა არასრულწლოვანის (შვილის) მიერ დადებულ გარიგებას. თუ მოიწონებენ ნამდვილი იქნება. **რა მომენტიდან? მოწონების მომენტიდან?** ცხადია არა. **სსკ 101-ე მუხლი** ამაზე პასუხს გვცემს, რომ-გარიგების დადების მომენტიდან.

ყოველთვის არ შეიძლება მივმართოთ **101-ე მუხლის დანაწესს,** რათა ნებისმიერი მერყევად ბათილი გარიგება მოწონების შემდეგ ნამდვილად ვაქციოთ. თუ კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ დადებული გარიგება თავისი სამართლებრივი ხასიათით უცილოდ ბათილ (არარა) გარიგებათა რიცხვს მიეკუთვნება **(სსკ მ. 61, ნ. 1),** მაშინ ასეთი გარიგება ბათილად ითვლება მისი დადების მომენტიდან და ვერავითარი მოწონება მას ნამდვილად ვერ აქცევს (მაგ; დადებული გარიგებები მოწონების სამართლებრივი პირობით, მოწონების ცალმხრივი გამორიცხვა და სხვა.).

სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთ სამართლებრივ შემთხვევებს, როდესაც არა მარტო საგნის განკარგვა ხდება უფლებამოსილი პირის მიერ (მაგ; ბინის მესაკუთრე ყიდის ბინას, რომელიც მის სახელზე ირიცხება საჯარო რეესტრში), არამედ ისეთ შემთხვევებსაც. როცა საგნის განკარგვა ხდება არაუფლებამოსილი პირის მიერ. **ვინ არის ეს არაუფლებამოსილი პირი მაინც?: პირი,**

რომელსაც მოცემულ საგანზე არავითარი უფლებამოსილება არ გააჩნია, თუ ამ საგნის მესაკუთრე, რომელსაც სხვადასხვა სამართლებრივი გარიგებებით (ვთქვათ საიპოთეკო ხელშეკრულებით) შეზღუდული აქვს ეს უფლება? 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილი გაგვიმარტავს, რომ საგნის განკარგვა არაუფლებამოსილი პირის მიერ ნამდვილია, თუკი იგი ხორციელდება უფლებამოსილი პირის წინასწარი თანხმობით. აქ შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი შემთხვევები: მაგ; პირმა, რომელმაც სესხის უზრუნველყოფის სანაცვლოდ ბანკში იპოთეკით დატვირთა საკუთარი ბინა, მართალია ის ამ ბინის მესაკუთრედ კვლავ რჩება, რადგანაც ასეთადაა დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში, მაგრამ მას კრედიტორის თანხმობით შეუძლია მხოლოდ ამ ბინის გასხვისება (გაყიდვა, გაჩუქება და სხვა). თუ მან კრედიტორის თანხმობის გარეშე განახორციელა ეს მოქმედება, იგი ამ შემთხვევაში არაუფლებამოსილი პირია და მის მიერ დადებული განკარგვითი გარიგება ბათილად უნდა ჩაითვალოს, ხოლო თუ ბანკის თანხმობით მოხდება სახლის გასხვისება იმ პირობით, რომ იგი გაყიდული ბინის საფასურიდან კრედიტორს ვალდებულებას შეუსრულებს (ვალს დაფარავს), ასეთი გარიგება იქნება ნამდვილი, რადგან იგი უფლებამოსილი პირის (ბანკის) თანხმობით განხორციელდა. ან კიდევ, დამქირავებელმა ქვექირავნობით დაქირავებული ფართის ნაწილი რომ გააქირავოს ქვემოქირავნეზე, მას თავდაპირველად გამქირავებლის (ბინის მესაკუთრე) თანხმობა სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უხეშად დაარღვევს მესაკუთრის კონსტიტუციით აღიარებულ ფუნდამენტურ უფლებას (საკუთრების უფლებას).

არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული განკარგვები თავისი იურიდიული ბუნებით ძალიან წააგავს წარმომადგენლობის ინსტიტუტიდან წარმომადგენლის მიერ განხორციელებულ განკარგვებს. პირველ და მეორე შემთხვევაში საგნის განკარგვა არაუფლებამოსილი პირის

მიერ ხდება და თუ ასეთი გარიგება უფლებამოსილი პირის წინასწარი თანხმობით არ მოხდა,– ბათილია, მაგრამ აქვე შეკნიშნავთ, რომ წარმომადგენლობის ინსტიტუტი უფრო ფართოა, ვიდრე განკარგვები.

განკარგვა ხდება ნამდვილი, თუ უფლებამოსილი პირი მას მოიწონებს (სსკ მ.102, მ. 2). ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ადგილი აქვს შემდგომი მოწონების შემთხვევაში განკარგვის ნამდვილობას. მაგალითად, **ა.** საზღვარგარეთ გაემგზავრა და თავისი ბინა დაუტოვა ნათესავს, **ბ-ს,** დროდადრო მისახედად. **ბ-მ** გადაწყვიტა, რომ **ა-ს** ბინა გაეჭირავებინა და თანხა მისთვის შეენახა. **ა.** როცა დაბრუნდა, მან მოიწონა **ბ-ს** (არაუფლებამოსილი პირი) მიერ დადებული გარიგება (ბინის გაქირავების ფაქტი) და ბუნებრივია გარიგებამ სამართლებრივი ძალა შეიძინა. აქვე შევნიშნავთ, რომ კანონი ასეთი განკარგვების სამართლებრივი მოწესრიგების მხოლოდ მოწონებით როდი შემოიფარგლება.

გერმანულ სამოქალაქო კოდექსში „თანხმობასა და მოწონება“-ს მიძღვნილი აქვს **§182-185** (თანხმობა, თანხმობაზე უარი, მოწონების უკუქცევითი ძალა, არაუფლებამოსილი პირის განკარგვა. როგორც ვხედავთ ქართული ანალოგიური მუხლები BGB-დანაა აღებულია.

კითხვები

1. როგორ შეიძლება განხორციელდეს თანხმობა?

2. რა ჰქვია წინასწარ გაცემულ თანხმობას? შემდგომ მოწონებას?

3. გარიგების ნამდვილობაზე მხოლოდ კერძო-სამართლებრივი ხასიათის თანხმობები ახდენს გავლენას?

4. თანხმობა როგორი გარიგებაა?

5. ვინ არიან არაუფლებამოსილი და უფლებამოსილი პირები საგნის განკარგვისას?

ტესტები

1. თანხმობას:

ა. სჭირდება გარიგებისათვის დადგენილი ფორმის დაცვა.

ბ. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში სჭირდება კანონით დადგენილი ფორმის დაცვა.

გ. სჭირდება სახელმწიფოს ნებართვა.

დ. თანხმობას არ სჭირდება გარიგებისათვის დადგენილი ფორმის დაცვა.

2. შემდგომ თანხმობას:

ა. არა აქვს უკუქცევითი ძალა.

ბ. უკუქცევითი ძალა აქვს მხოლოდ თუ მხარეები ამის შესახებ შეთანხმდებიან.

გ. უკუქცევითი ძალა აქვს დისპოზიციური ნორმებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

დ. უკუქცევითი ძალა აქვს გარიგების დადების მომენტიდან, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი.

ა. საზღვარგარეთ წავიდა და თავისი ბინის გასაღები დაუტოვა მეზობელს, ბ-ს, რათა დროდადრო დაეხედა ბინისათვის. ბ-მ ა-ს გამგზავრების შემდეგ გააქირავა ა-ს ბინა, ისე, რომ მას ამაზე ა-ს თანხმობა არ მიუღია. აღებული ქირით კი საქმე წამოიწყო და დიდი მოგებაც ნახა. საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ ა-ს მხოლოდ ქირის თანხა გადასცა. ა-მ მოითხოვა მიღებული სარგებლის მისთვის გადაცემა, რადგან ბ-მ სარგებელი ა-ს ბინის გაქირავებით მიიღო. ამაზე ბ-მ უარი განაცხადა.

როგორ გადაწყდება მათ შორის დავა?

§ 7. წარმომადგენლობა გარიგებებში

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როცა სამოქალაქო ბრუნვა არნახულ მასშტაბებს აღწევს, პირები ერთმანეთს შორის ყველანაირ გარიგებას დებენ, რომლებიც კანონს არ ეწინააღმდეგება. ხშირ შემთხვევებში გარიგების მონაწილეები თვითონ განსაზღვრავენ გარიგების პირობებს და თვითონვე დებენ ამ გარიგებებს. მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო კანონით დაშვებულია სხვადასხვა სახის გარიგებების დადებისას წარმომადგენლების გამოყენება, რომელთა მიერ დადებული გარიგებების შედეგები წარმოდგენილი პირების ინტერესების რეალიზებას ემსახურება. **103-ე მუხლის 1-ლი ნაწილის** თანახმად, „გარიგება შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობითაც. წარმომადგენლის უფლებამოსილება ან კანონიდან გამომდინარეობს, ანდა წარმოიშობა დავალების (მინდობილობის) საფუძველზე".

რომის ცივილური სამართალი წარმომადგენლობის ინსტიტუტს არ იცნობდა. სხვა პირისათვის გარიგების საფუძველზე თავისი უფლებამოსილების განხორციელების გადანდობა სხვა პირისათვის უცხო იყო. რაც შეეხება გერმანულ სამართალს, „წარმომადგენლობისას უფლებამოსილებებს" მიძღვნილი აქვს **§164-181**[353]. სამოქალაქო სამართლის თეორიაში დღეს გაბატონებულია აზრი იმის შესახებ, რომ გარიგების შემადგენლობა ხორციელდება წარმომადგენლის პიროვნებაში, ხოლო შედეგები – წარმოდგენილი პირის მიმართ.

წარმომადგენელი არა საკუთარი სახელით და სა-

353. იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB) 2010 წლის 1 მარტის მდგ; ზ. ჭეჭელაშვილის თარგმ; Гражданское уложение Германии, 2-е издание, Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands, 2. Auflage. Wolters Kluwer; Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 74-190.

კუთარი ინტერესებისათვის დებს გარიგებას, არამედ სხვისი სახელით და სამართლებრივი შედეგებიც ამ პირის (წარმოდგენილი პირისათვის) დგება. წარმომადგენლობით გარიგებებში ჩვეულებრივ მონაწილეობენ: **წარმოდგენილი (მარწმუნებელი), წარმომადგენელი (რწმუნებული) და გარიგების მესამე მხარე,** რომელთანაც დებს გარიგებას წარმომადგენელი წარმოდგენილი პირის სახელით. თავდაპირველად დგება შეთანხმება (გარიგება) წარმოდგენილსა და წარმომადგენელს შორის **(შინაგანი ურთიერთობა),** რომლითაც ფაქტობრივად განისაზღვრება წარმომადგენლის უფლებამოსილება გარიგების მეორე მხარესთან გარიგების დასადებად, ხოლო ამის შემდეგ მყარდება გარეგანი ურთიერთობა წარმომადგენელსა და მესამე პირს შორის. შინაგანი ურთიერთობა განაპირობებს გარეგან ურთიერთობას.

გარიგებითი წარმომადგენლობა პირთა სუბიექტური ნების გამოვლენით განისაზღვრება და რეგულირდება დისპოზიციური ნორმებით. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ თავიანთ უფლებამოსილებებს გარიგებითი წარმომადგენლობისას. მაგალითად, **ა. ბ-ს** ავალებს ბინის დაქირავებას, ნივთის ყიდვას, ლიზინგის ხელშეკრულების დადებით თვითმფრინავის საფინანსო იჯარით, ლიზინგით აღებას გარკვეული ვადით და სხვა.

რაც შეეხება **კანონისმიერ წარმომადგენლობას,** იგი კანონის ობიექტური ნებით განისაზღვრება და გამოიყენება კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში. კანონისმიერი წარმომადგენლობის მაგალითები ჩვენ წინა პარაგრაფებში განვიხილეთ. ეს იყო ქმედუუნარო პირების, შეზღუდულქმედუნარიანი პირების შემთხვევებში, როცა პირველ შემთხვევაში ქმედუუნარო პირები საერთოდ მოკლებულნი არიან გარიგების დადების თავისუფალი ნების გამოვლენას და ამას მათი კანონიერი წარმომადგენლები (მეურვეები) ახორციელებენ, ხოლო მეორე შემთხ-

ფეეა'ში (შეზღ'უდული ქმედუნარიანი პირების შემთხვეევა'ში) ზარიგებებს მათი კანონიერი წარმომადგენლები დებენ, თ'უმცა მათ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობითაც შე'უძლიათ დადონ გარიგება. თუმცა აქვე შევნიშნავთ, რომ 'წარმოდგენილი პირი თავის'უფალია წარმომადგენლის არ-ჩევაში (გარდა ქმედ'უნარო პირებისა). მას შე'უძლია შეზ-ღუდულქმედუნარიანი პირიც აიყვანოს წარმომადგენლად მესამე პირებთან გარიგების დადებისას, თუმცა ამ გარიგე-ბის შედეგების რისკის მთლიანად მატარებელი თვითო-ნაა (მან ხომ იცოდა წარმომადგენელი პირის შეზღუდულ-ქმედუნარიანობის შესახებ), რასაც ვერ ვიტყვით საჯარო სამართლის სუბიექტებზე. საჯარო სამართალი კრძალავს შეზღუდულქმედუნარიანი პირების წარმომადგენლობას საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ მესამე პირებთან გარიგებების დადებისას. ეს ხომ ბუნებრივია. სახელმწიფო თავის საჯარო ინტერესს სასწორზე ვერ შეაგდებს. აქ, წარმომადგენელი ყველა შემთხვევაში სრულ-წლოვანი, ქმედუნარიანი პირი უნდა იყოს.

რა წარმოადგენს გარიგებითი წარმომადგენლობის საფუძველს? გარიგებითი წარმომადგენლობის საფუძველს **მინდობილობა** წარმოადგენს, რომელიც შეიძლება გარეგ-ნულად გამოიხატოს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმის სახით. უმეტესწილად, გარიგებითი წარმომადგენ-ლობისას მინდობილობა წერილობითი ფორმისაა, რომელიც ნდობის ამ ინსტიტუტს მეტ სამართლებრივ ძალას მატებს. მინდობილობით იდება მაგალითად; დავალების, შრომის ხელშეკრულებების, ასევე სამეწარმეო საზოგადოებების ხელშეკრულებები სხვა პირებთან.

გერმანული სამოქალაქო კოდექსი § 167-170[354]-ში, §172-

354. იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB) 2010 წლის 1 მარტის მდგ; ზ. ჰეჭელაშვილის თარგმ; Гражданское уложение Германии, 2-е издание, Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands, 2. Auflage. Wolters Kluwer; Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 176-180.

173[355]–ში, § 175-176[356]-ს მხარეებს მიანიშნებს მინდობილობის გამოყენების მნიშვნელობაზე წარმომადგენლობისას. § 170-ის თანახმად, „თუ მინდობილობა გაიცემა მესამე პირის მიმართ გაკეთებული განცხადებით, მაშინ იგი ინარჩუნებს ძალას მის მიმართ მანამდე, სანამ შეწყვეტის შესახებ მას არ შეატყობინებს მარწმუნებელი“; § 176-ს თანახმად, კი: (1) მარწმუნებელ შეუძლია მინდობილობის დოკუმენტი საჯარო გამოქვეყნებით ძალადაკარგულად გამოაცხადოს; ძალადაკარგულად გამოცხადება უნდა გამოქვეყნდეს სასამართლო უწყების საჯარო გამოქვეყნების მომწესრიგებელი სამოქალაქო საპროცესო კოდექსისეული ნორმებით. ძალადაკარგულად გამოცხადება ძალაშია ოფიციალურ გაზეთებში მისი ბოლო გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადის გასვლისთანავე. (2) ის რაიონული სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე მარწმუნებელს აქვს თავისი საერთო განსჯადობა და რაიონული სასამართლო, რომელიც განსჯადი იქნებოდა მინდობილობის დოკუმენტის დაბრუნებაზე სარჩელის მიმართ, –თანაბრად განსჯადია გამოქვეყნებაზე თანხმობის მიცემაზე სადავო საგნის ღირებულების მიუხედავად. (3) ძალადაკარგულად გამოცხადება სამართლებრივი ძალის არმქონეა. თუ მარწმუნებელს არ შეუძლია მინდობილობის გაუქმება“. მსგავს დანაწესს ქართული სამართალი არ იცნობს.

---

355. იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB) 2010 წლის 1 მარტის მდგ; ზ. ჭეჭელაშვილის თარგმ; Гражданское уложение Германии, 2-е издание, Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands, 2. Auflage. Wolters Kluwer; Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 180-183

356. იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB) 2010 წლის 1 მარტის მდგ; ზ. ჭეჭელაშვილის თარგმ; Гражданское уложение Германии, 2-е издание, Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands, 2. Auflage. Wolters Kluwer; Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 184.

წარმომადგენლობის ინსტიტუტს საფუძვლად წარმომადგენლობითი უფლებამოსილება უდევს – წარმოადგინონ კონკრეტული პირის (პირების) უფლებები სხვა მესამე პირებთან დადებული გარიგებებისას.

ერთმანეთისაგან განსხვავდება **პირდაპირი** და **არაპირდაპირი** წარმომადგენლობა. **პირდაპირი წარმომადგენლობის** დროს გარიგება წარმომადგენლის უშუალო მონაწილეობით იდება, მაგრამ ამ გარიგებით მიღებული შედეგი უშუალოდ წარმოდგენილი პირის მიმართ დგება. **კანონით „მეწარმეთა შესახებ", მე-10 მუხლის** მიხედვით პროკურისტი არა მარტო წარმოდგენილი პირისათვის მოქმედებს, არამედ ამ უკანასკნელის სახელითაც. **არაპირდაპირი წარმომადგენლობისას,** წარმომადგენელი საკუთარი სახელით მოქმედებს: ჯერ სამართლებრივი შედეგი მის მიმართ დგება, შემდეგ კი – წარმოდგენილი პირის მიმართ. **სსკ 103-ე მუხლის** დანაწესი პირდაპირი წარმომადგენლობის მაგალითია. აღნიშნული მუხლით წარმომადგენლად ვერ ჩავთვლით მეწარმეთა კანონით განსაზღვრულ სავაჭრო წარმომადგენელს, მოვაჭრეს, კომისიონერს, რადგან მათი საქმიანობა უფრო საშუამავლო ხასიათისაა, არც მრჩეველები, მდივნები, სამდივნოს პერსონალია წარმომადგენლები, მათი მოვალეობა მხოლოდ ნების გამოვლენის გადაცემაა ადრესატისათვის.

ჩვენ აქამდე ფიზიკური პირების წარმომადგენლობით უფლებამოსილებებზე ვსაუბრობდით. ისმის კითხვა: **კანონი ანიჭებს თუ არა იურიდიულ პირებს უფლებამოსილებას ჰყავდეთ წარმომადგენელი გარიგების დადებისას?** კითხვას დადებითად უნდა ვუპასუხოთ. იურიდიული პირი ხომ ფიზიკური პირი არ არის თვითონ გამოხატოს თავისი ნება. იურიდიული პირები თავიანთი წარმომადგენლის მეშვეობით ახორციელებენ ყოველგვარ მოქმედებას, ამიტომაცაა, რომ იურიდიული პირის წარმომადგენლობის ინსტიტუტს კანონი სპეციალურად აწესრიგებს „მეწარმე-

თა შესახებ" კანონში, ან კიდევ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან დაკავშირებულ ნორმებში. მაგალითად, მეწარმეთა კანონით, „პროკურისტი, იურისკონსულტი, მენეჯერი, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირები, რომლებიც მესამე პირებთან ურთიერთობისას ამ იურიდიული პირის ინტერესს წარმოადგენენ.

„საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში" **(საქართველოს კონსტიტუცია, მ. 69. ნ.3).** პრეზიდენტს საქართველოს უზენაესი კანონი ანიჭებს ამ მაღალ უფლებამოსილებას და ამისათვის რაიმე საგანგებო მინდობილობა არ სჭირდება.

წარმომადგენლობის ინსტიტუტი დამახასიათებელია აგრეთვე **არაიურიდიული პირებისთვისაც.** ისინიც ხომ მონაწილეობენ სხვადასხვა სამართლებრივ ურთიერთობებში და ბუნებრივია წარმომადგენელიც სჭირდებათ. მაგალითად, ამხანაგობის შემთხვევაში, რომელიც იურიდიული პირი არ არის, მათი ორგანოები განსხვავდება იურიდიული პირის ორგანოებისაგან, არც წარმომადგენლობის სრული შესაბამისი არიან. ამიტომ თითქოს შუალედური მდგომარეობა უკავიათ წარმომადგენლობასა და იურიდიული პირის ორგანოებს შორის.

საინტერესოა **საკუთრების მინდობის ინსტიტუტი (სსკ 724-729[357]),** რომლის თანახმად, მინდობის ხელშეკრულებით მინდობილი მესაკუთრე, რომელიც მოვალეა მართოს მინდობილი საკუთრება თავისი სახელით, მაგრამ საკუთრების მიმნდობის რისკითა და ხარჯით, სხვა პირებთან ურთიერთობაში სარგებლობს მესაკუთრის უფლებამოსილებით– მესამე პირებთან ურთიერთობაში პასუხს აგებს მინდობილი მესაკუთრე" **(სსკ 725, მ.728).** ამ შემთხვევაში (საკუთრების მინდობისას), ცხადია სახეზე არ არის წარმომადგენლობის კლასიკური მაგალითი, მაგრამ მაინც მინდობილი

357. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, თბილისი, 2001, გვ. 416-421.

შესაკუთრე მიმნდობის ინტერესებისათვის მოქმედებს მესამე პირებთან ურთიერთობაში და აქ ადგილი სწორედაც, რომ არაპირდაპირ წარმომადგენლობას აქვს.

გარიგების დადება წარმოდგენილი პირის სახელით ყოველთვის როდი შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობით. კანონის ობიექტური, ნორმატიული მოთხოვნაა, რომ იგი უშუალოდ უნდა დადოს პირმა. ეს ხდება მაშინ, როცა გარიგების ხასიათიდან გამომდინარე, ან კიდევ კანონით იკრძალება გარიგების დადება წარმომადგენლის მეშვეობით. ამის ნათელ მაგალითებს იცნობს სამოქალაქო სამართალი: **მ.1107 (დაქორწინება), მ.1243 (წარმომადგენლის მეშვეობით შვილად აყვანის დაუშვებლობა), მ.1346 (ანდერძის შედგენა პირადად[358], მ. 1347 (ერთობლივი ანდერძის შედგენა პირადად მხოლოდ მეუღლეების მიერ), მ. 1352 (მესამე პირის მონაწილეობის დაუშვებლობა წილის განსაზღვრისას), მ.1398 (ანდერძის შეცვლა), მ. 1449-ის შემთხვევაში** სამკვიდროზე უარის თქმა წარმომადგენლის მეშვეობით დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დავალებაში (მინდობილობაში) უფლებამოსილებაზე უარის თქმის შესახებ სპეციალურად არის გათვალისწინებული).

გარიგებებში წარმომადგენლობის თავისებურებები იმაში გამოიხატება, რომ გარიგებით მიღებული ყოველგვარი შედეგის მიმღები მხოლოდ და მხოლოდ წარმოდგენილი პირია, წარმომადგენელი ხომ წარმოდგენილი პირის მიერ გაცემული უფლებამოსილების (მინდობილობის) ფარგლებში მოქმედებს და მის ინტერესებს გამოხატავს. ამ ურთიერთობის აქტიური და პასიური სუბიექტები წარმოდგენილი და წარმომადგენელია. ამ ინსტიტუტის თავ-

358. კანონი ამ შემთხვევაში გამონაკლისებს სსკ მ.1360-1361-ის შემთხვევაში უშვებს, როცა პირს ანდერძზე ხელის მოწერა არ შეუძლია, რაიმე მიზეზით (ვთქვათ წერა-კითხვის უცოდინარია, ყრუ-მუნჯია), მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მის მაგივრად მისი ნება სხვამ გამოხატოს, აქ მხოლოდ ხელმოწერის გადანდობაზეა საუბარი.

ისებურებაა ის, რომ მასში ასევე ჩართულია მესამე პირი (პირები) ვისთანაც წარმოდგენილი პირის სახელით დებს გარიგებას წარმომადგენელი. გამოდის, რომ სამი პირის შეთანხმებული ნებაა გამოხატული წარმომადგენლობის განხორციელებისას. წარმოდგენილ პირს არა მარტო უფლებები, არამედ მოვალეობებიც წარმოეშობა გარიგების დადებისას წარმომადგენლობის მეშვეობით (პირველი უმეტესად გარიგებების დადებისას, ხოლო მოვალეობები, ცხადია ორმხრივი (მრავალმხრივი) გარიგებების დადებისას).

წარმომადგენელი წარმოდგენილი პირის ნების უშუალო გამომხატველია. მას არ შეუძლია გადაუხეიოს ამ ნებას, რამეთუ წარმომადგენლობითი უფლების გარეშე სხვისი სახელით დადებული გარიგება არ წარმოშობს წარმოდგენილი პირისათვის არავითარ უფლება-მოვალეობებს. მაგრამ, „თუკი წარმოდგენილმა პირმა ისეთი გარემოებები შექმნა, რომ გარიგების მეორე მხარეს კეთილსინდისიერად ეგონა ასეთი უფლებამოსილების არსებობა, ამ შემთხვევაში მეორე მხარეს არ შეუძლია გარიგების ბათილობის მოთხოვნა.

ბუნებრივია, რომ წარმომადგენელი წარმოდგენილი პირის სახელით დებს გარიგებებს და დამდგარი შედეგის ყველა სამართლებრივი სიკეთით სარგებლობს წარმოდგენილი პირი. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს წარმომადგენლისაგან იმის დასაბუთებას და მტკიცებას, რომ იგი კონკრეტულ პირზე მითითებით გამოკვეთავს, რომ ამ კონკრეტული პირისათვის იდება გარიგება. მას წარმომადგენლობითი გარიგებისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მაგალითი: **ა. ბ-სთვის** ყიდულობა რაიმე ნივთს. იგი სულაც არაა ვალდებული, რომ **გ-ს,** გამყიდველს აცნობოს წარმოდგენილი პირის ვინაობის შესახებ და ეს გარიგების დადების უცილობელ პირობად მიიჩნიონ.

შინამოსამსახურეები, ოჯახის მძღოლი და სხვა ხომ ევენტუალურად, დუმილით გამოხატავენ მესამე პირებისა-

გან წარმოდგენილი პირისათვის გამოვლენილ ნებას (ეთქვათ იღებენ მესამე პირისაგან გზავნილს წარმოდგენილი პირისათვის გადასაცემად). ანალოგიური წესები მოქმედებს მაშინაც, როცა პირისათვის სულერთია ვისთან დადებს გარიგებას. აქ უკვე არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს თუ რამდენად შესამჩნევი იქნება წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, გარიგების შედეგს ხომ მაინც წარმოდგენილი პირი ღებულობს. **სსკ 104–ე** მუხლის ნათელსაყოფად ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება: ბენზინგასამართ სადგურში არასრულწლოვანი ყიდის ბენზინს. ამ შემთხვევაში შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს არა აქვს უფლება ბენზინის გაყიდვაზე, მაგრამ გარიგება ისეთ პირობებში იდება, რომ აქ ალბათობა დიდია იმისა, მას ამის უფლება ჰქონდა. ცხადია კანონი იცავს **(სსკ. მ.104, ნ.2)** მესამე პირის ინტერესებს და კეთილსინდისიერებას გარიგების ნამდვილობის წინაპირობად მიიჩნევს უთუოდ.

სსკ 105–ე მუხლის თანახმად, „წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგება ნამდვილია მაშინაც, როცა წარმომადგენელი შეზღუდულად ქმედუნარიანი იყო“. შეზღუდულად ქმედუნარიანია არასრულწლოვანი 7-დან 18 წლამდე და ასევე შეზღუდულქმედუნარიანად ითვლებიან სრულწლოვანი პირები, რომლებსაც სასამართლომ დაუწესა მზრუნველობა, იმის გამო, რომ ისინი იყენებენ ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებენ **(სსკ მ.16, ნ.1)**. ასეთ პირებს როგორც ავღნიშნეთ სასამართლო უნიშნავს მზრუნველს და კანონიერი წარმომადგენლის (მზრუნველის) თანხმობის გარეშე ქონების, ხელფასის, პენსიის ან სხვა სახის შემოსავლის განკარგვა არ შეუძლიათ. ანალოგიურ თანხმობას ითვალისწინებს კანონიერი წარმომადგენლისა არასრულწლოვანის მიერ დადებული გარიგებების ნამდვილობისათვის **სსკ 63–ე მუხლის 1–ლი ნაწილიც**, რომლის თანახმად, კანონმდებელი ბათილად თვლის

ცალმხრივ გარიგებას, რომელსაც არასრულწლოვანი დებს კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე და სხვა. გარკვეული გამონაკლისები დადგენილია კანონით, როცა არასრულწლოვანი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას არ მოითხოვს გარიგების დადებისას. მაგალითად, **სსკ 15-ე მუხლის ბოლო წინადადება** „როცა გარიგებით შესრულებული ქმედუნარიანობის მქონე პირი სარგებელს იღებს, **სსკ 65-ე მუხლში „არასრულწლოვანის ემანსიპაცია“**-სას საუბარია, მშობლების თანხმობით იმ საშუალებების განკარგვაზე, რომლებიც არასრულწლოვანს გადასცეს მშობლებმა და კანონიერი წარმომადგენლების თანხმობით მესამე პირებმა თავისუფალი განკარგვის მიზნით, იგივე მუხლის **მე–2 ნაწილით**, როცა საწარმოს მართვის უფლებას მიანიჭებებენ კანონიერი წარმომადგენლები თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვანს და იგი ამ სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება, ასევე **სსკ მ. 1108, მე-2 ნაწილით,** თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეული პირები ემანსიპირების (დაქორწინების) შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლების თანხმობით ან სასამართლოს ნებართვით სრული ქმედუნარიანები ხდებიან. მაგრამ **სსკ 105-ე მუხლი** ზემოთ აღნიშნული მუხლებისაგან გამონაკლის ითვალისწინებს, სხვანაირად რეგულირდება. ამ მუხლში საუბარია იმაზე, რომ შეზღუდულქმედუნარიანი პირი როცა სხვისი სახელით და სხვისთვისვე შეიძენს რაიმე საგანს, ამ შემთხვევაში გარიგება ნამდვილი იქნება და კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა არ სჭირდება. იგი ხომ სხვისი ინტერესებისათვის მოქმედებს და ამდენად ამ შემთხვევაში მისი ნების გამოვლენა თავისუფალია, მაგრამ ზემოთ განხილული მუხლების შემთხვევაში, როცა სარგებელს თავისთვის იღებს, აქ უკვე მის მიერ დადებული გარიგება მერყეევად ბათილია, რადგანაც კანონი მოითხოვს, რომ მან მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით დადოს

გარიგება (გარდა ცალმხრივი წესით სარგებლის მიღებისა, რადგან ასეთმა გარიგებებმა არასრულწლოვანს არასასურველი შედეგი არ მოუტანოს). **სსკ 105-ე** მუხლის შემთხვევაში შეზღუდულქმედუნარიანი პირი (ამ შემთხვევაში ჩვენ ვარა მარტო არასრულწლოვანი უნდა ვიგულისხმოთ, ასევე სრულწლოვანი პირებიც, მაგრამ რომლებსაც ალკოჰოლიკობისა და ნარკომანობის გამო შეზღუდული აქვთ ქმედუნარიანობა), უფლებამოსილნი არიან წარმომადგენლობით უფლებამოსილებაში, კერძოდ, „წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგება ნამდვილია მაშინაც, როცა წარმომადგენელი შეზღუდულად ქმედუნარიანი იყო". კანონისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს გარიგება სარგებლიანი იყო თუ უსარგებლო წარმოდგენილი პირისათვის, ჩვენ ხომ კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებზე ვსაუბრობთ, სადაც სრულწლოვან პირს ნების თავისუფალი გამოვლენისათვის არ სჭირდება ნებართვა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ზოგიერთი შემთხვევისა. წარმომადგენელმა ხომ თვითონ გააკეთა არჩევანი (გარისკა) და ბუნებრივია ამ რისკის მთელი სიმძიმის მატარებელიც თვითონაა.

პრაქტიკა იცნობს აგრეთვე ისეთ მაგალითებსაც, როცა წარმოდგენილი და წარმომადგენელიც არასრულწლოვანია. **სამართლებრივად ვარგისი იქნება წარმომადგენლობითი უფლებამოსილება?** პასუხი ცალსახაა: მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილ არასრულწლოვანს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა ჰქონდა გარიგების დადებაზე. ჩვენ თემის შესავალშივე აღვნიშნეთ, რომ საჯარო სამართალი კატეგორიულად უარყოფს ისევ საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე შეზღუდულქმედუნარიანი პირების წარმომადგენლობას როგორც არასრულწლოვანებისა, ისე სრულწლოვანების შემთხვევაშიც, რომლებსაც შეზღუდული აქვთ ქმედუნარიანობა ალკოჰოლიკობის ან ნარკომანობის გამო. როგორც ცნობილია საჯარო მოხელეებს პერიოდულად უტარდებათ სამედიცინო შემოწმე-

ბები მსგავსი ფაქტების გამოსავლენად და აღნიშნულის გამოვლენისას ისინი საჯარო სამსახურიდან თავისუფლდებიან.

შეზღუდულქმედუნარიანებს ეკრძალებათ კანონიერი წარმომადგენლობა კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. მაგალითად, **სსკ მ.1283,** რომლის თანახმად, „მეურვედ არ მზრუნველად არ შეიძლება დაინიშნოს: **ა.** პირი, რომელსაც არ მიუღწევია თვრამეტი წლის ასაკისათვის; **ბ.** პირი, რომელიც სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ იქნა ცნობილი“.

„ნების გამოვლენის ნაკლის გამო გარიგების საცილოობისას გადამწყვეტია წარმომადგენლის ნება“. ნორმის განმარტებიდან იკვეთება, რომ სხვისი სახელით დადებული გარიგებებისას წარმომადგენელი საკუთარ ნებას გამოხატავს და არა წარმოდგენილი პირის ნებას, იგი ხომ ხელშეკრულების უშუალოდ დამდები პირია მესამე პირთან და არა წარმოდგენილი. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ წარმოდგენილი პირის ნება საერთოდ დიდ როლს არ თამაშობდეს, რამეთუ წარმომადგენლის გამოვლენილი ნება მესამე პირებთან ხომ წარმოდგენილი პირის ნების შემცველია. ასეთი ტიპის გარიგებების დადებისას, გარიგებების შინაარსის გარკვევაში წარმომადგენლის ნებაა მთავარი და გარიგების საცილოობისას წარმომადგენლის ნებაა გადამწყვეტი და არა იმ პირისა, რომლის სახელითაც წარმომადგენელი მოქმედებს.

მაინც როდისაა წარმომადგენლის ნება ნაკლის მქონე საცილოობის საფუძველი? როდესაც წარმომადგენელი გარიგებას შეცდომით, მოტყუებით, იძულებით და კანონის შესაბამისად სხვა, ბათილობის საფუძლით დებს. თუ კონტრაჰენტის ნების ნაკლს წარმომადგენელი იწვევს, **396-ე მუხლის („მოვალის პასუხისმგებლობა მისი წარმომადგენლის მოქმედებისათვის“)** დანაწესი გამოიყენება. კერძოდ, „მოვალემ თავისი კანონიერი წარმომადგენლის და იმ პირ-

თა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარ უფლებამოსილებათა შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს".

სსკ 106-ე მუხლის მეორე ნაწილი ისეთ სამართლებრივ შემთხვევებს არეგულირებს, როცა ნების გამოვლენის ნაკლი ისეთ გარიგებებს შეეხება, რომლებიც წარმოდგენილი პირის მიერ წინასწარ იყო განსაზღვრული და აღნიშნული ნაკლი წარმოდგენილი პირისაგან მომდინარეობს. ე.ი. აქ ისეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა ნების გამოვლენის ნაკლი გარიგების დადებამდეა ცნობილი წარმოდგენილი პირის მიერ და იგი დუმს ამის შესახებ, რის შესახებაც არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა წარმომადგენელს. მაგალითად, წარმოდგენილი პირი ავალებს წარმომადგენელს, რომ იყიდოს მისთვის ნივთი, იცის რა წინასწარ, რომ ამ ნივთს ნაკლი აქვს. მას შემდეგ, რაც წარმომადგენელი იყიდის ასეთ ნივთს წარმოდგენილი პირისათვის, ეს უკანასკნელი გადაწყვეტს, რომ საცილო გახადოს ეს გარიგება. მაგრამ სწორედ **სსკ 106-ე მუხლის მე-2 ნაწილი** მას ამის სამართლებრივ ძალას არ აძლევს, რამეთუ წარმომადგენლის ნაკლი სწორედაც რომ წარმოდგენილი პირისაგან მოდის და მთელი სამართლებრივი ტვირთის მატარებელიც თვითონაა. ან კიდევ, როცა მესამე პირი ითხოვს გარიგების ბათილობას. თუ ეს ნაკლი ისევ წარმოდგენილი პირისაგან მომდინარეობს და ამის შესახებ წარმომადგენელმა არ იცოდა (არც შეეძლო სცოდნოდა), გარიგების ბათილობის ადრესატიც სწორედ წარმოდგენილი პირი იქნება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი პირი წარმომადგენელს აძლევს დავალებას, რომ ნაკლის მქონე ნივთი გაყიდოს, გააქირაოს, იჯარით გასცეს და სხვა და ამის შესახებ წარმომადგენლისათვის ცნობილია, – გარიგება გაბათილდება და შეიძლება დადგეს ზიანის ანაზღაურების საკითხიც. წარმომადგენლისათვის კი ვე-

რაფერი გამართლება იქნებოდა იმის მტკიცება, რომ მან გარიგების ნაკლის შესახებ არაფერი იცოდა (არ შეეძლო სცოდნოდა). ამ კონკრეტულ შემთხვევაში თვით უფლებამოსილება (მინდობილობა) დეფექტიანია და ნორმის შეფარდებისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს უფლებამოსილების მიმცემის (წარმოდგენილი პირის) ნების გამოვლენის ხასიათი. თუ წარმომადგენელი გადაუხვევს თავის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას მარწმუნებლის (წარმოდგენილის) მითითებებს თვითნებური მოქმედებით, შეიძლება გამოვიყენოთ კანონის ანალოგიით **სსკ 712-ე მუხლი („მარწმუნებლის მითითებიდან გადახვევა“).** ჩვენ ამ საკითხზე დაწერილებით ქვემოთ ვისაუბრებთ.

წარმომადგენელი წარმოდგენილი პირის მიერ გაცემული ნებაროვის (მინდობილობის) შესაბამისად მოქმედებს, ე. ი. წარმოდგენილი პირი უფლებამოსილებას (იგივე რწმუნებულებას) გასცემს პირზე, რომელიც ამ უკანასკნელს აღჭურავს წარმომადგენლობითი ძალაუფლებით. „უფლებამოსილების (რწმუნებულების) მიცემა ხდება რწმუნებულის ან იმ მესამე პირის მიმართ ნების გამოვლენით, რომელთანაც უნდა შედგეს წარმომადგენლობა“. უფლებამოსილება ცალმხრივი ნების გამოვლენაა და არა ხელშეკრულება, რომელშიც გამოხატულია უფლებამოსილების გამცემი პირის ნება და კონკრეტულად „მოხაზულია“ ის საქმიანობა, რომლის განხორციელებაც უფლებამოსილების მიმღებმა პირმა (წარმომადგენელმა) მიიღო. **კონკრეტულად ვისზე შეიძლება გაიცეს უფლებამოსილება?** კანონი ამ პირთა წრეს მკვეთრად არ შემოხაზავს, მხოლოდ მინიშნებაა სხვადასხვა მუხლებში იმის შესახებ, რომ წარმომადგენელი არ შეიძლება იყოს ქმედუუნარო პირი და ეს ბუნებრივიცაა, მათ ხომ კანონით ეკრძალებათ ყოველგვარი გარიგების დადება სწორედ ამ ქმედუუნარობის გამო. კანონი არ ზღუდავს გარიგების დამდებ მხარეს თავის წარმომადგენლად

იყოლიოს შეზღუდულქმედუნარიანი პირი. ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ კერძო სამართლებრივი გარიგებების დადებისას პირები თვითონ გამოხატავენ ნებას თავისუფლად, ვერ შევზღუდავთ მათ, რომ შეზღუდულქმედუნარიანი პირები არ იყოლიონ წარმომადგენლებად, ოღონდ კანონი გარიგების შედეგების შესაძლო რისკებზე პასუხს არ აგებს. პასუხისმგებლობას თვით მათ, წარმომდგენ პირებს აკისრებს, რასაც ვერ ვიტყოდით, როგორც აღვნიშნეთ, საჯარო - სამართლებრივ გარიგებაზე, სადაც კანონი მკაცრად კრძალავს შეზღუდულქმედუნარიანი პირების საჯარო სამართლის პირების (საჯარო დაწესებულების) წარმომადგენლებად ყოფნას და ეს გასაგებიცაა. ამ გარიგებების განსაკუთრებული დაინტერესების გამო სახელმწიფოს მხრიდან, რომელიც მის ინტერესს საეჭვოს ვერ გახდის. მაგრამ აქვე გვინდა ერთი მოსაზრება თუ შენიშვნა გამოვთქვათ კანონის მიმართ. **ჯერ ერთი, შეზღუდულქმედუნარიან პირებში ხომ არასრულწლოვანიც იგულისხმება, არასრულწლოვანი კი პირია შვიდიდან თვრამეტ წლამდე. გამოდის რა, რომ თუ სრულწლოვანი პირი წარმომადგენლის პიროვნების არჩევაში თავისუფალია და კანონი არ აკონკრეტებს რა თანხის გარიგებებზეა საუბარი არასრულწლოვანის წარმომადგენლობისას (ვერც დააკონკრეტებს, ჩვენ ხომ პირთა თანასწორობის სამართალზე-სამოქალაქო სამართალზე ვსაუბრობთ, სადაც პირის ნებაა მთავარი), გამოდის, რომ 8-12 წლის არასრულწლოვანს უნდა ვენდოთ დიდი თანხების განკარგვა (ვთქვათ 200 ლარი, ისიც ხომ დიდი თანხაა მოზარდისათვის), არადა, კანონი არაფერს გვეუბნება ამის შესახებ. უბრალოდ წარმოდგენილი პირი წარმომადგენლის არჩევანში თავისუფალია. მოგვაჩნია, რომ ეს და მსგავსი საკითხები სასამართლო პრაქტიკამ უნდა დაარეგულიროს, თუ მსგავსი ტიპის სამართლებრივი დავები განიხილება სასამართლოში. მაგრამ მაინც უნდა ვიმოქმედოთ იმ პრინციპით, რომ აქ ადგილი აქვს ე. წ.**

„გარდამავალ უფლებამოსილებას“, ანუ ბუნებრივია, რომ პრაქტიკამ უნდა გაითვალისწინოს ის შემთხვევა, რომ 8-10 წლის ბავშვი ვერ იქნება სრულფასოვანი მონაწილე გარიგებების დადებისას და სხვ.

წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლები კანონით შეზღუდული არაა, გარდა კანონით „მეწარმეთა შესახებ“ პროკურის, სავაჭრო წარმომადგენლობისას და ასევე საპროცესო უფლებამოსილების ფარგლებისა. თუ გაუქმდება ის ძირითადი გარიგება, რომელსაც წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ემსახურებოდა, – ცხადია ეს უკანასკნელიც გაუქმდება. იგი თავისი სამართლებრივი ბუნებით აქცესორულია (დამატებითია)[359].

უფლებამოსილება ძალიან ჰგავს თანხმობის გამოხატვას, რომელიც ასევე ხორციელდება სხვა პირის მიმართ ცალმხრივი ნების გამოხატვით, მაგრამ ერთი ძირეული განსხვავებით: თანხმობა საკუთარი სახელით გაიცემა (მაგ; არასრულწლოვანს გარიგების დასადებად კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა სჭირდება), ხოლო წარმომადგენლობისას – უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი უფლებამოსილების გამცემის სახელით მოქმედებს და წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგების შედეგებიც წარმოდგენილი პირისათვის დგება. „უფლებამოსილების მიცემა აბსტრაქტული გარიგებაა, ვინაიდან მის შინაარსში არ შედის ის საფუძველი, რომელსაც იგი ემყარება და ცხადია, არც მის ნამდვილობაზეა დამოკიდებული უფლებამოსილების ნამდვილობა.

უფლებამოსილების ფარგლებს უფლებამოსილების მიმცემი განსაზღვრავს. მას შეუძლია გასცეს **სპეციალური, გვარეობითი და გენერალური უფლებამოსილებანი (მინდობილობანი). სპეციალური უფლებამოსილება** ეხება მხ-

359. აქცესორულია უფლება, რომელიც ისეა დაკავშირებული სხვა უფლებასთან, რომ მის გარეშე არ შეიძლება არსებობდეს (სსკ. მ. 153, ნ.1).

ოლოდ ერთ განსაზღვრულ გარიგებას, გვარეობითი უფლებამოსილება კი – განსაზღვრული სახის გარიგებებს, გენერალური უფლებამოსილება შეუზღუდავია და შეიძლება ჩვენებრივი ხასიათის ყველა სახის გარიგების დადების უფლებამოსილებას იძლეოდეს"[360].

„გენერალური სავაჭრო მინდობილობის მფლობელი პირი (პროკურისტი) რეგისტრირდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. პროკურა იძლევა უფლებამოსილებას, სასამართლოსა და სხვა ურთიერთობებში განხორციელდეს ყველა საქმიანობა და სამართლებრივი მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან. მიწის ნაკვეთის გასხვისების ან ვალდებულებით დატვირთვის უფლებამოსილება პროკურისტს აქვს მხოლოდ მაშინ, როცა მას ეს უფლებამოსილება სპეციალურად მიეცემა. პროკურის მოცულობის შეზღუდვა ბათილია მესამე პირებისათვის...."[361].

წარმოდგენილი პირი (მარწმუნებელი) მოვალეა ხელი შეუწყოს და დაეხმაროს წარმომადგენელს (რწმუნებულს) დავალებული მოქმედების შესრულებაში, სამაგიეროდ წარმომადგენელი ძალისხმევას არ უნდა იშურებდეს დავალებული მოქმედების შესრულებაზე, მოქმედებს რა ეს უკანასკნელი წარმოდგენილი პირის (დავალების მიმცემის) სახელით და მის ხარჯზე. ეს მხარეთა შორის ურთიერთობის განსაკუთრებულ ხასიათზე მიუთითებს, რომელიც ურთიერთნდობასა და საიმედოობაზეა დაფუძნებული. წარმომადგენელმა დავალებული საქმეები კარგი მმართველის გულისხმიერებით უნდა შეასრულოს.

კანონი არ ითვალისწინებს უფლებამოსილების ნების გამოვლენისას იმ ფორმების გამოყენებას, რომელიც

360. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 287.
361. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, მ. 10, პ. 3.

აუცილებელია იმ გარიგების დასადებად, რომლისთვისაც უფლებამოსილებაა გაცემული. უფლებამოსილება დამოუკიდებელი გარიგებაა, ამიტომ იგი შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირად, ისე წერილობითი ფორმით. მაგალითად, თუ გარიგება წერილობით იდება (არა იმპერატიული მოთხოვნით, არამედ დისპოზიციური ნორმების საფუძველზე), რწმუნებულების (მინდობილობის) გაცემა შეიძლება ზეპირად მოხდეს, მაგრამ უფრო ხშირად მაინც წერილობით გაცემული ნებართვებია. კანონი ასევე ითვალისწინებს უფლებამოსილების გაცემას წერილობითი ფორმით, როცა გარიგების ხასიათიდან გამომდინარე სპეციალურადაა განსაზღვრული გარიგების დადების ფორმა. მაგალითად, **სსკ მ.183** მოითხოვს წერილობით ფორმას უძრავი ნივთის შესაძენად გარიგების დადებისას, ბუნებრივია ამ შემთხვევაში წარმომადგენლობის ინსტიტუტის გამოყენებისას, წარმომადგენელზე რწმუნებულება უნდა გაიცეს წერილობითი ფორმით ან კიდევ სანოტარო წესით დამოწმებული; სამოქალაქო კოდექსის **1411-ე მუხლის დანაწესით,** ანდერძის განკარგულებათა ზუსტად შესრულების მიზნით მოანდერძეს შეუძლია ანდერძით დანიშნოს ანდერძის ერთი ან რამდენიმე აღმსრულებელი როგორც ანდერძით მემკვიდრეთა წრიდან, ისე სხვა პირიც, რომელიც მემკვიდრე არ არის. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საჭიროა ანდერძის აღმსრულებლის თანხმობა, რაც მან უნდა გამოხატოს წარწერით თვით ანდერძზე ან მასზე დართულ განცხადებაში. ტიპური სამართლებრივი შემთხვევები გვხვდება დავალების ხელშეკრულებაშიც. მაგალითად, რწმუნებული ვერ გამოვა მარწმუნებლის სახელით სასამართლოში მინდობილობის გარეშე, ვერ გააფორმებს სამოქალაქო ხელშეკრულებას და ა.შ. ვინაიდან მინდობილობის შინაარსი და დავალების შინაარსი არ არის ურთიერთგამომრიცხავი დოკუმენტები, ხშირად მათი შინაარსი გაერთიანებულია ერთ დოკუმენტში – მინდობილობაში. სამოქალაქო კოდექსი არც მინ-

დობილობის ფორმის მიმართ ითვალისწინებს რაიმე სპეციალურ წესს, მაგრამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **96-ე მუხლი** ეხება წარმომადგენლის უფლებამოსილების გაფორმებას და მის პირველ ნაწილში აღნიშნულია, რომ „წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა ჩამოყალიბდეს კანონის შესაბამისად გაცემულ და გაფორმებულ მინდობილობაში. მოქალაქეთა მიერ გაცემული მინდობილობები უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით და იმ ორგანიზაციის მიერ, სადაც მუშაობს ან სწავლობს მარწმუნებელი, სტაციონალური სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ, სადაც მოქალაქე სამკურნალოდ იმყოფება, შესაბამისი სამხედრო ნაწილის მიერ, თუ მინდობილობას სამხედრო მოსამსახურე გასცემს, საპატიმროში მყოფი პირის მიერ გაცემულ მინდობილობას დაამოწმებს შესაბამისი საპატიმრო ადგილის ადმინისტრაცია“[362].

ადვოკატის უფლებამოსილება დასტურდება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

არა მარტო წარმომადგენელია ვალდებული ზუსტად, უფლებამოსილების მინიჭების ფარგლებში შეასრულოს უფლებამოსილების მიმნიჭებლის დავალება, არამედ დავალების მიმცემმა პირმაც არ უნდა გადათქვას კონტრაჰენტთან შეთანხმებული პირობები გარიგებისა, რომელსაც იგი მასთან დებს წარმომადგენლის მეშვეობით. თუ უფლებამოსილებაში ცვლილებები შეაქვს მის გამცემს (წარმოდგენილ პირს), მაშინ „უფლებამოსილებაში ცვლილებები და მისი გაუქმება უნდა ეცნობოს მესამე პირებს. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობისას ეს ცვლილებები და უფლებამოსილების გაუქმება არ შეიძლება გამოყენებული იქნეს მესამე პირთა მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მხარეებმა ხელშეკრულების დადებისას ამის შესახებ იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ **(სსკ მ. 108)**. აღნიშნული მუხლი

362. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, თილისი, 2001, გვ. 397.

გარკვეულ ვალდებულებას აკისრებს უფლებამოსილების გამცემ პირებს, რომ თუ გარიგების პირობებში (უფლებამოსილებაში) ცვლილებებს შეიტანენ (ეს ეხება გარიგების ყველა სახის პირობებს), მათ ამის შესახებ მესამე პირებს (კონტრაჰენტებს) უნდა აცნობონ. ეს შეუძლიათ გააკეთონ მათ ან წარმომადგენლის მეშვეობით, რადგან ამაზეა დამოკიდებული ხშირ შემთხვევაში მესამე პირები ამ შეცვლილი პირობებით გააგრძელებენ თუ არა გარიგებას. თუ ამ ცვლილებების შესახებ არ ეცნობა მესამე პირებს, მაშინ ისინი უფლებამოსილნი არიან, რომ გარიგების პირობები შეასრულონ ისე, როგორც ეს განსაზღვრული იყო თავდაპირველად გარიგების დადებისას. მაგრამ ეს დანაწესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ შეტყობინების მიუხედავად „ხელშეკრულების დადებისას მესამე პირებმა ამის შესახებ იცოდნენ, ან უნდა სცოდნოდათ".

სამოქალაქო კოდექსის **109-ე მუხლი** ჩამოთვლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებს. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ქარწყლდება: **ა. იმ ვადის გასვლით, რა ვადითაც გაიცა უფლებამოსილება.** სამოქალაქო კოდექსში არ არის სპეციალური მითითება უფლებამოსილების გაცემის ვადის თაობაზე (როგორც დავალების ხელშეკრულების ვადის თაობაზეც (რის გამოც იგი შეიძლება დაიდოს როგორც განსაზღვრული, ისე განუსაზღვრელი ვადით (როგორც ზემოთ აღნიშნეთ გერმანულ სამოქალაქო კოდექსში, **§.168** შეიცავს ასეთ დანაწესს[363]). თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება განსაზღვრული ვადითაა გაფორმებული (ვთქვათ 2 თვით, 6 თვით 1 წლით და ა.შ.), მაშინ იგი ძალას კარგავს ამ ვადის გასვლის შემდეგ. უფლებამოსილების მოქმედების ვადა ხშირად დამოკიდებულია მარწმუნებლისათვის მიცემული

363 დამატ. იხ. Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 179; Гражданское уложение Германии, 2-е издание, Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands, 2. Auflage. Wolters Kluwer, стр. 32.

უფლებამოსილების ხასიათზე. იგი შეიძლება გამოხატულ იქნეს როგორც დროის გარკვეული პერიოდით (მაგ; 6 თვის განმავლობაში მარწმუნებელს უფლება აქვს შეასრულოს უფლებამოსილების მიმცემის დავალება), ისე კონკრეტული თარიღით (ვთქვათ, 2014 წლის 1 სექტემბერს შესრულდეს დავალება). უფლებამოსილების ვადა მარწმუნებლისათვის მიცემულ უფლებამოსილების ვადასთან უნდა იყოს დაკავშირებული, რამეთუ წარმომადგენლობის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს უფლებამოსილების ვადაზე ნაკლები. ამ შემთხვევაში უფლებამოსილების სამართლებრივი საფუძველი არ იარსებებს. თუ გაცემულ უფლებამოსილებაში არ არის მითითებული კონკრეტული ვადა, რომლის განმავლობაშიც ისინი ძალაში იქნებიან, მაშინ ხელშეკრულება უვადოდ დადებულად ჩაითვლება. აქვე ერთ საინტერესო საკითხს შევეხებით. ნებისმიერი გარიგების შეწყვეტა ვადაზე ადრე გარკვეულ სამართლებრივ შედეგებს იწვევს: ზიანის ანაზღაურებას, ერთმანეთისათვის დაბრუნებას იმისა, რაც ერთმანეთს ხელშეკრულების დადებისას გადასცეს (პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა-რესტიტუცია და სხვა). როგორც წარმომადგენლობა, ასევე დავალების ხელშეკრულება მხარეთა (მარწმუნებლისა და რწუნებულის, უფლებამოსილების მიმნიჭებლისა და წარმომადგენლის) განსაკუთრებულ ნდობაზეა დაფუძნებული, **რამეთუ, თუ პირს არ ენდობი, არც წარმომადგენლად გეყოლებათ ოგი.** აქ ნდობის ბალანსი ძალიან მაღალია და როცა ბუნებრივია აღარ ენდობით თქვენ მას, რადგან არღვევს უფლებამოსილებას (გადაუხვია უფლებამოსილების მიმნიჭებელი პირის დავალებას), ამ შემთხვევაში თქვენ ნებისმიერ დროს გაქვთ ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება (რა დროსაც გაიგეთ უფლებამოსილებაში ხარვეზის შესახებ). კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული ისეთი ზემოქმედების სამართლებრივი საშუალებები, რომლითაც უფლებამოსილების გამცემი აიძულებდა წარმომადგენელს უფლებამოსილების „ძალით" დავალების განხორციელებას იმ შემთხვევაში, როცა წარმომადგენელს არ

სურს მისი შესრულება. **ბ. უფლებამოსილი პირის უარით.** უფლებამოსილების გაქარწყლებას უფლებამოსილი პირის უარიც იწვევს. აღნიშნული გარიგება მხარეთა ურთიერთობას ემყარება და ბუნებრივია, თუ სურს წარმოდგენილ პირს, გააუქმებს კიდეც მარწმუნებელთან უფლებამოსილებას. ბუნებრივია წარმომადგენელსაც თავის მხრივ შეუძლია უარი თქვას უფლებამოსილების განხორციელებაზე, მაგრამ მხოლოდ ამით რომ დამთავრებულიყო მათ შორის ურთიერთობა, მაშინ გარიგების ერთ-ერთი მხარე დაზარალებული გამოვიდოდა, მეორე მხარე კი—დაუსჯელი. ამიტომ ამ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილი იქნებოდა გამოეყენებინა დავალების ხელშეკრულების შეწყვეტის **720-ე მუხლის** დანაწესი **კანონის ანალოგიით.** კერძოდ, „თუ ხელშეკრულება რწმუნებულმა მაშინ შეწყვიტა, როდესაც მარწმუნებელი მოკლებული იყო შესაძლებლობას, სხვაგვარად უზრუნველყო თავისი ინტერესები, რწმუნებულმა უნდა აანაზღაუროს ხელშეკრულების შეწყვეტით მიყენებული ზიანი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა რწმუნებულს ამისათვის მნიშვნელოვანი ინტერესი ჰქონდა“ **(სსკ მ. 720, ნ.2),** ხოლო **სსკ 720-ე მუხლის მე-3 ნაწილი** კი ითვალისწინებს: „თუ ხელშეკრულება წყდება მარწმუნებლის მიერ, მაშინ ის მოვალეა აუნაზღაუროს რწმუნებულს მინდობილი მოქმედების შესრულებისას გაწეული ყველა აუცილებელი ხარჯი, ხოლო თუ ხელშეკრულება სასყიდლიანი იყო, გადაუხადოს გასამრჯელო შესრულებული სამუშაოს კვალობაზე“. **გ. უფლებამოსილების გამცემი პირის მიერ უფლებამოსილების გაუქმებით.** გაუქმება ცალმხრივი გარიგებაა, როგორც უფლებამოსილება და მის შესახებ აუცილებლად უნდა ეცნობოს მეორე მხარეს. თუ რა ფორმით უნდა ეცნობოს, ამაზე კანონი აქცენტს არ აკეთებს, ამიტომ შეიძლება ნებისმიერი საშუალებით, ოღონდ ამის შესახებ ადრესატმა უნდა გაიგოს (ეს შეიძლება განხორციელდეს მინდობილობის უკან გამოთხოვით, ზეპირად, წერილობით, დუმილით და ა.შ.), მხოლოდ **109-ე მუხლის მუხლის ბ- ქვეპუნქტის** შემთხვევაში ამის შესახებ უნდა ეცნობოს

უფლებამოსილ პირს, ანდა მესამე პირს, რომლის მიმართაც ადგილი ჰქონდა წარმომადგენლობას. **ისმის კითხვა: როდი-დანაა გაუქმება ნამდვილი?** გაუქმება როგორც აღნიშნეთ ნების გამოვლენაა, რომ შედგეს გარიგების ესა თუ ის ასპექტი (მაგ. გაუქმება), იგი უნდა მიუვიდეს მის ადრესატს. აქ შეიძლება გამოვიყენოთ **სსკ 51-ე მუხლის დანაწესი** იმის შესახებ, რომ „ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა". **დ. უფლებამოსილების გამცემი პირის გარდაცვალებით ან მისი ქმედუუნარობის დადგომით, თუკი შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.** როგორც მუხლის შესაბამისი ქვეპუნქტიდან ჩანს, უფლებამოსილება უფლებამოსილი პირის გარდაცვალების შემთხვევაშიც ან კიდევ მისი ქმედუუნარობის დადგომით წყდება (არსებობს გამონაკლისებიც, მაგ. მხარეთა შეთანხმება), რომლის მიმართაც **სკ 721-ე მუხლი** გამოიყენება, რომლის **1-ლ ნაწილში** აღნიშნულია, რომ ხელშეკრულება არ წყდება მარწმუნებლის გარდაცვალების, ან ქმედუუნარობის დადგომის გამო, თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული, ან სხვა რამ არ გამომდინარეობს მინდობილობის შინაარსიდან". როცა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება წყდება უფლებამოსილების გამცემი პირის გარდაცვალებით ან მისი ქმედუუნარობის დადგომით, წარმომადგენელი (რწმუნებული) ვალდებულია გააგრძელოს დავალებული მოქმედების შესრულება თუ დაყოვნება მარწმუნებელს ან მის მემკვიდრეებს შეუქმნის ზიანის მიყენების საფრთხეს, ვიდრე მემკვიდრე ან მარწმუნებლის კანონიერი წარმომადგენელი არ მიიღებს აუცილებელ ზომებს; ამასთან, სახელშეკრულებო ურთიერთობა ჩაითვლება გაგრძელებულად **(სსკ მ. 721, ნ.2)**. რწმუნებული უნდა დაელოდოს მარწმუნებლის მემკვიდრეების მითითებებს და მის შესაბამისად უნდა იმოქმედოს.

სსკ 109-ე მუხლში არაფერია ნათქვამი წარმომადგენლის გარდაცვალების შემთხვევაში უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ. აქ შეიძლება გამოყენებულ იქნეს **სსკ**

722-ე მუხლის დანაწესი (6.1, 6.2) კანონის ანალოგიით, იმის შესახებ, რომ „ხელშეკრულება წყდება რწმუნებულის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული ან სხვა რამ არ გამომდინარეობს მინდობილობის შინაარსიდან“. ამასთანავე, რწმუნებულის სიკვდილის შემთხვევაში მისი მემკვიდრეები ვალდებულნი არიან აცნობონ მარწმუნებელს ამის შესახებ და მიიღონ აუცილებელი ზომები მარწმუნებლის ინტერესების დასაცავად“.

ე. შესრულებით. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტას (გაქარწყლებას) იწვევს წარმომადგენლის მიერ უფლებამოსილებით გათვალისწინებული მოქმედების შესრულება (ვალდებულების შეწყვეტის საერთო საფუძველი). აქვე დავამატებდით, რომ თუ წარმომადგენლობა სასყიდლიანი იყო, მაშინ წარმომადგენელმა წარმოდგენილი პირის სახელით განხორციელებული მოქმედებისათვის გარკვეული საზღაური უნდა მიიღოს. ამის თაობაზე უფლებამოსილების და მისი მიღების მიერ უნდა ყოფილიყო შეთანხმებული. მაგალითად, წარმომადგენელმა გარკვეული თანხები გაიღო უფლებამოსილების გამცემის დავალების შესრულებისათვის. ცხადია, წარმოდგენილმა პირმა ამ თანხების კომპენსირება უნდა მოახდინოს წარმომადგენელთან (მაგ. ადვოკატმა წარმოდგენილ პირთან). როგორ უნდა მოხდეს ანაზღაურება, რა ტარიფით, თუ პრეისკურანტით, ეს კოდექსის ნორმებით დადგენილი არ არის, კანონმდებელი ამას განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებს და მის განსაზღვრას მხარეებს მიანდობს. აქვე დავამატებდით, რომ თუ დავალების სპეციფიკიდან გამომდინარე ხელშეკრულება მხოლოდ წარმოდგენილი პირისათვის უნდა შესრულებულიყო, მისი გარდაცვალება წარმომადგენლობის შეწყვეტას გამოიწვევს.

წარმომადგენელმა დავალების შესრულების მიმდინარეობისას უნდა შეატყობინოს უფლებამოსილების გამცემს იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება გარიგება, უფრო მეტიც, იგი არ უნდა დაელოდოს წარმოდგენილი პირის მოთხოვნას დავალების შესრულების მიმდინარეობის შეს-

ახებ ინფორმაციის მიწოდებაზე, არამედ თავისი ინიციატიით უნდა განახორციელოს ეს. წარმოდგენილი პირი ყოველთვის უნდა იყოს საქმის კურსში უფლებამოსილების მართლზომიერად განხორციელების შესახებ; ასევე წარმომადგენელი მოვალეა, თუ მას წარმოდგენილი პირი მოსთხოვს, არ გაახმაუროს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში მისთვის განდობილი ინფორმაცია, თუ წარმოდგენილი პირი მართლზომიერადაა დაინტერესებული ფაქტების საიდუმლოდ შენახვით (გამონაკლისია თუ კანონის მოთხოვნაა ფაქტების გახმაურებისა, ან წარმოდგენილი პირი თანახმა იქნება ამაზე). წარმომადგენლობასთან დაკავშირებული ფაქტების გაუხმაურებლობის მოყალეობა შეიძლება არსებობდეს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც. ამის შესახებ არაფერია ნათქვამი **103-114 მუხლებში**, ამიტომ დასაშვებია **ანალოგიით** დაეალების ხელშეკრულების **713-714 მუხლების** გამოყენება. ასევე არაფერია ნათქვამი **103-114 მუხლებში** იმის შესახებაც, რომ თუ წარმომადგენელი მიიღებს წარმოდგენილი პირისაგან იმას, რაც მას სჭირდებოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას, – აბრუნებს თუ არა მას. რა თქმა უნდა, უნდა დააბრუნოს, თუ არ გამოიყენა მინდობილი მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებით; თავისთვის თუ იყენებს ფულს, რომელიც წარმოდგენილი პირისათვის უნდა დაებრუნებინა, მან ფული პროცენტთან ერთად უნდა დააბრუნოს **(ანალოგიით გამოიყენება სსკ მ. 715)**. უფლებამოსილების გაქარწყლების შემდეგ წარმომადგენელმა წარმოდგენილ პირს უნდა დაუბრუნოს უფლებამოსილების საბუთი, რომლის დატოვების უფლებაც მას არა აქვს, რადგან, ხომ შეიძლება რომ ეს საბუთი მან უფლებამოსილების გამცემის წინააღმდეგ გამოიყენოს. თუ უფლებამოსილების განხორციელება გარკვეულ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ეს ხარჯები ჩაითვლება აუცილებელ ხარჯებად და იგი უნდა ანაზღაურდეს წარმომადგენლის სასარგებლოდ (ასევე არეგულირებს ამ საკითხს **დავალების ხელშეკრულების 717-ე მუხლი**).

111-ე მუხლი (ნაწილი 1) არეგულირებს ისეთ სამართლებრივ შემთხვევას, როცა პირი, რომელსაც არ გააჩნია წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი რაიმე საბუთი, სხვა პირის სახელით დებს გარიგებას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებული იქნება წარმოდგენილი პირის თანხმობაზე. აქ იკვეთება, რომ გარიგება ბათილია, მაგრამ ამავე დროს მოწონებაუნარიანი. გამოდის, რომ უფლებამოსილი პირი **„არამკითხეს"** როლში გამოდის, სხვისი სახელით დებს გარიგებას და სხვისი ინტერესებისათვის, მაგრამ როცა სხვის სახელს ითვისებს პირი და გარიგებას თავისთვის დებს, ამ შემთხვევაში საკუთარი სახელით დადებული გარიგებაა და ბუნებრივია მას ნამდვილი სახელის მატარებლის სახელთან არავითარი კავშირი არ აქვს. აღვნიშნავთ, რომ **111-ე მუხლის 1-ლი ნაწილის** შემთხვევაში გარიგება მოწონებაუნარიანი შეიძლება იყოს და თუ პირი (წარმოდგენილი) მოიწონების არაუფლებამოსილი პირის მიერ დადებულ გარიგებას, იგი სამართლებრივად ნამდვილი იქნება. ამ შემთხვევაში გამოიყენება **101-ე მუხლი,** რომლის თანახმად, „შემდგომ თანხმობას (მოწონებას) უკუქცევითი ძალა აქვს გარიგების დადების მომენტიდან, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი". გამოდის, რომ შეცილების უფლების მქონემ დადაასტურა არაუფლებამოსილი პირის მიერ დადებული გარიგება და ამით იგი ნამდვილად აქცია, ამავე დროს თავისთავს მოუსპო შეცილების უფლება **(სსკ მ. 61, ნ. 3).** თუ წარმოდგენილმა პირმა არ მოიწონა წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგება, მაშინ ბუნებრივია წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არმქონე პირი ვალდებული იქნება წარმოდგენილი პირის წინაშე უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების შესაბამისად და მის მიერ დადებული გარიგება გაბათილდება.

საინტერესოა საკითხი, როგორ დარეგულირდება ეს პრობლემა, თუ წარმოდგენილი პირი მამკვიდრებელია, ხოლო არაუფლებამოსილი პირი (ვინაც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე დადო გარიგება) კანონ-

ისმიერი მემკვიდრე (კანონისმიერი მემკვიდრეების შესახებ იხილეთ **სსკ მ. 1336**). მემკვიდრე ჩვენს შემთხვევაში არაუფლებამოსილი პირია, რომელიც წარმოდგენილი პირის (მამკვიდრებლის სახელით) დებს გარიგებას და მამკვიდრებლის სიკვდილის შემდეგ ხდება მისი მემკვიდრე (ისე რომ მამკვიდრებელმა ვერ მოასწრო გარდაცვალების გამო ამ გარიგების ბათილობის მოთხოვნა). **რა ხდება ამ შემთხვევაში?** პასუხი ცალსახაა: თუ წარმოდგენილი პირი და წარმომადგენელი ერთ პირში გაერთიანდებიან (მემკვიდრე იღებს მამკვიდრებლის ქონებას), აღნიშნული ნორმა აღარ იმოქმედებს, რამეთუ მემკვიდრე ერთდროულად იქნება წარმოდგენილიც და წარმომადგენელიც.

ვის მიმართ ხდება თანხმობის გამოხატვა? რა თქმა უნდა არაუფლებამოსილი პირის მიმართ. ამ შემთხვევაში გარიგება მართლზომიერი იქნება მისი დადების მომენტიდან წარმოდგენილი პირის მიმართაც.

111-ე მუხლის მე-2 ნაწილი უფლებამოსილებით აღჭურავს გარიგების მეორე მხარეს, რომ მას ეცნობოს წარმოდგენილი პირის მიერ არაუფლებამოსილი პირისათვის თანხმობის მინიჭების შესახებ დადებული გარიგების შემდგომ. ამ თანხმობის შესახებ მხოლოდ მეორე მხარეს უნდა ეცნობოს. კანონი მიუთითებს **2 კვირიან ვადაზე** მოთხოვნიდან თანხმობის გაცემის შესახებ. თუ ეს არ მოხდა, ითვლება, რომ თანხმობაზე მოთხოვნა უარყოფილია.

„როგორ მოვიქცეთ, თუკი წარმოდგენილმა პირმა მოიწონა არაუფლებამოსილი პირის ნების გამოვლენა და ამის შემდეგ უარი უთხრა თანხმობაზე მეორე მხარეს. მართალია კანონი ამაზე პირდაპირ არაფერს არ იტყობინება, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ძალაში დარჩება მეორე მხარის მიმართ ნების გამოვლენა. ამრიგად, მეორე მხარის ნების გამოვლენა აბათილებს არაუფლებამოსილი პირის მიმართ ნების გამოვლენას“[364].

წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არ უნდა

364. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 293-294.

იყოს „ნაკლოვანი“, წინააღმდეგ შემთხვევაში კონტრაჰენტს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას აძლევს. მანამ, სანამ წარმომადგენელი წარმოდგენილი პირის სახელით დადებდეს გარიგებას მეორე მხარესთან, მას ჯერ უნდა გააჩნდეს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი. ამიტომაცაა, რომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე გარიგების დადებისას კონტრაჰენტის მდგომარეობა მეტად არასტაბილურია და მეორე მხარეს გარიგების არა მარტო მოწონების მოთხოვნის უფლება აქვს წარმოდგენილი პირისაგან, არამედ ამ გარიგების გაბათილებაც შეუძლია. თუკი წარმოდგენილი პირი მოიწონებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ხელშეკრულების დადებაზე, მაშინ ხელშეკრულება ნამდვილი იქნება და „მასზე გავლენას ვერ მოახდენს მოთხოვნის უკან გამოსათხოვად დაგვიანებით მიცემული წინადადება“[365]. მეორე მხარე ხელშეკრულების გაბათილებას მაშინაც ვერ მოითხოვს, თუ მან იცოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ და ამის წინააღმდეგ არაფერი განუცხადებია. ამის მტკიცების ტვირთი მთლიანად მოპირდაპირე მხარეზეა. კანონი სამწუხაროდ ვერ იცავს გარიგების მეორე მხარეს, რადგან მან ხომ იცოდა უფლებამოსილების ნაკლის შესახებ და დუმდა, დუმილი კი ხშირ შემთხვევაში აქცეპტის (თანხმობის) ნიშანია. მეორე მხარეს არა მარტო ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება აქვს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლისას წარმოდგენილი პირის მიმართ, ასევე წარმომადგენლის მიმართაც.

113-ე მუხლი ისეთ სამართლებრივ შემთხვევებს არეგულირებს, როცა წარმომადგენელი ვერ დადაასტურებს თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას და მას გარკვეული ვალდებულება აკისრია. ძველი რომაული სამართლის პრინციპი და, ასევე თანამედროვე სამოქალაქო სამართლის კვინტესენცია, რომ „ხელშეკრულება უნდა შესრულდეს“

365. საქართველოს სამოქალაქო კოდქსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 294.

(„**pacta sunt servanda**“) ამ შემთხვევაშიც თამაშობს გარკვეულ როლს, რადგანაც „თუ იკისრე წარმომადგენლობა, უნდა შეასრულო კიდეც“. აქ საუბარია ისეთ შემთხვევაზე, როდესაც პირი თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ვერ ადასტურებს და ალტერნატივის წინაშე დგება: **1. ან მეორე მხარის სურვილით უნდა შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება, ან 2. აანაზღაუროს ის ზიანი, თუკი წარმოდგენილი პირი ხელშეკრულებაზე თანხმობის მიცემას უარყოფს.** აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი თავისებური გაგრძელებაა **112-ე მუხლისა,** სადაც როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მეორე მხარეს ხელშეკრულების დადებამდე, თანხმობის მიცემამდე შეუძლია უარი განაცხადოს გარიგების დადებაზე, თუკი მან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ გაიგო (ანუ არ არსებობდა ეს უფლებამოსილება). წარმომადგენლის პასუხისმგებლობის სავალდებულოობა კანონისმიერი დანაწესია **ამავე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესთან,** შეზღუდულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით და **მე-3 ნაწილს** წარმომადგენლის პასუხისმგებლობის სრულ გამორიცხვას თუ გავითვალისწინებდით[366].

იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარემ შეასრულა ვალდებულება ისე, რომ არ იცოდა წარმომადგენლობითი ნაკლის შესახებ, მას შეუძლია წარმოდგენილ პირს **(„ვითომ-კრედიტორს“) 976-ე მუხლის საფუძველზე (1-ლი ნაწილი) („ვითომ კრედიტორისაგან მოთხოვნის საფუძლები“)** შესრულების უკან დაბრუნება მოსთხოვოს.

აღნიშნული მუხლის 1-ლი ნაწილი კრედიტორს გარკვეული არჩევანის უფლებას ანიჭებს: **1. ან შესრულებით დაკმაყოფილდეს და მოითხოვოს შესრულების „ზევით მიღებლის შევსება“, ან კიდევ, 2. ვალდებულების შესრულება. მაგალითი: ბ-მ ა-სთვის** იყიდა „ბეკოს“

366. ი. ხარაზი, სამოქალაქო სამართალი (ზოგადი დებულებები) ლექციების კურსი იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის (მეორე გადამუშავებული გამოცემა), თბილისი, 2012, გვ. 406-407.

ფირმის სარეცხი მანქანა 800 ლარად. გარიგების მეორე მხარეს შეუძლია ან შესრულებით დაკმაყოფილდეს და მოითხოვოს აღნიშნული თანხის გადახდა, ანდა მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია იმით, რომ სხვა პირს შეიძლება მიჰყიდოს იგივე ნივთი მხოლოდ 750 ლარად. როცა მეორე მხარე შესრულებას ითხოვს, ცხადია მისი პარტნიორი წარმომადგენელი ვერ იქნება, რადგანაც აქ, ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა წარმომადგენლობითი გარიგებების ნაკლისას არა ხელშეკრულებებიდან, არამედ კანონიდან გამომდინარეობს. „საინტერესოა ამ შემთხვევაში ის ფაქტიც, რომ **113 მუხლის 1-ლი ნაწილის** კანონისმიერი დანაწესი ბოლომდე მყარი ვერ არის. წარმომადგენელი კანონით გარკვეულად დაცულია. **როგორ?** თუ გარიგება, რომელსაც მხარეები დებენ ერთმანეთს შორის და წარმომადგენელს იყენებენ გარიგების დასადებად (ერთ-ერთი ან ორივე მხარე), ორმხრივ ხელშეკრულებებში კი მოგეხსენებათ მხარეებს ურთიერთშემხვედრი უფლებების გარდა, მოვალეობებიც აკისრიათ,– მაშინ პასუხი ცხადი იქნება და ამ კითხვაზე ვალდებულებითი სამართლის **369-ე მუხლი („უარი ვალდებულების შესრულებაზე“)** გაგვცემს პასუხს. კერძოდ, „იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ვალდებული იყო თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა“. ასე, რომ, არა მარტო წარმომდგენი პირია (გარიგების ოფერენტი) ვალდებულებით დატვირთული გარიგების მეორე მხარესთან (აქცეპტანტთან), არამედ გარიგების მეორე მხარესაც გარკვეული ვალდებულებები აკისრია კონტრაჰენტთან, რომელიც წარმომადგენლის დახმარებით დებს გარიგებას. აშკარაა, რომ წარმომადგენელს შეუძლია თავი დაიცვას მანამ, სანამ მეორე მხარე თავის ვალდებულებას არ შეასრულებს. ამ შემთხვევაში წარმომადგენელი თითქოს **„ზურგს ამოფარებული“** ხდება წარმოდგენილი პირისა კონტრაჰენტის მიმართ. **აღნიშნული**

მუხლის 1-ლ ნაწილში იკვეთება დასკვნა, რომ მოთხოვნის განსახორციელებლად სახეზე უნდა იყოს **ორი წინაპირობა: 1. წარმომადგენელი გარიგებას დებს სხვისი სახელით და 2. წარმოდგენილი პირი უარს ამბობს მის მოწონებაზე. ცხადია, მტკიცების ტვირთი მეორე მხარეზეა[364].**

113-ე მუხლის მე-2 ნაწილში გამოკვეთილია **ნდობის ფაქტორი,** რომ „თუ წარმომადგენელმა არ იცოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ, იგი ვალდებულია აანაზღაუროს მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მეორე მხარეს მიადგა იმის გამო, რომ იგი ენდობოდა ამ უფლებამოსილებას". რიგ ურთიერთობებში გამოკვეთილია ნდობის ფაქტორის განსაკუთრებული მნიშვნელობა. სამოქალაქო კოდექსი ბათილად მიიჩნევს გარიგებას, რომელიც ნდობის ბოროტად გამოყენებით იდება. წარმომადგენლობის ინსტიტუტისათვის ნდობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. წარმოდგენილი ხომ წარმომადგენლის ორეულია ნებადართულ ურთიერთობებში[365]". „გამომდინარე ამ დებულებიდან, წარმომადგენელი, მიუხედავად იმისა, რომ არც კი იცოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ, იგი ვალდებულია გარიგების მეორე მხარეს **ე. წ. „ნდობის ზიანი"** აუნაზღაუროს – ეს მის მიმართ **ჯერ ერთი,** რომ კანონისმიერი პასუხისმგებლობაა (და ეს კარგად ჩანს **113-ე მუხლის პირველი ნაწილიდან), მეორეც** საგარანტიო პასუხისმგებლობაა, რაც თუ შევადარებთ **პირველ და მეორე ნაწილებს,** დავინახავთ, რომ **მეორე ნაწილის** შემთხვევაში შესწუდულია, თუმცა ამ შეზღუდვის შესახებ პირდაპირი მინიშნება არც კია მოცემული ნორმაში. **მაინც რას ნიშნავს „ნდობის ზიანის ანაზღაურება", რა თანხებში გამოიხატება იგი?** ეს უნდა გამოიხატოს იმ თანხებში რასაც მიიღებდა გარიგების მეორე მხარე გარიგების დადებისას წარმომადგენლობის ხარვეზს რომ არ ჰქონოდა ადგილი (ანუ რასაც ამ გარიგებით მიიღებდა და ვერ მი-

364. ი.ხარაზი, დასახ. ნაშრომი, გვ. 408-409.

365. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 172.

იღო, იმის გამო, რომ წარმომადგენლობის ხარვეზიანობამ (რომელიც თვით წარმომადგენელმაც არ იცოდა) მას ზიანი მიაყენა. ამაეე დროს, გარიგების მეორე მხარე ვერ მიიღებს იმაზე მეტ თანხას ზიანის კომპენსაციისას, რასაც მიიღებდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლს რომ არ ჰქონოდა ადგილი ხელშეკრულების დადებისას (მაგალითად, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის გამო გარიგების მეორე მხარემ განიცადა „ნდობის ზიანი" 400 ლარი, ხოლო სასამართლოში მოითხოვა 600 ლარი. თუ სასამართლო დაადგენს, რომ არა 600, არამედ 400 ლარით განიცადა მან ზიანი, რადგან ენდობოდა წარმომადგენლის უფლებამოსილებას და ეს უკანასკნელი ხარვეზიანი აღმოჩნდა, – მაშინ სასამართლო წარმომადგენელს დააკავალებს არა 600, არამედ 400 ლარის გადახდას, სასამართლოს შეუსაბამო თანხის (ზიანი) შემცირების უფლებას კანონი ანიჭებს[366].

113-ე მუხლის მესამე ნაწილით კანონმდებელი გამორიცხავს წარმომადგენლის პასუხისმგებლობას: **1)** მეორე მხარემ იცოდა, ან **2)** უნდა სცოდნოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ (გარიგების კონტრაჰენტმა ხელშეკრულების დადებისთანავე იცოდა, რომ წარმომადგენელი მოკლებული იყო წარმომადგენლობით ძალაუფლებას და დუმდა ამის შესახებ, დუმილი ამ შემთხვევაში გარიგების დადებაზე ასეთი წარმომადგენლობის დროს აქცეპტად (თანხმობად) მიიჩნევა და გარიგების არასასურველ შედეგებზე მთელი რისკის მატარებელიც გარიგების მეორე მხარეა; **3)** წარმომადგენელი პასუხს არ აგებს მაშინაც, როცა ქმედუნარიანობა შეზღუდული ჰქონდა, გარდა იმ შემთხვევებისა როცა იგი მოქმედებდა თავისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით. ამ შემთხვევაში იკვეთება **2 მომენტი: ჯერ ერთი,** რომ როცა წარმომადგენელი შეზღუდულქმედუნარიანი პირია, ვთქვათ 16 წლისაა, ამის შესახებ იცის წარმოდგენილმა პირმა, რომელმაც 16 წლის მოზარდი წარმომადგენლად „აიყვანა" მეორე მხ-

366. ი.ხარაზი, დასახ. ნაშრომი, გვ. 409-410.

არესთან გარიგების დასადებად, ხოლო მეორე მხარემაც იცოდა რომ წარმოდგენილი პირის მიერ მასთან წარგზავნილი წარმომადგენელი არასრულწლოვანი იყო და კანონიერი წარმომადგენლისაგან თანხმობა არ ჰქონია,– რისკის ფაქტორით მოქმედებს და თუ არასრულწლოვანი წარმომადგენელი მას გარიგების დადებისას ზიანს მიაყენებს, მას შემდგომ არ შეუძლია მიუთითოს წარმომადგენლობითი ნაკლის შესახებ (იგულისხმება ასაკი და კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის არარსებობა გარიგების დამდები მხარის წარმომადგენლად ყოფნაზე) და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება წარმომადგენლისაგან. **113-ე მუხლში** არ არის მინიშნებული, მაგრამ ალბათ მისი კანონიერი წარმომადგენლისაგან (მშობლებისგან) მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას. მაგრამ თუ შეზღუდულქმედუნარიან პირს კანონიერი წარმომადგენლისაგან მიღებული ჰქონდა თანხმობა ყოფილიყო გარიგების დამდები მხარის წარმომადგენელი გარიგების მეორე მხარესთან და, მეორე მხარეს მან მიაყენა ზიანი, ამ შემთხვევაში დგება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. **„საინტერესოა ვინ უნდა აანაზღაუროს გარიგების მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანი არასრულწლოვანის წარმომადგენლობისას, თუ მას წარმომადგენლად ყოფნაზე კანონიერმა წარმომადგენელმა მისცა თანხმობა?** მოვიხმობთ დელიქტური ვალდებულების **994-ე მუხლის მესამე ნაწილის პირველ წინადადებას** კითხვაზე პასუხის გასაცემად: „ათ წელზე მეტი ასაკის, მაგრამ არასრულწლოვანი პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვა მიაყენა... იმ შემთხვევაში, როცა ამ პირს არა აქვს საკმარისი ქონება ან შემოსავალი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, დამატებითი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მის წარმომადგენლებსაც“. საინტერესოა საიდან უნდა გააჩნდეს არასრულწლოვანს, ვთქვათ 16 წლის სკოლის მოსწავლეს ქონება, რომ მან ამ ქონებით დამოუკიდებლად აგოს პასუხი? ეს შეიძლება იყოს მემკვიდრეობით (ანდერძით, კანონით) მიღებული ქონება, რომელიც მას ანგარიშზე ერიცხება მაგრამ მასზე გარიგების დადება სრულწლოვანების მიღწევამდე არ შეუძლია, ან კიდევ, შრომის

კანონთა კოდექსით დაშვებულია შედარებით მსუბუქ სამუშაოზე არასრულწლოვანის მუშაობა ან კიდევ სპორტული, სახელოვნებო საქმიანობითაა დაკავებული, საიდანაც მნიშვნელოვან ჰონორარს იღებს. თუ არასრულწლოვანის ქონება არ არის საკმარისი გარიგების მეორე მხარისათვის ზიანის მიყენებისას მის საკომპენსაციოდ, მაშინ, როგორც **994-ე მუხლის** დანაწესიდან ჩანს, დგება არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენლის (წარმომადგენლების) სოლიდარული პასუხისმგებლობა[367].

114-ე მუხლის თანახმად, „თუ თანხმობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული წარმომადგენელს არ შეუძლია წარმოდგენილი პირის სახელით საკუთარ თავთან თავისი სახელით დადოს, ან როგორც მესამე პირის წარმომადგენელმა, დადოს გარიგება გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გარიგება არსებობს რაიმე ვალდებულების შესასრულებლად“. მუხლის დანაწესიდან აშკარად იკვეთება რომ წარმომადგენელი ვერ იქნება თავის თავის წარმომადგენელი წარმოდგენილ პირთან გარიგების დადებისას. იგი შეიძლება იყოს წარმოდგენილი პირის წარმომადგენელი სხვა, მესამე პირებთან გარიგების დადებისას, წარმომადგენელი ხომ შუამავლისაგან განსხვავებით „ნეიტრალური პირი“ არ არის, ერთი კონკრეტული მხარის წარმომადგენელია და მისსავე ინტერესს გამოხატავს გარიგების კონტრაჰენტთან. „საკუთარ თავთან გარიგების შემთხვევაში, იგი მოკლებულია წარმომადგენლობით ძალაუფლებას. ეს კანონით განსაზღვრული წესია, რომელსაც გააჩნია ორი გამონაკლისი: **ჯერ ერთი,** იგი ვალდებულებას კისრულობს საკუთარ თავთან გარიგების დადებით (ეს უფრო **ვალდებულების კისრებაა),** სხვას გადასცეს რაიმე. მაგალითად, **სსკ მ. 349-351,** „მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებების“ შემთხვევაში, როცა პირი სხვა პირთან დადებული ხელშეკრულებით კისრულობს (იღებს ვალდებულებას), რომ სარგებელი მიიღოს მესამე პირმა (ეთქვათ პაპამ შვილიშვილის ანგარიშზე ბანკში შეიტანა ანაბარი,

367. ი.ხარაზი, დასახ. ნაშრომი, გვ. 412-413.

რომელსაც შეილიშეილი სრულწლოვანების მიღწევისას შიიღებს), ან კიდევ, **სსკ მ. 525, ნ. 3:** „ჩუქების დაპირება წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას მხოლოდ მაშინ, თუ იგი წერილობითი ფორმითაა დადებული“. აქაც საკუთარ თავთან დადებული გარიგების დადებით (ცალმხრივი ნების გამოვლენა) პირმა ივალდებულა რაიმეს შესრულება. მაგალითად, **ა. ბ-ს** გადასცემს საჩუქრად ავტომობილს და ამით ვალდებულებას ასრულებს, რაც საჩუქრის შეპირებიდან გამომდინარეობს.

მოცემული მუხლით გათვალისწინებულია ორი შემთხვევა: **„თვითკონტრაჰირებისა“ და „წარმომადგენლობათა სიმრავლისა“. პირველ შემთხვევაში,** წარმომადგენელი გარიგებას დებს, როგორც თავისი ისე სხვისი სახელით. მაგალითად, წარმომადგენელი ყიდულობს წარმოდგენილი პირისაგან მიწის ნაკვეთს. მყიდველის ნების გამოვლენას იგი თავისი სახელით გამოხატავს, გამყიდველისას კი — გამყიდველის სახელით. **მეორე შემთხვევაში,** წარმომადგენელი წარმომადგენლობს ურთიერთობის როგორც ერთ, ისე მეორე მონაწილეს. მაგალითად, წარმომადგენელი ყიდულობს **ა-სთვის ბ-საგან** მიწის ნაკვეთს. მყიდველი ნებას გამოხატავს **ა-ს სახელით,** გამყიდველის **ბ-ს** სახელით. კანონი ორივე შემთხვევაში ხელუდავს წარმომადგენლობით ძალაუფლებას, ვინაიდანაც მოსალოდნელია ინტერესთა კონფლიქტი.[366]“

114-ე მუხლი წარმომადგენლობით ძალაუფლებას ხელუდავს, მხოლოდ იგი კანონისმიერი აკრძალვა არაა, ამიტომ თავის თავთან დადებული გარიგება უცილოდ ბათილი კი არა, არამედ მხოლოდ მერყევად ბათილია. იგი წარმოდგენილი პირის ინტერესების დაცვისკენაა მიმართული და მისი მოწონების შემთხვევაში გარიგება ნამდვილი იქნება დადებისთანავე. აღნიშნული მუხლის დანაწესი გამოიყენება კერძო — სამართლებრივი სხვა გარიგებების მიმართაც. აღნიშნული ნორმა ანალოგიურია გერმანული **BGB-ს 181 პარაგრაფისა, სადაც აღნიშნულია, რომ, „წარმომადგენელს**

366. საქართველოს სამოქალაქო კოდესის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 296.

არ შეუძლია – გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას პირდაპირ ეძლევა ნებართვა, – დადოს გარიგება მარწმუნებლის სახელით თავის თავთან არც საკუთარი სახელით ან არც როგორც მესამე პირის წარმომადგენელმა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარიგება მდგომარეობს მხოლოდ ვალდებულების შესრულებაში"[367].

კ ი თ ხ ვ ე ბ ი

1. საიდან გამომდინარეობს წარმომადგენლის უფლებამოსილება?

2. რა შემთხვევებშია წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგება ბათილი. პასუხი დაასაბუთეთ შესაბამის მუხლებზე მითითებით.

3. ნების გამოვლენის ნაკლის გამო გარიგების საცილოობისას ვისი ნებაა გადამწყვეტი გარიგების ნამდვილობისათვის?

4. როგორ ხდება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების (რწმუნების) გაცემა?

5. კანონით გათვალისწინებულ რა შემთხვევებში ქარწყლდება უფლებამოსილება?

6. რა შემთხვევაშია გარიგება ნამდვილი, როცა იგი იდება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე სხვისი სახელით?

7. შეიძლება თუ არა წარმომადგენელი იყოს შეზღუდულქმედუნარიანი პირი?

367 დამატ. იხ. Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 187-190; Гражданское уложение Германии, 2-е издание, Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands, 2. Auflage. Wolters Kluwer, стр. 35. გარიგებების შესახებ დამატ. იხ. ასევე, გ. თუმანიშვილი, „გარიგებები (სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება"), თბილისი, 2012.

8. ითვალისწინებს თუ არა კანონი საკუთარ თავთან ვარიგების დადებას?

ტესტები

1. მამამ 15 წლის შვილს, დათოს გადასცა 600 ლარი და სთხოვა საცხოვრებელ სახლთან ახლოს მდებარე მაღაზიაში ეყიდა მაგნიტოფონი. გამყიდველმა უარი უთხრა დათოს მაგნიტოფონის მიყიდვაზე, იმ მოტივით, რომ ის არასრულწლოვანი იყო და ასეთი ძვირადღირებული ნივთის შეძენის უფლება ჰქონდა მხოლოდ სრულწლოვანს.

სწორად მოიქცა თუ არა გამყიდველი?

ა. წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგება ნამდვილია მაშინაც, როცა წარმომადგენელი შეზღუდულად ქმედუნარიანი იყო.

ბ. არა, რადგან, არასრულწლოვანს ნებისმიერი გარიგების დადების უფლება აქვს.

გ. დიახ, რადგან, არასრულწლოვანს არ აქვს უფლება დადოს რაიმე გარიგება.

დ. დიახ, რადგან, არასრულწლოვანს არა აქვს უფლება დადოს გარიგება რომლის ფასი აღემატება 200 ლარს.

2. მჭედლიშვილმა დავითაძე აღჭურვა წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით დაედო სესხის ხელშეკრულება ლეონიძესთან და გადაეცა ამ უკანასკნელისათვის 1000 ამერიკული დოლარი. თავის მხრივ ლეონიძემ ამავე სესხის ხელშეკრულებაში წარმომადგენლად გამოიყენა იგივე დავითაძე.

სწორია თუ არა დავითაძის მოქმედება?

ა. არა, რადგან, წარმომადგენლის მეშვეობით გაფორმებული სესხის ხელშეკრულება ბათილია.

ბ. არა, რადგან. წარმომადგენელს არ შეუძლია წარმოდგენილი პირის სახელით და როგორც მესამე პირის წარმომადგენელმა დადოს გარიგება.

გ. დიახ, წარმომადგენელს აქვს უფლება იმავდროულად იყოს გარიგების მეორე მხარის წარმომადგენელიც დამატებითი თანხმობის გარეშე.

დ. არცერთი პასუხი სწორი არ არის.

კ ა ზ უ ს ი

ა. იმედაშვილმა თავისი მიწის ნაკვეთის გაყიდვა დააპირა სოფელში. ამ სოფელში მცხოვრებ ბ. თავაძეს სთხოვა, რომ მოეძებნა კლიენტი და ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას ა. იმედაშვილის წარმომადგენელი ყოფილიყო. ბ. თავაძემ წინადადება მიიღო, მაგრამ 2 წლის განმავლობაში მიწის ნაკვეთის მყიდველი არავინ გამოჩნდა. ბ. თავაძემ გადაწყვიტა თვითონ ეყიდა ა. იმედაშვილის მიწა და გააფორმა კიდეც ნასყიდობის ხელშეკრულება, სადაც ერთის მხრივ გამოვიდა, როგორც იმედაშვილის წარმომადგენელი, მეორეს მხრივ კი-როგორც ნივთის უშუალო მყიდველი. ა. იმედაშვილმა მოიწონა ბ. თავაძის გადაწყვეტილება.

კანონიერია თუ არა ამგვარად დადებული გარიგება?

თავი VI. უფლების განხორციელება

„უფლებისათვის ბრძოლა პოეზიაა ხასიათისა“
„უფლების დარღვევა გრიგალია ზნეობრივ სფეროში“
რუდოლფ ფონ იერინგი

„უფლება არის შეუწყვეტელი შრომა არა მარტო მართებლობისა, არამედ მთელი ერისა... საკუთრება და უფლება იანუსის ორთავიან თავს ჰგვანან: როცა ეროვი ადამიანისკენ ერთს მხარეს მიაქცევენ, იმავე დროს მეორე მხარეს მეორისაკენ მიიბრუნებენ... სიტყვა „უფლება“ იხმარება ორნაირი აზრით – **ობიექტიურითა და სუბიექტიურით. უფლება ობიექტიური აზრით** არის ერთობით იგი, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული, ძირითადი დებულებანი, რომელნიც წესრიგს ამყარებენ საზოგადოებაში, ე. ი. ცხოვრების კანონიერი წესრიგი. **უფლება სუბიექტიური აზრით** კი არის ობიექტიურ, განყენებულ ნორმათა ან დებულებათა საქმით მოხმარება ადამიანისაგან თავისი ინტერესების დასაცავად. ორივე შემთხვევაში უფლებას დაბრკოლება ეღობება წინ და ორივე შემთხვევაში უფლება იძულებულია სძლიოს იგი დაბრკოლება, ე. ი. თავისი არსებობა ბრძოლით განამტკიცოს....“[368].

ეს თავი დიდი იერინგის სიტყვებით იმიტომ დავიწყეთ, რომ კიდევ ერთხელ გვეჩვენებინა თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საკუთარი ინტერესების დაცვისათვის, კანონით მინიჭებული, თუ გარიგებებით განსაზღვრული უფლებების დაცვას სამართლის ნებისმიერ დარგში და კონკრეტულად ამ შემთხვევაში სამოქალაქო სამართალში, რამეთუ ისევ იერინგის სიტყვები რომ მოვიხმოთ,„უფლება თავისი ისტორიული განვითარებით წარმოგვიდგენს სურათს ძებნისას, ჭიდილისას, ბრძოლისას, ერთი სიტყვით ძალღონის სრულს ამუშავებას, მოხმარებას“[369]. პროფ. ბ. ზოიძის ხატოვანი გამოთქმით „მე თუ არ მეცოდინება უფლების სურნელი,

368. რუდოლფ ფონ იერინგი, ბრძოლა უფლებისათვის, თბილისი, 2008, გვ. 33-34.
369. რ. ფ. იერინგი, დასახ. ნაშრ; 38.

ვერც სხვის უფლებას ეცემ პატივს. ამიტომაც უნდა დაუჯეროთ იერინგს და ვამტკიცოთ, რომ უფლებისათვის ბრძოლას მავალდებულებს არა მარტო საზოგადოება, არამედ ჩემი თავი, რომელიც უფლების გარეშე არ არსებობს"[370].

სამოქალაქო სამართალი კერძო სამართლის სუბიექტებს გარკვეულ უფლებებს ანიჭებს და ასევე გარკვეულ მოვალეობებსაც აკისრებს, რისი დახმარებითაც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეები გარკვეულ ურთიერთობებში შედიან ერთმანეთთან და აწესრიგებენ კანონით მინიჭებულ ან ხელშეკრულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

„სამოქალაქო უფლება არის სამოქალაქო კანონმდებლობით სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთათვის მინიჭებული სამართლებრივი ძალაუფლება დაიცვას საკუთარი ინტერესი, მათ შორის, სასამართლოს მეშვეობით"[371].

სამოქალაქო უფლებები გარდა სამოქალაქო კოდექსისა, განმტკიცებულია სხვა კანონებში, კანონქვემდებარე აქტებში, საერთაშორისო ხელშეკრულებებში და სხვა; მაგრამ განსაკუთრებით მაინც გამოკვეთილია სამოქალაქო სამართალში.

სამოქალაქო უფლებები იყოფიან „აბსოლუტურ და რელატიურ (ფარდობით) უფლებებად. აბსოლუტური უფლებების დროს სამოქალაქო სამართლის სუბიექტს შეუძლია თავისი უფლების დაცვა ნებისმიერი ხელმყოფი პირისაგან მოითხოვოს, მიუხედავად იმისა, ამ ხელმყოფთან მესაკუთრეს ჰქონდა თუ არა რაიმე ურთიერთობა. აბსოლუტური უფლების დაცვა განსაკუთრებით გამოკვეთილია სანივთო სამართალში, ხოლო **რელატიური უფლებების დაცვის** დროს კი პირი შეზღუდულია მხოლოდ ხელმყოფი პირით (მოვალით). კრედიტორს მხოლოდ მოვალისაგან და არა ნებისმიერი პირისაგან შეუძლია თავისი შელახ-

370. ბ. ზოიძე, სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების გზა, უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში, ესეები, თბილისი, 2013, ესეედან: „უუფლებობისადმი შეგუების ნეგატიური შედეგები" (იერინგის გამო).

371. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გვ. 98.

ული უფლების დაცვა. გამომდინარე აქედან, აბსოლუტურ უფლებებზე არ მოქმედებს ხანდაზმულობის ვადა. მაშინ, როცა რელატიური (ფარდობითი) უფლებები ექვემდებარება სასარჩელო ხანდაზმულობას.

აბსოლუტური უფლებებია მაგალითად, პირადი უფლებები, საოჯახო უფლებები და ნივთებსა თუ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე (უფლებებსა და მოთხოვნებზე) ბატონობის უფლება. ავიღოთ მაგალითები: მ. 17. „სახელის დაცვის უფლება"; მ. 18. პირადი არაქონებრივი უფლებები", როგორიცაა ფიზიკური პირის სახელთან დაკავშირებული ისეთი პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა, როგორიცაა: პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია და სხვა. ასევე მ. 19. „პირადი უფლებების დაცვა გარდაცვალების შემდეგ", როცა გარდაცვლილის „შებღალულ" სახელს იცავენ ის პირები, რომლებიც თუმცა თვითონ არ არიან ამ სახელის ან პირადი ღირსების უფლების მატარებელი, მაგრამ საამისოდ აქვს დაცვის ღირსი ინტერესი, ან კიდევ ვალდებულებითი სამართლის წიგნიდან მ. 408-ის მე-2 ნაწილის ფორმულირება, ან კიდევ საავტორო სამართალი და ა. შ.

აბსოლუტური უფლების მაგალითი: ნივთის მესაკუთრეს უფლება აქვს ნებისმიერ პირს აუკრძალოს მის საკუთრებაში არსებული ნივთით სარგებლობა. გამოდის, რომ მესაკუთრის უფლება აბსოლუტურია და დაცულია ნებისმიერი სავარაუდო ხელმყოფისაგან.

ფარდობითი ურთიერთობის მაგალითი: აბულაძემ ბერიძისაგან შეიძინა მაცივარი, რომელიც კვინიკაძის საწყობში იმყოფებოდა და რადგან საწყობმა დაუგვიანა ბერიძეს მაცივრის გადაცემა და შესაბამისად ბერიძემ დროულად ვერ მიიღო ნასყიდობის საგანი, მყიდველი (აბულაძე) უფლებაშოსილია მხოლოდ ბერიძეს მოსთხოვოს ან ნივთის მისვლის დროულად გადაცემა, ან კიდევ ზიანის ანაზღაურება. გამოდის, რომ ფარდობით ურთიერთობებში მონაწილეობენ მხოლოდ კრედიტორი და მოვალე, თუმცა ეს როდი გამორიცხავს, რომ ერთ ან მეორე მხარეს იყოს რამდენიმე პირი (სოლიდარულ პასუხისმგებლობას, ან სოლიდარულ უფლებებს ჰქონდეს ადგილი სამოქალაქო სამართალში).

„რელატიურ უფლებებს მიკუთვნება: მოთხოვნები,აღმჭურველი უფლებები და შესაგებლები“[372]

მოთხოვნები წარმოიშობა როგორც სახელშეკრულებო, ისე კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობებიდან (მაგალითად, საზიარო უფლებებიდან (მ. 953-968); მაგალითი საზიარო უფლებებიდან: მ. 957, ნ. 2. **„თითოეულ მოწილეს შეუძლია სამართლიანი შეხედულების მიხედვით მოითხოვოს ყველა მოწილის ინტერესის შესაბამისი მართვა და სარგებლობა_“**; ან კიდევ, მ. 961 ნ.1 **„თითოეულ მოწილეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება“**; **„დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან“(მ. 969-975)**; მაგალითი: მ. 973: **„შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, აუცილებლად იქნა მიჩნეული“**; **„უსაფუძვლო გამდიდრებიდან“ (მ. 976-991)**; მაგალითი: მ. 985: **თუ ხელმყოფმა განზრახ არ გაითვალისწინა სხვა პირის უფლებამოსილება, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია მოითხოვოს ის მოგება, რომელიც აღემატება ქონებრივ დანაკლისს“.**

აღმჭურველი უფლებები პირს თავისუფალი ქმედების განხორციელების საშუალებით აღჭურავენ, ანუ მეორე მხარისაგან დამოუკიდებლად, მის დაუკითხავად, შეწყვიტოს, ან შეცვალოს გარკვეული ურთიერთობა. მაგალითად, **„მესამე პირთა სასარგებლოდ,– დადებული ხელშეკრულება“ (მ, 349-351)**; ავიღოთ აღნიშნული ნორმიდან მაგალითი: **მ. 350. ნ. 2**: „მხარეს, რომელმაც ხელშეკრულებაში გააკეთა დათქმა, მესამე პირის სასარგებლოდ, ინარჩუნებს უფლებას, შეცვალოს ხელშეკრულებაში მითითებული მესამე პირი, მიუხედავად კონტრაჰენტის თანხმობისა“; ან კიდევ, **ხელშეკრულებიდან გასვლის სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები (მ. 352-360)** და სხვა.

რაც შეეხება **შესაგებლებს**, ისინი უფლებამოსილებით აღჭურავენ პირებს გარკვეული მოქმედებების განხორციელებაზე უარი თქვან მეორე მხარის საპასუხო მოქმედე-

372. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გვ. 101.

ბის შესრულებამდე. მაგალითად, **მ. 363**: დამგირავებელს, რომელიც არ არის გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის პირადი მოვალე, შეუძლია მოგირავნეს წაუყენოს ის შესაგებლები, რომლის წაყენების უფლებაც აქვს პირად მოვალეს, მათ შორის ისეთი შესაგებლები, რომლებზედაც მოგირავნის პირადმა მოვალემ უარი თქვა გირავნობის წარმოშობის შემდეგ".

პრაქტიკაში ხშირად ჩნდება საკითხი ნივთებზე საკუთრების უფლებათა წარმოშობის შესახებ. „რომის სამართლიდან მოყოლებული ცივილური სამართლის ინტერესი ყოველთვის იყო, არის და იქნება საკუთრების უფლების წარმოშობის საკანონმდებლო დეტალები. იქედან გამომდინარე, ქონება მოძრავია თუ უძრავი და როგორია მასზე საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლები,არსებობს საკუთრების უფლების შეძენის **პირველადი და წარმოებული** სახე[373]. წარმოებული სახე ასევე ცნობილია **დერივატიული** სახელწოდებით. **პირველადია (თავდაპირველია)** საკუთრების უფლების წარმოშობის ისეთი საფუძველი, როცა პირი ნივთს იძენს ან თავდაპირველი მესაკუთრის გარეშე, ან ქონებაზე საკუთრება წარმოიშობა პირველად. **მაგალითად სამოქალაქო კოდექსის მ. 191, „საკუთრების შეძენა უპატრონო მოძრავ ნივთზე"**: „თუ პირი მფლობელობაში იღებს უპატრონო მოძრავ ნივთს, იგი იძენს საკუთრებას ნივთზე, თუკი მისი მითვისება კანონით არ არის აკრძალული, ან თუ მითვისებით არ არის დარღვეული იმ პირის უფლებები, რომელსაც ამ ნივთის მითვისების უფლება ჰქონდა" (ნ.1); ან კიდევ, **მ. 192**: „თუ აღმოჩენილია განძი, რომელიც ისე დიდხანს იყო დაფლული, რომ შეუძლებელია მისი მესაკუთრის დადგენა (განძი).". რაც შეეხება **საკუთრების წარმოშობის ნაწარმოებ (დერივატიულ)** საფუძველს, – საკუთრების უფლება ნივთზე ახალ მესაკუთრეს გადაეცემა წინა მესაკუთრის მიერ უფლებამონაცვლეობით. შესაბამისად, პირველადი საფუძველი წარმოებულისაგან

373. თ. ჩიტოშვილი, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, თბილისი, 2006, გვ. 5.

განსხვაყდება ნების კრიტერიუმით, ანუ, პირველ შემთხვევაში, საკუთრების უფლების გადაცემა ხდება მესაკუთრის ნების გარეშე, ხოლო, მეორე შემთხვევაში, წინა მესაკუთრის ნებით; მაგალითად, ყიდვა-გაყიდვა, მემკვიდრეობით გადაცემა, რეკვიზიცია, ნაციონალიზაცია და სხვა[374].

სამოქალაქო უფლებები **გადაცემადი უფლებებია,** მაგრამ ეს როდი ეხება **პირად უფლებებს,** რომლის **გადაცემაც დაუშვებელია** სხვა პირებისათვის. აქვე არ შეიძლება არ შევეხოთ საკუთრების უფლების **გადაცემის ფორმებს** სამოქალაქო სამართალში, კერძოდ: უძრავ ნივთებზე საკუთრების გადაცემისათვის კანონი ითვალისწინებს მკაცრად რეგლამენტირებულ ფორმებს, კერძოდ, **სსკ 183-ე მუხლის** მიხედვით, „უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში". რაც შეეხება მოძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის ფორმებს, იგი მარტივია, ითვალისწინებს **ზეპირ ფორმას** საკუთრების უფლების შეძენისა, მაგალითად, **მ. 186.** „მოძრავ ნივთზე საკუთრების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი. როგორც ვხედავთ აქ მთავარია „ნამდვილი უფლების საფუძველზე" ნივთის გადაცემა, ანუ საკუთრების უფლების გადამცემი ბუნებრივია ამ ნივთის მესაკუთრე უნდა იყოს; ან კიდევ, **მ. 624 (ნ.1).** „სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად". ბუნებრივია კანონის ეს იდეა მოდის იქედან, რომ სესხის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ მოძრავი ნივთები, თუმცაღა კანონი ასევე მხარეებს როდი უკრძალავს, რომ მოძრავ ნივთებზე წერილობითი ფორმით დადონ ხელშეკრულება და ეს ხელშეკრულება გაატარონ საჯარო რეესტრში. აქ გამოიყენება სავინის **„იურიდიული ფიქციის თეორია".**

სამართლებრივი უფლებები არა მარტო წარმოიშობიან და იცვლებიან, არამედ **არსებობასაც წყვეტენ.** უფლება ხომ კონკრეტულ პირებს უკავშირდება და ბუნებრივია, რომ კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში

374. თ. ჩიტოშვილი, დასახ. ნაშრ; გვ. 6-7.

ხშირ შემთხვევაში წყვეტს უფლებასაც. მაგალითად, **მ. 452.** „ვალდებულებითი ურთიერთობა შეწყდება, თუ მოვალე და კრედიტორი ერთი და იგივე პირი აღმოჩნდება“; ან კიდევ, **მ. 453.** „მოვალის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, თუ შესრულება შეუძლებელია მისი პირადი მონაწილეობის გარეშე“. კრედიტორის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, თუ შესრულება გათვალისწინებული იყო პირადად „კრედიტორისათვის“. პირის გარდაცვალება ყოველთვის როდი იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, ხშირად მისი მემკვიდრე ხდება ვალდებული მისი მოვალეობების შესრულებაზე. მაგალითად, **მ. 143.** „თუ ნივთი, რომლის მიმართაც არსებობს სანივთო მოთხოვნა, უფლებამონაცელეობის გზით მესამე პირის მფლობელობაში აღმოჩნდება, მაშინ უფლებრივი წინამორბედის მფლობელობაში გასული ხანდაზმულობის ვადა გამოიყენება აგრეთვე უფლებამონაცელის მიმართაც“; ან კიდევ, **მ. 1484** ითვალისწინებს ისეთ სამართლებრივ შემთხვევას, როცა მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეები არიან ვალდებული მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში, თითოეულის წილის პროპორციულად“**(61). კანონის საფუძველზე უფლების შეწყვეტა** შეიძლება მაგალითად, **ვალდებულების შესრულებით. მაგალითი: მ. 427.** „ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით“; ან კიდევ, მიზნის მიღწევის სხვა შედეგების მიხედვით. მაგალითად, როცა იურიდიული პირის მიზანი შესრულებული იქნება და სხვ.

„სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები“, სამოქალაქო კოდექსის **„მეფური“ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის** მოთხოვნა საერთოა არა მარტო სამოქალაქო ურთიერთობებისათვის, არამედ მთელი კერძო სამართლისათვის და ეს პრინციპი განსაკუთრებით ნათლად იკვეთება სამოქალაქო სუბიექტების მიერ თავიანთი უფლებების განხორციელებისას რომელ-

საც **ეძღვნება სსკ-115-120 მუხლები.** თუ გადავხედავთ გერმანული სამოქალაქო კოდექსის **226-231**[375] პარაგრაფებს შევნიშნავთ, რომ გერმანული სამოქალაქო კოდექსის მეექვსე განყოფილება, **„უფლების განხორციელება, თვითდაცვა, თვითდახმარება“** იწყება **(§226) „უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობით“,** კერძოდ, **დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას“.** ამ პარაგრაფის პირდაპირი გამოძახილია ქართული სამოქალაქო კოდექსის **115-ე მუხლი „უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა“,** სადაც კანონმდებლის ნება გამოხატულია, რომ: „სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას“[376].

კეთილსინდისიერი და მართლზომიერი ქცევა კერძო სამართლის სუბიექტების და არა მარტო კერძო სამართლისა, ქცევის აუცილებელი კრედო უნდა იყოს თავიანთი უფლების განხორციელებისას. ეს ამავე დროს მათი ზნეობრივი მოვალეობაცაა. ჩვენ კეთილსინდისიერების პრინციპს არაერთხელ შევხებივართ ცალკეულ თემებზე საუბრისას, აქ კიდევ ერთხელ ავღნიშნავთ, რომ კეთილსინდისიერად ქცევა, სამოქალაქო სამართალში ზოგადად მოქმედ კეთილსინდისიერების ვარაუდს ეფუძნება. სამართლის სუბიექტის უფლებრივი ხედვაც ხომ კეთილსინდისიერე-

375. დამატ. იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB), 2010 წლის 1 მარტის მდგ; ზ. ჭეჭელაშვილის თარგმ; Гражданское уложение Германии, 2-е издание, Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands, 2. Auflage. Wolters Kluwer, 2006; Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 230-234.

376. სასამართლოები ცალკეულ შემთხვევებში მიმართავენ უფლების ბოროტად გამოყენების ნორმებს ე. წ. „შიკანას“. სწორედ ამის საფუძველზე დაევალა მეზობელს აიღოს თავისი ნაკვეთიდან გროვებად დაყრილი ძველმანები, სხვადასხვა ძველი ნივთები, რაც ესთეტიკური აზრით ხელყოფს მეზობელი მიწის ნაკვეთის მფლობელის უფლებებს. იხ. ბ. ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, გვ. 113.

ბაზეა დაფუძნებული. „კეთილსინდისიერების დეფინიციას სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა. კეთილსინდისიერი ქცევა არაა სამართლებრივი ქცევის ტოლფასი. ყოველგვარი არამართლზომიერი მოქმედება არაა იმავდროულად არაკეთილსინდისიერი მოქმედება და პირიქით, არაკეთილსინდისიერი ქცევა ყოველთვის არ არის არამართლზომიერი ქცევა. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით, ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას“[377]. კეთილსინდისიერ ქცევაზე ხშირ შემთხვევაში თვითონ კანონმდებელი ამახვილებს ყურადღებას. მაგალითად, **სსკ მ.361 („ვალდებულების არსებობის პრეზუმფცია“), მ. 969 („დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება კეთილსინდისიერად“), მ.731 („კეთილსინდისიერების მოთხოვნა ექსპედიტორისაგან“)** და სხვა. კეთილსინდისიერების ფაქტორი ზოგიერთ დარგში კერძო სამართლისა, მომეტებულია თვით ამ ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე. მაგალითად, **კანონის „მეწარმეთა შესახებ“ მ. 9, ნ.6** მოითხოვს, ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირების და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ საზოგადოების საქმეების გაძღოლას კეთილსინდისიერად, კერძოდ ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის“, ასევე ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული **731-ე მუხლის** შემთხვევაში სატრანსპორტო ექსპედიციის შემთხვევაში ექსპედიტორს ევალება „კეთილსინდისიერი ექსპედიტორის გულისხმიერება და მოქმედება“.

რაც შეეხება **მართლზომიერ ქცევას** სამოქალაქო უფლებების (და არა მარტო სამოქალაქო უფლებების) განხორციელებისას, იგი უნდა განხორციელდეს სამართლის ნორმების შესაბამისად ისე რომ სხვას ზიანი არ მიადგეს. მართლზომიერი ქცევა სამართლებრივი ქცე-

377. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გვ. 270.

ვის ერთ-ერთი სახეობაა და იგი თავისი მასშტაბით საზოგადოების წევრების საზოგადოებრივად სასარგებლო შეგნებული ქცევაა, რომელიც სამართლებრივ ნორმებს შეესაბამება და მათი დაცვის გარანტიებს სახელმწიფო იძლევა. საზოგადოებრივ ურთიერთობაში პირების უმრავლესობა მათლზომიერად იქცევა, ე.ი. არ არღვევს კანონს, სარგებლობს მათთვის მინიჭებული უფლებებითა და თავისუფლებით, ასრულებს ნაკისრ მოვალეობებს და ეს მისი ზნეობრივი მოვალეობაცაა.

უფლების ბოროტად გამოყენება კი მართლსაწინააღმდეგო, **არამართლზომიერი ქცევაა**. მართლსაწინააღმდეგოდ იქცევა ის, რომელიც სამაროლებრივ დანაწესებს არღვევს, არ იცავს სამართლის ნორმათა მოთხოვნებს, დადგენილს სახელმწიფოს მიერ. მართლსაწინააღმდეგოდ არამარტო ის იქცევა, ვინც აქტიურად მოქმედებს (ზიანს აყენებს სხვას, ხელს უშლის პირს თავისი უფლებების განხორციელებაში, არ ასრულებს ვალდებულებებს). გამოდის, რომ იგი მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს, ხატოვანი გამოთქმა რომ ვიხმაროთ **„კანონის დინების საწინააღმდეგოდ მოძრაობს"** და ამით არღვევს სხვა პირთა უფლებებს. ასეთი არამართლზომიერი, მართლსაწინააღმდეგო ქცევა სამოქალაქო ურთიერთობის სუბიექტისა იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, რომელიც არა მარტო ქონებრივი, არამედ არაქონებრივი, მორალური ზიანის დადგომის დროს გამოიყენება.

სამოქალაქო კანონმდებლობა (და არა მარტო სამოქალაქო) იცნობს **პირთა აქტიურობის გამოვლენის** შემთხვევებს საზოგადოებრივად საშიში ხელყოფისას, როცა სხვა პირის მართლსაწინააღმდეგო ქცევა ემუქრება იმ პირის ინტერესს, რომლისთვისაც მესამე პირის მხრიდან მოსალოდნელია საფრთხე და სხვა, მესამე პირების ინტერესსაც და რომლის გადარჩენისათვის ისწრაფვის კონკრეტული პირი, რომელიც მოქმედებს აუცილებელი მოგერიების ფარგლებში და ასრულებს მართლზომიერ მოქმედებას, რომლის დროსაც დამდგარი ზიანი არ ანაზღაურდება **(სსკ. მ. 116, ნ. 1)**, გარდა იმ შემთხვევებისა, თუკი ადგილი არ

ქნება აუცილებელი მოგერიების ზღვრის გადაცილებას. ასევე, აუცილებელ მოგერიებად ჩაითვლება ისეთი თავდაცვა, რომელიც აუცილებელია საკუთარ თავზე ან სხვებზე რეალური მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის მოსაგერიებლად **(სსკ. მ. 116, ნ. 2). აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილი** აფიქსირებს არა მარტო ისეთ შემთხვევას, როცა პირი საკუთარი ინტერესის გადარჩენისათვის აყენებს „მოძალადეს“ ზიანს, არამედ ისეთ სიტუაციებსაც, როცა იგი სხვა პირთა საზოგადოებრივ და ამავე დროს სახელმწიფოებრივ ინტერესსაც იცავს. ამ დროსაც დამდგარი ზიანი არ ანაზღაურდება ბრალეული პირის მიმართ და იმ პირის მიმართაც, ვისი ინტერესიც გადარჩა პირის მიერ, ვინც მართლზომიერად მოქმედებდა. მაგრამ მართლზომიერი მოქმედება არ უნდა სცდებოდეს სამართლის ნორმების ჩარჩოებს, საფრთხე რეალურად უნდა არსებობდეს, რომ თუ ამ პირის აქტიური სამართლებრივი მოქმედება რომ არა, ხელმყოფი სერიოზულ ზიანს მიაყენებდა კერძო პირთა ინტერესსაც და სახელმწიფოსაც. არსი ამ მუხლისა ის არის, რომ საფრთხის რეალობა აშკარად უნდა არსებობდეს და „სიკეთის გადამრჩენის“ მოქმედებაც სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ამ სიკეთის გადარჩენასთან, ამასთან ადგილი არ უნდა ჰქონდეს მიღებული ზომებით ფარგლების გადაცილებას, თორემ „სიკეთის გადამრჩენიც“ ვალდებული იქნება სხვისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. ამ შემთხვევაში, პირი სხვა პირზე „თავდასხმის“ დროს ფიქრობს, რომ გადაარჩინოს სხვისი სიკეთე, რამეთუ თუ არ გადაარჩენს სხვის სიკეთეს, ვთქვათ ქონებას, საფრთხე კვლავ აშკარაა და რომ დადგება მართლსაწინააღმდეგო ქმედება. მაგალითად, მოძალადე ცდილობს ქუჩაში გამვლელს წაართვას ხელჩანთა და გაიქცეს, ამ დროს ქუჩაში გამვლელი მოქალაქე, რომელიც ხედავს ძალადობის ამ ფაქტს, რომ პირი ვერ იცავს დამოუკიდებლად თავს მოძალადისაგან, ძალისმიერ მეთოდს მიმართავს მოძალადის მიმართ, ვთქვათ ჯიკავში მსუბუქად დააზიანებს. საინტერესოა, შეუძლია თუ არა მოძალადეს **სსკ 408 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით** მოითხოვოს ყოველთ-

ვიური სარჩო ან მკურნალობის ხარჯები. ცხადია არა, რადგან **116-ე მუხლის 1-ლი ნაწილის** თანახმად, „აუცილებელი მოგერიების ფარგლებში განხორციელებული მოქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო და ამ დროს დამდგარი ზიანი არ ანაზღაურდება“.

ქართული სამოქალაქო კოდექსის **მ. 116** ანალოგიურია **BGB-ის § 227**, სადაც გაწერილია, რომ: „აუცილებელი მოგერიების ფარგლებში განხორციელებული მოქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო **(1); (2).** აუცილებელ მოგერიებად ჩაითვლება ისეთი თავდაცვა, რომელიც აუცილებელია საკუთარ თავზე ან სხვა პირებზე რეალური მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის მოსაგერიებლად“.

უკიდურესი აუცილებლობისას სახეზე გვაქვს მართლზომიერი ინტერესის კოლიზია, რამეთუ პირს შეუძლია განსაკუთრებული გარემოებების გამო შეიჭრას მესამე პირთა სიკეთეში“. **უკიდურესი აუცილებლობა** მაშინ ჩნდება, როცა იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად მიყენებული ზიანი, რომელიც მოცემულ გარემოებაში არ შეიძლებოდა თავიდან აცდენილიყო სხვა საშუალებით და, მიყენებული ზიანი აცდენილ ზიანზე ნაკლებ მნიშვნელოვანია და ზიანის მიმყენებელმა მიყენებული ზიანი უნდა აანაზღაუროს **(სსკ მ. 117 ნ.1).** უკიდურესი აუცილებლობისას როგორც თვით ტერმინი მიგვანიშნებს, სხვისი საზოგადოებრივი თუ პირადი ინტერესის გადამრჩენ პირს უხდება ზიანი მიაყენოს იმ პირს, რომელიც არამართლზომიერად იჭრება სხვის სიკეთეში, ამის უფლებას მას განსაკუთრებული გარემოებები აძლევენ (ინტერესთა კოლიზია), რომ გადაარჩინოს სხვისი სიკეთე. ოღონდ გადარჩენილ სიკეთეს უფრო დიდი მნიშვნელობა (ღირებულება) უნდა ჰქონდეს, ვიდრე მიყენებულ ზიანს. ქცევა ცხადია მართლზომიერი უნდა იყოს და პირის მოქმედება (სიკეთის გადამრჩენისა) უნდა იყოს იმდენად აუცილებელი (მან ხომ შეიძლება გარკვეული სახის ზიანიც მიაყენოს პირის ქონებას, რომელსაც სხვისი ხელყოფისაგან (დაწვისაგან, დანგრევისაგან და ა. შ.) იცავს), რამდენადაც ასეთი ქცევა მართლზომიერია და აუცილებელი სიკეთის გადასარჩენად.

„იმ ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით, რომლებშიც მიყენებული იყო ზიანი, მისი ანაზღაურება შეიძლება დაეკისროს მესამე პირს, რომლის ინტერესებისთვისაც ზიანის მიმყენებელი მოქმედებდა, ანდა მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს ანაზღაურებისაგან როგორც მესამე პირი, ისე ზიანის მიმყენებელიც“ (სსკ მ.117, ნ.2). აღნიშნულ ინსტიტუტს BGB-ის §228 ეძღვნება. იგი უფრო დაკონკრეტებულია და აკვალიფიცირებს შემთხვევებს, როცა სახეზე გვექნება უკიდურესი აუცილებლობა. ასეთი შემთხვევებია: პირი აზიანებს ან ანადგურებს სხვის კუთვნილ ნივთს ამ უკანასკნელისაგან საკუთარი თავის ან სხვა პირებისაკენ მიმართული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, არ მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ, თუ დაზიანება ან განადგურება აუცილებელია საფრთხისაგან დასაცავად და ზიანი საფრთხის არაპროპორციული არ არის. თუ საფრთხის გამომწვევი პირი მოქმედებდა ბრალეულად, მაშინ იგი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი“.

როგორც ქართული სამოქალაქო კოდექსის ნორმიდან (ასევე BGB-დან) აშკარად იკვეთება უკიდურესი აუცილებლობის დროს მიყენებული ზიანი ანაზღაურებადია. მისი ანაზღაურება შეიძლება დაეკისროს იმ პირსაც, რომელმაც ზიანი მიაყენა ხელმყოფს, თუმცა უკიდურესი აუცილებლობის დროს მიყენებული ზიანი მართლზომიერია. სხვისი სიკეთის გადამრჩენს ზიანის კომპენსაცია შეიძლება დაეკისროს, თუ იგი გადასცდა უკიდურესი აუცილებლობის (მართლზომიერების) ფარგლებს, მიყენებული ზიანი მეტია აცდენილ სიკეთეზე. ამავე დროს ზიანის გადახდა შეიძლება მესამე პირსაც დაევალოს, რომლის ქონებრივი სიკეთეც გადარჩა ხელყოფისაგან იმ პირის სასარგებლოდ, რომლის ინტერესებისათვის ზიანის მიმყენებელი მოქმედებდა (სახლის დაწვისაგან გადარჩენისას, რომელსაც ხელმყოფი ცდილობდა, პირს დაეწვა ძვირფასი ქურთუკი, თუ ჯანმრთელობას ზიანი მიადგა, ეთქვათ დამწვრობა მიიღო, მას მკურნალობის ხარჯიც უნდა გამოუყოს (აღუდგეს პირვანდელი მდგომარეობა), ასევე ზიანის მთლიანი გადახდა დაეკისროს ხელმყოფს. სასამართლო ასევე უფლებამოსილ-

ია საქმის გარემოებების გათვალისწინებით განხორციელებული ქმედობის მართლზომიერების გამო მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს ზიანის ანაზღაურებისაგან როგორც მესამე პირი რომლის სიკეთეც გადარჩა, ასევე ზიანის მიმყენებელიც (ვინც სხვისი სიკეთის გადარჩენას ცდილობდა ხელმყოფისათვის ზიანის მიყენებით).

სამოქალაქო სამართალი იძულებას, სხვის უფლებებში უხეშად ჩარევას ვერ ითმენს, თუმცა მასში გვხვდება ნორმა, რომელიც გარკვეულ შემთხვევებში უშვებს ე. წ. „ძალის გამოყენებას“, მაიძულებელი პირის წინააღმდეგ. სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს **თვითდახმარების ფარგლებს (სსკ მ. 118),** როცა პირს საკუთარი ძალებით უხდება საკუთარი ან სხვისი სიკეთის გადარჩენა, როცა სხვა საშუალება არ არის კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების დახმარებისა, შეიძლება რომ მას მნიშვნელოვანი ზიანი მიადგეს ხელმყოფისაგან, ან კიდევ საფრთხე შეექმნას მის სიცოცხლესაც ხელმყოფის მხრიდან. მაგალითად, შეშის მჭრელი, რომელიც ტყეში შეშას ამზადებს და თან ახლავს არასრულწლოვანი შვილი, ამ დროს მასთან მივიდა მოძალადე, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი პირები და სიცოცხლის (მისი და მისი შვილის) მუქარით აიძულებდნენ, რომ მათთვის შეშა დაეთმო, თან ფიზიკურად უსწორდებოდნენ მის შვილს. რა უნდა მოიმოქმედოს პირმა ტყეში, სადაც სამართალდამცავები ვერ მოუსწრებენ, ბუნებრივია თვითდაცვას უნდა მიმართოს და ამის უფლებას აძლევს კიდეც მას **სამოქალაქო კოდექსის 118-ე მუხლი.**

სსკ 118-ე მუხლის პირველი წინადადება კუმულაციურია, კერძოდ თვითდახმარების გამოყენებას კანონი ითვალისწინებს როცა ერთდროულად ორი პირობა არსებობს: 1) თუკი კომპეტენტური ორგანოების დახმარება დროულად ვერ განხორციელდება და 2) სწრაფი ჩარევის გარეშე არსებობს საფრთხე, რომ უფლება ვერ განხორციელდება, ან მისი განხორციელება არსებითად გართულდება. გამოდის, რომ ხელმყოფი საშიშია არა მარტო იმ პირისათვის, რომელიც იძულებულია უკიდურეს ზომას

– თვითდახმარებას მიმართოს აუცილებელი იძულების ზომების გამოყენებით, არამედ ზოგადად საზოგადოებისათვის, სახელმწიფოსათვის. **როგორია ეს თვითდახმარება, რა შეუძლია პირს, რომლის ქონებას, სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება?** პასუხისათვის მივმართავთ **სსკ 118-ე მუხლს,** რომ მას შეუძლია თვითდახმარების მიზნით „მოძალადეს“ წაართვას ნივთი, რომლითაც იგი ემუქრება პირს (ეს შეიძლება იყოს ყოველგვარი ნივთი, რომლითაც პირისათვის ზიანის მიყენება შეიძლება: დანა, ცული, ასანთი, იარაღი და ა.შ.) გაანადგუროს, დააზიანოს ეს ნივთი, ან კიდევ შეიპყროს ეს პირიც, თუ არსებობს აშკარა საფრთხე იმისა, რომ იგი შეიძლება მიიმალოს და დაემალოს მართლმსაჯულებას. ერთი სიტყვით, პირს, რომელიც მართლზომიერად მოქმედებს ვალდებული პირის წინააღმდეგ, შეუძლია მისი კანონსაწინააღმდეგო ქმედების აღსაკვეთად გამოიყენოს ყველანაირი მართლზომიერი საშუალებები, რომ აღიკვეთოს იმ პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, რომელიც მას უნდა შეესრულებინა.

მაინც როგორია თვითდახმარების ფარგლები? ამის დადგენა არც თუ ისე ადვილია. კანონმდებელი საკმაოდ პედანტურად უდგება ამ საკითხს, რათა თვითდახმარების უფლების განმახორციელებელი თვითდახმარების ფარგლების გადაცილებისას არ იქცეს პრალეულად. ამიტომ, **სსკ 119-ე მუხლის პირველი ნაწილი** აწესებს დებულებას, რომ „თვითდახმარება არ შეიძლება გასცდეს იმ ფარგლებს, რომლებიც აუცილებელია საფრთხის თავიდან ასაცილებლად“. ეს კანონის იმპერატიული მოთხოვნაა. იგი ერთგვარი გარანტიაა იმისა, რომ კერძო პირმა აუცილებელი თვითდახმარების ფარგლების გაღაცილებით თვითნებური მოქმედებები არ განახორციელოს სახელმწიფო კომპეტენტური ორგანოების ნაცვლად. თუ ხელმყოფს თან აქვს ნივთი, რომლითაც ემუქრება პირს (მაგ; იარაღი), ეს უკანასკნელი უფლებამოსილია წააროვას ეს იარაღი, ან კიდევ შეიპყროს პირი, თუ არსებობს გაქცევის საფრთხე და ჩააბაროს კომპეტენტურ ორგანოებს (პოლიციას), ხოლო წართმეულ ნივთზე უნდა გაკეთდეს განცხადება დაყადაღე-

ბის შესახებ. თუ ეს დროულად არ მოხდება, ან კიდევ ყადაღის დადებაზე უარი ეთქმება, მაშინ ყადაღა უნდა მოიხსნას. თუ ვალდებული პირის დაპატიმრებაზე თხოვნა უარყოფილ იქნება, ვალდებული პირი უნდა გათავისუფლდეს, ეს იმას როდი ნიშნავს რომ მის მიმართ გარკვეული სახის პასუხისმგებლობაზე საკითხი არ დადგება. ეს კონკრეტული ფაქტის შეფასების შემდეგ უნდა დადგინდეს. თვითდახმარების ფარგლები ცხადია არ უნდა სცდებოდეს კანონით მოხაზულ წრეს, თორემ ის ძალადობად გადაიქცევა, რასაც მოძალადე მხარის დასჯა მოჰყვება ხოლმე, აქ, ამ შემთხვევაში, ვავითარებთ აზრს იმის შესახებ, რომ იძულება ძალადობამ არ უნდა შეცვალოს და აღიარებულ ფასეულობებს საფრთხე არ უნდა შეექმნას. სამართლებრივად დასაბუთებული იძულების წინაშე ყველამ უნდა „დაიხაროს“.

ანალოგიურად რეგულირდება თვითდახმარების ფარგლები გერმანულ სამოქალაქო სამართალშიც **(§230, §231[378] („თვითდახმარება შეცდომით“)** შეიცავს დანაწესს ქართული **სსკ-ის 120 მუხლის** ანალოგიურად **(„ზიანის ანაზღაურების ვალდებულება)“** და სადაც საუბარია იმ შემთხვევაზე, როცა პირი **118-ე მუხლში** გათვალისწინებულ მოქმედებას განახორციელებს იმ მცდარი ვარაუდით, თითქოს ეს აუცილებელი იყო მართლსაწინააღმდეგო მოქმედების თავიდან ასაცილებლად, ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ამ დროს წარმოშობილი ზიანი“), სადაც საუბარია პირზე, რომელიც თვითდახმარების **§229 მუხლში** მითითებულ მოქმედებებს ახორციელებს მცდარი ვარაუდით, რომ სახეზე იქნებოდა მართლზომიერების გამომრიცხავი საფუძვლები, ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ამ დროს წარმოშობილი ზიანი, მაშინაც კი, როდესაც შეცდომა არ იყო გაუფრთხილებლობის შედეგი“.

378.დამატ. იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB), 2010 წლის 1 მარტის მდგ; ზ. ჭეჭელაშვილის თარგმ; Гражданское уложение Германии, 2-е издание, Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands, 2. Auflage. Wolters Kluwer. Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck S. 233-234.

კ ი თ ხ ვ ე ბ ი

1. რას ნიშნავს გამოთქმა „სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად"?

2. განმარტეთ: „აუცილებელი მოგერიება", „უკიდურესი აუცილებლობა". შეეადაროთ იგი ადმინისტრაციულ სამართალსა და სისხლის სამართალში მოცემულ დეფინიციებს. გააკეთეთ შედარებითი ანალიზი.

3. როგორია თვითდახმარების ფარგლები?

ტ ე ს ტ ე ბ ი

1. აუცილებელი მოგერიების ფარგლებში განხორციელებული მოქმედება:

ა. მართლსაწინააღმდეგოა, რადგან პირს ადგება ზიანი, რომელიც უნდა ანაზღაურდეს

ბ. მართლზომიერია, მაგრამ ზიანის ანაზღაურებას არ ითვალისწინებს

გ. არ არის მართლსაწინააღმდეგო და ამ დროს დამდგარი ზიანი არ ანაზღაურდება

დ. არც ერთი პაუხი არ არის სწორი.

2. თვითდახმარება:

ა. შეიძლება გასცდეს იმ ფარგლებს, რომლებიც აუცილებელია საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

ბ. არ შეიძლება გასცდეს არანაირ ფარგლებს.

გ. შეიძლება გასცდეს იმ ფარგლებს, რომლებიც აუცილებელია საფრთხის თავიდან ასაცილებლად, თუ იგი სახელმწიფო ინტერესს ეხება.

დ. არც ერთი პაუხი არ არის სწორი.

ა. ბერიძე ტყეში საზამთროდ შეშას ამზადებდა და ურემზე აწყობდა, რომელშიც ხარები იყო შებმული. ამ დროს ტყეში გამოჩნდა მისი მეზობელი ო. ლეონიძე, რომელმაც განიზრახა მისთვის შეშის წართმევა და იარაღით ემუქრებოდა, თუ ა. ბერიძე მას ნებაყოფლობით არ დაუთმობდა დამზადებულ შეშას. ა. ბერიძემ უარი განუცხადა ო. ლეონიძე, რომელიც მთვრალი იყო, ემუქრებოდა ა. ბერიძეს სიცოცხლის ხელყოფით და ამავე დროს ხარების დახოცვით. ა. ბერიძემ, რომელსაც არ შეეძლო კომპეტენტური ორგანოებისათვის დაუყოვნებლივ მიემართა, თვითონ გადაწყვიტა თვითდახმარებისათვის მიემართა. იგი „შეებრძოლა“ ო. ლეონიძეს, რომ მისთვის იარაღი წაერთმია. ამ დროს, იარაღი გავარდა და ო. ლეონიძემ სხეულის დაზიანება მიიღო. მან სასამართლოს მიმართა.

რა გადაწყვეტილებას გამოიტანდა სასამართლო: 1. თუ ო. ლეონიძე სხეულის მსუბუქ დაზიანებას მიიღებდა?

2. ო. ლეონიძისათვის სხეულის მძიმე დაზიანების შემთხვევაში?

პასუხი დაასაბუთეთ შესაბამის მუხლებზე მითითებით.

თავი VII. ვადები და სანდაზმულობა

§. 1 ვადების გამოთვლა

„დრო არა მარტო წარმოშობს უფლებას, არამედ
სპობს კიდეც მას“
რუდოლფ ფონ იერინგი

„დრო ცოცხალია და ცხოვრება დროებითი“
გასტონ ბაშლარი

„ვალდებულების ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შესრულება სამოქალაქო სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპია. სამოქალაქო სამართლის ფუნდამენტური თავისებურებაც ისაა, რომ იგი შესრულებაზე ორიენტირებული სამართალია. მთავარი ვალდებულების შესრულებაა და არა პასუხისმგებლობა მისი შეუსრულებლობისათვის.

ფართო ადგილი ეთმობა სამოქალაქო სამართალში ვადების პრობლემას, რომელიც საზოგადოებრივი ურთიერთობების დროში რეგლამენტირების უნივერსალური საშუალებაა, და ეს შეიძლება განხორციელდეს როგორც ნორმატიული, ისე ინდივიდუალური ნების გამოვლენის საფუძველზე, იმპერატიული ან დისპოზიციური ნორმით“[378].

„ვადის სამართლებრივი ბუნების საკითხი ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, ამ ვადებით სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ სიბრტყეში ხდება. ასევე საინტერესოა თავად მხარეთა ნების გამოხატვის ხარისხი, ანუ ვადა ცალსახადაა დადგე-

---

378. ი.ხარაზი, სამოქალაქო სამართალი (ზოგადი დებულებები), ლექციების კურსი იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის (მეორე გადამუშავებული გამოცემა), თბილისი, გვ. 439.

ნილი თუ ბუნდოვანი და ნაგულისხმევია"[379].

„ვადა დროის მონაკვეთია. ამ მონაკვეთში ხდება ყველა მოვლენა, რასაც კი ადამიანის გონება აცნობიერებს"[380].

„სამართლის მეცნიერებაში დამკვიდრებული განსაზღვრებით, ვადა არის სამომავლო მოვლენა, რომლის დადგომაც უეჭველია. მის შესახებ ამბობენ, რომ ის „მიმდინარეობს", რომ ის „ამოიწურა", ის არის „განმავლობაში", ის „სრულდება", ის „ისპობა" და ა.შ"[381].

ვადები, დროის ფაქტორი განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ყოველთვის სამაროლებრივი ურთიეროობის მონაწილეებისათვის მათ შორის ურთიერთობის სამართლებრივ მოწესრიგებაში. სამართლით მოწესრიგებული ურთიერთობებიდან წარმოშობილი უფლებები და მოვალეობები ყოველთვის არსებობენ დროში. კიდევ მეტიც, კანონი დროის გასვლას უკავშირებს უფლების წარმოშობას, შეცვლას და შეწყვეტას. ვადა სამართლებრივი ბუნებით იურიდიული ფაქტია, რომელთანაც მრავალი სამართლებრივი ურთიერთობების დროში ცვლილებებია დაკავშირებული. **სსკ 121-ე მუხლის** თანახმად, „კანონში, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და გარიგებებში მითითებული ვადების მიმართ გამოიყენება ამ თავში გათვალისწინებული წესები".

სამოქალაქო კოდექსში ვადების გამოთვლას **121-127 მუხლები** არეგულირებენ. ანალოგიურად რეგულირდება ვადების ინსტიტუტი გერმანულ სამართალში, რომელსაც დათმობილი აქვს 8 პარაგრაფი **(186-193)** და ისინი ეხებიან გამოყენების სფეროს, ვადების აოვლის დაწყებას, ვადის დასრულებას, ცალკეული ვადების გამოთვლას, ვადის გაგრ-

379. თ. ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, თბილისი, 2005, გვ. 29.

380. ბ. ზოიძე, ვადების ცნება და ზოგადი დახასიათება, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამართლის განყოფილების 2001 წლის სამეცნიერო კვლევითი გეგმით გათვალისწინებული ნაშრომი, ხელნაწერი, გვ. 2.

381. თ. ზარანდია, დასახ. ნაშრ; გვ. 31.

ძულებას, ვადის ათვლას დროის მონაკვეთების მიხედვით, თვის დასაწყისს, შუა თვეს, დასასრულს, საკვირაო და უქმე დღეებს, და სხვა.

სამოქალაქო სამართალში შეიძლება ერთმანეთისაგან გამოვყოთ: **1) ვადები, რომლებიც უფლებას წარმოშობენ (სამოქალაქო უფლების წარმომშობი ვადები).** ასეთი სახის ვადები აუცილებლად წარმოშობენ სამოქალაქო უფლებებს. მაგალითად, **სსკ 1409 მუხლის** თანახმად, დაინტერესებულ პირს ანდერძის ბათილობის შესახებ სარჩელის წარდგენის უფლება წარმოეშობა **ორი წლის განმავლობაში,** რაც გამოითვლება სამკვიდროს გახსნის დღიდან; ან კიდევ, **სსკ მ. 1488** მამკვიდრებლის კრედიტორებს უფლება მემკვიდრეების მიმართ მამკვიდრებლის ვალის გადახდაზე წარმოეშობათ **ექვსი თვის** განმავლობაში იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა სამკვიდროს გახსნის შესახებ; **2) სამოქალაქო უფლების განხორციელების ვადები.** ეს ისეთი ვადებია, როცა პირს შეუძლია თვითონ განახორციელოს თავისი უფლება ან კიდევ, თავისი უფლების განხორციელებისათვის ვალდებული პირისაგან განსაზღვრული მოქმედების შესრულების მოთხოვნა. მაგალითად, **სსკ მ. 529** ითვალისწინებს უფლებამოსილი პირის (გამჩუქებლის) მიერ ჩუქების გაუქმებას, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს მას, ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ. ნაჩუქარის გამოთხოვა მას შეუძლია **ერთი წლის განმავლობაში** მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.

სამოქალაქო უფლების განხორციელების ვადებში შედის: **ა)** სამოქალაქო უფლების არსებობის ვადები (ე. წ. აღმკვეთი ვადები), რომლებიც უფლების მოქმედების ფარგლებს განსაზღვრავენ დროში და მისი განხორციელების შესაძლებლობასაც. მაგალითი: **სსკ 1100-ე მუხლის მე-4 ნაწილი** ადგენს, რომ პატენტმფლობელს პატენტის მოქმედე-

ბის განმავლობაში ეკუთვნის განსაკუთრებული უფლება; ან კიდევ, საქართველოს კანონის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ თანახმად, „საავტორო უფლება მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგ სამოცდაათი წლის განმავლობაში“; **ბ)** საგარანტიო ვადები, – ეს ისეთი ვადებია უფლების განხორციელებისა, რომლის განმავლობაშიც ვალდებული პირი კისრულობს ნაკეთობის უხარვეზო გამოყენებას, ხოლო საგარანტიო ვადის განმავლობაში ნაკეთობის შეკეთებას და ახლით მის შეცვლას. ასეთი ვადები ძირითადად შემთავაზებლის (გამყიდველის, მენარდის მიერ დგინდება და თუ დადგენილი ვადის განმავლობაში ნივთი ვერ ასრულებს თავის სამომხმარებლო დანიშნულებას, ვალდებულ პირს უფლებამოსილი პირის წინაშე გარკვეული ვალდებულების შესრულება დაეკისრება. მაგალითად, **სსკ მ 496**: „თუ გამყიდველი ნივთის ვარგისიანობის ვადას განსაზღვრავს, მაშინ ივარაუდება, რომ ამ ვადის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლი მყიდველს აძლევს მოთხოვნის უფლებას“; ან კიდევ, **სსკ მ. 653:** თუ მენარდემ ნაკეთობისათვის იკისრა საგარანტიო ვადა, მაშინ ამ ვადის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლი წარმოშობს შესაბამის უფლებებს“; **გ)** საპრეტენზიო ვადებში უფლებამოსილი პირი უფლებამოსილია (არის შემთხვევებიც როცა ვალდებულიცაა) ვალდებულ პირს მიმართოს სასამართლოსათვის მიმართვამდე. მაგალითად, **სსკ მ.698 („რეკლამაცია, პრეტენზია და სარჩელი“):** „თუ მიმღები მიიღებს ტვირთს ისე, რომ მის მდგომარეობას არ ამოწმებს გადამზიდველთან ერთად და არ უყენებს გადამზიდველს ზოგადი ხასიათის პრეტენზიას დანაკარგებისა და დაზიანების შესახებ, მაშინ საპირისპიროს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ მიმღებმა ტვირთი ჩაიბარა ზედნადებში მითითებულ მდგომარეობაში; აღნიშნული პრეტენზია უნდა წარედგინოს **ტვირთის ჩაბარების დღესვე** თუ საქმე ეხება გარეგნულად შესამჩნევ დანაკარგებსა და დაზიანებებს,

ხოლო გარეგნულად შეუმჩნეველი დანაკარგებისა და დაზიანების შემთხვევაში ჩაბარებიდან არაუგვიანეს **შვიდი დღისა.** თუ საქმე ეხება გარეგნულად შეუმჩნეველ დანაკარგებსა და დაზიანებებს, პრეტენზია (მოთხოვნა) უნდა წარედგინოს წერილობით. თუ მიმღებმა და გადამზიდველმა ერთად შეამოწმეს ტვირთის მდგომარეობა, შემოწმების შედეგების საპირისპირო მტკიცებულება დაიშვება მაშინ, თუ საქმე ეხება გარეგნულად შეუმჩნეველ დანაკარგებსა და დაზიანებებს და მიმღები ჩაბარებიდან **შვიდი დღის განმავლობაში** არ წარადგენს წერილობით მოთხოვნებს".

3) ვალდებულების შესრულების ვადების განმავლობაში პირმა უნდა შეასრულოს დაკისრებული მოქმედება. ვალდებულების შესრულება უცილობლად გულისხმობს მეორე მხარის უფლების არსებობას, მოსთხოვოს მოვალეს ნაკისრი შესრულება. ვალდებულების შესრულების ვადა არის დროის მომენტი, ან პერიოდი, როდესაც მოვალე ვალდებულია შეასრულოს ვალდებულება, კრედიტორი კი უფლებამოსილია მოითხოვოს მისი შესრულება. ვადის ცნება პასუხობს კითხვაზე: როდის, როდიდან ან როდემდე შეუძლია მოვალეს განახორციელოს შესრულება[382].

„ვალდებულების შესრულების ვადა მოიცავს ორ ძირითად ასპექტს. ეს არის **1. შესრულების მოთხოვნის მომენტი და 2. შესრულების მომენტი. შესრულების მოთხოვნის მომენტს** წარმოადგენს ის დრო, რომლის დადგომის შემდეგაც კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს შესრულება. შესრულების მოთხოვნის მომენტი პასუხობს კითხვაზე როდის (როდიდან) ან როდემდე აქვს კრედიტორს მოთხოვნის უფლება... ვალდებულების შესრულების ვადის დადგომის

382. აქვე შევნიშნავდით, რომ საჯარო სამართალში განასხვავებენ მოქმედების დროს შედეგის დროისაგან. მაგალითად, სისხლის სამართალში დანაშაულის ჩადენის დროა ქმედების ჩადენის დრო. შედეგის დადგომის დროს მნიშვნელობა არ აქვს. იხ. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2001, გვ. 11.

შემდეგ მოვალეს სრული თავისუფლება აქვს განახორციელოს შესრულება და შეარჩიოს **შესრულების მომენტი.** ეს თავისუფლება გრძელდება მხოლოდ იმ ხანგრძლივობით, ვიდრე კრედიტორი არ მოითხოვს ვალდებულების შესრულებას[383]."

ვალდებულების შესრულების ვადები ხშირ შემთხვევაში მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება. მაგალითად, ნარდობის ხელშეკრულების დადებისას მხარეები შეთანხმდნენ სამუშაოს შესრულების 2 წლიან ვადაზე; ასევე, დაკალების ხელშეკრულების შესრულებისათვის განისაზღვრა 3 თვიანი ვადა და ა.შ. „ქირა გადახდილ უნდა იქნეს ქირავნობის ხელშეკრულების ვადის დამთავრებისას **(მ. 553),** მაგრამ ამავე დროს ვალდებულების შესრულების ვადები შეიძლება პერიოდულად ნაწილ-ნაწილ გადახდით განისაზღვროს. მაგალითად, იგივე მუხლის **(მ. 553) 1-ლი** ნაწილის მეორე წინადადებით, „თუ ქირის გადახდა დროის მონაკვეთებით განისაზღვრება, მაშინ იგი გადახდილ უნდა იქნეს დროის ამ მონაკვეთების გასვლის შემდეგ". ან კიდევ, **მ. 505 („ნასყიდობა გადახდის განვადებით").** განვადებით ნასყიდობისას ნივთის ფასის გადახდა მყიდველის მიერ ხდება ნაწილ-ნაწილ დროის განსაზღვრულ შუალედებში".

4) უფლების დაცვის ვადები (ხანდაზულობის ვადები). „ხანდაზმულობის ვადა" ისეთი ვადაა, რომლის განმავლობაშიც პირს შეუძლია მოითხოვოს თავისი დარღვეული უფლების ან სადავოდ ქცეული უფლების აღდგენა ან დაცვა. უფლების დაცვის ვადები: **ა)** შეიძლება განისაზღვრონ ზუსტი კალენდარული თარიღით. აქ იგულისხმება შემთხვევა, როცა მხარეები, ან ერთ-ერთი მხარე მეორეს განუსაზღვრავს ვალდებულების შესრულების ზუსტ ვადას. მაგალითად, სესხი უნდა დაბრუნდეს 30 რიცხვში, სამუშაო უნდა შესრულდეს 1 რიცხვში და სხვა. **ბ.** განსაზღვრული

383. თ. ზარანდია, დასახ. ნაშრ; გვ. 40-41.

პერიოდებით დადგენილი ვადა განისაზღვრება დღეებით, თვეებით კვარტლებით, წლეებით და სხვა). როცა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებია, აქ უნდა განისაზღვროს ვალდებულების შესრულების ათვლის (დასაწყისი) ვადა, ასევე ის პერიოდები, რომლის განმავლობაშიც ნაწილ-ნაწილ უნდა შესრულდეს ვალდებულება (მაგალითად 500 ლარის სესხის ხელშეკრულების შესრულება განისაზღვრება პერიოდებით, 2 წლის განმავლობაში, ყოველი თვის 1 რიცხვისათვის), და ვალდებულების შესრულების ბოლო ვადა ვალდებულების შესრულების ვადა იქნება; გ. მოვლენაზე მითითებით ვადა განისაზღვრება, თუ მოვლენა უნდა დადგეს, მაგრამ ცნობილი არა არის მისი დადგომის ზუსტი თარიღი (მაგ; მშობელი პირდება შვილს, რომ თუ ჩააბარებს თსუ-ში უყიდის მანქანას). აქ ზუსტ დროზე მინიშნება არაა, იგულისხმება, რომ გარიგებით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა სამომავლო და უცნობ მოვლენას უკავშირდება, ზუსტად არ არის მინიშნებული როდის დადგება მოვლენა, როცა დადგება ვალდებულების შესრულების ვადაც დამდგარია.

სამოქალაქო სამართალში განასხვავებენ ვადებს, რომლებსაც: **1) ადგენს კანონი.** მაგალითად, **სსკ მ. 21,** „დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ფიზიკური პირი შეიძლება უგზო-უკლოდ დაკარგულად გამოცხადდეს სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია და **ორი წლის განმავლობაში** არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას". ან კიდევ, **მ. 22:** „პირი გარდაცვლილად გამოცხადდება სასამართლოს გადაწყვეტილებით თუ მის საცხოვრებელ ადგილას **ხუთი წლის განმავლობაში** არ მოიპოვება ცნობები ამ პირის ადგილსამყოფლის შესახებ"; საგანგებო ან უჩვეულო სიტუაციაში დაკარგვის დროს პირის გარდაცვლილად გამოცხადებისათვის **6 თვეა** დადგენილი, ხოლო საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით პირის დაკარგვისას–2 წელი

საომარი მოქმედების გასვლიდან. კანონი ასევე აღგენს უფლების განხორციელების ზუსტ ვადებს, რომლებიც არ შეიძლება შეიცვალოს მხარის სურვილით. მაგალითად, **სსკ მ. 165:** „თუ პირი მოძრავ ნივთს **ხუთი წლის** განმავლობაში უწყვეტად ფლობს, როგორც საკუთარს, მოიპოვებს მასზე საკუთრების უფლებას," ხოლო **სსკ 167-ე მუხლის** თანახმად კი„„თუ პირი საჯარო რეესტრში შეტანილია მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრედ ისე, რომ არ შეუძენია საკუთრების უფლება მასზე, იგი მოიპოვებს ამ საკუთრების უფლებას, თუკი რეგისტრაცია არსებობდა **თხუთმეტი წლის** განმავლობაში და ამ ხნის მანძილზე პირი ფლობდა მას, როგორც საკუთარს. კანონი ზოგ შემთხვევებში ვადების მაქსიმუმსაც აწესებს, რომლის ვადებშიცაა პირი უფლების განხორციელებაზე ვალდებული და მისი გაზრდა მას არ შეუძლია. მაგალითად, **სსკ მ. 514:** „გამოსყიდვის ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს **ათ წელს.** ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია".

ხშირად კანონი იურიდიულ ძალას ვალდებულების შესრულების იმ ვადებს ანიჭებს, რომლებიც **ჩვეულებებიდან** გამომდინარეობს. აქ მხედველობაშია სსკ-ის ის ნორმები, რომლებიც ითვალისწინებენ **ე.წ. ნაგულისხმევ ვადებს.** ჩვეულება ხელს უწყობს ვალდებულების შესრულების რეგლამენტირებას დროში, თუმცა სამართლებრივ მოწესრიგებაში დამოუკიდებელ როლს იგი არ ასრულებს. ჩვეულებას ნორმატიული საფუძველი სჭირდება, ანუ სამოქალაქო კოდექსის კონკრეტული მითითებითი ნორმა, რომელიც კონკრეტულ ჩვეულებას გარკვეულ, მკაცრად განსაზღვრულ იურიდიულ ძალას ანიჭებს. ამ ძალის იურიდიული საზღვრები ჩვეულების ხარისხზეა დამოკიდებული, ანუ ჩვეულება ამ შემთხვევაში შეფასებითი კატეგორიაა და სამართალშემფარდებელი ორგანოს ან სუბიექტის ინდივიდუალური გადაწყვეტილების ყველაზე სავარაუდო ვარიანტს გულისხმობს. კანონმდებელმა

ყოველთვის უნდა გამოარკვიოს ჩვეულების შინაარსი, მისი შესაბამისობა სამოქალაქო სამართლის პრინციპებისადმი და მათი „ვარგისიანობა“ სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისათვის.

2). ვადების დადგენა შეუძლია აგრეთვე **სასამართლოსაც** (მაგალითად, სასამართლოს შეუძლია მხარეს განუსაზღვროს მტკიცებულების წარმოდგენის კონკრეტული ვადა სასამართლოში, ან კიდევ, **სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მ. 279** სასამართლოს აღჭურავს უფლებამოსილებით, რომ შეაჩეროს საქმის წარმოება ამ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომისას).

ვადების განსაზღვრა შეიძლება აგრეთვე **მხარეთა გარიგებით** ან ხელშეკრულებით ორივე მხარის მიერ შეთანხმებული ვადით (მაგალითად, სესხის ხელშეკრულებისათვის მხარეებმა განსაზღვრეს კონკრეტული ვადა, ან კიდევ ცალმხრივი ნებით. მაგ; **სსკ მ. 331:** „თუ ოფერენტმა აქცეპტისათვის განსაზღვრა ვადა მაშინ აქცეპტი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ ვადაში; **სსკ მ. 405**: „თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ“).

სსკ 122-ე მუხლი ითვალისწინებს ისეთ სამართლებრივ შემთხვევებს, როცა ვადის დასაწყისიდან ესა თუ ის მოვლენა ამ დღის რომელიმე მონაკვეთია აღებული და არა კონკრეტული დრო. ამ შემთხვევაში ვადის გამოთვლისას ის დღე არ მიეთვლება, რომელშიც დგება ეს მოვლენა ან დღის ზემოაღნიშნული დრო. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტია, რომ მოვლენა დადგება, მაგრამ როდის, ეს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებმა ჯერ არ იციან, მათ ქმედებაზე არ არის დამოკიდებული. მაგალითად, სარკი-

ნიგ'ხო გადაზიდვებისას ვადის დასაწყისად თუ რომელიმე მოვლენაა აღებული, მაგალითად, როდესაც სარკინიგზო მაგისტრალის რომელიმე მონაკვეთის შეკეთება, მაშინ იგულისხმება, რომ როცა შეკეთდება კონკრეტული მონაკვეთი, მოძრაობაც აღდგება. მაგრამ აქ ერთი კანონისმიერი დანაწესიც გასათვალისწინებელია, რომ მოვლენის ან „ზემოაღნიშნული" დროის დადგომა ვადების გამოთვლისას დაიწყება არა ამ მოვლენის დადგომიდან, არამედ მომდევნო დღიდან. მაგალითად, თუ ვადის დასაწყისად აღებულია დღის რომელიმე მონაკვეთი, ვთქვათ 1 აპრილის 13 საათი, მაშინ 1 აპრილი მხედველობაში არ მიიღება და ვადის გამოთვლა 2 აპრილიდან დაიწყება. ანალოგიურ დანაწესს შეიცავს BGB-**ის § 187,** კერძოდ: „(1) თუ ვადის ათვლის დასაწყისად აღებულია ესა თუ ის მოვლენა ან დროის ის მომენტი, რომელიც დგება დღის განმავლობაში, მაშინ ვადის ათვლისას არ მიითვლება ის დღე, რომელშიც დგება ეს მოვლენა ან დროის მომენტი". აღნიშნული **მუხლის (2)-ის** თანახმად კი, „თუ ვადის ათვლის დასაწყის მომენტად აღებულია დღის დასაწყისი, მაშინ აღნიშნული დღე ვადის ათვლისას არ მიითვლება. ანალოგიური წესი მოქმედებს ასაკის ათვლისას დაბადების დღის მიმართ (ასეთი ფორმულირება ვადების მუხლებში სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში ქართულ სამოქალაქო სამართლის კოდექსს არ გააჩნია.

დღეების მიხედვით განსაზღვრული ვადა დამთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად, ანუ ბოლო დღის 24 საათამდე უნდა შესრულდეს განსაზღვრული მოქმედება ანალოგიურ დანაწესს ითვალისწინებს BGB-**ის §.188)**[384]. მაგალითად, თუ ვადა 10 დღითაა განსაზღვრული

384. დამატ. იხ. Гражданское уложение Германии, 2-е издание, Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands, 2. Auflage. Wolters Kluwer, გვ. 36; Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 195.

და ეს ვადა 5 ივნისს დაიწყო, მაშინ იგი დამთავრდება 15 ივნისს, 24 საათზე. ორგანიზაციაში შესასრულებელი მოქმედება უნდა შესრულდეს ვადის გასვლის იმ საათამდე რომელ საათზეც ორგანიზაცია ამთავრებს სამუშაო დღეს. მაგალითად, საბანკო ოპერაციების განხორციელებისათვის თუკი დადგენილია შესრულებისათვის ბოლო ვადა 10 ივლისი, მაშინ ვალდებულმა პირმა საბანკო ვალდებულება უნდა შეასრულოს 10 ივლისის 18, ან 19 საათამდე, თუ ვთქვათ ბანკი ამ საათზე წყვეტს იმ დღის საბანკო ოპერაციებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვალდებულ პირს დამატებითი ვალდებულებები წარმოეშობა, კეძოდ საურავის გადახდა გადაცილებული ვადისათვის.

ვადა, რომელიც კვირეების, თვეების, ან რამდენიმე თვის შემცველი დროით—წლით, ნახევარი წლით, კვარტლით განსაზღვრულია, მთავრდება ბოლო კვირის ან ბოლო თვის იმ დღის დამთავრებისთანავე, რომელიც შეესაბამება მოვლენის დადგომის დღეს ან დღის ზემოაღნიშნულ დროს. მაგალითად, თუ ვადა განსაზღვრულია მოვლენის დადგომიდან 4 თვით, ხოლო მოვლენა დადგა 1 მაისს, მაშინ ვადის გამოთვლა დაიწყება 2 მაისს და დამთავრდება 2 სექტემბერს, ან კიდევ, თუ ვადა 7 დღითაა განსაზღვრული და ეს დღე 3 იანვარს დაიწყო, მაშინ დამთავრდება 11 იანვარს, 24 საათზე.

იმ შემთხვევაში, თუ თვეებით განსაზღვრული ვადის გასვლა ისეთ თვეზე მოდის, რომელსაც შესაბამისი რიცხვი არ აქვს, მაშინ ვადა ცხადია გავა ამ თვის ბოლო დღეს. მაგალითი: თუ 3 თვიანი ვადა მხარეთა შეთანხმებით დაიწყო 1 დეკემბერს, მაშინ აღნიშნული ვადა გავა ან 28 თებერვალს, ან კიდევ 29 თებერვალს. აქვე გასათვალისწინებელია **სსკ 123-ე მუხლის მ-3 ნაწილის** დანაწესი, რომ „თუ თვეების მიხედვით განსაზღვრულ ვადას აკლია ვადის გასვლის აღსანიშნავი დღე, მაშინ ვადა მთავრდება ამ თვის ბოლო დღის დამთავრებისას". როგორც მუხლის დანაწესიდან ირკვევა რაიმე მოქმედების შესრულებისათვის კი დაითქვა

კონკრეტული თვე, მაგრამ ამ თვის კონკრეტულ რიცხვზე მინიშნება არ ყოფილა, მაშინ კანონით დადგენილი წესით, იგულისხმება, რომ ვალდებულების შესასრულებელი თვის უკანასკნელ დღეს უნდა შესრულდეს იგი. მაგალითი: თუ ვალდებულების შესასრულებლად 2011 წლის ოქტომბერი დაითქვა, მაშინ იგულისხმება, რომ ვალდებულება ამ თვის ბოლო დღეს (24 საათამდე) უნდა შესრულდეს.

ვადების დასრულების გერმანული დანაწესის, **§188 (2), (3)-ის** ანალოგიურია **საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მ.123.**

ნახევარი წელი ნიშნავს ექვსთვიან ვადას, რომელიც შეიძლება აითვალოს წლის ყოველი დროიდან. მაგალითად, თუ ვალდებულების შესრულების ვადა ნახევარი წლითაა განსაზღვრული და იგი 2011 წლის 1 იანვრიდან იწყება, მაშინ იგი გავა იმავე წლის ივნისის ბოლო დღეს. **კვარტალი** (სამთვიანი ვადა) სამთვიან ვადას უდრის, რომელიც წლის დასაწყისიდან აითვლება და არა წლის ნებისმიერი დროიდან. მაგალითად, პირველი კვარტალი 1 იანვრიდან იწყება და მარტის ბოლოს მთავრდება, მეოთხე კვარტალი 1 ოქტომბრიდან იწყება და დეკემბრის ბოლოს მთავრდება. **ნახევარი თვე** თხუთმეტდღიანი ვადაა და განიხილება, როგორც დღეებით გამოსათვლელი ვადა და ითვლება 15 დღედ, მიუხედავად იმისა, რა რიცხვით გადის ესა თუ ის თვე (30-ით, 31-ით, თუ 28-ით). ეს დანაწესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როცა ნახევარი თვე ერთ ან რამდენიმე თვესთან ერთადაა აღებული ვალდებულების შესასრულებლად ან უფლებამოსილების განსახორციელებლად. მაგ; ვადის განსაზღვრა 3 ნახევარი თვით, ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ მოქმედება შესასრულებელია 3 თვესა და თხუთმეტ დღეში.

„ვადის გაგრძელების შემთხვევაში ახალი ვადა გამოითვლება გასული ვადის დამთავრებიდან“ (აღნიშნული დანაწესი ნორმისა ზუსტი გამოძახილია BGB-**ის §. 190-**

ისა[385]).

კრედიტორი უფლებამოსილია ვალდებულ პირს, რომელიც დათქმულ ვადაში ვალდებულებას ვერ ასრულებს გადაუვადოს მას ვალდებულების შესრულება, ე. ი. მისცეს დამატებითი ვადა **(სსკ მ.405).** დამატებითი ვადა მხარეთა ინტერესში შედის. უნდა შეენიშნოთ, რომ დამატებითი ვადის ინსტიტუტის არსებობით ხაზგასმულია, რომ სამოქალაქო სამართალი შესრულებაზე ორიენტირებული სამართალია და მისი უმთავრესი თვისება ვალდებულების შესრულებაა და არა მოვალის პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის. ამის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ **სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლი,** რომელიც ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში იმპერატიულად არ აყენებს ზიანის ანაზღაურების მოვალეობას. ცხადია მუხლის სახელწოდებაა „ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვალდებულების დარღვევისას",მაგრამ ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას მუხლის მხოლოდ პირველი ნაწილი ითვალისწინებს. მუხლის მეორე ნაწილი სწორედ დამატებითი ვადის განსაზღვრაზე საუბრობს: „მოვალის მიერ ვადის გადაცილებისას კრედიტორს შეუძლია დაუნიშნოს მოვალეს ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელი დრო. თუკი მოვალე ამ დროშიც არ შეასრულებს ვალდებულებას, მაშინ კრედიტორს უფლება აქვს ვალდებულების შესრულების ნაცვლად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება". როგორც ნორმიდან ჩანს დამატებითი ვადის დანიშვნა მოვალისათვის მხოლოდ ალტერნატივაა, რომელიც კრედიტორს შეუძლია არც კი გამოიყენოს. იგივე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად,,,დამატებითი ვადის განსაზღვრა არ არის საჭირო, თუ აშკარაა, რომ მას რაიმე

385. დამატ. იხ. Гражданское уложение Германии, 2-е издание, Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands, 2. Auflage. Wolters Kluwer, გვ. 36; Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 195-196.

შედეგი არ მოჰყვება, ან როცა არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით ამართლებენ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაუყოვნებლივ გამოყენებას". დამატებითი ვადები ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება მხარეთა საერთო ინტერესებს, მაგრამ სამართლიანად არის მიჩნეული. გადახდისუუნარო მოვალეს, რომელსაც დაუყოვნებლივი შესრულების უნარი არ გააჩნია, უნდა მიეცეს გადავადება ვალდებულების შესრულებისა, მთლიანი ვალდებულების დაუყოვნებლივ დაფარვის მოთხოვნის ნაცვლად. **გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §242** საშუალებას აძლევს სასამართლოს ასეთი დამატებითი ვადა დაადგინოს კრედიტორის ნების საწინააღმდეგოდაც[386].

დამატებითი ვადა ძირითად ვადასთან ერთად არ გამოითვლება, არამედ მისი ათვლა ცალკე, ძირითადი ვადისაგან დამოუკიდებლად აითვლება და იმ ვადიდან, როდესაც ვალდებულების ძირითადი ვადა გავა. მაგალითი: ნარდობის ხელშეკრულებით დადგენილი იყო მხარეების მიერ ნივთის დამზადებისათვის (ვალდებულების შესრულებისათვის) 2 თვე და ეს ვადა დაიწყო 1 სექტემბერს. ბუნებრივია იგი გავა ოქტომბრის თვის ბოლოს. თუ მენარდე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და შემკვეთი მას დამატებით ვალდებულების შესრულებისათვის გაუგრძელებს ვადას 1 თვით, მაშინ ვადის გაგრძელების შემთხვევაში, შესრულების ვადა არა ძირითადი ვადის დაწყებიდან – 1 სექტემბრიდან გამოითვლება, არამედ 1 ნოემბრიდან. მთავარი მოთხოვნის გასვლა ავტომატურად იწვევს დამატებითი მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადის გასვლასაც. **სამოქალაქო კოდექსის 145-ე მუხლის** თანახმად, „მთავარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად ხანდაზმულობის ვადა გასულად ითვლება დამატებითი მოთხოვნებისთვისაც მაშინაც კი, როცა ამ მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა ჯერ არ გასულა".

„თუ დრო განსაზღვრულია თვეების ან წლების მიხედვით იმგვარად, რომ არ არის საჭირო მათი ერთად გასელა, მაშინ თვე გამოითვლება ოცდაათი დღით, ხოლო წელი სამას სამოცდახუთით“ **(სსკ მ. 126, ნ.1).** მუხლის დანაწესი იმაზე მიგვანიშნებს, რომ კრედიტორი სულაც არაა ვალდებული ვალდებულ პირს განუსაზღვროს თანამიყოლებით (თვეებით, ან წლებით) ვალდებულების შესრულება. მაგალითად, თუ ვალდებულ პირს განესაზღვრა 6 თვით ვალდებულების შესრულება, მაგრამ არა თანამიმდევარი თვეებით, მაშინ მას შეუძლია წლის ნებისმიერი თვეების განმავლობაში შეასრულოს ვალდებულება (მაგ; თებერვალში-ნაწილი, შემდეგ მარტში, შემდეგ ივნისში და ა.შ.). **წლებით გამოსათვლელი ვადა,** როგორც მუხლიდან ჩანს სამას სამოცდახუთი დღით გამოითვლება. თვის დასაწყისად ითვლება თვის პირველი დღე (1 იანვარი), შუა თვედ-თვის მეთხუთმეტე დღე-15 თებერვალი), ხოლო თვის დასასრულად—თვის ბოლო დღე (31 იანვარი) **(სსკ მ.126, ნ. 2), (BGB-ის §. 192).**

შრომის კანონთა კოდექსით გამოსასველელ დღედ საერთოდ მიჩნეულია შაბათი და კვირა. მაგრამ ცალკეული ორგანიზაციებისათვის (განსაკუთრებით კერძო სტრუქტურებისათვის) დაწესებულია გამოსასველელ დღედ არა შაბათ-კვირა, არამედ სხვა დღე, ვთქვათ, ორშაბათი, ხუთშაბათი და სხვა. იმავე შრომის კოდექსით დაწესებულია სადღესასწაულო დღეები-1 იანვარი 23 ნოემბერი, 3 მაისი და ა. შ.

არასამუშაო დღეებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვადების დამთავრებისათვის. **სსკ 127-ე მუხლის** თანახმად: „თუ მოქმედება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ დღეს ან მოქმედების შესრულების ადგილას გამოცხადებულ სადღესასწაულო ანდა სხვა გამოსასველელ

386. ი.ხარაზი, დასახ. ნაშრომი, გვ. 454.

დღეებს, მაშინ ამ დღის ნაცვლად გამოყენებულ უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღე". ანალოგიურად წესრიგდება ეს დანაწესი გერმანული სამოქალაქო კოდექსის **193-ე პარაგრაფით** („თუ ნების გამოვლენა უნდა განხორციელდეს ან ვალდებულება შესრულდეს განსაზღვრულ დღეს ან განსაზღვრული ვადის განმავლობაში და აღნიშნული დღე ან ვადის ბოლო დღე ემთხვევა კვირას, განცხადების გაკეთების ან ვალდებულების შესრულების ადგილზე ოფიციალურად აღიარებულ უქმე დღეს ანდა შაბათს, მაშინ ამ დღის ადგილს იკავებს მომდევნო სამუშაო დღე").

თუ მხარეების მიერ შესასრულებელი მოქმედების შესრულების დღე დაემთხვა არასამუშაო დღეს, მაშინ ვალდებულების შესრულება გადაინაცვლებს მომდევნო სამუშაო დღისათვის. მაგალითად, თუ პირს ბანკისათვის სესხი და პროცენტი უნდა დაებრუნებინა კვირა დღისათვის, როცა ბანკი არ მუშაობს (მოქმედების შესასრულებელი დღე დაემთხვა კვირა დღეს), ორშაბათისათვის გადაიწევს ვალდებულების შესრულება. ასევე ითქმის სადღესასწაულო დღეებზეც, როცა შესარულებელი მოქმედების (ვალდებულების) ბოლო დღე სადღესასწაულო დღეებს დაემთხვევა, რომელიც ორგანიზაციისათვის არასამუშაო დღეა. შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სხვა არასამუშაო დღეებიც (არაგამოსასვლელი და არასადღესასწაულო). მაგალითად, განვადებით ნასყიდობისას პირს ვალდებულება უნდა შეესრულებინა ოთხშაბათი დღისათვის, 3 ოქტომბრისათვის, ოთხშაბათი კი მაღაზიისათვის სანიტარულ დღედ არის გამოცხადებული და დაკეტილია. გამოდის, რომ მოქმედება უნდა შესრულდეს 4 ოქტომბრისათვის, ხუთშაბათ დღეს.

ბუნებრივია, სადღესასწაულო, გამოსასვლელი დღეების დამთხვევისას, არასამუშაო დღეების რაოდენობა იზრდება. მაგალითად, თუ 3 მაისი დედის დღე დაემთხვა ხუთშაბათს, რომელიც ჩვეულებრივ სამუშაო დღეა, მაგრამ სადღესასწაულო დღეს დაემთხვა, მაშინ სამუშაო დღე იქნება მომდევნო დღე-პარასკევი და ა. შ.

კ ი თ ხ ვ ე ბ ი

1. რა იგულისხმება ვადაში?

2. დანიშნულების მიხედვით რომელ ვადებს გამოჰყოფდით სამოქალაქო სამართალში?

3. როგორი ვადებია კანონით დადგენილი ვადები. პასუხი დაასაბუთეთ მაგალითებით.

4. როგორ ხდება ვადის გამოთვლა ვადის გაგრძელებისას?

5. გამოსასვლელ და სადღესასწაულო დღეებში გათვალისწინებულია თუ არა მოქმედების შესრულება?

ტ ე ს ტ ე ბ ი

1. თუ ვადის დასაწყისად აღებულია ესა თუ ის მოვლენა, ან დღის რომელიმე მონაკვეთი, მაშინ:

ა. ვადის გამოთვლისას მიეთვლება ის დღე, რომელშიც დგება ეს მოვლენა, ან დღის ზემოაღნიშნული დრო.

ბ. ვადის გამოთვლისას არ მიეთვლება ის დღე, რომელშიც დგება ეს მოვლენა ან დღის ზემოარნიშნული დრო.

გ. ვადის გამოთვლისას მიეთვლება კანონით დადგენილი დროის მონაკვეთი.

დ. არც ერთი პასუხი არა არის სწორი.

2. თუ მოქმედების შესრულების ვადა ექვსი დღითაა განსაზღვრული და ეს ვადა დაიწყო 7 აპრილს, მაშინ იგი დამთავრდება:

ა. 18 აპრილს.

ბ. 14 აპრილს.

გ. 22 აპრილს.

დ. 13 აპრილს.

3. ვადის დასაწყისად აღებულია 5 ოქტომბრის 18 საათი. ვადის გამოთვლისას მიეთვლება თუ არა დღის ზემოაღნიშნული დრო?

ა. არ მიეთვლება და ვადა გამოითვლება 6 ოქტომბრიდან.

ბ. მიეთვლება და ვადა 5 ოქტომბრის 18 საათიდან დაიწყება.

გ. 5 ოქტომბრის დღის ბოლოს დაიწყება.

დ. მიეთვლება, თუ ეს კანონითაა გათვალისწინებული.

კაზუსი

1. მოქმედების შესრულების ვადა განისაზღვრა მოვლენის დადგომიდან 6 თვით, ხოლო მოვლენა დადგა 15 აპრილს.

საიდან დაიწყება ვადის გამოთვლა?

2. ა-მ ბ-ს ასესხა ფული 2010 წლის 1 ივნისს და განუსაზღვრა სესხის დაბრუნების ვადად 3 თვე. აგვისტოს თვის ბოლოს ბ-ს სესხი უკან, ა-სთვის უნდა დაებრუნებინა. ბ-მ ვერ შეძლო ვალის გადახდა. ა-მ მას გაუგრძელა ვადა 1 თვით. ვერც ამ დროისათვის შეძლო ბ-მ ვალდებულების შესრულება.

საიდან აითვლება ვალდებულების შესრულების ვადა დამატებითი ვადის მიცემისას ვალდებული პირისათვის და დაეკისრება თუ არა მას საურავი ვადაგადაცილებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის?

§ 2. ხანდაზმულობა

„დრონი იცვლებიან და მასთან ერთად კანონებიც“ („*Tempora mutantur et leges mutantur in illis*“)

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი აღიარებს პირის ფუნდამენტურ უფლებებს, რომ „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“. კონსტიტუციის აღიარებული ეს საყოველთაო უფლება ისე არ უნდა გავიგოთ, რომ დროის ფაქტორი არავითარ როლს არ თამაშობს პირთა შორის ურთიერთობის სამართლებრივ მოწესრიგებაში და დარღვეული უფლების მქონე პირი ნებისმიერ დროსაა უფლებამოსილი დაიცვას თავისი, მატერიალური სამართლით მინიჭებული უფლება, არა მარტო მაშინ, როცა იგი ხანდაზმულობის ვადებითაა შემოსაზღვრული, არამედ ნებისმიერ დროს, როცა კი იგი ამას მოისურვებს, რადგანაც **„უსამანო თავისუფლება“** ზოგადად არ არსებობს და სამართლით მოწესრიგებული ურთიერთობებიდან წარმოშობილი უფლებები და მოვალეობები ყოველთვის არსებობენ დროში, უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევებში კანონი დროის გასვლას უკავშირებს არამარტო უფლების წარმოშობას, არამედ ამ უფლების შეწყვეტასაც. ცივილისტთა ხატოვანი გამოთქმაა: **„დრო უფლებას არა მარტო წარმოშობს, არამედ სპობს კიდეც მას“, ან კიდევ „სამართალს ეშინია დროსი“.**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **128-ე მუხლის 1-ი ნაწილის** თანახმად კი, „სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ერცელდება ხანდაზმულობა“.

„ხანდაზმულობა“ — თვით ტერმინი სამოქალაქო სამართალში გულისხმობს იმას, რომ რომელიმე ურთიერთობას, მოვლენას წარსულში ჰქონდა ადგილი და ბუნებრივია, რომ ხანგრძლივი დროის გასვლაც აძნელებს ამ უფლების

განხორციელებას და პირთა სამართლებრივ მდგომარეობაზე გარკვეულ გაელენას ახდენს.

საერთოდ, დროის ფაქტორი დიდი როლს ასრულებს დარღვეული თუ სადავო უფლებების დაცვის შესაძლებლობის დაშვების თვალსაზრისით და ამის საილუსტრაციოდ ცნობილია სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ინსტიტუტი: **„ხანდაზმულობის ინსტიტუტი“,** რომელიც სასარჩელო ხანდაზმულობის ან მოთხოვნის ხანდაზმულობის სახელწოდებითაა ცნობილი. ამ ხანდაზმულობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან დროის გასვლის შემდეგ პირი კარგავს ამ მოთხოვნის იძულებით სასამართლო წესით რეალიზაციის უფლებას.

სამოქალაქო კოდექსში ხანდაზმულობის ვადებს არეგულირებს **128-146 მუხლები.**

ხანდაზმულობის ვადების დადგენას და მის სამართლებრივ რეგლამენტაციას დიდი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო ბრუნვის წესრიგისათვის, ამ წესრიგში ჩართული პირების უფლებების რეალიზაციისა და ვალდებულებების შესრულებისათვის, რომ უფლების დამცველმა იცოდეს სადამდე (რა დრომდე) შეიძლება იდავოს თავისი დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების დასაცავად ან აღსადგენად და ვალდებულმა პირმა გარიგებით დაოქმულ დროში შეასრულოს ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი უფლებამოსილმა პირმა კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადების ინტერვალში მოსთხოვოს ვალდებულ პირს გარკვეული მოქმედების შესრულება.

კონკრეტულად რა დახმარებას უწევს ხანდაზმულობის ვადების შემოღება უფლებამოსილ პირებს? რამ განაპირობა მისი სამართლებრივი რეგლამენტაცია კანონით? ხანდაზმულობის ვადის სამართლებრივი განსაზღვრა იმითაა გამოწვეული, რომ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ხშირად ძნელი და შეუძლებელიც ხდება სადავო გარემოებების, ფაქტების უტყუარად აღდგენა და პირებს, რომლებიც უფლებებს იცავენ, ან კიდევ მათ უსაფუძვ-

ლოდ წაეყენათ ბრალდება – ხშირად უძნელდებათ თავი დაიცვან ასეთი ბრალდებებისაგან, რადგან ხშირ შემთხვევებში მტკიცებულებების მოპოვება, აღდგენა ძნელდება. ხანდაზმულობის ვადები უფლების განმახორციელებელი პირებისათვის ერთგვარი დახმარებაა დროულად იზრუნონ ამ უფლების რეალიზებისა და დაცვისათვის.

ხანდაზმულობის ვადების განმავლობაში პირს (რომლის უფლებაც დაირღვა), შეუძლია მოითხოვოს თავისი უფლების იძულებითი წესით განხორციელება, ან კიდევ მიმართოს სასამართლოს თავისი უფლების დასაცავად. სასარჩელო წესის გარდა, კანონმდებლობა ითვალისწინებს აგრეთვე არასასარჩელო წესით, სხვა ორგანოების მიერ პირთა უფლებების დაცვის შემთხვევებსაც. გამოდის, რომ „ხანდაზმულობა" მარტო სასარჩელო წესით კი არა, არასასარჩელო წესით დაცვასაც ითვალისწინებს.

ხანდაზმულობის ვადების მნიშვნელობა უშუალოდ უკავშირდება სამოქალაქო საქმეთა სასამართლო წარმოების (სამართალწარმოების) მიზნებსა და ამოცანებს. **სამოქალაქო სამართალწარმოების მიზანია** არამარტო იმ პირთა უფლებების დაცვა, რომლებიც მიმართავენ სასამართლოს სარჩელით (განცხადებით), არამედ ამ უფლებების დროულად და გონივრულ ვადაში დაცვა. სამოქალაქო კანონმდებლობით განსაზღვრულია ამ „გონივრული" ვადის ფარგლები. **სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის** თანახმად,„სამოქალაქო საქმეებს სასამართლოები განიხილავენ განცხადების მიღებიდან არა უგვიანეს **2 თვისა,** ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს **არა უმეტეს 5 თვისა"**. ეს მუხლი ითვალისწინებს ზოგიერთი კატეგორიის საქმეების მიმართ კიდევ უფრო მოკლე ვადებს[386]".

ყოველი პირი უფლებამოსილია მიმართოს სასამართ-

386. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, გვ. 183-184.

ლოს თავისი უფლებების დასაცავად, აეღნიშნეთ ზემოთ და დაეამატებთ, რომ ეს მათი კონსტიტუციური უფლებაა, მაგრამ ისიც აეღნიშნეთ, რომ „უსამანო ვადები" არ არსებობს (გარდა **128-ე მუხლის მეორე ნაწილით** გათვალისწინებული შემთხვევებისა) და იგი უფლების დაცვის კანონით დადგენილი დროით არის შემოსაზღვრული. ხანდაზმულობის ვადის გასვლით კი ისპობა სასამართლოს ან სხვა ორგანოს მეშვეობით პირის მოთხოვნის დაკმაყოფილება იძულების წესით ვალდებული პირისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების დაკისრებით. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს კანონი ართმევს პირს უფლებას მიმართოს სასამართლოს ან სხვა შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს მოთხოვნის იძულებით განხორციელების გზით ვალდებული პირის მიმართ გარკვეული მოქმედების განხორციელებისა. სასამართლოსათვის ან სხვა ორგანოსათვის მიმართვა – ეს პირის კონსტიტუციური უფლებაა, მას შეუძლია მოთხოვნა აღნიშნულ ორგანოებში წარადგინოს მაშინაც, როცა ხანდაზმულობის ვადა გასულია. „ხანდაზმულობის ვადის გასვლა სპობს უფლების იძულებით განხორციელების შესაძლებლობას მატერიალური და არა პროცესუალური თვალსაზრისით. ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად მოთხოვნა განხილულ უნდა იქნეს და თუ გამოირკვევა, რომ არ არსებობს ხანდაზმულობის ვადის შეჩერების ან შეწყვეტის საფუძვლები, მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება"[387] ეს ისევ სამოქალაქო ბრუნვის წესრიგს და სტაბილურობას ემსახურება. პირებს კანონით საკმაოდ ერცელი ვადები აქვთ მიცემული თავინთი უფლებების იძულებითი წესით განხორციელების შესაძლებლობისა. მაგალითად, საცილო გარიგებებისათვის (შეცდომით, მოტყუებით და იძულებით დადებული) უფლების დაცვი-

387. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი პირველი, გვ. 317

სათვის მოქმედებს საერთო ხანდაზმულობის **ათწლიანი ვადა.** ეს ზოგადი ვადაა, თუმცა კანონი ითვალისწინებს ასევე სპეციალურ ვადებსაც, რომლებზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

128-ე მუხლის მეორე ნაწილით, კანონი ხანდაზმულობის ვადებს არ ავრცელებს: **ა.** პირად არაქონებრივ უფლებებზე (ასეთია მოთხოვნები **მე-18 მუხლიდან** გამომდინარე პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის და ა. შ. დარღვევიდან გამომდინარე, ასევე ავტორის არაქონებრივ უფლებებზე"[388]. თუმცა იქვე აღნიშნული პუნქტები მიუთითებს: „თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული", ე.ი. ამ ზოგადი წესებიდან გამონაკლისებს შეიცავს სპეციალური კანონი. **ბ.** „მეანაბრეთა მოთხოვნაზე ბანკსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილი ანაბრების გამო". ეს კანონით შემოუსაზღვრავი უფლებაა პირისა, რომ მან საკრედიტო დაწესებულებებისაგან მოითხოვოს შეტანილი ანაბრები,– ამ ურთიერთობის ხანგრძლივი ხასიათის გამო ასეთი სახით დეფინირებულია კანონში. თუკი გავითვალისწინებთ ამ კუთხით საქართველოს მოსახლეობის მდგომარეობას, რომელთა დიდმა უმრავლესობამ თავიანთი წლოობით ნაგროვები თანხა ბანკებს მიანდო შესანახად და სამწუხაროდ დღესდღეობით მისით სარგებლობა მეანაბრეებს არ შეუძლიათ, ამ მუხლის ასეთი წესით ფორმულირება არა მარტო მათ აძლევთ შესაძლებლობას ამ ანაბრების დაბრუნების მოთხოვნისა, არამედ მათ უფლებამონაცვლეებსაც (მემკვიდრეებს). მოქალაქეებმა არაერთხელ მიმართეს სასამართლოებს სახელმწიფო კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნებაზე, მაგრამ სასამართლოები უარს ეუბნებოდნენ მათ ამ თანხების დაბრუნებაზე იმ მოტივით, რომ **საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 2 ივლისის № 258 ბრძანე-**

388. იხ. საქართველოს კანონი "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ".

ბულებით ეს საკითხი სპეციალურად უნდა მოწესრიგდეს... საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში ჩაწერა, რომ „საკანონმდებლო პროცესისადმი ასეთი მიდგომით ილახება ადამიანთა კონსტიტუციური უფლებები". ანაბრებთან დაკავშირებულ სარჩელზე საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ აღნიშნა, რომ ამ პრობლემისადმი მსგავსი მიდგომა მის თეითდინებაზე მიშვებას ჰგავს, რითაც ილახება მოქალაქეთა საკუთრების კონსტიტუციური უფლებები[387].

128-ე მუხლით ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს.

საერთო ხანდაზმულობის ათწლიანი ვადის გარდა არსებობს აგრეთვე **სპეციალური ხანდაზმულობის ვადები,** რომელსაც კანონი აწესებს და ბუნებრივია მისი განსაკუთრებული მნიშვნელობისა და სპეციალურობის გამო (რომ სპეციალური ნორმები და მისგან გამომდინარე სპეციალური ვადებიც არ შეიძლება კანონის ანალოგიით დარეგულირდეს, ან მხარეებმა გარიგებით შეცვალონ იგი) შეიძლება საერთო ხანდაზმულობის ვადაზე მეტი ან ნაკლები იყოს. **129-ე მუხლის პირველი ნაწილის** თანახმად, „სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს **სამ წელს,** ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა–**6 წელს". მაგალითი:** თუ ნარდობის ხელშეკრულების ვადად განსაზღვრული იყო 2 წელი, აღნიშნული 2 წლის გასვლის შემდეგ დაიწყება ხანდაზმულობის ვადის დენა და იგი გაგრძელდება 3 წელი.

უძრავ ნივთებთან დაკავშირებით მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა უფრო ხანგრძლივია და იგი **ექვსი წელია.** მაგალითად, მიწის ნაკვეთის ნასყიდობიდან გამომ-

387. იხ. საკონსტიტუციის სასამართლოს 2004 წლის 15 მარტის №1/4/170/178, 230,246 განჩინება (წყარო: ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, გვ. 237-238).

!დინარე ხელშეკრულების ვადა იქნება ექვსი წელი. საინტერესოა მ. თოდუას მოსაზრებები უძრავ ნივთებთან დაკავშირებით მოთხოვნების ექვსწლიან ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით: „მეცნიერთა გარკვეული ნაწილი იზიარებს იმ აზრს, რომ „მოთხოვნის ხანდაზმულობა არ იწვევს სანივთო უზრუნველყოფის ხანდაზმულობას. მართალია მოთხოვნის ხანდაზმულობით კრედიტორი მოვალისაგან შესრულების მოთხოვნის უფლებას კარგავს, მაგრამ მას შეუძლია, ვალდებულების უზრუნველსაყოფად დაგირავებული ნივთის რეალიზაცია მოითხოვოს და ამ გზით დაიკმაყოფილოს მოთხოვნა"[388]. არსებობს ამ მოსაზრების საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომელიც ჩვენის აზრით უფრო მკაფიოდ ესადაგება კანონმდებლის ნებას, არ გაავრცელოს სანივთო უფლებაზე **სსკ 129-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადება,** რომლის მიხედვითაც უძრავ ნივთებზე სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ექვს წელს. იპოთეკის დადგენილ წინაპირობას არა მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, არამედ **სსკ 289-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე და მესამე წინადადებების** თანხმად, შესაბამისი გარიგების არსებობა წარმოადგენს. ამდენად, ამ დებულებამ შესაძლოა მიგვიყვანოს ხანდაზმულობის ექვსწლიან ვადამდე. აქ საუბარი არ არის უძრავ ნივთზე ვალდებულებით–სამართლებრივი ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილ მოთხოვნაზე. მაგალითად, სახლის ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, ან სანივთო დატვირთვის დადგენილ ვალდებულებებზე, არამედ უფლებებზე, რომლებიც წარმოიშობიან უკვე ხელშეკრულებით დადგენილი სანივთო უფლებიდან. **სსკ 129-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადება** სიტყვა-სიტყვით და ვიწროდ უნდა განიმარტოს და უძრავ ნივთზე ვალდებულებით-სამართლებრივი შეთანხმებით

388. იხ. მ. თოდუა, ჰუბ ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006, გვ. 20.

შემოიფარგლოს... უფლებებსუ, რომლებიც წარმოიშობიან სანივთო დატვირთვის საფუძველზე, **სსკ 128-ე მუხლის მესამე ნაწილის** თანახმად, ვრცელდება ხანდაზმულობის საერთო, ათწლიანი ვადა. ეს ვადა ჯერ არ გასულა"[389].

აქვე, მოკლედ, შეძენითი ხანდაზმულობის შესახებ უძრავ ნივთებთან მიმართებაში. თუ შედარებით ანალიზს გავაკეთებთ ქართულ და გერმანულ სამოქალაქო კოდექსებს შორის, დავინახავთ აშკარა სხვაობას შეძენითი ხანდაზმულობის ვადებთან მიმართებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 167-ე მუხლსა (რომლის მიხედვით „თუ პირი საჯარო რეესტრში შეტანილია მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრედ ისე, რომ არ შეუძენია საკუთრების უფლება მათზე, იგი მოიპოვებს ამ საკუთრების უფლებას, თუკი რეგისტრაცია არსებობდა **თხუთმეტი წლის განმავლობაში** და ამ ხნის მანძილზე პირი ფლობდა მათ, როგორც საკუთარს") და **გერმანული სამოქალაქო კოდექსის §900-ს**[390] შორის (რომლის თანახმად, „(1) პირი, ვინც საადგილმამულო რეესტრში რეგისტრირებულია როგორც მესაკუთრე, ისე რომ მას არ შეუძენია საკუთრების უფლება, იძენს საკუთრების უფლებას, თუ რეგისტრაცია არსებობდა **30 წლის განმავლობაში** და იგი ამ ვადის განმავლობაში მიწის ნაკვეთს ფლობდა როგორც საკუთარს). ოცდაათწლიანი ვადა გამოითვლება იგივე წესით, როგორც მოძრავ ნივთზე შეძენითი ხანდაზმულობის ვადა. ვადის დენა ჩერდება მანამდე, სანამ საადგილმამულო რეესტრში[391] სისწორის წინააღმდეგ რეგისტრირებულია პროტესტი....". ალბათ უძრავი ქონების მაღალი ღირებულებიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე უმჯობესი იქნებოდა ქართულ

389. იქვე.

390. Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 1381.

391. ქართული სამოქალაქო კანონმდებლობით საჯარო რეესტრში.

სამოქალაქო კოდექსშიც გაზრდილიყო 15 წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

მხარეთა შორის ხელშეკრულებით ხშირად გათვალისწინებულია არა ვალდებულების ერთდროულად შესრულება (მაგალითად, 3 თვეში, 1 წელიწადში და სხვა), ასევე პერიოდულად, ნაწილ–ნაწილ, რომელიც შესრულებულად ითვლება ბოლო ნაწილის შესრულებასთან ერთად. კანონი პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებიდან ხანდაზმულობის მოთხოვნებისათვის ადგენს **სამ წელს.** მაგალითად, გადაზიდვის ხელშეკრულების ზედნადებით მხარეთა შორის შეიძლება განისაზღვროს ტვირთის გადატანა ერთი წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ. ცხადია გარიგებით მხარეთა შორის გათვლილი იქნება ტვირთის თითოეული ნაწილის გადატანის კონკრეტული ვადები. მაგალითად, ყოველკვირეულად და ტვირთის გადატანის დამთავრების დროც. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თითოეული ვალდებულების დარღვევა (ეთქვათ პირველი გადატანის და შემდგომი დროის დარღვევა) ცალ–ცალკე წარმოშობს მოთხოვნის უფლებას და ასეთი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა კანონით დადგენილი **3 წელი იქნება.**

კანონით, ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება დადგენილ იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც. მაგ; **სსკ მ. 165:** „თუ პირი მოძრავ ნივთს **ხუთი წლის განმავლობაში** უწყვეტად ფლობს როგორც საკუთარს, მოიპოვებს მასზე საკუთრების უფლებას („საკუთრების შეძენა ხანდაზმულობით"), ან კიდევ, **მ. 514:** „გამოსყიდვის ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს **ხუთ წელს".** ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება; **მ. 920** კი ფასიანი ქაღალდებიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადას **ოცდაათი წლით** განსაზღვრავს დოკუმენტებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის დადგომიდან და სხვა.

მაინც როდიდან იწყება ხანდაზმულობა? ამაზე პასუხს გაგვცემს **130-ე მუხლი,** რომ: „ხანდაზმულობა იწყება

მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად კი ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ". როგორც მუხლის დანაწესიდან ჩანს, ხანდაზმულობის ვადის ზუსტად გამოთვლისათვის მნიშვნელოვანია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა. საერთო ხანდაზმულობის ვადი **10 წელია,** მაგრამ ამ 10-წლიანი ვადის დენა როდიდან იწყება? როდესაც წარმოიშობა (რა დღიდანაც) მოთხოვნის უფლება. მოთხოვნის წარმოშობამდე კი ცხადია ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყებას ადგილი არ ექნება. კანონი ზოგ შემთხვევაში თვითონ განსაზღვრავს ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების დროს. მაგალითად, **სსკ 699-ე** მუხლი გადაზიდვებიდან გამომდინარე უფლებების ხანდაზმულობის ვადას **1 წლით** განსაზღვრავს, ხოლო უხეში გაუფრთხილებლობისას **3 წელს** და ხანდაზმულობის ვადა ამ შემთხვევაში იწყება: **ა)** ტვირთის ნაწილობრივ დაკარგვის, დაზიანების ან ჩაბარების ვადის გადაცილებისას მისი გამოგზავნის დღიდან; **ბ)** ტვირთის მთლიანად დაკარგვისას – გადაზიდვის შეთანხმებული ვადის გასვლის **ოცდამეათე დღიდან,** ან, თუ ასეთი ვადა არ ყოფილა დათქმული, – გადამზიდველის მიერ ტვირთის მიღებიდან **მესამოცე დღეს; გ)** ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში – გადაზიდვის ხელშეკრულების დადების დღიდან **სამი თვის გასვლის შემდეგ.**

„ხანდაზმულობის ვადის დაწყებისათვის წინაპირობა ის არის, რომ დაზარალებული ზიანის (და დამაზიანებლის პიროვნების) შესახებ პოზიტიურ ინფორმაციას ფლობს... ხანდაზმულობის ვადის დინების დაწყებისათვის მთავარია, რომ დაზარალებულს „უნდა სცოდნოდა" დარღვევის შესახებ"[391].

391. პეტერ ლუთრინგ ჰაუსი, „დელიქტური სამართალი", წიგნიდან მოკლე კონტექსტები, თბილისი 2011, გვ. 29. საიტი: www.gtz.de/law_caucasus.

კანონში პირდაპირ თუ არ არის მითითებული ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება, ბუნებრივია, ხანდაზმულობის ვადა წარმოიშობა იმ დღიდან, როცა პირმა გაიგო ან უნდა გაეგო დარღვეული უფლების შესახებ. აქ ორი მნიშვნელოვანი ფაქტორია გასათვალისწინებელი: **1. ობიექტური (უფლების დარღვევის ფაქტი) და 2. სუბიექტური მომენტი (პირმა გაიგო ან უნდა გაეგო თავისი უფლების დარღვევის შესახებ).** ჩვენ ამის შესახებ კონკრეტული საუბარი გვქონდა საცილო გარიგებებისას, კერძოდ, მეცდომით დადებული გარიგებებისას **79-ე მუხლში** („შეცილება უნდა მოხდეს შეცილების საფუძვლის შეტყობის მომენტიდან **ერთი თვის ვადაში**"), **სსკ 84-ე მუხლში** („მოტყუებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს **ერთი წლის განმავლობაში.** ვადა აითვლება იმ მომენტიდან, როცა შეცილების უფლების მქონემ შეიტყო შეცილების საფუძვლის არსებობის შესახებ"), **სსკ 89-ე მუხლში** („იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს **ერთი წლის განმავლობაში** იძულების იძულების დამთავრების მომენტიდან"). ყველა ამ სამივე შემთხვევაში საერთო ხანდაზმულობის **10-წლიანი ვადა** მოქმედებს. მოყვანილი მაგალითებიდან აშკარად ჩანს, რომ როცა პირმა გაიგო შეცილების უფლების შესახებ **(ობიექტური და სუბიექტური მომენტი ერთმანეთს ემთხვევა),** ამ მომენტიდან წარმოიშობა შეცილების უფლება და ცდომილებაში მყოფმა პირმა შეცილება უნდა მოახდინოს ბუნებრივია მეორე მხარის წინაშე ნების გამოვლენით – განცხადების გაკეთებით. შეცილების უფლება ისპობა თუ საერთო ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა გავა. ასევე განცხადებაში შეცილების საფუძვლის შესახებ უნდა მიეთითოს. მაგრამ ყოველთვის როდი ემთხვევა ერთმანეთს **ობიექტურ-სუბიექტური ფაქტორები.** ამაზე მეტყველებს გამოთქმა: **„ან უნდა შეეტყო შეცილების საფუძვლის არსებობის შესახებ". მაინც როდის შეეძლო შეეტყო?** თუკი შეცილების უფლების მქონეს შეცილებამდე წარმოეშობა

შეცილების უფლება და ამის შესახებ გვიან შეიტყობს, ბუნებრივია შეტყობამდე თავისი უფლების დაცვას ვერც მოითხოვს, – მოითხოვს მხოლოდ შეტყობინების მომენტიდან. **მაგალითი: ა-მ ბ-ს** მოტყუებით დაადებინა გარიგება, რომელიც მას არ შეეძლო გაეგო იმ მომენტისათვის და გაიგო ვთქვათ, 2 თვის შემდეგ. შეცილების უფლება მოტყუებულ მხარეს წარმოეშობა არა მოტყუების მომენტიდან, არამედ ვადა აითვლება იმ მომენტიდან, როცა შეცილების უფლების მქონემ შეიტყო შეცილების საფუძვლის არსებობის შესახებ **(ე.ი. 2 თვის შემდეგ მოტყუებიდან),** ან კიდევ: ავტოავარიის შემდეგ პირი იმდენად მსუბუქად დაშავდა, რომ ჯანმრთელობის დაზიანების რაიმე კვალი არ დაუტოვებია, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ მას სხეულის იმ ადგილას, სადაც მანქანა დაეჯახა განუვითარდა სიმსივნური წარმონაქმნი და მკურნალობა დასჭირდა. ცხადია, მას შეცილების უფლება წარმოეშობა **ამ ფაქტის ცნობის დღიდან.**

დაუდევრობისას (გულგრილობისას) პირის მიერ თავისი უფლების დარღვევის შესახებ შეუცნობლობისას, საქმის გარემოებების მიხედვით წარმოეშობა მოთხოვნისათვის ხანდაზმულობის ვადა (როცა მას უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ).

ცხადია, რომ თუ კანონით, ან ხელშეკრულებითაა განსაზღვრული გარიგების მონაწილეებისათვის მოთხოვნის უფლების წარმოშობის ვადა (მაგ; ხელშეკრულება გარკვეული ვადითაა დადებული), ცხადია, ამ შემთხვევაში, სწორედ ამ დროიდან იწყება ხანდაზმულობის ვადის დენა. მაგალითად, **სსკ 1171-ე მუხლით** კანონი ადგენს **სამწლიან ხანდაზმულობის ვადას** იმ მოთხოვნებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია მეუღლეთა თანაზიარი ქონების გაყოფასთან. ამ ვადის დენა იწყება ქორწინების შეწყვეტის მომენტიდან, ე. ი. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში განქორწინების რეგისტრაციის დღიდან. **მაგალ-**

ითი: თუკი, ეთქვათ, ქირაავნობის ხელშეკრულება 2 წლითაა დადებული, გამქირავებლისთვის მოთხოვნის უფლება (ქირაავნობის საგნის უკან გამოთხოვისა) წარმოიშობა ორი წლის გასვლის შემდეგ და ამ დროიდანვე დაიწყება ხანდაზმულობის ვადის დენა.

პირთა შეცვლა ვალდებულებაში არ იწვევს ხანდაზმულობის ვადის რაიმე ცვლილებებს. თუკი პირს ვალდებულების შესასრულებლად განსაზღვრული აქვს გარკვეული ვადა (ეთქვათ მენარდეს სამუშაოს შესასრულებლად მიცემული აქვს 1 წლიანი ვადა) და უფლებამოსილი პირი შეიტყობს, რომ ამ ვადის დადგომისას პირი ვერ ასრულებს მოქმედებას და მას დამატებით მისცემს ვადას **(სსკ 405 მუხლი, 1-ლი ნაწილის პირველი წინადადება);** მაშინ ხანდაზმულობის ვადა ამ ვადის (დამატებითი ვადის) გასვლიდან გამოითვლება. თუ პირი კისრულობს თავის შეკავებას რაიმე მოქმედებისაგან, მაგალითად, მწერალი კისრულობს, რომ თავის ნაწარმოებს ექსკლუზიური გამოქვეყნების უფლებით არ გადასცემს სხვა ჟურნალს, ეთქვათ „გზას“ და გადასცემს ეთქვათ ჟურნალ „სარკეს“, ხანდაზმულობის ვადა ცხადია არ დაიწყება მანამ, სანამ ვალდებული პირი თავს იკავებს ისეთი მოქმედებისაგან, რომლისგან თავი უნდა შეეკავებინა, ხოლო თუ ნაწარმოებს გადასცემს „გზას“ და დაარღვევს ჟურნალ „სარკესთან“ დადებულ გარიგებას, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა („სარკის“ უფლება) წარმოიშობა ნაწარმოების სხვა ჟურნალისათვის გადაცემის მომენტიდან, რამეთუ მან დაარღვია გარიგებით გათვალისწინებული პირობა.

კანონმა ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება სწორედ მოქმედებისაგან თავის შეკავების ვალდებულებას დაუკავშირა და არა იმას, პირმა თავისი უფლების დარღვევის შესახებ იცოდა თუ არა. მაგრამ ეს ყველა შემთხვევას როდი ეხება. თუ დაპირება არღვევს თვით ამ პირის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, მაშინ ცხ-

ადია ხანდაზმულობის ვადის დაწყების ნორმებს ვერ გამოვიყენებდით „უფლებამოსილი პირის“ ინტერესების დასაცავად. **მაგალითად, ა-მ ბ-ს** ფული ასესხა იმ პირობით, რომ სანამ ის ვალს არ გადაუხდიდა, სხვა სამუშაოზე ვერ გადავიდოდა, თუნდაც ეს სამუშაო მაღალანაზღაურებადიც რომ ყოფილიყო. ეს პირდაპირ არღვევს პირის კანონიერად აღიარებულ უფლებებს და ასეთი გარიგება არც სამართლებრივი ძალის მქონეა და, არც ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისი,– თუ პირი სხვა სამუშაოზე გადავიდოდა. იგი ხომ სხვა სამუშაოზე გადასვლის შემთხვევაშიც ვალდებული იქნებოდა სესხის უკან დაბრუნებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში კრედიტორი გამოიყენებდა კანონით მასზე მინიჭებულ უფლებას გასესხებულის უკან დაბრუნებისა.

ხშირ შემთხვევაში კანონი მოთხოვნის წარმოშობას და მასთან დაკავშირებულ ხანდაზმულობის ვადის წარმოშობას უკავშირებს კრედიტორის ამა თუ იმ მოქმედების განხორციელებას და სანამ კრედიტორი ამ მოქმედებას არ შეასრულებს, მას არც მოვალისაგან ვალდებულების შესრულების მოთხოვნა არ წარმოეშობა. მაგალითად, თუ ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, რომ შემკვეთს მენარდე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შემდეგ გადასცემს ნარდობის საგანს, მაშინ შემკვეთს საზღაურის გადახდის შემდეგ ექნება უფლება მენარდისაგან შესრულებული სამუშაოს მიღებისა. კრედიტორს (შემკვეთს) უფლება არა აქვს შემხვედრი ვალდებულების შესრულებამდე ვალდებულ პირს (მენარდეს) მოსთხოვოს შესრულებული სამუშაოს (დამზადებული ნივთის) მისთვის გადაცემა და ცხადია ამ დრომდე ხანდაზმულობის ვადაც არ წარმოიშობა, ხოლო, როცა კრედიტორს შეეძლო შეესრულებინა გარკვეული მოქმედება, რომელთანაც დაკავშირებული იქნებოდა მოთხოვნის უფლების წარმოშობა და არ შეასრულებს ამ მოქმედებას, – ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა იმ დროიდან წარმოიშობა, როცა კრედიტორს ამ მოქმედების განხორციელება შეე-

კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებსაც, როცა ზოგჯერ კრედიტორის მოთხოვნის უფლებისათვის ხანდაზმულობის ვადის დენა დაწყებულია, მაგრამ ვალდებული პირის მიერ გარკვეული მოქმედების განხორციელებას, რომელიც შესრულებისკენაა მიმართული, აბრკოლებს მისგან დამოუკიდებელი მიზეზები. ასეთ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადები შეჩერებულია იმ დრომდე, სანამ არსებობს მისი შემაჩერებელი (დამაბრკოლებელი) გარემოებები, რომელიც ვალდებული პირის ნებაზე არ არის დამოკიდებული. ასეთი მიზეზები შემდეგია: **სსკ 132 მუხლის** შესაბამისად: „ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება, თუ: **ა.** ვალდებულების შესრულება გადავადებულია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ **(მორატორიუმი)**[392]; **ბ.** სარჩელის წარდგენას აბრკოლებს განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი, დაუძლეველი ძალა; **გ.** კრედიტორი ან მოვალე იმყოფება შეიარაღებული ძალების იმ ნაწილში, რომელიც გადაყვანილია საომარ მდგომარეობაში; **დ.** კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში“.

ა. მორატორიუმი სახელმწიფო ხელისუფლების განკარგულებით განსაკუთრებული გარემოებების გამო ვალდებულების შესრულების გადავადებაა (განსაკუთრებული გარემოება შეიძლება იყოს საომარი მდგომარეობა და სხვა). მორატორიუმი შეიძლება გავრცელდეს განსაზღვრულ ტერიტორიაზე, ვალდებულებათა ცალკეულ სახეებზე, პირთა განსაზღვრულ ჯგუფებზე და სხვა. **მაგალითი:** სს „თბილღვინოს“ უნდა მიეწოდებინა უცხოური ფირმის-

392. ლათ. **moratorium** – დამაყოვნებელი. 1. საშინაო და საგარეო ვალდებულებათა შესრულების გადადება მთავრობის მიერ რაიმე საგანგებო მდგომარეობის (მაგ; ომის, სტიქიური უბედურების) გამო. 2. გარკვეული სახის იარაღის (მაგ; რაკეტების, კოსმოსურ საშუალებათა) გამოცდა და განლაგების შეჩერება. იხ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 1989, გვ. 325.

ათვის ღვინის დიდი პარტია, ხელშეკრულება დაიდო, მაგრამ სანამ დაიწყებოდა საქონლის მიწოდება, აღმოჩნდა, რომ ხელისუფლებამ გამოსცა აქტი, რომლის ძალითაც აიკრძალა ღვინის კონკრეტული სახეობის ექსპორტი, ან კიდევ, მიმღებ ქვეყანაში აიკრძალა საქართველოდან ღვინის იმპორტი. ეს გარემოება ღვინის მიმწოდებლებს ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან, რადგან **სსკ 132-ე მუხლის** შემთხვევაში ვალდებულების შესრულებას ხელს უშლის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გამოცემული აქტი.

„საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ დეტალურად შემუშავებული ფორსმაჟორული სიტუაციები მოიცავს აგრეთვე ქარიშხალს, ციკლონს, აფეთქებებს, სანძარს, მანქანებისა და მოწყობილობების მწყობრიდან გამოსვლას (დანგრევას), ბოიკოტს, გაფიცვას, ფაბრიკებისა და სათავსოების ოკუპირებას, სამუშაოს შეჩერებას იმ მხარის საწარმოში, რომელსაც აქვს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების პრეტენზია და სხვა. საინტერესო იქნება მისი ქართული სასამართლო პრაქტიკისათვის გათვალისწინება. აქ ჩამოთვლილ გარემოებათაგან ზოგიერთი წარმოადგენს არა ფორსმაჟორულ გარემოებას, არამდე დამაბრკოლებელ გარემოებას, რაც ცალკეულ შემთხვევებში შეცვლილი გარემოებების ტოლფასი იქნება“[393].

ბ. ფორსმაჟორი[394] დაუძლეველი ძალაა. მისთვის უპირატესად დამახასიათებელია ის, რომ იგი იმდენად საგანგებო და უჩვეულო მოვლენაა, რომ იწვევს ვალდებულების ობიექტურ შეუძლებლობას. ქართული სამოქალაქო კოდექსი დაუძლეველი ძალის კონკრეტულ დეფინიციას არ იძლევა, როგორც ეს ევროპის ზოგიერთი ქვეყნის კოდექსებშია. მაგალითად **BGB-ს 206-ე პარაგრაფის** მიხედვით

393. იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გვ. 375.

394. ფორსმაჟორი (ფრანგ. **forse majeure**) – ვითარება, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია, გადაულახავი დაბრკოლება. იხ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 1989, გვ. 532.

(„ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება დაუძლეველი ძალის შემთხვევაში") აღნიშნულია, რომ: **„ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება იმ ვადით, რა ვადითაც კრედიტორი ხანდაზმულობის ვადის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მოკლებულია საკუთარი უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობას დაუძლეველი ძალის შედეგად".** მსგავს დანაწესს ქართული სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს.

საერთაშორისო კომერციულ ბრუნვაში კი დაგროვდა საკმაო პრაქტიკა აღნიშნული გარემოებების შესახებ, რაც მისი უნიფიკაცია-ჰარმონიზაციის მნიშვნელოვან წყაროდ უნდა მივიჩნიოთ. ფორსმაჟორულ სიტუაციებს მიეკუთვნება: მიწისძვრები, წყალდიდობები, ზავები და სხვა; სოციალური მოვლენები: ომი, აჯანყება, ასევე სახელმწიფო ხელისუფლების აქტები, მაგალითად, ექსპორტ–იმპორტის აკრძალვა და სხვა. აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტორებიც, რომ რამდენად შესაძლებელია მაქსიმალური ძალისხმევის შემთხვევაში ამ ფაქტორების თავიდან აცილება, ასევე ისიც, რომ დაუძლეველი ძალის შემთხვევაში ობიექტურად შეუძლებელია ტექნიკური ან სხვა საშუალებებით მისი თავიდან აცილება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზემოთ აღნიშნული ზოგიერთი ფაქტორი ყოველთვის როდია დაუძლეველი ძალა. მაგალითად, წყალდიდობა მხოლოდ მაშინაა დაუძლეველი ძალა, როცა იგი მოცემული ადგილისათვის უჩვეულოა, თორემ გაზაფხულზე მდინარის კალაპოტიდან წყლის გადმოსვლა უჩვეულო არ არის და ხშირ შემთხვევებშიც შეიძლება გარკვეული წინასწარი ზომების მიღებით მისი თავიდან აცილება, თუ ბუნებრივი სტიქია დაუმორჩილებელი აღმოჩნდება ადამიანის ძალისაგან. „დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში მიღებულია მთელი რიგი კრიტერიუმები, რაც დაუძლეველი ძალისთვისაა დამახასიათებელი. დაუძლეველი გარემოება, რომელიც შესრულებას შეუძლებელს ხდის და არა დამამძიმებელს. ეს ისეთი მოვლენაა, რომლის წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელია. ამ თვისებით ხასიათდება იგი

ყველაზე თანმხლებ გარემოებასთან ერთად, როგორიცაა მისი დადგომის ვადა, ხანგრძლივობა, წარმოშობის ადგილი. აღნიშნული მოვლენის გათვალისწინება შეუძლებელი უნდა იყოს არა მხოლოდ საზოგადოდ ჩვეულებრივი ადამიანისათვის, არამედ მოვალისათვის, რომელიც ითხოვს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას მოცემული საფუძვლით, თუკი მოვალემ ხელშეკრულების დადებისას იცოდა, რომ დადგებოდა გარემოებანი, რომლებიც ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას გამოიწვევდა, ასეთ შემთხვევაში იგი არ უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან"[395]. მოვალისათვის დაუძლეველ ძალას წარმოადგენს გაუთვალისწინებელი და გარდაუვალი გარემოებები.

გ. ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას იწვევს აგრეთვე როცა კრედიტორი ან მოვალე იმყოფება შეიარაღებული ძალების იმ ნაწილში, რომელიც გადაყვანილია საომარ მდგომარეობაში. მაგალითად, თუ ვალდებულ სამხედრო პირს აქვს სესხი აღებული სამოქალაქო პირისაგან და უკან არ აბრუნებს მას, ბუნებრივია გამსესხებელს შეუძლია სასამართლოს მიმართოს სარჩელით მსესხებლის წინააღმდეგ, მაგრამ თუ სამხედრო ნაწილი, სადაც ეს პირი მუშაობს გადაყვანილია საომარ მდგომარეობაში, მაშინ მის მიმართ მოთხოვნის ხანდაზმულობა შეჩერდება, მანამ, სანამ საომარ მდგომარეობაში იქნება მისი სამხედრო ნაწილი, სადაც ის გადის სამსახურს.

დ. ასევე **132-ე მუხლი** ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. თუ რა შეიძლება იყოს კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები, ჩვენ შეგვიძლია კონკრეტული ნორმის მოხმობით დავადასტუროთ კანონის ეს დანაწესი. მაგალითად, **სსკ 666-ე მუხლის პირველი ნაწილის** თანახმად, „თუ მოგზაურობა არსებითად გაძნელდება, ან

395. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გვ. 372-273.

წარმოიშობა სხვა საფრთხე, ან ტურისტს მიადგება ზიანი ხელშეკრულების დადებისას გათვალისწინებული ძალის დადგომისას, მაშინ, როგორც ტურისტს, ისე მოგზაურობის მომწყობს შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში ტურისტს, რომელსაც ზიანი მიადგა მოგზაურობის ხარვეზისას იმის გამო, რომ დაუძლეველ ძალას ჰქონდა ადგილი, „მაგალითად გემით მგზავრობისას შტორმი, რომლის გათვალისწინებაც მოგზაურობის მომწყობს არ შეეძლო, იგი თავისუფალია პასუხისმგებლობისაგან. ან კიდევ, **სსკ 700-ე მუხლი** ითვალისწინებს, რომ ხანდაზმულობის ვადა შეჩერდება წერილობითი რეკლამაციის საფუძველზე იმ დღისათვის, როცა გადამზიდველი რეკლამაციას უარყოფს და უკან აბრუნებს თანდართულ დოკუმენტებს.

სამოქალაქო კანონმდებლობა ასევე იცნობს შემთხვევებს, როცა ფორსმაჟორული ძალის ვითარებაშიც შეიძლება რომ მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისროს როგორც კანონით, ისე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებშიც. მაგალითად, **საჰაერო კოდექსი** საჰაერო ხომალდების მფლობელს აკისრებს პასუხისმგებლობას მგზავრზე მიყენებული ზიანისათვის დაუძლეველი ძალის შემთხვევაშიც. მაგალითად, **სსკ 999-ე მუხლით (მესამე ნაწილი),** მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისათვის სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ან/და ნივთის დაზიანება, ვალდებულია აუნაზღაუროს დაზარალებულს აქედან წარმოშობილი ზიანი, როცა ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალით საავიაციო ტრანსპორტის ექსპლოატაციის დროს. **831-ე მუხლი** ითვალისწინებს მზღვეველის მიერ ომით ან სხვა დაუძლეველი ძალით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს სპეციალური შეთანხმებითაა გათვალისწინებული.

სსკ 133-ე მუხლის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადების შეჩერებას გარკვეული თავისებურებები ახასიათებს. კერძოდ, ხანდაზმულობის ვადა იმიტომ კი არ ჩერდება, რომ პირს მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობა არ აქვს, არამედ იმ განსაკუთრებული ურთიერთობის გამო, რომელიც მეუღლეებს, მშობლებსა და შვილებს, მეურვეებსა (მზრუნველებსა) და სამეურვეო (სამზრუნველო) პირებს შორის წარმოიშობა.

პირთა ქორწინებაში ყოფნა, ასევე შვილების არასრულწლოვანება ვადის დენის შემაჩერებელ გარემოებებს წარმოადგენენ. **მაგალითი**: ერთმა მეუღლემ მეორეს ასესხა თანხა. თუ კრედიტორი მეუღლე ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში (ამ შემთხვევაში 3 წლის განმავლობაში **(მ.129, ნ. 1. პირველი წინადადების ძალით)** არ მოითხოვს მეორე მეუღლისაგან ვალდებულების შესრულებას, ვალის უკან დაბრუნებას,–ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ხანდაზმულობის ვადა გავიდა. მოთხოვნის უფლების წარმოშობიდან ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულად ითვლება და შეჩერება გრძელდება ქორწინების განმავლობაში. განქორწინების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება.

სსკ 134-ე მუხლი ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების შემდეგ ორ შემთხვევას: **1.** როცა მოთხოვნა მომდინარეობს ქმედუუნარო ან შეზღუდულქმედუნარიანი პირისაგან, რომელსაც კანონიერი წარმომადგენელი არ ჰყავს და **2.** ანდა მიმართულია ასეთი პირისადმი. ქმედუუნარო და შეზღუდული ქმედუნარიანი პირისაგან მოთხოვნის უფლება აქვს სხვა პირს.

როგორც პირველ, ასევე მეორე შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულია კანონის ძალით, ვიდრე პირი ქმედუნარიანი არ გახდება, ან არ დაენიშნება კანონიერი წარმომადგენელი (მეურვე ან მზრუნველი). **სსკ 1280-ე და 1281-ე მუხლები** ითვალისწინებენ სასამარო-

ლოს მიერ მეურვისა და მზრუნველის დანიშვნის წესს. „სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება პირის ქმედუუნაროდ აღიარების თაობაზე, მოვალეა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს **სამი დღისა,** აცნობოს ამის შესახებ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, რომელიც ნიშნავს მეურვეს ან მზრუნველს მხოლოდ მათი თანხმობით. მეურვე ან მზრუნველი უნდა დაინიშნოს არა უგვიანეს **ერთი თვისა** იმ დროიდან, როდესაც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის ცნობილი გახდება მეურვეობის ან მზრუნველობის დაწესების აუცილებლობა. გამოდის, რომ პირს ქმედუუნაროდ აღიარებენ მეურვის დანიშვნამდე და ხანდაზმულობის ვადის დენაც ამ დროის განმავლობაში შეჩერებულია.

ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების თავისებურება იმაში ვლინდება, რომ დრო, რომელიც იმ გარემოებათა დადგომამდე გავიდა, რომლებმაც ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება გამოიწვიეს, ხანდაზმულობის ვადაში ჩაითვლება, ხოლო დრო, რომლის განმავლობაშიც გრძელდება ხანდაზმულობის დენის შემაჩერებელი გარემოება, მხედველობაში არ მიიღება. „ხანდაზმულობის ვადის შეჩერება გაგრძელდება იმ გარემოებების შეწყვეტამდე, რომლებიც მისი შეჩერების საფუძველს წარმოადგენდა (მაგალითად მორატორიუმის გაუქმებამდე). მას შემდეგ, რაც ვადის დენის შემაჩერებელი გარემოება შეწყდება, ხანდაზმულობის ვადა განაგრძობს დენას ხანდაზმულობის დარჩენილი დროის განმავლობაში“[396]. **მაგალითი:** ხანდაზმულობის ვადის დენა 2009 წლის 10 იელისს დაიწყო. სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის დროს ხანდაზმულობა გავა 2012 წლის 10 ივნისს; 2011 წლის 10 იანვარს ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდა და ეს მდგომარეობა გაგრძელდება

396. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 327.

2011 წლის 20 ოქტომბრამდე. ხანდაზმულობის ვადის შეჩერებამდე გავიდა ორი წელი და ექვსი თვე. შეჩერების მთელი ვადის განმავლობაში (2011 წლის 10 იანვრიდან 20 ოქტომბრამდე) ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულია და გაგრძელდება 2011 წლის 20 ოქტომბრიდან, მთელი დარჩენილი დროით, ექვსი თვით. ხანდაზმულობის ვადა გავა 2012 წლის 20 აპრილს.

სამოქალაქო კოდექსის 132-ე მუხლში ჩამოთვლილი გარემოებანი (აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ვალდებულების შესრულების გადავადება (მორატორიუმი), სარჩელის წარდგენისათვის დამაბრკოლებელი გარემოებანი, როგორიცაა: აუცდენელი, დაუძლეველი ძალა, კრედიტორის ან მოვალის ყოფნა შეიარაღებული ძალების რიგებში, რომელიც საომარ მდგომარეობაშია და კანონით გათვალისწინებული კონკრეტული შემთხვევები, ყოველთვის არ იწვევენ ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას. **136-ე მუხლის 1-ლი ნაწილის** თანახმად ისინი ხანდაზმულობის ვადის დენას შეაჩერებენ იმ შემთხვევაში, თუ **132-ე მუხლით** გათვალისწინებული ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებები წარმოიშვა ან განაგრძობდა არსებობას ხანდაზმულობის ვადის უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში, ხოლო თუ ეს ვადა ექვს თვეზე ნაკლებია – ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში". **მაგალითად** ხანდაზმულობის ვადა ურთიერთობებისათვის 5 წელია, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა შეიძლება შეჩერდეს, თუ ერთ-ერთ შემაჩერებელ გარემოებას ადგილი ჰქონდა ხანდაზმულობის ვადის დაწყებიდან ოთხი წლისა და ექვსი თვის გასვლის შემდეგ. მაგრამ, თუ მოხდა ისე, რომ შემაჩერებელი გარემოება წარმოიშვა ადრე (ხანდაზმულობის ვადის ბოლო ექვს თვემდე), მაგრამ ხანდაზმულობის ვადის ბოლო ექვსი თვის ფარგლებშიც განაგრძობდა არსებობას, ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება მისი ბოლო ექვსი თვის დაწყებისთანავე (მაგალითად, თუ ხანდაზმულობის ვადა 6 წელია და ორი

წლის და სამი თვის გასვლის შემდეგ წარმოიშობა მისი შემაჩერებელი გარემოება, რომელიც ხუთი თვე გაგრძელდა, ხანდაზმულობის ვადა შეჩერდება 5 წლისა და ექვსი თვის გასვლის შემდეგ). თუ ხანდაზმულობის ვადა ექვს თვეზე ნაკლებია, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება ხანდაზმულობის მთელი ვადის ყოველ მომენტში. მაგ; თუ ხანდაზმულობის ვადა 4 თვეა, ის შეიძლება შეჩერდეს, თუნდაც მისი დაწყებიდან 5 დღის გასვლის შემდეგ.

სსკ 136-ე მუხლით, რომ „იმ გარემოებების შეწყვეტის დრიდან, რომლებიც საფუძვლად დაედო ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას, ხანდაზმულობა გაგრძელდება ექვს თვემდე, ხოლო თუ ხანდაზმულობის ვადა ექვს თვეზე ნაკლებია – ხანდაზმულობის ვადამდე", – აქ იგულისხმება, რომ „თუ ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობის შემაჩერებელი გარემოებები წარმოიშვნენ და შეწყდნენ ადრე ხანდაზმულობის ვადის ბოლო ექვს თვემდე, პირს მაინც საკმარისი დრო რჩება მოთხოვნის შემაჩერებელი გარემოებების შეწყვეტის შემდეგ. პირს (კრედიტორს) უნდა დარჩეს საკმარისი დრო მოთხოვნის წარსადგენად"[397]. ანუ, იგულისხმება, რომ ხანდაზმულობის ვადის შემაჩერებელი გარემოებების შეწყვეტის შემდეგ, ვადა ექვს თვემდე გაგრძელდება, ხოლო თუ ხანდაზმულობის ვადა ექვს თვეზე ნაკლებია, – ხანდაზმულობის ვადამდე". გამოდის, რომ დრო, რომელიც რჩება ვადის დენის შემაჩერებელი გარემოებების შეწყვეტის შემდეგ, ყოველთვის ექვსი თვის, ხოლო ექვს თვეზე ნაკლები ხანდაზმულობის ვადის არსებობისას თვით ამ ვადის ტოლია[398]". **მაგალითი**: თუ 4 წლიანი ხანდაზმულობის ვადის დროს ვადის მიმდინარეობა შეჩერდა მისი დაწყებიდან 3 წლისა და 8 თვის გასვლის შემდეგ და შეჩერება

397. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 329.

398. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ, 329-330.

გაგრძელდა 1 თვე, ამ ერთი თვის გასვლის შემდეგ ხანდაზმულობის ვადის დენა გაგრძელდება არა დარჩენილი 4 თვით, არამედ 6 თვით, ხოლო თუ ხანდაზმულობის ვადა 5 თვეა და იგი შეჩერდა ერთი თვის გასვლის შემდეგ, შემაჩერებელი გარემოებების შეწყვეტის შემდეგ იგი კვლავ 4 თვე იქნება, ე. ი. იმდენი, რამდენიც ხანდაზმულობის ვადა.

გერმანული სამოქალაქო კოდექსი განსხვაებით ქართული სამოქალაქო კოდექსისაგან იცნობს **„ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება-ს მოლაპარაკებების წარმოებისას“ (§203)[399]; „ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება-ს სასამართლოში საქმის წარმოებით“ (§204)[400]; „ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება-ს სექსუალური თვითგამორკვევის წინააღმდეგ მიმართული მოთხოვნის უფლებების შემთხვევაში“ (§208)[401].** ამ მუხლების შესახებ ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი.

სამოქალაქო კოდექსი გარდა ხანდაზმულობის ვადის შეჩერებისა, იცნობს აგრეთვე **ხანდაზმულობის ვადის შეწ-**

---

399. იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB) (2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით), ზ. ჭეჭელაშვილის თარგმ; Гражданское уложение Германии, 2-е издание, Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands, 2. Auflage. Wolters Kluwer; Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 213-214.

400. იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB) (2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით), ზ. ჭეჭელაშვილის თარგმ; Гражданское уложение Германии, 2-е издание, Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands, 2. Auflage. Wolters Kluwer; Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 214-221.

401. დამატ. იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB) (2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით), ზ. წეჭელაშვილის თარგმანი ქართულ ენაზე; Гражданское уложение Германии, 2-е издание, Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands, 2. Auflage. Wolters Kluwer; Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 224.

ყვეტასაც, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ შეწყვეტამდე გასული დრო მხედველობაში არ მიიღება და ხანდაზმულობის ვადა თავიდან დაიწყება. **სსკ 137-ე მუხლი** ჩამოთვლის იმ გარემოებებს, რომლებიც ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას იწვევენ. ეს გარემოებებია: თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ვალს აღიარებს, რომელიც უნდა გამოიხატოს იმ ფორმაში, რომელიც ამ ვალის არსებობას დაადასტურებს. **137-ე მუხლის შემთხვევაში** „ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოხოვნის არსებობას".

ავანსი ისეთი ფულადი თანხაა, ან სხვა ქონება, რომელსაც ერთი მხარე წინასწარ გადასაცემს მეორე მხარეს ვალდებულების სრული ან ნაწილობრივი შესრულების მიზნით.

პროცენტი საფასურია, რომელსაც კრედიტორი იღებს ვალდებული პირისაგან არა მარტო მაშინ, როდესაც მათი ურთიერთობა ნორმალურად ვითარდება (მაგალითად, მოვალე ბანკს ყოველთვიურად უხდის საიპოთეკო სესხის პროცენტს), არამედ მისი დარღვევის შემთხვევაშიც (კერძოდ ვადის გადაცილების ფაქტთან დაკავშირებით). **პირველ შემთხვევაში პროცენტი კაპიტალით სარგებლობისათვის დგინდება, ხოლო მეორე შემთხვევაში, არ აქვს მნიშვნელობა პირი ისარგებლებს თუ არა ამ კაპიტალით,— საამისოდ მხოლოდ ვადის გადაცილების ფაქტია მთავარი.**

კრედიტორისათვის გარანტიის მიცემა ასევე ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველია. გარანტია ერთგვარი უზრუნველყოფაა ვალდებულების შესრულებისა. თუ ვალდებული პირი ვერ შეასრულებს ვალდებულებას, საგარანტიო თანხა მოხმარდება ვალდებულების შესრულებას. მაგალითად, **სსკ 879-890 მუხლები** საბანკო გარანტიას არეგულირებს. კერძოდ, **სსკ 879-ე მუხ-**

ლით: „საბანკო გარანტიის ძალით ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე". აქ ისეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა მესამე პირი კისრულობს ვალდებულებას (გადახდის ვალდებულება კრედიტორისათვის) იმ შემთხვევისათვის, როცა ვალდებული პირი ვერ შეასრულებს ვალდებულებას.

გარანტიად ჩაითვლება **თავდებობაც**, რომლის ძალით თავდები კისრულობს თავდებად დაუდგეს კრედიტორის წინაშე მესამე პირს ამ უკანასკნელის ვალდებულების შესასრულებლად **(სსკ მ. 891-905)**. ასევე, კანონი იცნობს მოთხოვნის აღიარების ისეთ ფორმას, როცა კრედიტორს მიმართავს ვალდებული პირი შესრულების გადავადების თხოვნით, უგზავნის წერილს და ვალდებულების შესრულებას პირდება. ზოგ შემთხვევაში ვალის აღიარება მოითხოვს კანონით დაცულ ფორმას. მაგ; **სსკ 341-ე მუხლით** განსაზღვრულია, რომ „იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (ვალის არსებობის აღიარება), აუცილებელია წერილობითი ფორმა. თუ სხვა ფორმაა გათვალისწინებული იმ ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობისათვის, რომლის არსებობაც აღიარებულ იქნა, მაშინ აღიარებაც მოითხოვს ამ ფორმას". ხოლო, „თუ ვალის არსებობა აღიარებულია ანგარიშსწორების (გადახდის) საფუძველზე ან მორიგების გზით, მაშინ ფორმის დაცვა არ არის აუცილებელი" **(სსკ მ. 341, ნ. 1. 2.)**. „ვალის არსებობის აღიარება არის ცალმხრივი ხელშეკრულება, ვინაიდან ამ ხელშეკრულებით იმ პირს, ვინც აღიარა ვალის არსებობა, წარმოეშობა შესრულების ვალდებულება,

ხოლო იმ პირს, რომლის სასარგებლოდაც განხორციელდა ვალის არსებობის აღიარება, უფლება აქვს მოითხოვოს შესრულება. ვალის აღიარება არის აბსტრაქტული ხელშეკრულება. იგი დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან, რომლის არსებობა მხარეებისათვის შეიძლება სადავოც კი გახდეს. ვალის აღიარება ქმნის ახალ დამოუკიდებელ მოთხოვნას, რომლის მიზანი არ არის ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესრულების მოთხოვნა"[402].

ვალის აღიარება უნდა მოხდეს მხოლოდ კრედიტორის წინაშე.

სსკ 138-ე მუხლი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როცა ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება უფლებამოსილი პირის მიერ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სასამართლოში სარჩელის შეტანით. „ცხადია, რომ თუ სასამართლო პროცესი გადაწყვეტილებით მთავრდება, საერთოდ არ დგება საკითხი ხანდაზმულობის ვადის შესახებ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანით მნიშვნელოვანია, რომელსაც ზემოთ აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს. ხშირია სასამართლო პრაქტიკაში შემთხვევები, როცა სარჩელის შეტანით ბევრი საკითხი, რომელიც სარჩელში იქნა წამოჭრილი, გადაუწყვეტელი რჩება და საჭირო ხდება ახალი სარჩელის შეტანა; ან კიდევ, სასარჩელო განცხადება გაგზავნილ იქნა ფოსტით, მაგრამ იგი დაიკარგა და ა. შ"[403].

ცხადია სარჩელის შეტანით ყოველთვის არ წყდება ხანდაზმულობის ვადის დენა. მუხლი ზუსტად განსაზღვრავს ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას სასამართლოში უფლებამოსილი პირის მიერ სარჩელის შეტანით მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ან მის დასად-

402. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გვ. 176.
403. ი.ხარაზი, დასახ. ნაშრომი, გვ. 487.

გენად, ან კიდევ, სარჩელის შეტანის გარდა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას გამოიწვევს უფლებამოსილი პირის მიერ განცხადების შეტანა სახელმწიფო ორგანოში ან სასამართლოში.

ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძვლად კანონით ასევე გათვალისწინებულია უფლებამისილი პირის მიერ **თვითადსრულება** თავისი მოთხოვნისა. **მაგალითი**: თუ ნათხოვრობის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ პირი არ აბრუნებს ნივთს უკან, გამნათხოვრებელი უფლებამოსილია ამ ნივთის დაბრუნებაზე (ნივთს უკან წამოიღებს, ცხადია კანონისმიერი საფუძვლით); ან კიდევ, კრედიტორი, რომელსაც ვალდებულმა პირმა გადაუხადა ვალი, უკან არ აბრუნებს გირაოს საგანს. პირი უფლებამოსილია თვითონ წამოიღოს ეს ნივთი. აღნიშნული ნორმა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის ხანგრძლივობაზე მიუთითებს **139-ე მუხლის** გამოყენებით, ხოლო **140-ე მუხლის კანონის ანალოგიით** გამოყენებით მიუთითებს, რომ სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას ყოველთვის არ გამოიწვევს (მაგ; ერთ-ერთი ასეთი შემთხვევაა, თუ მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე და ა.შ).

სსკ 139-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ასევე ადგენს დროს ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტისა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა გრძელდება სარჩელის შეტანის საფუძველზე მანამ, სანამ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არ შევა კანონიერ ძალაში, ან პროცესი სხვაგვარად არ დასრულდება. **მაგალითი**: თუ სარჩელი მოსარჩელის მიერ შეტანილი იყო 2012 წლის 5 სექტემბერს, ხოლო სასამართლოს გადაწყეტილება ძალაში 20 ოქტომბერს შევიდა, გამოდის, რომ 5 სექტემბრიდან 20 ოქტომბრამდე ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილია.

აღნიშნული მუხლი ადგენს ხანდაზმულობის შეწყვე-

ტის ისეთ სამართლებრივ საფუძვლებს, როცა სასამართლოს შეტანილი სარჩელის გამო გადაწყვეტილება არ მიუღია მხარეთა შეთანხმების გამო პროცესის შეწყვეტის გამო (მაგალითად, მხარეები მორიგდნენ), ან კიდევ, შეუძლებელია პროცესის შემდგომი გაგრძელება და ხანდაზმულობის ვადა შეწყდება ამ კონკრეტული გარემოებების გამო. მაგალითად, მამამ შვილს ასესხა 5000 ლარი 3 წლით. შვილმა ვერ გადაიხადა ვალი დათქმულ დროს და მამამ სარჩელი შეიტანა შვილის წინააღმდეგ სასამართლოში. სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას მოსარჩელე (მამა) გარდაიცვალა და მისი მთელი სამკვიდრო ქონება შვილმა მიიღო. გამოდის, რომ მან მიიღო მემკვიდრეობით ის თანხაც (ვალი), რომელსაც მამა ედავებოდა; ან კიდევ, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას გამოიწვევს შემთხვევა, როცა მოსარჩელეს ვალდებული პირის წინააღმდეგ შეტანილი ჰქონდა სარჩელი, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე მოვალე გარდაიცვლება და შესრულება შეუძლებელია მისი პირადი მონაწილეობის გარეშე (მაგ; ცნობილ მწერალს თავისი რომანი, რომელსაც მალე დააამთავრებდა, ექსკლუზიური გამოქვეყნების უფლებით უნდა გადაეცა კონკრეტული ჟურნალისათვის, მან კი აღნიშნული რომანი სხვა ჟურნალს გადასცა გამოსაქვეყნებლად, რამაც გამოიწვია მოსარჩელის (პირველი ჟურნალის რედაქციის (რედაქტორის) სარჩელი სასამართლოში. პროცესი კი შეწყდა მოპასუხის (მწერლის) გარდაცვალების გამო, რომელსაც მისი პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე ვალდებულება მხოლოდ მას უნდა შეესრულებინა და მემკვიდრე მის ვალდებულებას ვერ გააგრძელებდა (რომანს ვერ დაამთავრებდა). **სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის („საქმის წარმოების შეწყვეტა") „ე" ქვეპუნქტით** „საქმის წარმოება წყდება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე, თუ საქმის ერთ-ერთ მხარედ მყოფი მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ ან იურიდიული პირის ლიკვიდაციისას, სადავო სა-

მართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა“ და სხვა.

კანონის მიხედვით ხანდაზმულობის ვადა შეწყდება ორივე მაგალითის შემთხვევაში ბოლო საპროცესო მოქმედების დამთავრებასთან ერთად. ხოლო თუ ერთ-ერთი მხარე კვლავ განაგრძობს პროცესს, შეწყვეტის შემდეგ დაწყებული ხანდაზმულობის ახალი ვადა ისევე შეწყდება, როგორც წყდება ხანდაზმულობის ვადის დენა სარჩელის შეტანით, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ერთ-ერთი მხარე პროცესს კვლავ განაგრძობს, ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყვეტილად ითვლება ამ მხარის მიერ პროცესის გაგრძელებიდან სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის (რომელიც საქმის წარმოების შეწყვეტას ეხება), **„ე“ ქვეპუნქტის** თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ: საქმის ერთ-ერთ მხარედ მყოფი მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ ან იურიდიული პირის ლიკვიდაციისას, სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა“.

სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლის პირველი ნაწილი მიუთითებს იმ შემთხვევებზე, როცა: **ა.** სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ გამოიწვევს და ვადის დენას განაგრძობს საერთო წესით. ეს შემთხვევებია: თუ მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე. სარჩელზე უარის თქმა დასაშვებია თუ მოსარჩელე უკან გაიტანს სარჩელს ან უარს იტყვის სარჩელზე მოსამზადებელ სხდომაზეც. უარის თქმად შეგვიძლია მივიჩნიოთ მხარეთა მორიგებაც **(სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მ. 3 ნ. 2** ითვალისწინებს: „მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია

უარი თქვას სარჩელ'ზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი); **ბ.** სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი განუხილველად იქნება დატოვებული. **სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლით კი (ნ. 1)**: „სასამართლო, მხარის განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ: **ა)** სარჩელი (განცხადება) შეიტანა ქმედუუნარო პირმა, ხოლო სასამართლოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია დაუნიშნოს მას საპროცესო წარმომადგენელი; **ბ)** სარჩელი (განცხადება) დაინტერესებული პირის სახელით შეიტანა იმ პირმა, რომელსაც არა აქვს საქმის წარმოების უფლებამოსილება; **გ)** სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე (განმცხადებელი) არ გამოცხადებულა, ხოლო მოპასუხე თანახმაა, სარჩელი (განცხადება) განუხილველად იქნეს დატოვებული; **დ)** არც ერთი მხარე არ გამოცხადებულა; **ე)** იმავე ან სხვა სასამართლო წარმოება'ში არის საქმე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით; **ვ)** დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გამოხმობის შესახებ. ამაეე მუხლის მეორე ნაწილით, „სასამართლო უფლებამოსილია სარჩელი განუხილველად დატოვოს, თუ მოსარჩელემ სარჩელ'ში არასწორად მიუთითა თავისი ან მოპასუხის მისამართი".

„სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვების შემთხვევაში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ შეწყდება", ხოლო, „იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემთხვევაში, რომლებიც საფუძვლად დაედო სარჩელის განუხილველად დატოვებას, დაინტერესულ პირს უფლება აქვს კვლავ მიმართოს სასამართლოს საერთო წესის დაცვით" **(საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მ. 277-278).**

მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის ან სასამართლოს მიერ სარჩელის განუხილველად დატოვების

შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია **6 თვის ვადაში** შეიტანოს ახალი სარჩელი, თუ აღმოფხვრის იმ გარემოებებს, რომლებიც საფუძვლად დაედო სარჩელის განუხილველად დატოვებას. ცხადია იგულისხმება **სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტის** დანაწესით სარჩელი, რომელიც იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით ეხება. და თუ ზემოთ აღნიშნულ ვადაში (ექვსი თვის განმავლობაში) იქნება შეტანილი ახალი სარჩელი, სარჩელზე უარის თქმის ან სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დენა პირველი სარჩელის შეტანიდან ჩაითვლება შეწყვეტილად.

თუ შეწყდება ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა დაიწყება თავიდან". ეს განასხვავებს მას ხანდაზმულობის ვადის შეჩერებისაგან. **მაგალითი**: ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყო 2011 წლის 1 მაისს, ხოლო 2012 წლის 1 თებერვალს შეწყდა. დრო 2011 წლის 1 მაისიდან 2012 წლის 1 თებერვლამდე მხედველობაში არ მიიღება და ხანდაზმულობის ვადის დენა თავიდან აითვლება 2012 წლის 1 თებერვლიდან.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §211 არეგულირებს „ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა-ს სამემკვიდრეო საქმეებში", რომელიც ასეთი ფორმულირებით არ გვხვდება სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში. BGB-ის §213 აწესრიგებს დამატებით მოთხოვნებთან დაკავშირებულ ხანდაზმულობის ვადას, კერძოდ: „ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა და ხელახალი დენა მოქმედებს ასევე იმ მოთხოვნის უფლების მიმართ, რომლებიც იმაცე საფუძვლით წარედგინება დამატებით მოთხოვნის უფლებასთან ერთად ან მის ნაცვლად"[403].

403 .იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB) (2010 წლის 1

ჩვენ უკვე განვიხილეთ **ხანდაზმულობის საერთო (10 წელი)** და **სპეციალური** (შესაბამისად **3, 6, 3 წელი)** ვადები, ხოლო **სსკ 142-ე მუხლის** თანახმად კი, „სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა **ათი წელი,** მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება. ეს ვადა სპეციალური ვადაა და ეს განასხვავებს მას საერთო ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადისაგან.

უფლებამონაცვლეობით პირის მფლობელობაში ზოგ შემთხვევაში აღმოჩნდება ისეთი ნივთი, რომელიც თავდაპირველ მფლობელს არ ეკუთვნოდა და მასზე მესამე პირის სანივთო უფლება წარმოიშობა. ანუ მესამე პირს შეუძლია გამოითხოვოს ეს ნივთი ყოველი იმ პირისაგან, რომელთაც გადაეცათ ეს ნივთი. მაგალითად, **სსკ 1335 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,** „თუ მოანდერძემ არასწორად დაუტოვა მემკვიდრეს ნივთი, ამ ნივთის მესაკუთრეს უფლება აქვს გამოითხოვოს იგი საერთო წესის მიხედვით. ასევე, სანივთო უფლება წარმოიშობა, როცა პირის მფლობელობაში გადავიდა უფლებამონაცვლეობით ისეთი ნივთი, რომელზეც საგირავნო მოთხოვნა არსებობს და სხვა. აღნიშნულ შემთხვევებში, თუ ხანდაზმულობის ვადა სანივთო მოთხოვნის მიმართ ჯერ კიდევ წინა მფლობელის დროს წარმოიშვა, იგი გამოიყენება აგრეთვე მისი უფლებამონაცვლის მიმართაც. მაგალითად, თუ ნივთზე მფლობელის უფლება წარმოიშვა 2010 წლის 1 ივნისს, ხოლო 2011 წლის 1 იანვარს ეს ნივთი უფლებამონაცვლეობის გზით (ვთქვათ მემ-

---

მარტის მდგომარეობით), ზ. წეჭელაშვილის თარგმანი ქართულ ენაზე; Гражданское уложение Германии, 2-е издание, Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands, 2. Auflage. Wolters Kluwer. Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüncberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 227

კვიდრეობით) სხვა პირის მფლობელობაში გადავიდა მაშინ ამ უკანასკნელისაგან ნივთის უკან გამოთხოვის 10 წლიანი ვადა დაიწყება 2010 წლის 1 ივნისიდან და არა 2011 წლის 1 იანვრიდან, როცა ნივთი უფლებამონაცვლეობით სხვა პირის მფლობელობაში გადავიდა.

კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადები (საერთო და სპეციალური) მხარეებს უფლებამოსილებით აღჭურავენ მოითხოვონ ამ ვადის განმავლობაში თავიანთი უფლების განხორციელება (გამოითხოვონ სხვა პირისაგან კუთვნილი ნივთი, მოითხოვონ რაიმე მოქმედების შესრულება ვალდებული პირისაგან და ა. შ.). კრედიტორი კანონის ფარგლებში ყოველთვისაა უფლებამოსილი ვალდებული პირისაგან მოქმედების განხორციელების მოთხოვნაზე, მაგალითად, სესხის დაბრუნებაზე. მაგრამ თუკი კრედიტორმა გაუშვა ხანდაზმულობის ვადა, კანონი მოვალეს უფლებას აძლევს ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ უარი თქვას თავისი მოქმედების შესრულებაზე. **მაგალითი: ა-ს ბ-სთვის** უნდა გადაეხადა 8 თვის ბინის ქირა, რომლის გადაუხდელობის გამო ბ-მ შეწყვიტა ბინის ქირავნობის ხელშეკრულება. **ბ-მ** გაუშვა სასამართლოში მიმართვის ხანდაზმულობის ვადა, რამაც მას მოუსპო შესაძლებლობა **ა-საგან** მოეთხოვა ბინის ქირის გადახდა. კანონი ითვალისწინებს, რომ **(სსკ 144. ნ. 2)**, თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შეასრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება მოითხოვოს შესრულების დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო. ზემოთ მოყვანილი მაგალითის შემთხვევაში, **ა-მ,** მიუხედავად ხანდაზმულობის ვადის გაშვებისა, მისწერა **ბ-ს** წერილი, რომლითაც მან ივალდებულა ბინის ქირის გადახდა და გადაუხადა კიდეც დარჩენილი ქირა **ბ-ს.** გამოდის, რომ ა. რომელმაც ვალდებულება შეასრულა, თუმცა გასული იყო ხანდაზმულობის ვადა, იგი უკან ვეღარ გამოითხოვს

გადაცემულის (ქირის თანხის) უკან დაბრუნებას, მიუხედავად იმისა, რომ მას მოვალეობის შესრულების მომენტში ხანდაზმულობის ვადის გასვლის შესახებ არ სცოდნოდა. ანალოგიური წესი გამოიყენება ვალდებული პირის აღიარებისა და უზრუნველყოფის საშუალების მიმართ. ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან აშკარად ჩანს, რომ **ა-მ ბ-სადმი** მიწერილ წერილში (რომ გადაიხდიდა დარჩენილი ბინის ქირას), ფაქტობრივად აღიარა ვალდებულების შესრულება და ამ აღიარებით[404] წარმოიშვა ახალი მოთხოვნა, რომლის ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება თავიდან – ახალი მოთხოვნის წარმოშობის დღიდან.

სსკ 145-ე მუხლის თანახმად, მთავარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლით ხანდაზმულობის ვადა გასულად ითვლება დამატებითი მოთხოვნებისთვისაც, მაშინაც, კი როცა მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა ჯერ არ გასულა. **დამატებითია ისეთი მოთხოვნები**, რომლებიც კოდექსის ენაზე რომ ვთქვათ, ისეა დაკავშირებული ძირითად მოთხოვნებთან (უფლებებთან), რომ მის გარეშე არ არსებობენ. ამიტომ ძირითადი უფლებისათვის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა იწვევს ავტომატურად ხანდაზმულობის ვადის გასვლას დამატებითი უფლებებისათვის. **დამატებით, აქცესორულ[405] უფლებებს** მიეკუთვნება ისეთი მოთხოვნები, რომლებიც კანონით ან შეთანხმების ძალით უზრუნველყოფენ მოთხოვნის შესრულებას და ძირითადი მოთხოვნის გარეშე ისინი დამოუკიდებლად არ არსებობენ. **განასხვავებენ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ქონებრივ და პიროვნულ საშუალებებს.**

ქონებრივი უზრუნველყოფის საშუალებებია: გირავნობა და იპოთეკა (სსკ მ. 254-285[1], 286-310), პირგასამტეხლო, ბე

404. ვალის არსებობის აღიარების შესახებ დაწვრ. იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გვ. 176-179.

405. აქცესორული უფლებების შესახებ იხ. ბ. ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, გვ. 51-53.

(სსკ 417-423 მუხლები). პიროვნული უზრუნველყოფის საშუალებებს წარმოადგენენ: მოვალის გარანტია (სსკ 424-426 მუხლები), თავდებობა (სკ 891-905 მუხლები) და საბანკო გარანტია (სსკ 879-890 მუხლები).

ზოგჯერ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებებს **კანონი** განსაზღვრავს, მათ შორის: **1)** ვალდებულების უზრუნველყოფის **სანივთო-სამართლებრივი საშუალებით;** მაგალითად, მენარდეს თავისი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად შეუძლია გამოიყენოს გირავნობის უფლება მის მიერ დამზადებულ ან შეკეთებულ მოძრავ ნივთზე, თუ ეს ნივთი, დამზადების ან შეკეთების მიზნით მენარდის მფლობელობაშია **(სსკ მ. 634); 2)** ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის **ვალდებულებით–სამართლებრივი საშუალებებით,** მაგალითად, თუ ლიზინგის მიმღებს ქონება არ მიეწოდა, ან მიეწოდა ვადაგადაცილებით, ან ის არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, ლიზინგის მიმღებს უფლება აქვს არ მიიღოს ქონება და მიმწოდებლისაგან მოითხოვოს იმგვარი ქონება, რომელიც ხელშეკრულების პირობების შესაბამისი იქნება, ან/და მოითხოვოს მისგან ზიანის ანაზღაურება“და სხვა.

გარდა აღნიშნულისა შეიძლება დამატებით სხვა მოთხოვნებიც, მაგალითად, **პროცენტის მოთხოვნის** უფლება[406].

ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები, როგორც წესი, არ არსებობენ ძირითადი ვალდებულების გარეშე. ამ სახის ურთიერთობების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იმ ვალდებულების არანამდვილობა, რომლის უზრუნველსაყოფადაც ისინი არსებობს, ავტომატურად იწვევენ მათ არანამდვილობას. თუმცა ამ ზოგადი წესიდან გამონაკლისები მაინც არსებობს. საბანკო

406. დამატ. იხ. ჰაინრიხ შნიტგერი „საკრედიტო სამართალი“, წიგნიდან „მოკლე კონსპექსტები“, თბ. 2011, საიტი: www.gtz.de/law_caucasus

გარანტიის დროს გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე მათ შორის ურთიერთობებისას არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებებზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის იგი გაცემული, მაშინაც კი როცა გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე (სსკ მ. 881). მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან: კორპორაცია „დეუშ" სს „ექსპორტიმპორტბანკის" წინააღმდეგ აღძრა სარჩელი საბანკო გარანტიით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით. სარჩელის საფუძვლად მითითებული იქნა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ 1998 წლის 29 აპრილს მოპასუხემ (გარანტი) შპს „ვეილმოტორს"-ის (პრინციპალის) თხოვნით კორპორაცია „დეუს" (ბენეფიციარი) სახელზე გასცა საბანკო გარანტია 178000 აშშ დოლარზე გაცემული გარანტიის მიხედვით. პრინციპალის მიერ თანხის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში გარანტი კისრულობდა ვალდებულებას, გადაეხადა ჯარიმა წლიური 25 %-ის ოდენობით. შპს „ვეილმოტორსის" მიერ თანხის გადაუხდელობის გამო, კორპორაცია „დეუშ" მიმართა გარანტს, რომელმაც 1999 წლის 27 დეკემბერს უარი განაცხადა ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. მოსარჩელემ სარჩელით მოითხოვა გარანტისაგან როგორც ძირითადი დავალიანების თანხის, ისე ჯარიმის ანაზღაურება. მოპასუხემ კი არ სცნო სარჩელი იმ საფუძვლით, რომ საბანკო გარანტია გაცემული იყო ექვსი თვის ვადით, ხოლო ბენეფიციარი ვალდებულების შესრულებას ითხოვდა ამ ვადის გასვლის შემდეგ. მესამე პირმა შპს „ვეილმოტორსმა" განმარტა, რომ სადავო თანხის ნაწილი–155 600 აშშ დოლარი მის მიერ გადახდილი იქნა მოსარჩელისათვის.

საკასაციო სასამართლომ, რომელმაც საქმეზე გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, გამოიტანა ახალი გადაწყვეტილება სარჩელის სრულად დაკმაყოფილების შესახებ შემდეგ გარემოებებზე მითითებით, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ, გარანტიით ნაკისრი ვალდებულება არასწორად დაუკავშირა ძირითად (ნასყიდობის) ვალდებულებას

და, შესაბამისად, მასზე არასწორად გაავრცელა ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის დადებული ხელშეკრულების ვადებმა; საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სკ-ის 881-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნით საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტიის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც ის არის გაცემული, მაშინაც კი, როცა გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე; ასევე მან განმარტა, რომ სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, პრეტენზიის წარდგენის ვადის გასვლა არ იწვევს საგარანტიო ვადის შეწყვეტას, ან მოთხოვნის უფლების გაუქმებას.

საკასაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ იყო დადგენილი ის გარემოება, რითაც გარანტს სკ-ის 887-ე მუხლის ძალით ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შეეძლო. აღნიშნული თავისებურებების გამო საბანკო გარანტია ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამოუკიდებელ სახედ უნდა იქნეს მიჩნეული. ვალდებულების ძირითადი სუბიექტი ბენეფიციარი არ არის და ამიტომაც კანონი არ მოითხოვს მისგან გარანტიის მიღებას ან სხვა სახის თანხმობას. ეს ხელშეკრულება ანაზღაურებითი სახისაა – გარანტს პრინციპალი შეთანხმებულ საზღაურს უხდის, რადგან გარანტი პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის რისკს იღებს თავის თავზე და ასეთი სამსახურის გაწევისათვის მან გარკვეული საზღაური უნდა მიიღოს (სკ მ. 880)[406].

სხვა ვადებიც შეიძლება დადგინდეს დამატებით მოთხოვნაზე. თუ დამატებითი ვადები ძირითად ვადებზე მეტია, იგი მაინც გასულად ჩაითვლება, ხოლო დამატებით მოთხოვნაზე დადგენილი შემცირებული ვადა ძირითადი მოთხოვნის ვადებზე გავლენას ვერ მოახდენს.

სამოქალაქო კოდექსის 146-ე მუხლის დანაწესი, რომ „ხანდაზმულობის ვადებისა და მათი გამოთვლის წესის

406. დაწერ. იხ. სუსგ სამოქ. საქმე №3 კ-62-01, 17 იანვარი, 2001 წელი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ბიულეტენი.

შეცვლა მხარეთა შეთანხმებით დაუშვებელია“, მიანიშნებს იმაზე, რომ ხანდაზმულობის ვადების მარეგულირებელი ნორმები იმპერატიულია და სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს არ შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით ამ ვადების შეცვლა (მაგალითად, პირები შეთანხმდნენ კანონით დადგენილი ვადისაგან განსხვავებით მეტ ან ნაკლებ ვადაზე. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები გარიგების დადებისას კანონისაგან განსხვავებულ ვადებზე შეთანხმდებიან, ამ შემთხვევაშიც კანონით დადგენილი ვადები გამოიყენება.

ანალოგიურ დანაწესს იოვალისწინებს **BGB-ის §202**, რომლის თანახმად: (1) განზრახვისათვის პასუხისმგებლობის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დენის წესები არ შეიძლება წინასწარ გარიგებით შემსუბუქდეს. ხოლო, **(2)-ის** თანახმად, განსხვავებით ქართული სამოქალაქო კოდექსისაგან ადგენს, რომ: გარიგებით ხანდაზმულობის ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს **30–წლიან ვადას კანონისმიერი ხანდაზმულობის ვადის დასაწყისიდან“.**

საინტერესოა გერმანული სამოქალაქო კოდექსის მიდგომა (ტიტული **II), § 203-213)** „ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტისა და ხელახალი დენის“ შესახებ. განსხვავებით ქართული სამოქალაქო კოდექსისაგან **§ 204-ით** გერმანული სამოქალაქო კოდექსი საუბრობს „ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებაზე სასამართლოში საქმის წარმოებით“, კერძოდ, **(1):** ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება: **1.** ვალდებულების შესრულების ან მოთხოვნის უფლების დადასტურების, სააღსრულებო წარწერის გაკეთებისა და თუ სააღსრულებო განკარგულების გაცემის მოთხოვნით სარჩელის შეტანით, **2.** არასრულწლოვანი პირის რჩენის შესახებ გამარტივებულ საქმის წარმოებაში განცხადების წარდგენით, **3.** დავალიანების გადახდევინების შესახებ გამარტივებული წესით საქმის წარმოების პროცესში

(**ahnverfahren**) ვადაგადაცილებული დავალიანების გადახდის შესახებ სასამართლოს ბრძანების ჩაბარებით, **4.** სამომრიგებლო წარმოებაში ქონებრივი სარჩელის შესახებ შეტყობინებით, რომელიც წარდგენილ იქნა ლანდის იუსტიციის მმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული ან აღიარებული სამომრიგებლო ორგანოს მიერ ან, თუ მხარეები მორიგებას ცდილობენ შეთანხმების დადებით,–ნებისმიერი სხვა სამომრიგებლო ორგანოს მიერ, რომელიც აგვარებს დავას; თუ შეტყობინება გაკეთდა განცხადების წარდგენიდან უმოკლეს ვადაში, ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება დაუყოვნებლივ განცხადების წარდგენისთანავე. **5.** სასამართლო დავის განხილვისას გაქვითვის მოთხოვნის უფლების წარდგენით. **6.** სასამართლო დავაში მესამე პირის ჩართვის შესახებ (**Steitverkundung**) განცხადების წარდგენით, **7.** დამოუკიდებელი მტკიცების პროცესის (Beveisverfahren) ჩატარების მოთხოვნაზე განცხადების წარდგენით და სხვა[407].

საინტერესოა **გერმანული სამოქალაქო კოდექსის §214-216, სადაც საუბარია ხანდაზმულობის სამართლებრივ შედეგებზე (§214); გაქვითვაზე და დაკავების უფლებაზე ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ (§215); ხანდაზმულობის სამართლებრივ შედეგებზე უზრუნველყოფილი მოთხოვნის უფლების უფლებების შემთხვევაში (§216); დამატებითი ვალდებულების ხანდაზმულობაზე (§217); სამართლებრივი ძალის არმქონე ხელშეკრულებიდან გასვლაზე (§218[195]).**

---

407. იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB) (2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით), ზ. წეჭელაშვილის თარგმანი ქართულ ენაზე; Гражданское уложение Германии, 2-е издание, Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands, 2. Auflage. Wolters Kluwer; Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff 65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck. S. 227-229.

კითხვები:

1. რაზე ვრცელდება ხანდაზმულობა?

2. რაზე არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადები?

3. როგორია ხანდაზმულობის საერთო ვადა, სპეციალური ვადები?

4. როდიდან იწყება ხანდაზმულობა?

5. რა შემთხვევაში ჩერდება ხანდაზმულობა?

6. რა შემთხვევაში წყდება ხანდაზმულობა?

7. დაშვებულია თუ არა კანონით ხანდაზმულობის ვადის შეცვლა მხარეთა შეთანხმებით?

ტესტები:

1. ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება:

ა. მეანაბრეთა მოთხოვნებზე ბანკში შეტანილი ანაბრების გამო

ბ. ქორწინების არსებობისას, მეუღლეებს შორის მოთხოვნებზე

გ. ვალდებული პირის, უფლებამოსილი პირის წინაშე პროცენტის გადახდით

დ. უფლებამოსილი პირის მიერ სარჩელის შეტანით მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

2. ვალდებულების შესრულების ვადად დათქმული იყო 2009 წლის 15 ივლისი. იმავე წლის 15 ივნისს მხარეები შეთანხმდნენ ამ ვადის 3 თვით გაგრძელების შესახებ.

როდის დგება ვალდებულების შესრულების ვადა?

ა. 2009 წლის 15 ივლისს, რადგან კანონი ვადის გაგრძელებას არ ითვალისწინებს

ბ. 2009 წლის 15 ოქტომბერს, რადგან ვადის გაგრძელების შემთხვევაში ახალი ვადა გამოითვლება ვალდებ-

ულების შესრულების დროის დადგომის ერთი თვის შემდეგ

გ. 2009 წლის 15 ოქტომბერს, რადგან ვადის გაგრძელების შემთხვევაში ახალი ვადა გამოითვლება გასული ვადის დამთავრებიდან

დ. 2009 წლის 15 სექტემბერს, რადგან ვადის გაგრძელების შემთხვევაში ახალი ვადა გამოითვლება შეთანხმების მომენტიდან.

3. რომელი მსჯელობა მიგაჩნიათ სწორად?

ა. ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება მეურვეებსა და სამეურვეო პირებს შორის მოთხოვნებზე მეურვეობის მთელი პერიოდის მანძილზე

ბ. საზიარო უფლების მქონე პირებს შორის მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება, სანამდე საზიარო უფლებები არ გაუქმდება

გ. მშობლებსა და შვილებს შორის მოთხოვნებზე ვადის დენა ჩერდება ბავშვების სრულწლოვანების დადგომამდე

დ. სანამ ქორწინება არსებობს, მეუღლეთა შორის მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება.

პასუხები:

1. აბულაძემ ბერიძეს 1977 წლის წლის დეკემბერში სესხად მისცა 500 ლარი. 1980 წლის დეკემბერში დადგენილი წესით დაქორწინდნენ. სამწუხაროდ ოჯახის შენარჩუნება ვერ მოხერხდა და 2000 წლის ნოემბერში მხარეები განქორწინდნენ. 2001 წლის დეკემბერში აბულაძემ სასამართლოს მეშვეობით მოითხოვა ბერიძისაგან 500 ლარის დაბრუნება. სასამართლომ არ დააკმაყოფილა აბულაძის მოთხოვნა, რადგან გასულია ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

რამდენად სწორად მოიქცა სასამართლო?

2. ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, 2010 წლის თებერვალში ლეონიძემ წერილობით აღიარა რომ მჭედლიშვილის ვალი აქვს 2 000 ლარის ოდენობით. მჭედლიშვილმა სთხოვა ლეონიძეს დაებრუნებინა ვალი, რაზეც უარი მიიღო, რადგან ხანდაზმულობის ვადა გასული იყო და ის უკვე უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე. მჭედლიშვილმა 2011 წლის ოქტომბერში სარჩელით მიმართა სასამართლოს.

უნდა დააკმაყოფილოს თუ არა მჭედლიშვილის მოთხოვნა სასამართლომ?

სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა (სუბსუმციის მეთოდი)

17 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საბაზრო ეკონომიკაზე მორგებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შეიდა ძალაში, რომელმაც ბუნებრივია ამ ხნის მანძილზე მრავალი ცვლილება განიცადა, ამასობაში ჩამოყალიბდა კიდეც სასამართლო პრაქტიკაც სამოქალაქო კოდექსის ექვსივე წიგნის ნორმებიდან გამომდინარე და ბუნებრივია აქედან გამომდინარე, სამართლის პრაქტიკოსებს მოეთხოვებათ კანონის გამოყენებს მეთოდიკის, კერძოდ კი – **სუბსუმციის მეთოდის** ცოდნა, რომელიც სამოქალაქო სამართლის სპეციალისტის საქმიანობის ძირითადი საფუძველია. „სუბსუმციის მეთოდის გამოყენებისას ადგილი აქვს კონკრეტული ვითარების ფარგლებში ერთი პირის სასარგებლოდ მეორე პირის მიმართ შესაძლო სამართლებრივი მოთხოვნების არსებობის შემოწმებას. სწორედ სუბსუმციის მეთოდის ზედმიწევნით ფლობა და გამოყენება განასხვავებს კომპეტენტურ იურისტს არაიურისტისაგან, რომელიც, შესაძლოა ხშირად სწორად აფასებს ცხოვრებისეულ მოვლენებს, მაგრამ ეს შეფასება ემყარება ინტუიციას და არა ცოდნას“[408].

სუბსუმციის მეთოდის დაუფლება სამართლის სკოლის სტუდენტებს დაეხმარება არა მარტო გაერკვნენ სამართლის ტერმინებში, არამედ დაეფლონ აგრეთვე კაზუსის ამოხსნის მეთოდიკას, რომელიც მათთვის საუკეთესო გზამკვლევი იქნება, რათა გაუადვილდეთ არა მარტო მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოყალიბება, არამედ პრაქტიკული მეცადინეობებისას შესაბამისი ნორმების დამუშავებისას ლექტორის დახმარებით, შემდეგ დამოუკიდებლადაც კაზუსების ამოხსნისას, ისინი პრაქტიკული მუშაობისას (განსაკუთრებით მოსამართლის თანამ-

408. სანდრა ჰენშელი, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, თბილისი, 2009, გვ. 11.

დებობაზე მუშაობისას) გაიადვილებენ მათთვის დაკისრებული დავალების სწორად შესრულებას, აღიჭურვებიან იმ მეთოდებით, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო სამართლის სწორად შესწავლისა და სამოქალაქო კოდექსის კორექტულად გამოყენებისათვის.

„სუბსუმცია" ლათინური წარმოშობისა სიტყვაა და ქართულად ითარგმნება, როგორც „მისადაგება", „შეფარდება". „სამართლის ეს ცნება გულისხმობს სამართლის გამოყენების მეთოდს, რომლის საფუძველზეც ხდება სამართლის ნორმების მისადაგება (შეფარდება) კონკრეტული ცხოვრებისეული შემთხვევებისადმი"[409]. იურისტის საქმიანობის უმთავრესი ამოცანაც ის არის, რომ კონკრეტული ცხოვრებისეული ფაქტებისა და კონფლიქტებისათვის სამართლებრივი პასუხების მოძებნა, ე.ი. კონკრეტულ ფაქტს, რომელიც სამართლებრივ გადაწყვეტას მოითხოვს, მიეუსადაგოთ სწორი ნორმა, რათა მივიღოთ ჭეშმარიტი, სწორი გადაწყვეტილება კონკრეტულ საქმეზე.

„სამართლებრივ კაზუსებზე მუშაობისას არსებობს აზროვნების ორი ეტაპი .პირველი ეტაპი მოიცავს კონკრეტული სამართლებრივი შეფასებების გ'ხით გადაწყვეტამდე (შედეგამდე) მისვლას. სწორედ ამით მზადდება ნიადაგი შემდგომი გადაწყვეტილებისათვის, როგორიცაა მაგალითად, სასამართლო გადაწყვეტილება ან კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული გადაწყვეტილება სარჩელის აღძრის ან განცხადების შეტანის თაობაზე და ამასთანავე შესაძლებელს ხდის და ამარტივებს ამ გადაწყვეტილების ლოგიკურ დასაბუთებას. ყოველივე აღნიშნული ცხადყოფს იურიდიული დასკვნის მნიშვნელობას იურისტის პრაქტიკაში. ამის გააზრება თქვენ, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს გაგიადვილებთ კაზუსის იურიდიულ დამუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებთან მუშაობას"[410].

იურისტი, რომელიც ეძებს კონკრეტული კაზუსის სწორი გადაწყვეტის გზებს, უპ. ყოელისა ამ კონკრეტულ

409. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბილისი, 2011, გვ. 130.
410. ს. ჰენშელი, დასახ. ნაშრ; გვ. 36.

შემთხვევაში აყენებს პრობლემას: **ვინ ითხოვს? რას ითხოვს პირი და ვისგან ითხოვს და როგორია ამ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.** ცხადია, ეს სამართლებრივი საფუძველი ან კანონიდან გამომდინარეობს (მოთხოვნის კანონისმიერი საფუძველი) ან/და ხელშეკრულებიდან (მოთხოვნის სახელშეკრულებო საფუძველი.

ავიღოთ ერთი კონკრეტული კაზუსი და ამოვხსნათ იგი. მივმართოთ სუბსუმციის მეთოდს. კ ა ზ უ ს ი: ა. ბერიძეს ბ. აბულაძისათვის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გადასახდელი აქვს 1000 ლარი. როდესაც მოვიდა ხელშეკრულების შესრულების ვადა, ა. ბერიძემ უარი განაცხადა ნასყიდობის თანხის (1000 ლარის) გადახდაზე, რადგან მისი მტკიცებით, ბ. აბულაძეს მისთვის გადასახდელი ჰქონდა 1000 ლარი სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რომელსაც არ უბრუნებდა და მოითხოვა მოთხოვნის გაქვითვა. მეორე მხარე კი საწინააღმდეგოს ამტკიცებდა და ამბობდა, რომ მას არავითარი ვალი არ ჰქონდა მეორე მხარისა.

როგორც ვხედავთ ვერც ა. ბერიძემ და ვერც ბ. აბულაძემ ვერ მიაღწიეს კონსენსუს. სასამართლომ ბუნებრივია აღნიშნული დაავა უნდა გადაწყვიტოს სამართლიანად და მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება. სამართალწარმოებამ მიზანს უნდა მიაღწიოს, „სამართლებრივი მშვიდობა“ უნდა აღდგეს.

იურისტი (მოსამართლე), რომელიც გადაწყვეტილებას იღებს კონკრეტულ საქმეზე, **მან საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან** გამომდინარე, გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომ არ შეიძლება თვითნებური გადაწყვეტილების მიღება, არამედ ნებისმიერ გადაწყვეტილებას წინ უნდა უსწრებდეს „სტრუქტურირებული, კანონსა და სამართალზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი“.

„გადაწყვეტილების მიღების პროცესის არსებითი ნაწილია კაზუსის იურიდიული დამუშავება, რომლის ფარგლებშიც სისტემატურად ხდება სამართლებრივი კაზუსის

ამოხსნის (გადაწყვეტის) მომზადება.... კაზუსის იურიდიული დამუშავება პრაქტიკოსისათვის არის კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისა და და მისი დასაბუთების წინა სამუშაო ეტაპი, რის გამოც მას ენიჭება „გადამწყვეტი“ მნიშვნელობა იურისტის ყოველდღიურ საქმიანობაში“[411].

კაზუსის იურიდიული დამუშავების ამოსავალი, მთავარი კონკრეტული შეკითხვა ეს **კაზუსის საკვანძო კითხვაა** და კაზუსის **იურიდიული დამუშავების საგანი სწორედ ამ კითხვაზე სწორი პასუხის გაცემაა.** ჩვენი მაგალითის შემთხვევაში კი პასუხი უნდა გავცეთ საკვანძო კითხვას: **აქვს თუ არა ბ. აბულაძეს ა. ბერიძისათვის 1000 ლარის მოთხოვნის უფლება?** კაზუსის მთავარ, საკვანძო კითხვას პასუხი უნდა გავცეთ სისტემური ანალიზის, სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით, კანონის, სასამართლო პრაქტიკისა და იურიდიული ნორმების საფუძველზე.

ცხადია პირველ შემთხვევაში ამ საკვანძო კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია წინაპირობების ფორმულირება, საჭიროა ისეთი ნორმების მოძიება, რომელიც **შედეგის განმსაზღვრელი იქნება** და ასევე უნდა გამოვრიცხოთ ის ნორმები, „რომელთა საფუძველზეც გამოირიცხებოდა განსახილველი მოთხოვნისა და თუ უფლების არსებობა, ე. წ. **მოთხოვნის გამომრიცხავი ნორმები“.**

აღნიშნული კაზუსის ამოხსნისას ბუნებრივია უნდა მიემართოთ **სსკ 477-ე მუხლის მე-2 ნაწილს, რომელიც არის შედეგის განმსაზღვრელი ნორმა.** აქვს თუ არა ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს მეორისადმი მოთხოვნის უფლება ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვისა, უნდა ამოვიდეთ კითხვიდან, დაიდო თუ არა მათ შორის ნასყიდობის ხელშეკრულება, სწორედ ამ კითხვას უნდა გავცეთ პასუხი. აგრეთვე უნდა მოხდეს განზოგადება იმისა, არის თუ არა ამ შემთხვევაში გამოსაყენებელი სსკ-ის ნორმები ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვისა **(სსკ 442-447).**

მივყვეთ კაზუსს. პირველი კითხვა რომელიც უნდა დაისვას არის?: ვინ ითხოვს ვალდებულების შესრულებას და რას ითხოვს? ამ შემთხვევაში ბ. აბულაძე ითხოვს 100

411. ს. ჭენშელი, დასახ. ნაშრ; გვ. 25.

ლარს. ე. ი. შედეგის განმსაზღვრელი ნორმა **477-ე მუხლის მე-2 ნაწილია.**

წინაპირობა მოთხოვნისა არის: ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც დაიდო ა. ბერიძესა და ბ. აბულაძეს შორის, საფასურის მოთხოვნა კი 1000 ლარია. მოთხოვნა შეიძლება შეწყდეს საყარაუდოდ ვალდებულების გაქვითვით **(სსკ 442-ე მუხლის მე-2 ნაწილით). გაქვითვის შესაძლებლობას** ქმნის მხარეთა შორის ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის არსებობა (აღიარების შემთხვევაში ა. ბერიძის მხრიდან). აღნიშნული კაზუსის შემთხვევაში **ძირითადი მოთხოვნაა ნასყიდობიდან გამომდინარე თანხის გადახდა. საპირისპირო მოთხოვნას კი წარმოადგენს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის მოთხოვნა,** რამეთუ ა. ბერიძე ამტკიცებს, რომ მისი ვალი მართებს ბ. აბულაძეს (1000 ლარი) და ითხოვს გაქვითვას.

საპირისპირო მოთხოვნა ა. ბერიძის მტკიცება, რომ მან ბ. აბულაძეს ასესხა (სსკ მ. 623) ფული (1000 ლარი). 626-ე მუხლის I-ლი ნაწილი, 623-ე მუხლის თანახმად ხდება:

ა) ვალის დაბრუნების მოთხოვნის წარმოშობა (+)

ბ) ვალის დაბრუნების მოთხოვნის შეწყვეტა?

ერთი მხარე ამტკიცებს, რომ მან გადაიხადა ვალის ნაწილი 200 ლარის ფარგლებში. მას ევალება დარჩენილი 800 ლარის გადახდა. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ბ. აბულაძის მხარეზეა, რამეთუ ვალის დაბრუნების ვალდებულების შესრულება მისთვის არის ხელსაყრელი ფაქტი. ა. ბერიძე ვერ ამტკიცებს, რომ დანარჩენი 800 ლარი გადაიხადა, რის შედეგად ვალის დაბრუნების მოთხოვნა გაქარწყლებულია მხოლოდ 20 ლარის ფარგლებში.

გ) ვალის დაბრუნების მოთხოვნის განუხორციელებლობა–არ არსებობს შესაბამისი საფუძველი

დ) შუალედური შედეგი: ვალის დაბრუნების მოთხოვნა ძალაშია 800 ლარის ოდენობით.

რაც შეეხება გაქვითვის შესაძლებლობას, იგი არ არსებობს.

შუალედური შედეგი იქნება: ვალის დაბრუნება ძალაშია 800 ლარის ოდენობით.

მოთხოვნა განხორციელებადია (+)

შედეგი: ბ. აბულაძეს აქვს ა. ბერიძისადმი მოთხოვნის უფლება 800 ლარის ფარგლებში, მაგრამ რამეთუ მას დაუმტკიცდა, რომ მეორე მხარისათვის გადასახდელი აქვს ვალი სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ამიტომ მას ნასყიდობიდან გამომდინარე 1000 ლარი ასაღები მეორე მხარისაგან გაექვითება ურთიერთშემხვედრი ვალდებულების შესასრულებლად.

გადაწყვეტილების მიღების პროცესი უნდა მოიცავდეს: 1. საწყის კითხვას; 2. საკვანძო კითხვაზე დადებითი პასუხის გასაცემად საჭირო წინაპირობების ფორმულირებას; 3. კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების მისადაგებას; 4. დასკვნას; 5. ამოხსნა/შედეგს.

კაზუსის იურიდიული დამუშავების ძირითადი მოთხოვნებია: 1. სამართლებრივი ვითარების დეტალური გადმოცემა; 2. აზრის მარტივი და გასაგები ჩამოყალიბება; 3. სადავო საკითხებთან დაკავშირებით დამაჯერებელი არგუმენტირება; 4. არ არსებობს ერთადერთი „სწორი“ გადაწყვეტა; 5. კაზუსის იურიდიული დამუშავების ეფექტიანობა; 6. მარტივი და გასაგები ენა[412].

412. კაზუსის ამოხსნის მეთოდიკაზე საუბრისას ვეფუძნებოდით ს. ჰენშელის პუბლიკაციას სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, თბილისი, 2009; 2014. ასევე იხ. ე. ჩაჩანიძე, სამოქალაქო კაზუსების ამოხსნის მაგალითები, თბილისი, 2014; შტეფან შმიდტი, ჰარალდ რიჰტერი, მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, მოკლე შესავალი რელაციის მეთოდში; სამოქალაქო კოდექსის მიხედვით შემუშავებული პრაქტიკული მაგალითებით. ელექტრონული ვერსიის მოძიება სტუდენტს შეეძლება საიტზე: www.giz.de/law-caucasus ; ასევე **Egbert RumpF-Romet sch. Tomas Dräget. Gie Galle BGB - Sa Chenrecht 1. 2011.**

ნორმატიული აქტები

საქართველოს კონსტიტუცია
საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსი. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
საქართველოს საგადასახადო კოდექსი
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი
საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“
საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“
საქართველოს კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“
საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“
საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“
საქართველოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“
საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ
საქართველოს კანონი „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“
საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“
საქართველოს კანონი „სამოქალაქო აქტების შესახებ“

საქართველოს კანონი „საგზაო მოძრაობის შესახებ“

საქართველოს კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“

საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“

საქართველოს კანონი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება (2009წლის 31 დეკემბერი, №2410), „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის № 18 ბრძანება „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის ბრძანებით (№996) დამკიცებული ინსტრუქცია: „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“, თავი III „ელექტრონული ფორმით კომუნიკაცია“.

ნოტარიუსის სამაგიდო წიგნი, ნორმატიული აქტების კრებული, თბ. 2011

გაეროს ჟენევის 1951 წლის 28 ივლისის კონვენცია „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB) (2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით), ზ. ჭეჭელაშვილის თარგმ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ. 1999

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბ. 1999

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ. 2001

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, თბ. 2001

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბ. 2001

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბ. 2000

ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999

ზ. ადეიშვილი, გ. ვინტერი, დ. ქიტოშვილი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2002

გ. ბარამიძე, სამოქალაქო სამართალი. ზოგადი ნაწილი, I ნაწილი, I გამოცემა, თბ. 2001

ლ. ბრეგაძე, „თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი, 2010

ზ. გაბისონია, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, 2011

ი. დვალიძე, გ. კვერენჩხილაძე, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

რ. დავიდი, „თანამედროვეობის საერთაშორისო სამართლებრივი სისტემები", თბილისი, 1993

ა. დემეტრაშვილი, ი. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2008

ბ. ზოიძე სანივთო სამართალი, თბ. 2003

ბ. ზოიძე. სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა", უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში, ესეები, თსუ, 2013

ბ. ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბ. 2007.

ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, თბ. 2005.

ბ. ზოიძე, ვადების ცნება და ზოგადი დახასიათება, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამართლის განყოფილების 2001 წლის სამეცნიერო კვლევითი გეგმით გათვალისწინებული ნაშრომი, ხელნაწერი

თ. ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, თბ. 2005

გ. თუმანიშვილი, შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, თბილისი, 2012

გ. თუმანიშვილი, „გარიგებები (სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება)", თბილისი, 2012

გ. თუმანიშვილი, საქორწინო კონტრაქტი, თბილისი, 2010

მ. თოდუა, ჰუუბ ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, თბ. 2006

ნ. იოსელიანი, ხელშეკრულების განმარტება, 2008

რუდოლფ ფონ იერინგი, ბრძოლა უფლებისათვის, თბ. 2007

დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ. 2009.

ნ. იაშვილი, ე. მაღალაშვილი, ზ. ნაჭყებია, სახელშეკრულებო ურთიერთობების პრაქტიკა, თბილისი, 2006

ა. კობახიძე, სამოქალაქო სამართალი, თბილისი, 2001

რ. კნიპერი, კოდიფიკაციის მეთოდები და კონცეფციები გარდამავალი პერიოდის საზოგადოებებში (საქართველოს მდგომარეობის გათვალისწინებით), გვ, 176-191; წიგნიდან „სამართლის რეფორმა საქართველოში (Rechtsreform in Georgien), თბილისი, 1994

თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005

თ. ლილუაშვილი. საერთაშორისო კერძო სამართალი, თბ. 2011

ჯ. ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, თბილისი, 2002

გ. ლორია, მ.კოპალეიშვილი, ა. ლორია, ე. ლორია, ხ. ლორია, მ. სალხინაშვილი, ნ.წკეპლაძე, ც. ჩქარეული, ი. ხარშილაძე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2010

გ. ლობჟანიძე, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, ქუთაისი, 2003

გ. ლობჟანიძე, რომის სახელმწიფო და სამართალი, II, თბ. 2009

ჯ. მეტრეველი, რომის სამართალი. საფუძვლები, თბ. 1995

გ. ნადარეიშვილი, რომის სამოქალაქო სამართალი, თბ. 2001

პეტერ ლუთრინგჰაუსი, „დელიქტური სამართალი", წიგნიდან „მოკლე კონსტექტები", თბილისი 2011, გვ. 29 საიტი: www.gtz.de//law_caucasus

რ. რიჟამაზე, სამოსამართლო სამართალი, საიტი: http://rezorija-rezorija.blogspot.com

ირ. სურგულაძე, ხელისუფლება და სამართალი, ო. გამყრელიძის წინასიტყვაობით. თბილისი, 2002

ბ. სავანელი, სამართლის თეორია, თბილისი, 1993

მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2001

ჯ. ხეცურიანი, სამოქალაქო სამართლის ფუნქციები", თბილისი, 1995

ჯ. ხეცურიანი, იურიდიული პირის ინსტიტუტის საკანონმდებლო რეგულირების სრულყოფის ამოცანები საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ჟურნალი „სამართალი", №1-2, გვ. 52-53.

გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბ. 2004

ი. ხარაზი, სამოქალაქო სამართალი (ზოგადი დებულებები) ლექციების კურსი იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის (მეორე გადამუშავებული გამოცემა), თბილისი, 2012

ი. ხარაზი, საბაჟო სამართალი, თბ. 2010

ი. ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი,

პირველი ნაწილი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2013

ი. ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2014

სამოქალაქო სამართალი (სამოქალაქო სამართლის ზოგადი დებულებანი); სასწავლო–მეთოდური მასალა ცოდნის შემოწმებისათვის), შედგენილი საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის სამართლის სკოლის მაგისტრების მიერ, ი. ხარაზის ხელმძღვანელობით, თბილისი, 2012.

ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის კერძო ნაწილში, თბ., 2000

ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2011.

ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, თბილისი, 2002

ზ. ჭეჭელაშვილი, სანივთო სამართალი, თბილისი, 2010

რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, მემკვიდრეობითი სამართალი, თბ; 2007

შტეფან შმიდტი, ჰარალდ რიჰტერი, მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, მოკლე შესავალი რელაციის მეთოდში; სამოქალაქო კოდექსის მიხედვით შემუშავებული პრაქტიკული მაგალითებით (თარგმნ. ქართულ ენაზე). ელექტრონული ვერსიის მოძიება სტუდენტს შეეძლება ასევე საიტზე: www.giz.de/law-caucasus.

„სამართლის რეფორმა საქართველოში“. ს. ჯორბენაძე. საქართველოს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები. თბ., 2012.

იურგენ შვაბე, ჰამბურგის უნივერსიტეტის საჯარო სამართლის პროფესორი, „გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები“, (ქართულ ენაზე) 2011.

კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, თბილისი, 2001

თ. ჩიტოშვილი, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, თბილისი, 2006

თ. ჩაჩანიძე, სახელმწიფო და კერძო-სამართლებრივი ურთიერთობები, წიგნიდან: რომან შენგელია, სამართლის პრობლემები, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2012.

ე. ჩაჩანიძე, სამოქალაქო კაზუსების ამოხსნის მაგალითები. თბილისი, 2014

რაინჰოლდ ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება (ქართულ ენაზე), თბილისი, 2006

ს. ჩაჩავა, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტის გამომცემლობა, თბილისი, 2011

სანდრა ჰენშელი, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა (ქართულ ენაზე), თბილისი, 2009; 2014

დ. წულაია, ინგლისურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი, გამომც. „საქართველოს მაცნე", თბ; 2005

ს. ჯორბენაზე, საქართველოს მომავალი სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები", წიგნიდან: „სამართლის რეფორმა საქართველოში, (Rechtsreform in Georgien), თბილისი, 1994, გვ. 139-175.

სერგი ჯორბენაძე, „გარიგებაში დაშვებული შეცდომის სახეები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით", წიგნიდან: რ. შენგელია, სამართლის პრობლემები; თბილისი, 2012

ჰაინრიხ შნიტბერი საკრედიტო სამართალი, საიტი: www.gtz.de/law–caucasus

რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. თბ. 2002

რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს „დიგესტები", თბილისი, 2000,2001

თავისუფალი ქართულენოვანი ენციკლოპედია ვიკიპედიდან. იხ. საიტი: http://ka.wikipedia.org/wiki/

განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, JURISTISCHES FACHLEXICON, 2012

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ; 1986

უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 1989.

Российский гражданский кодекс, Учебник (на русском языке), том I, Москва, 2011

Российский гражданский кодекс, Учебник, том I, Ответственный редактор Е. А. Суханов, Издание юридического факультета Московского Государственного Университета им. М. Ломоносова (на русском языке), 2011

РОССИЙСКОЕ ГРАЖДАНСКОЕ ПРАВО, УЧЕБНИК В 2 томах, Ответственный редактор заслуженный деятель науки РФ, доктор юридических наук, профессор Е.А. СУХАНОВ, Том I Общая часть. Вещное право Наследственное право., Личные неимущественные права, Интеллектуальные права, 2-е издание, стереотипное, москва, 2011

Савелъев В. А. Гражданский кодекс Германии, М; 1994

Гражданское уложение Германии, 2-е издание, Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands, 2. Auflage. Wolters Kluwer, 2006

Institutiones Iustiniani, L. II, T. II, miTiTebulia wyarodan: Институции Юстиниана, – перевод Д Расснера Под ред Л. Л. Кофанова, `Зерцало~, Москва, 1998.

Bürgerliches Gesetzbuch

bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff

65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck.

Egbert RumpF-Romet sch. Tomas Dräget. Gie Galle BGB - Sa Chenrecht 1. 2011.

Larenz / wolf . Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts . München, 2004.

ДигестЫ Юстниана. Пер. и комментарии И. С. Перетерского, М; 1984 .

ДгестЫ Юстниана (Ответств ред. Л. Л. Кофано, М; 2002-2006.

http://lections.net/avstriyskiy-grazhdanskiy-kodeks.htm - Австрийский гражданский кодекс

Л.Жюллио де ла Морандьер, ГРАЖДАНСКОЕ ПРАВО ФРАНЦИИ, Перевод с французского доктора юридических наук

Е. А. ФЛЕЙШИЦ Вступительная статья доктора юридических наук Р. Л, Фрейшиц, .http://legalportal.am/download/library/p17525scb-n1u4f12o9181dau5n321.pdf

Австрийский гражданский кодекс http://lections.net/avstriys-kiy-grazhdanskiy-kodeks.htm

Гражданское право Франции https://www.google.ge/search?client=opera&q,

სასამართლო პრაქტიკა:

I. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები:

1. 2004 წლის 15 მარტის №1/4/170/178, 230,246 განჩინება
2. №1/1103, 117, 147-148, 152-153 (2001 წლის 7 ივნისი)
3. №2//1/87-188 (2003 წლის 10 იანვარი)

II. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები:

სუსგ ას198-189-2010 13 ივლისი. იხ. საიტი: http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr201110.pdf

სუსგ, სამოქ. 1/2008.

სუსგ, სამოქ. 9/2005.

სუსგ სამოქ. ას-339-372-2010, 4 ნოემბერი, 2010 წელი.

სუსგ სამოქ. ას-922-1205-09 5 მარტი, 2010 წელი.

სუსგსამოქ. (№ას-1350-1275-2012).

სუსგ სამოქ. განჩინება, №ას-743-1069-07„ 20.02.2008.

სუსგ სამოქ. საქმე №3 კ-62-01, 17 იანვარი, 2001 წელი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ბიულეტენი.

სუსგ სამოქ. განჩინება №ას-743-1069-07, 20.02.2008.

სუსგ სამოქ. №ას-385-358. 2010.

სუსგ. სამოქ. საქმე №ას-1-453-06-07, 2007, 24 მაისი.

1სუსგ სამოქ. 2007წ. 26 დეკემბერი, საქმე №ას-615-952-07, 2007წ. 26 დეკემბერი.

საიტები:

www.parliament.ge

http://lawtsu.blogspot.com/212/11/blog-post.html; http://mimomxilveli.wordpress.com/2012/09/10/კონსპექტი-პერძო-და-საჯარ

http://ka.wikipedia.org/wiki/

http://lawtsu.blogspot.com.2012/11blog-post.html

http://rezorija-rezorija.blogspot.com

http://forum.ge

http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php

http://ka.wikipedia.org/

http://library.court.ge/gil/index.php?term_id=491

http://mimomxilveli.wordpress.com/2012/09/09

http://myadvokat.ge

www.giz.de/law-caucasus

www.gtz.de/law-caucasus